143
1931/3

ეროვნებანი

ეროვნება

საქართველოს ეროვნებათა ეროვნული ასოციაციის

1-2

1931

სახელგამი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს პროლეტარულ
მწერალთა ასოციაციის
ეროვნული ორგანო

პროლეტარული მწერლობა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და სამხატვრო-სალიტერატურო
ჟურნალი

1931

წელიწადი მეხუთე

სახელგამი—ტფილისი

№ 1-2

Библиотека ЦК ВКП(б)

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალ საფეხურზე

პროლეტარული მწერლობის ახალი საფეხური მთლიანად სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდთანაა დაკავშირებული. სოციალისტური შეტევა ყველა ფრონტზე: კაპიტალიზმის ნაშთების ძირფესვიანად აღმოფხვრა, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია, სოციალისტური ეკონომიკის ხაძირკვლის შენების დამთავრება, საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარის ზრდა, დამკვრელობა, სოც-შეჯიბრება — ერთი სიტყვით, პარტიის ყველა დაკვრითი ღონისძიება საზღვრავს და ავსებს მწერლობის ახალ ამოცანებს, მის მიმართულებას და ხასიათს მიმდინარე პერიოდში.

უდიდესი ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობის მიღების მეხედვით იწყება პროლეტარული მწერლობის ახალი საფეხური. დღეს მტრისათვისაც აღარაა სადაო პროლეტარული მწერლობის შემოქმედებითი თვითდამტკიცება, მისი ზრდა და ფრონტად გადაქცევა; დამკვრელ მუშათა გაწვევა პროლეტარულ მწერლობაში უდიდესი მნიშვნელობის მქონე ფაქტია: პროლეტარული მწერლობა თავს დააღწევს რეკონსტრუქციის პერიოდის ტემპებისაგან ჩამორჩენას, შემოქმედებით დაძლევს ახალ ამოცანებს და სოციალისტური აღმშენებლობის უფრო მეტად მოქმედი იარაღი გახდება. დამკვრელი მუშები პროლეტარული მწერლობის ძირითად წამყვან რაზმად უნდა გადაიქცენ.

დამკვრელ მუშათა გაწვევა მწერლობაში ერთდროული კამპანია არაა: ხანგრძლივი, სისტემატიური და პროლეტარული მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საქმიანობაა. მთავარია, გაწვევის პრაქტიკულად დამაგრება და ღრმად გაშლა, გაწვეულებთან დიდი მუშაობის წარმოებაა საჭირო. დამკვრელ მუშებს პროლეტარულ მწერლობაში საწარმოო ცოდნა, მუშური გამოცდილება და მახვილი პროლეტარული ალღო მოაქვთ. აუცილებელია, ამ საფუძველზე ლიტერატურული კულტურის ღრმად ათვისება, რომ დამკვრელ მუშათა მწერლობაში მუშაობა მაქსიმალურად ნაყოფიერი იქნეს. ამ საქმეში დიდი როლი აქვს, როგორც მთლიანად საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას, ისე მის ბეჭდვითი ორგანოს ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“-ს.

ოთხი წლის განმავლობაში ჟურნალმა — „პროლეტარული მწერლობა" — ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა კადრები გამოზარდა. თავისი არსებობის მეხუთე წელს ჟურნ. „პროლეტარულ მწერლობა"-ს სასახელო საქმიანობა იქნება, თუ ის გამოიყენებს მწერლობაში, აღზრდის და ყოველმხრივ დაეხმარება დამკვრელ მუშებს; ეს სასახელო, მძიმე და აუცილებელი ვალდებულებაა, რის შესრულებით ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა" პარტიას, მუშათა კლასს გამოცდას ჩაბარებს, ამით ის დაამტკიცებს, რომ პრაქტიკულად სძლევს ახალი პრაქტიკის ამოცანებს. ამ ვალდებულებას ჟურ. „პროლეტარული მწერლობა" კისრულობს და მიმდინარე წელს ამ ხაზით დიდის ენერგიით დაიწყებს მუშაობას. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია მუშაობას წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით იწყებს.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ნაპოსტოველური აქტივის მიერ პარტიის ლიტერატურულ-პოლიტიკური ხაზი, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში გაუხრელად და მტკიცედ ტარდებოდა. ნაპოსტოველობას დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა მემარჯვენე-„მემარცხენე" ოპორტუნისტებთან: ერთის მხრივ „მემარცხენე"-მემარჯვენე ბლოკის ხაზის წარმომადგენლები — ლომინაძე და მისი ლიტერატურული აგენტი — ტატულოვი, მეორეს მხრივ ლ. ღოლობერიძის აშკარა მემარჯვენე-ოპორტუნისტული ხაზი ხელოვნების, კერძოდ ლიტერატურის საკითხებში. ამას თან დაერთო პროლეტმწერალთა ასოციაციაში მემარჯვენე ჯგუფის აქტიური გამოხვლა (უბადრუკი ოპორტუნისტული „პლატფორმებით"). ბოლშევიკური ლიტერატურულ-პოლიტიკური ხაზის მქონე პრ. მწერ. ასოციაციის ნაპოსტოველურმა აქტივმა შესძლო მემარჯვენე-„მემარცხენე" ოპორტუნისტების, თვალთმაქცების და კაპიტულიანტების გამომჟღავნება და დამარცხება. თვალსაჩინოდ გამოირკვა ლომინაძე-ღოლობერიძის ანტიპარტიული ხაზი მწერლობაში; ასოციაციაში შექმნილი მემარჯვენე-ოპორტუნისტული ჯგუფი იდეურად განიარაღებულ იქნა. ჩვენი ამოცანაა არამც თუ შევანელოთ ბრძოლა ორ ფრონტზე, არამედ გავამახვილოთ და გავაძლიეროთ; მთავარი და ძირითადი საშიშროება ისევ მემარჯვენე გადახრაა და სწორედ აქეთკენ უნდა იქნას მიმართული მთავარი ცეცხლი, არავითარ შემთხვევაში დავიწყებული არ უნდა იქნას არც „მემარცხენე" გადახვევები. აუცილებელია, პროლეტარული მწერლობის შიგნით ბრძოლა გამოეცხადოს მემარჯვენეობას პრაქტიკაში; ჩამორჩენილობა, უთავბოლობა, დამკვრელ მუშათა გაწვევისადმი უყურადღებობა, სწავლის შეუფასებლობა, თვითკრიტიკის მოუთმენლობა, მასსიდან მოწყვეტა, მეშჩანური ტრადიციები და სხვ. — პირწავარდნილი ოპორტუნიზმია, რაც დაუნდობლად აღმოფხვრილ უნდა იქნას. პირით დამკვრელი მუშებისაკენ, პირით წარმოებისაკენ — მთავარი ლოზუნგებია, რის განხორციელებისათვის მობილიზაციაქნილ უნდა იქნას პროლეტარული მწერლობის მთელი ენერგია. დღეს, როდესაც აღვნიშნავთ წარმოებასთან, დამკვრელი მუშების მასასთან კავშირის სისუსტეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემოქმედებითი საკითხებისათვის მიქცეული ყურადღება სავსებით საკმარისი იყოს. საჭიროა მწერლობისადმი, შემოქმედებისადმი უურადღების გამახვილება და რაც მთავარია, მუშაობის გაღრმავება; ზერელობა, კუსტარულობა, მხატვრული ხარისხისადმი უყურადღებობა, სიჩქარე ხარისხის ხარჯზე, იდეური სიღარიბე, თემატიური განსაზღვრულობა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირფესვიანად აღმოფხვრილი უნდა იქნას. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებითი პლატფორმის დამუშავებას; შემოქმედებითი დისკუსია ჯერ კიდევ ისე, როგორც საჭიროა გაშლილი არ არის; უნიადაგო „ტატულოვშჩინასთან“ ბრძოლა შემოქმედებითი დისკუსიას არამც თუ არაფერს არ მატებდა, არამედ ვნებდა. დიალექტიური მატერიალიზმი უნდა გახდეს პროლეტარული მწერლობის შემოქმედებით მუშაობაში ერთადერთ სახელმძღვანელო მეთოდად.

მიუხედავად ზოგიერთი მიღწევისა მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკა ჯერ კიდევ სუსტია, სათანადო დონეზე ვერ დგას; მარქსისტულ კრიტიკას ჯერ არც ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუმუშავებია და არც პროლეტარული მწერლობა განუხილავს საფუძვლიანად, მარქსისტული კრიტიკა ვალდებულია მწერლობის მოწინავე რაზმი გახდეს. უახლეს ხანში მარქსისტული კრიტიკის დაკვრითი ამოცანაა, სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა გამოუცხადოს იდეალიზმის მოციქულებს, გელერტერებს, რეაქციონერ მეთოდოლოგებს, ეკლექტიკოსებს და მარქსიზმის გამყალბებლებს. გამომჟღავნებული უნდა იქნას კოტეტიშვილის, კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, მიხ. ზანდუკელის, ს. დევდარიანის, კ. კაპანელის, ს. დანელიას, ვ. ხუროძის და სხვ. „თეორიების“ რეაქციონური, მავნებლური რაობა. ხსენებული „თეორიები“ უნდა განიდევნონ ჩვენი დაბალი და უმაღლესი სასწავლებლებიდან, და საერთოდ ლიტერატურათმეტყველების დარგში უნდა აღიკვეთოს მათი თავისუფალი ფარფაში. პროლეტარულმა მწერლობამ დაიწყო ბრძოლა ამ რეაქციონერ „თეორეტიკოსებთან“ და კიდევაც გამარჯვებით დაასრულებს ამ ბრძოლას.

ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვითკრიტიკა ღრმად და ყოველმხრივ გაშლილია პროლეტარულ მწერალთა რიგებში. მეტი სიმკაცრით უნდა სწარმოებდეს ბრძოლა წვრილბურჟუაზიულ გადახრებთან, ჩამორჩენილობასთან, ოპორტუნიზმთან პრაქტიკასა და თეორიაში.

პრ. მწერ. ასოციაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა რეაქციონურ მწერლობის შესაზღუდავათ. ბოლშევიკური ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს იდეოლოგიურ მავნებლობასთან, რეაქციონურ მწერლობასთან გადამწყვეტი და სასტიკი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს. ამ ბრძოლაში პროლეტარულმა მწერლობამ კიდევ მეტად უნდა დაიახლოვოს თანამგზავრები და ხელი შეუწყოს მათ პროლეტარული მწერლობის მოკავშირედ გახდომას; საბჭოთა მწერლების გაერთიანებათა ფედერაცია ნამდვილად უნდა გახდეს თანამგზავრ მწერალთა გადამუშავების და განმტკიცების ფორმად.

ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“, პროლეტარულ მკითხველ მასასთან მჭიდრო კავშირით, შეხძლებს ყველა ამ ამოცანის გადაჭრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგი გუთხუზი

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

1 როცა ილვიძებს ქალაქი

„საცოდავია — ვინც ინდუსტრიალურ ეპოქაში წარმოებას ახლო არ იცნობს“ — ვთქვი ერთ დღეს (არ მახსოვს, მშვენიერი იყო ის დღე თუ უფერული, როგორც კლასიკოსები იტყოდენ წინად) და სახელოსნოში ამოვყავი თავი სამუშაოზე.

ერთხელ მეც ვცადო ცხოვრებაში ადრე საყვირზე გამოღვიძება. თვალებ დაგუდული, რომ მივარდები შარვალს ჩასაცმელად, ცალი ხელით წინდებს დაეძებ ლოგინქვეშ და ძილმიკლებული ტოტებს, რომ ვერ აგნებ შარვლისას, ბორძიკობ და ყანჩასავით ცალფეხაწეული დახტიხარ ტახტის წინ, სანამ შარვლის ტოტებს ორივე ფეხზე მოისადაგებ. წინდებს, ზოგჯერ, უკულმა ჩაიცვამ, ხალათს შებრუნებულად, ფაცურობ, იჩქარი, ნერვიულობ...

მეც ვნახო ქალაქის პირველი გამოღვიძება. სოფელში ხომ მამლის ყივილზე ვიღვიძებდი და ალიონს გზაში ვხვდებოდი სამუშაოზედ გასასვლელად მომზადებული იქ, ხომ ყველაფერი ზეპირად ვიცოდი, თუ რით იწყებოდა განთიადი, რა უწინ იღვიძებდა და ვინ სად ხვდებოდა მზის ამოსვლას. მაშ რატომ არ უნდა ვიცოდე ქალაქის გამოღვიძების შინაარსი.

უკვე, ცხრა წელიწადია ქალაქში ვცხოვრობ და სახელოსნოში სამუშაოდ გადასვლამდი, არ მენახა ახლად გაღვიძებული ქალაქი. არც ის ვიცოდი თუ რით იწყებოდა ქალაქში „მამლის ყივილი“ და რა იძლეოდა პირველ ნიშანს განთიადის მოახლოვებისას.

თქვენ გგონიათ საყვირი?

!ცდებით...

მეც ასე მეგონა აქამდის, ცოდვა გამომყლავნებული სჯობია. არ ვიცოდი და... სირცხვილი იმას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ახალგაზრდებს შორის კი კომკავშირელებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ უნახავთ ქალაქის პირველი გამოღვიძება და ამის გამხელა სირცხვილად მიაჩნიათ.

მონდომება თორემ ამაზე ადვილი რა არის.

... რა ხანია საყვირებმა დაიგუგუნეს.

სახელოსნოსკენ გარბიან გამურულ სპეცტანსაცმელში გამოწყობილი მუშები.

ჩქარობენ, ნერვიულობენ იგინებიან...

იგინებიან და საქმის თადარიგს იჭერენ.

— გასაღები რა უყავ?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აუშვით მანქანა!..

— ქურაში ცეცხლი...

— დაიგვიანა? უ, მაგის... ჩასწერეთ ქითაბში და ხელფასიდან გამოუქვითეთ. გარდა ამისა შტაბს სათანადო ცნობა გაუგზავნეთ.

— ვინ მიატოვა დაზგა ასე უწესრიგოდ? Болван! — ირევა ხმები ერთმანეთში და ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში, იმ დროს, როცა ირგვლივ სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა არის გამოცხადებული, ყველა ერიდება თუ გინდ სამართლიან საყვედურის დამსახურებასაც.

ერიდება და...

გუზგუზებს ცეცხლი საამქროში.

აგურებ-შუა ნაპრალებში ენებად იკლაკნება ელვარე ალი და სათვალებმომარჯვებული ოსტატები იძლევიან საქმიან განკარგულებას.

პურის ცომივით ზელენ და აგუნდავებენ უდრეკ შანთებს და დარჯაკებში ჩასხმულ ლითონის ღვარს, ნაირ ფორმასა და სახეს აძლევენ.

ორთქლმავლებს სქედენ აქ ოსტატები, ვაგონებს აცოცხლებენ, სასაფლაოდან სახელოსნოში შემოაქვთ, უვლიან არემონტებენ და სრულიად აახლებენ.

ოფლი, ღვართქაფად ჩამოსდის ოსტატებს სახეზე, მაგრამ აქ, თითქო დალალვაც არ იციან.

დგანან სპილოებივით დაზგების ირგვლივ და თითისტარივით ატრიალებენ ხელში ფუთიან ურიებს.

ურიებს, რომლითაც ერთის დაკვრით ლავაშივით აბრტყელებენ მაჯის სიმსხო ფოლადის ნაჭრებს.

სამი საათი გავიდა, რაც ქურა აანთეს და მუხლის მოკეცა აზრად არავის მოსვლია, თუთუნის მოწევა არავის განუზრახავს. უსაქმოდ ლაყბობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

გუზგუზებს ქურა და ოფლის ნაკადი ჟინჟლავს მკლავებ მაგარ ოსტატებს. გუზგუზებს ქურა და გამურულ სახეებზე ფოსფორივით ბზინავს ოფლის წვეთები.

ღვედები შიშინით მისრიალებენ ტრანსმისებზე და არაზრაზებული სახარატო დაზგები მადიანად ღეჭავენ და თლიან ლითონის ნაჭრებს.

ელვარებს ჩამომსხმელი საამქრო.

ჩამომსხმელმა საამქრომ გაიმარჯვა წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მუშა-ახალგაზრდობა სჭარბობდა ამ საამქროში, მათ შორის დამკვრელი კომკავშირელები.

დაზგასთან მდგომი კომკავშირელები.

კომკავშირელები და საერთოდ ახალგაზრდა უპარტიო დამკვრელები, დილის პირველ საყვირზე, რომ წამოვარდებიან ლოგინიდან და მორიგ საყვირზე უკვე დაზგებთან, რომ არიან ჩამწკრივებულნი, ხელში ჩაჭუჩმომარჯვებულნი, ან ქლიბითა და ზუბილით შეიარაღებულნი, შეიარაღებულნი საწარმოოო ცოდნითა და გამოცდილებით.

ხუმრობა როდია შეჯიბრება დაუღალავ მებრძოლთა რიგებში. შეჯიბრება და ბრძოლა საუკეთესო დამკვრელობისათვის. მშენებლობისა და წარმოება-მრეწველობაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ტემპებისათვის.

— „ბრძოლა აქ რა შუაშია“? — მეკითხებიან და მე ვუპასუხებ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბრძოლაა, დაზგასთან დგომა და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომუშავება, ნაკლები დროს დახარჯვითა და საქონლის თვითღირებულების შემცირებით. ბრძოლაა, საამქროების შორის დადებულ ხელშეკრულებათა ცხოვრებაში გატარების პროცესი, სახელოსნოებში შორეულ წარსულიდან განმტკიცებულ მავნე ტრადიციების აღმოფხვრა, გადახალისება, ახალი კადრების ახალ საწარმოო პრინციპზე, სოციალისტურ პრინციპებზე აღზრდა, ტექნიკის განვითარებისა და გადაკეთებისათვის ხელის შეწყობა.

ბრძოლაა, მა რა ოხრობაა, სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი შეგნებით მშენებლობის სადარაჯოზე ფხიზელი დგომა.

ბრძოლაა, დიახ ბრძოლა, ეს ყველაფერი და ამ ბრძოლებში, პარტიასთან ერთად ხომ კომკავშირიც იმთავიდანვე მოწინავეთა რიგებში იდგა.

ყოყოჩობა როდი იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩამომსხმელი საამქროს შეჯიბრებაში გამარჯვება, კომკავშირულ ენტუზიაზმიდან გამომდინარეობდა.

სახელოსნოში ბევრს ლაპარაკობენ კომკავშირის როლზე, კომკავშირის უჯრედზე, უჯრედის აქტიურობაზე.

მაგრამ.

ლაპარაკობენ სხვადასხვა ჩავარდნებზე, ნაკლოვანებაზე, ზოგიერთ კომკავშირელის უმსგავსო საქციელზედაც კი.

2 საოცარი ცვლილება

— ვიძლევით, 72 ორთქლმავალს კაპიტალურ რემონტიდან! აღუთქვეს სახელოსნოს მუშებმა პარტიის ყრილობას და სახელოსნოს შიგნით გაჩაღდა შეჯიბრება გეგმის შესრულებისათვის. ბრიგადა — ბრიგადას ეჯიბრება, საამქრო — საამქროს, სახელოსნო — ბაქოს სახელოსნოს.

მუშებმაც შეკრეს ხელშეკრულებები ურთიერთ შორის.

ჩამომსხმელ საამქროში (კომკავშირულ საამქროდ ითვლება) მიტრო — კომბალას ეჯიბრება, კომბალა — გიგოს, გიგო სხვებს და ასე გადაიჯაჭვა დამკვრელებისა და სოციალისტური შეჯიბრების ცალკე რგოლები ერთმანეთში.

ბუთხუზიც ერთერთი დამკვრელია, შეჯიბრებაში მონაწილე.

ბუთხუზი ძველი კომკავშირელია. კომკავშირის უჯრედის ყოფილი ხელმძღვანელი სახელოსნოში. ყველა კარგად იცნობს ბუთხუზს, შეხვედრისას მას უთუოდ მიესალმებიან. წინად ღიმილითაც კი ხვდებოდენ ბორია ბუთხუზს, მის აქტივობაზე მუშები ხშირად საუბრობენ თავიანთ შორის, დღეს — მიტროა უჯრედის ხელმძღვანელი, აქტიური კომკავშირელი; კომბალა — ბიუროს წევრია და საუკეთესო დამკვრელი, გიგო, ქიტო და სხვები.

საამქრო კომკავშირულია. მიტრო ხელმძღვანელობს ჩამომსხმელი საამქროს დამკვრელობას, ბრიგადების მუშაობას, ამიტომ მიტრო მუდმივ მოძრაობაშია, საქმიანობაში გართული:

უჯრედში, სახელოსნოში, რაიკომში, საწარმოო თათბირზე, ეკონომთათბირზე, სად გინდათ, რომ მიტრო არ ნახოთ საწარმოო-საფინანსო გეგმით, ციფრებით, კვარტალურ მიღწევებსა თუ გარღვევებზე, მასალებით ხელში.

არც დაზგას ღალატობს მიტრო და თუ გასულ წელს ბორია ბუთხუზმა პირველობა ირგო შეჯიბრებაში, წელს მიტრომ და კომბალამ გაიყვეს პირველობა ჩამომსხმელ საამქროში.

ბუთხუზი კი...

— იცი გაიოზ?! — მომახედა, ერთხელ, სახელოსნოს ზედამხედველმა, ხელი მხარზე დამკრა და თითი ბორიასაკენ გაიშვირა — ბორია აქტიური კომკავშირელი იყო, ჭკვიანი, ენერგიული. რაც სახელოსნოში გავიცანი დაღალვა არ იცოდა. საამქროში კი არა სახელოსნოში ბადალი არ ყავდა, მოწინავეთ ითვლებოდა.

ყველას უყვარდა ბუთხუზი, ყველა ღიმილით ჩაუვლიდა მას შეხვედრისას. — ახლა კი... ზედამხედველმა თავი წყენით გაიქნია — აბა, თვითონ დააკვირდი და დარწმუნდები თუ რარიგ საოცრად გამოიცვალა მას შემდეგ ბუთხუზი. — ზედამხედველმა მსუბუქ ოხვრას ამოაყოლა ჭაღარა ბოლშევიკის გულში ბორიას საქციელის გამო დაგუბებული სევდა და კეხიან ცხვირზე სათვალეები მოისადაგა.

— ვინ გავგზავნოთ საწარმოო თათბირზე? — განაგრძობდა ისევ ზედამხედველი და გაქონილ უბის წიგნაკში რაღაცას ეძებდა, ფანქრით ჩაჯღაბნილს თავდაბოლოს ვერ ართმევდა და შეუმჩნეველად ნერვიულობდა.

— ჰო, იმას ვამბობდი. „ვინ გავგზავნოთ საწარმოო თათბირზე", — დაისმებოდა თუ არა წინად საკითხი. — „ბორია ბუთხუზი", იყო პასუხი ერთხმად.

— ვინ გავიყვანოთ კომკავშირიდან რაიკომის წევრად?

— „ბორია ბუთხუზი"!

— ვინ ავირჩიოთ ქალაქის საბჭოში? —

— „ბუთხუზი"!

— ბუთხუზი, ბუთხუზი და ბუთხუზი! ერთხმად ისმოდა ყოველთვის უჯრედისა თუ ქარხკომის კრებებზე.

დღეს კი აბა თვითონ დაუკვირდი, კარგად დაუკვირდი და დაინახავ თუ რარიგად შეიძლება გამოიცვალოს ადამიანი, რომელზედაც ასეთი დიდი წარმოდგენისა ხარ.

ზედამხედველმა ჩამომსხმელ საამქროსკენ დაიჭირა მიმართულება, ისე რომ ბუთხუზი გონებიდან არ ამოუგდია.

საამქროს ზედამხედველი, კატორღელი სტეფანე, დიდი გულშემატკივრობით დატრიალებდა თავზე სახელოსნოს, კომკავშირის უჯრედს, ყოველ კრებაზე ესწრებოდა, ყოველგვარ საკითხების განხილვაში მონაწილეობას იღებდა.

სტეფანე, ჯერ ერთი რომ, კომუჯრედიდან იყო კომკავშირზე მიმაგრებული და ისე — თვითონაც ძალზე აინტერესებდა მომავალი თაობის აღზრდისა და გამობრძმედის საკითხი.

სტეფანე დიდი ხალისით ლაპარაკობდა ყოველთვის კომკავშირის უჯრედზე, უჯრედის აქტივზე, აქტიურ კომკავშირლებზე. სტეფანე აქებდა და ახალისებდა ყველა მუყაითობაში შემჩნეულ ენტუზიასტებს, აქებდა და სათითაოდ ყველას მოუთხრობდა რომელიმე ენტუზიასტის სამაგალითო საქმიანობას, მაგრამ ვაი, იმას კატორღელი სტეფანე, ვისაც გულგრილობისა და რაიმე დანაშაულისათვის თავს დაესხმოდა, როცა ვინმეს ნიშანში ამოიღებდა და არაკომკავშირულ საქციელზე მიახელებდა.

„ბუთხუზი, ბუთხუზი" გაურკვევლად ბუტბუტობდა დღეს კატორღელი სტეფანე და ჩამომსხმელ საამქროში მისული, ბორიას უგულოდ ათვალიერებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ენა როგორ მომიბრუნდება ვინმეს აუგისთვის, მით უმეტეს ბუთხუზის. — ენა როგორ მომიბრუნდება ბუთხუზის სასაყვედუროდ, მაგრამ სხვა გზა რომ არ არის? გაფუჭდა, გამოიცვალა. გამოიცვალა მეთქი, თორემ ვინ პირშავი ხმას ამოვიღებდი, ბორიას საწინააღმდეგოთ კრინტს დავძრავდი, ორ კაცში გავამხელდი, სააშკარაოზე გამოვიყვანდი.

მაგრამ გადაგვარების გზას რომ დაადგა? ბორია ბუთხუზი, სახელოსნოს რჩეული კომკავშირელი და გადაგვარების გზაზე შემდგარი? რამდენი არ შევეცადეთ, რა ზომები არ მივიღეთ მის გამოსწორებისათვის რამდენი — მაგრამ ეჰ! — დღემდის ვერაფერი ვუშველეთ და სანამ სულ მთლად გადაგვარდებოდეს და ჭაობში დაგორდებოდეს ჩვენი ვალია უკანასკნელად კიდევ შევუძახოთ თუ გინდ საჯაროთ, შევუძახოთ და შევაჩეროთ მოლიპულ გზაზე დაქანებული.

ასეთ ფიქრებში აღამებდა კატორღელი სტეფანე ამ ბოლო ხანებში. სწორედ იმ დროს, როცა ბორია ბუთხუზი იჯდა დაზგასთან ჩაფიქრებული და კვიმატ აზრებს ეთამაშებოდა.

ბორიას ირგვლივ დამკვრელობასა და შეჯიბრებაზეა ლაპარაკი, ყველგან მუშაობის სისტემის გარდაქმნასა და გადახალისებაზე ფიქრობენ, გეგმებს აგენენ, ფაცურობენ... ლაპარაკობენ: კომკავშირის როლზე, შეჯიბრების წარმატებით გაშლის საქმეში, სამრეწველო საფინანსო გეგმის შესრულებაზე, ხუთწლედის ოთხ წელში გატარებაზე და ბორია ბუთხუზი, სწორედ ის ბუთხუზი, ნაცადი და ნაწრთობი კომკავშირელი, როგორც ეს აქამდის მიაჩნდათ სახელოსნოში, აქტიური მუშაკი (მაგრამ არა: ყოფილი აქტიური მუშაკი დიახ, ყოფილი, რადგან მისი ნამოქმედარი უკვე წარსულშია. გუშინდელი და გუშინწინდელი ამბავია და სხვა არაფერი) ჰო, ყოფილი აქტიური და დაუღალავი მუშაკი, ზის ფოლადის ზოდზე და ოდნავ წელში მოხრილი დაფხორილ ნიბლიასავით გამოიყურება. ჯან-ღონით სავსე გულმკერდი, დამორგვებული მკლავის კუნთები ამოძრავებას მოითხოვენ, საოფლე პარკუჭანები გადნობასა და გადმოღვრას ლამობენ, მაგრამ ბუთხუზი როდი ფიქრობს მოძრაობასა და მუშაობაზე?!

დაზგები გრიალებენ მის გარშემო.

შეგირდები ოსტატებს ეჯიბრებიან ხელმარდობასა და გამძლეობაში.

ყველას რალაც აინტერესებს, მოძრაობს, ეჯიბრება. ეჯიბრება და შეჯიბრების შედეგით ხარობს და სხვასაც ახარებს.

— აბა, რა საჭირო იყო სოციალისტური შეჯიბრების გამოცხადება სახელოსნოში, საამქროში, ცალკე ბრიგადებს შორის და თვით ცალკეულ მუშებს შორისაც.

შეჯიბრება ხომ მუშების საერთო სურვილი იყო, სახელოსნოს მუშების ერთსულოვანი მოთხოვნილება. — ბორიაც, ხომ პირველი იყო თავდაპირველად შეჯიბრებაში პირველი ცალკეულ ამხანაგებს შორის.

ბორიას გასულ წელს პირველობა ხვდა შეჯიბრებაში. პირველობა ხვდა და... (ეს იყო მისი უკანასკნელი ამოძრავება) მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეხუთე ჯილდო აიღო, ხოლო უკანასკნელ კვარტალში კი...

— ვნახოთ!..

ბორია გრძნობს თავის უკან დაქანებას, ჩამორჩენას, ერთ წერტილზე გაყინვას, გრძნობს სახიფათო ცვლილებებს პირად ცხოვრებაში. საზოგადოებრივ საქმიანობაში, გრძნობს, რომ მისი გუშინდელი შეგირდები ფეხდაფეხ მისდევენ

ოსტატებს და ხშირად სჯობნიან კიდეც. სჯობნიან პარტიულ სამუშაოშიაც, სჯობნიან და წინ უსწრებენ, მაგრამ... „არაფრის ხალისი არ მაქვს, წადი თქვენი...“ ასე წამოიძახებს ხანდახან ბორია და სახეშეჭმუხვნილი ადგილს მოინაცვლებს ამხანაგებში, ერთ რომელიმე წერტილს ამოიჩემებს და გაშტერებული დიდხანს უცქერის სანამ მზერით მოიქანცებოდეს. — თვალები ეტკინებოდეს.

ხანდახან კრებასაც მიატოვებს ბორია, თათბირიდან გარბის, სხდომიდან ჩუმად მიიპარება.

უბრალო რამეზე აიტკიცება, გაწყრება, გაიბუტება და ასე დაბორიალობს სამუშაოზე, ან კიდევ გარბის შინისაკენ და განმარტოებული და ფიქრებში გართული ეძლევა ერთგვარ მოსვენებას.

— ისევ ლურჯი ხალათი?! — დაცინვის კილოთი შემოეგებება გაბოროტებულ ბორიას ფრჩხილებდაპრიალებული ცოლი ქეთო და ბუთხუზის სპეციალისტამოსში დანახვაზე ცხვირაწევით წამოიძახებს:

— ჩერდაკზე გაიტანე! საზიზღარი სუნი აქვს!

ბორია კიდევ უფრო გაბოროტდება ცოლის ასეთ გესლიან დაკვირვებაზე, მაგრამ...

— აბა, სანამდის უნდა იყო ბორის, გენაცვალე, ასეთი ბელებდაფრუშნული. უმაღლესი ცოდნა მიგიღია, ამდენი გამოცდილება გაქვს და რა მოხდა, რომ შენს დაწინაურების საქმეს ბოლო არ უჩანს?“

— დამანებე თავი! — ბრაზობს ბუთხუზი და ცეცხლშემოკიდებულს, რომ ის სვერლოვდამთავრებული ბუთხუზი, ბუთხუზი ინტელიგენტი დღეს, რომ უფრო ნაკლებ ყურადღებას იქცევს მუშებს შორის ვინემ წინად, გული ეკუმშება.

— წინად მუშები და ამხანაგები ღიმილით მხვდებოდენ და ღიმილითვე მაცილებდენ — ფიქრობს ბორია.

დღეს კი, ზის ბორია დაღვრემილი და წარბდაშვებული და აინუნშიც არ იგდებს, რომ მის გარშემო დაზგები გრაგანებენ.

ბორია ზის ფიქრებში გადაკარგული.

— მარტო ოცნება არ კმარა ბორის! მუშაობა გვმართებს, შეჯიბრება ხომ არ დაგავიწყდა? — ესმის ბორიას ამხანაგების საყვედურები.

— რომელი შეჯიბრება? — ცინიკურად კითხულობს ბუთხუზი — შეჯიბრება, რომელმაც ფიზიკურად უნდა გაგვანადგუროს?!

— საოცარია! როგორ თუ გაგვანადგუროს? — მოისრისა მიტრომ თვალები და ამხანაგებს გადახედა, თუმცა პირველად არ ესმოდა ბორიასაგან მსგავსი ანტიპარტიული დასკვნები სოციალისტურ შეჯიბრებასა და შრომის სხვა ახალ საბჭოთა სისტემაზე, მაგრამ მაინც უკვირდა ბუთხუზის ასეთი უკიდურესი ოპორტუნისტობა.

— აბა, რა აზრი აქვს ამ შეჯიბრებას... წელში გავწყდებით და ის არის — განაცხადა ბუთხუზმა.

— მუშათა ერთსულოვანი მოთხოვნილება? სახელოსნოს დადგენილება?

— დადგენილება... ვიცით ეს დადგენილება... — ბორიამ ხელი ჩაიქნია. ადგილი მოინაცვლა და თავჩაქინდრული ისევ ფიქრებს მიეცა.

— გადაგვარდა, ბუთხუზი სავსებით გადაგვარდა. — დაიწყო კომბალამ.

— სამწუხაროა, რომ აქტიური მომუშავე დღეს ასეთ ოპორტუნისტულ ჭაობში ჩაეფლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის ამხანაგებო, — ჩაერია მიტრო საუბარში. — მე პიონერი ვიყავი, ბორია რომ სახელოსნოში მოვიდა სამუშაოდ. ის იმთავიდანვე ახირებული მომუშავე იყო, მაგრამ ენა ქონდა გრძელი, ლაპარაკი იცოდა და ფონს ყოველოვის გადიოდა, ხანდახან აქტიურობდა სინამდვილეშიაც, მაგრამ მეტ-ნაწილად ყალთაბანდობითა და სიტყვახვავრიელობით გადიოდა.

— მართალია, ბუთხუზი ყოველთვის დიდი ტრეპაჩი იყო — დაემოწმა მიტროს კომბალა — ენა ქონდა დალესილი, თორემ პრაქტიკულ საქმიანობაში თავი არაოდეს უსახელებია. ისე რატომღაც ყველას ეჩვენებოდა, რომ ის ენერგიული მომუშავე იყო და ჭკვიანი კომკავშირელი. ჭალარა სტეფანეს დღესაც არ სჯერა, რომ ბორია ბუთხუზი გადაგვარებიხ გზაზეა შემდგარი.

— ბარემაც სჯერა მაგრამ...

— რა?..

— სტეფანეს აღზრდილია და ენანება რომ ვერ გაამართლა მისი იმედები.

— როგორ თუ აღზრდილი?! შვილობილია?!.

— არა, როცა ბორია სოფლიდან ჩამოვიდა და სახელოსნოში დაიწყო მუშაობა მაშინ ჭალარა სტეფანე ხელმძღვანელობდა კომკავშირის უჯრედს.

სტეფანე გაეცნო ბორიას კრებებზე, მისი აქტიურობა თვალში მოხვდა და აქედან დაიწყო ბორიას თანდათანობითი დაწინაურებაც, მისი ხელმძღვანელ ორგანოებში არჩევა.

— ბორია სოფლელია? — გაკვირვებით იკითხა გიგომ — სოფლელს რომ არ გავს?

— სოფლელია. შეძლებული გლეხის შვილი. საშუალო ცოდნა სოფელში მიუღია, მამის ოჯახში და მამისავე კმაყოფაზე. ტეხნიკუმში ყოფნისას კომკავშირში შესულა და როცა აქ ჩამოვიდა, ვგონებ 1922 წელი იყო; პირდაპირ ჩამომსხმელ საამქროში დაიწყო მუშაობა. ერთი წლის შემდეგ ის უკვე უჯრედის მდივანი იყო, შემდეგ რაიკომის წევრადაც აირჩიეს, ცაკის და ასე წავიდა და წავიდა წინ, ბუთხუზი...

აგუგუნდა საყვირი.

არაზრაზდა დაზგები. აშიშინდა ღვედები და საამქრო ისევ გამოცოცხლდა.

დიზელები გრაგანებენ.

ღუმელში მოდის ელვარე ლითონის ღვარი და დარჯაკებში ჩასხმული ნაირ ფორმასა და სახეს ღებულობს.

ბორია ზის თავჩაქინდრული და ფეხით დარჯაკს აქანებს. ლითონის ჟღარუნით ერთობა.

მიტრო, გიგო და კომბალა სხვებთან ერთად, თან დაზგებს ხელმძღვანელობენ თანაც ბორიას საქციელით ბრაზზე მოდიან.

— ძველი კომკავშირელი — პარტიული მუშაკი და ასეთი თაღლითი?

— ვინ არი ძველი კომკავშირელი? — აიტკიცა კომბალა.

— არა ეგ სადაო არ არი კომბალ! ბუთხუზი ძველი კომკავშირელია!

— საიდან არი ძველი? — არ იშლიდა კომბალა.

— ერთი შენც — წამოეშველა მიტროს ახალგაზრდა ოსტატი სარდიონი — ქრიტე რო იუნკრად იყო ბორია მაშინ გახდა კომკავშირელი და შენ იძახი ძველი არ არიო. აბა, დათვალე რამდენი წლის სტაჟი ქონია...

ყველას გაეცინა სარდიონის მოხდენილ განმარტებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიტყვა წამართვით, თქვე ოხრებო, — დაიწყო ისევ მიტრომ.

— რაო? რამდენი წლის სტაჟიო? — წამოიძახა ბორიამ და დაზგასთან დადგა.

— სტაჟში არავინ გედავება, ბორის!

— მაშ?

— კომუნისტობაში გედავებიან, ბოლშევიკობაში!

— ვინ, თქვენისთანა „გამობრძმედილები" თუ — აიტაცა ბორია ასეთ შენიშვნაზე და შემთხვევთ ხელში მომარჯვებული ჩაქუჩი ისე მაგრად დაკრა ამოძრავებულ დინამოს ღვედზე, რომ ღვედი საგრძნობლად დაიჭეჭა და დაზიანდა.

ბორია უცებ მოტრიალდა, ღვედს დააკვირდა და მეტის-მეტი უხერხულობა იგრძნო ასეთი საქციელის გამო.

— ღვედმა რა დაგიშავა, შე ოხერო?! — არ დატოვა კომბალამ უშენიშვნოთ ბუთხუზის საქციელი. სხვებმაც წყენით გადახედეს ბუთხუზს.

— გასარიცხავი ხარ პარტიიდან და სხვა არაფერი — დაასკვნა მიტრომ — აბა, დაზგებთან ბიჭებო! — მიმართა მანვე მუშებს, რომელნიც ბორიასთან შელაპარაკების დროს ოდნავ მოშორდენ თავიანთ დაზგებს.

დღე დღეს მისდევს და ბორიას გულგრილობა აღშფოთებას იწვევს ამხანაგებში.

დალონებული დგას ბორია დაზგასთან. ლითონის ელვარე ღვარს შეჭმუხვნილი თვალით უცქერის. როგორ მოახერხოს, თორემ საამქროდან გაპარვას არაფერი ურჩევნია.

— გამოვრიცხოთ ჩვენი ბრიგადიდან!

— საკონტროლო კომისიას გადავცეთ საქმე! — მოითხოვენ ერთსულოვნად ბრიგადის წევრები.

— ასეთი ტემპით უთუოდ დავმარცხდებით. — ადასტურებს ბრიგადის უფროსიც. — ამიტომ, ბოლოს, რომ გაუგებრობას არ ქონდეს ადგილი, საჭიროა ბუთხუზის ან გარიცხვა ბრიგადის შემადგენლობიდან ან მისი გამოსწორება.

— პარტიიდანაც გასარიცხავია... ასეთი მცონარები, არც პარტიას ესაჭიროება და არც წარმოებას.

ბუთხუზი უგულოდ უსმენს მუშათა შენიშვნებს და აღელვებული თავისთავს ეკითხება — ნუთუ მე გამრიცხავენ პარტიიდან და სამუშაოდან მომხსნიან ისინი, ვისაც მე ვასწავლე წერაკითხვა და პოლიტანბანა? ნუთუ მე იმდენად მოვწყდი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, პარტიის ხაზს, წარმოების ინტერესებს, და გეგმებს, რომ ბრიგადიდან გაგდებითაც მემუქრებიან? — ნუთუ...

— ამხანაგო მიტრო! თათბირზე გთხოვენ დირექტორის კაბინეთში. — შემოიძახა საამქროში კანტორის შიკრიკმა და გზა განაგრძო შემდეგ საამქროსაკენ. მიტრო შეყოყმანდა. ასეთ გახურებულ მუშაობის დროს დაზგის მიტოვება დაენანა, მაგრამ თათბირზე წაუსვლელობაც ხომ შეუძლებელი იყო.

— არა, რატომ საღამოობით არ მოიწვევს ეს ჩვენი დირექტორი სხდომებსა და თათბირებს! ეს შეუძლებელია.

— საღამოობით როდი სცალია, ჩემო მიტრო!

— როგორ თუ არ სცალია, უნდა მოიცალოს!

— საღამოობით ლექციებს კითხულობს ინსტიტუტში და აქ მოსასვლელად, როგორ მოიცლის? განმარტეს ზოგიერთებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიტყვა წამართვით, თქვე ოხრებო, — დაიწყო ისევ მიტრომ.

— რაო? რამდენი წლის სტაჟი? — წამოიძახა ბორიამ და დაზგასთან დადგა.

— სტაჟში არავინ გედავება, ბორის!

— მაშ?

— კომუნისტობაში გედავებიან, ბოლშევიკობაში!

— ვინ, თქვენისთანა „გამობრძმედილები" თუ — აიტკიცა ბორია ასეთ შენიშვნაზე და შემთხვევთ ხელში მომარჯვებული ჩაქუჩი ისე მაგრად დაკრა ამოძრავებულ დინამოს ღვედზე, რომ ღვედი საგრძნობლად დაიკეცა და დაზიანდა.

ბორია უცებ მოტრიალდა, ღვედს დააკვირდა და მეტის-მეტი უხერხულობა იგრძნო ასეთი საქციელის გამო.

— ღვედმა რა დაგიშავა, შე ოხერო?! — არ დატოვა კომბალამ უშენიშვნოთ ბუთხუზის საქციელი. სხვებმაც წყენით გადახედეს ბუთხუზს.

— გასარიცხავი ხარ პარტიიდან და სხვა არაფერი — დაასკვნა მიტრომ — აბა, დაზგებთან ბიჭებო! — მიმართა მანვე მუშებს, რომელნიც ბორიასთან შელაპარაკების დროს ოდნავ მოშორდენ თავიანთ დაზგებს.

დღე დღეს მისდევს და ბორიას გულგრილობა აღშფოთებას იწვევს ამხანაგებში.

დაღონებული დგას ბორია დაზგასთან. ლითონის ელვარე ღვარს შეჭმუხვნილი თვალით უცქერის. როგორ მოახერხოს, თორემ საამქროდან გაპარვას არაფერი ურჩევნია.

— გამოვრიცხოთ ჩვენი ბრიგადიდან!

— საკონტროლო კომისიას გადავცეთ საქმე! — მოითხოვენ ერთსულოვნად ბრიგადის წევრები.

— ასეთი ტემპით უთუოდ დავმარცხდებით. — ადასტურებს ბრიგადის უფროსიც. — ამიტომ, ბოლოს, რომ გაუგებრობას არ ქონდეს ადგილი, საჭიროა ბუთხუზის ან გარიცხვა ბრიგადის შემადგენლობიდან ან მისი გამოსწორება.

— პარტიიდანაც გასარიცხავია... ასეთი მცონარები, არც პარტიას ესაჭიროება და არც წარმოებას.

ბუთხუზი უგულოდ უსმენს მუშათა შენიშვნებს და აღელვებული თავისთავს ეკითხება — ნუთუ მე გამრიცხავენ პარტიიდან და სამუშაოდან მომხსნიან ისინი, ვისაც მე ვასწავლე წერაკითხვა და პოლიტანბანა? ნუთუ მე იმდენად მოვწყდი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, პარტიის ხაზს, წარმოების ინტერესებს, და გეგმებს, რომ ბრიგადიდან გაგდებითაც მემუქრებიან? — ნუთუ...

— ამხანაგო მიტრო! თათბირზე გთხოვენ დირექტორის კაბინეთში. — შემოიძახა საამქროში კანტორის შიკრიკმა და გზა განაგრძო შემდეგ საამქროსაკენ. მიტრო შეყოყმანდა. ასეთ გახურებულ მუშაობის დროს დაზგის მიტოვება დაენანა, მაგრამ თათბირზე წაუსვლელობაც ხომ შეუძლებელი იყო.

— არა, რატომ საღამოობით არ მოიწვევს ეს ჩვენი დირექტორი სხდომებსა და თათბირებს! ეს შეუძლებელია.

— საღამოობით როდი სცალია, ჩემო მიტრო!

— როგორ თუ არ სცალია, უნდა მოიცალოს!

— საღამოობით ლექციებს კითხულობს ინსტიტუტში და აქ მოსასვლელად, როგორ მოიცლის? განმარტეს ზოგიერთებმა.

— ეგ მე არ ვიცი თუ სად რას კითხულობს, მაგრამ დღისით რომ თათბირების და სხდომების მოწვევა მავნებელია წარმოებისათვის ეს ვგონებ ყველასთვის გასაგებია. დღესვე დავსამ საკითხს საწარმოო თათბირზე და ვნახოთ.

მიტრო ყოყმანით მოშორდა დაზგას და ფიხები უკან რჩებოდა ისე უგულოდ წაფრატუნდა მთავარ კანტორისაკენ.

— „აი აქტიური მუშაკი, — ფიქრობდა თავისთვის ბორია — „თათბირზე გთხოვენ“ — გააჯავრა მან კანტორის შიკრიკი და თავი მოძრაობაში მოიყვანა.

„ვაი, ჩემს ილბალს რომ“... — ბორია შურით აინთო და ბრაზიანი თვალებით რამდენჯერმე გადახედა მიტროს დაზგას — „არა, ჩემი გამოზრდილი ლაწირაკი და დახე „თათბირზე გთხოვენ“, უკვე „თქვენობით“ მიმართავენ.

ბორია ფიქრებს შეყვა და მუშაობა სულ დაავიწყდა. დღიური ნორმა მხედველობიდან გაუშვა. „საცაა კომბალასაც მოიკითხავენ თათბირებსა და სხდომებზე, ჩქარა გიგო საკითხავი კაცი გახდება, მოწინავე კომკავშირელი“.

დირექტორის კაბინეთში — კვარტალურ გეგმაზე მსჯელობენ და სახელოსნოს აქტივის მოთხოვნილებაზე: გაედიდებიათ კვარტალური გეგმა ორი ორთქლმავლის დამატებით გამოშვებით. ინჟენერ ბაზიარის წინააღმდეგობას სასტიკად უტევდენ და გეგმის უცვლელად დამტკიცებას მოითხოვდენ,

— ვერ შევძლებთ. ტყვილა ქაღალდზე დაგვრჩება. — დაკინებით ამტკიცებდა ბაზიარი და წინა კვარტალურ გეგმებსა და დიაგრამებს ხელში აშრიალებდა.

— შევძლებთ.

— შევასრულებთ — მოითხოვდენ მუშები, მათ შორის მიტროც.

— მიტროსაგან მიკვირს თორემ — შენიშნა ბაზიარმა — შენ, რომ ზოგიერთი „კარგი დამკვრელები“ გყავს ბრიგადაში, იმათ შემხედვარე აბა, როგორ ვერ შესძლებთ?! — გადაუკრა ბაზიარმა ბორია ბუთხუზზე, რაიცა ყველასათვის გასაგები შეიქნა.

მიტრო გაწითლდა.

ბაზიარის გესლიან შენიშვნაზე ვერაფერი მოისაზრა სახელდახელოდ.

„მართლაც და ვაიდამკვრელია ბუთხუზი ამ ბოლო ხანებში“ — დაასკვნა გულში მიტრომ და სიტყვა განაგრძო.

— არა, ჩვენ მაინც შევძლებთ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, განა ცოტა გვყავს ოპორტუნისტები და ყალთაბანდები. განა ცოტა გვყავდა და გვყავს ხელისშემშლელნი, ჩვენ ხომ მაინც, წინ მივიწევთ, ჩვენ ხომ გეგმას-გეგმაზე ვასრულებთ, ხუთწლედს ოთხწლედში ვიძლევით.

— კარგი, დავამტკიცოთ, მაგრამ... — დათანხმდა ხანგრძლივი წინააღმდეგობისა და ყოყმანის შემდეგ ბაზიარი — დავამტკიცოთ, მაგრამ თქვენ იქნებით პასუხისმგებელი მისი განაღდებისათვის.

ბაზიარმა ისევ მოიგონა ბორია ბუთხუზი და სხვა გულგრილი დამკვრელები, პარტიული ოპორტუნისტები.

— არამც თუ მე... თქვენი პარტიის ზოგიერთ წევრებსაც არ სჯერათ ამ გეგმის შესრულება, მისი ასი პროცენტით განაღდება.

„არ სჯერა, არ სჯერა, მაგრამ დავაჯერებთ. დავაჯერებთ და ვასწავლით ჭკუას, თუ როგორი უნდა იყოს ყოველი პარტიის წევრი და კომკავშირელი წარმოებაში, საამქროში, დაზგის გარშემო“. — ფიქრობდა მიტრო. უკვე საღამო იყო, როცა დირექტორის კაბინეთში თათბირს მორჩენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელოსნოში დარაჯების მეტი არავინ მოჩანდა. უწესრიგოდ ეყარა მთებივით დაყუდებული უტილრკინეული, რომელიც მზისა და ცისქვეშ უპატრონოდ დაყრილი, გულშემატკივარს მოითხოვდა და დაუყონებლივ გადადნობას.

მიტრო დააკვირდა რკინისა და ფოლადის უამრავ წანაჭრებს, ორთქლმავლების უზარმაზარ ქვაბებს, საორთქლე მილებს, ასაწევ ონკანებსა და სხვა ნამტვრევებს, დააკვირდა სახარატო საამქროს გვერდით შეზვინულ ლითონის ნათალებს და — „უთუოდ უნდა დაისვას ნამტვრევების გადადნობისა და მისი ლითონად გამოყენების საკითხი“ — ჩაიბეჭდა მან მეხსიერებაში.

3 მოლიკულ გზაზე

შემოდგომის ნისლიან დღეებად ეჩვენებოდა ბორიას მისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი. მუდამ ამრეზილი, ფრთამოტეხილ ყორანივით დაფარფატობდა. ყველას და ყველაფერს იქვის თვალით უყურებდა, ხელის ჩაქნევით ჩაუვლიდა გიგანტურ მშენებლობას და თუ ვინმე შეესიტყვებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხასიათის საკითხებზე მელანქოლიურად უპასუხებდა.

— ეჰ! დაიცათ, ვნახოთ! ერთი წელიც და თვითონვე დარწმუნდებით. — მხოლოდ თუ რაში უნდა დავრწმუნებულიყავით ამაზე არაფერს ამბობდა ბუთხუზი და რომ შეკითხებოდით გარკვევით ვერაფერს გიპასუხებდათ.

უგულოდ მიდიოდა ბუთხუზი სახელოსნოში.

კიდევ უფრო უგულოდ და დანესტიანებული სახით ბრუნდებოდა უკან საყვირის შემდეგ.

— რისთვის დავფართხალებ, რისთვის? ჩემი აღმავალი ხაზი ხომ გადატყდა, ჩემი წინსვლის ორთქლმავალი ხომ დაზიანდა. ახლა ვზივარ სახელოსნოში და...

— ბორიას ორთქლმავლის ხსენებაზე, სარემონტო ორთქლმავლები მოაგონდა — ვაზივარ და ორთქლმავლებს ვარემონტებ. ყველაფერი დასრულდა: ოჯახში, ცივი და სულშემხუთავი ჰაერი; ოჯახს გარედ კიდევ უარესი.

ბორია შედგა.

თვალწინ დუქნის აბრა წამოეჭიმა.

— ჩავიდე — გაიფიქრა მან უმალ და აბრას დააკვირდა, ცალი თვალით დუქანში მყოფნი ჩაათვალიერა, წრეს გადასული ხალხი შენიშნა და — სირცხვილია, ლოთობაც?!! გაივლო გულში მან დაუყენებლივ. — თუმცა ორი წელია სახელოსნოში ვმუშაობ საპასუხისმგებლო პოსტიდან დაზგასთან გაგზავნილი და... და ერთხელაც არის აზრადაც არავის მოსვლია... — მაგრამ ეჰ! ასეთ დროს განა ვინმეს მოაგონდები?!

ბორია ნელი ნაბიჯით გაშორდა დუქანს. დუქნის ღრიანცელს ყური მოარიდა.

— რომ არც შინ მიმიხარია?!! წინად: სიცილითა და მხიარული კისკისით აივსებოდა ოჯახი, როცა სამსახურიდან შინ დავბრუნდებოდი... — არა, გადაჭრით ვამბობ შინ მისვლა მეჯავრება. აქით ამხანაგები ირიბად მიყურებენ, შინ კიდევ ცოლშვილი ცხვირჩამოშვებული... რა დავაშავე რა ისეთი რომ... — ბორიას გული ამოუჯდება ასეთ ფიქრებში და მზად არის ბავშვივით აღრიალდეს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც მოსტაცეს ტიკინები, მაგრამ ბორია და ცრემლები? ბორია, ოდესღაც მოწინავე კაცი, მოწინავე მებრძოლი, ძვალმაგარი და ცრემლები?!.

— ?!

ბორია ბინას უახლოვდება.

ის კიდევ უფრო ამოკლებს ნაბიჯებს, რომ რამდენიმე წუთით დაიგვიანოს შინმისვლა და ცოლის საყვედურები, თითქმის, ყოველდღე ერთნაირი და ერთდაიმავე სიტყვებით გამოთქმული, თავიდან აიცდინოს.

ბორიას აჯავრებს და ცხოვრებას აძულებს ეგ სიტყვები, აწმყოს აზიზღებს და მომავალზე ხელს აღებინებს ცოლის ასეთი გაუთავებელი საყვედურები, მაგრამ თავი რომ ვერ დაუხწევია ამ ჯოჯოხეთისათვის.

— დაბრუნდი? ისევ გასვრილი, მაზუთიანი, გათხუპნილი! ისევ შავი მუშა, ისევ... ისევ... ბოგანო და მდგომარეობის მონა - მორჩილი.

— ქეთო! ქეთო!.

— ხმა ჩაიკმიდე!

— ქეთო, ნუ თუ შენც აღარ გჯერა...

— მე კარგად მესმის და მჯერა, რომ უბედური ვარ. — ტოლმეგობრებში გამოწყვეტილი. ძალიან კარგად მესმის, რომ სრულიად წინდაუხედავად მოვიქეცი, როცა ვიღაც ქარხნის მუშას ცოლად გამოგყევი და ამ „გმირობისათვის" მშობლები მოვიმდურე. ახლა თვალწინ მიდგას მამაჩემის სიტყვები შენთან „გაბედნიერების" მეორე დღესვე, რომ მიწინასწარმეტყველა: „დღეს შეიძლება დიდი კაცია ეგ შენი ქმარი, მაგრამ ჩქარა ისე დაახეთქებენ მიწაზე, რომ არამც თუ ავტო, მამამისის ურემიც მოენატრებაო". აი, დღეს ვდგევარ სწორედ გატეხილ გობის წინ, და უკვე საკვლებით გამართლებულია მამაჩემის წინათგრძნობა. გავყოლოდი ცოლად უპარტიო ინჟენერს, ან ექიმს, ან სხვა სპეციალისტს, ის არ მერჩივნა?!.

— ქეთო თუ შენ კიდევ განაგრძობ ჩემს წამებას ასეთ გაუთავებელ საყვედურებით, გეფიცები, რომ... — ბორია აიმღვრა, სასოწარკვეთილი სახე მიიღო.

— იქით დამეკარგე! თუ ერთ კვირაში მანტო არ მექნება, მშვიდობით მე მივდივარ. — გამოიცვალა კილო ქეთომ და მანტოს ხსენებაზე სარკეს შეხედა.

— ქეთო არ გრცხვენია?!

— არც ერთი სიტყვა. მე გავათავე! ოპერაში უმანტოთ არ წავალ. ვერიკო იქ იქნება, თამარი და ნუცა თავიანთი ქმრებით, მათი საოპერო ტანისამოსი ასასი თუმანი დაუჯდა იმათ ქმრებს. მე კი ბორის ბუთხუზის მეუღლე, подумаешь შენი „სახელი და დიდება" მეყოფა რომ ტანსაცმელიც არ დამირჩეს რიგიანი.

— მე არ მოვდივარ ოპერაში.

— არც არავინ გთხოვს. უშენოდაც მივაგნებთ. შენ იმაზე იზრუნე რასაც გეუბნები. თორემ...

— ქეთო! — აიმაღლა ხმა ბორიამ.

— ხმა! ან სიტყვა მომეცი, რომ შაბათისათვის მანტო მექნება, ან კიდევ დღესვე თქვი უარი და ბარემ გავათაოთ.

— ქეთო!

— ხმა!

— რას ამბობ, ქეთო! — დაიდაბლა ხმა ბუთხუზმა.

— იმას, რომ შენთან არ მეცხოვრება: აღარც ხეირიანი ჯამაგირი, არც მივლინებები, არც რაიმე იმედი და პერსპექტივა დაწინაურების და კარგი ცხოვრების. გაუნათლებელი ხალხი დირექტორებად გახადეს, ორკლასიანები ფაბრიკა-ქარხნებს განაგებენ, მთავრობის წევრები არიან, შენ კი... რად მინდა შენი დიპლომი და პარტიული სტაჟი, რად?

— განა პარტიის წევრი იმიტომ უნდა იყო, რომ „დიდი კაცი" გახდე? — უგულოდ იკითხა ბორიამ, ისე რომ ტყვილა შეესიტყვა ცოლს, თორემ საწინააღმდეგო თვითონაც არა ქონდა რა ქეთოს მიერ წამოყენებული დებულების.

— არა, მათხოვრად უნდა გახდე რაკი პარტიის წევრი ხარ, მონასტერში უნდა აღიკვეცო — დასცინა ქეთომ ბორიას და საწოლ ოთახში გავიდა.

ბორია წამოდგა და გაუბედავი ნაბიჯით მიყვა ქეთოს საწოლ ოთახში.

— მარიკოს ქმარი რომელიღაც ტრესტის დირექტორია — ანჩხლობდა ისევ ქეთო, — თამრიკოს ქმარი რაღაც სავაჭრო რწმუნებული... ჩემს ჭკუას რა ვუთხრა თორემ ქალიშვილობისას მე მაგათ ყველას ვჯობნიდი, ყველანი დაჩრდილული მყავდა, არც ვკადრულობდი, დღეს ისინი დირექტორების ცოლებია, საკუთარი ავტოები ყავთ, თეატრების ლოჟაში ადგილები აქვთ, მე კი... — აქ ქეთომ ზიზღით გადახედა ბორიას და სეტყვასავით წამოუშინა.

Несчастный литейщик. Мозолистыми руками! ეჰ! შენი ჯილაგი ამოვარდეს შენი... გლეხი იყავი და გლეხი დარჩი ბოლომდის...

— ქეთო! — აიმაღლა ხმა ბორიამ, რადგან ქეთოს მიერ შერჩეული გესლიანი სიტყვები მიზანს მოხვდა და აქამდის ცოლის წინაშე მონა-მორჩილად გამოყურადე ბუთხუზის თავმოყვარეობა უსაზღვროდ შებღალა და შეარყია — თუ შენ ასე ცინიკურად იქნები განწყობილი ჩვენი ოჯახური მდგომარეობისადმი...

— რა? ბარემ დაამთავრე?.

— ის რომ...

— ჰო. რა, რა? — ქეთოს უნდოდა რაღაც წამოეცდინა აქამდის მონა-მორჩილი ქმრისათვის. — უნდოდა ბორიასაგან მოესმინა მწვავე სიტყვები, რომ კიდევ უფრო გააფთრებული დასხმოდა მას თავზე, და აქამდის დაგროვებული ბოლმა ამოეყარა, დაეტუქსა და დაეფრთხო ბუთხუზი, როგორც ყოველთვის და თავისი მორჩილი გაეხადა.

— ის რომ ჩვენ ერთად აღარ გვეცხოვრება. გადაჭრით განაცხადა ბუთხუზმა.

— როგორ? შენ ამბობ ამას? — ხელმოფარებით წამოიძახა ქეთომ, თითქო მზის სხივებს ერიდებაო — შენ ჩემთან არ გეცხოვრება? — ქეთო გაცხარდა, როგორც არასოდეს, განერვიულდა, ფეხების ბაკუნს მოყვა, ისტერიკაში ჩავარდა, აიცრემლა, ატირდა, მაგრამ დღეს, როგორც წინად ხდებოდა ხოლმე ყოველ გაბრაზებასა და წვრიმალ წაჩხუბების შემდეგ, ქეთოს არავინ მოეფერა, თავზე ხელი არავინ მოუსვა, არავინ ანუგეშა და ამან კიდევ უფრო გააკაპასა გულგასული ნათავადარის ქალი.

ამდენხანს გაქცევით აშინებდა ქეთო ბუთხუზს და მიტოვებით ემუქრებოდა დღეს კი იქამდის მობეზრდა ბორიას ცოლის ასეთი მუქარები, რომ თითონვე მოითხოვა მისგან განთავისუფლება.

მაშ რა ქნას ასეთ დროს, ნათავადარის ქალმა, არისტოკრატულ ცხოვრებას ბავშობიდანვე დაჩვეულმა? — რა ქნას, როგორ მოიქცეს?!.

17
ბ-9
56677
6011
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაიცვას მუშკოოპის მაღაზიებში სტანდარტულ ყაიდაზე შეკერილი ჩვეულებრივი ტანისამოსი. იკვებოს ჩვეულებრივად, როგორც ყოველმა მუშა-მოსამსახურემ, თუ ეძიოს საშუალება საზღვარგარეთულ მაკინტოშისა და ძვირფას დუხეებისათვის, ძვირფასიან ვახშმებისა და პიკნიკებისათვის.

„ჩამოხტეს“ დაბლა, ნათავადარის ხარისხიდან, თუ ისევ მაღლიდან იმამლაყინწოს ყოველმხრივ ნიადაგ გამოცლილმა — და ქეთო დღეს დაფიქრდა სერიოზულად...

კარგი, ვთქვათ, გაექცა ქეთო ბუთხუზს, ან თავისი ლაყბობით იქამდის მოაბეზრა თავი ბუთხუზს, რომ თვითონ ბუთხუზმა გაუშვას და მიატოვოს ქეთო ამირეჯიბი, მერე რა გაკეთდება ამით?!!.

„დაადგეს“... მაგრამ არა, ეგ ხომ შეუძლებელია. — ფიქრობს თავისთვის ქეთო და ბორია ფიქრებში გადაკარგული ქეთოსთან პირველი შეხვედრის დღეს იგონებს.

ეს იყო ნეპის მეშვიდე გაზაფხულზე.

მაშინ ბუთხუზი პარტიული მუშაკი იყო, ხელმძღვანელ ორგანიზაციების წევრი და აქტიური მომუშავე. დილით ავტომობილით მიდიოდა ბორია სამსახურში, და საღამოთი ავტოთიევ ბრუნდებოდა ბინაზე.

ბევრი შენატროდა მაშინ ბორიას ცხოვრებას. ბევრი, „ბრწყინვალე წოდების“ ქალი მის ცოლად გახდომას ლამობდა... ყოველი მხრიდან უტრიალებდენ გარშემო, რომ როგორმე ხასაუბროდ შეხვედროდენ, ვახშამზე მიეპატიჟებინათ, ერთად დრო გაეტარებინათ და ერთ დღეს სრულიად შემთხვევით ბორია მოხვდა მისი მეგობრის ოჯახში, რომლის გარშემო თავს იყრიდენ მეტწილად ყოფილი ადამიანები, უსისხლო, მაგრამ თვალტანადი ნათავადარის ქალები...

აქ იყო ქეთო ამირეჯიბიც.

ქეთო სილამაზითა და თვალტანადობით მართლა, რომ ბევრს სჯობნიდა თავის წრეში: უსისხლო, ჩამოქნილი, უკუნთო მკლავები, დასხეპილი შავი წამწამები, მიბნედილი თვალები და მწიფე წიწაკასფრად შეღებილი ტუჩებით, ერთი სიტყვით, კოსმეტიკის უკანასკნელი სიტყვით შეზავებული, ქალი უაღრესად „კულტურული“ და „განათლებული“: იცის ცეკვა აზიური და ევროპიული, ბოშური რომანსები, სვამს შამპანურსა და საერთოდ დასპირტულ სასმელებს ყოველგვარი ცერემონიების დაცვით. როცა მის სადღეგრძელოს წარმოსთქვამენ, ქეთოს თავი გამორჩეულად უჭირავს სხვებთან შედარებით და დროგამოშვებით შესაფერ რევერანსებს აკეთებს.

ასეთი აღზრდა მიიღო ქეთომ ბავშობიდანვე. ის მუდამ მოწყენილი იყო უსაქმობითა და ტყვილა ყოფნით, მაგრამ ასეთი იყო ამირეჯიბის ოჯახში ახალთაობის აღზრდის პირობები.

— მამა ჩამწერე კომკავშირში — სთხოვა ერთ დღეს ქეთომ ჯამბაკურს და კისერზე მოეხვია.

— არა შვილო კომკავშირი შენი საქმე არ არის... შენ, როიალს მიუჯექი, წიგნები იკითხე... — აი, შენი პარტია და კომკავშირი — ეუბნებოდენ ყოველთვის ქეთოს და მართლაც საბოლოოდ ქეთო ასაკობრივად ისე მომწიფდა, რომ სრულებით არ იცოდა რა იყო „რევოლიუცია“ და ვინ იყო „პროლეტარიატი“.

ლექსიკონში კი ასე ამოიკითხა ქეთომ.

„რევოლუცია არის აჯანყება“ და სხვა.

ღმერთმა დაგვიფაროს, აჯანყება რა სახარბიელოა, ფიქრობდა ქეთო.

პროლეტარი — არის ღარიბი და ღატაკი, რომელსაც არ აქვს, არც კერძო საკუთრება, არც სახლ-კარი და არც მუდმივი სამუშაო".

— უჰ! არ მომწონს არა!.. ქეთო ლექსიკონს დახურავდა და რაღაც ოცნებებში გადაიკარგებოდა...

— უსახლკაროდ ცხოვრება როგორ იქნება. — ეკითხებოდა ქეთო თავისთავს როცა პროლეტარსა და საერთოდ პროლეტარიატზე დაიწყებდა ოცნებას.

უჯამაგიროდ, როცა სხვა შემოსავალი არაფერი გაქვს, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა? აი მაგალითად ქეთოს მამა ჯამბაკურ ამირეჯიბი, რევოლუციამდე კარგად ცხოვრობდა. შემოსავალი კარგი ქონდა და ცოლშვილს უზრუნველად აცხოვრებდა.

მოხდა რევოლუცია. დაინგრა მეფის ტახტი, მილეწ-მოლეწეს „ბრწყინვალე" წოდება. მაგრამ ჯამბაკურმა აქაც იოლად იპოვა თავდასაძრომი და მენშევიკების დრო ისე ჩაყლაპა, რომ ერთი ქცევა მიწა არავის მოუკლია მისი მამულისათვის; მოხდა მეორე რევოლუცია საქართველოში. დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და რა შეატყო ჯამბაკურმა, რომ მიწის კანონების მიხედვით მემამულეობასა და მამულებს ვერ შეინარჩუნებდა, ადგა და შეუბრძოლებლად გადასცა მიწები მიწადმოწყობის კომიტეტს და თვითონ ქალაქში ამოყო თავი შესაფერი მოწმობებით შეიარაღებულმა.

— მიწა ჩემი ქონებრივი ავლადიდება თქვენ გადმოგეცით, სამაგიეროდ მომეცით იმდენი საშვალება, რომ ცოლშვილი ჩემი შრომით შევინახო, განაცხადა მან შესაფერ ორგანოებში და იქამდის აჭახრაკა საქმე, რომ შეშისა და ხე-ტყის დამზადების საქმეს ჩაუდგა სათავეში მოიჯარადრეთ და მას შემდეგ ცხოვრობს ჯამბაკური ტფილისში, საკუთარ „ოსობნიაკში" (როგორღაც ოთხთვალა სახლიც ჩაახერხა მან წყნეთის ქუჩაზე) და აინუნშიაც არ იგდებს რევოლუციას.

ნათავადარის ოჯახი ნეპის მეშვიდე გაზაფხულზეც განცხრომით ცხოვრობდა.

ქეთოს პირველშეხვედრისთანავე თვალში მოხვდა ბორია ბუთხუზი.

ბუთხუზსაც მოეწონა თვალტანადი ქეთო, თუმცა ბორიას ხშირად უფიქრია ფაბკომის აქტივისტ ქალ ნურაზე, ლაპარაკიც ქონდა მასთან ამ თემაზე, მაგრამ სად ნურა, ლოყებლაჟლაჟა სოფლელი ტიპის გოგო, ფართო პირის სახით და ამობერილი ყბის ძვლებით, მაგარი მკლავებითა და გამძლე მუხლებით და სად სანთელივით ჩამოქნილი, წერწეტი და ნარნარი ქეთო. ქეთოს წვივები შეიძლება წკიპურტით გადაამტვრიოს ვაჟკაცმა, ნურას წვივებს ჩაქუჩითაც ვერას დააკლებთ, ქეთოს მკლავებზე ხელის მონაკიდი აღიბეჭდება, ნურა კუნთებით თოკსაც კი გაწყვეტს, ერთი მაგრა რომ გითავაზოს ფეხზე არ დაგაყენებს.

„ქალაბიჭაა და სხვა არაფერი" — დაასკვნა თავისთვის ბუთხუზმა. „ქალი ნაზი უნდა იყოს და არა ცირკის მოჭიდავე". ამიტომ უპირატესობა ცხადია ქეთოს ხვდა არჩევანში და საქმეც დასრულდა უყოყმანოდ.

— „ჯერ ერთი რომ პარტიულია — გაიფიქრა თავის მხრივ ქეთო ამირეჯიბმა — პასუხისმგებელი მუშაკი. კარგი ჯამაგირისა და მდგომარეობის პატრონია, მუდამ მოწინავე ხალხში იქნება, ქვეყანას იცნობს და შემდეგ კიდევ უფრო „დიდ ხალხში" დაიჭერს საქმეს; უმაღლესი განათლებით არის, მუდამ კარგ ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაში ვიქნები, მუდმივ ფუფუნებასა და განცხრომაში. მეყოლება ავტო, მოსამსახურე, სადაც მივდგები, პატივისცემით მომეპყრობიან. ამიტომ...

— თანახმა ვარ ოღონდაც შემომფიცე, რომ ის რაღაც გადახრები, რომ იცით პარტიაში, ის გადახრები არ გექნება და მუდამ ჩემი ერთგული იქნები.

— ფიცი რა საჭიროა. საკუთარ თავს მტრობას, ვინ გაუწევს, კარგ ცხოვრებას ვინ გაექცევა...

დაუდასტურა საცოლეს თავის მხრივ ბუთხუზმა, მაგრამ სამწუხაროდ სწორედ, აქ გამართლდა პოლიტიკურ საკითხებში გულუბრყვილო ქალის, ქეთო ამირეჯიბის წინათგრძნობა და მათი შეუღლებიდან ერთი წლის შემდეგ, სწორედ იმ „გადახრებით“ გადაიხარა ბორია ბუთხუზის პერიოდის კარიერის ალმავალი ხაზი და შესაფერისად დასჯილი, დაზგას დაუბრუნდა.

აღარც ავტო მოაკითხავს ახლა ბუთხუზს და არც ტელეფონით აწუხებს ვინმე. უთენია, ჩუმად მიიპარება ბორია სახელოსნოში და საყვირის შემდეგ ისევ უგულოდ და უსიცოცხლოდ ბრუნდება სახლში.

დღეს კი იქამდის მივიდა მისი თავმოყვარეობის შებღალვის ამბავი, რომ ცოლთან ხანგრძლივი დავისა და ჩხუბის შემდეგ კატეგორიულად განაცხადა:

— მივდივარ, სამუდამოდ, მივდივარ შენგან! სხვა გზას მოვძებნი, სხვა გზას! კმარა!

— ბორის, ბორის, — შეძრწუნდა აქამდის გულგასული ნათავადარის ქალი, მაგრამ ბორიამ ისე მაგრად მიახეთქა კარები და გავიდა ქუჩაში, რომ ქეთოს ხვეწნა-მუდარამ შინ დაბრუნებულიყო, არამც თუ შეაჩერა და უკან დააბრუნა ბუთხუზი, გვერდზედაც არ მოიბრუნა პირი ისე გასწია სახელოსნოსაკენ.

4 გადაჭარბებით

საგანგებო კვარტალი მიიწურა.

სახელოსნო ფეხზე დადგა მუშაობის შესაჯამებლად.

ციფრები, გრაფიკები, დიაგრამები გაჩნდა ყოველ თვალსაჩინო პუნქტზე.

ორთქლმავლები, ვაგონები, ცისტერნები გარბიან სახელოსნოდან რკინის გზის დახლართულ ხაზებზე.

სამრეწველო ცენტრები და სავაჭრო პუნქტები ელოდებიან დატვირთვასა და განტვირთვას.

— სამი დღე დაგვრჩა ამხანაგებო! სამი გარდამწყვეტი დღე — აცხადებს ჭალარა სტეფანე და უბის წიგნაკში სათვალეებით რაღაცას ეძებს. კვარტალურ გეგმას თუ ათვალიერებს შესაჯამებლად.

სტეფანე მხიარულ გუნებაზეა, მაგრამ თავი სერიოზულად უჭირავს, რაღაც უნდა ახაროს საამქროს მუშებს, მაგრამ დანიშნულ ვადამდე არაფერს ამბობს, უკანასკნელ დღეს ელოდება.

დამკვრელები ნერვიულობენ, კვარტალურ გეგმის შესრულების შედეგებს მოუთმენლად ელოდებიან.

— სამი დღე!

— ძია სტეფანე! უთქმელობასა ზოგჯერ თქმა სჯობია და გვითხარი ბარემ, ხომ არ შევრცხვებით ამ კვარტალში, ა? — იკითხა კომბალამ და ოფლი მოიწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რად უნდა შევრცხვეთ, თუმცა — სტეფანე მოტრიალდა და ბორიას დაზვა, რომ უპატრონოდ დაინახა, გაბზარული ხმით იკითხა: — სად არის ბუთხუზი?

— ორი დღეა არ გამოცხადებულა; უკვე ვაცნობეთ კანტორაში. — იყო პასუხი ბრიგადის უფროსის.

— იქნებ ავად არის?! — განმეორებით იკითხა სტეფანემ და ფიქრებს მიეცა.

— შინ იქნება თავის კნეინასთან — შენიშნა ვილაცამ.

— კმარა, ამხანაგებო! — არ დატოვა მიტრომ უყურადღებოდ ვილაცას უადგილო შენიშვნა და სტეფანესთან ერთად მიტროც ჩაფიქრდა.

ჩაფიქრდა კომბალაც და ბოლოს ისევ კომბალამ დაარღვია მყუდროება.

— მაგისი „წყალობით" რო ეხლა გეგმა ჩაგვეშალოს... არ ვიცი, პირადათ მე და ბუთხუზი ვერ მოვრიგდებით.

მხიარული სტეფანე უგუნებოდ გავიდა გარედ საამქროდან და დირექციისაკენ დაიჭირა მიმართულება.

შუადღე იქნებოდა, როცა სახელოსნოს კარებში გამოჩნდა ბუთხუზი.

თავჩაქინდრული ის მძიმედ მოფრატუნებდა მაზუთით აპოჭილ ლიანდაგს შუა და ფიქრებში წასული გვერდზე არც კი იყურებოდა.

ორთქლმაველის შეძახილმა გამოაფხიზლა ბორია და სწორედ ახლა იგრძნო მან, რომ დღეს არაჩვეულებრივ გუნებაზე იყო.

ბორია შემოვიდა სახელოსნოში.

საამქროები მორცხვად ჩაათვალიერა, კედლის გაზეთის ახალ ნომერს დააკვირდა. რომელიღაც მუშკორს უკვე მოესწრო ბორიას განაცდენების გამოქვეყნება და საერთოდ ბუთხუზის გულგრილობაზე წერილის დაწერა.

ბორიას გააჟრჟოლა. დანაშაული იგრძნო და მოიკუნტა, ათასგვარი საკითხი ამეტყველდა ახლა ბუთხუზში და რა ქნას, როგორ მოიქცეს ის ასეთ პირობებში?

ეზოში გამოჩნდა დირექციიდან დაბრუნებული ჭალარა სტეფანე, რომლის დანახვაზე ბორია ნაჭუჭში ჩაძვრა და ჩაიკუნტა, სირცხვილით ლოყები აეწვა, ქუდი ცხვირამდე ჩამოიფხატა და დარცხვენილი სტეფანეს შემოხვდა.

— ძია სტეფანე! — აბლუკუნდა ის გაუბედავად, რამაც სტეფანე ძალზე გააკვირვა.

სტეფანემ, ბუთხუზს, რამდენჯერმე იქვნეულად ახედ-დახედა: „ხომ ბუთხუზია, ხომ არ ვტყუვდებიო".

— მოხვედი?!

— მოვედი. მოვედი სულ სხვა გადაწყვეტილებით.

— მაინც?

— ამაზე ცალკე მინდა გელაპარაკო, ძია სტეფანე! ხვალ კრება არის, უჯრედის დახურული კრება და იქ უნდა ყველაფერი ვთქვა...

— სთქვი! — სტეფანემ თავი გაიქნია და ბუთხუზს პირდაპირ არ შეხედა ისე უგულოდ აუარა მას გვერდი — ახლა კი წადი საამქროში და იმუშავე. ამხანაგებმა იქნება არ მიგიღონ, მაგრამ სცადე მაინც.

„არც კი მიმიღონ"? — ჩაფიქრდა ისევ ბორია და მუხლებმოკვეთილი დაიძრა საამქროსაკენ.

„იქნება მართლა არ მიმიღონ და ისინი მართალიც იქნებიან; თუმცა რატომ?!. ეჰ, სადამდის მივიდა ჩემი უკანდაქანების საქმე? სადამდის მივიდა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამდის? არა ყველაფერი უნდა ვთქვა. ყველაფერში უნდა გამოვტყდე, ყველაფერი უნდა ვაღიარო".

?ორიამ მოკლედ თვალი გადაავლო თავის წარსულს, განსაკუთრებით უკანასკნელ ორი წლის მუშაობას სახელოსნოში, სადაც დაბალ სამუშაოზე გაგზავნილი ბუთხუზი, მისივე ფიქრით, ყოველთვის პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ პარტიულ, საბჭოთა თუ სხვა მოვალეობებს, და სადაც ის, კვალიფიციური მუშა-ხელის და საერთოდ წითელი სპეციალისტების ასეთი ნაკლებობის პერიოდში, დღითი-დღე ელოდა ისევ წინწაწევას, თუ გინდ სახელოსნოს შიგნით და ძველი მდგომარეობის ნაწილობრივ მაინც დაბრუნებას.

თუმცა კომკავშირის და კომუჯრედის ბიურომ რამდენჯერმე სცადა ბუთხუზის, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების შემდეგ, დაწინაურებულთა სიაში წამოყენება, მაგრამ არ იქნა, წარმოების დირექტორი, ინჟენერი ბაზიარი, ვერავინ დაარწმუნა იმაში, ბუთხუზის დაწინაურება შეიძლებოდა სახელოსნოს შიგნით და, რომ უკვე დროც იყო მისი წინწაწევის, თუგინდ, როგორც გამოცდილი და საუკეთესო ხელოსანის.

„პირველობა მეგრო სოციალისტურ შეჯიბრებაში—ფიქრობდა ბუთხუზი—ვფიქრობდი ახლა მაინც ჩაიხედავენ საქმის შინაარსში, ახლა მაინც... მაგრამ ეეჰ! მიდიოდა დღეები და ყოველ ახალი, ცივი და უგულო შეხვედრა დირექტორისა და სხვა მის ხელქვეითებთან უკან და უკან ეწეოდა ჩემი მუშაობის ხალისსა და უნარიანობას".

„ცალკე ფუქსავატი ოჯახი, აქ კიდევ უსიამოვნება და საყვედურები სამუშაოზე გეგმის შესრულება-შეუსრულებლობაზე.

არა, რატომ, აქამდის არ გავგიჟდი, რატომ"?

ეკითხება ბუთხუზი თავისთავს.

ბუთხუზი აუტანელი მოუთმენლობის ტიპიური განსახიერება გახდა ამ ბოლო ხანებში. ადამიანი, რომელიც ყოველ წვრიმალზე ცეცხლივით აენთება, აენთება და თუ გადასარბენამდის არ გაყვა ერთხელ ამოძრავებისათვის მოჭარბებული ენერგია ისევ ჩაქრება. ბუთხუზი ფიქრობს როგორმე კალაპოტში ჩავარდნას. დაეძებს დამნაშავეს, თუმცა სადაოდ არც ის მიაჩნდა, რომ თვითონაა ყველაფერში დამნაშავე, რომ ის უმსგავსოდ იქცეოდა სახელოსნოში, რომ ის უტაქტოდ მოიქცა, როცა მისი დაწინაურების საკითხი თვითონვე შესჩივლა ზოგიერთ ამხანაგებს, რაიცა ყურში ჩაეწვეთა წარმოების დირექტორს, რომელმაც ასე განაცხადა დასაწინაურებელთა სიაში ბუთხუზის გვარიც რომ დაინახა:

„თვითონვე მოითხოვს დაწინაურებას? სად გაგონილა?. სხვათა შორის ბუთხუზი არსად არ გამოდგება. მხოლოდ ის კარგი ჩამომსხმელია და სხვა არაფერი".

ედავებოდენ ბაზიარს, მაგრამ ის ასეთ შემთხვევაში კატეგორიულად სვამდა საკითხს უჯრედის წინაშე.

— „მაშინ მე წავალ წარმოებიდან და როგორც გენებოთ".

ბაზიარის წარმოებიდან გაშვებას უჯრედი ცხადია შორი გზით უვლიდა, როგორც შეუდარებელი, შეუცვლელი სპეციალისტისას.

ამრიგად გულგასული დირექტორი კიდევ უფრც ამწვავებდა მდგომარეობას ბუთხუზსა და სახელოსნოს ადმინისტრაციას შორის.

ამწვავებდა მდგომარეობას და ბორია მით უფრო ეფლობოდა ჭაობში.

ბორია საამქრომდის მიფრატუნდა.

ირიბი ხედვით ამხანაგებს გადახედა და თავჩაღუნული თავის დაზგას მიუახლოვდა.

— ოჰო, მობრძანებულა? — ახითხითდა კომბალა გესლიანად, როცა ბუთხუზი დაზგასთან დაინახა.

ბორიამ არაფერი უპასუხა მას ასეთ ახირებაზე და კომბალამ ლოყებზე სიცხე შეიგრძნო.

— რამ დაამუნჯა, ნუ თუ? — ფიქრობდა თავისთვის კომბალა.

ბორიამ ჩარხი დაატრიალა, დარჯაკები მოამზადა.

„ოჯახი, პარტია, სამსახური, სამსახური კი არა სამუშაო. ყველაფერი აწეწილი, არევდარეული. რატომ. რისთვის“? — ფიქრობს ბორია და დაზიანებული ღვედის კიდეს აკვირდება.

„ღვედი რა შუაში იყო ეგ უთუოდ დიდი დანაშაული ჩავიდინე!“.

ბორიამ მოუჩქარა სამუშაოს და როცა საყვირის დრო მოახლოვდა ყველა გააოცა ბორიას ღღეევანდელმა ნამუშევარმა.

— ალბად გაჯორეს სადმე?

— ეტყობა „ჭკუა უსწავლია“ ამ ბოლო ხანებში.

— ამ ორი თვის წინადაც გაჯორეს უჯრედში, მაგრამ რა გამოვიდა?.

— თუ მაშინ არა ახლა მაინც გამოვიდოდა რაიმე. თათბირობდენ ჩუმად ჩამომსხმელები.

— ამბობენ ოჯახიდან გაიქცა და ამირეჯიბის ქალი მიატოვაო.

— ვინ თქვა?

— თვითონვე უთქვამს.

— უცნაური ადამიანია. ჯერ წუმპეში ჩაეფლა და ახლა ერთბაშად ცოლსაც გაშორდა, უკიდურესობის ადამიანია, როგორც პოლიტიკაში, ისე პირად ცხოვრებაშიაც.

— მართალია, ბორია უკიდურესობის ადამიანია, ჩაერია საუბარში მიტრო.

— მერე სად უნდა ვეძიოთ მაგის ძირითადი მიზეზები? იკითხა ჩამომსხმელმა გიგომ.

— ცხადია მის სოციალურ ფესვებში. მის წვრილ-ბურჟუაზიულ ბუნებაში. ბუთხუზი ხომ შეძლებული გლეხის ოჯახიდან გამოსული ინტელიგენტია, რომელიც შემთხვევით მოხვდა სახელოსნოში რევოლუციის შემდეგ და პირადი კარიერით თავბრუდახვეულმა იქამდის აჭახრაკა მისი საქმე, რომ ხელმძღვანელ ორგანოებშიც მოიკალათა. მაშინ არც ისე მრავალრიცხოვანი იყო პარტია და კომკავშირი, როგორც დღეს და ბუთხუზს, რომელსაც სათანადო მომზადება ჯერ კიდევ სოფლიდან ჩამოყვა, ბედმა გაუღიმა და ის ჩქარა ხელმძღვანელ მწვერვალზე გამოჩნდა. იქიდან კი, როგორც იცით... აი, სად უნდა ვეძიოთ ბუთხუზის მერყეობისა და უკიდურესობის ძირითადი მიზეზები.

— ბიჭებო! — დაიძახა სახელოსნოს კანტორიდან დაბრუნებულმა კომბალამ — იცით რა ბიჭებო? — სახე გაბრწყინებული გაიძახოდა კომბალა და ქუდს მაღლა იქნევდა.

— რა? — მოუხედეს ერთთავად კომბალას.

— სამუშაო გეგმა ცხრამეტი პროცენტით გადაგვიჭარბებია.

— ცხრამეტი პროცენტით? — გაიხარეს ჩამომსხმელებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ, ვიმარჯვებთ ამ კვარტალშიაც, ბიჭებო!

— ვიმარჯვებთ მაშა. — დაუდასტურა კომბალამ და მუშებში შეერია. მა, ტყვილა ვიღებდით ყოველ დღე ოფლის აბაზანებს. — დაუმატა მანვე.

საყვირის ხმამ დაფარა საამქროს შიგნით დამდგარი ხალისიანი ხმაურობა და წამოძახილები.

ერთ წუთში დადუმდენ არაზრაზებული დაზგები.

5 ბუთხუზი ყოყმანობს

რამდენიმე დღეა უგზოუკვლოდ დახეტიალობს ბუთხუზი გარეუბნებში. ნაცნობებს შორიდან ათვალიერებს, ზოგს ემალება, ზოგიერთთან კი ახლო მისვლასა და გასაუბრებას ლამობს.

განსაკუთრებით ერიდება ბუთხუზი იმ პასუხისმგებელ მუშებთან შეხვედრას, რომლებთანაც ამ ორი წლის წინად მასვე უხდებოდა მუშაობა, იცნობდა, მათ წრეში ტრიალებდა, ამხანაგურად ხვდებოდა და აცილებდა ბუთხუზი იმათ, ისინი კიდევ ბორია ბუთხუზს, ბუთხუზს კარგ მეგობარსა და საუკეთესო ამხანაგს.

ახლაც ისეთივე გულწრფელობით ხვდებიან ძველი ამხანაგები ბუთხუზს, მაგრამ ზოგიერთები ეკითხებიან ხოლმე:

„რას შვრები ბორის, სად მუშაობ ეხლა?“ სიტყვა „ეხლა“ კი ტყვიასავით ხვდება გულზე ბუთხუზს და უმალ ეჭვებს ბადებს მასში. ასე გონია, თითქო, როცა მას ეკითხებიან „სად მუშაობ“-ო საზღვარს ავლებდენ, გარდაუვალ საზღვარს, მის დღევანდელ და წარსულ მდგომარეობათა შორის, ამიტომ ბორია ერიდება ძველ ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრას, საუბარსა და დაახლოებას; ერიდება და ასე ივიწყებს ძველ ნაცნობ-ამხანაგებს, ივიწყებს და განგებ გაურბის მათთან დამოკიდებულებას.

ბორია უცნაურ ხასიათზეა.

ორი დღეა სასტუმროშა ათევს ღამეს ბუთხუზი, ოჯახს სიახლოვეს არ ეკარება.

მან ხომ გულიდან ამოიგდო ოჯახი; როცა თავის საკუთარ ბინიდან გაიქცა.

და რაკი ერთხელ მიატოვა ბორიამ ოჯახი, რაკი გაცეცხლებულ გულზე მოშორდა ცოლს და გაიქცა ოჯახიდან, უკან დაბრუნება ბორიას ფიქრით, ხომ ქედის მოხრას უდრის, სიტყვის უკან წაღებას.

ნაცნობებთან მისვლაც ითაკილა ბუთხუზმა, ამიტომ დროებით სასტუმროში გაჩერება არჩია... კერძოდ ცხოვრება.

დღეს, სახელოსნოში დაბრუნებაც სცადა ბუთხუზმა, ხალისიანად იმუშავა, მაგრამ შაბაშის შემდეგ სად წავიდეს ბუთხუზი? თავისუფალი დრო სად მოკლას?

შინ წასვლა არ უნდა და არა. სასტუმროში, აბა რა გააძლებინებს... კლუბში წასვლას კი განგებ ერიდება, ნაცნობებს არ წავაწყდეო.

ბორია ქუჩას აედევნა.

მიდის ბორია ფიქრებში გართული და თვალწინ მისი წარსული და დღევანდელი მდგომარეობის ცალკე ეპიზოდები უტრიალებს. ბორია მეტწილად თავისთავზე ფიქრობს ეს ერთი ხანია, ეჭვიანობს, ბრაზობს, ილრინება, ყველას ცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკურად უყურებს, რადგან დარწმუნებულია, რომ მისდამიც ცინიკურად არიან განწყობილნი მის გარშემო მყოფი ამხანაგები. ეჭვიანი გახდა ბუთხუზი, მეტისმეტი ეჭვიანი და ამან კიდევ უფრო შეუწყო ხელი ბორიას უკანდაქანებას.

ბორიას ნურა წამოეწია და ღიმილით მიესალმა.

ბორიამაც ღიმილითვე უპასუხა და რაკი, არც ბორია მიიჩქაროდა სადმე და, არც ნურას ქონდა დღეს სადელეგატო კრებები, ერთმანეთს საუბარში შეყვენ და სრულიად შეუმჩნეველად მიუახლოვდენ არსენალის მიდამოებს, სადაც ნურა ცხოვრობდა.

— უცნაური კაცი ხარ ბორის — უკომენტარიოდ დაუწყო ნურამ ბორიას შეხვედრისთანავე. და აქედან ჩაეყარა საფუძველი მათ შორის გაჩაღებულ საუბარს.

— რატომ? — ჩვეულებრივი ტონით იკითხა ბუთხუზმა და ნურას მიუახლოვდა. ბორიამ ერთი წუთით თვალწინ აღიდგინა ნურასთან წარსული დამოკიდებულების რამდენიმე გულში ჩარჩენილი ეპიზოდი და ამან კიდევ უფრო მეტად გაამხნევა და თანაც გაამხიარულა ბუთხუზი, ლაპარაკის ხასიათზე მოიყვანა და წარმოიდგინეთ ნურასთან გაარშიყებაც კი სცადა შეხვედრისთანავე.

— რატომ? — არ დასტოვა ნურამ შეკითხვა უყურადღებოდ და თვითონაც რაღაც მოგონებაში გადაკარგულმა ნაწყვეტებად მიუგო ბუთხუზს შეკითხვაზე.

— უცნაური კაცი ხარ, დაუდეგარი, მერყევი, — უკანასკნელი სიტყვები ისეთი დამაჯერებელი თბილი ტონით იყო ნათქვამი, რომ სალანძღავი მნიშვნელობითაც, რომ ეთქვა ნურას, გაფიცხება მაინც არ შეიძლებოდა...

— ნუთუ? — განგებ გაიკვირვა ბუთხუზმა და ნურას გვერდით აეტუზა, ხელი მკლავში გამოსდო და ნელი ნაბიჯით არსენალის აღმართს შეუდგენ.

— რასაკვირველია! თუ შენ ახლა ამირეჯიბის ქალთან გაშორებას ფიქრობ, — პირდაპირ ინტიმურ საკითხებზე შეაგდო სიტყვა ქალთა შორის მომუშავე ნურამ და ბორიას ხელი წელიდან მოიშორა, — ჰო, თუ შენ ქეთოს მიტოვებას ფიქრობ, ეგ სისულელეა და სხვა არაფერი. შენ ხომ ქეთოზე მზე ამოგდიოდა?!

— სიმტკიცეც სწორედ ეგ არის რომ პრინციპიალურ საკითხის გულისათვის ადვილად გაშორდე იმას, ვინც ასე ძვირფასი იყო ან არის შენთვის.

— სრულიადაც არა.

— მაშ როგორ?

— ისე, რომ თუ დღემდის მოგწონდა ნათავადარის ქალი და ბევრი პრინციპიალური საკითხი თავზე შემოავლე მის პიროვნებას, დღეს ასე უმიზეზოდ განშორებაც სწორედ უპრინციპობაა და არა პრინციპულობა, როგორც ეს შენ გეჩვენება. ეს თამაშია უკიდურესობათა შორის, რაც შენ ასე გჩვევია ყოველთვის.

ბორია დაფიქრდა.

ნურას სიტყვები გულს მოხვდა, მაგრამ არ იქნა მისი პირდაპირი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ვერ გამოარკვია, ნურას გულში ვერ ჩაიხედა.

„რას იტყვის ნურა წარსულ ჩვენს დამოკიდებულების საკითხზე რომ განვუახლო საუბარი?“. — ფიქრობს ბორია და ვერ მოუაზრებია, როგორ განწყობილებას შექმნის მისი ასეთი წინადადება ნურაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეცდომის გამოსწორება ხომ ბოლშევიკური ნაბიჯია. — არ იშლიდა თავისას ბუთხუზი.

— საერთოდ ჰო, მაგრამ ამ შემთხვევაში, არავითარ გამოსწორებას არ ვხედავ. ცოლი შეირთე. ცხოვრობდი მასთან სამი წელიწადი. ცხოვრობდი არა როგორც ქმარი, როგორც იტყვიან, არამედ როგორც მისი მონა-მორჩილი.

ბორია აიმრიზა.

— რა გული მოგდის, მე მართალს გეუბნები, დღეს კი ცილდები ოჯახს, გარბიხარ ბინიდან ისე თითქო ამირეჯიბის ქალი იყვეს ძირითადში დამნაშავე შენი ასე უკან დაქანების საქმეში და არა შენ თვითონ...

— ნურა!

— დამაცა ბორის! ჩვენ ბოლოსდაბოლოს კომუნისტები ვართ, უკეთესია ერთმანეთს ცხვირში ვახალოთ ის შეცდომები, რომლის გამოსწორება შეიძლება, და რის გამოსწორებაც აუცილებელია, თუ გინდა რომ დარჩე ბოლშევიკი, პარტიის ნამდვილი წევრი. შენი შეცდომები გაუზომელია, შენი მერყეობა დაუსრულებელი...

შენ რატომლაც უხერხემლო კაცი გახდი ამ ბოლო ხანებში, წინად კი შენში ყველა უბადლო მომუშავეს ხედავდა...

— კი მაგრამ, ნურა, ჩემს დანაშაულზე კონკრეტულად როდის მითითებდენ.

— ყოველთვის... მე ეს ძალიან კარგად მახსოვს.

— მაშ როგორ მოვიქცე? — შეაბრუნა ბორიამ საკითხი, როცა დარწმუნდა რომ ნურასთან კამათი, იქ სადაც ბორიას სუსტ მხარეებზეა ლაპარაკი, შეუძლებელი იყო.

— ეცადე, თვითონაც გამოსწორდე და ოჯახიც ისე გამოასწორო, რომ შენსას, შენს პირად ამხანაგებს მოესვლებოდეს. აი, ეს არის ბოლშევიკობა და არა ის, რომ გარბიხარ ოჯახიდან დღეს და ხვალ, შეიძლება კიდევ უარეს უფსკრულში გადაიჩეხო.

— ე. ი. შევსწირო თავი ოჯახურ უსიამოვნებას?

— თავს კი ნუ შესწირავ, გამოასწორე. როცა ამირეჯიბის სიძედ ხდებოდი ეს წინდაწინვე უნდა გცოდნოდა. ამჟამად კი, მოთმინება გმართებს, გამბედაობა, ბრძოლებიც, ბრძოლები საკუთარ ოჯახში, საკუთარ თავთანაც.

ისინი უკვე ნურას ბინაზე იყვნენ.

— ეჰ! — ამოიოხრა ბორიამ, გეგონებოდათ გული თან ამოაყოლაო.

— მე ვიცი რაზედაც ამოიოხრე! — არ დატოვა ნურამ უშენიშვნოთ ბორიას ამოოხვრა.

— რაზე?

— საკუთარი ბინა. მოგაგონდა. მერე შენი ჯიუტობა და ამოიოხრე კიდეც.

— ბინაზე კი უნდა ვიფიქრო მართლა. — დაუდასტურა ბორიამ.

— სანამ მოიფიქრებდე?

ნურა ტახტზე ჩამოჯდა. ბორია კი მაგიდას მიუჯდა ირიბად.

ბინა კარგი ქონდა ნურას.

მოზრდილი მზიანი ოთახი, აივანითა და შუშაბანდით გარშემოვლებული, მაგრამ ულაზათო იყო და მოუწყობელი: კედლები ჭვარტლიანი და ნავთულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლილი. ფანჯრები გაუწმენდელი, როგორც ეტყობოდა ბუზების არმიას მთელი ზაფხული აქ გაეტარებია.

უთენია ნურა მიდიოდა სამუშაოზე და ხშირად ღამით ბრუნდებოდა მოლილ-მოქანცული. ხან კიდევ თვეობით მიემგზავრებოდა პროვინციაში და ოთახის კარები გამოკეტილი იყო. ამიტომ დაგროვდა მტვერი ნურას ოთახში. რაიცა შესვლისთანავე თვალში მოხვდა ბუთხუზს. ბორია დააკვირდა ნურას საწოლსაც, საწოლის თეთრეულს და „სპეცტანისამოსით ხომ არ წვება ლოგინში ეს ოჯახქორი?“ — გაიფიქრა მან დაუყონებლივ.

— ბოდიში, ბორის, რომ ასე აულაგებელი მაქვს ოთახი, მოცლა ალარა მაქვს — მოიბოდიშა ნურამ ბუთხუზის წინაშე, მაგრამ ბუთხუზი ახლა ტახტ-ქვეშ დაყრილ გამოცვლილ თეთრეულს დამცინავი თვალით მიჩერებოდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩა ნურას. „იჰ, ბელარუჩკა ხარ შვილოსა, მგელივით ტყისაკენ გიჭირავს თვალი“ — გაიტარა მან გულში და ფიქრებს მიეცა.

ბორია კი ისევ ათვალთვალებდა ნურას ბინას და გულში ფიქრობდა: „ასეთი ცოლი?“ თუმცა — განაგრძობდა ისევ ბუთხუზი — არც მაგის ბრალია, თვითონ მოცლა არ აქვს და რომ მოსამსახურე დაექირავებია, ცხადია ბინასაც სუფთად შეინახავდა.

ბორიამ წასვლა დააპირა, რაზედაც ნურამ დუმილით უპასუხა;

ასე გულცივად გაშორდენ ერთმანეთს ნურა და ბუთხუზი.

ბორია ყოყმანობდა ნურას ბინიდან გამოსული, ყოყმანობდა როცა პარალელს აკლებდა არისტოკრატ ქეთოსა და ამხანაგ ნურას შორის. და ამ ფიქრებით დატვირთული ბორია მძიმედ მიაბიჯებდა სასტუმროსაკენ.

„არა, უცოლოდ ვივლი ჩემს ცხოვრებაში და ასეთ ქალთან როგორ ვიცხოვრებ? ამირეჯიბის ქალი ამ მხრივ“... მაგრამ ეჰ! გათავდა ყველაფერი ამირეჯიბთან.

გათავდა, დიახ, გათავდა!

6 სიტყვა ეძლევა ამხ. კომგალას

სახელოსნოში პარტიისა და კომკავშირის უჯრედების დახურული სხდომა დაიწყო.

არაჩვეულებრივი ინტერესით ელოდებიან მორიგ საკითხზე გადასვლას.

— ბუთხუზის განცხადება უნდა წაიკითხონ.

— განცხადება?

— ჰო, წერილი დაუწერია.

— ნეტა რას სწერს?

— ალბად თავის ისტორიას თუ აცნობს უჯრედს. — ჩურჩულებდენ ამხანაგები, მეტწილათ კომკავშირელები და ცალი თვალით თავმჯდომარისაკენ იცქირებიან.

— სიჩუმე ამხანაგებო! — იძლევა შენიშვნას თავმჯდომარე.

დარბაზი გაიტრუნა.

მორჩენ ცირკულიარის განხილვას.

— მორიგ კითხვად დგას, ამხანაგებო, ამხანაგ ბუთხუზის განცხადება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა უნდა განაცხადოს?

— აღარ ისვენებს?

— სიჩუმე ამხანაგებო! მომეცით საშვალება წავიკითხო განცხადება.

— წაიკითხე რა, ვინ გიშლის.

თავმჯდომარე ელოდება კრების დაწყნარებას. მისი ყურადღება მიპყრობილია ზოგიერთ კომკავშირელზე, ერთად შეგროვილნი ხმამაღალი ლაზღანდაროობით, რომ არღვევენ საერთო ყურადღებას.

ბორია, მოკუნტული ზის კუთხეში და თავზე ქუდჩამოფხატული დაბლა იცქირება, საერთო მოუსვენრობის ადგილზე წრიალით ამჟღავნებს.

— სიჩუმე! — დაიქუხა ბოლოს თავმჯდომარემ და დარბაზი ისევ გაიტრუნა; აქა-იქ წყნარად ჩაახველეს — „სახელოსნოს კომპარტიის და კომკავშირის უჯრედებს.

პარტიის წევრის ბ ო რ ი ა ბ უ თ ხ უ ზ ი ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„როგორც იცით, მე ძველი კომკავშირელი ვარ. ამჟამად პარტიის წევრი. სკოლაში ყოფნის დროს დავიწყე პოლიტიკური მუშაობა. ქალაქში ჩამოსვლისთანავე სახელოსნოში ვარჩიე მუშაობის დაწყება, ასე, რომ საშუალო ცოდნის მიღების შემდეგ პირდაპირ დაზგას დავუკავშირდი. თქვენ გახსოვთ, ალბად, თუ როგორ დღითიდღე ვიზრდებოდი საზოგადოებრივ მუშაობაში, მირჩევდით ხელმძღვანელ ორგანოებში, მასახელებდით წარმომადგენლად სხვა და სხვა ორგანიზაციებში. ერთი სიტყვით ვიყავი აქტიური კომკავშირელი. ისიც გეხსომებად, რომ ცოდნის მისაღებად თქვენ მიერ გაგზავნილი ვიყავი მოსკოვის ერთერთ უნივერსიტეტში.

დავბრუნდი უკან და განვაგრძობდი პარტიულ მუშაობას, სადაც, როგორც უკვე ცნობილია, მე დავუშვი პოლიტიკური შეცდომა, რომლის გამოსასწორებლად მაშინვე გადავდგი ნაბიჯი და პარტსასჯელის მოხდის ანგარიშში წამოვედი სახელოსნოში დაზგაზე მომუშავედ.

ჩემის ფიქრით, მე ყოველმხრივ ვცდილობდი ჩემს მიერ გამრუდებული ხაზის გამოსწორებას; უჯრედები, როგორც კომკავშირის (სადაც მე დღესაც ვითვლები ძირითად მომუშავედ) ისე პარტიის ყოველმხრივ ხელს მიწყობდენ მუშაობაში, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ისიც, რომ უჯრედმა სრულიად არ გამოიყენა ჩემი ცოდნა და გამოცდილება კულტურულ ფრონტზე მუშაობის საქმეში. მე ერთი მხრივ ვთაკილობდი კიდეც და თავის დამცირებად მიმაჩნდა (რაიცა უთუოდ შეცდომაა, უმსგავსო „ყოყოჩობა“) მიმემართა უჯრედის ხელმძღვანელისათვის, მოეცა ჩემთვის რაიმე დატვირთვა. თვითონ ისინი კი ნაკლებად ფიქრობდენ ჩემს დატვირთვაზე. ასე მიდიოდა დღეები და მე თითქმის გადავეჩვიე პარტიულ მუშაობას, დისციპლინას და ის ჭარბი ძალღონე და ენერგია, რაიც უთუოდ გამაჩნდა მე და ცოდნა, რომელიც შემეძლო სხვისთვის გამეზიარებია, უსაქმოდ ხეტიალში ჩავკალი და ამით საკუთარ თავსაც ზიანი მივაყენე.

ამ გარემოებამ ჩემზე ძალიან ცუდი გავლენა მოახდინა, ეჭვები დაბადა (შეიძლება უსაფუძვლო ეჭვები) ჩემში; რაც ყოველდღე იზრდებოდა, რადგან მე მაშინ ასე ვფიქრობდი: „რაკი უჯრედი წინანდებურად არ მეძახის პარტიულ

თუ სხვა საქმეზე, რაკი მოხსენებებს არ მაკალებენ, თუ გინდ ავიაქიმის მნიშვნელობის შესახებ, არ მტვირთავენ, არ მეკითხებიან ამათუიმ მნიშვნელოვან საკითხის გადაჭრის დროს, მაშასადამე უნდო თვალით მიყურებენ", „რად გინდა პარტიის ისეთი წევრობა, სადაც არ გენდობიან და სადაც ყველაფერი შენი მონაწილეობის გარეშე კეთდება?" — ვეკითხებოდი მე თავისთავს და პასუხს ვერსაიდან ვიღებდი. ამას მიემატა ის გარემოებაც რომ სახელოსნოს დირექტორმა ინჟენერ ბაზიარმა, მთელი ორი წლის განმავლობაში არ ისურვა ჩემი სპეციალობის მიხედვითაც კი დატვირთვა, რამაც სამუშაოზედაც ამიცრუა გული და თუ შარშან პირველობა მერგო სოციალისტურ შეჯიბრებაში, წელს ისე წამიხდა ხასიათი და დამეკარგა მუშაობის ხალისი, რომ შავი დაფის კანდიდატი გავხდი. ეს ლაქა არასოდეს ამოიშლება ჩემს „პირად საქმეში" და მე აქ თავს არ ვიმართლებ, მაგრამ მე ხომ ძალლონით სავსე ახალგაზრდა ვარ, მაქვს სათანადო ცოდნა და ცოდნის გამოყენების უნარი, როგორც პოლიტიკურ ისე სპეციალურ ტექნიკურ ფრონტზე, ამიტომ როცა შევატყვე, რომ ყოველ მხრივ გვერდს მივლიდენ, როგორც უჯრედში ისე წარმოებაში, გვერდს მივლიდენ და გაბითურებული ვეჩვენებოდი ყველა ჩემს ამხანაგებს, დავკნინდი საკუთარ ცოლის თვალშიაც, რაც საბოლოოდ ოჯახურ დრამად გადაიქცა, დავკარგე წონასწორობა და პირდაპირ ვიტყვი, ჩემდაუნებლიეთ არაპარტიულ გზას დავადექი.

დიდია შემი შეცდომა, რაიცა ნაწილობრივ ჩემი მერყევი ხასიათიდან და ეჭვიანობიდან გამომდინარეობდა, (ხანდახან მართლა და არ გწამდა სოციალისტურობა ჩვენი მშენებლობის, იყო შემთხვევები, სოციალისტურ შეჯიბრებას, ხელოვნურად შექმნილ მუშათა ექსპლოატაციას ვეძახდი, მუშათა ფიზიკურ განადგურების საქმეს, მაგრამ ეს იყო უშუალო შთაბეჭდილების თეორიიდან გამომდინარე შეცდომები, რომელიც მე უკვე ვაღიარე უჯრედში). მაგრამ უჯრედიდან რომ სათანადო დახმარება ვერ მივიღე ამ ჩემი უკანდაქანების პერიოდში, ეს უდაოდ მიმაჩნია.

გულწრფელად ვაღიარებ ყველა ჩემს შეცდომებს, მაგრამ ამასთანავე მოვითხოვ შეცდომათა სრული დაძლევისათვის, მეტ სამუშაოს, მეტ დატვირთვას, მეტ ნდობასა მიახლოვებას. მე მაქვს უნარი მუშაობისა, მე მაქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება. მომეცით სამუშაო, მომეცით მეტი გასაქანი და ხშირად შეამოწმეთ ნამუშევარი.

რეკონსტრუქტიულ პერიოდში ჩემისთანა კვალიფიციური ძალები, ჩემის ფიქრით მეტად საჭირონი არიან, ვინემ ეს სახელოსნოს ზოგიერთ ადმინისტრატორს წარმოუდგენია, უჯრედმა აქ უნდა სთქვას თავისი სიტყვა და ისეთ სპეციალისტებს, როგორც ინჟენერი ბაზიარია, რომელიც ვერ ინელებს ახალი კადრების წამოზრდასა და გააქტიურებას, თარეშობის მადა აღუკვეთოს.

მე არ გაურბი დაზგას, მაგრამ დაზგასთან უმართებლო დასილოსება მავნებლობად მიმაჩნია, მით უმეტეს მაშინ როცა სხვა, მეტად საპასუხისმგებლო საქმეზე უფრო საჭირო ხარ და გამოსადეგი.

ვაცხადებ თავს დამკვრელად მიმდინარე წლის პირველ კვარტალში და და ვიწვევ ჩემს საამქროში მომუშავე ყველა პარტიულსა და კომკავშირელს".

კომუნისტური სალმით: ბ. ბუთხუზი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქა იქ ტაში ამოძრავდა.

ბევრმა ბუთხუზისაკენ მიაპყრო თვალები.

ბევრი გაღიმებული უცქეროდა კუთხეში მიკუჟულ ბუთხუზს და მის ენაწყლიანობას ნატრობდა.

ბუთხუზი კი კუნძივით იჯდა თავჩაქინდრული და ადგილიდან არ იძვროდა.

— ვის აქვს შეკითხვები ამხანაგებო? — განაცხადა თავმჯდომარემ და კრებას გადახედა.

— კამათი გახსენით — მოითხოვეს ერთხმად უჯრედის წევრებმა.

— გოგლა! ჩამწერე კამათში! — წამოიძახა ადგილიდან კომბალამ.

— მეც მინდა სიტყვა — განაცხადა ნურამ და შუბლზე ჩამოყრილი თმები თითებით გადივარცხნა.

— მაშ გავხსნათ კამათი, ამხანაგებო! სიტყვა ეძლევა ამხანაგ კომბალას.— განაცხადა კრების თავმჯდომარემ და კომბალა ფიცხლავ ტრიბუნაზე გაჩნდა.

— ამხანაგებო! — მღელვარე ტონით დაიწყო კომბალამ.

— კომბალ!

— ჰა, რეჩი უნდა თქო! — შესძახეს კომბალას ამხანაგებმა.

— კომბალ ორატორობაც უნდა ისწავლო?!

— დამაცათ, ამხანაგებო!

— კარგი ერთი დიდკაცობას თავი გაანებე, თორე...

— სიჩუმე ამხანაგებო! — გაცხარდა კრების თავმჯდომარე და ლაზღანდარობისა და ოხუნჯობის ხასიათზე მოსულმა რამდენიმე კომკავშირელმა სული გატრუნეს.

— ამხანაგებო! — დაიწყო ისევ კომბალამ და ოფლიანი შუბლი მოიწმინდა. კრებას გადახედა და სიტყვა ყელში გაურჩა.

— კომბალ, გიშველოთ?! — ვერ მოითმინა, რომელიღაც კომკავშირელმა.

— განაგრძე კომბალ! — მიუბრუნდა კომბალას კრების თავმჯდომარე და კომკავშირელთა იმ ჯგუფს საიდანაც წამოძახილები ისმოდა, მკაცრად გადახედა.

— როგორც ამხანაგ ბუთხუზის განცხადებიდან სჩანს — მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე კომბალამ — გამოდის, რომ ბუთხუზი ცამდის მართალია ყველაფერში, ხოლო დამნაშავე კი უჯრედია და უჯრედის ხელმძღვანელები. ნუთუ მართალია ეს ამხანაგებო? ნუთუ მართლა ისე ხდებოდა ყველაფერი ჩვენს სახელოსნოში, როგორც ეს ბუთხუზის განცხადებაშია აწერილი?!

— პირდაპირ ილაპარაკე, კომბალ, პირდაპირ! — წამოიძახა ვიღაცამ კრებიდან.

— დამაცა კაცო! — ბუთხუზი სწერს რომაო, მე განათლებული კაცი ვარო, მერე და შე ოხერო, წელიწადი თორმეტი თვეა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მასწავლებლები ვერ გვიშოვია, ნუთუ ამ ხაზით მუშაობა დატვირთვათ არ ჩაგეთვლებოდა?!

— როდის მიმიწვიეთ? — წამოიძახა ადგილიდან ბუთხუზმა.

— მიგიწვიეთ, მაგრამ არ ისურვე მუშაობა, „მაღალი საფეხურის სკოლა მომეცითო“.

— თუ მუშაობა გინდოდა მაღალი და დაბალი განა სულერთი არ იყო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ ერთი რად იყო, როცა მაღალი საფეხურის სკოლაში სრულიად უცოდინარი მუშაობდა, მაშინ და ეხლაც ისეთივე უვიცის ხელშია ეგ საქმე.

— კარგი, ვთქვათ აქ არ მოგეწონა, მაგრამ პოლიტსკოლაში რომ მიგიწვიეთ?

— პოლიტსკოლაში მიმიწვიეთ და რუსული წერაკითხვის გაკვეთილები მომეცით.

— მერე? ნუთუ ესეც სათაკილო იყო?

— რატომაც არა. მე უმაღლესი ცოდნა მაქვს მიღებული, სათანადო გამოცდილება პარტიულ მუშაობაში, იქ კი პოლიტეკონომიას პარტსკოლის მსმენელი კითხულობდა მე ეს რა თქმა უნდა შეურაცხყოფად მივიღე.

— მაშინ, გამოდის რომ თქვენ დატვირთვას გაძლევდენ უჯრედში ამათუიმ სახით, მაგრამ მუშაობის ხასიათი, ანუ თვითონ სამუშაო არ მოგწონდათ ამხანაგო ბუთხუზო და არა ისე, როგორც ამას წერთ თქვენ განცხადებაში. ამხანაგებო! ახლა თვითკრიტიკის პერიოდია და მე ვფიქრობ, რომა უმჯობესი იქნებოდა ამხანაგ ბუთხუზსა საკუთარი თავის თვითკრიტიკა უფრო გაეწია და სინამდვილე ეჩვენებია პარტიისა და კომკავშირის უჯრედისათვის. შეცდომები ვის არ მოუვა ამხანაგებო! მეც მქონდა ჩემი პირადი შეცდომები, — დალევა მიყვარდა, — როცა შენიშვნა მომცეს ამხანაგებმა, მე შევეცადე მისი გამოსწორება და დღეს თქვენ იცით, რომ მე დღეებს აღარ ვაცდენ წარმოებაში, დალეული არ მოვდივარ და არ ვთაღლითობ. ჰო, და ბუთხუზს, რომ საკუთარ შეცდომებზე უფრო მეტი ეთქვა თავის განცხადებაში, უფრო ნათლად გაეშუქებია უჯრედის მისდამი დამოკიდებულება...

— დაიცა, კომბალ! საკუთარ შეცდომებს უკვე მორჩი?!

— მე ყველაფერი ვთქვი, ამხანაგებო! — გაიღიმა ოდნავ კომბალა და თავზე ხელი გადისვა, შეწყვეტილ წინადადების მეხსიერებაში აღსადგენად.

— ნუთუ მეტი ცოდვები არაფერი გაქვს, კომბალ?!

— დამაცათ ერთი! — გაცხარდა ახლა კომბალა და ამხანაგებს კუშტად გადახედა.

— დალევა რო გიყვარდა ეს კარგი, მაგრამ გოგოებს, რო ეხლაც დასდევ, რატომ იმაზე არაფერი თქვი შენს თვითკრიტიკაში, ჰა? — არ ისვენებდა ნაცნობი ხმა.

— გეყოფათ მეთქი!

სიჩუმე ამხანაგებო! — წამოეხმარა კომბალას კრების თავმჯდომარე.

— რაზე შევჩერდი?! — ჩაღუნა თავი კომბალამ, მაგრამ ვერაფერი მოიგონა და დარბაზში შეიქნა სიცილი.

— შემოგაკლდა, კომბალ? —

— გიშველოთ? —

— სიჩუმე ამხანაგებო! რასა გავს ეს ნუთუ უჯრედის სხდომაზე პირველად ხართ.

ამხანაგო სტეფანე, ეგ თქვენი სისუსტეა უეჭველად.

— ჩემი რატომ? — აღელდა კატორღელი სტეფანე, გოგლას ასეთ მომართვაზე და კრების დარბაზი უაზროდ ჩაათვალიერა.

— კომკავშირის უჯრედზე თქვენა ხართ მიმაგრებული, აი რატომ.

— მერე?

— მერე და კრებაზე როგორ ისხდენ ის არ იციან თქვენი უჯრედის წევრებმა.

სტეფანე აილეწა ასეთ შენიშვნაზე, მაგრამ თავმჯდომარე ახლა კრებას მოუბრუნდა: „თუ კიდევ ვინმე ხმას ამოიღებს, კრებიდან გავაძევებ“.

სიჩუმე გამეფდა უჯრედის სხდომაზე.

კომბალამ სული მოიბრუნა ამ ხნის განმავლობაში და ახლად აზრშემოკრებილმა ისევ დაიწყო.

— ამხანაგებო! მაშასადამე არ არის მართალი ის ბრალდება თითქო ამხანაგ ბუთხუზს პარტიულ თუ სხვა დატვირთვას არავინ აძლევდა. ის კი მართალია, რომ ბუთხუზმა იუკადრისა ზოგიერთი სამუშაო უჯრედის მიერ მითითებული და დავალებული შესასრულებალდ. არც ის არის მართალი თითქო ბუთხუზს უნდო თვალით ვუცქეროდით ჩვენს უჯრედში.

— მე ვამბობ „მე ასე მეჩვენებოდა“ მეთქი — შენიშნა ბუთხუზმა ადგილიდან.

— შენ, შეიძლება ბევრი რამ უკულმა გეჩვენებოდეს, მაგრამ ამაში უჯრედი როდია დამნაშავე. უჯრედმა რამდენჯერმე სცადა თქვენი მომხსენებლად გამოყენება, როგორც უჯრედში, ისე საერთო კრებაზე, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ პოლიტიკური ხასიათის საკითხებს ბუთხუზი ორაზროვნად და ბუნდოვანად აშუქებდა შემდეგ შესწყვიტა მოეცა თქვენთვის მოხსენებები.

— კი, მაგრამ რატომ აქამდის არაფერს ამბობდით ამ ორაზროვან მოხსენებების შესახებ?

— პასუხი ის იყო, რომ მოხსენებას აღარ გაძლევდით, თვითონვე შენ არ სწერ, რომ ხშირად სოციალისტური შეჯიბრება, მუშათა მასების ფიზიკურ განადგურებად მიმაჩნდაო, ამაზე მეტი ორაზროვანი და თუ გნებავს კონტრევოლუციონური რაღა იქნება? ერთი სიტყვით მე უნდა განვაცხადო რომ უჯრედი ყოველთვის ცდილობდა დახმარებოდა ამხანაგ ბუთხუზს შეცდომების გამოსწორებაში.

— მე ამას არ უარვყოფ...

— უჯრედი ყოველ ღონეს ხმარობდა დაეტვირთა ამხანაგი ბუთხუზი პარტიული და საზოგადოებრივ ხასიათის სამუშაოებით.

— უჯრედი ყოველთვის ცდილობდა ბუთხუზის ცოდნის გამოყენებას, მუდამ დავა ქონდა სახელოსნოს ადმინისტრაციასთან და ეს დავა დღესაც არ არის დამთავრებული...

— მეც მაგას ვწერ ჩემს განცხადებაში, რომ არ არის დამთავრებული.

— შენ კი სწერ მაგრამ ცოტა სხვა ნაირად სწერ.

— მაინც?

— ბაზიარის მოხსნას მოითხოვ ჩემო ძმაო და ჩვენ...

— ცილისწამებაა. მე ვამბობ: უჯრედმა გარდამწყვეტი ზომები უნდა მიიღოს ასეთი სპეცების წინააღმდეგ მეთქი.

— გარდამწყვეტი, სწორედ ეგ არის. ბაზიარი წინააღმდეგია შენი დაწინაურების, ჩვენ ვედავებით მას ამ საკითხში, ვედავებით მაგრამ ჯერ-ჯერობით შედეგს ვერ მივახწიეთ.

— საჭიროა შედეგს მიახწიოთ.

— ერთმართველობა?!

— განა ერთმართველობა იმას ნიშნავს რომ, რომელიმე ინჟენერს განუსაზღვრელი უფლება მიეცეს თავის შეხედულებისამებრ ატრიალოს წარმოებისა და მუშების საქმე?

— ამ საკითხზე მე მომეცით ამხანაგებო — ითხოვა სიტყვა კომკავშირის უჯრედის მდივანმა მიტრომ, როცა შეატყო, რომ კომბალამ მოისუსტა ერთმართველობის სწორად განმარტების საკითხში.

— კომბალ გაათავე რაღა!

— კარგი გავათავე, ჰა! — კომბალა უკმაყოფილოდ დაიძრა ტრიბუნიდან და თავის ძველ ადგილას გაჩნდა.

— კარგი რეჩი თქვი აი, ჩემმა მზემ! — შემოესივნენ კომბალას ამხანაგები. — შენ რო მაგრა არ მიარტყი, ბუთხუზი საკუთარ ნაჭუჭში ჩაძვრა ლოკოკინასავით, თავის მაღლა აწევისა ეშინოდა?

— ისე, რა ცოდნა აქვს მაგ სახე ძაღლსა!

— კარგი მცოდნეა განა!

— სულ ზეპირად იცის მარქსი, ენგელსი, ლიბკნეხტი, და ლოზანა.

— კარგი წერაც ცოდნია.

— მოსკოვში ტყვილა იჯდა ორი წელიწადი? წერა იცის და ცოდნა აქვს მა, შენსავით ხეპრე ხომ არ იქნება.

— არა, კომბალ, მოდი და შენ თვითონ თქვი, ცოდო არ არი ბუთხუზი რომ შენ გვერდით მუშაობდეს და შენოდენას იღებდეს?!

— რად არის ცოდო?

— ეჰ! — ჩაიქნია თავი კომკავშირელმა ქიტომ.

— რა, რას იბერები?

— ცოდოა, მა რა არი, შე ოხერო, შენა. კაცს ამოდენა უსწავლია და ერთბაშად შენს გვერდით მოშაობს.

— მერე რა მოხდა?! ერთი შენც ინტელიგენტობ რაღაცას.

ტრიბუნაზე მიტრო ლაპარაკობდა.

— დიახ, ამხანაგებო! ბუთხუზი არ არის მართალი, როცა უჯრედს ედავება დაუხმარებლობაში. ჩვენ მას ყოველმხრივ ვეხმარებოდით. ვეხმარებოდით სადაც კი შეიძლებოდა და რამდენიც შეგვეძლო, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბუთხუზის შეცდომები საერთოდ შემთხვევითი ხასიათის არ არიან, მაგრამ ზოგჯერ, როგორც თვითონ აღნიშნავს, მისი უშუალო შთაბეჭდილებებიდან გამომდინარეობენ, ამიტომ დღევანდელი, ვთქვათ, მისი „მემარცხენე“ ხასიათის შეცდომა, ხვალ გადადის მემარჯვენეობაში... ანუ უკიდურესობიდან — უკიდურესობაში, ჯერ იყო და ბუთხუზი საუკეთესო დამკვრელი იყო. პირველობა ირგო შეჯიბრებაში, წელს კი შავი დაფის კანდიდატი გახდა. ამჟამად თავს დამკვრელად აცხადებს და მე მჯერა, რომ ბუთხუზი სახელოვანი დამკვრელი გახდება. ავიღოთ ახლა მისი ოჯახური საკითხი.

— ოჯახური რა საჭიროა — შენიშნა ვიღაცამ.

— რატომ არ არის საჭირო, აქ ჩვენი საერთო ოჯახია და ყველაფერი გულახდილად უნდა ითქვას — დაუმატა მეორემ.

— უნდა ითქვას ამხანაგებო, დაემოწმა მიტრო იმას ვინც ისე კატეგორიულად მოითხოვდა ოჯახურ საკითხების უჯრედზე გამოტანას — ბუთხუზი წინად მეშჩანურ ჭაობში იყო გადავარდნილი, ერთგვარი მონა-მორჩილი ფუქსავატი

ცხოვრების, გალაქული ოჯახის, დღეს კი სავსებით ჩამოშორდა ის ასეთ ოჯახს, გაიქცა ასეთი ოჯახიდან.

ასეა, სხვა საკითხებშიაც. ერთი სიტყვით უკიდურესობიდან უკიდურესობისაკენ. უჯრედმა მრავალჯერ გაკიცხა ბუთხუზის ასეთი საქციელი, მრავალი საყვედურები და გაფრთხილება გამოუტანა, მაგრამ ასწორებდა რა ბუთხუზი ერთ შეცდომას უშვებდა მეორეს და ასე ეს გრძელდებოდა დღემდის. სწორია ბუთხუზის შენიშვნა ადმინისტრაციასთან დამოკიდებულების საკითხში, მაგრამ ეს არ არის ძირითადი ბოროტება, ძირითადი, ასე ვსთქვათ, ჯადო, რომლის ამოგდებით შეიძლებოდეს ბუთხუზის მორიგ შეცდომებიდან დახსნა და დაზღვევა ჩვენ შევსძლებთ ინჟენერ ბაზიარის მოდრეკას ამ შემთხვევაში, მაგრამ აქედანვე ვაცხადებთ, ბუთხუზის შეცდომები ამ საკითხიდან არ გამომდინარეობენ. შეიძლება ის ერთერთი დამხმარე ძალა იყოს სხვა უფრო ღრმა და სერიოზულ მიზეზების გასწვრივ და არა ძირითადი ბოროტება, როგორც ეს ბუთხუზს წარმოუდგენია. ბუთხუზის შეცდომების ძირი — ეს მისი ბიოგრაფიაა მთლიანად.

დასასრულ, გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია, მე მჯერა ამხ. ბუთხუზის განცხადების სრული გულწრფელობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყურადღებიდან გამოუშვათ ამხანაგ ბუთხუზის თუ გინდ გუშინდელი, სერიოზული შეცდომები, ჩვენ გვჯერა მისი განცხადების ბოლო ნაწილი მაინც, რომ ის კარგი დამკვრელი გახდება წარმოებაში, მაგრამ ჩვენ უპირველეს ყოვლისა ველოდებით ბუთხუზის იდეოლოგიურ გამოსწორებას.

დარბაზი შეიშმუშნა.

— ნუთუ მეტი არაფერი თქვა უჯრედის მდივანმა? — გაიფიქრა ერთმა თავისთვის.

— ნუთუ ამდენ შეცდომებს აპატიებენ? — დაუმატა მეორემ.

— ზოგიერთს პირველსავე შენიშვნაზე აპანღურებდენ და... დაასკვნა მესამემ.

ბუთხუზი ისევ კუნძივით იჯდა თავჩაქინდრული და გვერდზე გადახედვასაც ერიდებოდა. ათასგვარი ფიქრი უტრიალებდა მას თავში. „ვაი თუ განცხადება გულწრფელად არ ჩამითვალონ და გამრიცხონ პარტიიდან“. „ვაი თუ“... და ტრიბუნაზე ახალა ნურა გამოჩნდა.

„ახლა კი დავიღუპე — გაიფიქრა ბუთხუზმა და ქუდი ცხვირამდის ჩამოიფხატა — ნურა ჩემზე გულმოსულიც იქნება გუშინდელ შეხვედრის შემდეგ. გარდა ამისა ნურა ხომ ჩემი საცოლე იყო, სანამ ქეთოს გავეცნობოდი.

ბორიას გააჟრჟოლა ნურას გახსენებაზე, მით უმეტეს როცა ფიქრები მის ცოლად შერთვის ამბავს უახლოვდებოდა. ტრიბუნაზე კი ნურა გაანჩხლებული ისროდა გაზეპირებულ სიტყვებს და ბუთხუზის საქციელს კიცხავდა.

— თუმცა უნდა ითქვას ისიც რომ — განაგრძობდა ნურა და ხელს ნაცად ორატორივით იქნევდა სივრცეში — ბაზიარის დამოკიდებულება ბუთხუზისადმი ფრიად ამაღელვებელია და შეუწყნარებელი. ბაზიარს არ მოსწონს ბუთხუზი, ბაზიარი გაურბის ბუთხუზის დაწინაურების საკითხზე საუბარს და ამას უთუოდ ბოლო უნდა მოეღოს აქ. ბუთხუზის საკითხი დგას, როგორც პარტიის წევრის დაწინაურებისა და წინწაწევის საკითხი და არა ბუთხუზის, როგორც პიროვნების.

ამხანაგი მიტროს თქმისა არ იყოს მე მჯერა, რომ ბუთხუზი ყველა ამ შეცდომებს გამოასწორებს, მაგრამ უდავოა ისიც რომ მათი გამოსწორების მსვლე-

ლობაში, ახალს რაიმე შეცდომას დაუშვებს. ბუთხუზი ხომ პერმანენტჩიკია საერთოდ...

დარბაზში იცინიან. ნურა ჩამოდის ტრიბუნიდან თმების სწორებით დარბაზისაკენ მოეშურება.

ტრიბუნაზე კი ერთმანეთს ცვლიან ორატორები. ზოგი რას იგონებს და ზოგი რას, ბუთხუზის წარსულიდან, მისი დღევანდელი ყოფაცხოვრებიდან. აქებენ ბუთხუზს, არც ისე შორეულ წარსულში, მუშაობისთვის, მაგრამ ერთსულოვნად ამათრახებენ ბოლო წლებში ჩადენილ შეცდომებისათვის.

— ჩვენ გვიყვარს ბუთხუზი — ამბობს მექვაბე გალაქტიონი, — გვიყვარს, როგორც იმთავიდანვე საუკეთესო კომკავშირელი, საუკეთესო პარტიის წევრი და მოწინავე ამხანაგი, მაგრამ ჩვენ ხელი არ აგვიკანკალდება ბუთხუზის პარტიის რიგებიდან გასარიცხავად, თუ კი ის ამ ბოლო შეცდომებს სავსებით არ გამოასწორებს.

ჩვენ პატივს ვცემთ ამხანაგ ბუთხუზს წარსულ მუშაობისათვის — განაგრძობდა გალაქტიონი — 1924 წლის მენშევიკურ ავანტიურის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, მაგრამ — აქ სიტყვა გამოაგრძელა მექვაბე გალაქტიონმა — მაგრამ თუ ამხანაგი ბუთხუზი ისევ განაგრძობს მერყეობასა და გზააბნეულ მუშაობას, როგორც დღემდის, ჩვენ მზად ვართ ის თავიდან მოვიშოროთ, როგორც პარტიისათვის ზედმეტი ბარგი.

დღესდღეობით კი სრულიად ვეთანხმები უჯრედის ბიუროს შეხედულებას, სადაც ნათქვამია, რომ „მიეცეს ბუთხუზს უკანასკნელი გაფრთხილება და თვალყური ედევნოს მის ყოველდღიურ საქმიანობას“.

ჩვენთვის ძვირფასია ყოველი ამხანაგი სანამ ის გადაგვარდებოდეს, ხოლო როცა გადაგვარებაზე მიდგება საკითხი: вон из партии აი, ჩვენი უკანასკნელი გადამჭრელი პასუხი.

კრება დასრულდა ოთხი საათის კამათის შემდეგ და თავბრუდახვეული ბუთხუზი მარტოდმარტო აედევნა ტფილისის ქუჩებს.

ბუთხუზს უხაროდა კამათში გამოსულ ამხანაგების გამბედავი ტონი, ამხანაგური დამოკიდებულება და უკვირდა მოურიდებლად რომ ამათრახებდენ მას „უმნიშვნელო“ შეცდომისთვისაც კი.

„არა, ვეცდები და ვნახოთ“... — დაასრულა ფიქრი ბუთხუზმა და სასტუმროს მიუახლოვდა.

— „ეჰ! მარტოდმარტო“. წაილუღლუღა მან ოდნავ გასაგონი ხმით და სასტუმროს მაღალ კიბეებზე შედგა ფეხი.

შუალამე იყო.

რომელიღაც მდგმური თავგამოდებით რეკდა ელზარს და თვალებდაბრეცილი მსახური ზმორებით მიბარბაცებდა სასტუმროს ვიწრო დერეფანში.

1931 წ. იანვარი — თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიან ლეგიონები

გალაქტიონ ტაბიძე

დამკვრელებს
ვაშა! სალამი!
ქართველი თუ ალჟირელი, —
მტრისათვის მწარე წალამი,
გუგუნებს კომკავშირელი:
— არა მორჩილი მონები,
არამედ შიშ-შთამგონები,
ამფეთქებლები მოდიან,
მოდიან ლეგიონები!
დამკვრელებს,
როგორც წესია,
ძმად არ სწამთ უიმედონი.
ჩვენი მზე რიონჰესია,
ჩვენი გზა — რკინა-ბეტონი.
ასწი მკლავით და გონებით
ხუთწლედიანი ტონები:
ალმშენებლები მოდიან,
მოდიან ლეგიონები!
გმირული
ტემპით ვაშენოთ!
ვთესოთ! ავკრიფოთ! ვიღონოთ!
არ ვარგა, — გადავაშენოთ,
სხვა კარგი გამოვიგონოთ!
არა მორჩილი მონები,
არამედ შიშ-შთამგონები,
შეჯიბრებისთვის მოდიან,
მოდიან ლეგიონები!
ხელდაკრეფილი
და მუნჯი
მოწმე არავის სჭირდება;
აქტივობაა საუნჯე,
როს მტერი აგიხირდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მორჩილი მონები,
არამედ შიშ-შთამგონები,
ჩვენს დასაცავად მოდიან,
მოდიან ლეგიონები.
ძირს შიში, —
იგი მკვდარია!
ჩვენ არ ვუსურვებთ ამ შაბლონს
მსოფლიო პროლეტარიატს,
სოციალისტურ სამშობლოს.
ასწი მკლავით და გონებით
ხუთწლედიანი ტონები,
კომუნის განსამტკიცებლად —
მოდიან ლეგიონები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამი ლექსი თებერვალზე

ირაკლი აბაშიძე

ბიცოლაჩემის შესახებ

ბიცოლაჩემიც
იმ ფენიდან გთხოვთ არ გარიყოთ,
ვისაც ქართული ოქტომბერი ფოსტით გადასცეს;
ბიცოლაჩემმაც
თებერვალი იმით გაიგო,
ფულის ნიშნები რომ შესცვალეს კვერცხის ბაზარზე.

ის ყიდდა კვერცხებს,
მისი ფიქრი იყო ლოდინი,
რომ მოსულიყო სატრიალოდ
ფული, დაე, სხვა.
იგი ითხოვდა კვერცხის ფასად
მტკიცე ვალუტას,
რომ დაქანებულ ბონებისგან
თავი დაეხსნა.

მაგრამ, ვფიცავ მე,
ბიცოლასი მახსოვს ბუნება,
ფულის დაზგისთვის ნუ დასწამებთ ბრძოლას ნურავინ,
იგი იღებდა ყოველ ნიშანს,
რასაც უენებლად
ხონის ბაზარზე ექნებოდა ყიდვის უნარი.

და როცა ბონი
არქივების თანხად გადასდეს
და სატრიალოდ საბჭოების გაჩნდა მონეტა,
მას მისცეს ნაღდად
თვითონ ხონში,
კვერცხის ბაზარზე,
და შეიძლება მართლაც ფოსტის თანამშრომელთაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვფიქრობ ახლა,
როცა ხსოვნა კვლავ მიბრუნდება
და სტრიქონებში მოგონების გუნდებს ვუძღვები:
მხოლოდ და მხოლოდ
ბიცოლაჩემს ქონდა უფლება
რევოლუცია განეცადა ფოსტის უწყებით.

რესპუბლიკა, მშრომელთაგან უარყოფილი

სამი წლის გზაზე
ირყეოდა მართვის უღელი,
ჯანყი და ჯანყი,
ამბოხების რაზმთა ჭენება;
სენტიმენტალურ დღიურებით
ამბობს ჯუღელი,
რომ ერთი დღითაც არ ქონია
მას დასვენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მინდა ასე:
ეს ამბავი იყოს ცნობილი,
იმ საფუძვლიან დებულებას
ხაზი გაესვას,
რომ რესპუბლიკა,
მშრომელთაგან უარყოფილი,
მრავალრიცხოვან აჯანყების ხარჯზე დაეცა.

პირველი საბჭოთა თოვლი

თებერვლის დღენი,
თოვლიანი თებერვლის დღენი,
ყმაწვილ გონებას რომანტიკით არ მისვენებენ.
ხონის ქუჩებში
ორთქლიანი სამხედრო ცხენი
და მგზავრობაში გალაფული გარნიზონები.
თებერვლის დღენი
გონებაში ცეცხლის თარიღად
ჩამრჩეს,
სანამდე სულიერთა რგოლში ვიქნები.
აქ იყო ძმური დახმარება,
ძმური ჯარის ხმა,
ჩრდილოეთიდან გამარჯვებულ ბოლშევიკების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი წინადღე:
ერობიდან სადღაც გარბიან,
ხელისუფლების ძლიერება ბედმა გარიყა,
უკანასკნელი დავალება შესძლო გვარდიამ
და მიყრუებულ დედაბრებში
შექმნა პანიკა.

ფრონტიდან ფრონტზე დამარცხებამ
და შემოტევამ
მოხალისენი მტაცებლების ხროვად აქცია;
ხონის უბნებში
დატრიალდენ პატრიოტები,
როგორც განწირულ მენშევიზმის პროვოკაცია.

და დამრჩა თვალწინ
მტაცებლობის სახე ნამდვილი,
ჩემი ცხოვრების მთელ მანძილზე მოსაგონებლად,
საკურთხევლიდან გატანილი განძი მარტვილის
და უსირცხვილოდ გაქურდული
ხალხის ქონება.

იმ ღამით ხონში
უზრუნველად სთოვდა ეზო-კარს.
განიარაღდა გვარდიელთა რაზმი დაშლილი,
დარეკა ჟამმა,
მენშევიზმის მიდის ეპოქა,
ვით დანჯღრეული თვითმავალი მაზნიაშვილის.

დილით თოვლი ძევს
თებერვალის სუსხმა მოსწურა.
მოლოდინი და მყუდროება დგას საკვირველი.
დილით თოვლი სძევს,
რა კრიალა თოვლი მოსულა,
თოვლი მოსულა,
საბჭოების თოვლი პირველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

917-ის გენერალური რეპეტიცია

გიორგი კაჭახიძე

მოსჩანს ეგ წლები
შეტევებზე მომქმედ ჯარივით,
განვლილ ცხოვრების ჭაობიან სადგურებიდან...
მოგვძახის ეგ დრო
თავგანწირულ ჯანყოსანის ხმით,
რომელსაც გულში მწვავე ბოლმა დაგუბებია.

მართალი გითხრათ,
ეგ ბრძოლები მე არ მინახავს, —
მე არ მინახავს სარდაფები ამხედრებული...
მაგრამ იმ დღეებს თქმულებებით გულში ვინახავ,
როგორც სიცოცხლეს და სიყვარულს მაღალ სხეულით.
და ვმართავ სიტყვას...
მაგრამ სიტყვა წუთით არ ჩემობს
უფროსთა გმირულ თავდადებას, ცეცხლში გადაშლილს.
ვინ მოვატყუო!
იმპერიას გლეჯდენ ჩემამდე, —
ვარ უწარსულო ამ შემთხვევაში.

მე შემდეგ დროთა შობილი და გამოზრდილი ვარ.
მე არ მხლებია იმპერიის შავი კედელი.
ვარ სიჭაბუკე,
გამოსული შრომის ზვირთიდან,
რეკონსტრუქციის დღის მკეთებელი.
ჩემი ჯანი და სიხარულიც აქ ვაჟკაცდება.
სიმშვენიერე ჩემს ცხოვრებას მე აქ ვარგუნე.
ვძლევ სიძნელეებს,
ვებრძოლები გზებზე დაცემას,
და ვზრდი სახეებს, კომუნიზმით ჩემში დარგულებს.
სხვა სინამდვილე ამის გარდა იქნებ არ ვიცი,
მაგრამ არ ნიშნავს, რომ წარსული მე არ მიცვნია.
რეკონსტრუქციის ფრონტებიდან ბრძოლით განვიცდი
ცხრაას-ჩვიდმეტის გენერალურ რეპეტიციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაქვს უფლება
დავიყვირო მეც ამ გრიგალზე,
ახლო ბრძოლებში
რომ შემტევი ცეცხლით ვგრგვინავდეთ.

[redacted]

მაშინდელობა
ხომ გრიგალია,
დღე მქუხარი და
დღე გაბოლილი,
ზღვის რეიდიდან
მთებს რომ გადიარს
და დაეცემა
მინდვრებს ორბივით.
მაშინდელობას
ღელვის ძარღვი აქვს...
ღელვას მიჰქონდა
ძველი რუსეთი.
მაშინდელი დღე
შრომის ნალმია,
სასახლეებზე
ხალხის მიმსევი.
რა უნდოდა ხალხს?
— პური და მიწა,
უფლებისათვის
მტვრევა ბორკილის...
ხმელეთი
ცეცხლის ზვირთად დაირწა,
ზღვაზე
აფეთქდა „პოტიომკინი".
ბოლმა
მან გულში ვერ დაატია.
მიწის სიავით
ზღვებიც აბორგდა.
გამამხნევებლად
ქუხდა ბალტია,
და ეძლეოდა
ჯანი პეტროგრადს.

[redacted]

შენც, საქართველოვ ქოხებისავ,
იყავ მგრგვინავი,
ბარიკადებად გაგეხადა მთა-მაღლობები.
იმ გმირობის ჟამს,

ბრძოლისა და გარდა გრიგალის,
შენ არ გყოლია სხვა მახლობელი.
ბორგავდა მასა
ქოხებიდან ტყვიით, კეტებით,
სასახლეების სიველურით გულგატეხილი.
ყვიროდა მასა
ქალაქიდან რკინის მკვეთელი,
რომ შეგეტეხა იმპერიის ციხის გრეხილი.
არ იყო ფიქრი
სიკვდილზე და არც სიყვარულზე.
არ იყო გმინვა,
არც წუწუნი ვინმე დაღლილის.
ზიზღი აჭკნობდა სასახლეთა გაშლილ ყვავილებს,
და ინთებოდა ეს ქვეყანა ნასროლ ნალმივით.

ყოველი წუთი მოდიოდა, როგორც ბრძანება;
აპროტესტებდა უფლებისთვის ხალხი ლოზუნგებს...
ყვირილას წყალთან ჭიათურა იდგა ბრძოლებად,
და პროტესტის ხმით ელვარება ჰქონდა ოზურგეთს.
ამ დროს,
ლოდებიც ნალმებივით იყო მყვირალი,
ჯალათთა ბედი ცხოვრების წინ შავად დაისვა.
გურიის მთებში ბობოქრობდა ნასაკირალი
და ყაჩაღური ბუნტარობა შევარდნაძისა.

[redacted]

როცა სილურჯით ცა ირხეოდა,
წყნარი ნიავით მწვანე ჯეჯილი, —
უცებ გასჭრიდა ტყვია ხეობას,
აწივლდებოდა მთების ჯებირი;
თოხში გამოსულ ბიჭებს გურულებს
მოუნდებოდათ თოფით გმირობა...
მოუნდებოდათ დღე მოგუგუნე,
როგორც ბრძოლის და შრომის პირობა.
ამ დროს გარემო მოჩნდა სისხლივით...
სისხლი დიოდა მწვანის ღეროდან.
ამ დროს სიმშვიდე იყო სირცხვილი...
ამ დროს სოფლებში ხალხი მღეროდა:
— სადაც ცეცხლი თოფებიდან
ტყეს ტყვიებით აძახებს,
იქ რაზმები ატიალებს
გზად მიმავალ ყაზახებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[redacted]

მთებში ბიჭები ხმლებით ელავდენ,
ჰქონდათ ცხოვრება თითქოს იოლი.
შავ ყვირილიდან წიფის მთებამდე
სჭექდა ფეხმარდი აფრასიონი.
მარჯვედ არბევდა მტრებს მერკვილაძე,
ქვებსაც ხეთქავდა მისი ბერდანა...
ძმად შეფიცული კაცი რკინაზე
პირით ათასთან შებმას ბეღავდა.

მერკვილაძე გაექცა
დროს ველურს და საშინელს,
ახლა იგი მთებშია
და მტრის რბევას ახშირებს.
მერკვილაძე მთებშია,
როგორც ორი მიზანი:
როგორც ხალხის გმირი და
როგორც მთების ხიზანი.

ასე მღეროდა იმერეთის გლეხში ხალისი,
ასე მღეროდა ქოხებიდან გლეხის გოგონა...
სად ჭიათურით მოდიოდა პროპაგანდისტი
და შეტევაზე გადამყვანი აზრი მოჰქონდა.

[redacted]

მასებში დუღდა
უწყვეტელი ბრძოლის მარაგი,
არალეგალურ სარდაფებით ძრწოდა ქვეყანა...
— დუშეთს მოსდევდა აზვირთება მთელი არაგვის,
და ლიახვზედაც აჯანყების ცეცხლი ეყარა.
როგორც სტრატეგი,
ძალებისთვის ქუხდა ტფილისი,
ნაძალადევი ბრძოლებისთვის ქმნიდა გაბედვას.
ფარჩოვან ბინებს,
სად გენერლებს ჰქონდათ მეჯლისი,
ჯორჯიაშვილი ტერორისტის თვალით არბევდა.

და ეს გრიგალი
თუ გმირობის იყო შედეგი, —
იყო მტრებშიაც საპასუხო ღელვა, გულისწვა;
შავრაზმელები მიდიოდენ ხალხზე შეტევით,
რომ გაეწმინდათ ჯანყოსნებით დაღრუბლული ცა.
ნერვიულობით კაპასობდა „დიდი გვარობა“,
დასაქცევ ყორედ უყურებდა ქოხებს მურიანს...

ალიხანოვი იმპერიის ჩექმით დარბოდა
და იმპერიის ჩექმების ქვეშ დასწვა გურია.
იყო კაცის ჭრა...
სიველურე აზრის მომსპობი.
თავისუფლების ღალადების ცეცხლიც შენელდა.
ტფილისთან ერთად გააოხრეს დიდი მოსკოვი, —
და ისტორიას დარჩა შედეგად,
როგორც სიმხეცე, რეაქციის საშინელება.

ახლა შორსა ვართ.
ის დღეები არ დაბრუნდება,
მოგონებაში მხოლოდ ცეცხლად გაიზუილებს...
— შევცინით შრომით საბჭოეთის მზეს და ბუნებას
და ვმესაჭეობთ ახალ ყოფის ახალ სურვილებს.
მშვენიერია.
უკეთესი წინ გვეგულება,
და ამ მაღლობებს ცხოვრებისას სისხლის გვარი აქვს:
სისხლში ეძებდა ქვეყანაზე შრომა უფლებას,
სისხლით მოჰქონდა დიქტატურა პროლეტარიატს.

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

Коллекция
Ил. Федосеева
Тбилиси

ახალი აზვირთება*

სევასტი თალაკვაძე

მოწურული პოლიტიკური მდგომარეობაა. პარტიულ ძალებს წუთი მოცალება არა აქვთ. ყველა დღესა და ღამეს ანდომებენ აჯანყების გეგმების შემუშავებას, ბარიკადებზე მუშების განაწილებას და საბრძოლველად დარაზმვას.

ყველა რევოლუციონური ელემენტის მობილიზაციაა გამოცხადებული.

ჟურნალში, იატაკქვეშ მოკალათებული რევოლუციის შტაბი განუწყვეტლივ აძლევს დირექტივებს, განკარგულებებს მებრძოლ პროლეტარულ ორგანიზაციებს.

ლენინიც, ამხანაგების საიდუმლო გადმოცემით, საზღვართან ახლოა, — კრაკოვშია და ხელმძღვანელობს რუსეთში მოქმედ ბოლშევიკურ ცეკას...

სწარმოებს ხელმძღვანელი კადრების გადასროლა დიდ ქალაქებში, უმთავრესად პეტერბურგსა და მოსკოვში. განსაკუთრებით პეტერბურგია ცენტრი ამ ძალთა კოორდინაციისა.

ვარშავა-კიევიდან და ჰელსინგფორსიდან პეტერბურგში მოდიან საუკეთესო რევოლუციონერები.

კოლესოვიც ასევე წამოსული ვარშაველი ამხანაგია.

მას პართენი ადრევე იცნობდა გადასახლების ადგილზე — მინუსინსკში, საიდანაც ორივე ერთად დაუძვრა ხელიდან მეფის ჟანდარმერიას, — გაიპარენ.

კოლესოვი ახლა ბინადაც პართენთან არის.

პეტერბურგის ძველი ხელმძღვანელობა ციხის საკნებშია გამოკეტილი, მათ შორის პართენის მეგობარი ვლადიმიროვიც.

ახლა ეს ხელმძღვანელობა შეცვლილია ახალი ამხანაგებით.

ღამეა.

დღით საშინლად ცხელოდა, ახლა კი გრილა.

ხალხს უმეტესად სძინავს. მაგრამ პეტერბურგი მაინც ვერ გამხდარა უტყვი.

ქარხანა-ფაბრიკები და ქუჩები აღარ არღვევენ მოსვენებულთა მყუდროებას, მაგრამ ბაღ-კლუბებში განცხრომის ძენი ჯერ ისევ უკლებლად არიან და ატარებენ დროს: ზოგნი ბანქოსა და ლოტო-დომინოს თამაშით ერთობიან, ზოგნი გამოცალკევებით, წყვილ-წყვილად, ქალ-ვაჟებად „აკინძულნი“ ვიწრო და

---

* ნაწყვეტი რომანიდან — რ ე დ.

ნაკლებად განათებულ კუთხეებში დასეირნობენ, „სიყვარულის“ ქათინაურებით თვრებიან, ცინიკურ კომპლემენტებში დნებიან, ზოგნი კი, ეპოლეტებითა და ორდენებით მხარ-გულ დამშვენებულნი, კლუბის განაპირად მდგომ სუფრას შემოსხდომიან, სვამენ შამპანიურებს, ლუდს, შეექცევიან გემრიელ საჭმელებს და თან საიდუმლოდ, სერიოზული მეტყველებით მასლაათობენ...

ამ მასლაათობა-მსჯელობის საგანი გამხდარა სერბიის ქალაქ სარაევოში. ავსტრიელის მიერ მოკლული პრინცი.

— გერმანიის მეფის ვილჰელმის მახინაციებია ყველაფერი ეს...

— ავსტრიელის ხელი მაშინ რა საჭირო იყო?

— ავსტრია-უნგრეთის მეფე ფრანცი ვილჰელმის მოკავშირეა და ერთად ზიდავენ პასუხისმგებლობას...

— და რატომ გაიხადეს ასე საპასუხისმგებლოდ საქმე?

— ომი სწყურიათ, ბატონებო, ომი... გერმანია ჰგრძნობს თავისი მუშტის სიძლიერეს. იგი ერთობ გაიზარდა და გაძლიერდა და უნდა დაანახოს მსოფლიოს ეს თავისი სიძლიერე...

— მერე, სერბიის პრინცის მოკვლით უნდა დაანახოს?..

— რა გულუბრყვილო ყოფილხარ. სამხედრო პირი და ასეთი გულუბრყვილობა... სერბიის პრინცის მოკვლა მხოლოდ გამოსკვნილი ფოკუსია ომის დასაწყებად.

— გაგვიხსენით, ბატონო, ეს ფოკუსი...

— ეს ფოკუსი იმას გვეუბნება, რომ ავსტრია-უნგრეთის პასუხი არ იქნება დამაკმაყოფილებელი და სერბია ომს გამოუცხადებს; აქ სერბიას მიეხმარებიან სხვა სახელმწიფოები; ავსტრია-უნგრეთსაც წაეშველება გერმანია, და გაჩაღდება მსოფლიო ომი.

— მართალს ამბობ... რა საშინელება იქნება ეს მსოფლიო ომი.

— საშინელება რატომ იქნება, პირიქით, კარგიც იქნება, — ერთს გავიგარჯიშებთ, გამოვცდით თავს სამხედრო ხელოვნების ფრონტზე.

— ვისთვის გავარჯიშება და ჩინ ორდენები იქნება, ვისთვის კი — სიკვდილი და სამარე...

— რატომ ლაპარაკობთ ასე; ვითომ ჩვენც მოგვიხდება ჩარევა?

— რა თქმა უნდა. მსოფლიო ომში ამხელა სახელმწიფო, როგორიც ჩვენ ვართ, როგორ შეიძლება გამორჩეს, განზე იდგეს.

— მაინც, ვის მხარეზე ვიქნებით, საინტერესოა ვიცოდეთ.

— ჩვენ ინგლის-საფრანგეთისა და იტალიის მოკავშირე ვართ... გერმანია-ავსტრიის წინააღმდეგ მოგვიხდება ბრძოლა...

— საშინელებაა. გერმანიის ტეხნიკას ჩვენ რას ვუზამთ!

— სამაგიეროდ ჩვენი მილიონიანი ჯარები, გამძლე და მომთმენი რუსის ჯარები თავისას იზამენ... ეს რაოდენობა გადაიქცევა თვისებად, და ჩვენ მოვუგრეხთ მათ კისერს.

— თქვენ ძალიან აჩქარდით, ბატონებო. ეს პატარა ინცინდენტი სარაევოში ომს, და ისიც მსოფლიო ომს არ გამოიწვევს.

— ჰო, კი აჩქარდენ, მაგრამ ეს იმათი ახალგაზრდული სისხლის ბრალია...

— კი, მართალია... ახალგაზრდებს მომენტის ობიექტური შეფასება ძნელად ეხერხებათ, ისინი უმეტესად სუბიექტური მოსაზრებიდან გამოდიან.

— რატომ, რატომ, უსათუოდ თქვენსავით ჭალარა წვერი უნდა გვქონდეს, რომ ობიექტურნი ვიყოთ?

— ნუ, ნუ იწყინეთ, მეგობრებო, ეს გასაჯავრებლად არ იყო ნათქვამი...

— პირიქით, ეს ქება იყო თქვენი. — ახალგაზრდების სისხლი და ენერგია უფრო მეტად არის განწყობილი ბრძოლისათვის, შეურიგებლობისათვის. და ეს დადებითი მხარეა.

— ჩვენც ხომ ამას გაუსვით ხაზი...

პაუზა.

— მაგრამ მაინც უნდა გითხრათ ბატონებო, — ომი მზადდება, ომი აუცილებელია.

— მართალია; აი, დღევანდელი დეპეშები საკმაო დამაჯერებლად ლაპარაკობს ამას. გერმანია და საფრანგეთი უკვე აჩხარუნებენ საომარ იარაღს.

— სახვალიო დეპეშებმა კიდევ უფრო გარკვევით მოიტანა ამბავი, — ისინი საიდუმლოდ მობილიზაციასაც აცხადებენ.

პაუზა.

— და მით უარესი ჩვენთვის. ჩვენ ეს დაგვღუპავს. ჩვენ ომისთვის მზად არა ვართ...

— რატომ არა ვართ მზად, ჩვენც შეგვიძლია მობილიზაცია გამოვაცხადოთ. თუმცა ჩვენი მობილიზაცია უფრო ნელი ტემპით იწარმოებს, ვიდრე გერმანიისა, მაგრამ ეს არ დაგვაბრკოლებს იმდენად...

— მობილიზაციის სისწრაფეში კი არ არის ჩვენი სისუსტე და უბედურება, არამედ იმაში, რომ ხალხი არ არის მზად, ხალხი რევოლუციონურად განწყობილია, ხალხი ჩვენდა სამტროდ არის მომზადებული...

— კი. სოციალ-დემოკრატიამ, განსაკუთრებით მისმა ბოლშევიკურმა ფრთამ, ძალიან გააძლიერა რევოლუციონური მუშაობა...

— მართალია. სამწუხაროდ, ცნობა არის, ბარიკადების აგებას ეპირებიან ქუჩებში და აჯანყებას ამზადებენო.

— ეს არაფერია, ბატონებო, თქვენ ტყუილად დაუშინებიხართ ამას. ომი გამოცხადდეს, და ჩვენ მათ ორგანიზაციებს ისე გავაქრობთ, როგორც საპნის ბუშტებს.

— ... ჰო, რა თქმა უნდა. რუსეთში მონარქიის ერთგული პატრიოტები უფრო მეტი და ძლიერი გამოჩნდებიან.

— სწორია; სამშობლოს დაცვაზე არა ერთი და ორი, პირიქით, ათასეული მუშა და მათი ხელმძღვანელი სოციალისტები გამოიდებენ თავს...

— მართალია; მე ვიცნობ ბევრი სოციალისტის აზრს ომის შესახებ, და სწორედ ასე ფიქრობენ ისინი.

— ურჩები, მოღალატეები, სამშობლოს გამყიდველები, რა თქმა უნდა, საკმაოდ აღმოჩნდებიან მათში, მაგრამ ჩვენ გვეყოფა ძალები მათი უმტკივნეულო ალაგმისათვის.

— თუ ასე იქნება ყველაფერი, მაშინ, ბატონებო, რაა საშიშარი, ვის რა ექნება ომის საწინააღმდეგო...

ასე მასლაათობენ ეს ეპოლეტებიან-ორდენებიანი სამხედრო პირები, ასეთია მათი მსჯელობის საგანი და ლაპარაკის ხასიათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის არიან მოხუცებულობაში ფეხშედგმული ღენერალ-პოლკოვნიკები, შტაბის ახალგაზრდა პორუჩიკ-კაპიტნებთან ერთად, სჭარბობენ უკანასკნელები...

ატმოსფერა მძიმდება. მსოფლიოს ჰორიზონტზე მრისხანე ღრუბლები იკრიბება. თოფის წამლის სუნი საგრძნობი ხდება. მაგრამ ამას ბალ-კლუბებში თითქო მარტო ეს განაპირა სუფრის ირგვლივ მოქუჩებული სამხედრო პირები, შტაბის ოფიცრობა — ხედავს, და ეხმაურება ამბებს; მარტო ისინი აფასებენ მომენტს, მსჯელობენ სიტუაციაზე. დანარჩენებისათვის კი თითქო ყველაფერი ეს დაფარულია. იმათ სიამოვნებას, ქეიფს დი მხიარულებას წამითაც არ არღვევს მსოფლიო საშინელი ომის წინამორბედი ამბები. ისინი არ იკლებენ კლუბში არაფერს: ბანქოსა და ლოტო-დომინოს თამაშს, მუსიკა-სიმღერების მოსმენას, „თავისუფალი" ქალების დამათრობელ ალერს-ქათინაურებს და ტკბილ კოცნა-ხვევნას...

ბალ-კლუბის ხრიალს ღია სარდაფ-სასადილოდან ქუჩაში გამოსული მთვრალი ლუმპენ-პროლეტარების სიმღერებიც ერთვის და ღამის სიჩუმეს არღვევს.

პეტერბურგი ისევ სდუმს...

ამას ემატება ქალაქის განაპირა უბანში, ამხანაგის ბინაზე, პეტერბურგის ბოლშევიკური კომიტეტის კრება და რევოლუციის საკითხების გარშემო დაწყებული მსჯელობა.

ეს კრება არალეგალურია, იგი საიდუმლოებით მიმდინარებს, მაგრამ ღამის მყუდროებას ისიც არღვევს...

ამ კრებაზეა ინფორმაციის მიზნით პეტერბურგში წარმოგზავნილი ბევრი სტუმარი ამხანაგიც, — ფინლიანდიიდან, ვარშავა-ლოძიდან, კიევიდან, ვილნოდან, ივანო-ვოზნესენსკიდან, მოსკოვიდან და სხვა.

მოსკოვიდან ამ „სტუმარს" წარმოადგენს ნადეჟდა გოლუბევა.

პეტერბურგის კომიტეტის ინფორმაციული მოხსენების შემდეგ პირველი სიტყვა ნადეჟდას მიეცა.

ნადეჟდამ თავისი სიტყვის შესავალში ხაზი გაუსვა მოსკოვის პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლას, სამხედისს ახალი რევოლუციის წინ.

— ... უდაოა, ამხანაგებო, რომ ჩვენ ახლა ისევ მივადექით რევოლუციის აღმართს. რევოლუციის ძალები ერთობ გაიზარდენ, მომწიფდენ. პროლეტარიატს ახლა გამოცდილებაც მეტი აქვს ბრძოლებში. მისი ავანგარდის დიფერენციაცია დასრულდა. იგი ახლა ოპორტუნიზმიდან გაწმენდილია და რკინის რიგებშია შემჭიდროებული... დაიწყეთ, ამხანაგებო, პიტერში, და ჩვენ, მოსკოველები, უკან არ ჩამოგრჩებით. მე ვფიქრობ, მე მრწამს, ჩვენ ამ დიდ ბრძოლაში არ ჩამოგვრჩება სხვა ქალაქების პროლეტარიატიც; ეს წარმოგზავნილი ამხანაგები ადასტურებენ ამას, — დაასკვნა ნადეჟდამ თავის სიტყვას.

— ამხანაგ ნადეჟდას აზრი მომენტზე და გამოთქმული იმედი რევოლუციის ძალებზე სწორია... მე მხოლოდ ერთი გარემოება მიმაჩნია სამწუხაროდ,— რატომ ამიერკავკასიიდან არავითარი ცნობა არა გვაქვს?.. ეგება აქ მყოფ რომელიმე ამხანაგს მოეპოვება რაიმე ცნობა? როგორც იცით, ამხანაგებო, ამიერკავკასია, და განსაკუთრებით საქართველო, ძალიან მდიდარია მეფის რეჟიმთან წარსული გმირული ბრძოლით. იგი ახლაც, ცხადია, რევოლუციის ცეცხლის გასაჩაღებელი ბევრი მასალით არის სავსე... მე იმედი მაქვს, ამხანაგებო, ჩემი

ქართველური „პატრიოტიზმით“ არ ახსნით ამ ინტერესს საქართველოსადმი, — სთქვა პართენმა მორიდებით, ცოტა არ იყოს დამორცხვებითაც.

პართენი თავისთვის გულში გრძნობდა, რომ მის სიტყვაში პატარა ტენდენცია იყო.

როგორც მოეხსენება მკითხველს, პართენმა გამოსთქვა სურვილი ამიერკავკასიაში დაბრუნებისა, და თავისი სიტყვით სწორედ აგრძნობინა ახლა ამხანაგებს, რომ ვისმეს გაგზავნა ამ მხარისაკენ საჭირო იყო... და ვინ უნდა ყოფილიყო ეს გასაგზავნი პირი, თუ არა პართენი?

ამიტომ იყო, რომ ხუმრობით შენიშნა მას გვერდით მჯომმა კოლესოვმა ჩუმად: „რა ეშმაკიც ყოფილხარ, პართენ; ტფილისში დაბრუნების თხოვნა ვერ გაგებედა ამხანაგებთან და ასე კი მოხერხებულად გამოგივიდა“...

— ... მე, მე მაქვს, ამხანაგო პართენ, ცნობები. ტფილისში და ბაქოში ერთობ ინტენსიური რევოლუციონური მუშაობა სწარმოებს... ტფილისში თქვენი ცოლი, სოფო შეუსვენებელ მუშაობას ეწევა, და აგრეთვე მრავალი სხვა ამხანაგიც... და მე მიკვირს, რატომ ამ ცნობამ უფრო ადრე თქვენამდე არ მოაღწია! მე რომ ეს მცოდნოდა, მოგაწვდიდით ამ ცნობებს. მოსკოვში ეს ყველა ხელმძღვანელმა ამხანაგმა იცის... მე მქონდა აგრეთვე ცნობა იმის შესახებაც, რომ რომელიღაც ამხანაგი ამ ახლო ხანში პეტერბურგში და მოსკოვში უნდა წამოსულიყო კავშირის გასაბმელად... — მიუგო ნადეჟდამ მას.

— ეს არის შენი ნაქები ნადეჟდა? როგორ წაგიხდინა „საქმე“! კი „დაგლუპა“! — ხუმრობით, ჩუმად უთხრა კოლესოვმა ყურში პართენს.

პართენმა პასუხი არ გასცა კოლესოვს, არც ნადეჟდას ჰკითხა რამე, ჩაფიქრდა მხოლოდ.

პართენისთვის ახსნილი იყო მიზეზი, თუ რატომ არ მოუვიდა მას ეს ცნობები. პართენს მხოლოდ უკვირდა, — ნუთუ ნადეჟდასთვის უცნობია ეს მიზეზები? მაშ რატომ იკვირვებს ნადეჟდა?

ნადეჟდას მიერ ამ ცნობების მოცემის შემდეგ კიდევ უფრო გაეზარდა პართენს ტფილისში დაბრუნების სურვილი. მაგრამ პეტერბურგის ძლიერი პროლეტარიატის რევოლიუციონურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღება და ბარიკადული ბრძოლების ხელმძღვანელობაც არა ნაკლებ საინტერესო შეიქნა მისთვის.

— თუ მართლა ხელმძღვანელობის ნაკლებობაა ტფილისში, მაშინ შეიძლება ვინმე წარვგზავნოთ... მაგრამ თუ სწორია ნადეჟდას ცნობები, რომ იქ ხელმძღვანელი ამხანაგები საკმაოდ ყოფილან, მაშინ კი, მე მგონი, ეს კითხვა იხსნება. — სთქვა კრების ერთა წევრმა.

— მე ვფიქრობ, ამხანაგებო, პართენის გაგზავნა მაინც არ იქნება ზედმეტი, რადგან იქაური ყოფილა და ოჯახობაც იქ ჰყოლია.

— არა, არა, ამხანაგ პართენს ჯერ ვერ შეველევით.

— ჰო, პართენი ძალიან სჭირდება ჩვენს გაზეთს...

— კი, კი. ჩვენ ისედაც ცოტა გვყავს „პრავდა“-ს მუდმივი თანამშრომლები...

— ჰო, აბა. წინანდელი ძველი მუშაკები სულ საპყრობილეებში არიან.

— და მერე კიდევ ახლა მაინც, როცა ასე ზღაპრულად გაიზარდა „პრავდა“-ს ხელისმომწერთა რიცხვი, — ასი ათას ტირაჟს უკვე ათასობით გადავაცილეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, კი... და ფორმატითაც როგორ გავზარდეთ, — ბურჟუაზიულ დიდ გაზეთებს „რუსკოე სლოვო"-ს და „რუსკიე ვედომოსტი"-ს არ ჩამოუვარდება.

— მართალია; პართენის ახლა „პრავდა"-საგან მოცილება ყოვლად შეუძლებელია...

— ამას გარდაც, ახლა რევოლუციის მთავარი ძალები პეტერბურგში გვჭირდება.

— რა თქმა უნდა, პეტერბურგშია საჭირო მთავარი ძალები, რადგან სიმძიმის ცენტრი აქ არის...

— ახლა აქეთკენ უნდა იგზავნებოდენ გამოცდილი რევოლუციონერები და არა აქედან სხვაგან...

შეიქნა ამხანაგებში ლაპარაკი.

— დამშვიდდით, ამხანაგებო, მეც თვითონ ასევე ვფიქრობ. მართალია ამხანაგების აზრი, — ახლა ძალებს პეტერბურგში უნდა მოვუწოდოთ. რევოლუციის საპასუხისმგებლო ფრონტი აქ იქნება. მე და სხვები, რა თქმა უნდა, ყველანი ახლა აქ, ადგილზე... ეს კი არა მარტო, — წარმოგზავნილი სტუმარი ამხანაგებიც დროებით აქ უნდა მოგვემაგრონ, დარჩენ ჩვენთან, — უთხრა პართენმა კრებას და ამით ამხანაგებს ლაპარაკი შეაწყვეტინა.

პაუზა.

— სხვების შესახებ ვერაფერს ვიტყვი, ამხანაგებო, მე კი დარჩენა არავითარ შემთხვევაში არ მეწყობა; მე ხვალ, რა დროც იქნება, უნდა გავჩნდე მოსკოვში ინფორმაციით; ამხანაგები მოუთმენლად მელოდებიან, — სთქვა ნადეჟდამ პართენის საპასუხოთ.

— თქვენზე ამხანაგო ნადეჟდა, ეს მაინც არ გავრცელდება; მოსკოვი, — ეს მეორე ცენტრია რევოლუციის, და როგორ შეიძლება მას მოვაკლოთ ძალები, — შენიშნა მას თავმჯდომარემ და დაამშვიდა.

— და მე ვფიქრობ, არც სხვა ამხანაგების დარჩენა და მიმაგრება შეიძლება. ამხანაგ პართენის სიტყვის ეს ნაწილი შემცდარია. წარმოგზავნილი ამხანაგები, პირიქით, სასწრაფოდ უნდა დაბრუნდენ ადგილებზე, რომ ინფორმაცია გაუკეთონ მებრძოლ მასებს პეტერბურგის პროლეტარიატის შესახებ და რევოლუციისათვის მოემზადონ.

— სწორია...

— სწორია, სწორი!

— ამხანაგები ინფორმაციის მისაღებად გამოგზავნეს და ჩვენ აქ დავიტოვოთ, აბა ეს როგორ შეიძლება! — სთქვეს ერთად, ერთმანეთში არევით, კრების წევრებმა.

ცხადი შეიქნა პართენისათვის, რომ მისი აზრის ნაწილს აქ არ იზიარებს უმეტესობა, და უნდა ითქვას, რომ არც პართენი იყო გადაჭრით ამის მომხრე გულის სიღრმეში, მას მხოლოდ ისე, სიტყვის პაფოსით მოუვიდა ამგვარად გამოთქმა აზრის ნაწილის... ესეც რამდენიმედ მას უკარნახა ნადეჟდას პეტერბურგში დროებით შემოცდის სურვილმა... და ახლა, ამხანაგების მიერ გამოთქმული აზრის შემდეგ, მან მთელი თავისი სიმძიმით დაინახა, რომ შეცდა.

მაგრამ პართენს რაღაც თავმოყვარეობამ, თუ სირცხვილის მეშჩანურმა გრძნობამ, რომელიც მასში კაპიტალისტური ცხოვრების ზეგავლენით კიდევ დარჩენილიყო, ნება არ მისცა ეღიარებინა ეს სიტყვით კრებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან აქ აღარ გაუწია წინააღმდეგობა ამხანაგების აზრს, თანხმობის ნიშნად სიჩუმე აირჩია.

ამ მომენტში პართენმა მხოლოდ სკამი გადაინაცვლა და ნადეედას მოუჯდა გვერდით.

ნადეედაც თითქოს ამას უცდიდაო, შემობრუნდა მისკენ და ჩუმად, დაბალი ხმით უთხრა ყურში:

„კი არ არიან ამხანაგები მართალნი... მე პირადად არ მეხერხებოდა, — მოსკოვი მეორეხარისხოვანი ცენტრია, მის მებრძოლ ძლიერ პროლეტარიატს ხელმძღვანელებს ვერ მოვაკლებთ, მაგრამ დანარჩენი ამხანაგები უნდა დარჩენილიყვნენ... პერიფერიების ქალაქებს რა მნიშვნელობა აქვს. თავი და თავია სატახტო ქალაქ პეტერბურგის ხელში ჩაგდება, რის შედეგად მეფე და მთელი მთავრობა თავისი სახელმწიფო აპარატით ჩვენს ხელში იქნება; პერიფერიებშიც ამით წინ და წინ ყველაფერი გადაწყდება“...

პართენმა არაფერი არ უპასუხა, გაკვირვებით თავი გაიქნია და კრების თავმჯდომარეზე შეაჩერა თვალები.

გულში კი თავისთვის სთქვა: „საკვირველია, როგორ ყოველთვის ორიგინალური აზრები ებადება ამ ნადეედას თავში“.

— ... აა, პართენ, მაშ ტფილისიდან არაფერი ცნობები არა გაქვს... სოფო მაინც არაფერს არ გწერს? საკვირველია! მე კი მივიღე წერილი მისგან ამასწინად, — უთხრა ნელი ხმით, ჩუმად ნადეედამ.

— ... არც სოფო მწერს რამეს და აღარც შენ. არ ვიცი რატომ, თითქოს ორივემ შესთქვით ჩემს წინააღმდეგ პირი... სრულებით, სრულებით აიღეთ ხელი... თუ რამეზე მიჯავრდებით, როგორც „ქმარს“, როგორც „მამაკაცს“, ამხანაგს და ახლობელ პარტიულ ადამიანს მაინც რას „ერჩით“ ჩემში! მიუგო პართენმა ასევე ჩუმად, დაბალი ხმით, მაგრამ მეტის გაანჩხლებით, მწუხარებით.

— „გიჯავრდები“... „როგორც მამაკაცს“... არ მესმის რად უნდა გიჯავრდებოდე, ან შენი „მამაკაცობა“ რა შუაშია?.. მიწერ-მოწერა რომ შევწყვიტე შენთან, ამისათვის მე სულ სხვა საბაბი მქონდა. მაგრამ სოფოს რა მოუვიდა, ეს კი ველარ გამიგია...

— „რა მოუვიდა“... ის მოუვიდა, რომ თვითონაც „შეყვარებული“ გამხდარა... და კიდევ, რა ვიცი, შენ ალბათ გადაეცი ჩვენი „ისტორია“ და ამიტომაც...

— კარგი, პართენ, არა გრცხვენია, რას მწამებ! პირიქით, ჩემი მიწერ-მოწერის შეწყვეტა შენთან იმან გამოიწვია სწორედ, რომ სოფოს არ გაეგო ჩვენი დამოკიდებულება და არ შეენელებინა მიწერ-მოწერა, არ შეესუსტებინა კავშირი შენთან...

პართენი ჩაფიქრდა.

— ... მართლა, პართენ, დავანებოთ ახლა ამგვარ ლაპარაკს თავი და კრებას მივაპყროთ გული უფრო რთულ და სერიოზულ საკითხებზე... ჩვენს შინაურულ „საქმეებზე“ ლაპარაკს შემდეგაც მოვესწრებით, — უთხრა ნადეედამ ჩაფიქრებულ პართენს და თავმჯდომარისაკენ მიბრუნდა პირით.

„მართალი ხარ“ — თავისთვის სთქვა პართენმა გულში ნადეედას მიმართ და, თითქოს ფიქრებიდან ამოვიდაო, ძირს ჩაქინდრული თავი მაღლა ამართა და მანაც თავმჯდომარეს მიაპყრო თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრება იწურებოდა...

ბოლო მსჯელობა და ლაპარაკი იმაზე იყო, თუ როგორ გაენაწილებიათ და მიემაგრებიათ ამხანაგები მუშათა რაიონებში, ფაბრიკა-ქარხნებში რევოლუციონური გამოსვლების სახელმძღვანელოდ, თოფ-რევოლვერების მოსამარაგებლად, ბარიკადების ასაგებად და სხვა.

— ... მაშ ახლა ამხანაგებო, ყველამ ვიცით, — მიმართა თავმჯდომარემ კრებას, — ვის რა გვეკითხება და რა ამოცანები გვაქვს... მე, ამხანაგებო, ეჭვი არ მეპარება, რომ მუშათა მასები ბრძოლისათვის მზად არიან და ჩვენ მათ გამოვიყვანთ ქუჩებში, ჩავაბამთ გადამჭრელ ბრძოლებში მტერთან... ის, რომ ამხანაგებმა მიგვითითეს ომის სამზადისზე, ომის საფრთხეზე, — ეს მართალია, ომი მზადდება, ომი მოსალოდნელია, მაგრამ ეს ხელს არ შეგვიშლის, პირიქით, ხელს შეგვიწყობს; ჩვენი პროლეტარიატი და გლეხკაცობა, რომელსაც უნდა დააწვეს მთლად იმპერიალისტური ომის საშინელი სიმძიმე, უფრო მეტი ხალისით და გადაჭრით შემოიკრიბება ჩვენი მებრძოლი ორგანიზაციების ირგვლივ... და მე ეჭვი არ მეპარება არც იმაში, რომ ჩვენი რევოლუციონური ცოდნა და გამოცდილება შეგვაძლებინებს სწორად ვუხელმძღვანელოთ ამ აჯანყებულ მასებს, ვუჩვენოთ მათ რკინის ხელი, ფოლადის ნება... ‘ივცეთ გამარჯვების შეუდრეკელი რწმენა... მასებთან, მასებში, მასების წინ! — ეს გამარჯვების თავდებია, და ჩვენი გამარჯვებაც აქ უტყუარი იქნება! — სთქვა მან, როცა მორჩენ ამხანაგების განაწილება-მიმაგრებას რაიონებზე და კრების დახურვის დროც მოახლოვდა.

— პროლეტარიატს კი სწყურია ბრძოლა!..

— ეს ომი თუ ფაქტი გახდა, მე მგონია, კარგს არაფერს მოიტანს!..

— ჰო, მეც ასე ვფიქრობ... — მენშევიკების რყევა აქაც საგრძნობი იქნება.

— როგორ რყევა? მენშევიკები ვითომ ომს მიემხრობიან, რევოლუციას უარყოფენ?

— პირდაპირ შეიძლება არც ერთი და არც მეორე არ ჩაიდინონ, მაგრამ ჩვენ რომ მათი შემგუებელი, ლიბერალური ბუნება ვიცით, თუ ძლიერი იქნა ომის ტენდენცია, ისინი არ აღუდგებიან ომს წინ, შეეცდებიან მასებში მის გამართლებას.

— მართალია. და ეს კი დიდი საფრთხე იქნება ჩვენი რევოლუციონური სამზადისისათვის.

— ... არც იმდენი, ამხანაგებო! მასა მათ აქ სრულებით არ მოუსმენს, მებრძოლი მასიდან მათ არავინ არ გაჰყვება.

— სწორეა! დიახ, არავინ არ გაჰყვება... თუ ბრძოლაზე და სისხლის დაღვრაზე წავა საქმე, ისინი არჩევენ რევოლუციისათვის თავის განწირვას ომში, უსახელო, უმიზნო სიკვდილს.

— ამის სათანადო შეგნება თუ იქნება, კი...

— მრავალ ათასობით და მილიონობით რევოლუციონურ მოძრაობაში ჩაბმულ მუშებს აქვთ ამის შეგნება, და არც შეიძლება არ ჰქონდესთ.

— ვნახოთ, ამხანაგებო. ეს ჩვენი სუბიექტური სურვილი და იმედია. თუმცა, მართალია, ამ იმედისა და სურვილის გარეშე ჩვენ არც შეგვეძლო დაგვეწყო რევოლუციის სამზადისი... მაგრამ სურვილი, იმედი და რწმენა მაშინ ამოძრავებს მსოფლიოს, იმარჯვებს და უცვლის სახეს მას, როცა ამისთვის შესაფერი ნიადაგიცაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „ომს“, ამხანაგებო, თავი დავანებოთ. იგი ჯერ ფაქტი არაა. ვილაპარაკოთ მაშინ, როცა ფაქტი იქნება. დღეს ფაქტია ჩვენი დიდი რევოლუციონური სამზადისი... და მინდა ვიკითხო: — ამ დიდ რევოლუციონურ ბრძოლაში ჩვენ, ბოლშევიკები, მარტონი ვიქნებით? სად იქნებიან მენშევიკები და ესერები?

— მენშევიკების ბელადები, ყველაფრიდან ჩანს, ამ ბრძოლაში ჩვენთან არ იქნებიან, ან, თუ იქნებიან, მხოლოდ პასიურად და მათზე იმედს ვერ დავამყარებთ; მაგრამ მენშევიკი მუშები გვერდს ვერ აგვიხვევენ, კლასიური გრძნობა, სოციალური მდგომარეობა უეჭველად ჩააბამს მათ ჩვენთან ერთად ამ გადამჭრელ ბრძოლებში...

— არა, მე მინდოდა გამეგო, — თუ არის ორგანიზაციული ზომები მიღებული, რომ ეს მუშები ამ ბრძოლებში ჩვენთან იყონ; თუ გვქონდა რაიმე მოლაპარაკება და თუ იციან მათ ჩვენი პოლიტიკური ხაზი, ხაზი, რომლითაც პროლეტარიატს გადამჭრელი ბრძოლისათვის ვამზადებთ?

— კი, კი, პროფკავშირებსა და ფაბრაკა-ქარხნებში მენშევიკების მასამ ჩვენი ეს პოლიტიკური ხაზი და რევოლუციისათვის სამზადისი იცის და აღფრთოვანებით ხვდება. ბელადებს კი ამის შესახებ არ გავლაპარაკებივართ...

— მათთან რაღა გალაპარაკებაა საჭირო; თვითონ მათი და ჩვენი გაზეთების ფურცლები არ ამბობს ყველაფერს?! მენშევიკების „მუშათა გაზეთი“ მთლად ამ ჩვენი პოლიტიკური ხაზისა და პოზიციის წინააღმდეგ ბრძოლით არ არის სავსე?!

— მართალია...

— ჰო, მართალია.

— მართალია, მართალი, ამხანაგებო!..

— ესერები? ესერებზე არაფერი უთქვამს არავის...

— ესერების ბელადები თუმცა მენშევიკებსავით ოპორტუნისტები არიან, მაგრამ ამ ახალი რევოლუციონური აზვირთების დროს ისინი მენშევიკ-ბელადებს რაღაც არ ემსგავსებიან; ისინი მეტ აქტივობას და ინტერესს იჩენენ შექმნილი რევოლუციონური სიტუაციისადმი...

— სწორი დახასიათებაა; ესერები ბელადიან-მასიანებ ამ ბრძოლებში ერთხანს მაინც ჩვენთან იქნებიან. ამას აშკარად ამჟღავნებს მათი პრესის კილოც...

— არ მესმის, — როგორ ერთხანს? და სანამდე მაინც?

— აი, მაგალითად, თვითმყრობელობასთან ბრძოლაში ისინი ჩვენ არ დაგვცილდებიან; შემდეგ საფეხურზე, — ბურჟუაზიასთან ბრძოლის საკითხში, პროლეტარიატის კლასიური ინტერესის დაცვის მომენტში, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მათ დავჭკარგავთ, და შეიძლება კლასობრივი მტრების ბანაკშიც ვიხილოთ ისინი...

— ესეც მართალია.

— არაა მართალი, ამხანაგო... ისინიც ხომ სოციალისტები არიან?! ბურჟუაზიის ბანაკში რატომ ვიხილავთ! ისინიც იბრძოლებენ მშრომელ კლასთან ერთად.

— სწორია!

— არაა სწორი, ეს შემცდარი აზრია!..

— მართალს ამბობთ! ამხანაგები კიდევ ნდობით უყურებენ მათ სოციალისტობას. ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ მათ არ ესმისთ კლასობრივი ბრძოლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ისინი არ არიან და ვერ იქნებიან პროლეტარული მებრძოლები, როგორც წვრილბურჟუაზიული იდეოლოგები...

შეიქნა უწესრიგოდ ლაპარაკი კრების წევრებს შორის, როცა თავმჯდომარე მორჩა თავის სიტყვას.

პაუზა.

— ... მეც უნდა ვიჩქაროო ახლა მოსკოვში წასვლა, რომ იქაც გავანაწილო და მივამაგროთ ამხანაგები რაიონებში. — სთქვა ნადეჟდამ და ზე წამოდგა.

— ჰო, აბა, უნდა იჩქაროთ წასვლა, ამხანაგო.

— მომენტი და ჩვენი ამოცანები მეტად სერიოზულია...

— ჩქარა, ჩქარა გაჩნდით, ამხანაგო ნადეჟდა ადგილზე.

— მატარებელი დილამდე არაა...

— ჰო, მატარებელი მოსკოვიდან დილით 7 საათზე გადის.

— კარგი დროა, — ხვალ საღამოთი მოსკოვში იქნებით.

უთხრეს ამხანაგებმა ნადეჟდას და ისინიც წამოიშალენ სკამებიდან.

თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა, მაგრამ ფეხზე წამომდგარი ამხანაგები მაინც არ დაიძრენ, და ბევრმა ასე დგომით განაგრძო ერთმანეთს შორის დაწყებული ლაპარაკი...

თუმცა კრება მეზობლებზე მოკილებით, სახლის სარდაფის ნაწილში იყო გამართული და საშიშროება მას ნაკლებად მოელოდა, გაფრთხილების მიზნით მაინც საჭიროდ დაინახეს ამხანაგებმა ცალ-ცალკე, რიგ-რიგობით, თანდათანობით ამოსულიყვნენ ჯურღმულებიდან და შეუმჩნეველად გასცლოდენ კრების ადგილს.

ნელ-ნელა, ფეხაკრეფით, ქურდივით, ზოგნი ერთეულებად, ზოგნი ორ-ორნი მიიკლაკნებოდენ განაპირა ბნელი და ვიწრო ქუჩებით და ჰქრებოდენ...

პართენმა ვერ დაივიწყა შეწყვეტილი ლაპარაკის წინანდელი თემა და გვერდით ამოდგომილ ნადეჟდას უთხრა:

— ... მე მაინც არ მჯერა, ნადეჟდა, რომ ჩემთან შენი დამოკიდებულების შეცვლაში სოფოს ეთამაშნა როლი, ჩემი ცოლი სოფო ყოფილიყო აქ მიზეზი.

ნადეჟდამ არაფერი არ უპასუხა.

მას არ უნდოდა ახლა ამ საგანზე ლაპარაკის განახლება.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰო, მართლა, მე მაქვს ცნობა, რომ შენ ფეხმძიმე შეიქენი და ახლა შვილის დედაც გახდი, ჩემი შვილის დედა... შეიძლება აქ არის საჭირო მიზეზების ძებნა?.. და თუ აქ არის, მე მინდა ვიცოდე, — რაში ხედავ ჩემს დანაშაულს? — ვერ მოისვენა პართენმა მაინც და დაუმატა თავის ნათქვამს, დაარღვია სიჩუმე.

— არაფერი არ მესმის, პართენ! რატომ ასე დაეინებით მეკითხები? რა გინდა ჩემგან? — მიუგო ნადეჟდამ განცვიფრებით და შეაჩერა პართენიც.

— ყველაფერი გესმის, ნადეჟდა, და ეს კიდევ უფრო მაწამებს. არა, რა საჭიროა ამხანაგთან ასეთი „პოზა“? მე შეგატყვე დღეს ცივად, უგულოდ შეხვედრა ჩემთან... შენ რომ წინად ასეთი არ იყავი?? მე მინდა ვიცოდე რა ბრალს მდებ?

ნადეჟდა ააღელვა პართენის უკანასკნელმა სიტყვამ, სიმშვიდე დაუკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას უნდოდა ახლა სასწრაფოდ შებმოდა პართენს ლაპარაკში, მაგრამ თავი შეიკავა, რადგან ეს ლაპარაკი ახლა მკაცრი იქნებოდა, მოსალოდნელი იყო იგი ამხანაგისა და მეგობრის კილოს საზღვრებს გადაშორებოდა, რაც ნადეჟდას შეგნებულად არ სურდა.

აღარ შეეძლო ახლა მას ჩვეულებრივ მეგობრული თბილი კილოთი ეპასუხნა.

პართენის მიერ ხმარებული სიტყვებით ნაწყენს, მას ენაზე უკმეხი და მაგარი ფრაზები ადგებოდა.

ამიტომ არჩია მან ცოტა ხანი გაჩუმება და რამდენიმედ დამშვიდების შემდეგ მიუგო:

— ... „დანაშაული“... „ბრალი“... „ახსნილი იყოს ეს ბრალი“... — ეს სიტყვები ჩვენი ქალ-ვაჟური ურთიერთობის შესახებ... რამ მოიტანა ეს სიტყვები, პართენ! რა უნდა ამ ფრაზებს შენს ენაზე!? ქალ-ვაჟის კავშირი, გრძნობა და სიყვარული ჩვენს შეგნებაში, სოციალისტების შეგნებაში თავისუფალია; იგი არავისა და არაფრის ზეგავლენას არ უნდა ითმენდეს, გარდა, რა თქმა უნდა, საზოგადო კეთილდღეობისა... „ახსნილი იყოს ბრალი“... ეს მეშჩან-ინდივიდუალისტის სიტყვებია... სამწუხაროა...

— მაშ მე მეშჩანინ-ინდივიდუალისტი ვყოფილვარ... რატომ ილანძღები, ნადეჟდა, რას მემართლები! — შეაწყვეტინა პართენმა სიტყვა.

ნადეჟდას ეწყინა. ეწყინა არა პართენისაგან, — მას არ იამა საკუთარი ნათქვამი.

ნადეჟდას სწორედ ისე მოუვიდა ნათქვამი, როგორადაც არ უნდოდა...

— არა, პართენ, შენ, რა თქმა უნდა, მეშჩანინი-ინდივიდუალისტი არა ხარ... შენ მხოლოდ ისუსტე აქ და მეშჩანურად გამოთქვი... და მე ეს ავლნიშნე, შეიძლება, ჩემდა უნებურად, მკაცრი და ტლანქი სიტყვით, მაგრამ სრულებით არა იმ მიზნით, რომ გამეჯავრებინე... მე ოდნავაც არ მინდოდა ეს... — მიუგო ნადეჟდამ და ჩაფიქრდა.

პართენიც ფიქრებს მიეცა.

სიჩუმეში განაგრძობდენ გზას ორივენი.

— მესმის ახლა, პართენ, — დაარღვია სიჩუმე ისევ ნადეჟდამ. — შენ ვერ შერიგებიხარ ჩემი დამოკიდებულების შეცვლას შენთან; შენ დაუვადმყოფებიხარ ამას... და სწორედ ამიტომ ყველაფერი გეჩვენება ახლა... არ წარმომედგინა, პართენ, თუ შენ ასეთი სენტიმენტალისტი იქნებოდი; შენ, ეს გამობრძმედილი პროლეტარული რევოლუციონერი, ასე აჰყვებოდი რომანტიულ გრძნობებს, ვერ მოერეოდი მას... შეიძლება ეს გახასიათებს როგორც სამხრელს, ქართველს, ქართველი ტემპერამენტის პატრონს?!.. არ ვიცი...

ნადეჟდამ აქ ცოტა ხანს შესწყვიტა სიტყვა, შეჩერდა და შემდეგ ისევ განაგრძო:

— ... მაგრამ გადაჭრით გეუბნები შენთან დამოკიდებულების შეცვლაში შენ არავითარი ბრალი არა გაქვს; შენს მოქმედება-საქციელს აქ სრულებით ამის მიზეზი არ მოუცია... აქ ყველაფერი ჩემი თავისებურობის, ჩემი საკუთარი შეგნების ბრალია, თუ მაინცა და მაინც ამ „ბრალზეა“ საჭირო ლაპარაკი... მე ხომ შენს დროს სარატოვში არ ვიცნობდი პირადად სოფოს?! მას შენი დაპატიმრების შემდეგ დავუახლოვდი... და მე ისე მომეწონა და შემიყვარდა იგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩემი დამოკიდებულების მოგონებაც კი შენთან. ე. ი. ჩემი სიყვარული მეგობრის ქმართან, ისიც ჩუმად და ქურდულად, — ულამაზო და მძიმე შეიქნა ჩემთვის... და მერე კიდევ, მე არც მიფიქრია ჩვენი დამოკიდებულების ხანგრძლივობაზე... მე ამას უფრო შემთხვევის შედეგად ვთვლიდი.

— მაშ შენ უარყოფ, ნადეჟდა, რომ ჩვენს შორის იყო გატაცება და სიყვარული?

— არ უარვყოფ, მაგრამ არც „ვადასტურებ"... ყოველ შემთხვევაში, ჩვენს შორის ნაკლები იყო ეს სიყვარულის ხვეულები, ვიდრე შენსა და სოფოს შორის. ყოველ შემთხვევაში არც მე და არც შენ ჩვენს ამ „სიყვარულს" და დამოკიდებულებას ისე არ ვუყურებდით, რომ რაიმე ფორმა მოგვენახა მისთვის, რომ ჩვენს შინაურულ ცხოვრებაში რაიმე ცვლილებების შეტანა დაგვენახა საჭიროდ... ჩვენს ამ გატაცებას უბრალოდ მიეცა გზა ჩვენი ურთიერთ სქესობრივი დამოკიდებულებით, რაც მოიტანა შემთხვევამ, ჩვენდა უნებურად შექმნილმა პირობებმა... იმან, რომ შენ ღამით ჩემთან თავი შეიფარე, ჟანდარმებს დაემალე, — მიუგო ნადეჟდამ.

— კარგი, კარგი, ნადეჟდა, დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს, შევცვალოთ თემა!.. რა უცნაურობაა, რა საძაგელი ლაპარაკი შეგვექნა! ჭირვეული კილოთი, ნერვიულად სთხოვა პართენმა.

ნადეჟდა წინ არ აღუდგა.

მან შეიგნო, რომ წამოწყებული ლაპარაკის შინაარსი მეტად არასასიამოვნო ფორმას იღებდა პართენისათვის.

მაგრამ როგორ უნდა შესცვალოს თემა ნადეჟდამ?

რომ არა გრძნობს გაშუქებულად სალაპარაკოდ გამხდარ საგანს.

თვითონ პართენიც არ არის მზად სხვა თემაზე გადასასვლელად. მას კიდევ აქვს ამავე თემაზე გადაუდებელი სალაპარაკო, ამოუწურავი კითხვა-პასუხები.

პართენს ხომ არ უამბნია ჯერ ნადეჟდასთვის, დამ რომ მოსწერა სოფოს „ულირს" ყოფა-ცხოვრებაზე... აგრეთვე არ შეკითხვია პართენი ნადეჟდას და ჯერ არ გაუგია — ცოცხალია მისი და ნადეჟდას საზიარო პაწია შვილი თუ არა? ვაჟია თუ ქალი? რა ჰქვიან? სადა ჰყავს და ვინ უვლის?

პართენის აზრით, თვითონ ნადეჟდა იმდენ გულცივობას იჩენს აქ, რომ სრულებით არაფერი არ უნდა სთქვას ბავშზე, პართენისთვის ჯერ უცნობ ბავშზე.

შეიძლება ნადეჟდას ჯერ არ უნდა გაუმხილოს პართენს, რომ მისგან შვილი ჰყავს? ან შეიძლება სულ უნდა დაუმალოს, რომ პართენისაგან შვილი ჰყოლია?

კი, მაგრამ პართენმა რომ მოაგონა მას ამ შვილზე თავის სიტყვაში და არ უარჰყო, არ დაარღვია ეს ნადეჟდამ?

არა, ნადეჟდას უნდოდა შეჩერებულიყო „შვილზე" და ეთქვა, ეპასუხნა, მაგრამ პართენის მახვილმა რეპლიკებმა და ლაპარაკში ჩარევამ შეაწყვეტინა სიტყვა, დაავიწყა ბავშზე სათქმელი, სხვაზე გადაიყვანა...

და კიდევ ამიტომ ახლა ნადეჟდამ ვერ შესძლო თემის გამოცვლა, ვერ მონახა სალაპარაკო საგანი.

ნადეჟდას გადაწყვეტილი აქვს — დაუმალოს პართენს, რომ მისგან შვილი ეყოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადეჟდას სურს დაუფაროს დამოკიდებულების ეს შედეგი არა მარტო სოფოს, თვით ამ „შედეგის“ მიზეზს პართენსაც.

ამის ერთი მაიძულებელი პირობა ნადეჟდასთვის სოფოა, მაგრამ მეორე პირობა შეიქნა ახლა ის ახალი ამხანაგი და მეგობარი, რომელმაც პართენი შესცვალა და რომელთანაც მან, ნადეჟდამ, თავისი მომავალი ცხოვრების ბედი გადააბა.

ნადეჟდამ არ დაინახა საჭიროდ თავისი შვილის მამის გამხელა ამ ახალ თანამცხოვრებთანაც.

— შვილი ჩემია. მამას ნუ დაუწყებ ძებნას. თუ მე გიყვარვარ და პატივს მცემ, ასევე შეიყვარებ ჩემს შვილსაც, — უპასუხა ნადეჟდამ მოკლედ თავის ახალ თანამცხოვრებს, როცა ამ უკანასკნელმა ჰკითხა:

„ვისია ეს ბავში? და სთხოვა: „მითხარი მაინც, ვინაა მამამისი“.

სწორედ ამ პირობამ მოიტანა ის, რომ ბავში თვითონ ამ თანამცხოვრებმა მიაბარა თავის ახლო ნათესავ ქალს აღსაზრდელად, საძიძაოდ, როგორც საკუთარი და საყვარელი შვილი.

და მართლაც, მან ნადეჟდასთან ერთად შეიყვარა ნადეჟდასა და პართენის ეს პირმშო, ეალერსება, ევლება თავს...

პატარს ზურა (პართენის საზიარო შვილისათვის ნადეჟდას ქართული სახელი — ზურაბის — დარქმევა ენებებია) ახლა უკვე წლინახევრის არის და მოსკოვის განაპირად, მუშათა უბანში, ის ერთ ვიწრო და ჩუმ ქუჩაზე ხშირად გაექცევა „მამიდა“-ძიძას ბინიდან და სხვა თავის ტოლ პაწიებთან ერთად იწყებს თამაშს, ცელქობას.

... სხვა თემაზე ლაპარაკის დაწყების ნაცვლად ნადეჟდამ სიჩუმე არჩია.

პართენიც ასე გაჩუმებული მიჰყვებოდა ერთხანს, მაგრამ შემდეგ მან პირველმა დაარღვია სიჩუმე და უამბო ნადეჟდას, დის წერილის მიხედვით, სოფოს უკანასკნელი ცხოვრების „ისტორია“...

ამ ლაპარაკში მათ გადასჭრეს ნევის დიდი გამზირი, შემდეგ კიდევ გაიარეს რამდენიმე პატარა მოსახვევი, და ნადეჟდა მიადგა თავისი მეგობარი ქალის ალაყაფის კარს.

მან მოკლედ ამცნო პართენს, რომ ამაღამ თავშესაფარი ბინა მას აქ ჰქონდა, და გამოსამშვიდებლად ხელი გაუწოდა.

— ... არაა სასიამოვნო, სამწუხაროა შენი დის წერილი, თუ ის მართალია, მაგრამ ეს მაინც ჩვეულებრივი ამბავია... ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, პართენ, შენ ვალში არ ხარ სოფოსთან, და მით უფრო ადვილად უნდა შეურიგდე ამ გარემოებას, — უთხრა ჩაფიქრებით ნადეჟდამ და ხელი მოუჭირა ხელზე, მეგობრული სითბო აგრძნობინა.

— ... ყველაფერს შევურიგდები, ყველაფერს ავიტან პირად ცხოვრებაში, ნადეჟდა, მაგრამ ვთხოულობ — ჩემი ახლობელი ადამიანები ნუ დამიფარავენ, რაც ჩემთვის ძვირფასია და მათთვის უბრალო, ელემენტარული... გაუწიონ მათ ანგარიში ჩემს მოთმენას, ჩემს ნერვებს... ჩემი რევოლუციონური ინტერესისა და ენერგიის მოდუნების მიზეზად ნუ გახდიან თავიანთ ჯიუტობას! — მიუგო პართენმა და შემობრუნდა, თავის ბინისკენ მიმავალ ქუჩაზე გაემართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ჭირვეული და ნერვიული იყო პართენის ეს სიტყვები.

ნადეჟდამ იგრძნო, რომ ეს სიტყვები მთლად მისდამი იყო მიმართული. შეწუხდა. მეტად უხერხულად იგრძნო თავი...

— მოიცა, მოიცა, პართენ! ნუ ჩქარობ წასვლას... რა სთქვი? — მიაგება ნადეჟდამ ნაბიჯებაწყობილ პართენს და შეაჩერა, წუთით ფიქრებს მიეცა.

„... მე მაწერს ჯიუტობას, მე მდებს ბრალს... ჩემს ჯიუტობას ალბათ იმაში ხედავს, რომ ჰგონია — მე კვლავინდებურად მიყვარს მამაკაცი მასში და ამ ფაქტს ვაფარებ ხელს. ბრალს მდებს იმაში, რომ სჯერა — ვუმალავ რაღაცას (ალბათ შვილს) და ამით მის მოთმინებას ანგარიშს არ ვუწევ, მის ნერვებს არ ვიბრალებ... უკანასკნელის შესახებ არ სცდება, მაგრამ ამაზე მაინც ვერაფერს ვერ ვეტყვი. დე, როგორც უნდა ისე ჩასთვალოს, რანაირი ბრალდებაც უნდა წარმოადგინოს — ვზიდავ... პირველის შესახებ კი სცდება, პირველი არაა მართალი... ალბათ თანაგრძნობით, მეგობრული თანაგრძნობით რომ ხელი მოვუჭირე, თუ ჩათვალა სიყვარულად... მაგრამ ეს ხომ ჩემი მეგობრული და ამხანაგური ვალი იყო, მეგობრული და ამხანაგური გრძნობა იყო? როგორ ავუხსნა ეს? და რისთვის გავუმხილო, რომ მე უკვე სხვას ვეკუთვნი, მყავს მის მაგიერი, უფრო მეტი „უფლებით“ აღჭურვილი ადამიანი, უფრო „კანონიერი“... არა, არა, ამას არ ვეტყვი... იმ მოსაზრებითაც, რომ ეს ახლა, ამ მომენტში, მისთვის ერთობ მძიმე იქნება... დე, იკვებოს ერთხანს ილუზიებით, წარმოდგენით, იმედით, რომ ჩემში ქალის გრძნობები არ შეცვლილა მისთვის, რომ ეს გრძნობები ისევ ცხოველია მისდამი... რატომ მოვაკლო, თუ ეს მისთვის ასე საჭირო იქნება... ეს გადაატანინებს მას სევდას და დარდს, „ცოლის“ დაკარგვით რომ შეჰყრია... საშინელია ეს ავადმყოფი გრძნობები... — სთქვა თავისთვის გულში ნადეჟდამ.

— ... ეს სიტყვები ხომ სულ მე მეხება?! მიჯავრდები? ბრალს მდებ? რაში! — უთხრა დაბალი ხმით, თბილად ნადეჟდამ პართენს და ხელი ხალათზე შემოჭერილ სარტყელში ჩაავლო.

— „რაში“... როგორ თუ რაში! — რატომ ბავშის, ჩვენი ბავშის შესახებ არაფერს მეუბნები, ნადეჟდა? ეს არ არის გასაჯავრებელი? რატომ იჩენ ასეთ გულცივობას? მე დამარწმუნეს, რომ შენ შვილი გყავს ჩემგან... შენა გგონია მე მამის გული და გრძნობა არა მაქვს? ჩვენი სიყვარული და დამოკიდებულება თუ „შემთხვევითი“ იყო, შვილს, — ამ „შემთხვევის“ რეალურ შედეგს — ხომ „შემთხვევას“ ვერ გავატანთ და ვერ უარვყოფთ?! თუ მოგიკვდა და ცოცხალი არაა, ნურც ამას მიმალავ! თუ შენ ზიდე ეს მწუხარება, — მეც მომეცი ნება გავიზიარო იგი და ვზიდო... — მიუგო აღელვებულმა პართენმა აწეული ხმით.

— პართენ, დამშვიდდი!.. ბავში მე არ მყოლია. ეს ყველაფერი მოჭორებული ამბებია... მაგრამ ამაზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ... ჩვენ ჩქარა, უფრო ხელსაყრელ პირობებში კიდევ შეეხვდებით ერთმანეთს და მაშინ დაწვრილებით ვილაპარაკებთ ყველაფერზე... შენ, პართენ, ფიქრებს და დარდებს ნუ მისცემ თავს... შენს რევოლუციონურ მუშაობას ნუ შეანელებ ამ საპასუხისმგებლო მომენტში, და ყველაფერი გამოსწორდება, ყველაფერი მოეწყობა... შენ გაქვს ჩემი მისამართი, მეც აგრეთვე ვიცი შენი საიდუმლო სახელი და მისამართები, ჩვენ ერთმანეთს არ დავებნევით... ნახვამდე, ძვირფასო ამხანაგო, — უთხრა ალერსიანად, სიყვარულით ნადეჟდამ და ალაყაფის კარში შევიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პართენმაც უპასუხა „ნახვამდე“ და გაუდგა თავის გზას, აღარ შეჩერებულა.

„თუ ამდენი რამ ჰქონდა ჩემთან სალაპარაკო, რა იქნებოდა ჩემსას წამოსულიყო ბინაზე და ეთქვა... დილით კი, ადრე, მეც მივაცილებდი სადგურში,“ — სთქვა მიმავალმა პართენმა თავისთვის.

პართენი საერთოდ ნადეჟდას უკანასკნელი სიტყვებით კმაყოფილი იყო: მან გაათბო, იმედი აღუძრა, დაამშვიდა.

შვილის ყოლის უარყოფა კი მწვავე და დაუჯერებელი შეიქნა მისთვის, მაგრამ პართენის გულისყური იმან მიიპყრო და სიმწვავე შეუნელა, რომ ნადეჟდამ სწორედ აქ გასწყვიტა სიტყვა, არ დაასრულა იგი და აღუთქვა — ამაზე დაწვრილებით სხვა დროსო... და ეს დროც შორს არ გადაუდო, ჩქარა, უფრო ხელსაყრელ პირობებში კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, — დააიმედა.

პართენისთვის ამჟამად მაინც მთავარი იყო ნადეჟდას დამოკიდებულება, ნადეჟდას გული და თანაგრძნობა.

და ეს ყველაფერი ახლა ბოლოს ნადეჟდას მოქცევა-მოპყრობაში დაინახა.

ის, რომ ნადეჟდა მას არ წაჰყვა ბინაზე ღამის გასათევად, თვითონ ახსნა იმით, რომ, ჯერ ერთი, შორს იყო რკინის გზის სადგურიდან, მეორეც — არც ისე დაცული იყო საფრთხისაგან მისი ბინა...

ნამდვილად კი ამის მთავარი მიზეზი სულ სხვა იყო.

ეს მიზეზი პართენისათვის ჯერ დაფარულია...

ნადეჟდა გოლუბევა ის პირია, რომელსაც კარგი სურს პართენისა და სოფოსათვისაც.

პართენი და სოფო ნადეჟდასთვის უსაყვარლესი ამხანაგები და მეგობრებია.

და ნადეჟდა ყოველ ზომას იღებს იმისათვის, რომ შეუბღალავად დაიცვას, შეინახოს ეს მათი ამხანაგური და მეგობრული სიყვარული...

X

მოსკოვში დაბრუნებულ ნადეჟდას ამხანაგებმა დაახვედრეს ამბავი — კავკასიიდან კაცი ჩამოსულა და შენ გკითხულობსო.

— როგორ მიიღეთ, მერე? რა უთხარით? სად ვნახავ ახლა? — ჰკითხა აჩქარებით ნადეჟდამ მათ და მოუთმენლად დაელოდა პასუხს.

— თუმცა სერიოზული და პარტიული კაცის შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, მაგრამ ასე ერთბაშად მაინც ვერ დავენდევით და, ჯერჯერობით, ნაკლებად ცნობილ ერთი ამხანაგის ბინაზე წავიყვანეთ საიდუმლოდ...

— ჰო, შენზე კი ვუთხარით: მოსკოვში არ უნდა იყოს ახლა; მოვნახავთ და, თუ აქ აღმოჩნდა, ხვალ შეგახვედრებთო...

— ეს „ხვალ“ დღეს არის, და აი, ახლა წავალთ მასთან...

— ვინ უნდა იყოს კავკასიიდან? ნაცნობი ვინმე გყავს იქ, რომ გკითხულობს? ამხანაგია?

უთხრეს მას ორგანიზაციის თანამუშაკებმა და ცნობისმოყვარეობით შეაჩერდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადეჟდას ბევრი აღარ უფიქრია კავკასიიდან ჩამოსულ ამ „კაცის“ ვინაობაზე; იგი ყოველ ეჭვს გარეშე დარწმუნდა, რომ ეს ის ამხანაგი იქნებოდა, რომლის შესახებაც სოფო ადრეევ სწერდა, და ყოველდღე მოელოდა მას ტფილისიდან.

— ნაცნობ-ამხანაგები და მეგობრებიც მყავს ტფილისში, რომელთაც ციმბირში, გადასახლების ადგილას გავეცანი და დავუახლოვდი... ეს კავკასიელი ახლა ტფილისიდან წარმოგზავნილი ამხანაგია უეჭველად, რომელზედაც იქიდანვე ადრევე მატყობინებდა მეგობარი... მას მეტად საჭირო ინფორმაციები ექნება ცენტრისათვის და ახლავე, ახლავე წავიდეთ მასთან... — მიუგო ნადეჟდამ და აღარ დააყოვნა, ერთი მათგანის თანხლებით სასწრაფოდ გაეშურა ჩამოსული ამხანაგის საიდუმლო ბინისაკენ.

არ შემცდარა: ეს „კავკასიელი კაცი“, ტფილისელი ამხანაგი — ბესო — აღმოჩნდა...

ბესომ გააცნო მოსკოველი ამხანაგების ვიწრო კრებას საქართველო — ამიერ-კავკასიის მრისხანე რევოლუციონური ამბები, აგრეთვე მოისმინა ამავე ვიწრო კრებაზე ნადეჟდას ინფორმაციული მოხსენება პეტერბურგის რევოლუციონური სამზადისის შესახებ.

ბესო გაეცნო მოსკოვის პროლეტარიატის რევოლუციონურ დუღილსაც.

— ... მაშ, ამხანაგებო, საქმე კარგად ყოფილა, მეც ახლა უნდა ვიჩქარო უკან დაბრუნება, რომ ორგანიზაციებს ადგილებზე ვამცნო ეს და მოვემზადოთ... — უთხრა ბოლოს ენტუზიაზმით ბესომ მათ და ნადეჟდას გადახედა, თითქო ეკითხება — ხომ არაფერი მაკავებს ახლა, ხომ შემიძლია გავბრუნდეო.

— კი, ჩქარა უნდა გასწიოთ, ამხანაგო...

— ჩქარა, ჩქარა, თორემ სავალი გრძელი გაქვთ და ერთობ გვიან მოხვდებით ადგილზე... ჩვენ ახლა ვიწყებთ.

— ჰო, ამოცანები მეტად საპასუხისმგებლო გაქვთ, თქვენ დეპეშების სისწრაფით უნდა გააგებინოთ დაბა-ქალაქებში ამხანაგებს ცენტრის გადაწყვეტილება! შესძახეს ერთად ამხანაგებმა ბესოს და დაუდასტურეს აჩქარების საჭიროება.

— ... არა, ამხანაგებო! ამხანაგი ბესო ჯერ პეტერბურგში უნდა წავიდეს და გაუკეთოს მოხსენება ცენტრს, — ეს მისი მთავარი და უპირველესი მოვალეობაა; კავკასიიდან ამხანაგებს მეტად გაცხოველებით კითხულობენ და ელოდებიან... სანამ მე არ გადავეცი ცოტა რაღაც ცნობები კავკასიის შესახებ, არაფერი არ სცოდნოდათ, უთხრა კრებას ნადეჟდამ და ამით სხვათა შორის მოაგონა, რომ რევოლუციის ცენტრი პეტერბურგია, და არა მოსკოვი, მთავარი ხელმძღვანელობა იქიდან მოდის, და არა ჩვენგანო.

ამხანაგები წინ არ აღუდგენ მას.

დავა და ლაპარაკი ამის ირგვლივ არ ამტყდარა.

ბესომაც იცნო პეტერბურგში წასვლა საჭიროდ.

ნადეჟდა და ბესო ერთად გამოვიდენ კრებიდან და ვიწრო და ჩუმი ქუჩით გაემართენ.

ისინი პირდაპირ სადგურისკენ მიდიოდენ.

პეტერბურგის მატარებლის გასვლას კიდევ უკლდა რამდენიმე საათი, და ბესო და ნადეჟდა ამიტომ აღარ ჩქარობდენ, ნელი ნაბიჯით მიდიოდენ და მასლაათობდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალაპარაკო, — როგორც ნადეჟდას, ისე ბესოს, ბევრი ქონდათ.

ნადეჟდამ დაწვრილებით გამოჰკითხა ბესოს ტფილისისა და მისი პერიფერიების მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობის შესახებ, თუ როგორ აწარმოებდენ პარტიული ორგანიზაციები მათში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას და რამდენად მწვავე იყო აქ მენშევიკებთან დამოკიდებულება.

ნადეჟდამ ბოლოს არ დაიეიწყა ეკითხა სოფოზე, სოფოსა და პართენის შვილებზე, სოფოს ახალ სიყვარულზე...

ბესომ ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცა.

მაგრამ შეაყენა და უხერხული მდგომარეობა შეუქმნა მას სოფოს „სიყვარულზე“ კითხვამ...

როგორ უთხრას ახლა ბესომ ნადეჟდას, რომ მან შესცვალა პართენი, იგი თვითონ არის სოფოს ეს „შეყვარებული“?!..

უთხრას, რომ ნადეჟდასა და პართენის დამოკიდებულებამ გადასჭრა სოფოსა და მას შორის ეს „სიყვარულის საკითხი“?

ნადეჟდამ შეიძლება ისედაც ყველაფერი იცის და აქ რაიმეს დამალვა ზედმეტიც არის?

მაგრამ თუ იცის, რაღას ეკითხება?

შეიძლება ნაწილობრივად იცის, ყველაფერი არ იცის?

არის საჭირო, მერე, ყველაფერი იცოდეს?

ნადეჟდას ალბათ უფრო სოფოს „შეყვარებულის“ ვინაობა აინტერესებს... ადამიანები საშინელი ცნობისმოყვარენი არიან...

ასეთი ფიქრები უტრიალებს ახლა თავში ბესოს და არ იცის როგორ მოიქცეს, რა უპასუხოს...

თვითონ ბესოსაც აქვს თავის მხრივ მისაცემი კითხვები, როგორიცაა: „ლენინი სად არის“?, „პართენი რას აკეთებს და რომელ ქალაქშია“ და სხვ.

მაგრამ ამ კითხვებს ვერ აძლევს მას მანამ, ვიდრე არ უპასუხებს მის მიერ მოცემულ კითხვაზე.

... და ბესომ დააკმაყოფილა ნადეჟდას ცნობისმოყვარეობა.

— თქვენა ხართ, მაშ, სოფოს შეყვარებული?!.. თქვენ შესცვალეთ პართენი?! — უთხრა ნადეჟდამ ბესოს, როცა იგი მორჩა ლაპარაკს.

ბესომ ხმა არ გასცა. დარცხვენილი, ჩუმად მიაბიჯებს ნახევრად ბნელ ქუჩაში.

— ... და ყველაფერი ეს, გამოდის, მე და პართენის დამოკიდებულებას მოუმზადებია... საწყუხაროა! მაგრამ ის არაა მართალი, თითქოს ჩვენ შვილი გვყავს. ვინ გადასცა სოფოს ეს ამბები? მაგრამ ჩვენ რომ ახლა ეს კავშირი არა გვაქვს ერთმანეთთან?... პართენზე საშინლად რომ მოქმედებს სოფოს ეს დაკარგვა მისთვის? დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ ნადეჟდამ თავის ნათქვამს.

შეწუხდა ბესო.

ნადეჟდას უკანასკნელმა სიტყვებმა მაინც მეტად დააღონა იგი.

„... პართენზე საშინლად მოქმედებს სოფოს დაკარგვა“...

რა ჰქნას ახლა ბესომ? როგორ დაიბრუნოს წინანდელი დამოკიდებულება? ბესო ხომ უკვე მამაა სოფოს შვილის...

ამის წაშლა რომ შეიძლებოდეს სინამდვილეში, ერთი წამითაც არ შეყოყმანდება ბესო; სიამოვნებით იზამს იგი ამას. მას ხომ უყვარს და დიდ პატივს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სცემს პართენს, როგორც ამხანაგს და მეგობარს! არა ნაკლებად, ვიდრე სოფოს...

„... პართენმა დაჰკარგა სოფო; მე ვკარგავ პართენს! და რისთვის, მერე, ყველაფერი ეს!?... ქალ-ვაჟურმა დამოკიდებულებამ, ქალ-ვაჟის გრძნობამ უნდა მოიტანოს აუცილებლად ეს!?... ქალ-ვაჟის სიყვარულმა უნდა „გადაგვკიდოს“ მეგობრები ასე!?... უარს ვამბობ, არა, არ მინდა ასეთი „სიყვარული“... რატომ, რატომ არ შეიძლება ქალ-ვაჟის ურთიერთობის მოწყობა ისე, რომ ამ სიმწვავეს და შეხლა-შემოხლას მეგობრებს შორის გვერდი აეხვიოს!?. „სიყვარული მსხვერპლს თხოულობს“, „სიყვარულს მსხვერპლი ეწირება“, — უჰ, რა მეშჩანობაა, რა ინდივიდუალიზმია, რა საძაგელია ეს ადამიანში!!“—ამბობს ბესო თავისთვის გულში და განაგრძობს გზას ნადეჟდას გვერდით, არც ახლა აძლევს პასუხს ნადეჟდას.

— ... იცნობთ პართენს? გიცნობსთ იგი? — კიდევ ნადეჟდამ დაარღვია სიჩუმე.

— როგორ არა, ვიცნობ, მიცნობს... ჩვენ ახლობელი და საყვარელი ძველი მეგობრებიც ვიყავით...—მიუგო ბესომ, ახლა უკვე ფიქრებიდან ამოსულმა, მაგრამ გაუბედავად.

— როგორ? „იყავით“ და ახლა აღარა ხართ? არ გინდათ იყოთ?...

— მე როგორ არა, მე ისე მინდა ეს მეგობრობა, რომ მზადა ვარ ყველაფერი ჩავიდინო, რაც ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერი, ოღონდ კი წინანდელი დამოკიდებულება აღვადგინო, ახლანდელი წავშალო. მაგრამ პართენი? პართენი როგორ შეხედავს ამას, როგორ მომეჭცევა? — ესაა საქმე... ახლა კი ამ „ამბის“ შემდეგ, უეჭველია, ჩვენი მეგობრობა გათავებულია...

— ... წაიყვანეთ პართენი კავკასიაში! ხელმძღვანელი გეჭირვებათ, ცხადია.

— კი, სიამოვნებით, თუ თვითონ პართენი არ წავა წინააღმდეგ... მერე კიდევ, ჩვენ ხელმძღვანელი ძალები, და ისეთი, როგორიც პართენია, ძალიან გვჭირდება... სოფოსაც ძალიან გაუხარდება. მას ხომ ისევ უყვარს და ენატრება პართენი და არ არის მართალი პართენი, თუ იგი დაკარგულად სთვლის სოფოს თავისთვის...

ნადეჟდას ძლიერ ესიამოვნა ბესოს სიტყვები, ესიამოვნა, არა მარტო შინაარსი, თვით სიხარულით სავსე მკვირცხლი კილო, სიტყვის ფორმის უბრალოება, გულუბრყვილობა, რომელშიც გამოსჭვიოდა უაღრესი სიწრფელე, და ამით ჭეშმარიტი მეგობრული სიყვარულის დამაჯერებლობაც...

„მართლაც, ასეთი მეგობრები ყველაფერს გაუგებენ ერთმანეთს და აპატიებენ... რა იშვიათი ადამიანი ყოფილა ბესო!... პართენიც ხომ ასევე უბრალო და კარგია... არა, ისინი ერთმანეთს არ „გადაეკიდებიან“!... „ისინი არ უნდა დაშორდენ ერთმანეთს...“ — ფიქრობს ნადეჟდა.

ბესოს რაღაც შეუცნობელი სიმძიმე მოეხსნა გულიდან და სიამის ჟრუანტელმა დაუარა ტანში. სიმშვიდე იგრძნო... მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ეს სიმძიმე ისევ მოუბრუნდა და დაეკიდა გულზე...

თავისი პირმშო შვილი? ამ შვილის დედა,— მისთვის ორივე განუშორებელი ძვირფასი არსება? როგორ მორიგდებიან ამაში ლეო-კარლის მამა, ლეო-კარლის დედის ქმარი-პართენი და ბესო? პართენის ცოლის უკანასკნელი შვილის მამა— ბესო?... რას უზამენ ისინი ამ ფაქტს!? როგორ, როგორ შეთავსდებიან აქ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ... ეს ყველაფერი ძალიან კარგი... პართენი კავკასიაში დაბრუნების წინააღმდეგი არ იქნება, მაგრამ მისი დაბრუნება ამხანაგებს უნდა სთხოვოთ პეტერბურგში, და არა თვითონ პართენს. პართენმა, პირიქით, არც უნდა გაიგონოს ეს... ამხანაგები უარს არ გეტყვიან, მოგცემენ პართენს, როცა გაიგებენ ძალების სიცოტავეს თქვენში.—უთხრა ნადეჟდამ ბესოს და ფიქრებს მიეცა.

ბესომ არაფერი არ უპასუხა, თითქო ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო. სიჩუმე ჩამოვარდა.

— ... დავა და „ჩხუბი“ ხომ არ მოგივათ პართენს და თქვენ ერთმანეთს შორის სოფოს გამო? გიფიქრიათ ამაზე?... რა თქმა უნდა, თუ აქ გონიერებას დაუთმობთ ადგილს, ინდივიდუალურ გრძნობებს არ აჰყვებით, სადაო და „საჩხუბარი“ ერთმანეთს შორის არაფერი გექნებათ. აქ სოფო სწყვეტს ყვალაფერს; სოფოს უნდა მიანდოთ ეს „საქმე“; იმას უნდა უყუროთ... — დაუმატა თავის ნათქვამს ცოტა ხნის შემდეგ ნადეჟდამ.

— მე, ამხანაგო ნადეჟდა, არ წავალ უკან, დავრჩები პეტერბურგში, ან მოსკოვში... აღარ დავბრუნდები, ეს უმჯობესი იქნება... მე შეგნებულად მსურს, რომ სოფოს და პართენის ცხოვრება განახლდეს. მე მგონია, ეს შეიძლება... — მიუგო ბესომ კვლავ მკვირცხლად და უბრალოდ.

ამ ლაპარაკში ისინი უკვე რკინის გზის სადგურში შევიდენ და ბესომ ბილეთის ასაღებად რიგი დაიჭირა.

რიგში მდგომ ბესოს ნადეჟდამ ჩუმად, ყურში, კიდევ გადაულაპარაკა რაღაც და გამოემშვიდობა, განშორდა.

„... გადაწყვეტილია—პართენი ტფილისში დაბრუნდება, მე კი რუსეთში დავრჩები... ასე უმჯობესი იქნება პართენისათვის, სოფოსათვის და, რაც მთავარია, ჩვენი დიდი რევოლუციონური საქმისათვის; აგრეთვე, რა თქმა უნდა, ჩემთვისაც, როგორც კოლექტივის წევრისათვის, მებრძოლი სოციალისტური პარტიის წევრისათვის... ტყუილად ფიქრობს ნადეჟდა, თითქოს ასე არ ივარგებს... მე ამით უფრო დავუმტკიცებ პართენს, რომ ვაფასებ მის ამხანაგობას და მეგობრობას. და სოფოშიც შევინახავ ჩემდამი მეგობრულ დამოკიდებულებას და პატივისცემას... მაგრამ როგორ წარვუდგე ახლა პართენს? როგორ გაუცოცხლო თავი? მე ხომ მკვდრად ვითვლებოდი, ცხრაასხუთის რევოლუციის მსხვერპლთა შორის ვირიცხებოდი პართენისათვის?!. კიდევ მასთანაც უნდა განვლო ეს „სენსაციის“ პროცედურა...„ — ფიქრობს რიგში მდგომი და ბილეთის აღების მომლოდინე ბესო.

რამდენი მძიმე ამოცანით არის დატვირთული ბესო ახლა, და მიეჩქარება პეტერბურგში, აზვირთებულ რევოლუციის ტალღებში მცურავ პეტერბურგში!..

პირველად პეტერბურგში მან პართენი უნდა ნახოს, — მასთან აქვს მიცემული ნადეჟდასაგან მისამართი, წერილი.

პართენმა უნდა აჩვენოს მას ამხანაგები, ცეკას ხელმძღვანელი დიდი ამხანაგები...

არა, ბესომ იცის, რომ ლენინი არ იქნება ამ ამხანაგებს შორის, — იგი საზღვარგარეთ არის და იქიდან იძლევა სახელმძღვანელო დირექტივებს.

მაგრამ ვინ არის, მაინც, ეს სხვა დიდი ამხანაგები ცეკაში?—რამდენი ზის საპყრობილეში, რამდენი კი შორს, უდაბურ ქვეყნებშია გადასახლებული...

ბესოს გაუგონია, რომ ერთ დროს საქართველო — ამიერკავკასიაში მომუშავე, ამიერკავკასიის ბოლშევიკების თვალსაჩინო ლიდერი კობა, რუსეთის რომელიღაც ცენტრალურ ქალაქში ეწევა დაუღალავ, ხელმძღვანელ რევოლუციონურ მუშაობას, მაგრამ ნეტა რა გვარით? იქნება თუ არა პეტერბურგში ამ დიდ ამხანაგებს შორის იგი, — ეს ბესომ არ იცის.

პირველად პართენი ალბათ სოფოს შესახებ შეეკითხება, გამოჰკითხავს სოფოს ახალი „შეყვარებულის" ვინაობას.

რა ქნას, როგორ უპასუხოს?

გაუტყდეს? უთხრას მაშინვე, ერთბაშად ყველაფერი?

რომ ავნოს ამან პარტიის საქმეებს? რევოლუციის საქმეებს? რომ დააბრკოლოს...

ეს ააღელვებს პართენს, მოუტეხს ხასიათს, შეანელებს მის რევოლუციონურ ინტერესს, მოადუნებს...

არა, არ ეტყვის, არ გაუტყდება მაშინვე! არ გაუმხელს თავს! არ ამცნობს, რომ იცის სოფოს ეს „ამბავი". გვერდს აუხვევს...

მაგრამ პართენის პირველი კითხვა მართლა სოფო და მისი „შეყვარებული" იქნება? არა, პართენის პირველი კითხვა რევოლუციის ამბების შესახებ იქნება მიცემული, პირველი მისი ნაბიჯი და საქმე რევოლუციისაკენ იქნება...

პართენი ხომ, უპირველეს ყოვლისა, რევოლუციონერია, პარტიის კაცია, პარტიას ეკუთვნის, და არა თავის თავს, პარტიისათვის არსებობს!

სიტუაცია, დაჭიმული რევოლუციონური პირობები არ მოაცლის ახლა პართენს, რომ პირად ცხოვრებას გაუყოს დრო, ინდივიდუმის სერვილზე შეჩერდეს... პართენი, სერიოზული ბოლშევიკი — რევოლუციონური პართენი არ იზამს ამას...

ასეთ ფიქრებს ეძლევა სალაროს მიახლოებული ბესო.

ერთი საათი კიდევ, და ბესო პეტერბურგისაკენ მიმქროლ მატარებელში იჯდომება.

სადგურიდან გამობრუნებული ნადეჟდა, ბესოსაგან დამატებით ნაამბობის შთაბეჭდილებით დატვირთული, სწრაფად მიაბიჯებს, მიეჩქარება ბინაზე.

ბინაზე ნადეჟდას ელოდება, თავის თანამცხოვრებს გარდა, რამდენიმე სხვა ამხანაგი, რომლებიც მისი თანხლებით უნდა გაეშურონ რაიონში და მუშებს ბრძოლის თადარიგი მისცენ. მთელი ღამე ძილი არ უწერიათ...

ძალიან დააინტერესა ნადეჟდა გურიის გლეხობის ცხოვრებიდან ბესოს ნაამბობმა:

„პატარა მდინარე ჭიქაურაზე მეზობელი ღარიბი გლეხების საამხანაგო წისქვილის აშენება... აგრეთვე მათგანვე საფუძვლის ჩაყრა ხის სახერხი მანქანის მოსაწყობად... ამხანაგობის ნაყოფიერი შედეგი... ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი იდეა ამავე გლეხებში: შრომის სხვა სფეროშიც გაერთიანება... და შესაძლებლობა შრომის მეტი ნაყოფიერებისა, ნივთიერ მომარაგებაში საგრძნობი მიღწევებისა, სიღარიბიდან ამოსვლის...

„აი, სოფელში, მეურნეობის ხაზით, კულტურულ-განმანათლებელი ლეგალური მუშაობა, სოციალისტური პატარა საქმეები, — ფიქრობს ნადეჟდა... მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური საქმეები ხომ სოციალისტებიდან უნდა წარმოდინდებოდეს, და აი, სათავეში ამ ამხანაგობას, ამ კოლექტივს სოციალისტი გლეხი გოგი და ქარხნის მუშა სპირიდონი ჩასდგომიან.—განაგრძობს ფიქრს ნადეჟდა.—რა ცოცხალი, გონიერი და ინიციატივის ხალხი ყოფილან ეს ქართველები! რამდენი ინტერესი და რევოლუციონური ენტუზიაზმია მათში!".

სპირიდონი გოგის გადასახლებული ძმა არის, რომელიც ცოლთან—ტანიასთან ერთად გამოპარულა გადასახლების ადგილიდან, დაუღწევია თავი შორეული ციმბირის „მიგდებულ" პატარა ქალაქ კრასნოიარსკისთვის...

მაგრამ სპირიდონი სოფელში არა მარტო საამხანაგო წისქვილს და სახერხი მანქანის მოწყობას ხელმძღვანელობს—იგი მუშაობს სოფლის რევოლუციონურ ჯგუფებში, აწყობს და ამზადებს რევოლუციის ავანგარდს — არალეგალურ პარტიულ უჯრედებსაც.

ამ მუშაობაში არ აკლებს ხელმძღვანელ დამხმარე ხელს ტფილისიდან სოფოც, რომელიც სისტემატიურად აწვდის პროკლამაცია-მოწოდებებს ღარიბ გლეხებში გასავრცელებლად.

სოფოს ეკუთვნის იდეა—სპირიდონ-გოგის მიერ სოფლის გლეხების შეკრება კოოპერატიული დუქნის გასახსნელად...

კოოპერატიული დუქანი გაიხსნება სპირიდონ-გოგის დაუღალავი მუშაობით.

და ეს იქნება საამხანაგო წისქვილს შემდეგ მეორე ნაბიჯი უფრო ფართო საზოგადოებრივი დაწესებულების, კოლექტიური დაწესებულების შესაქმნელად.

... საამხანაგო წისქვილის მოზიარე გლეხების ძლიერი სურვილი იმის უტყუარი თავდებია, რომ კოოპერატიული დუქანი გაიხსნება სოფელ ზეგანში.

XI

განვლო დღეებმა...

რევოლუციონური ქარის ქროლა ერთობ გაძლიერდა.

რევოლუცია მომწიფდა და სამრეწველო ქალაქებში უკვე იერიშებზე გადავიდა...

რევოლუციის ცენტრი—პეტერბურგი—ბარიკადებით დაიხაზა.

ასევე აჯანყების სამზადისშია მოსკოვი, კიევი, ვარშავა და სხვა ქალაქები.

ამ დიდ ქალაქებს არ ჩამორჩა ამიერკავკასიის ცენტრი ტფილისიც.

ტფილისის პროლეტარიატი გაიმართა წელში, მოლონიერდა, ირაზმება, მეორე რევოლუციის ფერხულში ებმება...

რევოლუციის სამზადისში მყოფი მებრძოლი მასები თავს იყრიან, ჯგუფდებიან ბოლშევიკების ორგვლივ.

პროლეტარიატის ავანგარდის — სოციალ-დემოკრატიული პარტიის — ეს ბოლშევიკური ნაწილი ტფილისში რიცხობრივად მენშევიკებზე ერთობ სუსტია თუმცა, მაგრამ იგი რევოლუციონური თვისებით, რევოლუციონური შეურიგებლობით და გამძლეობით არის ძლიერი, და ამით იზიდავს უმეტეს მებრძოლებს, ამით იკრებს მენშევიკებზე მეტად თავის ირგლივ რევოლუციონურ მუშებს.

ტფილისის ამ ბოლშევიკურ ჯგუფს ალიოშა და კასიანი ხელმძღვანელობენ, ხოლო დაუღალავ ორგანიზატორებად მოვლენიან მას: პავლე, სოფო, „პატარა" სერგო, ვართანა, ოლია, ბესო და სხვები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ბესო ახლა აკლიათ მათ.

პეტერბურგ-მოსკოვში წარგზავნილი, იგი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა; დღე-დღეზე ელოდებიან ამხანაგები ინფორმაციით და დირექტივებით დატვირთულ ბესოს...

პავლე, სოფო და ბესო განუყრელ სამებად ითვლებოდენ რევოლუციის უმძიმეს ტეხნიკურ საქმეებში.

პატარა სტამბა—ამერიკანკა სათრევი იყო, ადგილიდან ადგილზე გადასატანი, შრიფტი იყო შესაძენი; არალეგალური ფურცლები იყო დასაბეჭდი, დაბეჭდილი—პროვინციებში დასაგზავნი, ცენტრში—ტფილისში გასავრცელებელი; ფარული პარტმუშაკებისათვის ყალბი საპირადო მოწმობების დამზადება იყო საჭირო,—ეს ყველაფერი ამ სამს უნდა სცოდნოდა, ამ სამს უნდა შეესრულებია, ამ სამის ხელში უნდა გაევლო.

და ახლა უბესობა საგრძნობლად აჩნია „სამებას“.

ვერ აუდიან ჩამოთვლილ საქმეებს...

მით უმეტეს ამ მომენტში, როცა ეს საქმეები ერთი-ათად გაიზარდა, გაძლიერდა, აღარ ითმენს შესუსტებას, გადადებას.

საჭირო ხდება მაგიერის აყვანა, „ცარიელი ადგილის“ ამოვსება...

ამისთანა ძალად მისცეს მათ ამხანაგებმა ვალო.

მაგრამ იგი სოფოს და პავლეს ამ საქმეში არ მიაჩნიათ მისაღებად. ვერ სთვლიან ისინი მას მთლად სანდოდ. ეჭვები აქვთ მასზე.

განსაკუთრებით ვერ გადაუხარშავს იგი სოფოს...

სოფო და პავლე გვერდს უხვევენ მას...

ეს გარემოება არ ეპარება ვალოს და ანერვიულებს, სიმშვიდეს ართმევს, შიშს ჰგვრის.

სოფოს და პავლეს მოსვენება არა აქვთ, დღე და ღამე გასწორებული აქვთ რევოლუციონურ სასწრაფო საქმეებში, მუდამ ფუსფუსში და ორომტრიალში არიან, მათი ბინებზე ნახვა არ ხერხდება, ერთ ადგილას არ ჩერდებიან...

ვალოც ასეთ ორგანიზატორად ითვლება, რევოლუციის ასეთ მუშაკად, და ვერ „გაუგია“—სად არიან, რას აკეთებს ეს „ხალხი“... თუ პარტიულ საქმეებზე დადიან, რევოლიუციის საქმეებს აკეთებენ, რატომ ეს მან, ვალომ, არ იცის და არ ილებს მონაწილეობას?

„ეჭვის თვალით ხომ არ მიყურებენ? მაინც საინტერესოა, მარტო ეს სოფო და პავლე მექცევიან ასე, თუ სხვებიც? თუ სხვაც, მაშინ უნდა ვიფიქრო, რომ ეჭვი სერიოზიულია და ცუდ საქმეს მიპირებენ...“ — ფიქრობს ვალო და სახე საშინლად ელმიჭება, ცივ-ცხელი ოფლი ასხამს ტანზე.

და რაც მეტს ფიქრობს იგი ამაზე, იმდენად უფრო რწმუნდება, რომ ამხანაგები მას შეგნებულად უხვევენ გვერდს, ამარტოვებენ, თვალყურს ადევნებენ...

შეიძლება სინამდვილეში ეს მთლად ასე არაა, მაგრამ მას მაინც აეჭვებს რაღაც და ეჩვენება?

შეიძლება...

ვალოს განმარტოებისა და გვერდის ახვევის შესახებ სოფომ და ბესომ მხოლოდ ერთხელ, და ისიც წინად, დააყენეს კითხვა ამხანაგების ვიწრო წრეში. მაგრამ ეს ეჭვები ამხანაგებმა არ გაიზიარეს, წინადადება ვალოს განმარტოვების შესახებ უარჰყვეს, მათ კვლავ ისევ საიმედო და საჭირო ამხანაგად იცნეს ვალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სოფო — ბესოსთვის, და რამდენიმედ პავლესათვისაც, ამხანაგების ეს აზრი არ შეიქნა დამაჯერებელი, ისინი თავიანთ ეჭვებს შერჩენ და კვლავ უნდობლად უყურებდენ მას...

„... სოფოს ვყავარ მაინც ძალიან ჩავარდნილი თვალში. მას, ჩანს, არ დავიწყნია ცხრაასხუთის წარსული: იგი, ჩანს, სერიოზულად შეჩერდა ჩემზე... მართლა, ძალიან წინდაუხედავად კი მომივიდა საქმე: მან საათი დამინიშნა შესახვედრად, მე კი ჩემს ნაცვლად ჟანდარმთა აგენტი და პოლიცია დავახვიე“...— განაგრძობს ფიქრს ვალო.

არ ცდებოდა ვალო. სოფოს სწორედ არ ავიწყდებოდა ეს მომენტი: დილით ადრე, ვიწრო ქუჩის მოსახვევში, სოფო და ვისისი რომ ელოდებოდენ მას, ამ დროს სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილმა უცნობმა გოროდოვოი მოიყვანა და დაპატიმრებულად გამოაცხადა...

მაგრამ სოფოს ამას გარდაც ჰქონდა ეჭვების აღმძვრელი საბუთი მისი პოლიტიკური პატიოსნების წინააღმდეგ. ცხრაასხუთის რევოლუციის დამარცხების ფონზე ციხე—სასჯელს რომ მოულოდნელად დააძვრინა თავი და ამასთან დაკავშირებით ბევრი ამხანაგის სიცოცხლე დაეკიდა ბეწვზე...

— არა, ჩემი აღსასრულის დღე მოახლოვებულია! რევოლუცია ძლიერდება; რევოლუციამ, ვინ იცის, იქნებ გაიმარჯვოს კიდეც, და ჩემი სიცოცხლეც გათავდა... უნდა მოვწყდე ამ „ხალხს“, უნდა გავქრე, გადავიბარგო სადღაც, შორს, ჩემთვის უცნობ ქალაქში!— დაასკვნა ვალომ და შეუდგა ტფილისიდან აბარგების სამზადისს.

მაგრამ ტფილისიდან გარდახვეწისათვის ვალომ ჯერ ნება უნდა გამოითხოვოს იმ „დამცველი განყოფილებიდან“, სადაც იგი თანამშრომლობს. შემდეგ შესაფერი დოკუმენტებიც უნდა მიიღოს... ეს დოკუმენტები, რა თქმა უნდა, ყალბი იქნება, მუშის სახელზე, რომ იქაც განაგრძოს „მუშისა“ და „რევოლუციონერის“ სახელით ჟანდარმერიის სამსახური...

ჟანდარმერიაც იცის თავისი თანამშრომლების „მოვლა“, მან ანგარიში გაუწია ვალოს მოსალოდნელ საფრთხეს, ყურად იყო მისი თხოვნა და მოამზადა იგი გასამგზავრებლად...

და აი, ნაშუადღევს, როცა ბინიდან უნდა გამოსულიყო და სამგზავრო ნივთებით ხელში სადგურისაკენ გაეწია, სპეციალურად გამოცემულმა დეპეშებმა მოუტანა ამბავი: ავსტრიას სერბიამ ომი გამოუცხადა; გერმანია და საფრანგეთი სასწრაფო მობილიზაციას ახდენენ; მობილიზაციის სამზადისშია ნიკოლოზ მეფის მთავრობაცო, და ამან შეაყენა.

„ეს რა ამბავია! მსოფლიო ომის საფრთხე მაშ ფაქტად იქცა? ხომ დაიღუპა მეფური წყობილება! რუსეთში რევოლუცია ჩაღდება და ომი ხომ მას ხელს შეუწყობს... ვინ წავა ომში! ომი წინდაწინ წაგებულია, და წაგებულია მით ყველაფერი! რომ მივდივარ, სად მივდივარ და რა აზრი აქვს? დავრჩები და მობილიზაციის წესით ჯარში გავალ... სიკვდილი აღარ ამშორდება და უმჯობესია ფრონტზე მოვკვდე“...—სთქვა ვალომ თავისთვის და იბრუნა პირი.

სამგზავრო ნივთებს მან ხელი უშვა, გამოიცვალა ტანისამოსი და ჟანდარმთა როტმისტრის ბინაზე გაეშურა სასწრაფოდ.

— ااا, თქვენა ხართ? არ წახვედით?... ძალიან კარგად მოქცეულხართ. წაიკითხეთ დეპეშები?! ახლა სულ სხვა სიტუაცია შეიქნა და თქვენი საფრთხის

საკითხიც შეიცვლება...—უთხრა როტმისტრმა ვალოს და ზრდილობიანად სკამი მიაწოდა, სთხოვა დამჯდარიყო, გადაშლილი საპაპიროსედან პაპიროსიც შესთავაზა.

— ნამდვილია ომი? ეს ხომ საშინელებაა! რის იმედით? რევოლუციის ტალღები აგერ წაგვლეკავს! დავიღუპებით უეჭველად!! ნაწყვეტებად, სასოწარკვეთილებით შესძახა ვალომ მას, ისე, რომ არ დამჯდარა, არც პაპიროსი მოუწევია, ხელში ეჭირა მხოლოდ საცოდავად, პირში ჩადებას ვერ ახერხებდა.

— ძალიან შეუშინებიხარ, ვალოდკა, „რევოლუციას“, ძალიან დაუფიქრებიხარ ომსაც... არავითარი შიში არ გველის — ჩავახრჩობთ რევოლუციას, ომიდან გამარჯვებული გამოვალთ!..

— კი, მაგრამ, ბატონო როტმისტრო, როგორ ვიზამთ ამას? ხალხი არ წავა ომში. ამ ნიადაგზე ხომ სოციალისტები შეეცდებიან რევოლუციის გაღრმავებას...

— ომს გერმანია და ავსტრია გვიცხადებს. ისინი ჩვენს სამშობლოს საზღვრებში შემოჭრას ემუქრებიან და დიდი რუსეთის ხალხი უარს არ იტყვის მტერთან ბრძოლაზე... ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს სამშობლოს მოყვარულ რუსეთის პატიოსანი შვილების სიძლიერეში... და გვაქვს კიდეც ცნობა, რომ რუსეთის სოციალისტების გამოჩენილი მამამთავრები—პლეხანოვი, პოტრესოვი, ვერა ზასულიჩი და სხვები—რუსეთის პროლეტარიატს ამზადებენ სამშობლოს დასაცავად... თქვენი ჟორდანიაც ამ პოზიციას ადგია...

ვალო ჩააფიქრა როტმისტრის სიტყვებმა.

სიმშვიდე ჩამოვარდა.

მაგრამ უკვირს—საიდან იცის ეს ყველაფერი როტმისტრმა?

რა კარგად აქვთ აგენტურა მოწყობილი, რა ძლიერი აპარატი შეუქმნიათ! პლეხანოვმა რა სთქვა და რას ფიქრობს, ჟორდანიამ რა იფიქრა და რას ამბობს: „დამცველმა განყოფილებამ“ ყველაზე ადრე იცის და მუშებში შეპარული თავისი კაცების საშუალებით ყველაზე ადრე ავრცელებს... ეს სასარგებლოა მისთვის და ავრცელებს...

ასეთი ძლიერი და ზღაპრული აპარატი აქვს მეფის ამ სახელმწიფოს, — მოდი და ებრძოლე ახლა მას! ეს კლდეზე თავის დარტყმას ნიშნავს... რას უნდა გახდენ მასთან რევოლუციონერები!

მაგრამ პლეხანოვი, ჟორდანია და ვერა ზასულიჩი, — ესენი ხომ მენშევიკები არიან, მენშევიკების ბელადები, და ისინი ხომ არც ამ რევოლუციის მომწყობი არიან... რევოლუციონური ხალხი აქ ბოლშევიკებს მიჰყვება; რევოლუციის ხელმძღვანელი დღეს მარტო ბოლშევიკები არიან... რას იზამენ ახლა ბოლშევიკები? არა, ბოლშევიკების ლიდერები რევოლუციას არ დაანებებენ თავს, ისინი „სამშობლოს“ არ დაიცავენ, მენშევიკებივით არ მოიქცევიან...

ფიქრობს ვალო და აცქერდება როტმისტრს.

— თქვენი ჩამოთვლილი სოციალისტები სულ მენშევიკებია. და დღეს რევოლუციას, ხომ იცით, მხოლოდ ბოლშევიკები ხელმძღვანელობენ. ბოლშევიკების ბელადები რას ფიქრობენ? ესაა მნიშვნელოვანი! — უთხრა ბოლოს მან როტმისტრს.

— ბოლშევიკები ომის წინააღმდეგი არიან, ჩვენი დამარცხების მომხრენი არიან; მოღალატეები არიან სამშობლოსი, და მათ გავუსწორდებით, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლალატეებს. ჩვენ არ გაგვიჭირდება მათი ალაგმვა... ისინი ვერ შესძლებენ სამშობლოს წინააღმდეგ ხალხის აყოლას!—მიუგო როტმისტრმა და მოიღუშა.

ეტყობოდა, ბოლშევიკების ხსენებამ ვერ დააყენა კარგს გუნებაზე. ვალოსაგანაც მოურიდებლობად და უტიფრობად ეჩვენა კითხვა ბოლშევიკების შესახებ.

„ჰმ, უყურე ამ ვირისთავს; მაინც ვერ ანებებს თავს იმ ბოლშევიკურ ნაჭუჭებს, საიდანაც გამოძვრა! როგორი ეჭვებითაა ავსებული ჩვენს ძლიერებაზე, როგორ უწამებია რევოლუციის და ბოლშევიკების სიძლიერე... ხომ არ ფიქრობს, ნეტავი, ისევ მიუბრუნდეს... მაგრამ ამას ვერასდროს ვერ შესძლებს! ეს გზა მისთვის დახშულია... მისი სიცოცხლე ჩვენს ხელშია—პატარა ნიშანი ჩვენგან გასხლტომის,—და დაეაგლეჯინებთ ბოლშევიკურ ორგანიზაციას მის ხორცს.. ბოლშევიკები არასდროს არ აპატიებენ ღალატს“...—სთქვა როტმისტრმა თავისთვის გულში და წამოდგა, ოთახში ბოლთის ცემა იწყო.

როტმისტრის სიტყვამ ვალო ვერ დააკმაყოფილა.

მან აქ დაინახა მხოლოდ სურვილი გამარჯვების, და არა დამაჯერებლობა გამარჯვების...

ვალოს არც ის გამოპარვია, რომ როტმისტრი ბოლშევიკებზე ლაპარაკმა გააბრაზა, სახის გამომეტყველება და ხასიათი შეუცვალა... ვალომ ის ვერ გაუგო მხოლოდ, რომ როტმისტრმა მაზეც ეჭვი შეიტანა, მაზეც ბრაზი მოუვიდა და გაჯავრდა.

ამიტომ იყო, რომ კიდევ მიუბრუნდა და უთხრა:

— ... ეს კარგი. ვიქონიოთ იმედი, რომ რევოლუციას ჩაახრჩობთ, ბოლშევიკებს ალაგმავთ, მაგრამ გამარჯვებით ამ ომში მაინც ვერ გავიმარჯვებთ... ვისზე? გერმანიაზე გავიმარჯვებთ? ჩვენ მოვერევით გერმანიის ტეხნიკას და კულტურას? ჩვენ,—ეს ჩამორჩენილი, უკულტურო რუსეთი? და როგორ ამაოდ დაიღვრება ხალხის სისხლი...

— გეყოფათ! კმარა ამდენი ყბედობა! თქვენ ბოროტად იყენებთ იმას, რომ მე დაგიახლოვეთ, მეგობრულად მოგექეცით!—შეუყვირა მოთმინებიდან გამოსულმა როტმისტრმა ვალოს და ბოლთის ცემა შესწყვიტა, წინ გაუჩერდა სასტიკი მეტყველებით.—თქვენ აღარსად აღარ წახვალთ, მოიტათ გასამგზავრებელი დოკუმენტი უკან! ხვალ დილითვე წარმომიდგენთ ბოლშევიკური ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის სიას მისამართებით, რომ ყველას საპყრობილეში ამოვაყოფინო თავი, თქვენ კი შემდეგ ახალ ნიადაგზე განაგრძობთ მუშაობას... ეს სახელმწიფოს დიდი სამსახურია, ეს სამსახური დღეს სახელმწიფოს ყველაზე უფრო სჭირია... გესმის? ახლა გაქრით!

როტმისტრმა აქ აღარ დააცალა ვალოს, კარი გაუღო და მიუთითა გასულიყო, თუმცა ვალო შიშისაგან ახლა ისე კანკალობდა, რომ ლაპარაკი არ შეეძლო...

გასამგზავრებელი დოკუმენტები უსიტყვოდ მისცა როტმისტრს და ნელა ჩაჰყვა კიბეს.

ვალო ჯერ კიდევ თითქო ვერ გამორკვეულიყო,—რა მოხდა, რატომ მოექცა ასე სასტიკად როტმისტრი. ვერ გაეგო—რა დააშავა...

„შეუბრალებელნი! ძაღლები! კიდევ გაცემა, მსხვერპლი! კიდევ ცეცხლსა და ნავთს თხოულობს ჩემგან! ოოხ, როგორ საძაგლად ვიღუპები!—ფიქრობს მიმავალი ვალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეშალა გეგმები ვალოს...

მას ხომ ჯარში წასვლა უნდოდა ეთხოვა როტმისტრისათვის, სამხედრო მოქმედების ფრონტზე ცდილობდა მოხვედრილიყო...

ისევ ძველი „საქმეები“, ისევ ძველი გზით სიარული!

როგორ არ უნდოდა ეს ახლა ვალოს!..

როტმისტრი კი ისევ განაგრძობდა ბოლთის ცემას და ფიქრებს ეძლეოდა.

„... მოდი და ამისთანა ვირისთავებს აუხსენი, რომ ჩვენს მეფეს ამ ომში მოკავშირეებად ჰყავს მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოები — ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, აგრეთვე ბალკანეთის პატარა სახელმწიფოებიც, რომ რუსეთს დაულეველი ტერიტორია აქვს, დაუშრეტელი მებრძოლი ძალები ჰყავს თავისი არმიების სახით და სხვა... ამისთანა საკითხებზე ლაპარაკი ჩვენს აგენტებთან საჭირო არაა, მათ მხოლოდ ბრძანება უნდა მოისმინონ, ნაბრძანები უნდა შეასრულონ... მაინც საკვირველია, ამდენი ღალატი ჩაიდინა თავისი ხალხისა და საზოგადოებრიობის წინააღმდეგ და კიდევ ვერ ამოვიდა მათი წრიდან, კიდევ შენახული აქვს მათდამი ნათესაური გრძნობა, კიდევ „ხალხზე“ ფიქრობს, კიდევ „ხალხის“ სისხლს იბრალებს“...—სთქვა თავისთვის გულში როტმისტრმა, როცა ვალო გავიდა და კარი გაიხურა.

ხევასტი თალაკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხატიჯე*

Коллекция литературных

კარლო კალაძე

მეორე მოქმედება

I.

სამუშაოები მდინარეზე. კლდეებს სტეხენ. მაღლა, განცალკევებით სხედან: გიონ და დილიკო და გასცქერიან სივრცეს. მუშების ერთი ჯგუფი:

მირზა. (ჰყვება ამბავს და მუშაობს) მდინარეში ხომ, თვითონ ხედავთ, — კალმახი ვერ სცურავს, ის კი არა...

მუშები. (იცინიან)

მირზა. ხე მის სიმძიმეს დაუძლევია, და იმ უშველებელ კლდეებზე წამოქცეულა... ჰკიდია ტოტებზე და ჰყვირის. დაბლა მდინარეა. ხელი რომ გაუსხლტდეს მეტი არ უნდა...

მუშები. (შეაჩერებენ მუშაობას და მირზას შემოსცქერიან).

მირზა. შევძახე! — ხეს გამოჰყევი მეთქი... გამიგონია!? არაფერი შეუძლია, მარტო ღრიალებს... მაშინ მოვემზადე და ხელი გაუსხლტდა თუ არა, — მეც მდინარეში გადავეშვი... (საყვირის ხმა. მუშები შემოიკრიბებიან მირზას ირგვლივ) დიდი ვაივაგლახით გამოვიყვანე ნაპირზე.

მუშა. ხომ არ დაუშავდა რამე.

მეორე. გამიგონია!

მირზა. არა. მაგრამ, შიშისაგან, წყალი რა არის, — ამსისხო კენჭები უყლაპია თურმე.

მესამე. დროზე კი უშველე.

მეოთხე. ძალიან შეგიბედია მდინარისათვის. (გვირაბიდან გამოდიან ლენგო და მუშები).

მირზა. მდინარეს ვიცნობ.

ახალმოსული. მაინც რა არის. რაც უფრო მიდიხარ კლდე უფრო მაგარია... ჯანს გილევს კაცს...

მეორე. რას გაგვიძლებს მარილივით დავამტვრევთ...

მირზა. გვირაბი რას შვება?

---

*) ავტორის მიერ გადამუშავებული მეორე მოქმედება ხელმეორედ იბეჭდება — რედ.

ლ ე ნ გ ო. მივიწევთ მთის გულში. შეხედე, ჯერ პირდაპირ, შემდეგ უფრო დაბლა... (ჯდება ჩასცქერის გეგმას).

მ ე ხ უ თ ე. მთის რა ნატეხსაც არ დაჰკრავ რკინას, — მხეცივით ღრინავს...

მ ე ე ქ ვ ს ე. ერთხელ კლდე ასაფეთქებლად გავამზადეთ, ბურღები ჯერ კიდევ არ ამოგვეღო, რომ თვითონვე დასკდა და მერე ისეთი ხრიალით ამოისუნთქა... ასე გვეგონა გული ჰქონდა...

მ ი რ ზ ა. ლაპარაკობენ, — თუმცა მე მათი სიტყვის არ მჯერა... თითქო მთელი წლობით ნაპრალებში შეუმჩნევლად გუბდება მდინარე, ბოლოს გამოანგრევს მთას და თავქვე წამოვა. განუზომელი სიმძლავრით ლოდები და წყალი. ვერაფერი დაუმაგრდება მაშინ...

ლ ე ნ გ ო. ეგ ამბავი არც მაგის გამომთქმელს სჯერა, მირზა!...

მ ი რ ზ ა. რატომ...

ლ ე ნ გ ო. რომ სჯეროდეს, კი არ იტყვის, დამშვიდებული დაელოდება იმ წამს როცა ყველაფერი ჩაგვეშლება... მაგრამ მტერია და გულს გვიცრუებს.

მ ი რ ზ ა. რა თქმა უნდა... თუმცა მე თვითონ მინახავს, ჩვენი წყალდიდობა საზარელი სანახავია... ვინ გაიგებს წინასწარ მის ძალას.

ლ ე ნ გ ო. ყველაფერი გამოანგარიშებული არის მირზა.

მ ი რ ზ ა. წყალის ძალა?!.

ლ ე ნ გ ო. მაშ...

მ ე ხ უ თ ე. თუთუნი მომე. გვირაბში ვერ ვწევ და მშიერი გამოვდივარ კაცი.

ლ ე ნ გ ო. თუთუნი კი მაქვს მაგრამ...

მ ე ხ უ თ ე. ქაღალდი არ გაქვს?

ლ ე ნ გ ო. ივანე! — ქაღალდი გექნება...

მ ე ხ უ თ ე. საიდან? მაგას თხოვე, ადგილკომის წევრია, კრებაზე მოსაწვევი ქაღალდები მოსდის, ისე თხელია, რომ გაზეთის ქაღალდი იმასთან მოგონილია...

ლ ე ნ გ ო. რა ბევრს ლაპარაკობთ... ა! — ბიჭებო!

მ უ შ ე ბ ი. რას შვები, იმათია!.. (ლენგო აიღებს ერთ-ერთ უბის წიგნს, რომელიც ქუდებთან ერთად კლდეზე დარჩენიათ გიონ და დილიკოს).

მ ე ხ უ თ ე. იმათია თუ არა, ჭკვიანურ რამეს ჩასწერდენ შიგ. (ხევენ).

პ ი რ ვ ე ლ ი. სადაც არ გაიხედავ, გამოლენჩებული სხედან და გასცქერიან ცას...

მ ე ო რ ე. ნეტავ გამაგებია, რა უნდათ აქ, რას აკეთებენ.

მ ე ს ა მ ე. კეთილის გამკეთებელი რომ არ არიან კი ეტყობათ...

მ ი რ ზ ა. მსახურობენ. ვის რა შეუძლიათ რომ გაუფუჭონ.

მ ე ხ უ თ ე. ამას წინად მივიკითხ-მოვიკითხე და ერთი თურმე კანცელარიაში მუშაობს.

მ უ შ ე ბ ი. ა!

მ ე ო თ ხ ე. ქართულ ენას ასწორებს თურმე.... გელვასი რომ არის, ხომ იცნობთ, იმან ამიხსნა. მიმართვაში ან ცირკულიარში, „მოიტანეს" მაგიერ „მეიტანე" რომ შეგვცდეს, და ჩავწეროთ ხომ შევრცხვით და დავიღუპეთო....

ლ ე ნ გ ო. ხუმრობ! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე. გეფიცები. დღეს ალბათ გამოსავალი დღე აქვთ სხედან და ჭიკჭიკობენ... სიარული კი არ გინახავთ? (გასცინებს) ასე რომ დადიან და საცერივით მიაქანებენ, ტფუ! მაგათ ყოფნას ერთი თეძო ამოვარდნილი ქალი მაინც გაერონინებიათ თვალის დასანახავათ...

პირველი. დასწყევლის ღმერთი, სად არ მიმუშავია, მაგრამ ასეთ დღეში არ ჩავარდნილვარ, წყალივით მომწყურდა ქალის დანახვა.

მესამე. თვალი თუ შეასწარი სადმე ან ოდაში შეგასწრებს ან ჩირგვებში.

მეოთხე. თქვენ არ დამიჯერებთ და ღამე ისე არ გავა არ წამოვდგე და წერილის ბღაჯნა არ დავიწყო... საწყალი ჩემი ცოლი, ხანდახან მის დანახვაზე გული შემომეყრებოდა, ეხლა კი „ნეტავი შენი მაყვალივით თვალები მანახვა და დამაძინა მეთქი“ ვწერ... მერე რა პოეტური წერილები გამომდის! — ჩემ დღეში არ შემიმჩნევია.....

მესამე. ა, მირზა!.. რაა ბიჭო, ერთი ქალი მაინც დაგვანახე....

მეოთხე. მერე შეხედე, ავი თვალი კი არა აქვს ნამდვილი შველის თვალებია.

მეორე. მარჯვე კაცი თვითონ მოახერხებს ყველაფერს.

მეოთხე. რა მოვახერხო, ვთქვათ გავძვერი, გამოვძვერი შეუჩდი რომელიმეს, ავხადე ჩადრი და შემრჩა ხელში, აგერ ამისი სახის არ იყოს ასეთი მშვენიერი...

ბადულია. (შემოდის ღიღინით ხელში ტილოს პორტფელი აქვს).

2.

მუშები. ააა! ბადულია!

მესამე. ა, კაცი ეს არის და ბედნიერებაც მაგას რგებია, — დადის და დაიმღერის ამ მთადაბარში.

მეორე. მაგის სამსახურიც ეგ არის და რა ჰქნას.

ბადულია. ეჰ! ამომათავა კაკალი კაცი. თუ არ დამაწინაურეს შიკრიკობა აღარ შემიძლია. რა ჩემი საქმეა.

მეხუთე. ფეხი გიშლის ალბად მოირჩინე.

ლენგო. რევოლიუციაში მიღებული ჭრილობა ასე უყურადღებოდ როგორ უნდა დატოვო.

ბადულია. უყურადღებოთ?! — როგორ გეკადრება, მაგით არ ვაპირებ პარტიაში შესვლას...

ლენგო. არ შეგიხორცდეს თუ არა სტატი დაგეკარგება!... (იცინიან).

ბადულია. გაიცინეთ.... მე გენაცვალე, ხალხისთვის მარტო ფეხი კი არ შემტკივა, გულიც შემტკივა... ყოველი საბჭოთა მიღწევა მახარებს თქვენ კი... ეს მშენებლობა რა არის.... აქ ნახეთ რა არ სწერია.... (გაშლის გაზეთს).

პირველი. წაიკითხე.... წაიკითხე... და მასხრობას თავი დაანებე.

ბადულია. (კითხულობს ასო—ასო.) ს. ა...ბ..ჭ..ო..თ..ა. საბჭოთა.

მუშები. საბჭოთა...

ბადულია. მშენებლობის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშები. ჰო...

ბადულია. მიღ...წევე...ბი...

მეხუთე. რა გემართება მომეცი აქ, რა გააჭიანურე გაჭირვებულად.

ბადულია. უკაცრავად ამხანაგო, რა ნება გაქვს, რომ დასცინი ჩემ კითხვას, ესეც საბჭოთა მიღწევაა. იცი თუ არა! წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლაში ვისწავლე — შარშანწინ, მერე ისიც თვე ნახევარში... სამსახურს ვშოულობდი და იმისთვის მჭირდებოდა (იცინიან).

მირზა. შენ ის თქვი ეს სურათი ვისია?

ბადულია. ეს არის მთავრობის ახალი თავმჯდომარე.

მუშები. ჩვენი?

ბადულია. ჰო. აჭარაში.

მირზა. შარშანდელს რა დაემართა?

ბადულია. გადაუხვია...

მუშები. გადაუხვია?

ბადულია. ჰო. გადაიხარაო და მოხსნეს.

ლენგო. მერე, მერე... (დაცინვით).

ბადულია. მიზეზიანია ეს პარტია, თუ არა კაცი სარ გადაყლაპულივით ხომ არ ივლის, ხან მარჯვნივ გადიხრება და ხან მარცხნივ.

ლენგო. (წამოაგდებს ზევით) ამხანაგო საბჭოთა მიღწევა, შენი საქმე მონახე!...

ბადულია. (დაუვლის) ოოუ ჩაგუნა!.... აბა გურულებო ბანი მითხარით... აჭარლებო პირი დააღეთ.

გიონ და დილიკო. (ჩამოსცქერიან ცეკვა თამაშს)

გელვასი. იცეკვეთ, იცეკვეთ ამხანაგებო, მაგრამ ენერგია შრომისათვის შემოინახეთ სჯობია. (შემოდის. შესწყვეტენ სიმღერას. ბადულია პორტფელს წამოავლებს ხელს) — ბადულია, — მოდი!..

გიონ და დილიკო. (ჩამორბიან) გელვასი!

ბადულია. ყველა ბარათები დავარიგე. გაზეთებიც აგერ მაქვს. წელში გავწყდი...

გელვასი. დაიცა... შენ ის თქვი, საჩქარო მიმართვა რომ მოგეცი მთავარ ინჟინერისადმი გადასაცემად, გუშინწინ, ჩააბარე თუ არა?

ბადულია. როგორ არა, როგორც კი მომეცი, მაშინვე. ნახევარი საათიც კი არ გაჩერებულა ჩემ ხელში.

გელვასი. ტფუ! დასწყევლის ღმერთი.... რა უბედურებაა... აღარ იყო საჭირო, ნეტავი არ გადაგეცა... მეც კიდევ რა მაჩქარებდა.

ბადულია. აღარ იყო საჭირო? დაიცა... დაიცა, მგონი ჯერ არც კი ჩამიბარებია... ხო, აგერ არ არის...

გელვასი. მართლა!... (გამოართმევს).

გიონ. დიდებულია, ეს უბის წიგნში შესატანია აუცილებლად არა დილიკო?

დილიკო. აუცილებლად.

ბადულია. ხომ კარგი ვქენი. შენ კი ხშირად ტყავს მაძრობ — დაგვიანებისათვის ხომ ხედავ ასე სჯობნებია.

გიონ. ვაიმე. ვინ დახია ჩემი უბის წიგნი!

მეხუთე. შენმა უბის წიგნმა უკეთესი დანიშნულება შეასრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენგო. პაპიროსის ქაღალდი არ გვქონდა და თუთუნი გავახვიეთ.

გიონ. რა უკულტურობაა, რა მხეცობაა... რამდენი გონება მახვილობა და რამდენი ოცნება მქონდა აღნიშნული შიგ.

დილიკო. აბა!

გელვასი. კარგი ერთი, დაჯექი და იოცნებე ხელმეორეთ და ახალი წიგნი შეიძინე, რა გენაღვლება.

გიონ. ღმერთო!

დილიკო. ღმერთო!

გელვასი. კაცი ევროპიელთა გზას ადგეხარ და ღრიალებ...

ბადულია. პირველი ნაბიჯი გადადგმული აქვთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მარტო შარვალში.

გელვასი. ამხანაგებო, მომჭირნეობის რეჟიმს რათ არ იცავთ, ვერ ჩააქრობთ? გვირაბში ხომ არ ხართ. (სანთურებზე მიუთითებს).

ლენგო. ეგ შენ თავს უთხრა სჯობს და მაგ შენ საბჭოთა მიღწევას.

გელვასი. როგორც გინდათ. მე თქვენი ზედამხედველი არა ვარ — პორტფელი არასოდეს არ მყვარებია, ჩემთვის ესეც საკმაოა. (ჯოხს შეათამაშებს) ჩემი საქმე ჩემო ლენგო მართალი რომ ვსთქვა მარტო ფაქტის მოსწრებული აღნიშვნაა...

ლენგო. და შუამავალი ხარ.

გელვასი. მთავრობის, გლეხების ინჟინერების და ბუნების შუა.

ლენგო. საქმეს კი ისინი აკეთებენ.

გელვასი. რა თქმა უნდა. ასაღელვებელი აქ არაფერია.

3.

ბადულია. შეხედე, შენი ცოლი მოდის...

ალვა. (შემოდის მასთან მუშა, რომელსაც ზურგით საწერი მანქანა მიაქვს).

გელვასი. ალვა!... საით?... რა არის — მთელი კანცელარია ზურგზე რომ მოგიკიდებია და დადიხარ.

ალვა. დადიხარ!.. აბა თუ იფიქრო ერთი... ამიშენეს ქოხი და დამსვეს, მარჯვნივ საერთო სასადილოა და იმის სუნი მკლავს, მარცხნით კი მაზუთის კასრები.

გელვასი. მერე:

ალვა. რა მაბეჭდიებს მე იქ გული მეხუთება. სიცხეა, საბეჭდი კი, აი.... ყოველ დღე მოხსენებებს ადგენენ თუ რა ტემპით მიდის მუშაობა.... რათ უნდა შევწირო მე თქვენ ტემპებს ჩემი ფილტვები და ჩემი თითები...

მუშები. (იცინიან).

გელვასი. მერე?

ალვა. სადმე, მთაზე, ჩრდილში, სადაც საამო ნიავიც უბერავს დავადგმევიებ მანქანას, დავჯდები და ვბეჭდავ...

გელვასი. მთაზე?

ალვა. მთაზე. მერე რით არის ეს ცუდი. მართალია უჩვეულოა მაგრამ რა... მერე ჩემი თვალის წინ ხომ მდინარეც იქნება და სამუშაოებიც... აჰ! სალამი ყმაწვილებო, ვერ შეგნიშნეთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიონ და დილიკო. (ხელზე ჭოცნიან).

გელვასი. (ეცინება) გზა დაგბნევია, ძაგრამ ფრთხილად მთამ ქუსლები არ დაგაძროს (მიდის).

ალვა. (მუშას) წამო.

ბადულია. უჰ. ერთად ერთი ქალი ხარ ამ მთებში, — სილამაზით ვარსკვლავებს ეთამაშები, ასე როდი უნდა მოიღუშო.

ალვა. ჯიბეებში ხელები გიწყვია. ვარსკვლავებს თვითონ ეთამაშები ალბად (მიდის).

ბადულია. არ გამაწითლა!

ლენგო. შენ რომ კაცი გაგაწითლებს ბადულია ის გვირგვინის დასადგმელია. (მიდის).

ბადულია. რა ქალია!

დილიკო. მისი ტანის რხევა სათაყვანებელი ხელოვნებაა თავისთავად.

ბადულია. სათაყვანებელია რა თქმა უნდა, უყურე, უყურე, გამოგათაყვანებს აბა რა იქნება. (საყვირი. მუშები აიკრიფენ).

მეხუთე. კისერზე აზის გელვასის, ეტყობა.

ბადულია. ეხლა ქედი გატეხილი აქვს თუ არა, ქალაქის თავად რომ იყო მაშინ მასეთები მოახლეთ არ ეყოლებოდა. თავადიშვილია და მოქნილია ძმაო. უწინ რომ დარბაზში შემოვიდოდა მაგის დახველებაზე სანთლები ჭქრებოდენ. (ახველებს მედიდურათ) ეხლა კი ხომ ხედავთ შემოიპარება და (ახველებს ხმა ჩაწყვეტილად).

მუშები. (იცინიან).

პირველი. აბა შეუდგეთ.

მეორე. ან ჩვენი ღონე დაილევა და ან ეს კლდე. (იწყება მუშაობა).

ბადულია. (ქვებზე შემდგარი, პათეტიურად). ვიბრძოლოთ ძმებო მთელი ენერგია შევწიროთ საბჭოთა აღმშენებლობას. დაჭარით კლდეებს... (თვითონ კრიმაჭულით ჩამოდის დაბლა, მერე გამოვლილ რონოდას შეახტება).

4.

ჩაფიქრებული დადის ჯემალ და ჯავრით დასცქერის მშენებლობას. გულბაათის კართან იგი შეხვდება სელიმს.

სელიმ. ჯემალ!..

ჯემალ. სელიმ!..

სელიმ. რახანია არ მინახავხარ, ჯემალ!

ჯემალ. რა საშინლად გაუჩეხიათ ტყე!

სელიმ. განა შენსობას არ შეუდგენ?

ჯემალ. არ მეგონა...

სელიმ. არა მარტო ტყე, — მდინარე უნდა ნახო, კედელს უკეთებენ და შეგუბული წყალი შუაგულ მთაში უნდა გაატარონ... რა დიდი მუშაობაა, ჯემალ!.. რომ ნახო, გაიხარებ. ჩვენი გლეხობა მუშაობაშია ჩაბმული სულ.

ჯემალ. მაშ ყველაფერი დასრულდა, — შეურიგდენ.

სელიმ. შეიყვარეს კიდეც. რომ ვუყურებ სურვილი მებადება მათ შორის ჩავ-
დგე და კლდე ვტეხო... მაგრამ მე ვინ ჩამირევს.
ჯემალ. მოხუცი გულბაათ სად არი, სელიმ, — მოხუცი გულბაათ?...
სელიმ. აღარ არის... არავის ეკარება, — ხანდახან ღამით თუ გამოვა ნადი-
რივით და ჩვენი მაღლობიდან გადასცქერის სამუშაოებს.
ოთახში, ჩვენ გვესმის მისი ფეხის ხმა, — ვხედავთ მის მოსიარულე
ლანდს, — და სუნთქვა შეგუბულები გამოსვლას ვერ ვბედავთ.
ჯემალ. საშინელება.
სელიმ. შენ არ იცი ჯემალ, რა დიდებული ცხოვრება მოაქვს ამ სამუშაოებს.
აქ ერთი ახალგაზდა ქალაქელია, — მან მითხრა.
ჯემალ. ვნახე კიდეც ეგ ცხოვრება.
სელამ. ის ქალაქელი მასაც ჰგმობდა, რაც შენ ნახე, — კარგი ვაჟკაცია, შენ
უნდა გაიცნო, — ქალაქიც სრულიად უნდა გარდავქმნათო,
მან თქვა...
ჯემალ. რა იცის მან! რა საშინელებაა იქ, სელიმ, — რომ იფიქრო...
სელამ. რატომ? იქ ალბათ ათასი ასეთი სამუშაოა გამართული?
ჯემალ. ყური დამიგდე, სელიმ. იქ მარტო ლაპარაკობენ და ანგარიშობენ ამ
სამუშაოებს. უსხედან მაგიდებს და სწერენ. გათენდება სწერენ.
დაღამდება სწერენ. და გაიძახიან სოციალიზმი უნდა აგიშე-
ნოთო. სოფელს რათ უნდა ეგ სელიმ, სოფელს მშვიდობიანი
ცხოვრება უნდა. (პაუზა) დაე ქალაქებში აიშენონ ელსადგურები
გაანადგურონ კლდეები და ტყე... ჩვენ შევხედავთ, თუ მოგვე-
წონება ფულს გადავიხდით და გადავსახლდებით...
სელიმ. ქალაქში იყავი?
ჯემალ. მთავრობასთან. სოფლის თავი კაცებიც ჩემთან იყო. გელვასი მიგვყვა.
სელიმ. გელვასი!
ჯემალ. განათლებული კაცია, ჩვენ გულისთქმას უკეთესად ეტყოდა... მაგრამ
ამით განა რამე გაკეთდება?... ეჰ!... ვაჟკაცი თუ ხარ, გულბა-
ათის გული უნდა გქონდეს, თოფი აიღო ხელში და თვითონ
დაიცვა თავი.
სელიმ. შენ ავი თვალით ხედავ ყველაფერს ჯემალ...
ჯემალ. სულ ერთი არ არის?
სელიმ. ნუ თუ არ გიტაცებს ახალი ცხოვრების მოსვლა?
ჯემალ. ნუ მკითხავ, სელიმ!.. ნუ მკითხავ! შეხედე განა ის ხატიჯე არ არის?..
სელიმ. ხატიჯეა.
ჯემალ. ღმერთო ჩემო, — ის ვაჟი?!
სელიმ. ის ქალაქელია. მაგის შესახებ გეუბნებოდი ეხლა...
ჯემალ. ჩუმად. (მიიმალებიან).

5.

ლენგო. მეორე დილაა არ შეგხვედრივარ, ხატიჯე...
ხატიჯე. განა ყოველთვის უნდა მნახო?
ლენგო. მე შენ სრულიადაც არ მინახავხარ ჯერ.

ხატიჯე. ალაჰის სურვილია ალბათ. მისი ბრძანება დაურღვეველია.
ლენგო. ეგ რომ ალაჰის სურვილი იყოს, ლამაზ პირსახესაც არ გაკუთვნებდა.
ხატიჯე. ლამაზი პირსახე? — საიდან იცი შენ, რომ მე ლამაზი პირსახე მექნება?..
ლენგო. მე ვგრძნობ... თვალები მეუბნება ამას.
ხატიჯე. მოხერხებული თვალი მართალს არ გეტყვის.
ლენგო. შეიძლება.
ხატიჯე. ეხლა ხომ სწორი შეხედულება გაქვს.
ლენგო. რათ გინდა... ლამაზია, ფიქრობ, — ეგ პირბადე?
ხატიჯე. ჩადრ ახდილი ალვაა!..
ლენგო. მე არ გეუბნები ალვას დაემგვანო... ის ქალი, რომელიც ჩემი ოცნებაა მხოლოდ, — ჯერ არც კი ყოფილა. ხატიჯე!.. ო, როგორი გულის თრთოლვით თვალს ვადევნებ მე, ყოველ მის ნაბიჯს... ძნელია მისი გზა...
ხატიჯე. ძნელია?!.
ლენგო. მაგრამ დასძლევს! — და იგი შენ იქნები!..
ხატიჯე. მე!
ლენგო. პირველი ხარ, გაბედული უნდა იყო!
ხატიჯე. ლენგო...
ლენგო. აიხდი ჩადრს... ხალხში გამოიტან შენ სიხარულს და შენ ჯავრს...
ხატიჯე. ლენგო!..
ლენგო. გაბედული იქნები!.. აბა რა დასამალია ეგ გულის თქმა და ან ეგ სახე...
ხატიჯე. ეჰ... აუცილებელია თუ არა...
ლენგო. მაშ მართლა მახინჯი სახე გექნება...
ხატიჯე. მართლა!
ლენგო. ლოყაზე შავი ტყლიპი გაქვს გადაკრული.
ხატიჯე. ვის?!
ლენგო. ან და ტუჩები გაქვს მოქცეული და კბილები წინ გადმოყრილი.
ხატიჯე. რომ არ მქონდეს...
ლენგო. მაშინ მაჩვენებდი სახეს... აი, ცალი თვალით შეგხედო, ცალს ვხუჭავ...
ხატიჯე. ცალთვალა კაცი მეტი მხედველიაო, მამა ჩემი იტყოდა... ცალთვალა კაცი გველს შეაჩერებს.
ლენგო. ეჰ...
ხატიჯე. ლენგო მართლა, როგორ ფიქრობ, რა ნაირი — სახე მაქვს?..
ლენგო. აკი ვთქვი...
ხატიჯე. ა! (აიხდის ჩადრს).
ლენგო. ხატიჯე!..
ხატიჯე. (იფარებს სახეს) მე მუსულმანი ვარ, ჩადრ ახდილი ქალი უნამუსოა.
ლენგო. შენ გურჯის ქალი ხარ.
ხატიჯე. მერე?..
ჯემალ. ხატიჯე!..
ხატიჯე. ჯემალ!.. (მიაშურებს).
ლენგო. (რამდენიმე ხანს დგას უხერხულად. მერე მიდის).

ხატიჯე. რამდენი ხანია წასული ხარ, ჯემალ!
ჯემალ. ქალაქელ გიაურს ელაპარაკებოდი, ხატიჯე!
ხატიჯე. განა არ შემიძლია დაველაპარაკო მე ვინმეს?
ჯემალ. შენი ნებაა... გაგიმხელ მხოლოდ რომ, ჯერ კიდევ აკვანში დანიშნული ხარ...
ხატიჯე. ჯემალ!
ჯემალ. არ გეტყვი, რომელია იგი ვაჟი, — დრო რომ მოვა თვითონ გაიგებ... (მიდის).
ხატიჯე. (დაღონებული და ჩაფიქრებული) ვიცი...

ფარდა

მესამე მოქმედება

I.

ხატიჯე. დედა...
მეჰრუ. რა, შვილო?
ხატიჯე. ყველაფერი უნდა მითხრა...
მეჰრუ. რა?
ხატიჯე. რა ცუდი ბედის გავჩენილვარ, — დედა!
მეჰრუ. შენი ბედი ლამაზია და გულკეთილი.
ხატიჯე. გაყიდული ვყოფილვარ, ეხლა გავიგე.
მეჰრუ. ვინ გითხრა.
ხატიჯე. ჯემალმა. ცუდ გულზე იყო. საწამლავივით ჩამაწვეთა.
მეჰრუ. ჯემალმა? — განა იგი აქ არის, შვილო?
ხატიჯე. არ მინდა.
მეჰრუ. არ იცი ვინ არის...
ხატიჯე. სულერთია...
მეჰრუ. კარგი ვაჟკაცია...
ხატიჯე. სულერთია... ვინ არის?
მეჰრუ. რაკი ჯემალს არ უთქვამს შენთვის, — მე ვერ გეტყვი.
ხატიჯე. ვინ არის?...
ქალები. ხატიჯე!.. (შემოეხვევიან სიხარულით).
ალვა. ძლივს დავითანხმე აქ ამოსვლაზე...
ქალი. შეხედეთ, რა კარგი თვალის სანახავია, ქალებო!
მეორე. შენ რაო, ხატიჯე!
მესამე. თვალები ცრემლებით გაქვს გავსებული...
მეჰრუ. არაფერია. ჩვილია ჯერ, ცრემლი სიხარულითაც კი გადმოდინდება...
მეოთხე. ეს რა ამბავი ყოფილა მდინარეზე....
პირველი. რა გამალებული მუშაობაა...
მეორე. მართლა, რა კარგი სანახავია!..
ალვა. თქვენ კი არ გინდოდათ წამოსვლა...

პირველი. მამამ დამაშინა, — სამუშაოზე მარტო გიაურები მუშაობენო.
მესამე. მეც მითხრეს აქეთ არ ამოვსულიყავ.
მეორე. ხატიჯე აქ არ არის სულ?
პირველი. შენ რას ეუბნება მამა?
ხატიჯე. მამაჩემი შორს არის აქედან.
მეჰრუ. გულბაათი [illegible] გაჭრილი, განრისხებულმა ყველაფერი მიატოვა.
მეოთხე. მეც გავიგონ[illegible] ჯავრი აღრჩობს თურმე, და ვაი მას, ვისაც პირისპირ შეეჩეხება...
ალვა. აქ მოდით ქალებო! — რამხელა კედელი ჩაუდგეს მდინარეს...
პირველი. მდინარე [illegible] შეაგუბონ?
მეორე. ნეტავ რა[illegible]ათ?
მესამე. რას აკეთებენ?
ქალები. ალვა გვითხარი.
ალვა. არავინ არ იცის? მეჰრუ, შენ გეცოდინება?
მეჰრუ. არა მაგის ცოდნა რა ქალის საქმეა.
ქალები. არ იცი?
ხატიჯე. მე კი ვიცი... მდინარეს კედელს ამოუშენებენ, შეგუბდება... და მერე ამ მთის ქვეშ გაატარებენ.
ქალები. მთის ქვეშ!
ალვა. გვირაბია გათხრილი.
ხატიჯე. შეხედეთ, რამდენი მუშებია დაბლა...
მეოთხე. ჩემი ძმა იქ მუშაობს.
მესამე. ჩემი ძმაც.
მეორე. მამაჩემი კლდეს სტეხს თურმე, — ნეტავ შემახედა.
პირველი. ქალებო... ქალებო, გესმით!..
ალვა. მღერიან...
ხატიჯე. ვეება ლოდებს ეზიდებიან, ერთი ძალით რომ აიღონ ტვირთი, ამისთვის მღერიან.
ქალები. რა იცი?
ხატიჯე. თითო-თითოდ, რომ მოეკიდონ ლოდს, ვერც კი შეარყევენ...
პირველი. საიდან იცი?
მეორე. ვინ გელაპარაკა!
ალვა. აქ ერთი ახალგაზდა ინჟინერია...
ხატიჯე. რას ლაპარაკობ!..
ალვა. მან ასწავლა...
ხატიჯე. არა... არა... (წითლდება).
ქალები. აა... ხატიჯე! (სიცილით შემოეხვევიან).
პირველი. კაცი! კაცი! (უეცრივ ყველანი ჩადრს აიფარებენ. ჩუმდებიან).
ბადულია. (შემოდის ღიღინით).

Коллекция Кн. Федосеевой Грузиной

ალვა. ბადულია, შენ ხარ?..

ბადულია. დამალეთ სახეები, დამალეთ... თუ არა მოგპარავთ და ჯიბეებში ჩავიწყობ... რამ შეგაშინათ!..

ალვა. შენი ფეხის ხმა რომ გაიგონეს, ეგონათ კაცი მოდიოდა...

ქალები. (ჩადრებიდან ისმის შეკავებული სიცილი),

ბადულია. ეჰ... (ჩააქნევს ხელს) ვითომ რა, რომ დამცინი, რა მაკლია! — ჯამაგირი კარგი მაქვს, და ყველაფერი!.. თვალი ვერ შევასწარი აქ სახეზე ვერავის თუ არა...

ალვა. შენ ცოლად ვინ წამოგყვება... შარვალი ვერ შეგიმაგრებია წელზე... (სტაცებს ხელს შარვალზე. ქალებში სიცილია).

ბადულია. რომელი იტყვის უარს, — თუ კი შევარჩიე!.. (მიიწევს ქალებთან) მაცალეთ... როდისმე თქვენ თუ სასაცილო საქმე არ დაგმართეთ...

ალვა. აბა, შენ იცი!..

ბადულია. (განაგრძობს გზას და სიმღერას).

ალვა. ჩემ ქმარს უთხარი ბადულია, რძე ადუღებული დამახვედროს...

ხატიჯე. რა სასაცილო კაცია!..

პირველი. შარვალი რომ მოსწიე, მართლა კინალამ ჩაძვრა...

ალვა. ყველა კაცი სასაცილოა, ქალებო...

მეჰრუ. რას ამბობ!..

ალვა. მაგალითად ჩემი ეხლანდელი ქმარი. ხალხში რომ დგას მიუწვდომელი და დიადი კაცი გეგონება... შინ კი ფინიასავით მორჩილია... არის ხოლმე, დილას მეზარება ფეხზე ჩაცმა, დაუძახებ, — გელვასი, — ჩემო! და ლოგინთან დაჩოქებული მაცმევს.

ქალები. რას ლაპარაკობ!

მეჰრუ. კაცი არ ყოფილა.

ალვა. საჩუქრად ხელზე კოცნის უფლებას თუ მივცემ.

ხატიჯე. ალბად უყვარხარ ძალიან..

ალვა. ხატიჯე!.. რა სასაცილო ხარ!.. აბა მითხარი, რა არის სიყვარული?.. მითხარი.

ხატიჯე. რა ვიცი...

ალვა. ადრე, სარეცელზე წამოწოლილს, — რომელიმე წიგნით ხელში, სადაც ქალვაჟის გულისთქმას სწერდენ, მეც მეგონა და მჯეროდა, — მაგრამ მის შემდეგ მესამე ქმარი გამოვიცვალე, — და ვერსად შევხვდი.

მეჰრუ. მართალია. არც კი ვებრალებით. მარტო ჩვენა ვართ ვალდებული გვიყვარდეს სიკვდილამდე.

ხატიჯე. რატომ დედა... თუკი ვინმეს ვძულვარ, მე შემიძლია ათასჯერ უფრო შევიძულო.

მეჰრუ. ალაჰის ნებაა...

ალვა. ეს შენ გგონია მეჰრუ ასე, მე კი ფრინველივით თავისუფალი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე. გუშინწინ მამა რომ დაბრუნდა სამუშაოდან ცუდ გულზე იყო, დედას სცემა ტყუილ უბრალოდ. მას სიტყვაც არ უთქვამს მისთვის.

მესამე. მამაჩემიც ცუდათ ეპყრობა დედას.

ალვა. ქალებო, იცით, ყველაფერი დამონებულ გულის ბრალია... თქვენთვის ერთი თითის გაქნევაც კი საკმარისია, რომ ფეხქვეშ გაეგოთ... ჩვენ კი!.. ერთ თავგადასავალს მოგიყვებით, ბევრს იცინებთ..

ქალები. თქვი...

ალვა. მე მაშინ დიდი კაცი მყავდა ქმრად მთელ ქალაქს განაგებდა, მთელი დღეები შინ არ იყო ხოლმე საქმეებისგან... მომწყინდა!.. და ერთხელ შუალამეზე რომ მაღვიძებს, — ჭკუა ვასწავლე. დამდევს ოთახში ეს კაცი, რომელსაც დღე ათასი ვინმე თხოვს დახმარებას და მეხვეწება... მაგიდაზე, მაგიდის ქვეშ, შემოგვათენდა... მაინც არ დავნებდი...

ქალები. (იცინიან).

მეჰრუ. (შენიშნავს ჩადრიანს, რომელიც ალვას ლაპარაკის დროს მოვიდა და შეუმჩნევლად დაჯდა მოშორებით). ქალო, რას ჩამოგიბნელებია სახე...

ხატიჯე. ალვა კაცი თუ ჰგონია, — თმა შეჭრილი, რომ არის... მომეცალეთ!.. ძირს ჩადრი! (მოხდის ჩადრს. ჩადრში ბადულიაა. ხატიჯე შეჰკივლებს. საჩქაროთ იფარებს ჯერ ხელებს მერე ჩადრს სახეზე. სხვებიც მიმოიფანტებიან).

ბადულია. რომელი იყო... რომელი იყო... როგორ დაიფანტენ! რამდენი ხანი ვიმახსოვრებდი მის სახეს...

ალვა. ეს ხომ არ მოგეწონა, ბადულია?! (ახდის ჩადრს ხატიჯეს).

მეჰრუ. (მივარდება) გიაური ხარ ვილაც, ვილაც, ურჯულო ნამუს ახდილი შენ შეგიძლია იარო... (მიჰყავს ხატიჯე, ქალებიც მიჰყვებიან).

ალვა. ეჰ... წამო ბადულია წამიყვანე ქმართან...

ბადულია. ეჰ!.. (გამოდებს მკლავში ხელს. მიიმღერის):

ბადულიას საბრალოსა, ო. ჰო. ჰო!
ქალი მიჰყავს აბანოსა ო. ჰო. ჰო!
დილასა და საღამოსა ო. ჰო. ჰო!
ტანი უნდა დაბანოსა... (ხალხური)

ᲙᲘᲜᲝ: ელსადგურის სამუშაოები. დრო და დრო მოსჩანს ჯემალი, რომელიც გადასცქერის ყველაფერს უსიტყვოთ. მისი საბე.

3.

ლოგინებზე გახდილები წვანან: გიონ და დილიკო. კუთხეში ქალალდებში ჩამჯდარა ბადულია და ათვალიერებს დაურიგებელ მიმართვებს, ცირკულიარებს გაზეთებს და სხვ.

გიონ. დილიკო, გძინავს?

დილიკო. არა, თქვი.

გიონ. საზღვარგარეთ ჩვენი ბინა არის სასტუმროში, მეორე სართულზე. დარეკავ ზარს. შემოდის მოსამსახურე... რა გნებავთ, მუსიო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

 დილიკო. ღამის ტანსაცმელი. ღამით ხომ სხვა უნდა გვეცვას...

გიონ. რა თქმა უნდა. გამოვეწყობით. მივდივართ საღამოზე, — რომელიც გამართულია რუსი ან ქართველი ემიგრანტების სასარგებლოდ. უკრავს ჯაზბანდი...

კინო: სხვადასხვა მომენტი ევროპიული დროსტარების, გადაღებული ისე, როგორც ეს წარმოუდგენიათ გიონ და დილიკოს.

გიონ. დილიკო, გძინავს?

დილიკო. არა, თქვი.

გიონ. მოვდივართ საქართველოში.

დილიკო. ჩვენი გემი მოადგა ბათომს... სამშობლო ბუნება. ცრემლი... სიხარული...

გიონ. ნავთსადგურში დგას ხალხი და გვიცდის; ჩვენი სახელი ყველაზე მაღალია და დაფასებული...

ბადულია. დაფასებული კი არა, თუ რამე ფასიანი გეცმებათ იმასაც საბაჟოში ჩამოგართმევენ.

ჯემალ. (შემოდის).

გიონ და დილიკო. ჯემალ... (წამოცვივიან).

ჯემალ. (ჯდება ლოგინებ შუა).

გიონ. ჩვენ ყველაფერი მოვიმარაგეთ.

დილიკო. გული მიგვდის მოლოდინში.

ჯემალ. დაწყნარდით.

გიონ. გზაზე ღამის გათევა მოგვიხდება, არა?

ჯემალ. შესაძლოა.

დილიკო. ჩვენ სამგზავროთ კონსერვები ვიყიდეთ, ხომ შეიძლება წამოვიღოთ?

ჯემალ. შეიძლება.

გიონ. მაინც როდის წავალთ?

დილიკო. როდის წავალთ?

ჯემალ. მალე.

გიონ. ხვალ?

ჯემალ: ხვალ.

გიონ და დილიკო. ხვალ?!

გიონ. დიდებულია! ჩვენ ყველაფერად მზად ვართ. შენ ხომ არ გჭირდება რა...

ჯემალ. არა.

დილიკო: მე ფეხსაცმელებზე ნაბდის ნაჭრები დავიკერე, — რომ ჩემი ნაბიჯი უხმო იყოს, ხომ კარგია?

გიონ. დასამალად შავი ტანსაცმელი სჯობია, არა?

ჯემალ. თავი დამანებეთ!...

გიონ. რამ გაგაგულისა?!

დილიკო. ჩვენ წინასწარ გვინდა შევემზადოთ, თუ არა გამგზავრების წინ რას მოვასწრებთ...

ჯემალ. მე არსადაც არ მივემგზავრები.
გიონ და დილიკო. ა!
ჯემალ. თავი დამანებეთ. (გადის).
გიონ და დილიკო. ااااა... ბადულია!.. ბადულია!
ბადულია (შეიცხადებს).
გიონ და დილიკო. არ მოდის... არ მოდის...
ბადულია. გავიგე ნუ დამალრჩობთ...
გიონ. უარი თქვა.
დილიკო. უარი.
ბადულია. არაფერია, დავიყოლიებთ.
გიონ და დილიკო. დავიღუპეთ! დავიღუპეთ!
ბადულია. არ ამომათავეს!.. გელვასი!
გელვასი. (შემოვა, მასთან ალვა).
გიონ და დილიკო. არ მოდის...
ბადულია. ჯემალმა უარი თქვა საზღვარს გადასვლაზე.
გელვასი. (ერთხანს ჩუმად დგას, მერე შეათამაშებს ჯოხს ხელში, დააბჯენს იატაკზე და იტყვის): მოველოდი. აჭარლების გულისყური, ელ-სადგურმა მიიპყრო...
გიონ და დილიკო. მერე!..
გელვასი. სანამ დროა ჩამოვშორდეთ.
ალვა. მეც უფრო რომანტიულად მქონდა წარმოდგენილი ყველაფერი.
ბადულია. ტწუ! სამსახურიდან თუ არ გამომრიცხეს როგორ გამოვალ.
გელვასი. ჩაყოლას ჩათრევა სჯობია?
ბადულია. რა თქმა უნდა. ჩათრევა ორი კვირის ჯამაგირს მაინც მომცემს.
გიონ და დილიკო. ჩვენ...
გელვასი. ფული ხომ კიდევ დაგრჩათ. მე მომყევით. ჩვენი ცხოვრება რომ გა-მახსენდება მზე ამომდის.
ალვა. ჩვენი ქალაქი...
გელვასი. ბადულიამ კი უცადოს სანამ არ შეამოკლებენ.
ბადულია. შეამოკლებენ და გზაც იცის, ქართლი, — კახეთი, რამდენი ჩემი სახლიკაცია იქ ალმასკომად, მილიციის უფროსად... რა ხელის მოწერა ტყუილად კი არ მისწავლია.
ალვა. თუ არა და მაგის შემოკლებას ვინლა მოახერხებს ისედაც ერთი ტკაველია...
გიონ და დილიკო. რა გვეშველება...
გელვასი. დამიჯერეთ... მე კი გელვასი ვარ და თვალს თუ არ დავხუჭავ არ დავიკარგები!.. თუ არ გჯერათ, თქვენი ამბავი უბის წიგნში შეიტანეთ და დაიძინეთ... (კარებს მიიხურავს. მიჰყვება ალვაც).
ბადულია. დილიკო კი ჩაიწერს, გიონს რა ეშველება, უბის წიგნი ლოდებზე დარჩენოდა. მუშებმა დაუხიეს და თუთუნი გაახვიეს შიგ...
გიონ და დილიკო. (გულამოსკვნილი ქვითინებენ).

ჯემალ. ... და შენ მათ შორის დგეხარ და მუშაობ?

მირზა. დილიდანვე წერაქვით ვადგევარ ქვას. გვირაბს, სადაც არი მეორე თავში გავიტანთ.

ჯემალ. მირზა!..

მირზა. თოფის მაგიერ წერაქვს თუ ავიღებდი არ მეგონა. შევეჩვიე და ეხლა მომწონს კიდეც. ჩვენი მუშები დამიმეგობრდენ და მკლავსაც მიქებენ. არასოდეს ასე ხალისით არ დამიღამებია დღე...

ჯემალ. მამა!

მირზა. მამა?

ჯემალ. გულბაათს რას ეტყვი? სისხლი დააღრჩობს საწყალ მოხუცებულს... მირზა!..

მირზა. სისხლი მე მახრჩობს, ჯემალ... თვითონ მამამ გამიშვა სამუშაოდ.

ჯემალ. თვითონ?!

მირზა. და მითხრა: ეცადე, მირზა, მთელი გულით კარგი მუშა იყო და ყველასი სიყვარული დაიმსახურო.

ჯემალ. და შენ იცი რას ნიშნავს ეს?!

მირზა. რა ვიცი...

სელიმ. (შემოდის) სამუშაოზე სანათური დაგრჩენოდა. მოგიტანე.

მირზა. მერე, რა გინდა მაგით მითხრა?

სელიმ. არაფერი. (ჯდება შორე ახლო).

მირზა. რომ მოგვიჯექ, — არ გვეკითხები, — გვსიამოვნებს თუ არა შენი აქ ყოფნა... გადი და დაიძინე!..

სელიმ. რატომ გინდა გულზე ქუსლი დამაბიჯო ყოველთვის, მირზა?! (გადის).

მირზა. მეჯავრება...

ჯემალ. მალე აშენდება ელსადგური, მირზა?

მირზა. მალე. ეხლა ორი წყება მუშაობს, ერთი საღამომდე, მეორე ღამით...

ჯემალ. რა მთელი ძალღონით მოჰკიდეთ ხელი... (პაუზა).

მირზა. ჯემალ... არ გინდა, ჩაება მუშაობაში?..

ჯემალ. მე? არა!.. არა!.. რას მეუბნები, მირზა?!..

მირზა. მე ისე გითხარ... რა გულით მიიღე!

ჯემალ. მე საზღვარზე უნდა გადავსულიყავ, მეგონა შენც წამოხვიდოდი.

მირზა, კონდრაბანდის გადმოსატანად? ძნელია.

ჯემალ. არა... ორი ახალგაზრდა გადამყავდა.

მირზა. არ გირჩევ.

ჯემალ. მე მათ უკვე უარი უთხარი... მირზა (კაცის ჩრდილი) ხედავ, ვინ არის?..

მირზა. ალაჰმა იცის...

ჯემალ. მამა შენი... მირზა, ვფიცავარ, გულბაათია.

მირზა. მამა!

მირზა. სად მიხვალ, ჯემალ?

ჯემალ. არ შემიძლია მას შევხვდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირზა. (რჩება მარტო) ჯემალ!..
გულბაათ. (შემოდის).
მირზა. (უკან-უკან იხევს უსიტყვოთ. სიჩუმე).
გულბაათ. შენ არ გძინავს?
მირზა. არა, მამა...
გულბაათ. მაშ ვინმე იქნებოდა შენთან.
მირზა. არა... (პაუზა).
გულბაათ. მუშაობ?
მირზა. ვმუშაობ (პაუზა).
გულბაათ. (ნაბდიდან გამოიღებს ყუთს. სდებს ცალკე) ვუცდიდი... მეგონა შენ თვითონ მიხვდებოდი...
მირზა. რა არის ეს?
გულბაათ. ნახე.
მირზა. (ახდის ყუთს) მამა!
გულბაათ. ჩუმად! ამ ღამით, როცა მთვარე მთის გადაღმა გადავა და მდინარეზე სიბნელე დადგება... მე მთების იქეთ გადასული დაველოდები შენ პასუხს...
მირზა. მამა!..
გულბაათ. დაიხსომე—მე ვდგევარ და ველოდები ხმას, რომელმაც უნდა გამახაროს მთელი გულით... (მიდის).
მირზა. მამა!!..

ფარდა

მეოთხე მოქმედება

I.

ღამით სახლიდან გამოდის მირზა, სამუშაოებს გადახედავს და მერე დიდხანს ყურს უგდებს სივრცეს. წასვლას რომ გადაწყვეტს მის წინ მოულოდნელად აიმართება სელიმ

სელიმ. მირზა!
მირზა. სელიმ...
სელიმ. შეჩერდი.
მირზა. რა გინდა უბედურო. — გზა!
სელიმ. შეჩერდი. მე ყველაფერი ვიცი... მე მოვისმინე საუბარი...
მირზა. გზა! (სახეში ჩაარტყამს).
სელიმ. მიშველეთ... (სიჩუმე. პაუზა). გეხვეწები მირზა, ნუ იზამ. შეიცვალე გული. მამა მოხუცია და ცხოვრება გაელილი აქვს...
მირზა. მე მირზა ვარ,—გულბაათის შვილი. მისი სიტყვა გარდუვალია...
სელიმ. აბა იფიქრე რას სჩადიხარ!
მირზა. გზა მომე და იცოდე, არსად არაფერი არ წამოგცდეს!..
სელიმ. შესდექ!..
მირზა. ეხ!.. (ხელს სტაცებს ყელში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სელიმ. მიშველეთ!.. (სტვენა. საპასუხო სტვენა შორს. პაუზა. სიჩუმე). ვერ-
სადაც ვერ წახვალ, მირზა...
მირზა. რატომ გინდა ხელში შემომაკვდე, უბედურო...
სელიმ. ნაბიჯს ვერ გადადგამ. მე მითქვამს.
დარაჯი. ვინ არის?
მეორე დარაჯი. ვინ არის?
პირველი. მირზა?!
მეორე. რა მოხდა!
სელიმ. (პაუზის შემდეგ): ასაფეთქებლად...
მირზა. ა!...
სელიმ. ასაფეთქებლიდ... საგუბარის ასაფეთქებლად მოდიოდა...
დარაჯები. ვინ?.. რას ლაპარაკობ!..
სელიმ. ვილაც იყო... წინ რომ გადუდექით, შეგვებრძოლა. თქვენ ძახილზე კი
მიიმალა... აი, ეს ყუთი... არა, მირზა?
დარაჯები. საითკენ? რას ამბობ!..
სელიმ. აი, აქეთ, კარგად შევხედე ხეებს შეერია...
დარაჯები. (მიეშურებიან).
მირზა. სტყუის!.. (პაუზა) თვითონ მოდიოდა ასაფეთქებლად. მე დავიჭირე;
ნება არ მივეცი...
სელიმ. მირზა...
დარაჯები. (შეჩერდებიან).

ქინო: მაგარი, მტკიცე ნაგებობა ელსადგურის, ჯებირებით შეკავებული მდინარე.

რადიო: ხეზე მიმაგრებულია რადიო რუპორი. ისმის მუსიკა. ხატიჯე და ლენგო სხედან.

2.

ხატიჯე. რა კარგია, ლენგო!..
ლენგო. კარგი შენახარ, ხატიჯე.
ხატიჯე. ყველაფერი ეს, რასაც ამდენი ბრძოლა შეხვდა, არ მეგონა ასე ლა-
მაზი თუ იქნებოდა...
ლენგო. მე შენი სახლის აივანზე ელნათურიც ჩამოვკიდე...
ხატიჯე. მერე?
ლენგო. პირველი შუქი, რომელიც ჩვენი მდინარის ტალღებში ავარდება, —
პირველად შენ ქოხს გაანათებს.
ხატიჯე. მალე იქნება?
ლენგო. მალე. ჩვენი სამუშაოები დამთავრებულია, გვირაბი გავჭერით და მდი-
ნარე გადავისროლეთ... იქ სადგურს სხვები აშენებდენ. ისიც
რა ხანია აგებულია...
ხატიჯე. მაშ მალე იქნება...
ლენგო. რა თქმა უნდა. დღეს გვეტყვიან, შვიდ საათზე. უნდა მივაკითხო.
ხატიჯე. შვიდ საათზე?.. იქნება კიდეც...
ლენგო. წავიდე გინდა?.. ნუ თუ მოგწყინდა ჩემთან ყოფნა...

ხატიჯე. არა, ლენგო... გავიგო მინდა. თუ არა შინ რა დამრჩენია. ნეტავი ვიცოდე ერთმათგანს მაინც რა დაემართა...

ლენგო. არაფერია, მალე ისევ მოგიგონებენ.

ხატიჯე. რომ ვახსოვდეთ, განა ასე მარტო დაგვტოვებდენ მე და დედას.

ლენგო. არა უშავს ხატიჯე-ჩემო! — ამ ხევიდან მზე რომ ამოვა, — მის შუქზე ყველა დაბრუნდება.

ხატიჯე. (საყვირის ხმა) აი, მართლა შვიდი საათი ყოფილა... ლენგო მდინარეზე ისევ მუშებია!? — სამუშაოები აკი დამთავრდა.

ლენგო. ათასი სამუშაოა კიდევ მანქანების და იარაღების გადასატანათ...

ხატიჯე. მიდიხარ?

ლენგო. ერთ საათში ისევ აქ ვარ გაჩენილი მახარობლად... (პაუზა) ხატიჯე, შუქი რომ გვიან ღამით მოვიდეს, გითხრა?..

ხატიჯე. უსიკვდილოთ...

ლენგო. რომ გეძინოს?

ხატიჯე. ჩემი ფანჯარა მარტო მოხურული იქნება ლენგო, — შემოაღე.

ლენგო. და მაინც რომ ვერ გაგაგონო... ხომ შეიძლება შემოვიდე.

ხატიჯე. გავიგონებ, უსიკვდილოთ გავიგონებ.

ლენგო. კარგი... კარგი... (გარბის).

ხატიჯე. (მხიარულ სიმღერით ჩაჰყვება ბილიკს წყაროსკენ).

Коллекция Кн. Дорсенко Грузия

3.

გულბაათ. (მათ გასვლისთანავე საიდანღაც გაჩნდება, ნაბად მოხურული ჩუმი და მოხრილი. დიდხანს გადასცქერის ბილიკს, რომელიც ხატიჯემ ჩაირბინა). იგი მღერის, იგი ბედნიერია თავისი სიცოცხლით... (წააწყდება ხატიჯეს გულსაკიდს) ხატიჯე... თითქო მკერდი მუხლებით შემომიტეხეს და ფრჩხილებით ამომართვეს გული... იგი მღერის!.. ურჯულო, სიხარულს აუტანიხარ ხატიჯე! (ესვრის ტყვიას) ამიერიდან ჩემ ტყვიას არავინ დაეწანება... (შემკრთალი ნაბიჯებით იხევს უკან, შემოხვდება ჯემალი).

ჯემალ. გულბაათ...

გულბაათ. ახ! — ჯემალი ხარ!.—

ჯემალ. რათ შეკრთი გულბაათ!

გულბაათ. არა... ეს... ისე...

ჯემალ. რად მიხვალ...

გულბაათ. ჯემალი ხარ... სად არის მირზა... სიტყვა გასტეხა და მერე ჩემ რისხვას გადაეკარგა? შევხვდებით...

ჯემალ. გულბაათ...

გულბაათ. რას მეძახი... სამოცი წელია, მე ეგ სახელი მქვია ჯემალ... მაგრამ არასოდეს არ შემირცხვენია... შენ კი... აი (ესვრის ხატიჯეს ამულეტს).

ჯემალ. ხატიჯეს გულსაკიდი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულბაათ. ჯერ კიდევ ჩვილი დანიშნული იყავი მასზე, — შენ უნდა მოგეარა მისთვის ჯემალ... (გადის).

ჯემალ. ხატიჯეს გულსაკიდი აწყვეტილი და მიწა დაყრილი... ხატიჯე... ალაჰ! ნუ თუ ეგ მართალია!.. (მიაწყდება ყოველ მხარეს) ხატიჯე... ხატიჯე...

მეჰრუ. (გამოიჭრება სახლიდან მასთან რამდენიმე ქალი) ხატიჯე?!

ქალები. ხატიჯეს ეძახიან... (ჩარბიან წყაროს ბილიკს, საიდანაც ისმოდა ჯემალის ძახილი).

მუშები. (შემორბიან გაკვირებულები. ამ დროს უეცარი კივილი მეჰრუსი).

მუშა. რა ამბავია!

მეორე. ნეტავ რა მოხდა!..

მესამე. დაიცათ ჩვენები ამორბიან აქეთ...

მეოთხე. დღე ისე არ გავა, საგუბართან არ მოხდეს რამე...

ახალმოსული. უბედურება!..

მუშები. რა აკივლებდა იმ ქალს.

ახალმოსული. ქალი მოკლეს წყაროსთან.

მუშები. ქალი?

ერთი. რა ვაჟკაცობაა...

მეორე. დანით დასაკლავია, — ურჯულო!..

მესამე. დავედევნოთ...

მეოთხე. სისხლია ასაღები...

მუშები. დავედევნოთ... (მიიწევენ).

ერთი. (აჩერებს) იქნებ როსკიპია ის ქალი.

მეორე. ურჯულო.

მესამე. იქნებ დამნაშავეა და ქმარის არგამგონეა.

მეოთხე. ვისი ქალია ნეტავ.

ახალმოსული. რა ვიცი!.. წყაროზე შევხედე, თვალი მოვკარ და ის იყო...

მუშა. (შემოდის) დედა მოდის... (სიჩუმე).

მეჰრუ. (შემოდის. მასთან ქალები. და ჯემალ, რომელსაც ხელში ხატიჯე ჰყავს აყვანილი. შემოდიან მუშებიც. მეჰრუს სახედან ჩადრი აქვს ჩამოვარდნილი).

ხმები. ხატიჯე...

ხალხი. (დგას მწუხარებით. ქალები ერთ მხარეზე მიიკრიფებიან).

მეჰრუ. (წამოიწევს, ხატიჯეს გულთან ჩაკეცილი) შემოკრებილხართ... უცქირეთ... უცქირეთ... აი, მკვდარი ხატიჯე... მაგრამ რა საგულებელია ქალის ჯავრი... ამაზე ხომ მე ვტირი მარტო... მე ხომ დედა ვარ...

მუშა. მეჰრუ!.. უცხო ხალხში დგეხარ... ჩადრი!..

მეჰრუ. ვიდგე. (მოიგლეჯს ჩადრს სრულიად) რათ უნდა დავმალო მე ჩემი მწუხარება!.. (ხალხში აღელვება) შეხედოს ყველამ ვისაც ჰყავს შვილი, ვისაც ჰყავს და... რომ გულში დაგრჩეთ ეს ჭრილობა! შეხედეთ ჩემ დაბერებულ სახეს, შეხედეთ ჩემ ჩამქრალ თვალებს, — მრავალი ცრემლი და მრავალი ჯავრი გადაუტანია მას... მაგრამ შენგან, უნახავს თანაგრძნობა როდისმე დედას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც იგი უსამართლოთ დაჩაგრულა! უგულებელი არ დაგრჩენია, შენი დის კვნესა... შეგბრალებია როდისმე ქალი, რომელიც ცოლად მოიყვანე... ეხლა გესმოდეთ ჩემი სიტყვა... თუ აქამდე იგი არავის არ გაუგონია!.. იმ კაცის წიხლი მრავალჯერ დამცემია გულზე... ვინ გაამართლებს მამას, რომელსაც ფრჩხილებში აქვს შვილის სისხლი... რომ შეგეძლოთ თქვენ ამის შეგრძნობა, — მაშინ თვითეულმა ხატიჯეს სისხლი უნდა აიღოს...

გულბაათ. ჰეი!.. (გადმოდგება მაღლობზე).

ხალხი. გულბაათ!..

მეჰრუ. შენ, შენ მოჰკალ ხატიჯე! (ჩაიკეცება).

გულბაათ. მე იგი მიყვარდა ყველაზე მეტად... თქვენ კი ნება დართეთ გიაურს პირბადე აეხადა. აუშვით მდინარე, გაინათეთ მისი შუქით სულელი სახეები... ხატიჯე... ხატიჯე... მაგრამ არა. მე ჩემ ღმერთთან მაინც პირნათლად წარვდგები...

მეჰრუ. ღმერთთან? — სად არის ღმერთი, რომელმაც ღვიძლი შვილი მოგაკვლევინა... რომელიც მიბრძანებდა მე შენდამი მორჩილებას... შენი გულისთქმაა იგი... ხატიჯე! აი მისი ნათელი სახე, მას შერჩენია პირველი ღიმილი, პირველი სიხარული რომელიც, იგრძნო... ჩაგვიკლეს გული, შვილო დაგვიმორჩილეს!.. მაგრამ ამიერიდან აღარ მინდა! (წამოიჭრება) თუ თქვენ ვერ ხედავთ მხეცს, მე თვითონ ჩავწვდები მას ყელში (მიიწევს).

გულბაათ. მეჰრუ!.. (მოიმარჯვებს თოფს).

ჯემალ. (ხალხს გამოეყოფა რისხვა აყვანილი) გულბაათ!..

გულბაათ. შენ, შენი რისხვა უნდა გახრჩობდეს ჯემალ!..

ჯემალ. მკვლელო!..

გულბაათ. ფეხი არ გადმოდგა!.. არ დაგინდობ, — როგორადაც არ უნდა მიყვარდე...

ჯემალ. დაგკლავ! (იძრობს დანას).

გულბაათ, (უკან იხევს) არ დაგინდობ...

ჯემალ. (წინ მიიწევს) გულბაათ!..

გულბაათ. ჯემალ... (იმალებიან).

ხალხი. (ჩასცქერის მათ სუნთქვა შეგუბული. პაუზა. თოფის ხმა).

ლენგო. (შემოიჭრება ხალხში უზომოთ გახარებული) ამხანაგებო... ამხანაგებო!.. ამ ღამით ელსადგური ამუშავდება!..

ხალხი. (დგას დამწუხრებული).

ლენგო. რა მოხდა აქ, ამხანაგებო? (შენიშნავს ხატიჯეს) ხატიჯე!.. (მოულოდნელ მწუხარებაში სიტყვები ეკარგება).

ხატიჯე სახლში შეასვენეს. ლენგომ დასტოვა გულბაათის კარმიდამო და ჯავრით სავსე განმარტოვდა. ხალხი კი დგას ერთ ადგილზე დამუნჯებული. დიდი პაუზა.

ერთი მუშა. როგორ ამოვარდა მთელი სახლობა!

მეორე. ძველი კაცი იყო გულბაათ, — მაგარი. ვერ შეურიგდა.

მესამე. იგი ცამდეა მართალი თავისთავთან.

პირველი. გულბაათი სისხლის მსმელია. მე არ მენანება მისი ჯავრი...

პირველი. (შენიშნავს) მირზა...

მუშები. მირზა... (სიჩუმე. პაუზა).

მეორე. სად გადაიკარგე მირზა...

მირზა. ეს ჩემი საქმეა.

მესამე. (ხელს მოხვევს) საკუთარი ტკივილი გულში ჩაიკალი, მირზა. და ჩვენთან ერთად იმუშავე.

მირზა. მე თქვენთან სამეგობროდ არ მოვსულვარ. აი ჩემი თოფი... ჩამიბარებია. თქვენ წინ დამნაშავე კაცი დგას.

მუშები. მირზა...

მირზა. მე ვერ შევასრულე სიტყვა მამაჩემის და მის რისხვას გადავეკარგე. საბრალო მოხუცი... ტყეში გაჭრილმა ჩემზე მწუხარებით უნდა დალიოს სული... მე ეხლა ერთი ტკივილი მაქვს მარტო... სელიმი დაიჭირეს...—და ეს არავის გაუგია. მას ბრალად ედება აფეთქების ცდა...

მუშები. აფეთქება?!

მირზა. ეგ კი მე მსურდა... და მას გადავაბრალე...

მუშები. მირზა!..

მირზა. საცოდავი სელიმ, მისი კუზიანი, ცალთვალა მოჩვენება არ მცილდება არსად...

პირველი. (უეცრივ შეამჩნევს) სინათლე!..

მეორე. ელსადგური ამუშავდა!..

მუშები. ელსადგური ამუშავდა!..

მესამე. მთელ ხეობას მოედო სინათლე...

მეოთხე. ყველა შუშები გაბრწყინდენ.

მეხუთე. ჩემი ოთახიც განათებული იქნება.

მეექვსე. ჩემი სახლიც...

მუშები. სინათლე... მდინარის სინათლე... (ჟრიამული).

მირზა. ამხანაგებო... ამხანაგებო... (ჩადგება მათ შორის) სინათლე!..

მუშა. ვინ მოდის სელიმის განსათავისუფლებლად!..

მუშები. სინათლე... სინათლე...

დიდი სინათლე და ძლევის სიმღერა

ფარდა

1929 წ. — ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

გიორგი ძუჩიშვილი

წითელ მხედრებით
შემოსალტული,
დგას საქართველო
კლდესავით მყარი;
საბჭოთა დროშა,
ცად აღმართული
კიაფობს, როგორც
დილის ცისკარი.

ძველმა ტფილისმაც
იცვალა ფერი,
ტყით იმოსება
მწვრი „მთაწმინდა"
მტკვარი ზაჰესის
ჰიმნს მოიმღერის,
მტკვარი ზაჰესის
შუქით გაბრწყინდა.

აღარც მეთევზის
გულის დუღილი,
აღარც მეტივის
ტივებზე ბოლმა;
ინდუსტრიალურ
ქვეყნის ქუხილი
ისმის დღე-ღამე
გალმა-გამოლმა.

არც სოფელია
ჩამორჩენილი:
ვქმნით კოლექტივებს,
ვაწყობთ კომუნებს;
მშრომელ გლეხობამ
განიფრთხო ძილი
და წარსულისკენ
რა დააბრუნებს!

ურთიერთს ძმურად
ვუდგევართ მხარში,
ხევსურებსაც კი
გზას ვუხსნით,
ვშველით;
დღემდე აბუჩად
აგდებულ მთაში
შეგვაქვს კულტურა
სკოლების ქსელით.

დიაღ, დიდია
ჩვენი მიღწევა,
ბავშვმაც კი იცის,
რა გავაგრძელო;
და ამ ტრიუმფით,
ასე ურყევად,
გასწევს ტფილისი
და საქართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეჩნური კოლექტივები ყვავიან!

ალექსანდრე გოგმიაშვილი

I.

ისევ ჩეჩნეთი...
წინანდელი სადღაა ღობე,
როცა, აულო, ხელმეორედ მოგინახულე!
მსურს არა მხოლოდ ლექსი გითხრა, არამედ ღონეც
აყვავებისთვის შევალიო გადაშლილ ხნულებს...
ჩემო ლამაზო, ხნულზეც თვალი ვერ ასწრებს მოვლას.
მინდა დავწურო სიხარული ვერცხლის წყალივით,
და თუ კვლავ სადმე „ალაჰს“ შესთხოვს მოხუცი მოლა,
ეს მხოლოდ მიტომ, დროს ჰიდილით რომ გამწყრალია!
ვინც დროს გადუდგა, — მშრომელ ხალხის არ ასცდეს კრულვა,
ვინც დროს ჩამორჩა, — მოჩანჩალე დრომვე გარიყოს,
მხოლოდ თქვენ, ჩემო მეგობრებო,
ამხანაგურად
მოსჭერით მიწა:
— კოლექტივში მტერი არ იყოს!
აქ შარშანდელი მაგალითი გაკვეთილია, —
შარშან მოგვიკლეს თავმჯდომარე მ ა გ ო მ ა მ უ ს ა, —
კოლექტივების მტრები სოფლად ველარ იქლიან,
ჩვენი საქმე და სიმახვილე რომელთაც მუსრავს!...
მაშ მოდი, ძმაო, კოლექტივზე ისე ვიმღეროთ,
რომ გული ჩვენი გადაიქცეს ფრთაგაშლილ ორბად,
რომ კვნესის ნაცვლად დაიმღეროს ლერწამის ღერომ:
— მინდვრად შრომობენ ჩეჩნელების ბიჭები ზორბად!..
ასე, ბიჭებო, დაიდაღოს ყამირი მიწა,
და ეს სიმღერა ფანდურმა სთქვას, ახალ ძალებო!
ასე პირდაპირ აღტაცება გულში შეიჭრას,
როგორც თქვენ ველში, კომუნიზმის მეხანძარენო!..
ვინც დროს გადუდგა, — მშრომელ ხალხის არ ასცდეს კრულვა,
ვინც დროს ჩამორჩა, — მოჩანჩალე დრომვე გარიყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ თქვენ, ჩემო მეგობრებო,
ამხანაგურად
მოსჭერით მიწა:
— კოლექტივში მტერი არ იყოს!..

II.

ორი თვის წინად
გზით გვებრძოდა თოვლის ნამქერი,
თოვლის ნამქერი, ქარ-ყინვების შენაყვარები.
დღეს კი ველზე დგას ახალგაზრდა ჯეჯილი ქერის,
და ლივლივებენ, ლივლივებენ მწვანე ყანები!...
ეს განახლებულ მთის სუნთქვაა, ველს რომ ედება.
— კოლექტივები ყვავიან! — ვმღერი.
ყანა შრიალებს, აბიბინებს სიო მთებიდან.
ველიც ხელს ახწევს კომუნიზმზე ყოველი ღერით!..
იზარდეთ ასე, კოლექტივის ნორჩო ყანებო,
გაშლილ მინდვრებზე რომ ლივლივებთ მწვანე ნოხივით.
იზარდე ასე, დილის სიოს შენაყვარებო,
ყანავ, რომ გნახო თავთავებით ღერომოხრილი!..
... მთებზე მწყემსები მხიარულად უკრავენ თარებს,
მათ არ აწუხებთ ამღამინდელ ყაჩაღის ჯავრი.
სადღაც მთის ფხაზე ამოსული იცინის მთვარე,
და შესევია ცვრიან ყანებს სხივების ჯარი!..

III.

გალმა გორიდან
გადაჰყურებს ველს „ყარაული"
ველზე მორთხმულა მუხა, დროით ანატირები.
დილის ზმორებით ეჯიბრება აულს-აული,
მინდვრად შრომაა მთებზე დამყნილ კოლექტივების!..
აქ, სადაც წინად მთა იბრძოდა ტყვიების ხრეშით,
სადაც ელავდა ავარიის იმამის გორდა, —
ნახეთ, იგრძენით — მეგობრული შრომაა ხევში.
აღმოსავლეთით ალისფერი მზე ამოგორდა!..
მტრების სინმა ვერ მოკვეთოს საერთო მუხლი,
ეხლა ველებში მგლებივით რომ მიაბიჯებენ.
„ძველ მთის დაცემა დაედაროს დაცემას მუხის"
ასე მღერიან კოლექტივში ჩეჩნის ბიჭები!..
დეე, შესთხოვდეს ბანზე „ალაჰს" მოხუცი მოლა,
კლდენი ხვიოდენ, როგორც ზღვებში კრეისერები,

მთა გაიჩეხოს გრიგალებით შუაგულ ორად,
სოციალიზმზე რომ დაემყნას მწვანე სერები!..
დეე, ბრდღვინავდეს გაშმაგებულ თერგის დინება
(მახ ხომ სჩვევია მთებისადმი მოქცევა ანცი).
და... თუ დღეს სოფლად კოლექტივმა ასე ინება, —
რკინის კბილებით ისვენებდეს კალოზე „ლანცი“.
მოვა დრო ველზე დაპურდება ჯეჯილი ქერის,
აულში შევა დატვირთული ძნებით ურმები.
„ლანცის“ კბილიდან ხვავი დადგეს, როგორც ნამქერი,
და შემოდგომა მთამ მიიღოს სალამურებით!..
მაშინ მეც ოფლში გადვიხიო თეთრი პერანგი,
ფეხი დავადგა ბარაქიან მაღალ ბიჟინას,
პირქვე დაამხოს კომუნიზმის საქმის ვერაგი
შეერთებული კოლექტივის შრომის ყიჟინამ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტვირთავი ქიტა

ბ ო ლ ო ს ჩ ხ ე ი ძ ე

Коллекция Кл. Дзодзуашвили Грузия

[ნ ო ვ ე ლ ა]

— ქიტა!.. ქიტა!.. — ისმოდა ძახილი შენობების გადაღმიდან. ქიტას სამუშაო გაეთავებია, მედგრად მიაბიჯებდა. მოხედვა მას არაფრად ეხერხებოდა და ამიტომ მთელი ტანით შემოტრიალდა, პირით იმ მხრით, საიდანაც ისმოდა მოუთმენელი ხმაური.

ჯერ არავინ ჩანდა. საღამო იყო. არც ისე ადვილად შეიძლებოდა შორიდან ვისმეს გარჩევა. ის ადამიანები კი, რომლებიც ყვიროდენ, იმ წუთს გამოსცვივდენ ქუჩის ბოლოდან.

ფეხის ხმა კი მოისმოდა. დაინთენ სინათლეებიც. ეხლა კი ნათლად გამოჩნდენ დიდუბელი ბიჭები. ხარხარით, და ძიძგნით მირბოდენ ქიტასაკენ.

— რა გინდათ, ოხრებო, ავარებო!

მიაყვირა ქიტამ. როდესაც მას შემოეხვივნენ, ებღაუჭებოდენ, ეწეოდენ იქით, არეულად ეუბნებოდენ:

— აი იქ... იქა არიან... იქ სეირნობენ...

— არეულ-დარეულ ლაპარაკში ქიტამ უცებ ვერაფერი მოიფიქრა. იდგა ჩარგული ბოძივით და აბეზარს ისე მაგრად ჰკრავდა ხელს, რომ ხელ-ფეხ გაშლილი ეცემოდა თხრილში. ბიჭები ამაზე უფრო იცინოდენ და კიდევ ზედმეტად ებღაუჭებოდენ ქიტას.

აცა კიდევ ვისმეს შემოიქნევს, დაეცემა რბილებით და კიდევ ვიცინებთო.

— წამოდი, წამოდი, ქიტაჯან!

ამასობაში ქიტამ მოისაზრა, სადაც ეპატიჟებოდენ ბიჭები. გულმა გასწია კიდევაც. აი ველარ იკავებს თავს. გადადგა ნაბიჯი მისთვის კარგად ცნობილი ამბების დასატრიალებლად, რითაც ქიტა ცნობილი იყო ტფილისის ქალაქის საქონლის სადგურში.

— ქიტა 25 წელი მუშაობდა იქ მტვირთავათ. სამუშაოზე 16 წლის მიიღეს. პირველ ორ თვეს ემძიმა კურტანი, გაუჭირდა შეჩვევა ზედამხედველის სიმკაცრისა, სანამ არ ეხერხებოდა ტვირთის სხარტად ზურგზე შეგდება, მაგრამ ყველაფერს მიეჩვია და ბოლოს დღეები ძალიან საინტერესოც შეიქმნა, ნამეტნავად, როდესაც ბევრი ტვირთი მოდიოდა.

საინტერესო იყო კიდევ, როდესაც მუშები გაიფიცებოდენ, გამოვიდოდენ ქუჩაში, აირივ-დაირევოდენ. ქიტაც გაჩერდებოდა, და არავის არ უნახავს ის სამუშაოზე მისული, სანამ ყველანი არ დაადგებოდენ მუშაობას. ერთხელ ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსმა მწონავმა დაახასიათა, როგორც მარტო ღონე, და მოუფიქრებელი კაცი. ქიტამ ეს გაიგონა, მაგრამ ძალიან არ სწყენია.

ყველაზე საინტერესო იყო ქიტას აზრით ერთი ამბავი: ეს იყო წინად. მოვიდა ვიღაც გაპარსული საეჭვო კაცი, ჩაათვალიერა მტვირთავები. ქიტა აირჩია. ხილის ყუთებიდან ამოიღო ერთი ყუთი, მოსდო ქიტას ზურგზე და თვით წინ გაუძღვა. ქიტა მიხვდა რომ იმ ყუთში სულ სხვა ვაშლები ეწყო, რომლებიც მას არც ეჭამა და არც ენახა.

გაპარსულმა ბნელ სარდაფში ჩაიყვანა. შემდეგ ამოსვლა გაუჭირდა იქიდან. გამობრუნებისას ქიტამ ჰკითხა გაპარსულს: — სად წამიყვანეო, მაგრამ უცნობმა ურჩია: — შენთვის უმჯობესია დაივიწყო სად იყავი, რა გადაიტანე და რა ნახეო.

ყველაფერი ეს ქიტამ დაიჯერა, რადგან პირველად გაიგონა სიტყვა „ამხანაგო“ და ჩამოართვა ნასწავლმა კაცმა მას, მტვირთავს ხელი. ამასთან რატომღაც მას ეგონა, რომ ეს საიდუმლოება სულ უნდა შეენახა და 1929 წელშიაც კი არავისთვის გაუმხელია.

ზიდავდა ამანათებს, ყუთებს, კასრებს, მშვენივრათ მომუშავე კუჭი მოითხოვდა საჭმელს, ქიტაც სჭამდა, რამდენსაც ყბა მოერეოდა.

ქიტას მკლავების „რელსებს ეშინია“ — იტყოდენ საქონლის სადგურის მსახურნი და ვაი მას ვინც ქიტას ხელს შეახებდა, ან მტვირთავების შეურაცყოფას გაბედავდა. იყო სულ მტვირთავი, არასოდეს თავში არ მოსვლია, სხვა სამუშაო ეშოვნა. თუმცა ჰქონდა ერთი შემთხვევა მხოლოდ, მეზობელი ურიგებდა ქალს, საცოლემ დაიწუნა ქიტა მტვირთავი.

ქიტამ გაბედა, სთხოვა ვიღაცებს გადაყვანა, პასუხად ყველგან გაუჯავრდენ. „ბალვანო“ უწოდეს. ეს იყო და ეს აღარ გაუცხელებია თავი.

იყვენ ქუჩის ქალები. ქიტას დანახვაზე შიშის ზარი ეცემოდათ. დაეწეოდა სადმე, დააწიოკებდა. ერთს ჩაიგდებდა ხელში, სიბნელეში დათვივით ჩატორავდა, ეს იყო ქიტას სიყვარული.

მაგრამ ქიტას თავში გადაითვალა მოგონებები, სანამდის ბიჭები ეპოტინებოდენ და პანტებსავით ისროდა თხრილებში.

— აღარ მოვალ, არა!

დაილრიალა და ფეხებს უფრო დააჭირა. ერთმა ავარამ კი შხამიანად წამოისროლა:

— გაუშვი ქიტა ახალ[illegible] მუშაა, სოც-შეჯიბრმა გადააკეთა.

ქიტა გაშრა. ჰფიქრობდა: გირჩევნიათ, თქვენ ავარობას თავი დაანებოთ და საქმეს მოჰკიდოთ ხელი, მაგრამ არა უთქვამს რა, არ სწამდა ჭკუის დარიგება.

— როგორ, მე ის ქიტა აღარ ვარ, მე გიჩვენებთ თქვენ, რომ ეროს ქიტასათვის არაფერი მოუკლია.

— წავიდეთ!

მოიქნია მარცხენა ფეხი, შემოირეკა ბიჭები და გადასდგა ნაბიჯი.

სულ რამოდენიმე ხნის წინათ ქიტას ცხოვრებაში პატარა საინტერესო ამბავი მოხდა. კლუბში ვიღაც მოვიდა. გააკეთა მოხსენება. ქიტის ის კაცი ეცნობოდა. ვერ მოიგონა კი ვინ იყო, სახელოსნოელი მუშები: ზეინკლები და მჭედლები მოითხოვდენ ქიტას სახელოსნოში გადაყვანას, ეროს დამრტყმელად. ოს-

ტატებს ყველას გაეხარდათ ეს ამბავი და იძახდენ: — ჩვენთან წამოდი ქიტა, გნახოთ ეხლა რაც ბიჭი ხარ, იქ!

თვითონაც ვერ გაიგო როგორ დაისვა საკითხი. მომხსენებელი მისჩერებოდა ქიტას. გაიღიმა, შესცინა. ქიტამ მაინც ვერაფერი გაიგო. ორმა ოსტატმა ქიტას მკლავში გამოსდეს ხელი და იმ საღამოზე აჩვენეს ახალი სამუშაო.

ამის შემდეგ ათიოდე თვე გასულიყო. საამქროში სწარმოებდა სოც-შეჯიბრი. ბევრი არ გაეგებოდა რა ქიტას ამ „ჯიბრის", მხოლოდ ხედავდა, რომ შეჯიბრის მონაწილე მუშას ეკამათებოდენ, ავალებდენ ამბებს, რაზედაც დამკვრელი მუშა ხელად უპასუხებდა; გარედ კი იმ მუშას, ზოგი აგინებდა, ზოგი იწონებდა, და ზოგიც სურვილს გამოსთქვამდა, მის ბრიგადაში გადასვლისას. გამოირკვა, რომ შეჯიბრში ყველას შეეძლო მონაწილეობა მიეღო. გამოაცხადა ქიტამაც, ვიზე ნაკლები ვაჟკაცია ის რომ უკან ჩამორჩეს? და მოიგო კიდევაც შეჯიბრი.

წერა-კითხვა ისწავლა თავისი გვარით და სახელით, რომელიც დაეწერათ ქარხნის წითელ დაფაზე, ერთმა ამხანაგმა მთელი კვირა აკითხა, რომ შეესწავლა ამოკითხვა თავისი გვარის და სახელის. ქიტას არ სჯეროდა. თავის ამხანაგების ჩუმად მიმართა მეზობელ სტუდენტს: ერთი თვე იმეცადინა და წერა-კითხვა შეისწავლა.

ეგონა საცინლად იგდებდენ და სიმართლე კი გამოდგა. დაფაზე მართლა ეწერა მისი გვარი და სახელი. აღარ იცოდა როგორ გადაეხადა ენამწარესათვის სამაგიერო. ორჯერ ჩააგდო თხრილში. ცემად ეს კმაროდა, სხვაგვარი სამაგიერო კი ქიტამ არ იცოდა.

მირბოდენ ვიწრო ასფალტზე. გაჩერდენ სახელოსნოების გადაღმა ველზე. იქ დასეირნობდენ მოსწავლე და მუშა ქალები. ბიჭები აჯავრებდენ. ესროდენ ქვებს, ქიტას გამოჩენაზე კი ქალებმა კივილი მორთეს.

ქიტა ერთი ადგილიდან აღარ იძროდა.

დაიმედებულმა ავარებმა ქალებს (ვინც ვერ გაასწრო) ჩქმეტა დაუწყეს.

ქიტას ბევრჯერ უნახავს ასეთები. რაა აქ გასაკვირი?

ავარებმა ერთი ქალი დაიჭირეს, ეხლა კი დაიძრა ქიტა. შეშინებული ქალი გაიქცა. ქიტას ეს არ შეუმჩნევია. დაატანა აბეზარ ბიჭს ხელი ბეჭებში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დააჯახა კედელს. მაყურებლები დაიბნენ. ავი ქიტა არტყამდა ბიჭებს, ბურთივით ანარცხებდა მიწაზე. შემოიხსნა ხელის გულის სისქე ბალთებიანი ქამარი და აირეკა წინ ავარები. ამბის ასეთი დაბოლოვების შემდეგ ხალხი მოცვივდა.

არ ენახათ ჯერ ქიტას ასეთი საქციელი. გაჰყვენ უკან, ალბად მოელოდენ სეირს. შევიდენ კლუბის ეზოში. ქიტამ ბიჭები შერეკა დარბაზში, მაშასადამე ცემაც აღარ იქნებოდა, ესე იგი აღარც საინტერესო რამე.

ქიტა ამხანაგებს არ ენახათ ასე არეული. არც არავის უნახავს რომ ქიტას სასამართლოსთვის ან სხვა ვისმესთვის მიემართოს მოწინააღმდეგის გასასწორებლად, ჩვეულებრივ თვით უსწორდებოდა. გაკვირდენ მუშები. ესეც პირველი მოვლენა იყო, რომ ქიტამ სიტყვა მოითხოვა.

— ამხანაგო თავმჯდომარე! — მომეცით ნება ამ ბიჭებს ვცემო, ან თქვენ სცემეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელობა იმდენად დიდი იყო, რომ მუშები კითხულობდენ.

რატომ?

რისთვის?

როდესაც მოულოდნელობის პირველმა წუთმა გაიარა, ბევრი დაფიქრება აღარ იყო საჭირო.

ქიტა მოითხოვდა ბიჭების დასჯას. ყველაზე უკეთეს ფორმად მას მიაჩნდა ცემა. არავინ ჩიოდა რას მოითხოვდა ქიტა, ან კიდევ როგორ მოითხოვდა. ამას ყველა კრების მონაწილე გეტყოდათ. ქიტა ცემას თუ მოიგონებდა სასჯელად, ხოლო ეხლა ქიტა ითხოვდა ნებართვას, რომელიც მას არასოდეს არ უთხოვნია.

— ამხანაგო ქიტა! — რა დააშავეს ბიჭებმა?

შეეკითხა თავმჯდომარე. ქიტამ არ იცოდა რა ეთქვა.

— რა... რა... საცემი არიან...

ველარ დაათავა და გამოვარდა დარბაზიდან. ველარ მოახერხა ქიტამ თქმა, რა აწუხებდა და, რატომ უნდა დასჯილიყვნენ ავარები, რატომ უნდა აეღო ქიტას ნებართვა ცემისთვის, როდესაც მას უნებართვოთ შეეძლო მათი ცემა. მიდიოდა ქიტა შინისკენ. ერიდებოდა ვინმეს გვერდის უხერხულად გაკვრას, შემომხვდურები არ იყვნენ მიჩვეული ქიტას თვინიერად დანახვას და მოეჩვენა რომ ყველანი მას მისჩერებოდენ. ოთახის კარები მიიხურა, წამოწვა ლოგინზე. დაიწყო გაზეთის სათაურების კითხვა, ორჯერ სცადა კორპუსით აწყობილის ამოთვლაც. გაარჩია კიდეც რამოდენიმე წინადადება, იქ ეწერა:

დამკვრელობაზე და სოც-შეჯიბრზე.

დაიღალა ქიტა ამდენი კითხვით. საჭირო იყო სამუშაო შეეცვალა. აქ ტვირთი აღარ იყო საზიდი. რა უნდა გაეკეთებია?

თავისდა უნებურად ჩაუკვირდა პატარ-პატარა ამბებს და მის გარშემო მოქმედ ნივთებს. უფრო ქიტას აწუხებდა მანქანებზე და დაზგებზე თითბრის წარწერები, ნეტავ რა სწერია იქ? ამას მოყვენ კიდევ სხვა ამბები, უფრო საინტერესო, თუ გინდათ ასეთი: ქიტას მოუნდა სხვისათვის რაიმე ეთქვა იქ კრებაზე: თავის თავზე, და ამ ათიოდ თვეში მის თანამებრძოლ ურიოზე. ყველაზე ბოლოს ქიტას მოაგონდა სოც-შეჯიბრი, იმ ბიჭმა რომ უხსენა, ყურებში კი ესმოდა ვილაცის ხმა—„ქიტა გადასხვაფერდა, გადაკეთდა“.

წამოდგა ზეზე, დაათვალიერა კარგად, არც მეზობელ ოთახში, არც ეზოში არავინ დადიოდა. საჭირო შეიქნა თავის გამოცდა. ქუჩაზე ეყარა ტრამვაისათვის დასაგები ლიანდაგის რკინები. ქიტამ ისინი ერთი ადგილიდან მეორე მხარეზე გადააწყო. ვერ იგრძნო ლონის დაკლება. იგივე ქიტა იყო, ბეჭებიანი, მკლავ-რკინა, მაგარ ხერხემლით და ბოძებივით ფეხებით. შემობრუნდა შინ, დაწვა დასაძინებლად. ჩაიარა ერთმა მატარებელმა, ჩაიარა მეორემ, სამი საათის შემდეგ ქიტას კიდევ არ ეძინა. ამდენი ხნის შრომისა და ცხოვრების შემდეგ პირველად გაუტყდა ძილი რამდენიმე საათით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკური განთიადი

კალე ბოგოხიძე

მე საქართველოს ვერ შევამკობ, არის, რაც არის,
ველარ მოისხამს მწვანე ფარჩებს მთები ქვისანი.
კლდეთა ხრიოკზე განადგურდა ქრისტეს ტაძარი,
და მეც სამშობლო სხვაგვარ სახით გამოვიცანი.

გახუნდნენ წლები, ვით მგოსნების ლექსთა ფურცლები,
რომ სტრიქონები შრიალებდენ ტყეთა სიმწვანით.
დღეს შრომის ჰანგი მხარეს აყრუებს უფრო გულწრფელი,
და ამ ჰიმნებში მეც სამშობლო გამოვიცანი.

ფეოდალიზმი გადაშენდა, როგორც ნადირი,
და ხმა ჩაუწყდათ ხანგადასულ მსუქან აშულებს;
ორბელიანის მადის მომგვრელ განთიადივით
დღეს მწვანე სუფრებს ცისკრის „მადლი“ ალარ აშუქებს!..

მან დაგვიხატა საქართველო, როგორც „ედემი“,
ჩაგვრა-წამების და ტირანთა ძველი ქვეყანა.
ჩიტი გალობდა თვის „ბრწყინვალე“ შემოქმედებით
და მჩაგვრელებზე ჯავრი ველარ ამოგვეყარა!..

შრომის წყლულები ვერ მოჰბანა შაშვის გალობამ,
და „ლამაზ“ ქვეყნის მწვანე მთებმაც დაჰყარეს ფრთები.
ამ დიად დროშიც მელექსეობით ისევ წვალობენ
საფლავებიდან აჩრდილივით მოსული მკვდრები.

ახლაც გამზირზე, ვილაც შავი ჩოხით გაივლის —
მგოსნურ „დიდებით“ შემოსილი ძველი ქართველი.
დროგამოშვებით კვლავ გაისმის კატის კნავილი,
მისი სიცოცხლე იბეუტება, როგორც სანთელი!..

აღმშენებლობის დიადი დროშა თუ გყავთ ნიშანში,
სიაშკარავით დაინგრიეთ გულში ლოდები...
რა საჭიროა იმღეროდეთ გრიშაშვილივით,
ან დაგვიწეროთ ქალწულივით ნაზი ოდები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ჩემს ქვეყანას აღარ ვამკობ, არის, რაც, არის,
დიადი ღვაწლით ავამწვანეთ მთები ქვისანი.
ნაპრალებს შორის ელექტრონის ღვივის ხანძარი,
და მდუმარება მარტოვდება, როგორც ხიზანი!..

დროს გარდატეხამ ზურნასავით ჩაჰკლა წარსული,
ჩვენ ყველა ფრონტზე დამკვრელობით ათჯერ დავკარით,
კვლავ ვეგებებით განთიადებს უფრო სასურველს,
და შენდება საბჭოების საქართველო, კლდეზე მაგარი!..

აგრიგალებით გაანათებს ცეცხლი სადგურებს,
ემიგრანტივით გულმწუხარე სდუმდეს ჭადარი,
ბობოლებივით მავნე მგოსნებს გაანადგურებს
სოციალისტურ მშენებლობის ცხელი ღადარი...

ახლა ქვეყანას ემატება დღე და ცხოვრება,
ხუთწლიან გეგმის მესამე წლით მავნეს დაჰკარით!
განთიადივით ბრიგადებო, რიგში სწორება,
რომ გავამაგროთ გრიგალების ნაამაგარი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ ა ნ ყ ი

გ. ბუხნიკაშვილი

დრამატიული სურათი

მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი:

კაპიტანი.
1-ლი და მე-2 ლეიტენანტი.
1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 გვარდიელი.
1-ლი და მე-2 გლეხი.
სახლის პატრონი.
მთავრობის წარმომადგენელი.

გლეხის სახლი. სცენაზე 1-ლი და მე-2 გვარდიელი

1-ლ ი გ ვ ა რ დ. რომ მატყუებ, რას მატყუებ. ექვს ძროხაში ვითომ მაგის მეტი ვერ აილე?

მ ე-2 გ ვ ა რ დ. რა მაქვს მოსატყუარი. მეტი არ მომცეს და ახლა ვაჭრობას ხომ არ დავუწყებდი.

1-ლ ი გ ვ ა რ დ. ქვაბები რამდენად გაყიდე?

მ ე-2 გ ვ ა რ დ. არ გამიყიდნია. წადი და ჰკითხე სიკოს, ისიც იქ იყო, რომ ჩავაბარე.

1-ლ ი გ ვ ა რ დ. არაფერში არ ვარგიხარ ბიჭო. სირცხვილია, კაცი კარებამდე ვერაფერს გენდობა. ჯანი გავარდეს, მომეცი, მომეცი, რაც მერგება. კიდევ წავაწყდებით რამეს.

მ ე-2 გ ვ ა რ დ. დაიჭი ნახევარი (ფულს აძლევს. შემოდის ლეიტენანტი).

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. აქ რას აკეთებთ, არწივებო?

1-ლ ი გ ვ ა რ დ. მოხსენებას ვუცდი ტფილისში წასაღებად.

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. კაპიტანი აქ არ არის?

1-ლ ი გ ვ ა რ დ. მეც იმას ველი.

ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი. სხვა, ბიჭებო, ხომ მაგრადა ხართ? უტირეთ ყოფა თუ არა მეგრელებს?

1-ლ ი გ ვ ა რ დ. მაშ რა ეგონათ ყურუმსაღებს. ასე ადვილათ ჩაუვლიდათ მთავრობის ურჩობა?.. გუშინ ერთი ჩამივარდა ხელში სახლის ჩხრეკის დროს...

„ამხანაგო, რას სჩადი“— ერთი ისეთი გავულაწუნე ყბაში, რომ ცრემლები წამოვადინე თვალებზე. რა ჩემი ამხანაგი იყო ის მამაძაღლი...

მე-2 გვარდ. ცემა უებარი წამალია. რომ დავიჭერ ხოლმე, ჯერ ერთი მაგრად მივბეგვამ და მერე ვგზავნი ვირის აბანოში.

1-ლი ლეიტენ. არამზადები, რა ესმით, ნეტავ, რომ ბოლშევიკობენ...

კაპიტანი. (შემოდის) Здравствуйте, лейтенант!

1-ლი ლეიტენ. Здравия желаю, господин капитан!

1-ლი გვარდ. ბატონო კაპიტანო, მოხსენებას ველი ტფილისში წასაღებად.

კაპიტანი. მოიცადეთ. საღამომდე არ იქნება.

1-გვარდ. კეთილი. წავიდეთ, ბიჭო. (გვარდიელები გადიან).

კაპიტანი. თქვენ როგორ ფიქრობთ, ლეიტენანტო, სოფელს კავშირი არ ექნება მეთაურებთან?

1-ლი ლეიტენ. კავშირი და როგორი. სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ გაქცეულები ღამის გასათევად აქ ჩამოდიან.

კაპიტანი. ნუთუ? დაუჯერებელია... ბრძანება ხომ არის გაცემული ღამე ხეტიალის წინააღმდეგ. საკვირველია, მე ვგონებ ამ სოფელში მცხოვრებლებზე მეტი გვარდიელია დაბანაკებული და ნუთუ ვერ დავიჭირეთ ეს მოთავენი.

1-ლი ლეიტენ. მე კერძოდ დიდ იმედებს ვამყარებ იმ ხუთ ტუსაღზე, გუშინ რომ დავიჭირეთ. თუ მეთაურები არ არიან, ყოველ შემთხვევაში მათ მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ მეთაურებთან. აი პროკლამაციები, რომელიც ერთ-ერთ მათგანს აღმოაჩნდა.

კაპიტანი. არამზადები... საჭიროა ავალაპარაკოთ ეს ტუსაღები.

1-ლი ლეიტენ. დიახ, საჭიროა, მხოლოდ ამისთვის ძალდატანებაა საჭირო. ნებაყოფლობით არაფერი გამოვა.

კაპიტანი. Что же, დავხვრიტოთ ერთი მათგანი და დანარჩენნი მყისვე ენას ამოიდგამენ. საველე სასამართლოს მერე შევუთანხმოთ.

1-ლი ლეიტენ. კარგი აზრია.

კაპიტანი. როგორი სულისკვეთებაა თქვენს ნაწილში?

1-ლი ლეიტენ. ჩვეულებრივად... იყო მაროდიორობის შემთხვევები.

კაპიტანი. მერე?

1-ლი ლეიტენ. რეპრესიული ზომების მიღება მეძნელება. ხომ იცით, მოიყრიან თავს, მოილაპარაკებენ და, ვინ იცის...

კაპიტანი. Бозобразие!.. Это не войско, а грабители... Что же, უნდა ვითმინოთ. ლეიტენანტო ჯარზე დანდობა სრულებით არ შეიძლება, ვინაიდან მთლად გაბოლშევიკებულია. ყოველ შემთხვევაში, გვარდია სხვაზე მეტს აკეთებს სამშობლოს დასაცავად.

1-ლი ლეიტენ, ბატონო კაპიტანო, ნუთუ სულ ასე ვიქნებით ბრძოლაში? ხან ერთ კუთხეში ატყდება აჯანყება და ხან მეორეში.

კაპიტანი. ჩვენი საქმე არ არის, ლეიტენანტო, პოლიტიკაზე ბაასი.

1-ლი ლეიტენ. მაინც უნდა ვიცოდეთ, თუ რა ხდება ჩვენს ირგვლივ.

კაპიტანი. Чорт его знает... მე ვერაფერი გამიგია...

მე-2 ლეიტენ. (შემოდის) Здравия желаю, господин капитан!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი. Здравствуйте!

მე-2 ლეიტენ. უტყუარი ცნობები მივიღე, რომ სოფლის თავში შეიარაღებულ აჯანყებულთა ჯგუფია, დაახლოვებით ორმოც კაცამდე. საჭიროა რაიმე ზომების მიღება მათ წინააღმდეგ.

კაპიტანი. აჰა, კარგია... Вот что, წაიყვანეთ თქვენი ნაწილი და ლეიტენანტ ახვლედიანის. ალყა შემოარტყით და დააპატიმრეთ. ნება გეძლევათ თქვენი შეხედულებით მოექცეთ ტყვეებს, თან ტყვიის მფრქვეველი წაიღეთ.

მე-2 ლეიტენ. Слушаюсь! (გადის).

კაპიტანი, თქვენ ხომ არ გინდათ წასვლა?

1-ლი ლეიტენ. როგორც მიბრძანებთ.

კაპიტანი. თქვენ დარჩით. ეგენიც შესძლებენ ორმოცი კაცის დაპატიმრებას.

სახლის პატრონი. (შემოდის) ბატონო, საჭმელი მოგიმზადეთ.

კაპიტანი. ოჰო, ჯვებე, დილა მშვიდობის...

სახლის პატრ. იცოცხლე, ჩემო ბატონო!..

კაპიტანი. ჯვებე, როგორაა ბოლშევიკების საქმე?

სახლის პატრ. რა ვიცი, ბატონო თქვენ ჩემზე კარგად გეცოდინებათ.

კაპიტანი. იქნებ ახალი ცნობა გაქვს რამე.

სახლის პატრ. არაფერი ვიცი, ჩემო ბატონო.

კაპიტანი. მე გეტყვი. აჯანყება თითქმის ყველგან ჩავაქრეთ — ზუგდიდში, სალხინოში. თქვენი საშა გეგეჭკორი გაგვექცა, მაგრამ შორს ვერსად წაგვივა... ახლა თქვენს სოფელზეა საქმე. აქაც დავიჭერთ აჯანყებულთ და მორჩა...

1-ლი ლეიტენ. ჯვებე, შენი ქალიშვილი სად წაიყვანე?

სახლის პატრ. სტუმრად წავიდა ფოთში.

1-ლი ლეიტენ. ხა, ხა, ხა!.. რა დროს სტუმრობაა. სწორედ თქვი, შეგეშინდა გვარდიელებმა არ შემიცდინონო?

სახლის პატრ. მაგის შიშიც მქონდა, ბატონო, რაც მართალია, მართალია...

1-ლი ლეიტენ. შვილზე კიდევ რამეს იფიქრებდა კაცი, მაგრამ ეს შენი ბებერი ცოლი რალათ დაგვიმალე? ვის რათ უნდოდა, ერთი მითხარი?

სახლის პატრ. შვილს გაყვა, ბატონო, შვილს. მარტო ხომ ვერ წავიდოდა ფოთს.

კაპიტინი. ჯვებე, ნუ ეშმაკობ. იცოდე, არ გაპატიებთ ასეთ საქციელს. მართლაც, ნადირები ხომ არ არიან ეს გვარდიელები...

სახლის პატრ. რა ვქნა, ბატონო, უსწავლელი გლეხი ვარ, არაფერი მესმის თუ შევცდი, მაპატიეთ.

კაპიტანი. წადი, წადი, საუზმე მოგვიმზადე. მანდ გვარდიელი იქნება და დამიძახე. (სახლის პატრონი გადის) ცამდის მართალია... ძალიან კარგად მოიქცა, რომ გადამალა თავისი შავთვალა გოგო, თორემ ჩვენი გვარდიელები არ მოეშვებოდენ. თქვენც არ იქნებოდით უარზე, ლეიტენანტო. ხე, ხე, ხე...

ლეიტენ. მშვენიერი არსებაა, ბატონო კაპიტანო. ნამდვილი ბუნების შვილი. .

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-3 გვარდ. (შემოდის) რას მიბრძანებთ?

კაპიტანი. მოვიყვანოთ ბარემ ერთი ტყვეთაგანი.

1-ლი ლეიტენ, კარგი იქნება.

კაპიტანი. რა გვარები არიან, ლეიტენანტო?

1-ლი ლეიტენ. Чорт их знает. გვარები დამავიწყდა.

კაპიტანი. რომელიმე მათგანი მოიყვანეთ (გვარდიელი გადის) მაშ ასე, დავხვრიტოთ... ეს ენას ამოუდგამს დანარჩენებს...

სახლის პატრ. (შემოდის) ბატონო, თქვენი ნახვა უნდათ ჩვენი სოფლის გლეხებს.

კაპიტანი. ვის?

სახლის პატრ. ჩვენი სოფლის გლეხებია.

კაპიტანი მოიცადონ, მაგათთვის არ მცალია. მაინც, რა უნდათ, თუ იცი?

სახლის პატრ. სწორედ არ ვიცი. მგონი საჩივარი აქვთ გვარდიელებზე — გვაწუხებენო..

კაპიტანი. Что такое?.. თვალით არ დამენახონ, თორემ გავამათრახებ ყველას, გესმის? წადი ასე უთხარი...

სახლის პატრ. ვეტყვი, ბატონო, მაპატიეთ... (გადის. მე-3 და მე-4 გვარდიელს შემოჰყავთ 1-ლი გლეხი).

კაპიტანი. აჰა, ეს არის მათი მოთავე?.. შენი გვარი?

1-ლი გლეხი. ჯოჯუა.

კაპიტანი. ჯოჯუა, მოყევი ყველაფერს, რაც ჩაგიდენია. ხომ იცი, თუ გულწრფელად აღიარებ შენს შეცდომებს, ამ წუთშივე გაგანთავისუფლებ... რას გაჩუმებულხარ?

1-ლი გლეხი. რა უნდა გითხრა, არ ვიცი.

კაპიტანი. არ იცი? ძალიან კარგად იცი. პირველი — შენ ბოლშევიკური პარტიის წევრი ხარ თუ არა?

1-ლი გლეხი. კი ვარ.

კაპიტანი. ოჰო!.. მერე, რათ გახდი ბოლშევიკი?

1-ლი გლეხი. ამის ახსნა არაა ძნელი საქმე. ბოლშევიკი იმიტომ გავხდი, რომ ვხედავ ეს პარტია მართლაც გაათავისუფლებს მუშებს და გლეხებს მდიდრების...

კაპიტანი. ოჰო, კარგი მოლაპარაკე ყოფილხარ... მაშ, შენი აზრით, მენშევიკები არ იცავენ გლეხების და მუშების ინტერესებს?

1-ლი გლეხი. დიახ, მენშევიკური პარტია ვერ მიდის სწორ გზაზე.

მე-4 გვარდ. მამა გიცხონდა, შენ გვასწავლე, თუ რა გზას დავადგეთ, თხაპარია მეგრელო...

კაპიტანი. მოიცათ...

1-ლი ლეიტენ. Мы вдаемся в политику, капитан.

კაპიტანი. ჰო, ახლა გვითხარი, კიდევ ვინ გყავთ პარტიის წევრები და ვინ იღებდა მონაწილეობას აჯანყებაში... აბა, ჩამოთვალე... თუ გვეტყვი, მაშინ გაგათავისუფლებთ.

1-ლი გლეხი. მე ბავში არა ვარ. ვიცი, როგორც გამათავისუფლებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი. მაშ არ გინდა დაასახელო არავინ?.. ახლავე დაგხვრეტთ, შე არამზადა!

1-ლი გლეხი. არ ვიცი არაფერი...

კაპიტანი. გვითხარი... საშა გეგეჭკორი თქვენს სოფელში იყო. აქედან შორს არსად წასულა. შენ იცი, სადაც იქნება ახლა...

1-ლი გლეხი. არ ვიცი, ვერ გეტყვით...

კაპიტანი. არ გვეტყვი? მაშ კარგი... ლეიტენანტო, გაიყვანეთ...

1-ლი გლეხი. მორჩით. დამხვრეტთ, ხომ? დამხვრიტეთ, ჩემისთანა კიდევ ბევრი დარჩება...

კაპიტანი. გაიყვანეთ...

1-ლი გლეხი. ფუი, რა გითხრათ თქვენს მთავრობას და თქვენ!

კაპიტანი. დახვრიტეთ ახლავე ეს მამაძაღლი, ესა... (გაჰყავთ) Бандти... ფეხებზე მკიდია თქვენი სოციალისტები... (პაუზა. გარეთ სროლა) აჰა, მორჩა...

სახლის პატრ. (შემორბის) ბატონო, ბატონო, ეზოში კაცი დამიხვრიტეთ, რაღა ვქნა ახლა... მთელი სოფელი გადამეკიდება...

კაპიტანი. გაჩუმდი, ბებერო, თორემ ამ გაჯავრებულ გულზე შენც იმას მიგაყოლებთ. (სახლის პატრონი გარბის. შემოდის ლეიტენანტი).

1-ლი ლეიტენ. Готово... (პაუზა).

კაპიტანი. Бандит! ხედავთ, რა პასუხს იძლეოდა?

1-ლი ლეიტენ. Да...

1-ლი გვარდ. (შემოდის) ბატონო კაპიტანო, მთავრობის წარმომადგენელი, ამხანაგი დარასელიძე, მოვიდა... ათვალიერებს გვარდიის ნაწილების მდგომარეობას.

კაპიტანი. მერე, რაღას გაშტერებულხარ, შე-კაი კაცო, ასწავლე ჩვენსკენ გზა... (1-ლი გვარდიელი გადის) რაღა ახლა მოვიდა ეგ მამაცხონებული. კაცი თითქმის მის თვალწინ დავხვრიტეთ.

1-ლი ლეიტენ. არაფერია, თვითონ უარესს იზამდა.

1-ლი გვარდ. (შემოუძღვება) მობრძანდით, ამხანაგო. (შემოდის მთავრობის წარმომადგენელი, სამგზავროდ გამოწყობილი).

კაპიტანი. (წარუდგება) ბატალიონის უფროსი კაპიტანი ამირაჯიბი.

ლეიტენ. ლეიტენანტი წერეთელი... დაბრძანდით, ბატონო.

მთავ. წარმ. სხვა როგორ არის საქმე, ბატონოკაპიტანო?

კაპიტანი. ვებრძვით ანარქიას, ბატონო, და მგონი ბოლოსაც ვუღებთ. ეს სოფელი-ღა დაგვრჩენია. ხელიდან გაგვისხლტა საშა გეგეჭკორი. მაგრამ კიდევ გვაქვს იმედი, რომ დავიჭერთ.

მთავრ. წარმ. ცოტა სასტიკ ზომებს-კი იღებთ... თითქმის ჩემს თვალწინ დახვრიტეთ ვიღაც გლეხი...

კაპიტანი. თუ ასეთი ზომები არ მივიღეთ, აჯანყება არ ჩაქრება. ეგ გლეხი კი ერთი მეთაურთაგანი იყო. მე მგონია, მისი დახვრეტით დიდი ზიანი მივაყენეთ აჯანყებულთ...

მთავრ. წარმ. თქვენ იცით, ბატონო კაპიტანო. მე მხოლოდ მდგომარეობის გასაცნობად ჩამოველ და არა რაიმე განკარგულების გასაცემად. გყავთ ტყვეები?

ლეიტენ. გახლავს, ბატონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრ. წარმ. არ შეიძლება ჩემი თანდასწრებით დაჰკითხოთ მათ? მინდა გავიგო რა ასულდგმულებს ამ ხალხს, რა უნდათ ჩვენგან.

კაპიტანი. (გვარდიელს) მოიყვანეთ რომელიმე ტყვე.

მთავრ. წარმ. ძნელია, ძნელი წესიერების დაცვა. ასეთი დიდი მსხვერპლის გაღება ჩვენდა უნებლიეთ გვჭირდება.

კაპიტანი. დიახ, ძნელია... აქ რომ დარჩეთ, დარწმუნდებით, თუ რა წვალებაში ვართ. მთელი გლეხკაცობა ფეხზე დგას, ყველა ბოლშევიკია. ვერაფერ ზომას ვერ მოაქვს სარგებლობა, გარდა ფიზიკური განადგურებისა.

მე-2 გლეხი. (შემოდის მე-3 და მე-4 გვარდიელის თანხლებით).

კაპიტანი. თქვენი გვარი?

მე-2 გლეხი. არ გეტყვით...

კაპიტანი. როგორ?

მთავრ. წარმ. ვასო...

მე-2 გლეხი. სვიმონ...

კაპიტანი. იცნობთ, ბატონო სვიმონ?

მთავრ. წარმ. როგორ არა... ოდესღაც ერთად ვმუშაობდით მონარქიზმის დროს... იქიდანვე ეტყობოდა ანარქისტობა.

ლეიტენ. ეს გახლავთ სწორედ ის, რომელსაც ამოაჩნდა ერთი დასტა პროკლამაცია.

მთავრ. წარმ. ვასო, აქ რა გინდა?

მე-2 გლეხი. მე გთხოვთ გამათავისუფლოთ ყოველივე დაკითხვისაგან, რადგან სულ ერთია არაფერს გეტყვით. თქვენ კი, ბატონო მთავრობის წევრო, თავი დაანებეთ ძველი ამბების მოგონებას. თქვენი ამხანაგი დიდი ხანია აღარ ვარ. პასუხის ღირსი არ ხართ იმის შემდეგ, როდესაც თქვენ თვალწინ უდანაშაულო გლეხი დახვრიტეს და ხმა არ გაიღეთ.

მთავრ. წარმ. ეჰე, ისევ დიდგული დარჩენილხარ...

კაპიტანი. (სვიმონს) მითხარით ვინ არის ეს კაცი?

მთავრ. წარმ. ცნობილი ბოლშევიკი ვასო, ალბად ერთ-ერთ ხელმძღვანელად არის აქ მოვლენილი.

კაპიტანი. აჰა. მაშ თქვენ არ გინდათ პასუხი გაგვცეთ?

მე-2 გლეხი. არა...

კაპიტანი. უხერხულობაა... რას მეტყვით, ბატონო სვიმონ?

მთავრ. წარმ. ტყვე თქვენს განკარგულებაშია...

კაპიტანი. შენ ძმაო აქ თავი დაანებე დონკიხოტობას, თორემ ხომ იცი... მიგაყოლებთ შენ ამხანაგს...

მე-2 გლეხი. თქვენ მაგის მეტი არაფერი შეგიძლიათ... წამიყვანეთ და დამხვრიტეთ... სიცოცხლის მეტს ხომ ვერაფერს წამართმევთ. მაგრამ გახსოვდეთ, რომ თქვენი დროც მოვა. მე არ ვიქნები, მაგრამ ჩემს შემდეგ ათასი ჩემისთანა გაგიმკლავდებათ. ბოლო მოეღება თქვენს ბატონობას, თქვენს მაცდურ პოლიტიკას. გამოაცხადეთ დამოუკიდებელი საქართველო და ხელში ჩაუგდეთ გერმანიის იმპერიალიზმს...

მთავრ. წარმ. გაათავეთ, ბატონო კაპიტანო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 გლეხი. გაათავეთ... დიახ, ბატონო სვიმონ, მალე გათავდება, თავს არ შეგაწყენთ, თქვენსავით ლაქიობას და კუდის ქნევას არ ვარ ჩვეული.

მთავრ. წარმ. Молчать... (წამოხტება) მომაშორეთ...

მე-2 გლეხი. გამყიდველო, მოლალატევ...

მთავრ. წარმ. აი შე... (დაეწევა და სილის გარტყმა უნდა. მე-2 გლეხი იხსნის თავს გვარდიელებიდან და თვითონ გაარტყამს სილას. აირევიან. მე-2 გლეხი მაგიდაზე მაუზერს წამოავლებს ხელს). ცოცხალი არ დაგნებდით... (ისვრის. გადახტება ფანჯარაში).

კაპიტანი. არ გაუშვათ. (გარეთ ჩოჩქოლი. სროლა).

ლეიტენ. დამშვიდდით, ბატონო სვიმონ...

მე-3 გვარდ. (შემორბის) გაიქცა...

კაპიტანი. აი, თქვე პირაღიებო. ვერ დაეწიეთ?

ფარდა

გ. ბუხნიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მწერლობის ახი ხელი

ბენიტო ბუაჩიძე

მენშევიკების „კულტურა“ და ხელოვნება უბადრუკი იყო. ის ხასიათდებოდა იდეური სიღარიბით, მხატვრული უსუსურობით და განვითარების უნარის უქონლობით. იმდროინდელი მწერლობა და ხელოვნება ცოცხლობდა მე-19 საუკუნის მწერლობის ხავსმოდებული ტრადიციებით. თუ შეიძლება ითქვას, რომ მენშევიკებს მწერლები ჰყავდათ, მაშინ უნდა გავიხსენოთ მენშევიკურ „სამოთხის“ ის მომღერლები, რომლებიც თავს დემოკრატებს და რევოლუციონერებს უწოდებდენ. ამ მწერალთა დემოკრატობა და რევოლუციონერობა სავსებით ემთხვეოდა მენშევიკების „დემოკრატობას“ და „რევოლუციონერობას“, ე, ი. ისინი იყვნენ უპერსპექტივო, წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტები, ჩვეულებრივი წვრილფეხა ნაციონალისტები, მათი „რევოლუციონერობა“ არ სცილდებოდა „მიკიტნური დემოკრატიის“ „რევოლუციონერობას“. აი სწორედ ეს „დემოკრატია“ იყო მათი შემოქმედების წყარო და დასაყრდენი. „სამშობლოზე“ დაღვრილი ცრემლებით დამბალ „დემოკრატ“ მწერალთა გარდა მოღვაწეობდენ მათი უახლოესი სულიერი მეგობრები, მეშჩან-ობივატელების მწერლები. ისენი სწერდენ ზღაპრებს, მითებს, რომანებს, სენტიმენტალურ მოთხრობებს სააღდგომოდ დასაკლავ კრავზე და ა. შ. უფერული უნიადაგო, პატარა და რეაქციონური იყო „თავისუფალი“ — „დემოკრატიული“ საქართველოს მწერლობა, მთელი კულტურული ცხოვრება.

ეს „კულტუროსანი“ ხალხი მტრულად შეხვდა ოქტომბრის რევოლუციას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაარსება მათ „აითვისეს“ თავის „წმინდათაწმინდას“ შელახვად. სწორადაც აითვისეს. ცხადია, რომ პროლეტარული რევოლუცია მათ რეაქციონურ საქმიანობას წალეკვას უქადდა. მათი პატარა იდეები, მათი ინტერესები, მათი ბურჟუაზიული ობივატელური სწრაფვა, სასაცილო ოპერული „რევოლუციონერობა“ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში დასჭკნებოდა და განადგურდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების პირველ წლებში ქართული მწერლობის დიდმა ნაწილმა გააჩაღა ბრძოლა თავისი რეაქციონური, მეშჩანური სახის შესანარჩუნებლად. საყურადღებოა ის, რომ ამ დროს მათ გამოიჩინეს მაქსიმალური აქტიობა, დამახასიათებელი სიანჩხლით გაიბრძოლეს უკანასკნელად და მოიკრიბეს მთელი თავისი უნარი და შესაძლებლობანი. გამქვირვალე მხატვრულ სახეებსა და ალეგორიებს გარდა, მათ უმთავრესად პუბლიცისტური ბრძოლა დაიწყეს. ცხადია, მათი გამბედაობა არ მიდიოდა ისე შორს, რომ პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ პირდაპირ გაელაშქრებიათ. მათი კალმის წრიპინი ვითომცდა ზოგად ლიტერატურულ თემებს დასტრიალებდა, მაგრამ ფაქტიურად რევოლუციის საწინააღმდეგო და მავნებლური იდეების პროპაგანდას ეწეოდენ. იშვიათი არ იყო პირდაპირი კონტრრევოლუციონური გამოსვლებიც. პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში რას უნდა მივაწეროთ, თუ არა პირწავარდნილ შუბლმაგარ რეაქციონერობას პოეტ გრიშაშვილის შემდეგი ოცნება:

„თბილისი ისევ გაირაკლდება
და ნაგუბარში ჩადგება წყალი“.

ასეთი სასაცილო საზიზღარი და უბადრუკი იმედი ამოღავნებდა იმდროინდელი ქართველი მწერლების სულისკვეთებას. ეს ირაკლი მეფის და ქეთევან დედოფლის რაინდები, უაღრესი კლასიური სიძულვილით აღვსილნი, შხამს ანთხევდენ და საბჭოთა სინამდვილის დაგესვლას ცდილობდენ. ამ დროს ახსენდებოდა პოეტ აბაშელს კრწანისის ველი და თებერვალს ადარებდა მას. ამ დროს ოცნებობდა პაოლო იაშვილი ტრაპეზუნდში ქართული ჯარის გარნიზონებზე. ამ დროს ააჟღარუნეს რეაქციის მწერლებმა „საქართველოს სამრეკლო“, მოუხმეს მეფეებს, დედოფლებს, წმინდანებს, მარჩიელებს და მათთან ერთად ბჭობდენ „მრავალტანჯულ სამშობლოს“ ბედ-იღბალზე. მათ გათხარეს ბუტაფორიული სანგრები და ასტეხეს ცალიერი ვაზნების ტკაცანი. ისტორიის მტვერის ნაცარქექიებმა კორიანტელის დაყენება სცადეს. მათ დაინაწილეს „წმინდანიანების“ ლაშქარი. „ლაშარი“ და „ლომისი“, კბილებჩამტვრეულის ჩიფჩიფით წყევლაკრულვაში ეწაფებოდა. „ბახტრიონი“ და „ბარიკადი“ ბრძოლის ილუზიას ქმნიდა. „რუბიკონი“ და „ქართული სიტყვა“ მათ მიერ გადახდილ იუბილეებს ამოფარებული, ყოველგვარი საზღვრის გადაცილებით წარსულის ბნელი საუკუნეებისაკენ მიემგზავრებოდენ. „ხომალდში“ და „ილიონში“ ჩამსხდარიყვენ ტიკინა „გმირები“ და საპნის ბუშტების გამოშვებით თამაშობდენ. ესენი ყველა რევოლუციის პირველი წლების ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების სახელებია. ამ „ილიონ-ხომალდებში“ და „ბარიკად-ლომისებში“ ჩასაფრებული იყვენ ერეკლე მეფის გადაშენებული, დაჩიავებული, „თხუნელას პერსპექტივის“ მქონე „რაინდები“ და მენშევიკური „სამოთხის“ გმირები: გრიშაშვილ-გამსახურდიას ჯგუფი, აბაშელი მიკიტნური დემოკრატიის“ მწერლებით, კოტეტიშვილი-ინგოროყვა, „ცისფერი ყანწელები“ თავისი ამალით და სხვ. რეაქციონური იდეებით, ღვარძლით და რევოლუციისადმი სიძულვილით სავსე იყო ამ მწერალთა მოღვაწეობა, უკეთ ჩხირკედელაობა გასაბჭოების პირველ წლებში. 1924 წელს ქართული რეაქციონური მწერლობის ნაკადები ერთიანდება. დახავსებული ქართულ მწერალთ კავშირი იკრებს თავის ძალებს. ამ დროიდანვე იწყებს გამოსვლას მწერალთა კავშირის ორგანო, დიდტანიანი ჟურნალი „კავკასიონი“. სამაგალითო თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკიცე, რეაქციონური ხასიათით. ამ რეაქციას მეთაურობს „კავკასიონის“ რედაქტორი პ. ინგოროყვა. „კავკასიონი“ გამოდის მარადიულობის ლოზუნგებით. ის თავის პირველ მოწინავე დეკლარაციაში აცხადებს:

„ერთადერთი საზომი, რომლითაც ხელმძღვანელობს ამ შემთხვევაში „კავკასიონი“ ეს არის იდეები იმ მარადი ხელოვნებისა, რომელიც მაღლა დგას წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე, ყოველგვარ „მემარჯვენეობასა“ და „მემარცხენეობაზე“. მარადი ხელოვნებისა, რომელიც არასოდეს არ ბერდება“.

ამ თავისთავად რეაქციონურმა და ყალბმა პროგრამამ ხელი არ შეუშალა „კავკასიონს“ ეწარმოებია სწორედ დროული პოლიტიკური ბრძოლა. ეს ამ „კავკასიონში“ იყო, რომ სტიროდა აბაშელი:

„რა მიზანი აქვს სიცოცხლის ჯირითს,
თუ არ ხელების გულზე დაკრეფა“.

ის თითქოს უპასუხებს „კავკასიონის“ დეკლარაციას „მარადიულობის შესახებ“:

„ო, ყველაფერი ამ ქვეყანაზე
ნისლის ნავივით ჩნდება და ქრება“.

რატომ ემსახურება მარადიულობას „კავკასიონი“? ასე გულამომჯდარი. რად სტირის პოეტი აბაშელი? ამ კითხვების პასუხს თვით პოეტი იძლევა ამავე „კავკასიონში“:

„მუდამ მრისხანე, მუდამ მწყრომელი
ის დრო ჩვენს ლონეს აღემატება:
ათი წლის ნგრევა დაუცხრომელი, —
საშიშ ქედების გადანათება“.

აი რაში ყოფილა საქმე! ინგოროყვა კი დღემდე გაკვირვებული და ვითომცდა უვიც სახეს აკეთებს. ვინ ვლოვობდა ძველმანებს? ცხადია, „კავკასიონი“. ვინ გამოიტირა ძველი ტფილისი? ცხადია, „კავკასიიონმა“. „კავკასიონის“ მარადიულობა ახალის დაგმობაში, რევოლიციის გვერდის ახვევაში და მეფეებისადმი ტრფიალში გამოიხატებოდა. მისი აზრით, მარადიული თამარ-მეფე და სხვ. მეფეებია.

„მწამს სახელები: თამარ, რუსუდან,
ლაშა გიორგიმ ფრთა გადამიწ ა“.

(„კავკასიონი“ — ი. გრიშაშვილი)

შ. დადიანის „უბედური რუსი“, დაგვიანებული ფეოდალური მწერლის თამარ მეფის ხოტბა-დიდება, „კავკასიონში“ დაიბეჭდა.

დასრულდა „კავკასიონის“ რეაქციონური ლაშქრობა, და ქართულ მწერლობაში შემოიჭრა ახალი პროცესები.

კლასიური მტრების იმედები ულმობლად იმსხვრეოდა, პროლეტარიატის დიქტატურა საქართველოში მკვიდრდებოდა რკინით და ბეტონით. გაიშალა დიდი და უნახავი მშენებლობა. ახალი ქარხნები, ელექტროსადგურები, დანგრეულის აღდგენა და ახალახალი წამოწყებანი ისეთ მოვლენად გადაიქცა, რომ მისი გვერდის ახვევა ყოვლად შეუძლებელი იყო. მწერალთა ნაწილი დაადგა

„სმენავეხოველობის“ გზას, ღებულობდენ მშენებლობას მხოლოდ თავისთავად აღებულს. ჩვენი მშენებლობის სოციალური აზრი უცხო და მიუღებელი იყო მათთვის. ქართველ მწერალთა პირველმა ყრილობამ დეკლარატიულად საბჭოთა პლატფორმაზე დადგომის და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის დიდი სურვილი გამოაცხადა, მაგრამ ნამდვილი თანამგზავრობა ჯერ კიდევ არ იყო ხელშესახები მოვლენა. ცალკეული მწერლები დაადგენ პოლიტიკური „თვითგამორკვევის“ გზას. მათ დაიწყეს შემოქმედებითი თანამშრომლობა რევოლუციასთან. პირველი ასეთი თანამგზავრთაგანი, ქართული მწერლობის თვალსაჩინო და უნარიანი წარმომადგენელი იყო გალაქტიონ ტაბიძე. ენტუზიასტმა პოეტმა დაგმო და დასძლია თავისი წარსული. ის მტკიცედ ჩადგა სოციალიზმის მშენებელთა რიგებში. ჟურნალ „მნათობი“-ს დაარსებიდანვე გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციონურ პოემებს და ლექსებს სასტიკი დისონანსი შეჰქონდათ მემარჯვენე-რეაქციონური მწერლების დახავსებულ შემოქმედებაში.

დღეს გალაქტიონ ტაბიძე პროლეტარული რევოლუციის, სოციალისტური მშენებლობის მომღერალია. რევოლუციამ რეაქციონური აზრებით დამბლა-დაკრულ მწერლობას წაართვა შემოქმედებითი უნარით სავსე მებრძოლი. საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავზე გალაქტიონ ტაბიძემ თავისი დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობით შესძლო თანამგზავრობის გზის გავლა და მოკავშირედ გახდომა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართული მწერლობის ახალგაზრდა ფრთა უყოყმანოდ გაყვა რევოლუციის გზას. „მემარცხენეები“ (ყოფილი ფუტურისტები) მწერლობაში გამოსვლის პერიოდში ხასიათდებოდენ წვრილ-ბურჟუაზიული, ანარქისტული ბუნტარობით. ეს იყო ახალგაზრდა ინტელიგენტების „აჯანყება“ თავისი უფროსი ძმების წინააღმდეგ, აჯანყება მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ-ესთეტიური ხასიათისა. მათ ცოტა ხანი არ დასჭირებიათ, რომ ამ აჯანყებისათვის იდეური ხასიათიც მიეცათ. „მემარცხენეობაში“ შეიქმნა მემარცხენე ფრთა, მათ ჩამოსცილდა მემარჯვენე ახალგაზრდობა. მათ დაუდვეს თავის სამოქმედო-შემოქმედებით პროგრამას პოლიტიკურ-რევოლუციონური სარჩული და მტკიცედ დაადგენ თანამგზავრულ გზას. ამ მხრივ „მემარცხენეობიდან“ ყველაზე მეტად გამოირჩევა მწერალი სიმონ ჩიქოვანი. ფუტურისტული თვითმიზნობის დაძლევის შემდეგ, ჩიქოვანი ნაყოფიერად და მახვილად მუშაობს საბჭოთა მწერლობაში. საბჭოთა მწერლობის პოლიტიკური იდეურობის ორგანიულად შეთვისებამ შეაძლებინა მას თანამგზავრიდან მოკავშირე გამხდარიყო.

თანამგზავრობას ცდილობს ბელეტრისტი დემნა შენგელაია. ამ საქმეში მას ძალზე უშლის ხელს სიმბოლისტური ტრადიციები. საბჭოთა მწერლის მოვალეობაა ამ ტრადიციების აღმოფხვრა. უკანასკნელი წლების განმავლობაში თანამგზავრობას ცდილობენ მთელი რიგი თვალსაჩინო მწერლები. ს. შანშიაშვილი ცდილობს თანამგზავრობის გზით სვლას, მაგრამ ვერ იჩენს სათანადო პოლიტიკურ სიმახვილეს და წარსულის დაძლევის ენერგიულ ლონისძიებებს სათანადოდ ვერ ანაღდებს.

ლ. ქიაჩელი დღემდე შუა გზას ვერ გასცილებია. არ. ჭუმბაძე სათანადო მასალის სრულ დაუფლებას ვერ ახერხებს. თანამგზავრული მწერლობის წარმომადგენლები სულიაშვილი, მეტრეველი, გორგაძე, ცეცხლაძე — ცდილობენ საბჭოთა მწერლობის განმტკიცებაში სათანადო მონაწილეობის მიღებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა სხვადასხვა ჯგუფებმა ბევრი ცვლილება განიცადა ამ ათი წლის განმავლობაში.

აუცილებელი იყო დაშლა და გადაჯგუფება. ეს ასეც მოხდა. სულ უკანასკნელ ხანებში დაიშალა ინგოროყვა-გამსახურდიას მეთაურობით არსებული რეაქციონური „აკადემიურ მწერალთა კავშირი", ზოგიერთი ამ ჯგუფებთაგან დღემდე განაგრძობს ფიქტიურ არსებობას მექანიკური გაერთიანების საშუალებით. მაგ., „ცისფერ ყანწელთა" ჯგუფი ოფიციალურად კიდევ არსებობს, ფაქტიურად კი მასში მთლიანობას ვერ ვიპოვით. ამ ჯგუფის ახალგაზრდა ნაწილი სათანადო ნაყოფიერებით თანამგზავრულ გზას დაადგა. ამ მხრივ საყურადღებოა რაჟდენ გვეტაძის მუშაობა. დიდი სიძნელით, მაგრამ მაინც თანამგზავრობას მიყვება ვალერიან გაფრინდაშვილი. ტიციან ტაბიძემ განვლო აქტიური რეაქციონერობის გზა („ილაილი" და სხვ.), ის განიცდიდა დიდ მერყეობას, რაც დღემდე აღმოფხვრილი არაა. საბჭოთა მწერლობაში მას აქვს რამდენიმე თანამგზავრული ნაწარმოების ნიმუში. ნ. მიწიშვილი „ცისფერყანწელ" მწერალთა შორის დეკლარატიულ-რევოლუციონერობიდან და „სმენავეხოველობიდან" გადავიდა თანამგზავრობაზე, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გასცილდა თანამგზავრობის მემარჯვენე ფრთას. მიწიშვილმა წამოაყენა შემოქმედების გაორების თეორია. ეს თეორია თავის დროზედაც მავნე იყო და დღესაც მავნეა. ნ. მიწიშვილის უკანასკნელი ხანების შემოქმედებაში მოცემულია საწყისები თანამგზავრულ შემოქმედებად განვითარებისათვის. ამისათვის კი აუცილებელია მწერალმა დასძლიოს წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტური ფილოსოფია. გრიგოლ რობაქიძე, მიუხედავად საბჭოთა საზოგადოებრივი პოზიციებისა, რამდენიმე შემოქმედებითი ცდისა (პიესა „უდეგა", „ნარკვევები" და სხვ.), დარჩა ორტოდოქსალურ-ბურჟუაზიულ მწერლად. ზოგი „ყანწელი" სეზონობით იგონებს მწერლობას (ვ. იაშვილი). ასეთი სხვადასხვა გზისა, „ცისფერყანწელთა" შემადგენლობა. გარდა ამისა, რევოლუციის ათი წლის თავზე მათ ვერ შეუგნიათ, რომ „ცისფერყანწელთა" სახელწოდება, ეს თავადაზნაურული დარდიმანდობის დროშა სამარცხვინოა.

საბჭოთა მწერლობაში ამ ხნის განმავლობაში ვხვდებოდით მთელ რიგ მახინჯ მოვლენებს. უმთავრესი მათ შორის თანამგზავრობის გაყალბებაა, მისი იდეურობის და ორგანიულობის მიტმასნებად, სადღეგრძელოებად გადაქცევა. ეს მოვლენა დღემდე აღმოფხვრილი არ არის. კლასიური ბრძოლის გამწვავებას პროცესში ზოგიერთი თანამგზავრული ფენები რეაქციონური მწერლობისაკენ იხრებიან. ჯგუფი „არიფიონი" ამ დებულების დამახასიათებელია. ამ ჯგუფში შევიდენ თანამგზავრული მწერლებიც, რომელნიც მემარჯვენეების გავლენის ქვეშ მოექცენ. „არიფიონის" იდეოლოგ-მეთაურები იყვნენ მიხ. ჯავახიშვილი და გ. ქიქოძე. ეს უკანასკნელი ფეოდალურ-რეაქციონურ პლატფორმას აყალიბებდა. მიხ. ჯავახიშვილი კი კულაკური ცილისწამებით თავს ესხმოდა საბჭოთა სინამდვილეს. (მოთხრობა „დამპატიჟე"). ჯავახიშვილი, როგორც მწერალი თითქმის საბჭოთა სინამდვილეში შეიქნა, მიუხედავად ამისა, ის ბურჟუაზიული, მეშჩანური წრეების მწერალი გახდა. „კვაჭი კვაჭანტირაძე" — ზერელე, ბულვარული რომანია. „ჯაყოს ხიზნები"-ს დადებითი და თანამგზავრული ტენდენცია იმაში გამოიხატება, რომ ამ ნაწარმოებში ქართველი აზნაურული ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმპოტენტობა, უნიათობა და რეაქციონური უნებისყოფობა მწერლის მიერ ნაჩვენებია დამაჯერებლად და ყოველმხრივ. მეორე ხაზით კულაკური იდე-

ოლოგია „ჯაყოს ხიზნებშიაც“ ენერგიულად სჩქეფს. მ. ჯავახიშვილი საბჭოთა მწერლების მოწინააღმდეგე გზას მიყვებოდა და მიყვება.

რეაქციონური და გამემარჯვენებული თანამგზავრობის საპასუხოდ იზრდება და ძლიერდება თანამგზავრული მწერლობა, მისი საუკეთესო წარმომადგენლები მოკავშირენი ხდებიან. ამ ათი წლის განმავლობაში ქართულმა მწერლობამ იცის ისეთი მაგალითიც, რომ რევოლუციამდე გამომჟღავნებული, თვალსაჩინო არაპროლეტარული მწერალი სავსებით და ორგანიულად გადამუშავდა და გახდა პროლეტარული მწერალი. ეს არის გიორგი ქუჩიშვილი, რომელიც დღეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რიგებშია. მუშათა და გლეხთა მასისათვის პოპულარული, აქტიური შემოქმედი ქუჩიშვილი ამ ათი წლის განმავლობაში დაუღალავად მუშაობს რევოლუციის სასარგებლოდ, რითაც სავსებით დაიმსახურა პროლეტარული მწერლის სახელი.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე ჯამს ვუკეთებთ მწერლობის მუშაობას, განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ პროლეტარულ მწერლობაზე, როგორც ახალი მწერლობის ძირითად და უმთავრეს მოვლენაზე.

პროლეტარული მწერლობა ეს რევოლუციაა მწერლობაში. ლიტერატურის ფრონტზე ეს არის ძირითადი და მთავარი მიღწევა. მუშათა კლასი, ხაზს უსვამს რა მწერლობის კლასიურ დანიშნულებას, ჰქმნის საკუთარ მწერლობას. ასეთი მწერლის შექმნა შესაძლებელი ხდება ხელისუფლების აღების შემდეგ. პროლეტარულ მწერლობის წინამორბედნი მუშაობდენ რევოლუციამდე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მუშაობა დაიწყეს ცალკეულმა პროლეტარულმა მწერლებმაც (ეული, ზომლეთელი, ვაკელი; მუშა-მწერლები: ნავთლუღელი, ხეჩუაშვილი, შინატეხელი და სხვ.). პროლეტარულ მწერალთა ჯგუფები გარკვეული პოლიტიკური პროგრამით და მტკიცე კლასიური ხაზით მწერლობის ასპარეზზე გამოვიდენ 1921 წლის შემდეგ. ს. ეული, ნ. ზომლეთელი პ. სამსონიძე, ი. ვაკელი, ს. თოდრია, ი. ლისაშვილი და სხვ. გამოვიდენ რევოლუციის პირველ წლებში. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია დაარსდა 1921 წელს. პროლეტარულმა მწერლებმა დაარღვიეს ქართული მწერლობის რეაქციონური მთლიანობა. ისინი იყვნენ რევოლუციის, კლასიური ბრძოლის, სამოქალაქო ომების, მუშისა და შრომის აღფრთოვანებული მომღერლები. ჟურნალი „ქურა“ და შემდეგ გაზეთი „ორიონი“, პროლეტარულ მწერალთა პირველი ჯგუფის მებრძოლი ორგანოები იყო. ამ დროს უმთავრესად პროლეტარული პოეზია იყო ძლიერი. რევოლუციის რომანტიკა, კოსმიური სწრაფვა, ბარიკადებისაკენ მოწოდება, მუშისა და შრომის დიდება — აი რით ხასიათდება ეულის, სამსონიძისა, ვაკელის, ნ. ზომლეთელის, ლისაშვილის და სხვ. პირველი პერიოდის პოეზია. პროლეტარული მწერლობის საფუძვლის ჩაყრა იყო დიდი დადებითი მოვლენა მწერლობის სინამდვილეში. ამ ჯგუფის შემოქმედებას თან ახლდა მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარეებიც. მთავარი მათგანია ძველი მწერლობის ფორმის უკრიტიკოდ და ბრმად გადმოღება, განყენებულობა, რევოლუციაზე ზოგადი სიმღერა, სქემატიურობა და სხვა. ბრძოლის პოეტებმა, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, გზა გაუკვლიეს პროლეტარული მწერლობის შემდეგ ჯგუფებს. 23-25 წლებში პროლეტარულ მწერლობის რიგებს ემატება კომკავშირული ახალგაზრდობა, უმთავრესად ამ დროს გამოვიდენ: ალ. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე,

ე. პოლუმარდვინოვი და სხვ. პროლეტმწერლობის ახალგაზრდობამ კონკრეტულ და მწვავე საკითხებს დაუახლოვა პროლეტარული მწერლობა. პოეტი მაშაშვილი წინააღმდეგ სხვადასხვა პლანეტაზე რევოლუციის გადამტანი პოეტებისა ითხოვდა: „მოგვეცით მიწა და ცოცხალი ადამიანი". მეორე მოწვევის პროლეტარული მწერლები შეეცადენ მოეცათ რევოლუციის ყოფა-ცხოვრებაში შეჭრის შედეგები. ცოცხალი, კლასიური ადამიანის მოცემა მათი შემოქმედების ქვაკუთხედად გადაიქცა. აქ საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ ეჩვენებინათ მებრძოლის, მუშის იდეალური მხარეები, არამედ მისი სუსტი მხარეებიც. საჭიროა სინამდვილის გარდასახვა მთელი თავისი მრავალმხრივობით. წინააღმდეგობებით. ამ გზით პროლეტარული მწერლობა შესძლებს სინამდვილის არა მარტო ასახვას, არამედ მასზე ზემოქმედებასაც, ეს კი ხელს შეუწყობს სოციალისტურ მშენებლობას და ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას. ამ გზით პროლეტარული მწერლობა დაიფლობს დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდს, რაც ერთადერთი მთავარი მეთოდია პროლეტ-მწერლობისათვის. ამ პრინციპების მიხედვით მუშაობდა პროლეტარულ მწერალთა მეორე მოწვევის ჯგუფი „პროლემაფი" (პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი), რომელიც გამოვიდა 1925 წელს. „პროლემაფმა" საფუძველი ჩაუყარა ქართულ ნაპოსტოველობას. დაიწყო სასტიკი ბრძოლა რეაქც. მწერლობასთან და დაუპირდაპირდა პირველი მოწვევის პროლეტარული მწერლობის უარყოფით ტენდენციებს. მალე პროლეტარულ მწერალთა ეს ჯგუფები ისევ გაერთიანდენ პროლეტმწერალთა ასოციაციაში. უკანასკნელ წლებში პროლეტარულ მწერლობას შეემატა კიდევ ახალგაზრდა ძალები: ფრ. ნაროუშვილი, ს. წვერავა, კ. ბობოხიძე, გ. კაჭახიძე, ბ. ჩხეიძე, პ. ჩხიკვაძე. ირ. აბაშიძე, მ. ჩიქოვანი. მუშა-მწერლები: ხეჩუაშვილი, ნავთლუღელი, შინატეხილი, ნ. ასლამაზაშვილი და სხვა. ნაყოფიერად მუშაობენ; მაგრამ მათი ძირითადი ნაკლი მდგომარეობს მასში, რომ ვერ დააღწიეს თავი განყენებულობას, ზოგადობას, კონკრეტული საწარმოო მასალის უქონლობას და ხელოსნურ ტენდენციებს. გადახალისების და წინსვლის გზას ადგიან პირველი თაობის პროლეტარული მწერლები. ს. ეულის შემოქმედების მხატვრული მხარე ძალზე მძიმე ნაბიჯით მიდის წინ, მაგრამ, იდეურ სისავსესთან ერთად კონკრეტულობა მის შემოქმედებაში უკვე მეტავნდება. დღეს უკვე პროლეტარულ მწერლობას შეუძლია დაასახელოს მთელი რიგი თვალსაჩინო ნაწარმოებებისა და გამძლავრებული პროლეტარული მწერლების ფიგურებისა. ალ. მაშაშვილი ურყევად დარჩა და გაიზარდა ბრძოლის პოეტად. მისი მებრძოლი ხმა კონკრეტულია, საგრძნობრივია, რაც ფრიად დადებითი მოვლენაა. მაშაშვილის პოემა „მე და ბარათაშვილი" პროლეტარული პოეზიის თვალსაჩინო განძია. აქ შეეჯახენ ერთმანეთს ძველი საქართველოს კულტურა და ახალი საქართველო. პოეტმა ბოლშევიკური სიმახვილით გვიჩვენა ახალი საქართველოს დაუძლეველი ბრწყინვალება. კ. ლორთქიფანიძემ კონკრეტული, კლასიურად მახვილი ლირიკის სანიმუშო მაგალითები მოგვცა. პოეტმა კ. ლორთქიფანიძემ არა ნაკლები ნაყოფიერებით დაიწყო მუშაობა მხატვრული პროზის დარგში. რომანი „ხავსი"-ს, მოთხრობა „პირველი დედა"-ს შემდეგ მან მოგვცა შესანიშნავი, მხატვრულად და იდეოლოგიურად მახვილი ნარკვევი „ახალი გლეხები". ასეთივე მრავალმხრივობა გამოიჩინა კ. კალაძემ, რომელმაც პოეზიის დარგში რამდენადაც ფორმალურად დამუშავებული და საინტერესო ნაწარმოებნი მოგვცა, ისინი იმდენად იდეოლოგიურად უცხო და მიუღებელი იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. კალაძემ დიდ ნაყოფიერებას იჩენს დრამატურგიის დარგში. ფაქტიურად მისი დრამებით განუმტკიცდა საფუძველი პროლეტარულ დრამატურგიას („როგორ", „ხატიჯე" და სხვ.). ცხადია, კ. კალაძის შემოქმედების ამ სფეროში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის. მას ჯერ კიდევ დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდი სავსებით მომარჯვებული არა აქვს. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ მწერალი ამ ხაზით სერიოზულ მუშაობას აწარმოებს. პროლეტარულ მწერლობაში მხატვრული პროზა ახალგაზრდა დარგია. ძირითადად პროზის დარგში მუშაობს ე. პოლუმორდვინოვი. „ორი მზე", „ხანძარი", „რკინის ძმები" და სხვ. — მხატვრული პროზის სუსტ ფრონტს ამაგრებენ. პოლუმორდვინოვის შემოქმედების დადებითი მხარეებია: თხრობის სიდინჯე, ქართული ენის ცოდნა და სხვ. უარყოფითი: პრიმიტიული კომპოზიცია, შედარებითი ზერელობა (გმირების მოხაზვაში) და სხვ. უკანასკნელ წელს პროზის დარგს შეემატა პ. ჩხიკვაძის რომანი „სართულები", ეს რომანი საინტერესოა, როგორც პირველი სერიოზული ცდა წარმოების ცხოვრების მოცემისა. საყურადღებოა ბ. ჩხეიძის მოთხრობა „დღეები" — ოსეთის ბოლშევიკური აჯანყებიდან აღებული. პროლეტარული პოეზიის სიმტკიცის შემმატებელია ფრ. ნაროუშვილის ეპიური პოემები. პროლეტარული მწერლობისათვის საგრძნობი მნიშვნელობის მქონეა პ. საყვარელიძის და ს. თალაკვაძის, ნახევრად მემუარული ხასიათის, რევოლუციის წარსულის მასალაზე მუშაობა. პ. საყვარელიძის „დაფანტული ფურცლები" ცდაა ამ წარსულის მხატვრული გარდასახვისა, ს. თალაკვაძის ნამუშევარი შინაარსის მხრივ დიდი მოცულობისაა, მაგრამ უფრო მეტად ნედლი მასალაა. ცხადია, ამ მასალას აქვს თავის დადებითი მნიშვნელობა.

ამრიგად, პროლეტარულ მწერლობას გასაბჭოების ათი წლის თავზე აქვს თვალსაჩინო მიღწევები პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, ნარკვევების და სხვ. დარგში. მასალის მრავალმხრივობა და იდეური ზრდა სწარმოებს მხატვრულ-ფორმალურ ზრდასთან ერთად. დღეს პროლეტარული მწერლობა მთელი ფრონტია, რომელიც დაპირდაპირებულია რეაქციონურ მწერლობასთან, როგორც იდეურად, ისე მხატვრულად, მაგრამ ეს გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ პროლეტარულმა მწერლობამ უკვე ჰეგემონიას მიაღწია და აღარავითარი ნაკლი აღარ აქვს. პროლეტარულმა მწერლობამ ზრდის ბევრი ტკივილი განიცადა და განიცდის კიდეც. ერთ დროს თვალსაჩინო იყო მემარჯვენე გადახრები. კ. კალაძე მოექცა ნაციონალისტურ გავლენაში. მისი ლექსების მთელი სერია მეავე ნაციონალიზმის ნიმუშებს წარმოადგენს. გადახრებისაგან არ იყო თავისუფალი არც ა. მაშაშვილი. მაგრამ პოეტმა ენერგიული მუშაობით გამოასწორა თავისი შეცდომები. ასევე ითქმის კ. ლორთქიფანიძეზედაც. საგრძნობი იყო და არის მეშჩანური გადახრა ე. პოლუმორდვინოვის შემოქმედებაში. ნაციონალისტური, ობივატელური განწყობილების ქრონიკული ავადმყოფობა „შეემთხვა" ი. ვაკელს. მისი გადახრები ისე შორს წავიდა, რომ დღეს შეიძლება ლაპარაკი აშკარა გადაგვარებაზე. პროლეტარული მწერლის სახის დაკარგვაზე. ი. ვაკელი ჩარჩა წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის ტყვეობაში.

პროლეტარული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები გადახრებს სძლევენ და ბოლშევიკურ შეურიგებლობას ორგანიულად ითვისებენ.

პროლეტარული მწერლობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია რეკონსტრუქციის პერიოდის ტემპებს. ახალი მასალა და გაზრდილი მკითხველის მოთხოვნილებანი

ვერ გახდა ჯერ კიდევ პროლეტარული მწერლობისათვის დასაძლევი. საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება ამ უმნიშვნელოვანეს ნაკლთა შესავსებად.

ამ მიზნით საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ატარებს დამკვრელ მუშათა გაწვევს მწერლობაში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია წინასწარ ჯამის გაკეთება ამ გაწვევისათვის. ეს ღონისძიება ძირითად ცვლილებებს შეიტანს პროლეტარულ მწერლობაში, დაახლოვებს მასას, და დამკვრელი მუშები თვით ჩაებმიან მის რიგებში. ეს არის პროლეტმწერლობის ბოლშევიზაციის ძირითადი პირობა.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია აწარმოებს ბრძოლას ორ ფრონტზე; მემარჯვენე საფრთხის, როგორც უმთავრესი საშიშროების წინააღმდეგ და „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ. სასტიკი ბრძოლა სწარმოებს კაპიტულიანტებთან და ლიკვიდატორებთან. ნაპოსტოველობა და მთლიანად პროლეტარული მწერლობა ბრძოლაში და შემოქმედებით მუშაობაში მტკიცდება.

უმთავრეს ხაზებში ასეთია ლიტერატურული ფრონტის მდგომარეობა, საბჭოთა საქართველოს ათი წლის თავზე.

ბენიტო-ბუაჩიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა ლიტერატურის ფრონტზე

ვალერიან ლუარსამიძე

სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტის შენებას ვამთავრებთ

პროლეტარული რევოლუცია თავისი ისტორიული განვითარების ახალ ფაზისში შევიდა. საბჭოების ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია წარმატებით მიმდინარეობს, საბჭოთა სოფელი მეურნეობის მოწინავე ფორმაზე გადადის, წვრილი მესაკუთრის ინერტული, ინდივიდუალისტური ფსიქოლოგია გატეხილია. ხუთწლედის ცენტრალური საკითხებია: სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაციის პროცესები, ბოლშევიკურ ხუთწლიან გეგმას სახალხო მეურნეობის სოციალისტურ ფორმათა, სოციალისტურ ურთიერთობათა განმტკიცებისაკენ მივყავართ. სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია წმინდა ტექნიკური რეკონსტრუქცია როდია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია „უბრალო“ სამეურნეო საქმიანობა კი არაა, როგორც ფილისტერი ეკონომისტები ფიქრობენ, არამედ უდიდესი სოციალური გარდატეხაა, საწარმოო ურთიერთობათა ძირითადი რეკონსტრუქციაა. რეკონსტრუქციის პერიოდის ძირითადი თვისება კი „სოციალიზმის ყველა ფრონტზე შეტევის ორგანიზაციაა“ (სტალინი), რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას და საბჭოთა დედამიწის გეოგრაფიას რადიკალურად სცვლის.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელში ვიმყოფებით. პარტიამ იდეურად და ორგანიზაციულად დაარბია წვრილბურჟუაზიული ლიბერალები და რადიკალები, რომელნიც იდეურ საცოხნს მენშევიკური არსენალიდან იღებდენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბრძოლა ორ ფრონტზე შევანელოთ, პირიქით, მიმდინარე გამწვავებული კლასიური ბრძოლა ორ ფრონტზე ბრძოლის გამახვილებას მოითხოვს, რის გარეშეც ხუთწლედის მესამე წელს სოციალისტური ეკონომიკის ფუნდამენტის შენების დამთავრებას ვერ შევძლებთ. მართალია, „საკითხი „ვინ ვის“, საკითხი იმის შესახებ — სოციალიზმი გაიმარჯვებს კაპიტალისტურ ელემენტებზე მრეწველობაში, თუ ეს ელემენტები გაიმარჯვებენ სოციალიზმზე, — საერთოდ უკვე მრეწველობის სოციალისტური ფორმების სასარგებლოდ გადაწყდა, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყდა საბოლოოდ და სამუდამოდ*. მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალზე მავნებელია, განსაკუთრებით მიმდინარე პერიოდში, მივეცეთ „მანილოვის ოცნებას" მომავალი სოციალისტური ედემების შესახებ, დაუშვებელია თვითდინების ოპორტუნისტულ თეორიაზე დაყრდნობა; სოციალიზმი არ მოდის წყნარად და ნაზად, როგორც გაზაფხულის ფირუზი განთიადი! მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებისთვის გმირული შრომა და ბრძოლა, კომუნისტური შაბათობების ღირსეული მემკვიდრეების დამკვრელი ბრიგადების — შრომითი ენტუზიაზმი ქმნის სოციალიზმის მუსიკას, მხოლოდ მილიონთა ბოლშევიკური თავდადება და ჩვენი სამეურნეო მშენებლობის საკონტროლო ციფრები ამთავრებენ სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის შენებას ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს.

ჩვენი ისტორიული განვითარების დღეანდელ ეტაპში კლასიური ბრძოლა ნაირ ფორმაში ვლინდება: სოციალიზმის ძლევამოსილი შეტევა ყველა ფრონტზე და ამით გამოწვეული კულაკური ტერორი, მავნებლობა და ინტერვენციონისტური ორგანიზაციების აღმოჩენა, ბურჟუაზიის „სწავლული" აგენტების მიერ წამოწყებული იდეოლოგიური კონტრრევოლუცია და სხ. ვიმეორებთ, მოცემულ ეტაპში კლასიური ბრძოლის გამწვავება გამოიხატება მავნებლობის აქტივიზაციაში, კულაკურ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის რეაქციონურ განწყობილებათა გაძლიერებაში და მისი წარმომადგენლების აქტიურ ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის წინააღმდეგ: ყოფ. ესერ კონდრატიევის და ხალხოსანი ჩაიანოვის ესერულ-კულაკური ჯგუფი — „მშრომელი გლეხობის პარტია", „სამრეწველო პარტია" — რამზინი, ლარიჩევი., რ. ს. დ. მ. პ. (მენშევიკების) ცენტრალური კომიტეტის, ე. წ. „საკავშირო ბიუროს" პროცესი და სხ.

კლასიური ბრძოლის რუკა შეიცვალა, მოხდა კლასიური გადაჯგუფებანი, საკითხი „ვინ ვის" ჩვენ სასარგებლოდ წყდება პროლეტარული პრაქტიკის ყველა დარგში; უკვე შევედით სოციალიზმის ახალი პრაქტიკის პერიოდში. „ახალი პრაქტიკა, კი გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პრობლემებისადმი ახალ მიდგომას წარმოშობს. ახალი სახით ისმება ახლა საკითხი, ახალი ეკონომპოლიტიკის, კლასების, მშენებლობის ტემპების, მუშათა კლასის და გლეხობის დაკავშირების, პარტიის პოლიტიკის შესახებ. რათა პრაქტიკას არ ჩამოვრჩეთ, ახლავე უნდა შევუდგეთ ყველა ამ პრობლემის ახალი ვითარების თვალსაზრისით დამუშავებას**.

---

* სტალინი — „ცეკას ანგარიში საკ. კ. პ. (ბ) მე-16 ყრილობაზე", გვ. 31.

** სტალინი — აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტთა კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვიდან (კურსივი ჩვენია — ვ. ლ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული მწერლობა — პროლეტარული რევოლუციონიზმია

„აგრიგალებულ
ბრომის დაზგაზე
დამკვრელ სტრიკონებს
ვაწყობთ რკინებად:
რომ სხვა იარაღთ შორის დამზადდეს
ბოლშევიკური განწყობილება!“

ა. მაშაშვილი.

ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში პროლეტმწერლობამ ნაწილობრივ, უკვე, ლიტერატურული ამინდი შექმნა; მასიური მკითხველი მხოლოდ პროლეტარულ მწერლობას ყავს, მუშათა მასების მხატვრულ-ლიტერატურული ინტერესი პროლეტარული ლიტერატურისადმი შეუჩერებლად იზრდება. პროლეტარული მწერლობა ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდის ინტერესების ძირითად რგოლში, შემოქმედებით, უკვე იჭრება, მოგვეპოება ისეთი ლიტფაქტები, სადაც მხატვრულად ათვისებულია რევოლუციონური დღეანდლობის ძირითადი სოციალურ-პოლიტიკურ-სამეურნეო პროცესები * და გახსნილია „ბურჟუაზიული საზოგადოების ანატომია“, პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის რევოლუციონური ბრძოლის დიდი გზა.** მაგრამ აღნიშნული შემოქმედებითი მიღწევები არ ნიშნავს, რომ პროლეტარული მწერლობა, საერთოდ, არაა ჩამორჩენილი რეკონსტრუქციის პერიოდის ტემპებს; პროლეტარული მწერლობა ჯერჯერობით ვერ სჭრის პრობლემებს, ვერ ამუშავებს თემატიურ მასალას „ახალი ვითარების თვალსაზრისით“ (სტალინი).

მართალია, პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებითი აქტივი უკვე უკეთესი მწარმოებელია, ვიდრე არაპროლეტარული მწერლები, მაგრამ ლიტერატურული კვალიფიკაციის მომენტი პროლეტარული მწერლობის იდეური ჰეგემონიის საკითხს მთლიანად არა სჭრის. მთავარია ი დ ე უ რ ო ბ ა, ურომლისოდაც მწერლობა ვერ დაშორდება „მოვლენების ზედაპირს“. მაგრამ „ნაწარმოებისა-

---

* მაგ. ს. ეულის — „ინტერვიუ“, „დელეგატი მამა“ და სხ., ალიო მაშაშვილის — „მე და ბარათაშვილი“, პიესა „განგაში“ და სხ., კ. კალაძე: პიესა — „ხატიჯე“, ელ. პოლუმორდვინოვი: „ორი მზე“, „შაშშილარ“, პანტელეიმონ ჩხიკვაძე: საწარმოო რომანი — „სართულები“ და მოთხრობა — „ამხანაგი ბუთხუზი“, კ. ლორთქიფანიძე: ნარკვევი — „ახალი გლეხები“, ფრ. ნაროუშვილი: პოეტური ეპოსი — „ორი მისამართი“ და სხ.; გ. კაპახიძის, ირ. აბაშიძის და კ. ბობოხიძის უახლესი პოეტური ფაქტები („ნავთსადენი“, „ტემპები“. „ორთქლმავალი № 4411“ და სხ.), გ. ბუხნიკაშვილის მცირე ფორმის პიესები, ს. წვერავას — „მეედლების უბანში“, მ. ჩიქოვანის — „ანეული“ და სხ.

** ს. თალაკვაძის ისტორიულ-რევოლუციონური რომანები: „ბრძოლის დიდ გზაზე“, „ცხრაასხუთი“, პ. მ. საყვარელიძე: „დაფანტული ფურცლები“. ელ. პოლუმორდვინოვი: „რკინის ძმები“, პ. სამსონიძე: „პირველი ქარტეხილი“. ბ. ჩხეიძე: „დღეები“, ნ. ზომლეთელი: „უგულო ლამეები“ და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის იდეური შინაარსის მიცემა არც ისე ადვილია, როგორც, შეიძლება, ზოგიერთს ჰგონია. იდეა არაა ისეთი რამ, რაც სინამდვილისგან დამოუკიდებლად არსებობს (იდეა ადამიანის თავში გადამტყდარი მატერიალურია — ვ. ლ.), ყოველი ადამიანის იდეური საგზალი პატარაა ან დიდი, იმის მიხედვით, თუ რა ურთიერთობაშია ეს ადამიანი სინამდვილესთან. და ის, ვინც სინამდვილესთან ისეთ ურთიერთობაშია, რომ თავის „მე"-ს იქით ვეღარას ხედავს, აუცილებლად და სავსებით ღატაკდება იდეური მხრივ" (პლეხანოვი); იდეურობის მომენტი კი საზღვრავს მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ნაწარმოებს, თუმცა ყ ო ვ ე ლ ი იდეა მხატვრულ-ლიტერატურულ ნაწარმოებს საფუძვლად ვერ დაედება.

მოცემულ ეტაპში, პროლეტარული მწერლობა ცდილობს უშუალოდ გასცეს შემოქმედებითი პასუხი დღეანდლობის კონკრეტულ რევოლუციონურ ამოცანებს; დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი, სამრეწველო-საფინანსო გეგმა, ბრძოლა სოციალისტური ყოფის დადგინებისათვის, ბოლშევიკური პარტიულობისათვის შემოქმედებაში და სხ., ამ საკითხებზე მუშაობს პროლეტარული მწერლობა და იბრძვის დიალექტიურ ორგანიზაციაში მოიყვანოს თანდროულობის თემატიური მასალა. ვითარდება პროლეტარული ბელეტრისტიკა, მტკიცდება პოლიტიკური პოეზია, თანდათანობით იპყრობს სცენას პროლეტარული დრამატურგია, მასიური მკითხველი გაუჩნდა ნარკვევს და ისტორიულ-რევოლუციონურ მემუარს, ლიტერატურის სადარაჯოზე დგას მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკა, თეორია და მეთოდოლოგია. წარმატებით მიმდინარეობს დამკვრელი მუშების გაწვევა პროლეტარულ მწერლობაში, იზრდება და მტკიცდება საწარმოს ლიტერატურული წრე, წარმოებს პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაცია,* ბოლშევიკური პარტიულობის იდეისათვის ბრძოლა ლიტერატურის ფრონტზე.

რეკონსტრუქციის პერიოდში გადასვლა, კულტურის ფრონტზე იდეოლოგიური ბრძოლით აღინიშნა. დისკუსიები ჩატარდა ფილოსოფიის, თეორიული ეკონომიის, ისტორიის და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებითი დისკუსიის ცენტრალური საკითხი — პროლეტარული მწერლობის მხატვრული შემოქმედებითი მეთოდია. პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობა უკვე ღრმად სვამს შემოქმედებითი მეთოდის საკითხს და საბჭოთა ლიტერატურის დანარჩენი რაზმების მიმართ წამყვან როლს ასრულებს. მიუხედავად მოცემულ წარმატებისა პროლეტარულ ლიტერატურულ მოძრაობას ჯერ კიდევ საგრძნობი ნაკლი და ჩამორჩენილობა ახასიათებს, რის დაუძლეველად შეუძლებელია პროლეტმწერლობის მიერ, ისტორიულად მინიმალურ დროში, იდეურ-მხატვრული ჰეგემონიის დაპყრობა. პროლეტარული მწერლები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ფლობენ მარქსისტულ-ლენინურ შემოქმედებითს მეთოდს, ნაწილის მსოფლმხედველობის დონე საჭირო სიმაღლეზე არა დგას; პროლეტარულ მსოფლმხედველობაზეა დამოკიდებული ჩვენი ეპოქის, რეკონსტრუქციის პერიოდის რთული თემატიკის სათანადოდ და სისწორით დაძლევა. პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის ზრდის, განვითარების და წინსვლის სიძნელეების დაძლევა შესაძლებელია ორ ფრონტზე ბრძოლის გამახვილებით: მემარჯ-

* „ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი, რ ო გ ო რ ც პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა..." (ლ ე ნ ი ნ ი).

ვენე საშიშროება პროლეტარულ მწერლობაში ნაირ ფორმაში ვლინდება — ვორონშჩინა, მისი გავლენა და რეციდივები, პერევერზევშჩინა, ნაციონალიზმი და მეშჩანურ-ობივატელური განსაზღვრულობა; „მომარცხენე“ გადახვევები უმთავრესად ლეფოვშჩინით და პროლეტკულტოვშჩინით ისაზღვრება.

პროლეტარული მწერალი, პროლეტარული რევოლუციონერი უნდა იყოს, თავისი კლასის რევოლუციონურ პრაქტიკაში შეზრდილი და არა ნეიტრალური მჭვრეტელი და მიმდინარე პროცესების გულგრილი რეგისტრატორი, როგორც ეს ზოგ პროლეტარულ მწერალს სჩვევია. პროლეტარული მწერლობა საკუთარი კლასის ავანგარდს უნდა დაეწიოს და გაუსწორდეს, პროლეტარული ლიტერატურა მუშათა კლასის დამკვრელი რაზმი უნდა შეიქნას, სოციალისტური რეკონსტრუქციის მხატვრულ სიტყვად, ბოლშევიკურ-პარტიულ მწერლობად. პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაცია და რიგების გამუშურება ჩვენი გენერალური ლოზუნგია, დამკვრელ მუშათა ბირთვის ზრდა — ამოცანათა ამოცანაა; ამ მიზნითაა წამოწყებული დამკვრელი მუშების გაწვევა პროლეტარულ ლიტერატურაში. ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა, როდესაც ჟურ. „ახალგაზრდა ბოლშევიკი“ (№ 9)-დან, ინიციალებს მოფარებული რეცენზენტი — ე. ას — ვი უტიფრად აცხადებს, რომ თურმე ნუ იტყვით „...მ უ შ ე ბ შ ი ც ა რ ი ს მხატვრული აზროვნების უნარი“; გამოჭერილი მოსაზრება მუშათა კლასის შემოქმედებით უნარიანობაში შეეჭვების განწყობილებაა, მეშარჯვენე ოპორტუნიზმის ერთერთი სახეობა. არა ნაკლებ მავნეა, მოცემულ მომენტში, „მუშათა მოყვარეობა“, გაწვევის საქმისადმი ურა-ოპტიმისტური დამოკიდებულება, მწერლობაში დამკვრელი მუშების გაწვევის საქმის გადაფასება.

შემოქმედებითი დისკუსიის ძირითადი საკითხია შემოქმედებითი მეთოდის და სალიტერატურო სტილის დადგინება. საერთოდ, სტილი საზოგადოებრივი ცხოვრების დამდგინებელი პრინციპია, სალიტერატურო სტილი კი იდეოლოგიურ და ფორმალურ ნიშნების დიალექტიური ერთიანობა, რაც ერთ ლიტერატურულ მოვლენას მეორისაგან თვისებრივად ასხვავებს. პროლეტარული მწერლობის შემოქმედებითი მეთოდი დიალექტიური მატერიალიზმია, ხოლო სტილი — პროლეტარული რეალიზმი; „პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რეალიზმი“ ლიტერატურული მოდის საკითხი როდია, როგორც ეს ფილისტერ „ლიტერატორებს“ გონიათ, არამედ გარკვეული საზოგადოებრივი კლასის მწყობრი მსოფლმხედველობის ერთერთი სახეობაა. ლიტერატურული სტილის შექმნის მთავარი პირობაა სწორი შემოქმედებითი მეთოდის გამომუშავება და მისი დაძლევა; ჩვენი შემოქმედებითი მეთოდი და სტილი დიალექტიურ მატერიალისტური მეთოდი და სტილია. ბევრი „ებრძვის“ ამ ორტოდოქსალურ მარსისტულ-ლენინურ დებულებას და ამჟღავნებს საკუთარ წვრილბურჟუაზიულ გონება-ჩლუნგობას — ე. წ. „ლიტფრონტი“-ს შემოქმედებითი დებულებების ადგილობრივი ვარიაციები. ელემენტარული მცოდნეობაა, რომ ფილოსოფიაში ორი ძირითადი მიმართულება, ორი მებრძოლი პარტიაა — მატერიალისტური და იდეალისტური; ხელოვნებაშიც ორი ძირითადი სტილი არსებობს: რეალიზმი და რომანტიზმი. ორივე სტილი შექმნილია პროლეტარიატის წინამორბედი საზოგადოებრივი კლასების მიერ — აქედან კულტურული მემკვიდრეობის პრობლემა. რასაკვირველია იმ კლასების მსოფლმხედველობა, რომელთაც რეალისტური და რომანტიული სტილები შექმნეს არაა დია-

ლექტიურ-მატერიალისტური და ამ სტილთაგან ერთერთის ხელაღებით და უკრიტიკოთ პროლეტარული მწერლობის სტილად განსაზღვრა, ეკლექტიზმია.

პროლეტარიატის მსოფლმხედველობა, საფუძველში, მატერიალისტურია, „მარქსიზმი-თანამედროვე მატერიალიზმია" (პლეხანოვი); პროლეტარული მწერლობის სტილის საფუძველი მხოლოდ ის სტილია, რაც ძირითადში შეხედულებათა მატერიალისტურ სისტემას ეთანხმება, ე. ი. რეალიზმი. მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის რეალისტ მწერლების უპირატესობას უსვამდენ ხაზს, მაგ. ფ. ენგელსი ურჩევდა ლასალს არ შეეწირა რეალისტური მომენტი იდეალისტურისათვის, შექსპირი შილერისათვის; კ. მარქსიც ასევე მიუთითებდა ლასალს რომ ის თავის დრამაში („ზიკინგენ") სწავლობს არა შექსპირისა, არამედ შილერისაგან; „კაპიტალი"ს მე-III ტომში მარქსი „ყოველგვარი პროფესიის რომანტიკის" მეთოდს სინამდვილის მისტიფიკაციის მეთოდად საზღვრავს. სინამდვილისაგან „ყველა და ყოველ გვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა" (ლენინი) — რეალიზმის მეთოდია, რომანტიზმის მეთოდი და სტილი — სინამდვილის მისტიფიკციაა, რომანტიული „შელამაზება", სინამდვილის მლიქვნელური გაკრიალება; ასეთები იყვნენ ყველა პროფესიის რომანტიკოსები*.

პლეხანოვი წერდა:

„უკვე საფრანგეთის პირველი რეალისტები ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ, რომ თავიდან მოეცილებიათ უმთავრესი ნაკლი რომანტიული ნაწარმოების: — მისი გმირების ნაძალადეობის და გამოგონილობის ხასიათი. ფლობერის რომანებში ნასახიც აღარაა ნაძალადეობის და გამოგონილობის (გარდა, შეიძლება „Salambo" და კიდევ „les conte"-სი) პირველი რეალისტებიც ილაშქრებენ „ბურჟუების" წინააღმდეგ, მაგრამ უკვე თავისებურად: ისინი აღარ იღებენ ბურჟუაზიული წრეების ზნეობრივად დახურდავებულ პირებს და არ გამოჰყავთ მათ დასაპირდაპირებლად არაჩვეულებრივი გმირები. ისინი ახლა ცდილობენ მხოლოდ მხატვრული სისწორით გამოიყვანონ ხოლმე ეს ბურჟუაზიული კაცუნები. ფლობერი თავის მოვალეობად სთვლიდა საზოგადოებრივ წრეს ისე ობიექტურად მისდგომოდა, როგორც ბუნებისმეტყველი უდგება ბუნებას... და რამდენადაც ეხერხებოდა ფლობერს ობიექტივობა, იმდენადმ ის ნაწერებში გამოყვანილი პირები „დოკუმენტის" მნიშვნელობას იღებენ. ამ „დოკუმენტის" შესწავლა აუცილებელია ყველასათვის, ვინც კი სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენების მეცნიერულად გამოკვლევას ეწევა. ობიექტივობა იყო უძლიერესი მხარე მისი მეთოდის. მიუხედავად ამისა, ფლობერი საზოგადოებრივი მოძრაობის დაფასებაში სუბიექტური რჩებოდა, მომხრე ბურჟუაზიულ საზოგადოებრივი ურთიერთობის.

ან:

„თავი დავანებოთ ამ რომანის („მალაროებში მომუშავენი" — ვ. ლ.) სუსტ მხარეებს, ნუ დავივიწყებთ მხოლოდ, რომ თუ ზოლამ, როგორც თვითონ ამბობდა, დაიწყო სოციალიზმისაკენ გადახრა, მისი ე. წ. ექსპერიმენტალური მეთოდი ბოლომდი დარჩა ნაკლებად გამოსადეგი დიადი

* გაეცანით ფადეევის წერილს — „Долой Шиллера!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი მოძრაობის მხატვრული შესწავლისა და გამოსახვისათვის. ეს მეთოდი მჭიდროდ იყო შეკავშირებული იმ მატერიალისტურ მსოფლმხედველობასთან, რასაც მარქსმა ბუნებისმეტყველური უწოდა. ამ მატერიალიზმს კი არა აქვს წარმოდგენილი, რომ საზოგადოებრივი ადამიანის საქმიანობა, მისწრაფება, გემოვნება და ჩვეულება მარტო ფიზიოლოგიით და პათალოგიით ვერ აიხსნება, და მთავარი ახსნა საზოგადოებრივ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ*.

პროლეტარული მწერლობის სტილი — პროლეტარული რეალიზმია, მხოლოდ პროლეტარული რეალიზმი იძლევა სინამდვილის (მის დიალექტიურ მოძრაობაში) ადეკვატურ გამოხატულებას. მაგრამ ცნება „პროლეტარული რეალიზმი" ჯერ კიდევ ალგებრაული ფორმულაა, რომელიც კონკრეტული, არითმეტიკული, პროლეტარული შინაარსით შევსებას საჭიროებს. რატომ? კლასიკოსები თავიანთი კლასიური განსაზღვრულობის გამო ვერ ახერხებდენ თანამიმდევრად მატერიალისტურად მოეცათ საგნები და მოვლენები, კლასიკოსები გულუბრყვილო მატერიალიზმის თვალსაზრისზე იდგენ, ამ პოზიციას კი ახასიათებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა როლის იგნორაცია; კლასიკოსების უმრავლესობას არ ესმოდა საზოგადოებრივი განვითარების დიალექტიკა. პროლეტარულმა მწერლობამ უნდა დასძლიოს ეს ნაკლი, კლასიკოსების რეალიზმის დონე მისთვის დამაკმაყოფილებელი არაა. იმისდამიხედვით, როგორც მარქსიზმი-თანამედროვე მატერიალიზმია და მატერიალისტური ფილოსოფიის უმაღლესი საფეხური, პროლეტარიატის ლიტერატურული სტილიც რეალისტური სტილის უმაღლესი, სრულყოფილი საფეხური იქნება, ე. ი. დიალექტიური მატერიალისტური სტილი.

წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ლიტერატუტული წარმომადგენლები

ბოჰემა, როგორც სოციალური ჯგუფი, დღევანდლამდე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ლიტერატურის ისტორიაში. ბოჰემა — ლიტერატურული ციგანშჩინაა თავისი საზოგადოებრივი დეკლასურობითა და „მოუწყობლობით". სოციალური ბუნებით ბოჰემა ერთის მხრივ ინტელიგენტური პროლეტარიატია და როგორც საზოგადოებრივი მოვლენა XIX — XX საუკუნეებთანაა დაკავშირებული: გაშლილმა კაპიტალიზმმა გააპროლეტარა, როგორც სოფლის, ისე ქალაქის, კერძოდ პროვინციალურ-ქალაქური წვრილი ბურჟუაზიის საგრძნობი ნაწილი და გადმოისროლა სამრეწველო ქალაქებში, უნივერსიტეტებში, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში და რამდენიმედ ოპოზიციური განწყობილება მისცა ბურჟუაზიულ საზოგადოების მიმართ. ბოჰემა უმთავრესად კაბაკის ბინადარია, სადაც „მოუწყობელნი" ენამახვილობენ, ლაზღანდარობენ მეძავ ქალებთან, სკანდალებს აწყობენ, რაც ხშირად მკვლელობით თავდება (მარლო მოჰკლეს ტავერნაში მეძავი ქალისათვის ჩხუბის დროს). ბოჰემის კლასიკური მხარე საფრანგეთია; ბოჰემა საფ-

* იხ. გ. ვ. პლეხანოვი — „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება", გვ. 35—36—39. ქართული გამოცემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანგეთში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში სათანადო დაღს ასვამს მხატვრულ მწერლობას; ფრანგული სიმბოლიზმი ბოჰემამ შობა. ისტორიულად სიმბოლიზმის სათავეებია კაბაკი — „ფრანცისკ 1", სენ-მიშელის ბულვარზე, სადაც სიმბოლიზმის პირველი პრაქტიკოსები იკრიბებოდენ. თუ ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში ბოჰემა, მიუხედავად იმისა, რომ არ იდგა პროლეტარიატის და სოციალიზმის თვალსაზრისზე, მაინც ნაწილობრივ ოპიზიციურად და ანარქისტულად იყო განწყობილი ბურჟუაზიისადმი, რითაც რამდენიმედ დადებით მოვლენას წარმოადგენდა, საბჭოთა სინამდვილეში ბოჰემა თანდათანობით რეაქციონურ მოვლენად ხდებოდა, ხრწნიდა ლიტერატურულ ატმოსფერას ინდივიდუალიზმით, თავისი სოციალური და მორალური უდისციპლინობით* (პოეტური „ბოსიაკიზმი", ესენინშჩინა, „ცისფერი ყანწები" და სხ.).

„ცისფერი ყანწები" ისტორიულად ლიტერატურული ბოჰემაა თავისი იდეურ-მორალური ფიზიონომიით. გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ს. ცირეკიძე, ნიკ. მიწიშვილი, ტ. ტაბიძე, შ. კარმელი; ლიტერატურული ბოჰემაა, დეკადენტების კოლექტივი, რომელსაც იდეოლოგიური „გამოურკვეველობა" და ორ ბანაკს შუა დგომა პერმანენტულად ახასიათებდა. ბოჰემა სიმბოლიზმის სათავეებია, სიმბოლიზმი ბოჰემის ევოლუცია და იდეოლოგიური გამორკვევაა. საქართველოს გასაბჭოებამდე „ცისფერი ყანწები"-ს „პოეტურ" პრაქტიკას გრ. რობაქიძე მკვეთრად ახასიათებს სენტიმენტალურ — ბულვარულ რომანში — „ფალესტრა":

> „ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი. „ინტერნაციონალში" იგი კიდეც გამოაცხადეს პოეტების ქალაქად. კიდევ მეტი: გაიძახოდენ: პოეზია მარტო ტფილისშიაო. პაოლო იაშვილი სწორედ ამ ხანებში თავს დაეცა ტფილისს, როგორც არტურ რემბო პარიზს. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა მან, რომ ტფილისის აღება ბოეჰმით და ლექსით უფრო ძნელია, ვიდრე პარიზის. ტიციან ტაბიძე ორპირის ჭაობში და მალარიაში ლაფორგის მთვარის სიყვითლეს ხედავდა და ამ ლექსებში მასავით უყეფდა ამ ყბად აღებულ მნათობს. მას ისიც ეგონა, რომ ორპირის ყანჩი ლოტრეამონის „მალდაროროვით" დაიწყებდა დიფირამბულ მონოლოგებს. გრ. რობაქიძეს ამდროს მხოლოდ ორი რამ აწვალებდა: აპოკალიპსი და დიონისი... ქვეყანა მართლაც იქცეოდა და მართლაც ტფილისი იყო ერთადერთი ქალაქი, რომელიც ამ ქცევას პოეტური მღერით ხვდებოდა". **

როგორც ჩანს, ქართული ჟირონდის დროს, როდესაც ცნობილი ავანტურისტის ვ. ჯუღელის დამსჯელი ექსპედიციები, „დემოკრატიული" მთავრობის პრეტორიანები საქართველოს აჯანყებულ მშრომელ გლეხობას არბევდენ, დემოკრატიულმა საქართველომ პოლიტიკური ორიენტაცია იმპერიალისტურ დასავლეთზე აიღო და ...„დემოკრატიული" მთავრობის „კლასიკოსი" ვ. ჯუღელი საქართველოს მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის დარბევის და აწიოკების

---

* იხ. ვ. მ. ფრიჩე — Статьи по западноевропейской литературе; Богема, изд. коммакадемии.

** იხ. „ქართული მწერლობა". № 4. 1928 წ. გრ. რობაქიძის რომანი — „ფალესტრა".

„ეპოპეიას“ წერდა („მძიმე ჯვარი“), „ყანწელები“ კი ბოჰემით ირთობდენ თავს... და იდეოლოგიურად მთლიანად გამოირკვენ ბურჟუაზიული, იმპერიალისტური საქართველოსათვის ბრძოლის პოზიციაზე დადგომით.

ქართული ჟირონდის დაცემის შემდეგ გრიგოლ რობაქიძე დასრულებულ ბურჟუაზიულ — პორნოგრაფიულ მწერლად გადაიქცა (იხ. „გველის პერანგი“, „ფალესტრა“ და სხ.), ტ. ტაბიძე ძირითადში „უიდეობის“ სტიქიას ორგანიულად შერჩა; ცისფერყანწელთა რიგი, ისიც უკანასკნელ წელს მხოლოდ დეკლარატიულად გაურბის ბოჰემას და აქტიურ რეაქციონერობას (ნ. მიწიშვილი, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი,) ერთეულები კი პროლეტარიატის ლიტერატურულ მოკავშირეობას ამჟღავნებენ (მაგ. რაჟდენ გვეტაძე).

მისასალმებელია, როდესაც ნიკოლოზ მიწიშვილი განწყობილებების შემდეგ რიგს იძლევა:

„ამხანაგებო. ორივე მხრიდან
ამ წლების ტალღა მისრესდა გვერდებს:
მარჯვნივ — წარსული ნაცარს მაყრიდა,
მარცხნივ — ახალი მინგრევდა ღმერთებს.
. . . . . .
დროება კი ცდას არ აპირებდა
და საუკუნის ახალი ძალა
სრესდა შუაკაცს, ანაპირებდა,
რომ ბრძოლისათვის გზა დაეცალა.
. . . . . .
დავბარბაცებდი თავმოჭრილივით
მერყეობაში და განსაცდელში,
. . . . . .
ძველი ოცნება დუღილში დაშრა
და მესამე გზის გაჭრა იმედი.
ბრძოლა ბრძოლითვე მებრძოლმა გასჭრა,
საუკუნემდის გასჩეხა ბედი,
და დაამტკიცა, რომ ქვეყნისათვის
არ არსებულა ორი გზის მეტი.
. . . . . .
მე თქვენთანა ვარ ამ დიდ შარაზე,
როგორც პოეტი და მოქალაქე,
როგორც მესტამბე, როგორც ხაბაზი,
როგორც მუშა და როგორც დალაქი —
რომ დედამიწა შებრუნდეს მზისკენ
და არ შესჭამოს პატარა დიდმა,
სოციალიზმის მეწამულ გზისკენ
გადაგვატაროს ლენინის ბიდმა“ („ათი წელი“)

უსათუოდ იდეური ძვრაა რევოლუციონური თანამედროვეობისაკენ, როდესაც ახლო წარსულში ორტოდოქსალური ბოჰემა ვალ. გაფრინდაშვილი ასეთ მოტივს იძლევა:

„ქარხნის საყვირნი კვლავ გაჰკივიან.
მაშ მოწინავე რიგებში ყველა!
დღეს პოეზია კოლექტივია,
რომ ემსახუროს ხუთწლედს დამკვრელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმშენებლობის ვართ პოეტები
და გვასულდგმულებს რიტმი ახალი,
რომ ვიმუშაოთ გადამეტებით —
მივბაძოთ სტალინს, როგორც მაგალითს" („სიმღერა").

მაგრამ პოეტური დეკლარაციების დრო წარსულშია, აუცილებელია დეკლარატიულ პოეტურ განცხადებათა შემოქმედებითი მონაცემებით შევსება, იდეოლოგიური მერყეობის ძირითადი დაძლევა, ბოჰემურ წარსულთან ყოველგვარი შემაერთებელი ბოგირის დარღვევა და, რაც მთავარია, რეკონსტრუქციის პერიოდის ინტერესების ძირითად რგოლში შემოქმედებითი შეკრა, კონკრეტული თემატიური მასალის დიალექტიური ორგანიზაცია. უამისოდ, საზოგადოებრივ-ლიტერატურული თვალსაზრისით, შეუძლებელია პროლეტარული რევოლუციის ლიტერატურული თანამგზავრობა.

ა) ლიტერატურული თანამგზავრიდან მოკავშირემდე

რევოლუციის ყოველ ახალ ეტაპზე სხვაგვარად ისმება და ეწყობა მებრძოლი საზოგადოებრივი კლასების ურთიერთობა, სხვაგვარი შეფასება ხდება ცალკეული საზოგადოებრივი კლასების და ჯგუფების მდგომარეობისა და როლის. საკმარისია გავიხსენოთ რევოლუციის დასაწყისში კულაკობის, როგორც კლასის, მდგომარეობა, საშუალო გლეხობის ადგილი რევოლუციაში, პროლეტარიატის დიქტატურისადმი ინტელიგენციის დამოკიდებულების ევოლიუცია, რომ ჩვენი დებულება ნათელი გახდეს. ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ მოცემულ პერიოდში მიმდინარე გამძაფრებულმა კლასიურმა ბრძოლამ უდიდესი სოციალური გადაჯგუფებანი მოახდინა; ახალ მოთხოვნებს უყენებს პროლეტარული რევოლუცია სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფს; კერძოდ, საბჭოთა ინტელიგენტს არ შეუძლია ისტორიულ გარდატეხათა ეპოქის დიადი ამოცანებისაგან იყოს დაშორებული, საკმარისი არაა „სინდისიერად აკეთო საკუთარი პატარა საქმე", საჭიროა იმუშაო სოციალისტურად. ბევრს სურს გულწრფელად ემსახუროს რევოლუციას, სოციალიზმს, მაგრამ მისწრაფებათა განხორციელებისათვის ვერ ამჩნევს მაგისტრალურ ხაზს, ვერ ერკვევა რევოლუციის მამოძრავებელ ძალებში და ობიექტურად არ არსებული „მესამე გზისკენ" გაიყურება.

სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდი ხასიათდება მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ფართო ფენების აქტივობის შეუჩერებელი ზრდით, ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტების აქტივიზაციით და მერყეე სოციალურ ჯგუფებს (წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია) შორის გადაჯგუფებით. მოცემულ ეტაპში შეუძლებელია მერყეობის და ნეიტრალობის პოზიციაზე დგომა. წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წინაშე დგება დილემა: პროლეტარიატთან ან ბურჟუაზიასთან, ე. წ. „მესამე გზა" კი არ არსებობს.

ინტელიგენციის ნაწილი, რომელიც დღემდე მხოლოდ დეკლარატიულად იდგა „საბჭოთა პლატფორმაზე" ან ნეიტრალობის პოზიციაზე, უკვე ნიღაბს იხსნის და პროლეტარიატის კლასიური მტრის ბანაკში გადავიდა (მაგ. მიხ. ჯავახიშვილი, გ. ქიქოძე და სხ.). მეორე ნაწილი კვლავ განაგრძობს მერყეობის და ნეიტრალობის პოზიციაზე დგომას, მესამე ნაწილი — წვრილბურჟუაზიული ინ-

ტელიგენციის საუკეთესო ლიტერატურული წარმომადგენლები პროლეტარიატთან კავშირის პოზიციაზე გადადის და თანდათანობით სოციალისტურ პრაქტიკაში აქტიურად ებმება. მიუხედავად იმისა, რომ თანამგზავრებს შორის იდეოლოგიური მერყეობა ჯერჯერობით მთლიანად არაა დაძლეული, უკანასკნელ ხანებში გარკვეულად იზრდება დამტკიცდება თანამგზავრების ის ნაწილი, რომელმაც მუშათა კლასთან ერთად სვლა მტკიცედ გადაწყვიტა, რითაც თანამგზავრიდან პროლეტარიატის მოკავშირედ ხდება.

მოკავშირენი თავიანთ შემოქმედებაში იმ სოციალური ფენების ფსიქოლოგიას და იდეოლოგიას გამოხატავენ, რომელნიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თავს „მოუწყობლად" გრძნობდენ; მწერლები, რომელნიც თავის შემოქმედებაში აღნიშნული სოციალური ფენების განწყობილებას გამოხატავენ, სოციალიზმის მოკავშირენი ხდებიან. რასაკვირველია, რეკონსტრუქციის პერიოდის თანამგზავრობაშიც შესაძლებელია იდეოლოგიური ჩავარდნები, მაგრამ ძირითადში თანამგზავრობის პროლეტარიატთან ისტორიულად აუცილებელი მოახლოვება და კავშირი ფაქტია.

სოციალისტური რეკონსტრუქციის პერიოდში პროლეტარიატის ლიტერატურული თანამგზავრი მხოლოდ ის მწერალი გახდება, რომელიც უბრალოდ კი არ „თანაუგრძნობს" საბჭოთა წყობილებას, არამედ სწორად და აუცილებლად ცნობს სოციალისტურ შეტევასთან დაკავშირებულს ისეთ ფაქტებს, როგორიცაა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, ბრძოლა მშენებლობის დაჭიმული ტემპების შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის და სხ. უკეთ მოცემული ეტაპის თანამგზავრი ის მწერალია, რომელიც მუშათა კლასის სოციალისტურ ამოცანებს იღებს და მონაწილეობს სოციალისტურ ამოცანათა შესრულებაში; ასეთი „თანამგზავრი" აუცილებლად მუშათა კლასის მოკავშირე გახდება*.

იმ მწერლებიდან, რომელნიც შემოქმედებითი მონაცემებით ცდილობენ პროლეტარიატის ლიტერატურული მოკავშირენი გახდენ, შეიძლება დავასახელოთ გალაქტიონ ტაბიძე, რ. გვეტაძე, ს. ჩიქოვანი და სხ. აღნიშნული რიგი, მიუხედავად სავსებით ვერ დაძლეული წვრილბურჟუაზიულ მერყეობისა, ცდილობს შემოქმედებითი ფაქტებით გვიჩვენოს სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული პროცესები, ცდილობს ამხილოს, ეპოქის პირობებში წვრილბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ინდივიდუალიზმის მავნებლობა, ნაციონალიზმის და რასიული რომანტიზმის რეაქციონურობა, „დემოკრატიული" ილუზიების ბანკროტობა, იდეოლოგიური მერყეობის და ნეიტრალობის პოზიციის შეუძლებელობა; რეკონსტრუქციის პერიოდის ინტერესების ძირითადი რგოლი მოკავშირეთა შემოქმედებითი ინტერესების ძირითადი რგოლი უნდა გახდეს.

არა თუ წლები გადიქცა ტყდომად —
ყოველი ლექსის ყოველი პწკარი
არის გაჭრილი კლასიურ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.

---

* იხ. რაპპ'ის თეზისები მომხსენებელთათვის — „Современное положение в литературе и задачи рабочего класса". Гиз, 1930.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქა არის ნამგლის, ქურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა.
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.

(გალ. ტაბიძე)

ჩვენი ლიტერატურული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა — ყოველმხრივ დაეხმაროთ ლიტერატურულ თანამგზავრებს პროლეტარული იდეოლოგიის პოზიციაზე მთლიანად გადმოსვლაში, ამხანაგური კრიტიკა ვაწარმოოთ ამათუიმ ჩავარდნაზე და შეცდომაზე თანამგზავრთა შემოქმედებაში. აღნიშნულის წარმატებით ჩატარებისათვის მთავარი პირობაა ბურჟუაზიული ლიტერატურისა და ბურჟუაზიული გავლენების წინააღმდეგ მკაცრი იდეოლოგიური ბრძოლის წარმოება. ყოვლად დაუშვებელია თანამგზავრებს შორის იდეოლოგიურ-მხატვრულ ჩავარდნათა მიჩქმალვა და ჩავარდნებისადმი ლიბერალურ-მოთმენითი დამოკიდებულება; ბოლშევიკური ბრძოლა უნდა სწარმოებდეს საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკაში მემარჯვენე ოპორტუნისტული ტენდენციების და ოპორტუნისტული გადახრებისადმი შემარიგებლობის წინააღმდეგ; უამისოდ შეფერხდება თანამგზავრების პროლეტარული იდეოლოგიის პოზიციაზე გადმოსვლა.

ფეოდალურ-ბურჟუაზიული საქართველოს ლიტერატურული აგენტურა

სოციალიზმის ყველა ფრონტზე ძლევამოსილი შეტევა კაპიტალისტური ნაშთების აღმოსაფხვრელად, ფეოდალური ნარჩენებისა და ბურჟუაზიულ მწერლობას აიძულებს აქტიურ იდეოლოგიურ მავნებლობაზე გადავიდეს. თუ აღდგენით პერიოდში ბურჟუაზიული მწერლობა „ფარულად" აწარმოებდა კულაკურ-ბურჟუაზიული იდეებიის პროპაგანდას, მიმდინარე პერიოდში აშკარად იბრძვის პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის წინააღმდეგ, იბრძვის ყოველგვარი ხერხით და საშუალებით. ფეოდალურ-ბურჟუაზიული საქართველოს მხატვრულ-ლიტერატურული აგენტურა უმთავრესად მამაპაპეული მსოფლმხედველობით და თემატიური მასალით იცოხნება, „შუშხუნა მწვადის ყურება პირს პატრიოტული ნერწყვით უვსებს" (აკაკი წერეთელი). ზოოლოგიური შოვინიზმი, კულაკური იდეოლოგია, პროლეტარული ქალაქის სიძულვილი, პორნოგრაფიული აღვირახსნილობა, მავნებლობის მორალური და რასიული გამართლება, ბუკინისტის ერუდიცია, გლახა ამპარტაენობა და სხვა — ქართული რეაქციონური მწერლობის შემოქმედებითი პლატფორმაა. მემარჯვენე მწერლები რეაქციონურ განწყობილებათა სტანდარტიზაციას ახდენენ და ანტისაზოგადოებრივი „მხატვრული" განცდების „ჩვეულებრივ" ლიტერატურულ მოვლენად გადაქცევას ცდილობენ, მაგრამ... იზრდება, მტკიცდება და ვითარდება პროლეტარიატის კლასიური მხატვრული მწერლობა, ნიღაბი ჩამოეხსნა პროლეტარიატის დიქტატურის კლასიურ მტერს ლიტერატურაში, გაიხსნა მისი შემოქმედების სოციალური მიზანდანიშნულება, სწარმოებს მამულიშვილური მწერლების და სახელგამის „კლასიკოსების" ლიტერატურულ-იდეოლოგიური წმენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორია მემარჯვენე მწერლობის შემოქმედებითი დამოკიდებულება პროლეტარული თანდროულობისადმი? კულაკურ-ბურჟუაზიული მწერლები სოციალისტურ აღმშენებლობას ილუზიად სახავენ, „უკეთეს" შემთხვევაში სოციალმშენებლობას რევოლუციონური შინაარსისაგან სცლიან და ბურჟუაზიულ რეფორმატორობასთან ან მხოლოდ ტექნიკური რეკონსტრუქციასთან აიგივებენ; სოფლად წარმოებულ პროცესებს მუქი ფერებით იძლევიან: — სწარმოებს არა კულაკობის, როგორც საზოგადოებრივი კლასის ლიკვიდაცია, არამედ სოფლის მშრომელი ელემენტების დარბევა და მცონარების გაბატონება მასზე (მაგ. მიხ. ჯავახიშვილის „დამპატიჟე", „გივი შადური", ს. შანშიაშვილის — „ქარაოცი" და სხ.); პროლეტარული ეპოქის მთავარ გმირად წამგლეჯს და ავანტიურისტს იძლევიან, ქმნიან კარიკატურებს სოციალიზმზე და ირონიას ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრებზე. მემარჯვენე მწერლები ისტერიულად გაკივიან „საერთო ადამიანურ", „სოციალისტურ" ჰუმანიზმზე, სწერენ ვულგარულ — პორნოგრაფიულ რომანებს, ნოველებს, ლექსებს; ეწევიან სისხლის სამართლის დანაშაულის — ბანდიტიზმის — ნაციონალისტურ აპოლოგიას, ინდივიდუალიზმის, მისტიციზმის, საქმოსნობის, მიტმასნების „ფილოსოფიის", ვულგარული მატერიალიზმის და სხ. პროპაგანდას. აი კოლექცია: გრ. რობაქიძე * — „გველის პერანგი", „ფალესტრა", მიხ. ჯავახიშვილი — „გივი შადური", ს. აბაშელი — „გაბზარული სარკე", შ. დადიანი — „უბედური რუსი" და „კაკალ გულში", ს. თავაძე — „გზა მეწამული", ი. გრიშაშვილი — „ექვსი ლექსი", კ. გამსახურდია — მხატვრული თვალსაზრისით უფერული მოთხრობების კრებული „მარცხენა თვალით", კ. ნადირაძის „ლექსები რევოლუციაზე" (წითელი ხალტურის საუკეთესო ნიმუში) და სხვ.

ობიექტურად, ფეოდალური საქართველოს აპოლოგეტთა რიგს მიეკუთვნებიან მცხოვანი ბელეტრისტი ვასილ ბარნოვი და უსათუოდ საყურადღებო მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე. ბარნოვის იდეათა სამყარო მონური წარსულშია, ახალი „ქართა ქროლვა" მისთვის ორგანულად გაუგებარია, ფეოდალურ-რაინდულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მეოცნებეა და მეორეს მხრივ მეორმოცე წლების ტფილისის (მდაბიო მოქალაქეთა — მეშჩანების ყოფაცხოვრების) რომანტიკოსი.

მიუხედავად ზოგიერთი შემოქმედებითი ცდისა (რევოლუციონურ თანდროულობასთან დაახლოვების ხაზით), ბარნოვი ფეოდალური საქართველოს, რაინდობის, „ისნის ცისკარი"-ს მეოცნებედ დარჩა. ასევე შეიძლება ითქვას ნიკო ლორთქიფანიძეზე: მიუხედავად ცალკეული თანამგზავრული ტენდენციისა, ის ძირითადად ფეოდალური, „რაინდული" საქართველოს და ფეოდალურ და ბატონყმურ ურთიერთობათა მხატვარია, ფეოდალურ და ბატონყმურ ურთიერთობათა იდეალიზატორია და რომანტიკოსი.

როგორც ვხედავთ, მემარჯვენე მწერლები, მართალია, უმთავრესად მონური წარსულის თემატიური მასალით იცოხნიან, მაგრამ არ გაურბიან საბჭოთა ყოფის თემატიურ მასალას. მაგრამ საქმე ხომ მხოლოდ თემატიური მასალა არაა, არამედ — თემატიური მასალის იდეოლოგიური ორგანიზაცია, თუ რო-

* ღნდა აღინიშნოს, რომ მოქ. გრიგოლ რობაქიძემ ნარკვევებით (იხ. „ბაქო და ჰაიასტანი") სცადა თანადროულობასთან ნაწილობრივი მიახლოვება — ვ. ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორი მსოფლმხედველობით და ფსიქოლოგიური განწყობილებით უდგება მწერალი ამათუიმ ეპოქის თემატიურ მასალას.

მიუხედავად მონური წარსულის რესტავრატორებისა და კონდრატიეველების ნაწილობრივი გამოცოცხლებისა, ისინი თანდათანობით შემოქმედებით კნინდებიან და დუმდებიან. დამახასიათებელი მაგალითი: ი. გრიშაშვილი ოქროს ფეხის „პრობლემიდან" „ტფილისი მანც გაირაკლდება"-ზე გადავიდა, მოცემულ მომენტში თანადროულობის ორგანიული სიძულვილი, სექსუალიზმი და პატრიოტიზმი გრიშაშვილის პოეტური პროგრამაა, მაგრამ... შემოქმედებით დაკნინდა, გავულგარდა და გამოიფიტა ოდესღაც „რომანტიული" გიმნაზისტკების, ქართველი სუფრაჟისტკების და მამულიშვილური უსაქმურების სათაყვანებელი ბანალური ლექსების ინკუბატორი და ძველი ტფილისის პატრიოტი.

„სადა ხართ ლამაზმანებო,
მოდით, დამათვრეთ ბუნებით,
ამივსეთ ტუჩის ყულაბა
მაგ კოცნის უზალთუნებით.
. . . . . .
მოვალ და ჩემის კოცნით ავკრეფავ
მაგ შიშველ ტანზე დაყრილ ნაფურთხებს
. . . . . .
ჰქონდა გათხოვილ ქალწულის სუნი.
. . . . . .
მუშა მძლავრია. მაგრამ მერწმუნეთ,
ვერ ასწევს მგოსნის სიტყვის სიმძიმეს* და სხ.

ი. გრიშაშვილი გამონაკლისი კი არაა, არამედ დამახასიათებელი მაგალითია. აღნიშნული შემოქმედებითი დაკნინება მოულოდნელი როდია, დაკნინების მოვლენა ეპოქისა და იდეების პრობლემით იხსნება. ყოველ ისტორიულ ეპოქაში წამყვანი იდეები ყოველთვის გაბატონებული საზოგადოებრივი კლასის იდეებია, პროლეტარულ, ე. ი. კომუნისტურ იდეოლოგიას, ბოლშევიკური პარტიულობის იდეებს მტკიცე მატერიალური საფუძველი აქვს.

აუცილებელია გადამჭრელი იდეოლოგიური ზომების მიღება იდეოლოგიური მავნებლობის „მწერლობის" წინააღმდეგ. პანთეონის, ბანდიტიზმის, ღამის საცვლების და სხ. „მწერლობა" ანტისანიტარულ მდგომარეობას ქმნის ლიტერატურულ ცხოვრებაში.

„ბელეტრურ-შარლატანურ სახელწოდებებს და გოლებაჩლუნგი უპარტიოობის სამოსელში" გამოხვეული იდეალისტები, შოვინისტები და ეკლექტიკოსები

„... ემპირიოკრიტიციზმის გნოსეოლოგიური სქოლასტიკის იქით არ შეიძლება არ დავინახოთ პარტიათა ბრძოლა ფილოსოფიაში, ბრძოლა, რომელიც საბოლოო ანგარიშში თანამედროვე საზოგადოების მტრულად განწყობილი კლასების ტენდენციებს და იდეოლოგიას გამოხატავს. ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც იყო ფილოსოფია ორიათასი

* იხ ი. გრიშაშვილი: „ექვსი ლექსი", 1930.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის წინად. მებრძოლი პარტიები არსებითად მატერიალიზმი და იდეალიზმია, მხოლოდ ეს ნათლად არ ჩანს გელერტულ-შარლატანურ სახელწოდებებსა და გონებაჩლუნგი უპარტიობის სამოსელში" *. განა ასეთი მდგომარეობა არაა ჩვენში ფილოსოფიის ფრონტზე, მეთოდოლოგიის დარგში? რასაკვირველია, „გელერტულ-შარლატანურ" სახელწოდებებს ამოფარებული იდეალისტები, შოვინისტები და ეკლექტიკოსები „ეკლექტიურ შეჭამანდს" შემეცნების მეცნიერულ თეორიებად ასაღებენ. „ყველას მობეზრდა ის გლახაკური ეკლექტიური შეჭამანდი, რასაც უნივერსიტეტებში ფილოსოფიის სახელით აწვდიან" **. ყოვლად აუტანელია ის გელერტულ-შარლატანური ძაკულატურა, რასაც ლიტერატურის ისტორიაში და მეცნიერებაში მომეშავე იდეალისტ ნაციონალისტები და ეკლექტიკოსები მეცნიერულ სისტემებად ასაღებენ. მართალია, ამ „მეთოდოლოგებს" კიდევ ჰყოფნით უნარი იდეოლოგიური მავნებლობა აწარმოონ, მაგრამ აღარ შეუძლიათ ჩვენი სამეცნიერო ფრონტის მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა, იმ „უბრალო" მიზეზის გამო, რომ აღნიშნული გელერტერები ჩვენი ეპოქის იდეურ სიმაღლეზე არა დგანან. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იდეოლოგიის ფრონტზე კლასიური მტერი ლიკვიდაციაქმნილია, პირიქით, კლასიური ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, ჩვენი კლასიური მტრის იდეოლოგიური აგენტები აქტიურდებიან; მათი მეთოდოლოგიური სისუსტე ძირითადში იმაში მდგომარეობს, რომ ი დ ე უ რ ი უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ა ჩვენს მხარეზეა. დროა, ყველა და ყოველგვარი ნილაბი ჩამოეხსნას იდეალისტებს! თუმცა რა ს ე რ ი ო ზ უ ლ ი იდეური ბრძოლა უნდა გაუმართოთ ისეთ „მეთოდოლოგებს" (უკეთ ბუკინისტებს!) რომელნიც, დამჯდარი მეთოდოლოგიური საქმიანობის მაგივრად, მხოლოდ კურიოზულ „პოეტურ" გატაცებებს ამჟღავნებენ! როგორ მეცნიერულ დამოკიდებულებაში უნდა იყო ისეთი ორტოდოქსალური ფილისტერებისა და მომეცნიერო ბატებისადმი, რომელნიც თეორიული თვალსაზრისით ყოველავარი კრიტიკის გარეშე მდგარ ასეთ მოსაზრებებს იძლევიან:

1. „მთას შეფარებულია ქართული სული, სულს ცივილიზაცია კლავს და მატერიას ამტკიცებს. ვაჟამ მთაში დაიწყო იმის ძიება, რაც ქალაქებში ლაბორატორიებმა ვერ იპოვნეს" და სხ. (ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი).

2. „გრძნობა ამოძრავებს მასებს ისტორიაში... კლასთა საჭიროებანი და ინტერესები იძლევიან სოციალურ მოძრაობათა ორგანიზაციულ წყობას... სოციალური საჭიროებანი და ინტერესები ქმნიან ისტორიას". ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განათლების სისტემა მიზნად „ს ო ც ი ა ლ უ რ ი ა მ ყ ო ლ ე ო ბ ი ს პრინციპის განხორციელებას" ისახავს *** და სხ.

3. ვაჟამ გ ა ნ ც დ ა თ ა ს რ უ ლ ი ა დ ა ხ ა ლ ი სისტემა შემოიტანა ქართული ლიტერატურის ევოლუციაში, რადგანაც აღმოაჩინა

---

* ლ ე ნ ი ნ ი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", გვ. 364. ქართული გამოცემა.

** ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი — „ლ. ფეიერბახი", გვ. 38.

*** იხ. ჟ. „ნნათობი", № 10 (1927 წ.), კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი ს წერილი „ოქტომბრის რევოლუცია და იდეოლოგია".

ახალი წერტილი მსოფლიოში, საიდანაც სავსებით იცვლება სახე ქვეყნიერებისა" *.

არაფერს არ ვიტყვით მოქ. ვ. კოტეტიშვილის და ს. დანელიას იდეალიზმზე და ნაციონალისტურ „ფილოსოფიაზე" — მოყვანილი ციტატები თავისთავად კომენტარიებია! დიაღ, არაფერს არ ვიტყვით იმ „სწავლულ" შოვინისტზე, რომელიც მამულიშვილური „სიდარბაისლით" პროვოკაციულად აცხადებს, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენი წერაა, რომელთან ბრძოლა ქართველთა ტრაღიდიას შ ე ა დ გ ე ნ ს (ს. დანელია). საჭიროდ ვთვლით გაკვრით შევჩერდეთ ეკლექტიკოს კ. კაპანელზე, რომელსაც შესაძლებელია, მარქსისტული მსოფლმხედველობით შეიარაღების სურვილი ამოძრავებს. მარქსიზმის საფუძველია ისტორიის ეკონომიური ახსნა და სწავლა კლასიურ ბრძოლაზე, როგორც ისტორიის მამოძრავებელ ფაქტორზე. კაპანელი მარქსიზმს ავულგარებს, ისტორიის დიალექტიურ-მატერიალისტური გაგების საკითხში მომხმარებლის ობივატელურ თვალსაზრისზე დგას პლიუს „გრძნობა ამოძრავებს მასებს ისტორიაში" და სხ. სადაა მოქ. კაპანელი, საწარმოო ურთიერთობანი, კლასთა ბრძოლა, იდეოლოგია? კაპანელი პირველ პლანზე ქალბატონ „გრძნობას" აყენებს, ვერ გარკვეულა, რომ გრძნობის საფუძველი ნერვული სისტემის ფიზიოლოგიაში უნდა ვეძიოთ.

მოქ. კ. კაპანელი იდეალიზმის და ნაციონალიზმის მარქსიზმთან შეერთების სურვილს ამჟღავნებს, ესაა ცდა შეუერთებელის შეერთებისა. „... სურვილი მარქსისა და სხვა თეორიების შეკავშირებისა მოწმობს მწყობრი მსოფლმხედველობის შემუშავების სურვილს, მაგრამ აგრეთვე ააშკარავებს აზროვნების სისუსტეს და უნიჭობას ერთი ძირითადი პრინციპის მკაცრად და თანმიმდევრად გამოყენებაში. ერთი სიტყვით, აქ აშკარავდება უძლურება მარქსის გაგებაში" **. რასაკვირველია, ყველაფერთან, თუნდაც სპირიტიზმთან, შეიძლება მარქსიზმის „შეერთება", მაგრამ როგორ? ეკლექტიზმის საშუალებით; „ეკლექტიზმს არც თეორიაში და არც პრაქტიკაში არასოდეს ხეირიანი არაფერი შეუქმნია" (გ. პლეხანოვი), ეკლექტიზმი „სოციალური ამყოლეობის" მეთოდოლოგიაა! ასე რომ ლიტერატურის მეცნიერება, ისტორია და თეორიული პოეტიკა იდეალიზმის, ნაციონალიზმის და ეკლექტიზმის წარმომადგენლების ხელშია (პროფ. შ. ნუცუბიძე — „ხელოვნების თეორია", კ. კეკელიძე, ვ. კოტეტიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. დანელია, მ. ზანდუკელი, კ. კაპანელი და სხ.), რომელნიც ებრძვიან წინააღმდეგობათა რევოლუციონურ ლოგიკას და კერძოდ, ეთიკის ევოლუციის საკითხში ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისზე არა დგანან; ინტელიგენტურნაციონალისტური ფაფის მზარეულები არიან.

„მარქსისტი" ს ე ი თ დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი „ორიგინალური" მოაზროვნეა:

„... ძალაუფლება შემცდარია ქართველი ინტელიგენციის დაფასებაში. ეს უკანასკნელი არ ეკუთვნის, რა თქმა უნდა, თავისი იდეოლოგიით არც თავადაზნაურობას, არც ბურჟუაზიას, ის ემსახურება ამ მშრომელი ხალხის ინტერესებს...

---

* იხ. ს. დანელია — „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერი", გვ. 14, 58, 67.

** იხ. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი — „ფეიერბახი", პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს წინასიტყვაობა.

„ქართველ ინტელიგენციაზე არ ითქმება, რომ ის მშრომელი ხალხის მტერია, რომ ის ეკუთვნის მუშათა კლასის მოწინააღმდეგე კლასებს...

მოხდა გადატრიალება ქართველი ინტელიგენციის შეგნებაში და არა მის კლასობრივ მდგომარეობაში. ეს მდგომარეობა, როგორიც ქონდა, ისეთი აქვს. მაგრამ გუშინ მღეროდა ინტერნაციონალს, დღეს მარტო დიდებას. ინტერნაციონალი დღეს თითქო იგივეა მის შეგნებაში, როგორც იყო ძველად «Боже царя храни»... ოქტომბერი მოვიდა შიგნიდან, თებერვალი გარედან... ნამდვილ ხელოვნებაში რეაქციონერიც რევოლუციონერია... ამბობენ, არის მხატვრული მწერლობა ერთი კლასის და მეორე კლასის, კლასი იცავს თავის ინტერესებს მხატვრული კალმის საშუალებითაც. ეს არ არის მარქსისტული მიდგომა მწერლობასთან *.

ალბათ შეგვეკითხებიან, რა საჭიროა 1924 წლის მოსაზრებათა გახსენება? ყველაფერი მოძრაობს, მოძრაობა მარტო საგნებსა და მოვლენებს კი არ ჰქმნის, მუდმივ სცვლის მათ. შეიძლება მოქ. ს. დევდარიანმა გამოსცვალა თავისი მენშევიკური „გრამოფონის ფირფიტები"! არა! მოცემულ მომენტში ს. დევდარიანი ლიტერატურის საკითხებში მტკიცედ დგას თავის მენშევიკურ პოზიციაზე: გასულ წელს, როდესაც პროლეტარული მწერლების ერთმა ჯგუფმა ე. წ. „აკადემიური" ასოციაციის საზოგადოებრივ-შემოქმედებითი წმენდა მოითხოვა, ამით გაბოროტებულმა ს. დევდარიანმა „საორიენტაციო" წერილი გაუგზავნა გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქციას, სადაც „სხვათა შორის" ეწერა:

„დღეს იმ გარემოებაში, რომელსაც თქვენი წერილი ეკლება, არ არის კლასები და კლასთა ურთიერთობა, არის ფენები და მიმართულებები... ლიტერატურას თავზე დაბზუის ვარდინიზმი და ლიტერატურა კვდება" და სხ.

ნიშნეულია, რომ იდეური განიარაღების გამო „ყოფილი" სოციალ-შემთანხმებელნი თავიანთ შეხედულებებს კი არ ამტკიცებენ, არამედ ასწერენ მათ, დევდარიანი „ორიგინალურ" ფორმებში 1924 წლის ანტიმარქსისტულ მოსაზრებებს, უკეთ — მწერლობაში ეროვნული მთლიანობის იდეოლოგიას — ავითარებს. მოქ. ს. დევდარიანი ყველა გელერტერზე მავნეა, რადგან სოციალ-დემოკრატიული ლექსიკონით ჟონგლიორობს და ... ჟონგლიორობს.

ს. დევდარიანი რამდენიმედ პერევერზევშჩინის ქართული გამოცემაცაა, პერევერზიანელობა კი პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის ერერთი ძირითადი შემაფერხებელი მოვლენაა. ბრძოლა პერევერზევშჩინის წინააღმდეგ აუცილებელი შეიქნა, ვინაიდან აღნიშნული ვულგარულ-მარქსისტული, ლიტერატურის მეცნიერების მექანისტური კონცეპცია ლიტერატურის მეცნიერების მა-

* იხ. ჟ. „მნათობი", № 6 (1924), ს. დევდარიანის წერილი — „ოქტომბერი და ინტელიგენცია". (კურსივი ჩვენია — ვ. ლ.).

ტერიალისტური დიალექტიკის საფუძველზე განვითარების შემაფერხებელი შეიქნა. მიმდინარე სალიტერატურო წელს უნდა გამახვილდეს ბრძოლა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და მეთოდოლოგიისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველგვარი რევიზიონისტებისა და ოპორტუნისტული გადამახინჯების წინააღმდეგ.

„მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების რევიზია, რაც ფილოსოფიის დარგში მექანისტურ თეორიაში, რუბინის ახალ კანტიანურ ეკონომიურ თეორიაში, ისტორიის მეცნიერებაში მოდერნიზაციაქმნილ ხალხსნობაში გამოიხატება, ყველა ეს მჭიდროდაა დაკავშირებული რევოლუციონური მარქსიზმის ასეთივე მექანისტურ და ვულგარულ-მატერიალისტურ რევიზიასთან პერევერზევის ლიტერატურათმცოდნეობის სისტემაში, რასაც ძირები მენშევიზმის იდეოლოგიაში აქვს“ *. ქართულ სინამდვილეშიც ცრუმარქსისტები, მენშევიზმის იდეოლოგები (ს. დევდარიანი და სხ.), ფორმალური სკოლის ბურჟუაზიული თეორეტიკოსები (პროფ. ნუცუბიძე და სხ.), იდეალისტ-ნაციონალისტები (ვ. კოტეტიშვილი, პ. ინგოროყვა, ს. დანელია და სხ.) ეკლექტიკოსები (კ. კაპანელი, თ. ბეგიაშვილი, მ. ზანდუკელი და სხ.) მეთოდოლოგიური ძირებით იდეოლოგიური მავნებლები, კონდრატიეველები არიან, რომელნიც თავიანთი იდეოლოგიური „პოზიციების“ დამაგრებას მიმიკრიის ხერხების საშუალებით ცდილობენ.

მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის სექტორი იზრდება, მტკიცდება, ფართოვდება და თანდათანობით იდეურად იპყრობს საბჭოთა კავშირის მთელ ფილოსოფიურ, მეცნიერულ პრაქტიკას და იდეოლოგიური ჰეგემონი ხდება; კერძოდ, ლიტერატურის მარქსისტული მეცნიერება უკვე ავიწროვებს ლიტერატურის იმ „მცოდნეებს“, რომელნიც მხატვრული მწერლობის ე. წ. დეიდეოლოგიზაციას მოითხოვენ. მიუხედავად ჩვენი იდეური უპირატესობისა და წარმატებისა მეთოდოლოგიის ფრონტზე, მიუხედავად თეორიის ფრონტზე მნიშვნელოვანი მიღწევებისა, ჩვენი თეორიული აზროვნება მაინც საგრძნობლად ჩამორჩება ჩვენს პრაქტიკულ წარმატებებს. ეკონომიკის თეორიაში ადგილი აქვს ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ „თეორიებს“ სოციალისტური ეკონომიკის პრობლემების შესახებ, როგორიცაა „წონასწორობის“, „თვითდინების“, წვრილი გლეხური მეურნეობის „სიმტკიცის“ თეორია და ა. შ.; ფილოსოფიაში — მექანისტებს და დებორინის სკოლას, ლიტერატურათმცოდნეობაში და სალიტერატურო კრიტიკაში — მენშევიზმს, ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს და „მემარცხენეობას“. ჩვენი დაკვრითი ამოცანაა გავწმინდოთ მეთოდოლოგიის ფრონტი იდეალისტებისა, შოვინისტებისა, ეკლექტიკოსებისა და ცრუმარქსისტებისაგან, რომელნიც პროლეტარიატის იდეოლოგიური ფრონტის გარღვევისა და დეიდეოლოგიზაციისათვის მუშაობენ.

გადაუდებელი ამოცანაა — მარქსისტული მეთოდოლოგიის შიგნით ბრძოლა ორ ფრონტზე წარმატებით ვაწარმოოთ, ისეთი თეორიული ბრძოლა და მუშაობა ვაწარმოოთ, რაც „პრაქტიკოსებს აძლევს ორიენტაციის აღების საშუალებას, პერსპექტივის სიცხადეს, რწმენას მუშაობაში, ჩვენი საქმის გამარჯვებაში“ (ს ტ ა ლ ი ნ ი).

---

* იხ. „Против механистического литературоведения“, კომაკადემიის პრეზიდიუმის რეზოლუცია პერევერზევის ლიტერატურათმცოდნეობითი კონცეპციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Коллекция
Кл. Фадеева
Грузуна

ლიტერატურული დღევანდლობის თემებზე

ალექსანდრე სულავა

1. ჩვენ უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში

მუშათა კლასის მიერ სოციალიზმისათვის გამართული ბრძოლა დღითიდღე შლის ისტორიის ახალ ფურცლებს. შორეული წარსულის ოცნებები დღეანდელი სინამდვილის რეალურ ფაქტად ხდება.

ჩვენი ქვეყანა, სადაც სოციალისტურ სექტორს სახალხო მეურნეობაში აბსოლუტური უპირატესობა აქვს, უკვე შევიდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ გაშლილი სოციალისტური შეტევის პერიოდში, სოციალიზმის პერიოდში.

ეს უდიდესი მიღწევაა. ამ მიღწევაში ჩაქსოვილია მუშათა კლასის გრანდიოზული შემოქმედებითი შესაძლებლობა, კლასიური ბრძოლის ენტუზიაზმი და გმირობა.

სოციალისტური მშენებლობის გეგმიანი შეტევის უდიდესი პროგრამა—ხუთწლედის მესამე წლის გადამწყვეტ ეტაპზეა; მან უნდა დაამთავროს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლების შენება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში—პრობლემის „ვინ ვის", სოციალიზმის სასარგებლოდ გადაწყვეტა.

ეს არაა პატარა და უბრალო ამოცანა, მაგრამ მუშათა კლასი, შეიარაღებული ლენინიზმით, კლასიური ბრძოლის მეცნიერული პოლიტიკით, დაუდგრომლად განაგრძობს სოციალისტურ მშენებლობას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

არ რჩება ჩვენი ცხოვრების არცერთი სფერო, სადაც ძირითადი ძვრები არ სწარმოებდეს. ინგრევა საუკუნოებით შემუშავებული მონური ცხოვრებისა და ურთიერთობის ტრადიციები. მუშათა კლასის მიერ ძველ ქვეყანაზე შეტევის ყოველი ნაბიჯი მტკიცედ შეფარდებულია სოციალიზმის გამარჯვების მიზნებთან. მთელი ქვეყანა მობრუნებულია პირით სოციალისტური რეკონსტრუქციისაკენ.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის დღეები არა თუ მარტო სოციალისტურად გადაკეთების დღეებია, არამედ გიგანტური მუშაობა, მუშათა კლასის ძველი ყოფის, ძველი ცხოვრების გადაკეთების უდიდესი გზა. „როცა დისციპ-

ლინა, სოციალისტური დისციპლინა იქნება შექმნილი, მაშინ, მხოლოდ მაშინ შესაძლებელია კომუნიზმი გახდეს ნამდვილი, გახდეს დაუძლეველი", — სწერდა ამხანაგი ლენინი — (ტომი მე-16, გვ. 242).

ისტორიის საქმე ახლა მტკიცედ მობრუნებულია კომუნიზმისაკენ. ამ საქმეს მუშათა კლასის შრომისადმი დამოკიდებულების ახალი სოციალისტური ფორმა, კლასიური ენტუზიაზმი, გეგმიანი შეტევის პოლიტიკა აბრუნებს.

ათასი ხელი, ათასი ტვინი ჩაბმულია სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში — ხარატი, ზეინკალი, დურგალი, მემანქანე, შტეინგერი, ქვანახშირის მუშა, ნავთის ჭის მბურღავი, მექანიკოსი, ტექნიკოსი, კოლმეურნე გლეხი, ინჟინერი.. ყველას თავისი სახე აქვს, ყველა თავისებურად შრომობს, ებრძვის სიძნელეებს და იმარჯვებს კიდეც, ყველა ერთად ჰქმნის სოციალისტური შრომის უდიდეს სიმფონიას, ენტუზიაზმის უდიდეს ტემპს, ჩვენი მეურნეობის, ქარხნების, ცეხების, ველების, ქალაქების სოციალიზმისაკენ წინსვლის უდიდეს ნაბიჯებს. ეს ნაბიჯები მუშათა კლასის ნაბიჯებია, სოციალიზმის მშენებელი მთელი კლასის სახე.

მტკიცედ და სწრაფად მიიწევს წინ ტექნიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყანა, ტექნიკურ და კულტურულ ქვეყნად გადაქცევის გზაზე.

კაპიტალისტური ელემენტების ყოველგვარი ბურჟუაზიული გავლენის აღმოფხვრის გზას მუშათა კლასი მტკიცე ბრძოლით დაადგა. ამითვე აიხსნება კლასიური ბრძოლის გამწვავება. ძველი სამყარო, განადგურების პირად მდგარი, მუშათა კლასის შეტევაზე უკანასკნელ ძალებს იკრებს, მაგრამ პროლეტარიატის შეტევა ბებრუხუნა სამყაროს უილაჯობა კი არ არის, არამედ ფეხზე დამდგარი მილიონიანი მასების სოციალიზმისათვის გაშლილი ბრძოლის გმირული იერიშები, დამკვრელი ენტუზიაზმი, დაუდგრომელი, ყოვლის შემძლე ტემპები.

მებრძოლი, გმირული ტემპები, — ასე ეწოდება იმ ძალას, რომელიც უდიდესი შემოქმედებითი გაქანებით აჩირაღდანებს ჩვენს ქვეყანას და როგორც არსად მთელს მსოფლიოში, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი.

შრომისა და ბრძოლის ის უდიდესი ენტუზიაზმი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი იჩენს, სოციალიზმის შენებაში ისეთი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს გრანდიოზული კომბინატების, გიგანტური ქარხნებისა და ათიათასი ფაბრიკის აღმართვას, რომელთა შორის მრავალი თავისი ძლევამოსილობით არ ჩამოუვარდება ამერიკის უდიდეს ქარხნებსა და გიგანტებს.

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენში გაიხსნა ერთი უდიდესი ინდუსტრიალური გიგანტი — სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, რომლის შესახებ აი რას სწერდა მისასალმებელ დეპეშაში ამ ხ. სტ ა ლ ი ნ ი. „ორმოცდაათი ათასი ტრაქტორი, რომელიც თქვენ უნდა მიაწოდოთ ყოველ-წლიურად ჩვენს მხარეს, არის ორმოცდაათი ათასი ყუმბარა, ბურჟუაზიული სამყაროს ამფეთქებელი და ახალი სოციალისტური წყობილების გზის გამკაფველი". ეს უზარმაზარი გიგანტი უსათუოდ სოფლის სოციალისტურად გადაკეთების უდიდესი შტაბია, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს საბჭოთა მინდვრებზე ორმოცდაათი ათას რკინის რევოლუციონერს. ეს გიგანტი სარეკორდოა თავისი ტემპებითაც. ყოველ ექვს წუთს აქ კონვეირი თითო ტრაქტორის უშვებს, ორცვლიან სამუშაო დღეში კი ას ორმოცდაერთ ტრაქტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშკარაა, მშენებლობის ასეთ მიღწევას და მის ტემპებს არ შეიძლება სხვა რამ ეწოდოს, თუ არა ბოლშევიკური, გმირული. ამ ტემპების ავტორი მუშათა კლასია. ამიტომ სრულიად მართალია ის აზრი, რომ დამკვრელობა, როგორც ამ ტემპების ფაქტორი, მუშათა კლასის სოციალისტური შეგნების უმაღლესი სახეა, სოციალისტური რეკონსტრუქციის მებრძოლი ფორმაა.

ჩვენი მეურნეობის საკონტროლო ციფრებს დღითი-დღე მიჰყავს კაპიტალიზმი სიკვდილისაკენ. სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმის დამარცხებას ნიშნავს, ამიტომ მშრომელთა ენტუზიაზმი, მათი ყოველი გმირული დარტყმა, შეფარდებული სოციალიზმის გამარჯვებასთან, უსათუოდ მასების სოციალიზმისათვის ბრძოლის მძლავრი გამოხატულებაა. მილიონიანი პროლეტარული მასების ასეთი აქტიური ფორმით მონაწილეობა ჩვენს მშენებლობაში რაა, თუ არა სოციალიზმის ზრდა და გამარჯვება, სოციალისტური სისტემის განვითარება, რომელიც თავის მხრით გულისხმობს ახალი ფორმაციის, ახალი აზროვნების ადამიანთა ზრდა-განვითარებას. სწორედ დამკვრელი, გმირული სოციალისტური მშენებლობის სინამდვილეში იქმნება ახალი ადამიანის, ტიპი, მუშის ახალი ტიპი, რომელიც ზრუნავს თავისი თავის გარდაქმნაზე, იმუშავებს მებრძოლ მსოფლმხედველობას და იბრძვის ცხოვრების გარდაქმნისათვის. ასეთია დამკვრელობის რევოლუციონური მნიშვნელობა საერთოდ. „დამკვრელმა უკვე გააკეთა სოციალიზმისათვის დიადი საქმეები... დამკვრელი კიდევ იტყვის თავის გადამწყვეტ სიტყვას კომუნიზმის გამარჯვების საქმეში“ (მოლოტოვი). მაგრამ ისმება კითხვა: რა ფორმით და რა სახით მიიღო და იღებს მონაწილეობას მუშათა კლასის ამ სოციალისტურ პრაქტიკაში, მის გმირულ ბრძოლებში იდეოლოგიური ბრძოლის ისეთი ძალა, როგორიც მხატვრული ლიტერატურაა?

2. ბრძოლა მწერლის ახალი ტიპისათვის

აშკარაა, მხატვრული ლიტერატურა ჩამორჩა რეკონსტრუქციის პერიოდის დამკვრელ ტემპებს, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, თითქოს შესაძლებელი ყოფილიყო მხატვრული ლიტერატურა მთლიანად მუშათა კლასის ამ ბრძოლების ნიშნის ქვეშ დამდგარიყო. ფაქტია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური პროცესები თავისებურ გავლენას ახდენს ლიტერატურაზე, რომ ლიტერატურაშიაც მძლავრად მეღავნდება კლასიური ბრძოლის მოვლენები, ამიტომ კლასიური დიფერენციაციის თვალსაზრისით, რჩება ისეთი მდგომარეობა, რომ მწერლობის ერთი ფრთა ბარიკადების იქითა მხარეს დგას და მუშათა კლასის წინააღმდეგ იბრძვის, ნაწილი მერყეობს, ნაწილი რევოლუციის სამსახურშია. უკანასკნელს ისტორიულად თანამგზავრული მწერლობა ეწოდება. მაგრამ კლასიური ბრძოლის ახალი ამოცანები თანამგზავრობის გადაჯგუფებასაც იწვევს და ამავე დროს მოითხოვს თანამგზავრობის ახალ გაგებასაც.

კაპიტალიზმის წინააღმდეგ სოციალისტური შეტევის პერიოდი თანამგზავრობის წინაშე, როგორც არასოდეს ახალ დილემას აყენებს: „ან რეკონსტრუქციის, ან კაპიტალიზმის მხარეზე; ან იდეოლოგიური განიარაღება, ან სიკვდილი, სხვა გზა არ არსებობს — ან ერთი, ან მეორე“. რეკონსტრუქციის პერიოდის მებრძოლ ამოცანებს ნაწილობრივ ჩამორჩა პროლეტარული ლიტერატურაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს უკანასკნელი რამდენადაც ფართო ბრძოლას აწარმოებს შემოქმედებაში დიალექტიური მეთოდისათვის, იმდენად მჭიდროდ უკავშირდება ეპოქის მოძრაობას და წამყვან როლს თამაშობს მთელ საბჭოთა ლიტერატურის სინამდვილეში.

თანამგზავრობის დიფერენციაცია, ბურჟუაზიული ლიტერატურის აქტივიზაცია და სხვ. — ეს ჩვენს ქვეყანაში წარმოებული კლასიური ბრძოლის უშუალო გამოხატულებაა. ერთი შეხედვით თითქო გაგიკვირდებათ: საერთო რა შეიძლება ქონდეს მწერლის შემოქმედებასთან კონდრატიევისა ან „პრომპარტიის" იდეოლოგიას, მაგრამ სინამდვილეში არაფერი განსხვავება არ არსებობს კონდრატიევშჩინასა და პილნიაკოვშჩინას შორის ხელოვნების ენაზე გადათარგმნილ უსტრიალოვშჩინასა და რამზინოვშჩინის საბრალმდებლო განაჩენის ენაზე გადათარგმნილ პილნიაკოვშჩინას შორის (იხ. პილნიაკის რომანი „Волга впадает в Каспийское море").

კლასიური ბრძოლა უშუალო გამოხატულებას პოულობს ხელოვნებაში არა მარტო იმისათვის, რომ ესა თუ ის მწერალი ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგეა, არამედ იმისათვისაც, რომ ურთიერთ მებრძოლი სხვადასხვა კლასიური ფენის კლასიური ბრძოლის აუცილებლობას არ შეუძლია არ შექნას იდეოლოგიის სფეროში, ლიტერატურულ ბრძოლაში, თავისი აგენტურა. ასე, მაგალითად, კლასიური ბრძოლის დღეევანდელ სინამდვილეში რას ნიშნავს ბურჟუაზიულ-კულაკური ლიტერატურის ტენდენციები, თუ არა კაპიტალიზმის ნარჩენი კლასების აგენტურას, რომელიც არა თუ თავს ამჟღავნებს, არამედ ფრიად რელიეფურად თავის გმირსაც კი ქმნის და აქტიურად უპირდაპირდება ამით პროლეტარულ ლიტერატურას.

არსებობს ერთი ისეთი შეხედულება, რომელიც, სხვათა შორის, ამტკიცებს, თითქოს ბურჟუაზიულ ლიტერატურას არ შეუძლია თავისი გმირის* შექმნა, თითქოს ის მომაკვდავი კლასის ლიტერატურაა და ამიტომ მისი გმირი შეიძლება მხოლოდ „მოჩვენებითი გმირი" იყოს. ამ მოსაზრების ოპორტუნისტული აზრი თვალსაჩინოა, მაგრამ სამწუხაროა რომ ასეთ აზრებს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტიც" აძლევს დასტურს (იხ. წერილი „შემარიგებლობის წინააღმდეგ მარქსისტულ კრიტიკაში" № 26, 1931 წ.) რას ნიშნავს ასეთი დებულების წამოყენება, თუ არა ბურჟუაზიული ლიტერატურის საშიშროების შეუფასებლობას, კლასიური ბრძოლის არსებობის მიჩქმალვას? თუ ბურჟუაზიული ლიტერატურა მომაკვდავი ლიტერატურაა, რომელიც ვერც გმირებს და ვერც შესაფერის ტიპებს ვერ ქმნის, მაშინ იმისი საშიშროებაც ხომ მოჩვენებითი ყოფილა და მეტი არაფერი. ასეთი მოსაზრება აშკარა ოპორტუნიზმია და შემარიგებლობა მარქსისტულ კრიტიკაში. ბურჟუაზიული ლიტერატურის იდეოლოგია ხშირად რომ არაპირდაპირი და არა აშკარა იყოს, არამედ „მოჩვენებითიც" განა ეს იმას ნიშნავს, რომ მისი რეალური საშიშროება სათანადოდ არ უნდა შეფასდეს? კლასიურ მტერს ნიღაბი არ ჩამოეხსნას?

როცა მარქსისტული კრიტიკა თავს ესხმოდა კ. გამსახურდიას ფეოდალურ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაცვისათვის, გამსახურდიას უკვირდა და ფიცულობდა, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს ფეოდალიზმთან, რომ ის ღა-

* „გმირი" გვესმის როგორც ამათუიმ სოციალური კლასის იდეების და განაწყობილებათა აქტიური მატარებელი ლიტერატულული ტიპი — რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიბი აზნაურის შვილია, გლეხის ქალის ძუძუნაწოვი (იხ. „პროლეტარულ მწერალთა მესამე პლენუმის სტენოგრამა"), მაგრამ სინამდვილეში მას ეს ვერ შეელოდა და ვერ შეელის — ის ფეოდალურ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის მწერალია. ჩვენს კრიტიკას არა ერთხელ აღუნიშნავს ქართული მწერლობის ტენდენცია ჰუმანიზმისაკენ, ზედმეტი ადამიანის იდეალიზაციისაკენ და სხვა. რა გამართლება შეიძლება ქონდეს, მაგალითად, მიხ. ჯავახიშვილის უკანასკნელ ნაწარმოებებს, სადაც ფსიხოლოგიზმის ყოველგვარი თვისებით ზედმეტი ადამიანების ცხოვრებაა გადმოშლილი და მათზე წუხილი და ეს იმ დროს, როცა მუშათა კლასი არა თუ ზედმეტ, არამედ აქტიურად მოქმედი კლასიური მტრის, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციასაც ახდენს, იბრძვის დაუნდობლად კაპიტალიზმის ყოველგვარი ფესვის ამოფხვრისათვის? რით არაა ამ შემთხვევაში მიხ. ჯავახიშვილი თავისი შემოქმედებით ძველი ქვეყნის რესტავრატორი, გამარჯვებული კლასის მტერი?

აშკარაა, აქ საქმე ფრიად სერიოზულია; კლასიური მტრის ბანაკში ექცევა არა თუ ის მწერალი, რომელიც ლოიალობს, ნეიტრალობს, თავს „იქცევს" უმანიზმით, არამედ პასიურობს, სდუმს, ქმნის დისტანციის ისეთ თეორიას, რომლის მიხედვით ის მხოლოდ წასული საუკუნის თემებს ამუშავებს, უცდის თანამედროვეობის „მღვრიე ტალღების" დაწმენდას, ან ალმაცერად შეჰყურებს თანამედროვეობას „უშუალო შთაბეჭდილების" თვალით, ხელებს იბერტყავს და გარბის თანამედროვეობისაგან. მაგრამ მეორეს მხრით, არც ის მწერალი შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვედ და ეპოქის მოწინავე მწერლად, რომელიც ცდილობს თანამედროვეობასთან მხოლოდ თემატიურ მოახლოვებას, რადგან აქ საკითხს საბოლოოდ სწყვეტს არა მარტო თემატიკა, არამედ მწერლის მსოფლმხედველობა, მისი თვალსაზრისი. დიალექტიურ-მატერიალისტური აზროვნება, მოვლენების რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანების თვალსაზრისით ინტერპრეტაციაა და სხვა. სწორედ საკითხის ასეთი დაყენება მოითხოვს თანამგზავრობის გადასინჯვას, ვინაიდან არც ის შეიძლება ბოლოს და ბოლოს, რომ მწერალი მუდმივი თანამგზავრი იყოს და არა მოკავშირე. სწორედ ამიტომ ამ ისტორიული აუცილებლობით თანამგზავრობამ, პროლეტარული რევოლუციის პრაქტიკის ნიადაგზე, უნდა მოახდინოს თავისი მსოფლმხედველობის გადაკეთება.

საკითხის ასე დასმა, რასაკვირველია, იმასაც არ ნიშნავს, თითქოს თანამგზავრობა დღის წესრიგიდან იხსნება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ნამდვილი თანამგზავრი ახლა არა მარტო ისაა, ვინც ჩვენს მხარეზეა, არამედ ვინც ჩვენთანაა. ზოგი თანამგზავრი, იმის გამო, რომ ვერ შესძლო საბოლოო მოახლოვება, კიდევ დაგვცილდა. თანამგზავრი ახლა მხოლოდ ისაა, ვინც მთლიანად იზიარებს პროლეტარიატის პოლიტიკას და მის ტაქტიკას.

რატომ არაა დასაშვები ისეთი მდგომარეობა, რომ მწერალთა რომელიმე ფენამ თავი შეიკავოს ჩვენს ქვეყანაში გამართული კლასიური ბრძოლისაგან, დადგეს განზე და ამოაფაროს თავი ნეიტრალობის რომელიმე სახის თეორიას? რასაკვირველია, იმისი გამო, რომ კლასიური ბრძოლის გამწვავებულ პირობებში ეს ყოვლად მიუღებელია, რადგან არაა დარჩენილი ჩვენი ცხოვრების არცერთი კუნჭული, სადაც კლასიური ბრძოლის ურთიერთობა მძაფრად არ მეღავნდებოდეს. განა ბურჟუაზიული გავლენის ყოველგვარი ფესვის ბოლშევიკური აღმოფხვრის პოლიტიკისადმი ვისმეს შეუძლია თავისი დამოკიდებულების მიჩქმალვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ან ძველი, ან ახალი ქვეყნისაკენ“ — ასე სვამს საკითხს დღევანდლობა და აქ ყოველგვარი მერყეობა, თვალთმაქცობა, ნეიტრალობა მავნებლობას უდრის.

თუ რამდენიმე წლის წინად კიდევ დასაშვები იყო „ნეიტრალობისადმი“ ნეიტრალური დამოკიდებულება, ეს დღეს შეუძლებელია. სუბიექტური აპოლიტურობა ობიექტურად კლასიური მტრის სასარგებლო წმინდა წყლის პოლიტიკაა, კლასიური მტრისადმი თანაგრძნობის სახეა.

ქართული მწერლობის ანალიზი ჯერ კიდევ ბლომად იძლევა მსგავს რეციდივებს. შეხვდები მწერალთა ამ ფენაში ისეთ მწერალსაც, რომელიც ქართული სტილის ყაიდაზე პილნიაკის რეაქციონურ დებულებასაც იცავს, თავის გამოსვლასა, და ნაწარმოებში, შესახებ იმისა, რომ „რაც უფრო ნიჭიერია მწერალი, ის მით უფრო უნიჭო პოლიტიკოსია“. ეს დებულება ცხოვრების სინამდვილისაგან გაქცევის გამართლებაა. ამიტომაც ტყვილად არ ეფარება ზოგიერთი ქართველი მწერალი ამ დებულების აშკარა სახეობას — დისტანციის თეორიას.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ დისტანციის თეორია ქართველი მწერლების თავისებური უძლურების და დაჩაჩანაკების ფილოსოფიაცაა, რომლის მიხედვით ისინი ისტორიის მატარებელს უკან რჩებიან, მაგრამ იმის მაგიერ, რომ ამ ჩამორჩენილობისა და უძლურების ნამდვილი მიზეზები შეიგნონ და გაითვალისწინონ, მათ მთელი სიბრაზე და შური მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკისადმიც მოაქვთ, რისთვისაც კიდევ იკბინებიან შემოდგომის ბუზებივით (შანშიაშვილი), იმუქრებიან ქართული ერისა და ქართული კულტურის სახელით (გამსახურდია), თხოულობენ დაკარგული გვირგვინების დაბრუნებას (აბაშელი), თხზავენ თავაგდებულ თეორიებს პროლეტარული მწერლობის შესახებ („ძნელია იმისის მტკიცება, რომ კარგ დედ-მამას უსათუოდ კარგი შვილი ეყოლება“ — მიწიშვილი). ყველაფერი ეს მძლავრად ამჟღანებს ერთი მხრით მწერალთა ამ ფენის უბადრუკობას, ჩამორჩენილობას, მაგრამ მეორე მხრით — კლასიურ შურისძიებას, ღვარძლიანობას ყველაფერი იმ ახალისადმი, რაც მათ ნიადაგს აცლის, უკან ტოვებს, უხუნებს გვირგვინებსა და დიდებას.

მართლაც და იმ მწერალს, რომელიც კიდევ წარსულისკენ იხედება, ვერ განთავისუფლებულა კონსერვატიული იდეოლოგიის ტრადიციებისაგან, რა გზა დარჩენია, თუ არა ობივატელური ჩიფჩიფი ჭაობისა და კლასიური მტრის მხარეზე დგომა. ამ გზით ვითარდება, აქეთაა ყოველი იმ მწერლის გზა, ვისაც ისევ ელიმება სოციალიზმის მშენებლობის დიად გეგმებზე, საკონტროლო ციფრები ბოლშევიკურ ბოდვად მიაჩნია, სოციალიზმი კი უნუგეშო ილუზიად, ღორბლს ჰყრის ჰუმანიზმისა და კაცობრიობის სახელით კაპიტალიზმის ნაშთების ლიკვიდაციის გამო და სხვა. რასაკვირველია, ამ მოვლენის ახსნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მწერალთა „ჩამორჩენილობის“ ფაქტით. აქ გარკვეულად მთავარ როლს კლასიურად უცხო იდეოლოგია თამაშობს, მაგრამ ჩამორჩენილობაც რომ ძლიერ კვალს აჩენს მრავალი მწერლის შემოქმედებით მუშაობას, ესეც უდავო ფაქტია, იმის გამო, რომ მწერალთა მთელი რიგი თანამგზავრული ფენა ნაკლებად ერკვევა კლასიური ბრძოლის პროცესებში, ნაკლებად ებმება სოციალიზმის შენების პრაქტიკაში და შედეგად იღებს ჩავარდნებს, მემარჯვენეობას, დაბნეულობას, ცხოვრების ტემპებისაგან დაცილებას, მით უმეტეს მაშინ, როცა რევოლუციის სინამდვილე დღითი-დღე შლის კლასიური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულ ტემპებსა და მოვლენებს. ამ მოვლენებში გარ-

კვევა და შეუცდომელი აზროვნება საჭიროებს პროლეტარული იდეოლოგიის უაღრესად მტკიცედ შეიარაღებას, აქაა სწორედ საბჭოთა მწერლობის აქილესის ქუსლი. ასე რომ ამ პირობებში ნამდვილი რევოლუციონური მწერლისათვის, ნამდვილი თანამგზავრისათვის ბრძოლა პირველ ყოვლისა ნიშნავს მწერლის პროლეტარული მსოფლმაედველობისათვის ბრძოლას.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღება, — აი პირველი და ძირითადი პირობა დღეს ნამდვილი თანამგზავრი მწერლის განვითარებისათვის, ამ მწერლის ახალი მსოფლმხედველობისათვის ბრძოლა ახალი შემოქმედებითი მეთოდისათვის ბრძოლას ნიშნავს. ისგავსად იმისა, როგორც პროლეტარული მწერლის მეთოდი დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდი ხდება, ყოველი თანამგზავრი მწერლის მეთოდი, რომელსაც ნამდვილად სურს გახდეს პროლეტარიატის მოკავშირე, დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდი უნდა იყოს. საბჭოთა მწერალი მხოლოდ ამ ერთადერთი სწორი მეთოდის საშუალებით შესძლებს სინამდვილის ობიექტურ შემეცნებას და მის სწორად შეფასებას.

გარდა ამისა თანამგზავრ მწერალთა ფსიხიკისა და მსოფლმხედველობის გადაკეთების პროცესი უნდა ხდებოდეს ამავე დროს პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლაში მონაწილეობის პროცესით, ისე რომ ეს პროცესი არა თუ მარტო ჰვრეტის საგანს წარმოადგენდეს, არამედ ბრძოლის საგანსაც, ამ ბრძოლის საბოლოო მიზნით გამსჭვალვას, ამ ბრძოლის იდეალებით შეიარაღებას. ახლა ყოველად შეუძლებელია საბჭოთა მწერლისათვის კარჩაკეტილი, ჩამორჩენილი ცხოვრება და მუშაობა. იგი უნდა გამოვიდეს ტრადიციული ატმოსფეროდან დახავსებული კაბინეთიდან და გულწრფელად ჩაებას მუშათა კლასის დიადი ბრძოლისა და დიადი მშენებლობის პროცესში.

კაბინეთიდან—წარმოებისაკენ, — აი ნამდვილი გზა საბჭოთა მწერლისა. მხოლოდ ამ გზით გახდება საბჭოთა ლიტერატურა სოციალისტური შეტევის იარაღი, მხოლოდ ამით იგი გადაიქცევა სოციალისტური რეკონსტრუქციის მონაწილე ძალად. ნაბიჯები, მართალია ამისათვის უკვე გადადგმულია, რისი თავდებია ის, რომ საბჭოთა მწერლების აქტიური ფენები, პროლეტარულ მწერლებთან ერთად, უკვე ანხორციელებენ ლოზუნგს „პირი წარმოებისაკენ". მაგრამ ეს კიდევ არაა საკმარისი. საჭიროა გამოინახოს და განმტკიცდეს მუშათა კლასთან დაახლოვების ძლიერი ფორმები.

„ფრიად საჭიროდ და სამართლიანად ახლა ჩვენში გასავალი აქვს მწერალთა ბრიგადებს, ყოველ საბჭოთა მწერალს, განსაკუთრებით მის ინტელიგენტურ ნაწილს, ბრიგადამ ბევრი რამ შესძინა და კიდევ ბევრს შესძენს... მხოლოდ რეაქციონერების მხრიდან ისმის ამ ბრიგადების წინააღმდეგ პროტესტი, როგორც ისეთი ღონისძიების წინააღმდეგ, რაც ძველი მწერლობის ტიპის ლიკვიდაციას იწვევს" — სწერდა ამ დღეებში ამხ. ლ. ავერბახი. უდავოა, რომ ეს ღონისძიება მართლა უდიდესი საშუალებაა ინტელიგენტური მწერლების სოციალისტური ბრძოლის ფართო გზაზე გამოსაყვანად და თუ ასეთი მწერალი ნამდვილად შესძლებს ქარხანაში, წარმოებაში მუშათა კლასთან დაახლოვებს, ის თანდათან შესძლებს თავისი თავის გადაკეთებასაც. ცნობილია, ამ მუშაობის გზით რაოდენ დიდი სარგებლობა მოუტანეს მწერლებმა თავის თავს და მუშათა კლასსაც. ალ. ბეზიმენსკის მაგალითი ამისი ბრწყინვალე დემონსტრაციაა (იხ. მისი წიგნი. „Стихи делают сталь" 1913 წ.). შეიძლება სხვა მაგალითების მოყვანაც.

ბრიგადაში მუშაობის ნაყოფია უსათუოდ კ. ლორთქიფანიძის უკანასკნელი მოთხრობა „ახალი გლეხები“, ალ. მაშაშვილის პიესა „განგაში“, ს. წვერავას „კოლექტივის ფართობი“ და სხვა. ბრიგადაში მუშაობის ნაყოფია ირ. აბაშიძის ლექსი „ორთქლმავალი № 4411“, ბრიგადაში მუშაობის ნაყოფია რუსი მწერლის მარიეტა შაგინიანის რეკონსტრუქციის პერიოდისათვის შესაფერისი ერთ-ერთი რომანი „ჰიდროცენტრალი“. მ. შაგინიანი, როგორც ცნობილია, ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა ძორაჰესში, რომ ეს რომანი დაეწერა.

ბრიგადაში მწერლობას მუშაობის ფორმა არა თუ მარტო მათი ფსიხიკის გადაკეთების საშუალებაა, არამედ შემოქმედებითი მუშაობის მეთოდისაც, თუ ამას მივუმატებთ მწერლის მიერ დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის შეთვისებას და ამ მეთოდის ნიადაგზე მუშაობას. ეს კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა იმისათვის, რომ „უშუალო შთაბეჭდილებებით“ დაგროვილ მასალას სწორი რევოლუციონური გაშუქება ხვდეს წილად. ეს უკანასკნელი შეუძლებელია მუშათა კლასის დღევანდელი ამოცანების ცოდნისა და პროლეტარული მსოფლმხედველობის გამომუშავების გარეშე. ამ მოვლენების გარეშე მწერალი არ შეიძლება არ იყოს ემპირიკოსი, უპარტიო ობიექტივიზმის ტყვეობაში მყოფი, უბრალო ამსახველი და მჭვრეტელი, მაშინ, როცა რევოლუციონური მწერლის დანიშნულებაა სინამდვილის ობიექტური შემეცნება და მისი რევოლუციონური შეგნება.

მუშათა კლასის მიერ სოციალიზმისათვის ბრძოლის უდიდესი ლაშქრობა, დამკვრელი ბრიგადებისა და სოციალისტური შეჯიბრების ენტუზიაზმი, გმირული ბრძოლა ქვეყნის სოციალისტური გადაკეთებისათვის — მხატვრული ლიტერატურისაგან აუცილებლად მოითხოვს დამკვრელ ტემპებსა და შესაფერის შემოქმედებით პრაქტიკას, ამას კი თანამედროვე მწერლობა ვერ შესძლებს, თუ არ შეიქმნა შესაძლებელი ახალი იდეებით გაცხოველებული რევოლუციონური მსოფლმხედველობით შეიარაღებული ტიპი ახალი მწერლისა. ამ ნიშნით უნდა იზრდებოდეს და კიდეც იზრდება საბჭოთა ლიტერატურის ჯანსაღი და მოწინავე ნაწილი.

ამ ამოცანების ბოლშევიკური შეგნებისა და გადაჭრის ნიშნის ქვეშ იზრდება და ვაჟკაცდება პროლეტარული ლიტერატურა, რომლის დანიშნულებაა — იყოს მუშათა კლასის კლასიური ბრძოლის იარაღი. პროლეტარული მწერლობა კლასიური ბრძოლის ლოგიკით თანდათან უახლოვდება ლიტერატურულ ჰეგემონიას. მაგრამ ამ გზაზე მასაც ხვდება სიძნელეები, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას ის მრავალგვარი სახით გამოხატავს. ამ ბრძოლის გამოხატულებაა დიალექტიური მეთოდისათვის აქტიური ბრძოლა, ორ ფრონტზე ბრძოლის ლოზუნგის რეალიზაცია, მწერლის ახალი ტიპისათვის საჭირო პირობების გამომუშავება, მუშათა კლასთან დაახლოვების უდიდესი ღონისძიება და სხვა.

3. დამკვრელ მუშათა გაწვევა დაწყებულია

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ვლადიმერ ილიჩის სახელობისა და კალინინის სახელობის ქარხნის მუშები (მოსკოვში) გამოვიდენ პროლეტარული მწერლობისადმი მიმართვით. ამ მიმართვაში ისინი აღნიშნავდენ პროლეტარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერლობის მიღწევებსა და ნაკლოვანებებს, მაგრამ, რაც მთავარია, აყენებდენ შემხვედრ ლოზუნგს პროლეტარული მწერლების მუშათა კლასთან მჭიდრო კავშირის შესახებ.

რით უპასუხეს პროლეტარულმა მწერლებმა მუშათა კლასის ამ მოთხოვნილებას? — ამ ლოზუნგის რეალურად განხორციელებით, რასაც დამკვრელ მუშების ლიტერატურაში გაწვევა ეწოდება.

დადგა დრო, როცა ლიტერატურის საქმე უნდა გახდეს მუშათა კლასის რევოლუციონური პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი. ამიტომ პროლეტლიტერატურულ მოძრაობაში დამკვრელი მუშების მწერლობაში გაწვევამ ისტორიული როლი უნდა ითამაშოს. გაწვევა უნდა გახდეს პროლეტლიტერატურული ორგანიზაციის უდიდესი გარდატეხის ეტაპი, პროცესი ჩვენი ორგანიზაციის გამაგრებისა და ნაპოსტოველური იდეების ბრწყინვალე გამარჯვებისა.

დამკვრელ მუშათა გაწვევა ლიტერატურაში არაა პატარა და უბრალო საკითხი. იგი პროლეტარული ლიერატურის გრანდიოზული ამოცანაა, გრანდიოზული პერსპექტივა, რომელმაც ძირ-ბუდიანად უნდა შესცვალოს პროლეტარული მწერლობის მუშაობის ფორმები, გადააქციოს იგი კლასიური ბრძოლის უფრო მახვილ და მოქნილ იარაღად. მართალია, პროლეტლიტერატურულ მოძრაობას თავისი განვითარებისა და ბრძოლის გზაზე ერთ წუთსაც არ დაუყენებია თავისი თავი მუშათა კლასის კლასიური ინტერესებისა და ყოველდღიური ბრძოლის ამოცანების გარეშე, მაგრამ რეკონსტრუქციის პერიოდის ტემპები და მძლავრად მოზარდი კულტურული რევოლუციის ამოცანები იმდენად დიდ მოვალეობას აკისრებს პროლეტარულ მწერლობას, რომ მას არ შეუძლია ძველი მეთოდებით მუშაობა. სწორედ ამიტომ, როგორც არასდროს, დღის წესრიგში დგას პროლეტმწერლობის ბოლშევიზაციისა და გამუშურების საკითხები.

დამკვრელ მუშათა გაწვევა პროლეტარულ ლიტერატურაში ისტორიული აუცილებლობით გამოწვეული ამოცანაა, იგი თავისებური რეალიზაციაა ძველი ნაპოსტოველური ლოზუნგის „პირით წარმოებისაკენ", იმ ცვლილებით, რომ ახლა პირით წარმოებისაკენ არ ნიშნავს მარტო იმას, რომ მწერალთა ფენები მიდიოდენ წარმოებისაკენ, არამედ წარმოებიდანაც, ქარხნიდანაც უნდა მოდიოდენ ლიტერატურაში მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები, საუკეთესო ენტუზიასტები, დამკვრელები. ამიტომ ლოზუნგი „პირით წარმოებისაკენ" კონკრეტულდება — „პირით დამკვრელი მუშისაკენ", რაც არავითარ შემთხვევაში არ არის მარტო ორგანიზაციული ლოზუნგი, არამედ შემოქმედებითი ლოზუნგია, ესაა პროლეტარულ მწერლობაში ახალი ასეული მუშა-მწერლების, ლიტერატორების გამოყვანის ლონისძიება, ფართო პროლეტლიტერატურული საზოგადოებრიობის შექმნის პირობა, მუშათა მკითხველთა და კრიტიკოსთა ძლიერი კადრების მომზადების საშუალება.

დამკვრელ მუშათა გაწვევა მწერლობაში არავითარ შემთხვევაში არაა დროებითი კამპანია, არამედ პროცესი, რომელიც იმდენადვე ძლიერდება, რამდენადაც იზრდება მუშა კლასის კულტურული მოთხოვნილება, რამდენადაც იზრდება მუშათა კლასის სოციალიზმისათვის ბრძოლის შეგნება. ამიტომ და ამისათვის სწარმოებს და იწარმოებს პროლეტარული მწერლობის ზრდა და შევსება ამ დამკვრელი მუშების, სოციალისტური რეკონსტრუქციის მოწინავე წარმომადგენლების ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამკვრელი მუშა უნდა გახდეს, და კიდეც გახდება, პროლეტარული მწერლობის ცენტრალური ფიგურა. მუშათა კლასს ესაჭიროება კლასიურად მახვილი, მუშათა კლასის ყოველდღიური ბრძოლის გამომხატველი ლიტერატურა, ამის შექმნა კი შეუძლებელია მწერლობაში თვით მუშათა კლასის მონაწილეობის გარეშე. ამ მონაწილეობის ძლიერი გზები უკვე გახსნილია, დაწყებულია როგორც რუსეთში, ისე ჩვენში მწერლობაში დამკვრელ მუშათა გაწვევა.

კონკრეტულად ეს იმას ნიშნავს, რომ უახლოეს ხანში საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას უნდა შეემატოს ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, წარმოებიდან მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი. საკონტროლო ციფრებია — სამასი დამკვრელი მუშა. მაგრამ უკანასკნელის გატარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ცოცხლად დააყენებენ გაწვევის საქმეს თვით პროლეტარული მწერლები, რასაც შემდგომ შეუძლია თვით მუშებისაგან შემხვედრი გეგმის გამოწვევა. ამისი თავდებია თუგინდ სტალინის სახელობის შემკეთებელი ქარხნის მუშის ამხ. ცატუროვის განცხადება: „თქვენი საკონტროლო ციფრი ჩვენს ქარხანაში ოცდაათია, ჩვენ კი შევეცდებით მივსცეთ პროლეტარულ მწერლობას ორმოცდაათი დამკვრელი მუშა!“

გაწვევა მხოლოდ ახლახან დაიწყო და რაიმე დიდი შედეგების შესახებ ჯერ ძნელია ლაპარაკი. მთელ რიგ ქარხნებსა და წარმოებებში პროლეტარულ მწერლებს ჯერ ფეხიც არ შეუდგამთ. ჯერ არავის უხსენებია არაფერი იქ გაწვევის შესახებ. მიუხედავად ამისა, გაწვევის საერთო მდგომარეობა არაა უნუგეშო. მუშები ყველგან დიდი სიხარულით ხვდებიან ყველა მწერალს, რომელიც ქარხანაში მიდის სამუშაოდ. უსათოდ ამას გრძნობენ ის მწერლებიც, რომლებიც ამ მუშაობას ეწევიან. ეს ფრიად დადებითი მოვლენაა და იმის მაჩვენებელი, რომ მუშები დიდი ინტერესით ეპყრობიან მწერლობას. სხვა საკითხია, თუ რამდენად არაა ნიადაგი ჯერ კიდევ მომზადებული იმისათვის, რომ ჩვენშიაც მიმართონ მუშებმა მწერლებს ისე, როგორც ამ დღეებში ხელმეორედ მიმართეს და საზოგადოებრივ ბუქსირზე აიყვანეს რუსეთის საბჭოთა მწერლების ფედერაცია ვლადიმერ ილიჩის სახელობის ქარხნის მუშებმა. თუ ეს ჯერ კიდევ არ ხდება ჩვენში, ამაში უსათუოდ თვით მწერლები არიან დამნაშავენი, განსაკუთრებით პროლეტარული მწერლები, რომელთაც დღემდე ვერ მოუხერხებიათ ფართო აღმზრდელობითი მუშაობა ეწარმოებიათ მუშებს შორის — მუშათა ლიტერატურული წრეებისა და სხვა საშუალებებით. ასე, მაგალითად, მეხუთე წელია, რაც გამოდის ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“, მაგრამ არავინ იცის ვინ კითხულობს მას, სად მიდის ამ ჟურნალის ორი ათასი ცალი. ჟურნალის მიღწევაა, რომ ის მთლიანად საღდება, მაგრამ სამწუხაროა, რომ მას ნაკლებად კითხულობენ მუშათა მასები. მთელ რიგ ქარხნებში მუშებმა არც კი იციან ამ ჟურნალის არსებობა და სხვ.

წარსულ დისკუსიაში შემოქმედებითი საკითხების შესახებ თუ რუსეთში მონაწილეობას იღებდენ მთელი რიგი ქარხნები („წითელი პუტილოველი“, მარტის სახელობის ქარხანა“, „ამო“ და სხვა მრავალი), ჩვენში უახლოეს ხანში წარმოებულ დიდი პოლიტიკურ-ლიტერატურული ხასიათის დისკუსიები ქარხნებისა და ქარხნის საზოგადოებრიობის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობდა, რაც, ცხადია დაუშვებელია და შეუძლებელია შემდგომაც ასე გაგრძელდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნაბიჯებს პროლეტმწერალთა ასოციაცია, რასაკვირველია, ახლა მტკიცედ და გარკვეულად დგამს. ამის თავდებია დამკვრელ მუშათა გაწვევა მწერლობაში, სადაც მუშათა ლიტერატურული წრეები უნდა გახდეს პროლეტლიტერატურული მოძრაობის დასაყრდენი ძალა, მისი მასიური მუშაობის ფორმა, მით უმეტეს მაშინ, როცა მუშებს კარგად ესმით კლასიურ ბრძოლაში პროლეტარული ლიტერატურის მნიშვნელობა.

— „ამხანაგებო! ჩვენ უსათუოდ ბევრ რამეს ვისწავლით პროლეტარული მწერლებისაგან, პროლეტარული მწერლები ჩვენი კლასის მწერლებია, ისინი ვალდებულნი არიან იყვენ ჩვენთან ჭირსა და ლხინში, მაგრამ არც ჩვენ გვაქვს უფლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ ისინი. ჩვენც შეგვიძლია ბევრი რამ ვასწავლოთ მათ“ — განაცხადა 26 კომუნარის სახელობის ქარხნის ერთ-ერთმა მუშამ დამკვრელთა შეკრებაზე. ეს პროლეტარული მწერლობის დანიშნულების უდავოდ კლასიური გაგებაა, რაც პროლეტარულ მწერლებს ავალებს უფრო მეტი საფხიზლით მოეკიდონ წამოყენებული ლოზუნგის „პირით წარმოებისაკენ, პირით დამკვრელობისაკენ“ რეალურად განხორციელებას.

— მუშებს არ უყვართ მარტო ცალიერი და ლამაზი სიტყვები, არ უყვართ, როცა მათ ატყუებენ, — აცხადებდა ლენრაიკომის ერთ-ერთ თათბირზე მუშა ამხ. ვაშაკიძე.

ამით ის თითქოს აფრთხილებდა იმ მწერლებს, რომლებიც ქარხანაში მიდიან დაპირებებით და შემდეგ მას არ ასრულებენ. ჩვენს რიგებში კი მოიპოვებიან ისეთი პროლეტარული მწერლებიც, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მიმაგრებული არიან ქარხნებზე, ერთხელაც არ მისულან ქარხანაში, ან, თუ მისულან, მხოლოდ ერთხელ, ისიც დაპირებით და ლამაზი სიტყვებით.

იმის გამო, რომ გაწვევის საქმეს სრულიად უყურადღებოდ ეკიდება ჩვენი ბეჭდვითი ორგანოებიც („მუშა, „კომუნისტი“, „რაბოჩაია პრავდა“), პროლეტარულ მწერლებს ქარხნებში უხდებათ გაწვევის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის შექმნისათვის დიდი ბრძოლა, მაშინ როცა პროფკავშირების დახმარებით, პრესის და სხვა ორგანიზაციების დახმარებით შეიძლებოდა პრაქტიკულად მეტი მიღწევები გვქონოდა, ვიდრე დღესა გვაქვს. ჯერჯერობით ბრიგადების მუშაობა სწარმოებს (პროლეტარული მწერლების ბრიგადები) სტალინის სახელობისა და 26 კომუნარის სახელობის ფაბრიკაში, მაუდის ფაბრიკაში, ტრამვაიში, ტყავტრესტში, აბრეშუმის ახალ საქსოვ ფაბრიკაში და სხვაგან, მაგრამ ეს სრულებით არაა საკმარისი.

გაწვევის გარეშე არ უნდა დარჩეს არცერთი წარმოება, არცერთი ქარხანა, დამკვრელი მუშის ლიტერატურაში გაწვევა არ უნდა დარჩეს არცერთი დამკვრელი მუშის ყურადღების გარეშე.

ალექსანდრე სულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდეალიზმის და ნაციონალიზმის წინააღმდეგ ლიტერატურის მეცნიერების ფრონტზე

გიორგი ნატროშვილი

სოციალიზმის ყოველდღიური ზრდისა და ყველა ფრონტზე სოციალისტური შეტევის გაძლიერებასთან ერთად პროლეტარიატი თანდათან იკავებს მბრძანებელ სიმაღლეებს იდეოლოგიურ ფრონტზეც. მწვავდება კლასობრივი ბრძოლა. ამავე დროს როგორც აშკარა, ისე ნიღაბაფარებული კლასიური მტრის აგენტურა მრავალგვარი მეთოდით ცდილობს შემოგვაპაროს რეაქციონური და ბურჟუაზიული იდეები. იდეოლოგიურ ფრონტზე კლასიურ მტერთან ბრძოლისა და მისი განადგურების პროცესთან ერთად იზრდება პროლეტარული მეცნიერება. მარქსიზმის, პროლეტარულ მსოფლმხედველობის მეცნიერული უპირატესობა უკვე თვალსაჩინო ფაქტია. თანამედროვე ეპოქის აქტუალურ მოთხოვნილებას წარმოადგენს დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისის თანამიმდევრად გატარება სპეციალურ მეცნიერებათა ყველა დარგში.

კლასობრივი ბრძოლა თავის მკვეთრ გამოხატულებას პოულობს, როგორც მხატვრული ლიტერატურის, ისე ლიტერატურული მეთოდოლოგიის და ესთეტიკის სფეროებშიაც. დიალექტიური მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლით დაინტერესებულია ძველი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ის წრეები, რომელთაც ჯერ კიდევ „არ დაუყრიათ ფარხმალი“ და რომელთა ზურგს ეფარებიან მომაკვდავი კლასების ნარჩენები. მათ წინააღმდეგ იზრდება მასების მონაწილეობა კულტურულ რევოლუციაში, იზრდება პროლეტარული ინტელიგენციის ახალი კადრები, თანამგზავრული ინტელიგენციის ფენები მჭიდროდ უკავშირდებიან რევოლუციის საქმიანობას. ასეთ პირობებში სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს რეაქციონური იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლენას. „პროლეტარიატის დიქტატურის საბჭოთა ქვეყანაში კერძო ავტორს პროლეტარული დიქტატურის ლაგამი უნდა ჰქონდეს ამოდებული“ (ლ. კაგანოვიჩი)[1]. ამხ. კაგანოვიჩის ეს განცხადება საკვანძოთ სწორად მიუთითებს კლასიურ მტერთან ბრძოლის აუცილებლობაზე, რომელიც ხშირად ახდენს მანევრებს ცალკეულ მეცნიერებათა სფეროში.

[1] იხ. ლ. კაგანოვიჩი — საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. საორგანიზაციო ანგარიში მეთექვსმეტე პარტიულ ყრილობაზე.

„ჩვენს პირობებში იდეალიზმის აღდგენა კლასობრივი ბრძოლის გამწვავების გამომხატველია, მისი უტყუარი ნიშანია. აუცილებელია ხაზი გავუსვათ იმ მოვლენას, რომ, ჩვენი კავშირის თავისებური განვითარების პირობებში, კლასობრივი ბრძოლა ხანდახან ძლიერ მწვავდება; მაშინ ბუნებრივია, რომ იდეოლოგიური ფრონტის გარღვევა ხდება და მარქსიზმთან მტრულად განწყობილი შეხედულებანი გამოდიან განსაკუთრებული გამბედაობით და თავხედობით. სწორედ ასეთ მომენტში ვიმყოფებით ახლაც... იდეალიზმს ჩვენში ძლიერ თავისებური ელფერი მიუღია, ის მსოფლმხედველობის ზოგად პრობლემებს კი აღარ ამუშავებს, არამედ კერძო და ცალკეულს პრობლემებს ესთეტიკისა, ლოგიკისა, ენის ფილოსოფიისა და... დიალექტიკისა“ [1].

როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოს პირობებშიაც დახავსებული იდეალიზმის და უდღეური ეკლექტიზმის წარმომადგენელნი ცდილობენ ლიტერატურის მარქსისტული კვლევა-ძიების თანამიმდევრად განვითარებას ხელი შეუშალონ და აქედან ასპარეზი გაუხსნან პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი იდეების ფართოდ გავრცელებას. საჭიროა მათ წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლის წარმოება, უამისოდ შეუძლებელია შეუჩერებელი წინსვლა. ლიტერატურის კლასობრივი პრაკტიკის დიალექტიურ-მატერიალისტური ახსნა და შესწავლა პროლეტარული კრიტიკის მთავარი ამოცანაა. ეს მოვლენა მოითხოვს იმ იდეალისტური ბურუსის გაფანტვას ლიტერატურის მეცნიერებაში, რომელიც ხშირად ვრცელდება ნაციონალისტური და ბურჟუაზიული ინტელიგენციის მიერ. ამ წერილის მიზანია შეფასებულ იქნეს ასეთი ინტელიგენციის ერთ-ერთი წარმომადგენელის — ვ. კოტეტიშვილის — მსოფლმხედველობა, რომლის რეაქციონური შეხედულებანი ქართული ლიტერატურის ისტორიის თავისებურ იდეალისტურ ახსნა-განმარტებას იძლევიან. კოტეტიშვილი სწერდა:

„დიდის სიფრთხილით და შიშით აღვძარით ისეთი საკითხები, როგორც, მაგალითად, ლიტერატურის მეცნიერების მეთოდოლოგიური მხარე... მე არ გავიზიარე ის გაბატონებული შეხედულებანი, რომელსაც სკოლის პირველი კლასიდანვე ასწავლიან და ვცადე ახალი კუთხით მისვლა“ [2]. ეს საკვლევით თვალთმაქცური განცხადებაა. ავტორი სინამდვილეში არავითარი ახალი თვალსაზრისის შეტანას არ ცდილობს ლიტერატურის ისტორიის კვლევის საქმეში. იგი მხოლოდ ერთხელ კიდევ იმეორებს ნაციონალისტურ „ფილოსოფიას“ თავისი იდეური წინაპრებისა (კ. აბაშიძე და სხვა), რომელიც, დაბრმავებულნი თავადაზნაურობის კლასობრივი ინტერესით, ყოველ ნაბიჯზე აგინებდენ რადიკალურად განწყობილ მწერლებს. ვ. კოტეტიშვილის შრომა ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ ყოველმხრივად რეაქციონურ, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ დებულებებს შეიცავს. უკანასკნელ ხანებში არის ცდები იდეალისტური ესთეტიკის აღდგენისა; ამ მხრივ კოტეტიშვილი მარტო არ არის. გზადაგზა ჩვენ შევეხებით ზოგიერთი დაბნეული ეკლექტიკოსის შეხედულებებს, რომელნიც ობიექტურად კლასიური მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს. იდეალისტური ესთეტიკა ეყრდნობოდა მარადიული სილამაზის ობიექტური არსებობის

[1] იხ. „Вестник ком. Академии — КН. 32 (2), გვ. 4.

[2] ვ. კოტეტიშვილი — „ქართ. ლიტერ. ისტორია“, ნაწილი I, გვ. VI. ხაზი ჩემია — გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრინციპს, რომელიც, მისი აზრით, აბსოლუტური იდეის გამოვლენას წარმოადგენდა. ასეთ ბურჟუაზიულ-კლასიური მტრის იდეოლოგიასთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მარქსიზმის შერიგება.

როგორც ცნობილია, რეაქციონური ფორმალიზმი (შკლოვსკი, ეიხენბაუმი და სხვა), ინტუიტივიზმის და ნეოკანტიანიზმის ესთეტიური „ფილოსოფია" (ვორონსკი, გორბოვი, ლეონევი, პაკენტრეიგერი და სხვა). ვულგარულ — მექანისტური მეთოდოლოგია (პერევერზევი და მისი მოწაფეები) და სხვა ცალკეული ეკლექტიკები უკანასკნელ წლებში სასტიკ ბრძოლას აწარმოებდენ დიალექტიური მატერიალიზმის წინააღმდეგ. ისინი პლეხანოვის შეხედულებებთან ბრძოლის სახელით ებრძოდენ მარქსიზმს. ამგვარ მიმდინარეობათა საპასუხოდ იზრდება მარქსისტული ლიტერატურის მეცნიერება, რომლის ყველა პრინციპი ისტორიის მატერიალისტური გაგებიდან გამომდინარეობს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, ერთგვარი ლიბერალური ტენდენციების წინააღმდეგ, რომ არავითარი „უპარტიო" მარქსიზმი არ შეიძლება არსებობდეს. ამ ფაქტით ჩვენ ხაზს ვუსვამთ ყოველგვარი ეკლექტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. „სიტყვები: მარქსიზმი და კომუნიზმი — მხოლოდ სხვადასხვა სახელწოდებებია ერთიდაიგივე მსოფლმხედველობისა. არავითარი სხვა მარქსიზმი, გარდა კომუნიზმისა, არ არსებობს". ამ თვალსაზრისით მხოლოდ ის თეორია შეიძლება ჩაითვალოს მატერიალისტურად, რომელიც შეეფარდება კომუნისტური პარტიის, პროლეტარიატის ხელმძღვანელი პარტიის თვალსაზრისს.

ამ ნიადაგზე იზრდება პროლეტარული კრიტიკა და ლიტერატურის თეორია, რომელიც ამჟამად ულმობელ ბრძოლას აწარმოებს ორ ფრონტზე დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდის ყოველგვარი რევიზიის წინააღმდეგ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ რევიზიონიზმის გარდა ფრიად საშიში მტერია იდეალიზმი, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენელია ქართულ მემარჯვენე-რეაქციონურ მწერლობაში კოტეტიშვილი. იდეალიზმი და ნაციონალიზმი ყოველთვის შეერთებული ძალით იბრძვიან თანამედროვეობის წინააღმდეგ. ეს დებულება საუკეთესოდ მტკიცდება კოტეტიშვილის მაგალითზე. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კოტეტიშვილს ძალზე „უცნაური" შეხედულება აქვს მატერიალიზმზე. განსაკუთრებით მკვეთრადაა გადმოშლილი მისი რეაქციონური თვალსაზრისი „ნეოროომანტიზმის" განხილვის დროს.

კოტეტიშვილი სწერს „ქართ. ლიტ. ისტორიის" მესამე ნაწილში:

„ჩვენი ნეოროომანტიკოსებიც წინააღმდეგნი იყვნენ იმ საშინელი სინამდვილისა, რომელიც დამპყრობი ნაბიჯით მოდიოდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იგი ნივთიერად აღატაკებდა ხალხს, არამედ იმიტომ, რომ სულს ურყვნიდა. ამ დაპირისპირებაში, მოხდა ისე, რომ მთა და ბარი თითქოს ორ პოლუსად იქცენ და ბარი რომ ნივთიერი აღორძინებისაკენ იკვლევდა გზას, მთა სულის განახლებას ავალებდა, ბარი რომ რეალიზმის და ნატურალიზმის დაბლდებებში ჩადიოდა, მთა იდეალიზმის სიმაღლეებისაკენ მოუწოდებდა". „მსოფლიო ლიტერატურაში ვაჟა და ყაზბეგი განმარტოებით არიან და მათთანვე არის მთას შეფარებული ქართული სულიც". „მოდიოდა ახალი საუკუნე შეუბრალებლად, გულში ანგარება ედო და თავი კი დამძიმებული ჰქონდა უსირცხვილ სარგებლის მზაკვრული ფიქრით". „სულიერი სილამაზე იქ არის საძიებელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც პიროვნება ათრეულია, მექანიზმად გადაქცეული და გარემოებით გალეესილი, კუთხე გაცვეთილი, სულს ცივილიზაცია ჰკლავს და მატერიას ამტკიცებს". „ეს თანდათანობითი ამაღლება, (ლაპარაკია მთის ეთიურ იდეალიზმზე — გ. ნ.) კაცობრიობის სიყვარულით გაერთიანება, დიდი ზნეობრივი აღდგომა ჰხიბლავს ჩვენს პოეტს და საამისოდ დამდგარ გმირებს ეთაყვანება"[1].

ამ ამონაწერიდან ერთი რამ ცხადია: კოტეტიშვილის აზრით, რეალიზმი „დაბლობია", იდეალიზმი კი „მაღლობი", მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასასრულში იწყო ზრდა ერთის მხრივ „მესამე დასის" იდეებმა, ხოლო, მეორეს მხრივ ამ დროს უკვე ბატონობდა ლიტერატურაში ყაზბეგის რომანტიული პროზა, მას მხარში ედგა ვაჟა ფშაველას პოეზია. ამ ნიადაგზე კოტეტიშვილს პარალელიც კი გაჰყავს მთასა და ბარს შორის; მისი აზრით, „მატერიის განმტკიცება" ნიშნავდა „სულიერ დაცემას", რომლიდანაც ადამიანის დაცვა შეეძლო მხოლოდ იდეალიზმის „ზნეობრივ" აღდგენას". ესაა წმინდა წყლის ფილისტერული შეხედულება მატერიალიზმზე.

ფრ. ენგელსი სწერდა:

„მატერიალიზმი ფილისტერს ესმის, როგორც ღორმუცლობა, ლოთობა, სიხარბე, ავხორცობა, მლიქვნელობა, სიძუნწე, ანგარება და საბირჟო გაიძვერობა; ერთი სიტყვით, მას ამ ცნებაში შეაქვს მთელი ის ჭუჭყიანი სიბინძურე, რომელსაც თვით მისდევს ფარულად, პირიქით, იდეალიზმი მისთვის სათნოების რწმენაა, მთელი კაცობრიობის სიყვარული და, საზოგადოდ, უკეთესი ქვეყანა, რომლის შესახებ ის სხვების გასაგონად ყვირის და რომელსაც თვით მაშინ იწამებს ხოლმე როცა თავი სტკივა სმის შემდეგ, ან როცა გაკოტრებულია, ერთი სიტყვით, როცა „მატერიალური სიჭარბის" არასასიამოვნო შედეგებს გრძნობს და თან ღიღინებს: რა არის ადამიანი. ნახევარი მხეცი, ნახევარი ანგელოზი. ეს ცრუმორწმუნეობა ფილისტერებში ხუცების ხანგრძლივმა ქადაგებამ ჩანერგა"[2].

ენგელსის მიერ გენიალურად დახასიათებული ფილისტერის მსოფლმხედველობა — ეს არის მსოფლმხედველობა კოტეტიშვილისა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გაჰკივის იმის შესახებ, რომ მხოლოდ მთაშია „სულის სიწმინდე". მთაში ინახება იდეალიზმი და სხვა... აქ მეღავნდება კოტეტიშვილის მეთოდოლოგიის მთელი იდეოლოგიური რაობა. ჟან-ჟაკ რუსოს დაგვიანებული ეპიგონი ამით არ კმაყოფილდება, იგი გააფთრებული იბრძვის ხელოვნების მარქსისტული გაგების წინააღმდეგ. ამ მიზეზის გამო კოტეტიშვილის ისტორიაში ყველაფერი არეულია, ავტორი ვერ ახერხებს ფაქტების მეცნიერულ სისტემატიზაციას, მათ მიზეზშედეგობრივ დალაგებას.

ლიტერატურის მეცნიერების ძირითად საკითხს წარმოადგენს ობიექტისა და სუბიექტის მიმართების საკითხი. ამ საკითხის სწორ გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების რაობის ამოხსნის საქმეში. იდეალისტები ამ საკითხში საკვლევით საწინააღმდეგო საბუთებს აყენებენ, ამ შემთხვევაში კოტეტიშვილის სიმპატია მათს მხარეზეა.

---

[1] იხ. „ქართული ლიტერ. ისტორია" ვ. კოტეტიშვილისა, ნაწილი III, გვ. 50, 51, 52, 53, 76, 121. ხაზი ყველგან ჩემია — გ. ნ.

[2] ფრ. ენგელსი — „ლუდვიგ ფეიერბახი" — გვ. 68 — 69.

* * *

„დიდი ძირითადი საკითხი ყველა, სპეციალურად კი ახალი ფილოსოფიისა, არის აზროვნების და არსის დამოკიდებულების შესახებ“ (ფრ. ენგელსი). ობიექტისა და სუბიექტის მიმართების საკითხს გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ლიტერატურაშიაც. ამ საკითხის გარკვევის გარეშე შეუძლებელია მხატვრული ფაქტის სოციოლოგიური ანალიზი. ამ საკითხის თავისებური განმარტების ნიადაგზე ჩნდება მთელი რიგი ეკლექტიკური „თეორიები“, რომელთა წარმომადგენლებს ან ვერ გაუგიათ, ან არ სურთ გაიგონ მარქსიზმის პასუხი ამ საკითხზე.

ლიტერატურის ერთგვარი სპეციფიურობა, რომელიც მას ანსხვავებს მეცნიერებათა სფეროდან, სრულებითაც არ იძლევა იმის საბუთს, რომ ჩვენ ლიტერატურა გამოვთიშოთ საზოგადოებრივი შეგნების სფეროდან, როგორც ამას სჩადის პროფ. შ. ნუცუბიძე. ლიტერატურა პირველყოვლისა საზოგადოებრივი მოვლენაა, იდეოლოგიური ზედნაშენი; თუმცა არა ისეთი სფერო შეგნებისა, როგორც მეცნიერება. ამრიგად, ხელოვნურ ნაწარმოებში ობიექტისა და სუბიექტის თავისებური დამოკიდებულებაა. ამ დებულების წინააღმდეგ იბრძვის შ. ნუცუბიძე თავის „ხელოვნების თეორიაში“, რომელიც ნამდვილი ეკლექტიზმის, არევ-დარევის და იდეალისტური აზრების შემცველია. წინასიტყვაობაში ნუცუბიძე აცხადებს, რომ მისი წიგნი „მთლიანად ემყარება ალეთეიოლოგიური რეალიზმის ნიადაგზე მიღწეულ შედეგებს“ (გვ. IV). ნუცუბიძე დასახელებულ წიგნში აშკარად აცხადებს პრეტენზიებს დიალექტიური მატერიალიზმის რევიზიაზე, „ისტორიული მატერიალიზმით დაწყებული, — სწერს ნუცუბიძე — ავტორი დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა ფილოსოფიურ პრობლემათა შესწავლასა და გადასინჯვას და ამდენად მის მუშაობას ძებნისა და კვლევის ხასიათი ჰქონდა. ამდენადვე დიალექტიური მატერიალიზმის არსენალიდან ამ წიგნში გამოყენებულია ყოველივე ის, რაც ამ ძებნის დროს მტკიცე და მძლე აღმოჩნდებოდა“. ეს არის ეკლექტიზმის საპროგრამო ფორმულა, რომლის მიხედვით განხილული აქვს ნუცუბიძეს ხელოვნების თეორიის ყველა ძირითადი საკითხი.

ნუცუბიძის აზრით, „შემეცნებამ უნდა სთქვას ი ს, რ ა ც ა რ ი ს“, შემეცნება არაა არსებულის გარეთ და იმავე დროს ეხება არსებულს“ [1].

ამის შემდეგ ავტორი ატარებს პარალელს ხელოვნებასთან და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნება არ არის შემეცნება. ამ წინასწარ შეხედულებას ნუცუბიძე ფორმალიზმამდე მიჰყავს „ხელოვნების არც ღირსებას და არც აზრს მისი იდეა კი არ ჰქმნის, არამედ იდეის განხორციელების ნაირობა“ [2]. ნუცუბიძის აზრით, შემეცნება არის გზა ჭეშმარიტებისაკენ, ხელოვნება — გზა მშვენიერებისაკენ. ყოვლად გაუგებარი და მიუღებელი კლასიფიკაციაა. ამ ფორმულის ერთად-ერთი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მკვეთრად გამოხატავს ხელოვნების ზეკლასიურობის და თვითმიზნობრიობას თეორიას. „შემეცნება არ ეგუება თავისუფალ მიმართვას... შემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების

[1] „ხელოვნების თეორია“, გვ. 7.
[2] იქვე, გვ. 12.

ნიადაგზე"[1]. ავტორის აზრით, ხელოვნება „არაგადატანითი ფენომენი", ე. ი. იგი არ ეხება არსებულის სფეროს, იგი მეტაფიზიკური ბუნებისაა. ამ თვალსაზრისით ხელოვნებას არა აქვს არავითარი მიზანი. „შემოქმედება, — სწერო ნუცუბიძე — სწორია მაშინ, როდესაც იგი უშუალოა, შემცდარი, ანუ, უფრო სწორედ — ყალბი, — როდესაც მას და შემოქმედს შორის რეფლექსია, ე. ი. მიზანშეწონილების მიზნის მიხედვით გზებისა და საშუალების ძებნა ხდება"[2]. ამრიგად, ხელოვნებას ახასიათებს, ნუცუბიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოველივე მიზნის გარეშე ყოფნა".

გამომდინარე აქედან, ნუცუბიძე სწერს:

„მე"-სა და „არა-მე"-ს მიმართება, როგორც დაპირისპირების ერთ-ერთი ფორმა, არ არსებობს ესთეტიკისათვის, რადგან მას საქმე აქვს „არაგადატანით ფენომენებთან. ეს, როგორც ვიცით, ნიშნავს, რომ ესთეტიური ღირებულება იქმნება უშუალოდ, თვით მისსავე ფენომენში, და არა შუალობით, სხვა ფენომენში გადასვლით"[3] და სხვ., ეს არის წმინდა წყლის იდეალისტური შეხედულება, — „ხელოვნება მაშინაა ნამდვილი, თუ მას არსებულის იქით მივყევართ". ავტორის აზრით, ხელოვნება არის „უხილავის ხილვა", იგი არ არის სინამდვილის მხატვრული შემეცნება; ამრიგად, ნუცუბიძე ცდილობს მოხსნას ობიექტისა და სუბიექტის მთლიანობა მხატვრულ ფაქტში.

ეს, რასაკვირველია, ახალი „თეორია" არ არის. ამ შემთხვევაში ნუცუბიძე ორტოდოქსალური მოწაფეა არჩილ ჯორჯაძისა. „ხელოვნება ზედმეტია, ვიდრე სინამდვილე, — სწერდა ჯორჯაძე, — ამიტომ ადვილი მისახვედრია ის, თუ ხშირად რატომ სცილდება ხელოვნება ემპირიულ მოვლენათა ფარგალს და რატომ ცდილობს ესთეტიურის ხილვის საშუალებით დაგვანახვოს ის, რაც სინამდვილეში არ არის"[4]. როგორც ვხედავთ, ამ წერტილში ჯორჯაძე და ნუცუბიძე სავსებით ხვდებიან ერთიმეორეს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჯორჯაძეს შესაფერი პოლიტიკური დასკვნები გამოჰყავდა ნათქვამიდან, ხოლო ნუცუბიძე ამას არ სჩადის. ხელოვნებას არ უნდა ეხებოდეს რვასაათიანი სამუშაო დღისათვის ბრძოლაო, — სწერდა ჯორჯაძე. ეს პრინციპი სინამდვილის გარეშე დგომისა ლოგიკურად გამომდინარეობს ნუცუბიძის ნააზრევიდანაც.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ხელოვნება არაა მეტაფიზიკური ბუნების „არაგადატანითი ფენომენი" და იგი წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის უაქტიურეს იარაღს. ხელოვნება იდეოლოგიური ზედნაშენია. რა საზღვარი არსებობს მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის? პირველყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვარი საზღვარი უთუოდ არსებობს იდეოლოგიის ამ ორ დარგს შორის, ამიტომ სავსებით შემცდარია ლეფის შეხედულება, რომელმაც მშრალი რაციონალიზმის ნიადაგზე სცადა არსებითად ხელოვნების ლიკვიდაცია, ხსენებული საზღვარი არ ეხება შინაარსის სფეროს.

მეცნიერული შემეცნების რაობა გენიალურად განსაზღვრა ლენინმა. მისი აზრით შემეცნება არის ცნებებით გამოხატული საგნები და მოვლენები, რომელნიც არსებობენ ობიექტიურად, დამოუკიდებლად ჩვენი ცნობიერებისა. „მატერი-

[1] იქვე, გვ. 60.
[2] იქვე, გვ. 75.
[3] იქვე, გვ. 101.
[4] არჩ. ჯორჯაძე — „ნააზრევი", წიგნი მესამე: „ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია", გვ. 38.

ალიზმი ამტკიცებს ობიექტისა და სუბიექტის მთლიანობას და არა მათ იგივეობას. „მსოფლიოს ნამდვილი მთლიანობა მის მატერიალურობაში მდგომარეობს“ (ფრ. ენგელსი). მონიზმის ეს მახვილი ფორმულა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქვეყანა მთლიანია, რომ იდეალური სხვა არაფერია, გარდა ადამიანის თავში გადამუშავებული მატერიალურისა. მაშასადამე, ლაპარაკი ობიექტისა და სუბიექტის იგივეობაზე — ეს იქნება დათმობა სუბიექტიური იდეალიზმის მიმართ, რომლის აზრით სამყარო არაფერია, გარდა ადამიანის წარმოდგენებისა და შეგრძნებისა. „თითოეული კერძო ადამიანის შეგნების განვითარება, აგრეთვე მთელი კაცობრიობის კოლექტიური ცოდნის განვითარება ყოველ ფეხის გადადგმაზე გვიჩვენებს, რომ შეუცნობელი „საგანი თავისთავად“ იქცევა „საგნად ჩვენთვის“ შეუცნობელი აუცილებლობა, „აუცილებლობა თავისთავად“ — შეცნობილ „აუცილებლობად ჩვენთვის“. გნოსეოლოგიურად არავითარი განსხვავება არ არსებობს ამ ორ გარდაქმნას შორის, იმიტომ რომ ძირითადი თვალსაზრისი აქ და იქ ერთი და იგივეა, სახელდობრ — მატერიალისტური, ე. ი. გარეგანი ქვეყნიერების და მისი კანონების ობიექტური რეალობის აღიარება. ეს ქვეყნიერება და ეს კანონები ადამიანის თვალსაზრისით სავსებით შესაცნობია, მაგრამ არასოდეს არ შეიძლება ბ ო ლ ო მ დ ე შეცნობილ იქნას“ [1]. ეს თვალსაზრისი ლენინისა მთლიანად ახასიათებს შემეცნების რაობას. შემეცნებას გააჩნია თავისი საფეხურები, მომენტები. „პირველად ბუუტავენ შთაბეჭდილებანი, შემდეგ მას გამოეყოფა რაღაც, შემდეგ ვითარდება თვისობრიობის (საგნის და მოვლენის გარკვევა) და რიცხობრიობის ცნება. შემდეგ შესწავლა და აზროვნება აზრს მიმართავს იგივეობისა — სხვაობისა, საფუძვლისა, მოვლენისა, მიზეზისა და სხვა შესამეცნებლად. შემეცნების ყველა ეს მომენტი (ნაბიჯები, პროცესები, საფეხურები) მიიმართება სუბიექტიდან ობიექტამდე, გამოიცდება პრაქტიკაზე და ამ გამოცდით გადადის ჭეშმარიტებაში („აბსოლუტურ იდეიას“) [2].

ამრიგად მსოფლიოს შემეცნება რთული პროცესია, რომელიც ბოლოს მიდის ობიექტიურ ჭეშმარიტებამდე. ამ უკანასკნელის არსებობაში ეჭვის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენლებს და მათს ბრმაყრუ მიმდევრებს. საგნების ა ს ე თ ი შემეცნება მეცნიერების ფუნქციაა. „მეცნიერული შემეცნება და, მაშასადამე, დიალექტიური მეთოდიც არ ჩერდება უშუალოდ მოცემულის აღწერაზე. გარეგანი კავშირების და მრავალსახეობის აღწერა არის აუცილებელი და მხოლოდ პირველი საფეხური შემეცნებისა... ამიტომ შემეცნება აუცილებელი განვითარებით გადადის არსის კატეგორიიდან ა რ ს ე ბ ი ს კატეგორიამდე, რომელიც გამოხატავს საერთო კავშირს, კანონშეზომილებას, აუცილებლობას“ (ი. პოდვოლოცკი) [3]. ამრიგად, როგორც ჰეგელი ამბობდა, უშუალობის, არსის კატეგორიაზე ვერ შეჩერდება შემეცნება. ლენინი ჰეგელის აზრების განხილვის ნიადაგზე დაასკვნიდა:

„Понятие (познание) в бытии (в непосредственных явлениях) открывает сущность (закон причины, тождество, различие); таков действительно общий ход всего человеческого познания (всей науки) вообще. Таков ход

[1] ვ. ი. ლენინი — „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, გვ. 192, ტომი მეცამეტე.
[2] იხ. Ленин. сбор. XII — გვ. 291.
[3] იხ. Ленинский конспект „Науки логики“ и проблемы матер. диалектити.

и естествознания и истории, и политической экономий"[1]. ლენინმა მატერიალისტურად შეაბრუნა ჰეგელის მიერ შემჩნეული დიალექტიური მოძრაობა მსოფლიოსი. ამ ამონაწერში სავსებით განსაზღვრულია მეცნიერების ფუნქციონალური დანიშნულება. შემეცნება ცნებების საშუალებით არსიდან მიდის არსებამდე, უშუალობიდან შუალობამდე. ასეთია მეცნიერების გზა, ობიექტური ჭეშმარიტებისკენ მიმავალი. მეცნიერება ცნებების და აბსტრაქციების სამეფოა, ამ აბსტრაქციების ობიექტიური ჭეშმარიტების სახით არსებობის დამადასტურებელი არის პრაქტიკის კრიტერიუმი. „შემეცნება არის ადამიანის მიერ ბუნების გამოხატვა. მაგრამ ეს უბრალო, უშუალო და ერთი მთლიანი გამოხატვა კი არ არის, არამედ მთელი რიგი აბსტრაქციების პროცესია, ფორმულების, ცნებების ჩამოყალიბებისა, კანონებისა და სხვა" (ლენინი), ამ გზით მეცნიერება ჭეშმარიტად გამოხატავს გარეშე სამყაროს.

ასეთია მეცნიერების რაობა.

ახლა ჩვენ გვაქვს საშუალება გავატაროთ მისი ერთგვარი პარალელი ხელოვნებასთან. არის თუ არა ლიტერატურაც მეტაფიზიკური ბუნების „არაგადატანითი ფენომენი" როგორც ამას ნუცუბიძე ფიქრობს? ჩვენ ზემოთ საკმარისად დავახასიათეთ მეცნიერების რაობა, აქ კი ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ხელოვნება განსხვავდება მეცნიერებისაგან არა შინაარსით, არამედ ამ შინაარსის გადმოცემის საშვალებით. მეცნიერება აბსტრაქციებით და ფორმულებით გადმოგვცემს სინამდვილეს, ხოლო ხელოვნება — სახეებით. „ხედავენ, რომ ხელოვნება და მეცნიერება ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ვერ ხედავენ ხშირად, რომ განსხვავება მათ შორის არის არა შინაარსის მხრივ, არამედ ისინი ერთიმეორისაგან განირჩევიან მოცემული შინაარსის დამუშავების საშუალებებით. ფილოსოფოსი მსჯელობს სილოგიზმებით, პოეტი — სახეებით და სურათებით, მაგრამ არსებითად ისინი ერთსა და იგივეს ამბობენ"[2] (ბელინსკი). აქ ბელინსკი სავსებით მართალია. ამას ამბობდა პლეხანოვიც:

„ფილოსოფიას საქმე აქვს ჭეშმარიტებასთან, მასთანვე აქვს საქმე ხელოვნებასაც. მაგრამ ფილოსოფოსი ჭეშმარიტებამდე მიდის ცნებების საშუალებით, ხელოვანი კი სახეებით"[3]. ნუცუბიძის აზრით, ხელოვნების მიზანი უხილავი მშვენიერების ხილვაა, რომელიც, თურმე, არსებულის იქით ძევს, პლეხანოვის აზრით კი ხელოვნების მიზანი ჭეშმარიტებაა, ხელოვნება — სახეებით აზროვნებაა. ამით განსხვავდება იგი მეცნიერებისაგან. „ხელოვნება არის ფორმა სინამდვილის კლასიურ-სოციალური შემეცნებისა. ამიტომ ხელოვნება შემეცნების სახეობაა, განსხვავებული მეცნიერებისაგან"[4]. ამ განსხვავების წაშლა რაციონალიზმის გზაზე შედგომას ნიშნავს. ასეთი შეცდომის წინააღმდეგ ყოველთვის უნდა იბრძოლის პროლეტარულმა კრიტიკამ. ხელოვნების, როგორც შემეცნების, უარყოფა და იდეური მომენტის იგნორაცია მხატვრულ ფაქტში დამახასიათებელია იდეალისტური და ფორმალისტური აზროვნებისათვის. ამ გზით წავიდა რუსეთში ვორონსკის სკოლა, რომელსაც, შედარებით კანტის ესტეტიკასთან, ახალი არაფერი არ უთქვამს: თუ სილამაზე არსებობს, როგორც აბსოლუტური და უცვლელი

[1] იხ. Лен. сбор. IX.

[2] В. Белинский — „собр. соч." т. XI, გვ. 363.

[3] პლეხანოვი — собр. соч. т. XVIII.

[4] იხ. ლ. ავერბახი — „Твор. пути" და სხვა... გვ. 286, კრებული მეორე.

ობიექტური რაობა და ხელოვნება მხოლოდ მისი ხედვაა (როგორც რუსეთში ვორონსკი და ჩვენში კოტეტიშვილები ფიქრობენ), მაშინ, თავისთავად ცხადია, აქ საქმე გვაქვს შემეცნების მაგიერ მეტაფიზიკის ბურუსში გახვეულ სილამაზის იდეის განჭვრეტასთან.

„შეუძლებელია, მხატვრულ ნაწარმოებში არ იყოს იდეური შინაარსი" (პლეხანოვი). ხელოვანის ცდა — მიაღწიოს მხატვრულ ფაქტში აბსოლუტურ უიდეობას, თავის მხრივ ავტორის რეაქციონური შეზღუდულობის მაჩვენებელია. „მხატვრული ნაწარმოების ღირსება საბოლოოდ მისი შინაარსის მიხედვით იზომება, მხატვარი თავის აზრს სურათების საშუალებით გამოსთქვამს, პუბლიცისტი კი თავის აზრს ლოგიური დასკვნებით ამტკიცებს" (გ. ვ. პლეხანოვი). ხელოვნება არის აზროვნება სახეებით — ასეთია პროლეტარული მწერლობის გაგება. ესთეტიზმის და რომანტიზმის ეპიგონებისათვის, ეს რასაკვირველია, მიუღებელი იქნება.

ზემომოყვანილი განმარტება ხელოვნებისა არაა სავსებით სრული. „ხელოვნება არა მარტო შემეცნების საშუალებაა, არამედ საზოგადოებრივი სინამდვილის გარდაქმნის იარაღიცაა" (ლ. ავერბახი). ამ უკანასკნელი დებულებით ხაზგასმულია ხელოვნების აქტიური როლი.

ეხლა გადავიდეთ კოტეტიშვილის ზემოხსენებული წიგნის კრიტიკაზე. უნდა აღინიშნოს, რომ კოტეტიშვილი ზოგიერთი ეკლექტიკოსივით არსად არ ღალატობს თავის იდეალისტურ მსოფლმხედველობას. იგი თანამიმდევარი იდეალისტია, რომელსაც სწამს მხოლოდ „მთას შეფარებული ქართული სული" და „პანთეონი, სადაც ძველი სულის განძეულობა ინახება თამარის საფლავივით". [1].

* * *

კოტეტიშვილის შეხედულებანი ლიტერატურის რაობისა და ვითარების შესახებ სავსებით შეფარდებულია რომანტიზმის თვითმიზნობრიობასა და პასიურ მჭვრეტელობით გაგებასთან. კოტეტიშვილი პატრიოტულ რომანტიზმის უკანასკნელი მოგიკანია, იგი ძლიერ ხშირად იმეორებს ლიტერატურის თვითმიზნობრიობის გაცვეთილ ფორმულებს, რომელთა მიხედვით ხელოვნებას არაფერი არ აკავშირებს მიმდინარე კლასობრივ ბროლებთან და საერთოდ ამ უკანასკნელთან, როგორც „მიწიერ" მოვლენასთან, იგი გამოუვალ კონფლიქტში იმყოფება. ასეთ თვალსაზრისს იცავს მწერლობის მემარჯვენე ფრთა თანამედროვე გამწვავებული კლასიური ბრძოლის პირობებში. კოტეტიშვილი სწერს:

„მწერლობა სიტყვიერების შემდგომი ეტაპია... როდესაც მწერლობა იქცევა მსოფლმხედველობის ფიქსაციის იარაღად, როდესაც ზნეობრივი სისტემები წერილობით ხასიათს იღებენ, როდესაც იდეალური ელემენტები ხორციელდებიან ნაწარმოების სახით და მთელი ეს შემოქმედება თანმიმყოლობის გზით იწყებს განვითარებას, მაშინ მწერლობას სცვლის ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა. აქ აღარ არის პრაქტიკული დაინტერესება, არც საქმიანი კილო, არამედ იდეალური მიზნების დასახვა, მსოფლიოს განჭვრეტა, ზნეობრივი ამაღლება, ესთეტიური დაკმაყოფილება და სხვ". [2]. ამ ამონაწერებში აუარებელი შეცდომაა. ჯერ ერთი: რატომაა

[1] იხ. ვ. კოტეტიშვილი — „ქართ. ლიტ. ისტორია". ნაწ. III, გვ. 52.

[2] იხ. კოტეტიშვილი — ქართ. ლიტ. ისტ.", ნაწილი I, გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა მსოფლმხედველობის ფიქსაციის იარაღი და მწერლობა კი მხოლოდ „საფინანსო ანგარიშები", „ეპიტაფიები" „სახელმწიფოაქტები", „კალენდრები" „ნუსხები" და სხვა? აქ მხოლოდ ტერმინოლოგიურ არევ-დარევასთან გვაქვს საქმე. ნუთუ ცხადი არ არის ავტორისათვის, რომ ლიტერატურა იგივე მწერლობაა? ასეთი არევ-დარევით და დაბნეულობით იწყება კოტეტიშვილის კვლევა-ძიება. კოტეტიშვილის აზრით, ლიტერატურისთვის არაა დამახასიათებელი „საქმიანი კილო", მას ეხება მხოლოდ „მსოფლიოს განჭვრეტა" და „ზნეობრივი ამაღლება". რა ადგილი აქვს ლიტერატურის უწმინდეს ტაძარში ჭუჭყიან პრაქტიკას, რაღაც კლასობრივ ბრძოლას! ასე აზროვნობს ხსენებული „ისტორიკოსი", ამ თვალსაზრისით პოეტი დაბადებულია არა მღელვარე ცხოვრებისა, ბრძოლისა და საქმიანობისათვის, არამედ ლოცვისათვის, „ტკბილ ხმათათვის"; კოტეტიშვილი მტკიცედ დგას კ. აბაშიძისა და არჩ. ჯორჯაძის ნაციონალისტური დროშის ქვეშ. „დაამწყვდიეთ ხელოვნება „საგანთა სამეფოში", — სწერდა თავის დროს არჩილ ჯორჯაძე,—აუკრძალეთ მას საიდუმლოების ჭვრეტა და ხილვა, იგი მკვდარი გახდება და თავის სიკვდილთან ერთად მოჰკლავს პოეზიას და ოცნებას... მოიღეთ მოწყალება, „საასენიზაციო ობოზების" ორგანიზაციას ნუ დააკისრებთ ხელოვნებას." [1].

როგორც ვხედავთ, კოტეტიშვილი ერთ ნაბიჯზეც არ ღალატობს ნაციონალისტური ინტელიგენციის იდეურ მემკვიდრეობას. აქედან უკვე ცხადია, თუ რომელი კლასის ყოფა განსაზღვრავს კოტეტიშვილის შეგნებას. „ხელოვნება ხელოვნებისათვის", ხელოვნების თვითმიზნობრიობის თეორია ახალი ამბავი არ არის. ამ თეორიის გაცოცხლება და აღდგენის ცდა ნიშნავს იმას, რომ აშკარად პროტესტი განაცხადოთ რევოლუციონური თანამედროვეობის წინააღმდეგ. პუშკინის ის პერიოდი, როდესაც იგი იცავდა ხელოვნების თვითმიზნობრიობას, იყო პერიოდი ნიკოლოზ პირველის წინააღმდეგ ბრძოლისა. ამ ფაქტის განხილვიდან პლეხანოვს ის დასკვნა გამოჰყავდა, რომ ხელოვნების ზეკლასიურობის თეორია ჩნდება იქ, სადაც შეურიგებელი განხეთქილებაა მწერალსა და საზოგადოების გაბატონებულ კლასს შორისო.

ლიტერატურა ყოველთვის კლასობრივი ბრძოლის ტრიბუნა იყო. კლასობრივ საზოგადოებაში არ შეიძლება არსებობდეს ლიტერატურა ყოველგვარი მიზნის გარეშე, თვით „უმიზნობის" აღიარებაც თავისებური მიზანი და იდეოლოგიაა. ყოველი კლასის ლიტერატურა აუცილებლად კლასიურად ტენდენციურია და უტილიტარული მიზნებითაა აღჭურვილი. დაცემულობის ეპოქაში, როდესაც იღუპება ბურჟუაზიული კლასი, ამ კლასის მწერალი უმთავრეს ყურადღებას ფორმას აქცევს. კოტეტიშვილი, როგორც წარმომადგენელი ძველი ქვეყნისა, ვერ ასცდა ამ რეაქციონური ფორმალიზმის აღიარებას. იგი სწერს: „ავიღოთ, მაგალ., „ლაოკოონი", ბეთჰოვენის „კრეიცერის სონატა" ან გიოტეს „ფაუსტი". აქ არის რაიმე ანგარიში, მიზნით განსაზღვრა და ფორმის დამორჩილება მიზნისაგან? რასაკვირველია, არა. აქ არ არის არცერთი პრაქტიკული ელემენტი. აქ ფორმა თვითმიზანია, როგორც გამოთქმის საშუალება და, მაშასადამე, სხვა მიზანი მას ვეღარ ექნება" [2].

[1] არჩ. ჯორჯაძე — „ნააზრევი", წიგნი მესამე, გვ. 40 — 43.

[2] ვ. კოტეტიშვილი — წიგნი პირველი, გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უკვე აშკარად აღიარებულია ლიტერატურის თვითმიზნობრიობა. კოტეტიშვილის ეს დახავსებული და კონსერვატიული იდეები ნათლად მოწმობს იმ ფაქტს, რომ ნაციონალიზმი გამოუვალ კრიზისში იმყოფება. ლიტერატურა არაა პრაქტიკის, უტილიტარული დანიშნულების გარეშე. თვით განყენებული რომანტიზმი, რომელიც ცდილობდა წარმოედგინა პოეტი ლაჟვარდისფერ სივრცეებში მცურავ ფრინველად და რომლისათვისაც სიცოცხლის მიზანი რეალური ცხოვრების „მიღმა" მეტაფიზიკურ არეში მოთავსებული მარადიული სილამაზე იყო — უაღრესად კლასიურ-ტენდენციურ ლიტერატურას წარმოადგენდა. იგი მედგრად იბრძოდა თავისი კლასის სოციალური პესიმიზმის გასაბრუებლად; განა რომანტიზმი „უმიზნო" ლიტერატურა იყო? რასაკვირველია არა. მას ჰქონდა იდეათა გარკვეული სისტემა, რომლის განმტკიცებისათვისაც იბრძოდა იგი. ამ მიდგომით დაწერილი ლიტერატურის ისტორია, რასაკვირველია, არა თუ სასარგებლოა, არამედ მავნე და დასაწვავია. ვ. კოტეტიშვილი ასახელებს „ფაუსტს", როგორც არგუმენტს ხელოვნების თვითმიზნობრიობის დასამტკიცებლად, მაგრამ აქაც შეცდომაა: „ფაუსტი" არაა თავისუფალი განსაზღვრული მიზნებისაგან, რადგანაც იგი, როგორც ლიტერატურული ფაქტი, მიზეზობრივი შედეგია მოვლენათა და იდეათა განსაზღვრული ვითარებისა. „ფილოსოფიურ პრობლემათა სიღრმე „ფაუსტში" ნაკარნახევია უაღრესად პრაქტიკული სოციალური პრაქტიკის მიერ." „ფაუსტი" ფილოსოფიური ტრაგედიაა. ამით სურს ისარგებლოს კოტეტიშვილმა და ერთი პოემის ფასით იყიდოს მთელი ლიტერატურის თვითმიზნობრიობა და ზეკლასიურობა, მაგრამ კოტეტიშვილის მთელი მარცხი ისაა, რომ „ფაუსტი" არა დგას განსაზღვრული კლასიური მიზნების გარეშე. ფაუსტი აღორძინების პერიოდის ღვიძლი შვილია, მისი უკმაყოფილება მეცნიერებით და რელიგიით დამახასიათებელი იყო განსაზღვრული სოციალური ჯგუფებისათვის. ყოველი ფილოსოფია მჭიდროდაა დაკავშირებული არა მარტო კლასიურობასთან, არამედ პარტიულობასთანაც. ასეევა ფაუსტის ფილოსოფიური ტრაგედიაც. ამას ვერ ხედავს მხოლოდ რეაქციონური ბნელეთის მოციქული — კოტეტიშვილი. აი რას სწერდა ამის შესახებ ლენინი:

„ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც იყო ფილოსოფია ორი ათასი წლის წინად"[1]. საინტერესოა ამ მხრივ ჰეგელის მაგალითი, რომლის ფილოსოფიის გარშემო თავი მოიყარა მრავალმა პოლიტიკურმა შეხედულებამ და, როგორც ენგელსი ამბობს, ჰეგელის ფილოსოფიაში მრავალი თავისუფალი ადგილი იყო პარტიების პრაქტიკული შეხედულებებისათვის. რეაქციონერები და კონსერვატორები ჰეგელის სისტემას აძლევდენ მეტ მნიშვნელობას, ოპოზიციონერები და რადიკალები კი მის მეთოდს. ეს გასაგებიცაა. აუარებელი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

რაც შეეხება თვით ფაუსტს, ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ ახლად გაღვიძებული ბურჟუაზიის „მრავალი კლასობრივი ლოზუნგი ხმაურობდა მის სულში." ამის დაწვრილებით განხილვისათვის აქ ადგილი არ არის. ამრიგად, კოტეტიშვილის თეორიას ფაქტები არ ეთანხმება, „მხატვრული ნაწარმოების პირველი, და მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ფორმა" (კოტეტიშვილი). პლეხანოვი,

[1] იხ. ლენინი — ტ. XIII, გვ. 364.

ებრძოდა რა კოტეტიშვილების მსგავს გზადაბნეულთა „თეორიებს“, აცხადებდა, რომ მხატვრულ ფაქტში „პირველი“ და „მთავარი“ ფორმა კი არ არის, არამედ „მხატვრულ ნაწარმოების ღირსება იზომება მისი შინაარსის მიხედვით“ (გ. პლეხანოვი — „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“, გვ. 29).

კოტეტიშვილის ფორმალიზმი საესებით გვერდს უვლის ლიტერატურის იდეოლოგიურ ვითარებას. „ნაწარმოები განხილულ უნდა იქნეს სრულიად დამოუკიდებლად, — სწერს კოტეტიშვილი, — როგორც ერთადერთი მხატვრული მოვლენა მთელი თავისი მხატვრული ელემენტებით (კომპოზიცია, თემა, სახე, რიტმი, წყობა და სხვა...), როგორც უშუალოდ მოცემული თავისი შინაგანი რაობით. აქ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ე. წ. ფორმალური მეთოდი“.

მეთოდი — მსოფლმხედველობაა. თუ ხელოვნებას ვიღებთ, როგორც ზერეალურ მოვლენას, მაშინ, თავისთავად ცხადია, მკვლევარისათვის მხატვრული ფაქტის ადგილს იკავებს ლიტერატურის მხოლოდ ფორმალური მომენტები ე. ი. კომპოზიცია, რიტმი, სახე და სხვა... ასე იქცევა კოტეტიშვილიც, რომელიც გააფთრებული მტერია ლიტერატურის მარქსისტული გაგებისა. კოტეტიშვილის აზრით, ხელოვნებას საზღვრავს არა კლასობრივი გარემო, არამედ შემოქმედის ემოციური აგებულება. ჩვენი გაგებით, მხატვრული ფაქტი არის იდეოლოგიური პროდუქტი განსაზღვრული კლასის კულტურული ცხოვრებისა. „მხატვრული ფაქტი არის ფორმის და შინაარსის დიალექტიური მთლიანობა“. საზოგადოებრივი ასპარეზიდან მიმავალი და მომაკვდავი კლასისათვის ფორმა თვითმიზანია, მისთვის ნაწარმოების იდეიას დაკარგული აქვს ყოველგვარი სოციალური მნიშვნელობა.

ლიტერატურული ფაქტის მხატვრულ — ფორმალურ რაობას განსაზღვრავს ავტორის კლასიური იდეოლოგია, კლასიური გარემო, დრო და სივრცე.

შემდეგი საკითხია სილამაზის რაობის პრობლემა. ამ საკითხზე ბევრი იმუშავა პლეხანოვმა და მან დაახლოებით ამომწურავი პასუხი გასცა ყოველ გაუგებრობას. კოტეტიშვილის თვალსაზრისი ამ საკითხში არაფრით არ განსხვავდება ვორონსკის ინტუიტივიზმის „თეორიიდან“, რომელიც თავის მხრივ ბერგსონის ფილოსოფიას ეყრდნობა. კოტეტიშვილი აქაც ვერ ჰფარავს თავის იდეალისტურ სიშიშვლეს; იგი სწერს:

„x თუ y ლამაზია ერთისთვის, ულამაზესი მეორისთვის, განურჩეველი მესამისთვის, მაგრამ მახინჯი კი — არავისათვის. და სწორედ ის საზღვარი, რომელსაც ვერავინ გადმოლახავს და პრაქსიტელის ჰერმესს თუ მილოსის ვენერას მახინჯს ვერ უწოდებს, არის ჩემი აზრით, ის საყოველთაო სილამაზის პოზიცია... „არა, არ მიყვარს მყინვარი, იგი გაოცებს და კი არ მიზიდავს“ — ილია ჭავჭავაძის ეს ნათქვამი კარგად გამოხატავს ჩემს აზრს. შეიძლება ჩვენ არ გვიყვარდეს, მაგრამ სიდიადეს კი ვგრძნობდეთ (ან სილამაზეს, მხატვრულობას და სხ...)“ [1].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, კოტეტიშვილის აზრით, მილოსის ვენერა მარადიული მშვენიერებაა, მისი სილამაზე აღიარებულია „ყველას მიერ“, გარეშე დროისა და სივრცისა, კლასობრივი ბრძოლისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისა. ეს არის წმინდა წყლის ბურჟუაზიული ესთეტიზმი. კოტეტიშვილს არ ეს-

[1] კოტეტიშვილი, წიგნი I, გვ. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ის გარემოება, რომ სილამაზის ცნება ყოველ კლასს თავისებურად ესმის; „სასიამოვნო ცხოვრება, ე. ი. ცხოვრება, როგორც სასურველია იყოს იგი, უბრალო ხალხის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი საზრდო გქონდეს, ცხოვრობდე კარგ ქოხში და კმაყოფილებით გეძინოს; ამასთანავე ერთად, გლეხის აზრით, ცნება: „ცხოვრება“ ყოველთვის უერთდება ცნებას „მუშაობა“. ცხოვრება მუშაობის გარეშე არ შეიძლება, ის ძლიერ მოსაწყენი გახდებოდა. კმაყოფილი ცხოვრების შედეგათ, რომელსაც თან სდევს ზომიერი მუშაობა და რომელიც არ იწვევს დაქანცვას, ახალგაზრდა გლეხს ან გლეხ ქალს უჩნდება სახის მეტად ახალი ფერი, წითელი ლოყები — ეს, უბრალო ხალხის წარმოდგენით, სილამაზის უმთავრესი პირობაა. სოფლის ქალი ჩვეულებრივი მუშაობის გამო თავისი აგებულებით ძლიერია — ესეც სოფლური სილამაზის აუცილებელი პირობაა: „ჰაეროვანი“ აგებულობის ქალი სოფლელზე ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს, ეს იმიტომ, რომ იგი მიჩვეულია სიგამხდრეს უყუროს როგორც ავადმყოფს, ან „მწარე“ ბედის შედეგს. ამავე დროს ბევრი მუშაობა არ იძლევა ძლიერ გასუქების შესაძლებლობას.., სოფლელ ლამაზ ქალს შეუძლებელია ბევრი მუშაობის გამო, პატარა ხელ-ფეხი ჰქონდეს. სულ სხვაა სამოქალაქო ლამაზი ქალი: მისი წინაპრების რამდენიმე თაობა ფიზიკურად არ მუშაობდა: ამიტომ ამ უმოქმედობის შედეგად მათი სისხლის მიმოქცევა ძალზე სუსტდება. ყოველ ახალ თაობას უწვრილდება ძვლები, ამის შედეგს წარმოადგენს პატარა ხელ-ფეხი, რაც საზოგადოების მაღალი კლასების ცხოვრების დამახასიათებელი ნიშნებია; ამ კლასებმა არ იციან რა არის ფიზიკური შრომა. ავადობა, სისუსტე, მცენარეობა და უსუსურობა, მაღალი წრეების აზრით, ფუფუნებითი ცხოვრების შედეგია, ამიტომ იგი სილამაზის ნიშნად ითვლება“.[1].

ჩერნიშევსკის ამ მოსაზრებებს პლეხანოვი ყოველთვის ეთანხმებოდა. აქედან ცხადია, *რომ მილოსის ვენერა არაა მარადიული სილამაზის* გამომხატველი; ყოველ კლასს საკუთარი შეხედულება აქვს სილამაზის შესახებ. იდეალისტები ფიქრობენ, რომ სილამაზე რეალური სინამდვილის „მილმა“ არსებული იდეაა, და ასე ფიქრობს კოტეტიშვილიც:

„სილამაზის თუ მხატვრულობის საკითხი, — სწერს იგი, — ინტერესის გარეშე დგას. კანტი ამბობდა: ლამაზია ის, რაც აუცილებლად ყველას მოსწონს თავისი წმინდა ფორმითო. ეს არის სილამაზის თუ ესთეტიკურობის ერთადერთი პოზიცია“.[2].

ა. ვორონსკი, ისე, როგორც კოტეტიშვილი, ფიქრობს, რომ სილამაზე „ინტერესის გარეშე დგას“. აქ ეს ორივე მოაზროვნე კანტიდან გამოდის.

როგორია დიალექტიურ-მატერიალისტური შეხედულება ხსენებულ საკითხებზე? „ჰოტენტოტს აქვს თავისი იდეალი სილამაზისა“... მილოსის ვენერა მიმზიდველია მხოლოდ თეთრი ხალხის ერთი ნაწილისათვის. ქრისტიანებს ჰქონდათ თავისი იდეალი ქალის სილამაზისა.. სილამაზის იდეალი ფეხს იკიდებს ამა თუ იმ საზოგადოების თუ კლასის წარმოშობის და არსებობის ისტორიულ პირობებში და სწორედ ამის შემდეგ ეძლევა ამ იდეალს სრულიად განსაზღვრული, და არა აბსოლუტური, არა განყენებული შინაარსი“ (პლეხანოვი).

---

[1] იხ. ჩერნიშევსკი — „Эстетические отношения искусства к действительности“.

[2] იხ. კოტეტიშვილი — „ქართ. ლიტ. ისტორია“, I ნაწილი, გვ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, სილამაზის არსებობა ინტერესის გარეშე იდეალისტების მოგონილი სისულელეა, რომელსაც თუთიყუშივით იმეორებს კოტეტიშვილი. ყოველი კლასი თავისი სარგებლიანობის მიხედვით იმუშავებს საკუთარ შეხედულებას სილამაზეზე. განყენებული სილამაზე არ არსებობს. „ამაზე შეიძლება შეგვეკამათონ, რომ, მაგალითად, ფერი საგნისა მოსწონს ადამიანს დამოუკიდებლად იმ მნიშვნელობისა, რომელსაც ასრულებს ხსენებული საგანი ადამიანის არსებობისათვის ბრძოლის დროს. წითელი ფერი მოგვწონს, როდესაც ვხედავთ ახალგაზრდა და ლამაზი ქალიშვილის ლოყებზე. მაგრამ როგორ შთაბეჭდილებას დასტოვებს ეს ფერი, როდესაც მას დავინახავთ ლამაზი ქალის ლოყებზე კი არა, არამედ ცხვირზე“? [1].

კლასობრივი ბრძოლა არის რეგულიატორი ესთეტიური შეხედულებებისა. „სილამაზის ცნება სოციალურად განსაზღვრულია, ისტორიულად იცვლება, თანამიმდევრად კლასიურია“ [2]. ჩერნიშევსკის მაგალითიდან დავინახეთ, რომ ის, რაც არისტოკრატისათვის სილამაზეს წარმოადგენდა (მაგ., ფერმკრთალობა), გლეხს სიმახინჯედ ეჩვენებოდა. „სილამაზე არ არსებობს ქვეყანაზე თავისთავად, იგი გამოხატავს ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფის დამოკიდებულებას ქვეყანასთან და აგრედვე წარმოდგენა სილამაზის შესახებ სხვადასხვა კლასს სხვადასხვაგვარი აქვს“ [3].

Коллекция
Кл. Федосова
Грузинова

* *

პროლეტარული კრიტიკა ყოველთვის მკვეთრად უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ხელოვნება არის შეგნების აქტიური იარაღი, მოვლენათა მხატვრული გარდაქმნის საშუალება. კოტეტიშვილის აზრით კი ლიტერატურა სარკეა ისტორიისა. „ლიტერატურის საშუალებით შეიძლება ისტორიის აღდგენა“ [4]. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ კოტეტიშვილს ძალზე ყალბი და შემცდარი წარმოდგენა აქვს ლიტერატურის რაობის შესახებ. ავტორი ფიქრობს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების ისტორიას ლიტერატურა უფრო სწორად გვიჩვენებს, ვიდრე „მეცნიერულ დისერტაციებში წვალებით გამოყვანილი დასკვნები“. გარდა ამისა, კოტეტიშვილის აზრით შესაძლებელი ყოფილა საქართველოს ისტორიის აღდგენა ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა შემოქმედებით. „მხატვრული ლიტერატურა ცხოვრების ანარეკლია“ — დაასკვნის ავტორი. [5]. ეს არ არის სწორი. ნუთუ ნიკ. ბარათაშვილის პოეზია უფრო მეცნიერული სიზუსტით გვისახავს საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ცხოვრებას, ვიდრე, ვთქვათ, მეცნიერული გამოკვლევა ამავე ეპოქისა? ჩვენ ვიცით, რომ ყოველი მწერალი კლასიურად ტენდენციურია მოვლენების გადმოცემის დროს და აქედან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ ბარათაშვილის

[1] იხ. გ. პლეხანოვი — „Искусство“, сборник статей. 1922 წ. გვ. 127.
[2] იხ. Л. Авербах — „Долой Плеханова“.
[3] იხ. А. Селивановский — „Твор. зад. прол. литер.“, გვ. 35.
[4] იხ. ვ. კოტეტიშვილი — ქართ. ლიტ. ისტორია — I გვ. 12.
[5] იქვე, გვ. 13.

ლირიკაში, რომელიც წარმოადგენს სინამდვილის კლასიურ შემეცნებას, დიდი ადგილი უჭირავს არისტოკრატიული წრეების შეხედულებას ამავე სინამდვილეზე. ლიტერატურა კლასობრივი ბრძოლის იარაღია, იგი იბრძვის პოლიტიკური ბრძოლის ტრიბუნიდანაც; მაშასადამე, ლიტერატურა არ შეიძლება იყოს ცხოვრების სარკე. „ოთარაანთ ქვრივის" მთავარი გმირები ნაწილობრივ ავტორის პროგრამული იდეების წყალობით მოგონილები არიან და მათი რეალური ისტორიული არსებობა ძალზე საეჭვო ამბავია. ლიტერატურულ ნაწარმოებს, ლირიკულ ლექსს, რეალისტურ პოემას არ შეუძლია მეცნიერებაზე უკეთესად გადმოგვცეს მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობა. ეს ანაბანა არ ესმის კოტეტიშვილს, მისი აზრის განვითარება ისეთ უდიდეს აბსურდამდე მიდის, როგორიცაა მეცნიერების უარყოფა. ეს თვისი „ორიგინალური" მოსაზრება ავტორისაც არა სჯერა! „ქართ. ლიტერ. ისტორიის" მეორე წიგნში იგი სწერს:

„ჩვენ არ გვაინტერესებს ამ შემთხვევაში, თუ რამდენად დაცულია მის ნაწერებში ობიექტური სიმართლე. (ლაპარაკია ალ. ორბელიანის ნაწერებზე — გ. ნ.). ჩვენი ყურადღების ცენტრი სულ სხვა სივრცეშია გადატანილი. სახელდობრ: რამდენად არის დაცული მის ნაწერებში მხატვრობა. დე, სულ მოგონილი იყვეს, ოღონდ ლამაზად კი იყვეს". (გვ. 17): როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, კოტეტიშვილის აზრით, მხატვრული ფაქტი ფორმის თვითმიზნობრიობის განსახიერებაა. ამ კერძო შემთხვევაშიც კოტეტიშვილი ობიექტური სიმართლის ნაცვლად პირველ ადგილზე აყენებს სილამაზეს. ამის შემდეგ ლაპარაკი ხელოვნების საშუალებით ისტორიის აღდგენაზე აშკარა შეცდომა და თეორიული არევ-დარევაა.

ობიექტური ჭეშმარიტების არსებობის საკითხს კოტეტიშვილი სუბიექტური იდეალიზმის თვალსაზრისით უდგება. ამ მხრივ იგი სავსებით შეთანხმებულია კ. კაპანელთან, რომლის „ფილოსოფიური" მსოფლმხედველობა, „ორგანოტროპიზმის" სახით, კიდევ ერთხელ იმეორებს ემპირიზმის უკვე ცნობილ და ათასჯერ გადაღეჭილ დებულებებს. როგორც კოტეტიშვილი, ისე კაპანელი ერთხმად უარყოფენ ობიექტურ ჭეშმარიტებას.

კოტეტიშვილი სწერს:

„ყოველგვარი მსჯელობა და მათემატიკური აქსიომებიც კი — ეპოქალურია. ხომ იყო დრო, როდესაც ველური ვერა სთვლიდა, და მას რომ ენახა ჩვენი საუკუნის პირველდაწყებითი სკოლის მოწაფე და მისი საანგარიშო „ხელოვნება", გაოცდებოდა, და ჯევონსი აქაც სწორად შენიშნავს, რომ ეს მოწაფე „ვერც კი მიხვდება იმ სტუდენტის უზარმაზარ ძალას, ალგებრულ მოქმედებებს იოლად რომ ერევა. სტუდენტი კი ღრმა მოწიწებით შესცქერის ნიუტონს და ლაპლასს". დღეის იქით ალბათ მეცნიერება ისე წავა წინ, რომ ნიუტონის სახელიც ისევე დაავიწყდება კაცობრიობას, როგორც ძველი ქალდეის ვარსკვლავ მრიცხველების სახელი და ბევრი დღევანდელი „ურყევი" და „მარადი" ჭეშმარიტება შეიძლება სადილზე სათქმელ ანეგდოტად-ღა იყვეს დარჩენილი" [1].

[1] იხ. კოტეტიშვილი — ქართ. ლიტ. ისტორია", ნაწ. I, გვ. 11.

ასე სჭრის და ჰკერავს კოტეტიშვილი. უფრო შორს მიდის კაპანელი. „ალპების იქით რაც ჰეშმარიტებაა, ის ალპების აქეთ სიცრუეა“ — ეს არის მისი „ორგანოტროპიზმის“ ფილოსოფიური საფუძველი. ასეთი მსჯელობა ლოგიკურად გამომდინარეობს სოლიპსიზმიდან. კაპანელი ალეთოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ძლიერ დიდ უკიდურესობამდე მიდის. „მართალია, ლოგიკისა და გნოსოლოგიის ზოგიერთ სახელმძღვანელოებში მატემატიკურ ფორმულებსა და ლიმიტებში აზრი ადამიანის „ჰეშმარიტებას“ ღაღადებს, მაგრამ რით განსხვავდება არსებითად ასეთი ხასიათის „ჰეშმარიტების ღაღადი“ იმ პატარა ბავშის ოცნებისაგან, რომელმაც შემოიგდო ჯოხი ბარძაყთა შორის და რომელიც დარწმუნებულია, დროებით მაინც, რომ შეჯდა ტაიჭზე? ჰეშმარიტება სუპერკონდიციური ბერების და ეპისკოპოსების პრობლემაა“ [1].

ასეთია კაპანელის „ორგანოტროპიზმი“, რომელიც წარმოადგენს აზროვნების დეგენერაციის უკანასკნელ საფეხურს.

კოტეტიშვილის და კაპანელის წინააღმდეგ უნდა განვაცხადოთ, რომ არსებობენ ისეთი ობიექტური ჰეშმარიტებანი მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში, რომელნიც ვერ წაშალა ვერავითარმა ეპოქალურმა ქარიშხალმა. „არსებობენ ჰეშმარიტებანი, რომელნიც იმდენად მტკიცედ არიან დამყარებულნი, რომ ყოველი ეჭვი მათ შესახებ, ნიშნავს სიგიჟეს... მაშასადამე, მაინც არსებობენ მ ა რ ა დ ი უ ლ ი, საბოლოო ჰეშმარიტებანი, ჰეშმარიტებანი საბოლოო ანგარიშით? რასაკვირველია“ (ფრ. ენგელსი — „ანტი — დიურინგი“). ამავე შრომაში ენგელსი აღინიშნავს, რომ ზუსტ მეცნიერებათა სფეროში ჩვენ ვხვდებით „მარადიულ საბოლოო ჰეშმარიტებებს“. აზრთა ამ კონკტექსტში აუცილებლად უნდა გარკვეულ იქნას აბსოლიუტური და შედარებით ჰეშმარიტების ურთიერთობა. ლენინის აზრით, ფილოსოფიურ სუბიექტივიზმს აუცილებლად ობიექტური ჰეშმარიტების უარყოფა უნდა მოჰყვეს თან. „შედარებითი ჰეშმარიტებებისაგან შენდება აბსოლუტური ჰეშმარიტება“.

ობიექტური რეალობა არსებობს დამოუკიდებლად ადამიანის ცნობიერებისა. „მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც ადამიანს მოცემული აქვს მის შეგრძნებაში, რომლის ასლს, ფოტოგრაფიას, ანარეკლს ჩვენი შეგრძნება წარმოადგენს და რომელიც შეგრძნების დამოუკიდებლად არსებობს. ამიტომ იმის თქმა, რომ ასეთი ცნება შეიძლება დაბერდეს, ბ ა ვ შ უ რ ი ტ ი ტ ი ა ნ ი ა, უაზრო განმეორებაა მოდაში შემოსული რ ე ა ქ ც ი ო ნ უ რ ი ფილოსოფიის საბუთებისა. განა ორიათასი წლის განმავლობაში დაბერდა იდეალიზმის და მატერიალიზმის ბრძოლა? განა დაბერდა პლატონის და დემოკრიტის ტენდენციები თუ ხაზები ფილოსოფიაში? ან კიდევ სარწმუნოების და მეცნიერების ბრძოლა? ან ობიექტური ჰეშმარიტების უარყოფა და დადასტურება?.. ჩვენი შეგრძნებების ჩათვლა გარეგანი ქვეყნის სახეებად, ობიექტური ჰეშმარიტების აღიარება, მატერიალისტური შემეცნების თეორიის თვალსაზრისზე დადგომა, — ეს ერთი და იგივეა.“ [2].

---

[1] იხ. კ. კაპანელი — „სოც. ესტ. საფუძვლები“, გვ. 51.

[2] იხ. ვ. ლენინი. „თხზულებანი“, ტ. XIII, გვ. 131. ამ შესანიშნავ თხზულებაში ლენინი მთელი რიგი პრაქტიკული მაგალითებით ამტკიცებს ობიექტური ჰეშმარიტების არსებობას. გ. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის ცხადია ის გარემოება, რომ კოტეტიშვილების მსოფლმხედველობას უიმედოთ რეაქციონურ და შინაგანი გახრწნის გზაზე დამდგარ „თეორიებს“ არ შესწევთ არავითარი ძალა იმისთვის, რომ ამაღლდენ მატერიალისტური შემეცნების თეორიის თვალსაზრისამდე. ამიტომ ისინი ყოველ ნაბიჯზე უარყოფენ ობიექტურ ჭეშმარიტებას; ასეთი მსოფლმხედველობა უკვე განწირულია ისტორიის მიერ.

რა სთქვა ახალი კოტეტიშვილმა თავის „ლიტერატურის ისტორიის“ ფურცლებზე? თითქმის არაფერი. მას, როგორც ნაციონალისტური ინტელიგენციის წარმომადგენელს, არც შეეძლო გვერდი აეხვია კ. აბაშიძის „ანდერძისათვის“, ამიტომ მოხდა, რომ ხსენებული „...ისტორია“ გადაიქცა ერთგვარი რეაქციონური იდეების კრებულად.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამ რეაქციას იდეოლოგიურ ფრონტზე. ასეთია მორიგი ამოცანა.

* * *

იდეალიზმი და ნაციონალიზმი რეაქციის ღვიძლი შვილები არიან. კოტეტიშვილის იდეალისტური მსოფლმხედველობა მჭიდროდ შეკავშირებულია ნაციონალიზმის დრომოჭმულ იდეოლოგიასთან. კოტეტიშვილი თავის მეთოდს სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში: მისი წარმოდგენით, არსებობს რაღაც მეტაფიზიკური ძლიერების ქართული „მოუტეხელი სული, რომელიც გადახვეწილობაშიაც კი შემოქმედებას თავს არ ანებებდა“ [1]. ეს ქართული სული იბრძოდა საუკუნეების განმავლობაში, „ომში გადატეხილ ხმალს“ იგი „ხელოვნების კვერთხით“ სცვლიდა, დაკარგულ სამეფო გვირგვინს — „პოეტის დაფნით“ და ყვავილებით. და ეს არის საქართველოს ისტორია: არ ყოფილა ამის მეტი არაფერი, არც კლასობრივი ბრძოლა, არც ფეოდალიზმის საძაგლობანი, არც საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალ-ეკონომიური ვითარება, გარდა ქართული სულისა, რომელიც ხან თამარის და ხან ქეთევანის სახით ელინებოდა საქართველოს. ასე ესმის იდეალისტ კოტეტიშვილს ისტორიული პროცესი. ეს სუბიექტი ისე მაგრადაა შებოჭილი ნაციონალიზმის უძლურებით, რომ საქართველოს წარსულში რაინდის მეტს ვერავის ჰხედავს: ქართველი ადამიანის თვისებებად მას მიაჩნია „რაინდული სიყვარული“ და ერთგულება, „სინაზე და თავაზიანობა“ [2]. ამ პრინციპული თვალსაზრისის მიხედვით დაწერილ ისტორიას არა აქვს არავითარი მეცნიერული მნიშვნელობა. კოტეტიშვილის პოეტური ფრაზეოლოგია, რასაკვირველია, ვერ იძლევა ლიტერატურის ისტორიის პრეტენზიების გამართლებას.

განსაკუთრებული სიმპატიით ეკიდება კოტეტიშვილი პატრიოტული რომანტიზმის წარმომადგენლებს (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და სხვ...). ეს ბუნებრივიცაა. ავტორი გრძნობს თავის იდეოლოგიურ სიახლოვეს ხსენებულ მწერლებთან. პატრიოტული რომანტიზმი უფსკრულისაკენ მიმავალ არისტოკრატიული წოდების ლიტერატურა იყო. შინაურ და გარეშე ძალთა შე-

[1] იხ. კოტეტიშვილი — „ქართ. ლიტ. ისტ..“, ნაწ. I გვ., 19.

[2] იხ. იქვე, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტევით ინგრეოდა ფეოდალიზმი, და ეს პროცესი სათანადო ფაქტორების საშუალებით ზეგავლენას ახდენდა მხატვრულ ლიტერატურაზე. ხსენებული მიმართულების კლასიურ საფუძველზე კოტეტიშვილი ერთ სიტყვასაც არა სძრავს. მაგალითისთვის შევეხოთ გრ. ორბელიანის შემოქმედებას; როგორც ვიცით, ორბელიანი პატრიოტული რომანტიზმის ძლიერი წარმომადგენელი იყო, ამავე დროს იგი იყო მეფის ცნობილი მოხელე, ცარიზმის, პოლიტიკის აქტიური გამტარებელი. კოტეტიშვილის შეფასებაში მოცემულია აპოლოგია არა მარტო მისი რომანტიული პოეზიისა, არამედ იგი ცდილობს გაამართლოს ორბელიანის სისხლიანი საქმეებიც. გრ. ორბელიანი სავსებით გადავიდა მეფის პოლიტიკის მხარეზე. ამ გარემოებამ ძლიერ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია მის პოეზიაზე. სავსებით უნაყოფოა ცდა კოტეტიშვილისა გააიდეალუროს ორბელიანი, როგორც პიროვნება და როგორც პოეტი; „ამათი სისხლი დავლიოთ" — სწერდა ორბელიანი მთიელების შესახებ, როდესაც იგი ამხედრებული იბრძოდა ცარიზმის პოლიტიკის გატარებისათვის. „რატომ მეც მანდ არა ვარ, რომ ერთი მათგანის ლეკის სისხლი დავლიო და შეუბრალებლად ვტანჯვიდე ცოცხლად" „სოფელი ისე დავანგრიეთ, რომ სადაც იყო გერგებელი, იქ ახლა დარჩა მხოლოდ სალი კლდე", „ნელ-ნელა თავებს ვაჭრევინებ"[1] — სწერდა თავის ნაცნობ-მეგობრებს ეს სისხლიანი სატრაპი და ერთგული დარაჯი თვითმპყრობელობის. კოტეტიშვილმა კი ეს ცოდვები ერთი ხელის მოსმით „აპატია" ორბელიანს. აი რას სწერს იგი გრ. ორბელიანის „საგმირო საქმიანობის" შესახებ:

„ყველაფერი ეს სისხლის წყურვილით კი არ აიხსნება, არამედ უფრო საპატიო ფსიქოლოგიური მომენტით"[2], ასე ყალბად ახასიათებს ორბელიანის პიროვნებას კოტეტიშვილი. მისი აზრით. გრ. ორბელიანის ბუნება „ბიუროკრატიზმით შეურყვნელი და სატრაპულ ამპარტავნობას მოკლებულია"[3]. ფაქტები კი წინააღმდეგს ლაპარაკობს. კოტეტიშვილის საპასუხოდ სიტყვა მივსცეთ გრ. ორბელიანს:

„ბატონებო, ვინ არის, ღვთის ჭარდა, მიზეზი ესრეთის ჩვენის გაბედნიერებისა? ყოვლად მოწყალე დიდი იმპერატორი, აღმდგენელი და მფარვნლი ძველი ივერიისა. და კურთხევა ღვთისა მოეფინოს დიდებულსა გვირგვინოსანსა თავსა მისსა მრავალ და მრავალ ჟამიერ, საბედნიეროდ დიდისა მისს იმპერიისა. ბატონებო! ღმერთმა გვიდღეგრძელოს ჩვენი დიდი იმპერატორი, არავის არ შეგვანატროსაა, ურრაა".

ეს სადღეგრძელო (რომელიც არაფრით არ განსხვავდება ორბელიანის პოემა „სადღეგრძელოსაგან") თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით საუკეთესოდ ახასიათებს ორბელიანს. კოტეტიშვილის ლაყბობა გრ. ორბელიანის „გაორებაზე", მის უდიდეს წინააღმდეგობაზე ცარიზმთან — სავსებით შემცდარად უნდა ჩაითვალოს. „დიდებულ ტახტს კეთილსინდისიერად ვემსახურებოდი" — აცხადებდა თვით ორბელიანი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გრ. ორბელიანი სავსებით უდანაშაულო იყო 1832 წლის შეთქმულებაში. იგი

[1] იქვე, გვ. 96 — 97.
[2] იქვე, გვ. 97.
[3] იქვე, გვ. 103.

„მოულოდნელად გამოუცდელობის გამო“ მოჰყვა შეთქმულთა წრეებში, ამიტომ დამნაშავეთა „მეშვიდე კატეგორიაში მოაქციეს“.

გრიგოლ ორბელიანის „გაორება“ კოტეტიშვილის მიერ მოგონილი ამბავია. ორბელიანის ცხოვრების ერთადერთი მიზანი კარიერიზმი იყო.

ეპოქის სოციალ-კლასობრივი ფსიქოლოგია მხატვრულ ფაქტში შემოქმედი პიროვნების გზით და საშუალებით გადადის. ამიტომ შეუძლებელია გვერდი ავუქციოთ პიროვნების პოლიტიკურ რაობას მწერლის შესწავლის დროს. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის არისტოკრატიული წრეების ფსიქოლოგია, საერთო პოლიტიკური მდგომარეობა და თვით პოეტის როლი მაშინდელ ვითარებაში საუცხოოდ ხსნის ორბელიანის პოეზიის ყველა თვისებას. „სადღეგრძელო“-ში იგი სწერდა:

„ხელმწიფევ ჩ ვ ე ნ ო,
ძ ლ ი ე რ ო, ბ რ ძ ე ნ ო
ნიკოლოზ დ ი დ ო სულგრძ ე ლ ო ბ ი თ ა,
მ ხ ე დ ა რ ნ ი შ ე ნ ნ ი,
ე რ თ გ უ ლ ნ ი, მ ხ ნ ე ნ ი, —
ვსვამთ შენს სადღეგრძოს მოწიწებითა.
. . . . . .
თ ა მ ა რ ი ს დ ღ ე ნ ი,
დ ი დ ე ბ ი ს დ ღ ე ნ ი,
შ ე ნ მ ო უ ვ ლ ი ნ ე შ ე ნ ს ა ი ვ ე რ ს ა!..
ღ მ ე რ თ ო, გ ვ ი ს მ ი ნ ე,
მ ე ფ ე ს მ ო ჰ ფ ი ნ ე
ძ ლ ე ვ ა, კ უ რ თ ხ ე ვ ა, მ ა დ ლ ი ზ ე ც ი ე რ,
ჩ ვ ე ნ დ ა დ ი დ ე ბ ა დ,
ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა დ
მ ე ფ ე გ ვ ი ც ო ც ხ ლ ე მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ“ [1].

ამრიგად, ორბელიანი სრულებითაც არ ყოფილა გაორებული პიროვნება. მისი „ფილოსოფია“ ძალზე მარტივია: „ივერია“, „მისი ბრწყინვალე წარსული“, სამშობლო, ღვინო და მისი მფარველი „მოწყალე იმპერატორები“. გრ. ორბელიანი ერთნაირად იდრეკდა ძუხლს „თამარის დროშისა“ და ნიკოლოზ პალკინის სურათის წინაშე.

კოტეტიშვილს მართლაც სწამს, რომ „საშუალო საუკუნეთა ძეგლების“, „დარღვეული ტაძრების“ და უძველესი სასაფლაოების სახით გვხვდება გაქვავებული ქართული სული. ამ სულის მომღერალი და მადიდებელი პოეტები — პატრიო-

[1] აქ უნდა აღინიშნოს ერთი კურიოზული ამბავი, შედეგი კოტეტიშვილის ლიტერატურული საქმიანობისა: ჩვენს მიერ მოყვანილი ადგილი „სადღეგრძელოდან“ გრ. ორბელიანის ლექსების უკანასკნელ გამოცემაში („ქართული წიგნის“ გამოცემა — 1928 წელს) ამოღებულია კოტეტიშვილის მიერ, რომელიც რედაქტორობდა ხსენებულ გამოცემას. კოტეტიშვილის აზრით, ნიკოლოზ პირველის სადღეგრძელო არ არის პოემის ორგანიული ნაწილი და ჩამატებულია პოეტის მიერ „როგორც ვიზა, ცენზურისათვის მიუღებელი ტექსტის გასატარებლად“ (გრ. ორბელიანი — „ლექსები“ გვ. 183). ამრიგად, თურმე, ორბელიანის მონარქისტული იდეოლოგია ცენზურის წნევის შედეგი ყოფილა! კოტეტიშვილის აზრის მიხედვით, მწერლის იდეოლოგიას განსაზღვრავს არა სოციალ-კლასობრივი გარემო, არამედ... ცენზურული პირობები. „სადღეგრძელო“ ხომ ცარიზმის აპოლოგიაა თავიდან ბოლომდე? მაშ რა მიუღებელ ტექსტზეა აქ ლაპარაკი? კო-

ტული რომანტიზმის წარმომადგენლები — იმავე დროს რევოლუციონერები ყოფილან, კოტეტიშვილის ისტორიის მიხედვით [1].

ძალზე ვულგარულად და ზერელედ იხილავს კოტეტიშვილი „თერგდალეულების“ თაობას. იგი ფიქრობს, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურის ვითარება წარმოადგენს მხოლოდ ილია ჭავჭავაძის აზრების გაშლა-განვითარებას, ავტორი აბსოლუტურად უარყოფს იმ აზრს, რომლის მიხედვით ილიას სოციალური კონცეპცია იყო კლასიური ბრძოლის უარყოფის და კლასიური ზავის ქადაგების ფრიად ორიგინალური თეორია. კოტეტიშვილი ამახინჯებს არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტიურ მასალებსაც. იგი, აღწერს რა გლეხობაში რევოლუციონური მოძრაობის თანდათან გაღვივებას, შემდეგ დაასკვნის: „ასე მიდიოდა დრო, და საქმე კი ზაქროების და კაკოების მონაწილეობის მიუღებლად გათავდა. 1864 წელს მთავრობის განკარგულებით მოისპო ეს ბინძური დაწესებულება“ [2]. კოტეტიშვილმა არ იცის ის მოვლენა, რომ 1864 წლის რეფორმა სავსებით არადამაკმაყოფილებელი იყო გლეხობისათვის. „არცერთ ქვეყანაში გლეხკაცობას „განთავისუფლების“ შემდეგ არ განუცდია ისეთი განადგურება, ისეთი სიღატაკე, ისეთი დამცირება და შეურაცხყოფა, როგორც რუსეთში“ (ვ. ლენინი). ასევე იყო საქართველოშიაც.

კოტეტიშვილის აზრით, „თერგდალეულები“ „ჩვენს ლიტერატურას შემოეჭრენ, როგორც ნამდვილი რევოლუციონერები“ (მე-II ნაწილი, გვ. 79). „ჩვენი თერგდალეულები სოციალისტებიც იყვნენ“ (იქვე — გვ. 81). „მამებს“ და „შვილებს“, — განაგრძობს თავის ზღაპარს კოტეტიშვილი, — მხოლოდ სალიტერატურო საკითხები კი არ ჰყოფდა, არამედ მთელი მსოფლმხედველობა, და განსაკუთრებით ის სოციალ-ეკონომიური მოძღვრება, რომელსაც მამები უდიდეს დანაშაულად აცხადებდენ“ (იქვე, გვ. 83 — 84).

ეს ძალზე მავნე შეხედულებაა, რომელსაც კოტეტიშვილის გარდა ნაწილობრივ ზოგიერთი მარქსისტებიც იცავენ. სინამდვილეში თერგდალეუ-

---

ტეტიშვილს რომ ელემენტარული წარმოდგენა ჰქონდეს კლასობრივ ბრძოლაზე, იგი ასეთ უაზრობამდე არ მივიდოდა. შევკითხოთ კოტეტიშვილს: რატომ დ. ჭონქაძემ, ანტ. ფურცელაძემ, ეგნ. ნინოშვილმა არ მიჰყვეს ხელი მეფის ქება-დიდებას? განა ისინი მთელი შესაძლებლობით არ ებრძოდენ მაშინდელ წყობილებას? განა მათ არ ებრძოდა ცენზურა? ამ საკითხში ცენზურა არაფერ შუაშია, მთავარია კლასობრივი ბრძოლა, რომელიც განსაზღვრავს მწერლის იდეოლოგიას. გრ. ორბელიანი, როგორც პრაქტიკულ ცხოვრებაში, ისე პოეზიაში, ყოველ ნაბიჯზე ემსახურებოდა თავის კლასს და მის მფარველ მონარქიზმს, ამიტომ „სადღეგრძელოს“ ეს ადგილი სავსებით ორგანიული ნაწილია პოემისა.

[1] ასე, მაგალითად, კოტეტიშვილს ალექსანდრე ჭავჭავაძე მაშინ არსებული წყობილების შეურიგებელ მოწინააღმდეგედ მიაჩნია. ჭავჭავაძის პოეზიაში კოტეტიშვილი ხედავს „პროტესტს არსებული სოციალურ-პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ“, მისივე აზრით, ხსენებული პოეტი „ჭგმობდა მონობას“, უარყოფდა „წოდებრივ განსხვავებას“, ებრძოდა „ეკონომიურ ექსპლოატაციას“. დემოკრატიზმის წარმომადგენლად მიაჩნია კოტეტიშვილს აგრეთვე გრ. ორბელიანიც. „გრ. ორბელიანის დემოკრატიზმი ილია ჭავჭავაძემდე არსებობდა“ (I ნაწილი, გვ. 125). ამრიგად, კოტეტიშვილის ისტორიის მიხედვით, ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება ერთსა და იმავე მომენტში რევოლუციონერიც იყოს და კონტრრევოლუციონერიც, ჟანდარმიც და სოციალისტიც, მონარქისტიც და „თავისუფლების დიდი მოტრფიალეც“, — ასეთია კოტეტიშვილის „დიალექტიკა“.

[2] იხ. ნაწილი, II, გვ. 128.

ლების თაობის მსოფლმხედველობა პრინციპულად თითქმის არ განსხვავდებოდა პატრიოტული რომანტიკოსების შეხედულებებისაგან. თერგდალეულები (მაგ., ილია ჭავჭავაძე) მოითხოვდენ არა ბატონყმობის საბოლოო ლიკვიდაციას, არამედ მის შეკეთებას, ლიბერალურ რეორგანიზაციას. ილია ჭავჭავაძის კლასიური ზავის თეორია უშუალოდ გამომდინარეობს ფეოდალური წოდების ინტერესებიდან. ილია შეგნებულად ვერ ხედავდა კლასობრივ ბრძოლას. „ვინც უნდა იყოს, გლეხი, თავადი, ერი თუ ბერი — ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელი ერის ნამოქმედარია და იგი მამა-პაპა, რომელსაც თავისი სახელი ისტორიაში ასე თუ ისე მოუქცევია, ყველას მამა-პაპა საერთოდ და განუყოფელად, იმიტომ რომ საისტორიო კაცი ხორცია ხორციისაგან მთელი ერისა და ძვალი ძვლისაგან. ამიტომ ისტორიაში მოქმედი მამა-პაპის ავად ხსენება გლეხის მამა-პაპის ავად ხსენებაც არის“... ასე სწერდა ილია ჭავჭავაძე [1]. ისტორიაში მოქმედ მამა-პაპად აქ იგულისხმება ფეოდალური წოდება. ილიას მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი კერძო საკუთრების იდეალიზაციაა, მას ვერ წარმოუდგენია საზოგადოებრივი ცხოვრება გარეშე კერძო საკუთრებისა. „კერძო საკუთრება... ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდა იყოს, იაფად არ დაუჯდება“. ეს მუქარა რევოლუციონური გლეხკაცობის მიმართ, რომელიც იბრძოდა ძველი წყობილების წინააღმდეგ, საუცხოოდ ახასიათებს ჭავჭავაძის აზროვნებას. კაპანელის და კოტეტიშვილის წარმოდგენით კი ჭავჭავაძე დიდი სოციალისტი ყოფილა. „იმ დროს, როდესაც ქართველ საზოგადოებაში,— სწერს კაპანელი, — ტრიალებდა იდეა ბატონ-მორჩილებისა და არისტოკრატიული „ირეპროშაბელიზმის“, ილია ჭავჭავაძე ტიტანიური გამბედაობით ლაღადებს შრომისა და რევოლუციის სიდიდეზე, კლასთა უთანასწორობაზე, ჩაგვრისა და მონობის წინააღმდეგ“ [2]. სინამდვილეში ილია ჭავჭავაძის მთელი მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ განემტკიცებინა ხმლის (რომელშიაც თავად-აზნაურობა იგულისხმება) და გუთნის (გლეხკაცობა) შეერთების აზრი. ცხოვრების რეალური განვითარება სრულებით არ ეთანხმებოდა ილიას „თეორიებს“, რომელთა ერთადერთ მიზანს არისტოკრატიული წოდების, არჩილებად და კესოებად გადაქცეული ლუარსაბების და დარეჯნების, დაცვა და გადარჩენა შეადგენდა. ფეოდალურ ურთიერთობათა შინაგანი ნგრევა ხელს უწყობდა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას. კაპიტალიზმი ნთქავდა და ანადგურებდა ფეოდალური წოდების ფუფუნებით ცხოვრების შესაძლებლობებს. ილია რეაქციონერი იყო არა მარტო მსოფლმხედველობით, არამედ თემატიურადაც. მან სავსებით გვერდი აუხვია ახალ თემებს, რომელიც ჯერ კიდევ ლავრენტი არდაზიანმა და დან. ჭონქაძემ შეამჩნიეს. ამიტომ ილია ნაწილობრივ რომანტიკოსიც იყო, ეს მით უმეტეს შეიძლება ითქვას აკაკი წერეთლის შესახებ, რომლის შემოქმედების უმთავრესი მოტივი საქართველოს წარსულის (უკეთ: არისტოკრატიული წოდების წარსულის) იდეალიზაცია იყო.

---

[1] იხ. ი. ჭავჭავაძე — ტომი IX, გვ. 94.

[2] იხ. კ. კაპანელი — „ქართული სული ესტეტ. სახეებში“, გვ. 142.

„ტეტია გუთანს შეუძლია ოქროსა და ხმალს შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშვიდობიანად უთხრას: დიახ, ბატონებო, ჩვენი გულითადის ფიქრით ქვეყანა იმისაა, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი... ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა... ჩვენი ერი რომ დედამიწაზე შერჩა და დედამიწა ერს — ეგ იმიტომ, რომ ერთ ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი, დასაბამიდან დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერთის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება. აქ მთელი სიგრძე-სიგანით გადმოშლილია ილია ჭავჭავაძის სოციალ-ეკონომიური პროგრამა. ასეთივე იდეებია მოცემული ილიას მხატვრულ პროდუქციაშიც, განსაკუთრებით „ოთარაანთ ქვრივ"-ში. ილიამ სცადა აღედგინა წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდი. დათიკო პროტოტიპია არჩილისა, დარეჯანი — კესოსი, ზაქრო, კაკო და გაბრო — გიორგისა. ამრიგად, ილიას ყოველი ნაბიჯი (60-იან წლებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე) ლოლიკურად შეკავშირებულია ერთიმეორესთან. ზერელე შეხედვით გვეჩვენება, თითქოს ილია ჭავჭავაძე სამოციან წლებში სულ სხვა იყო და შემდეგ რადიკალური გარდაქმნის გამო, სულ განსხვავებული იდეოლოგიით ჩამოყალიბდა ოთხმოცდაათიან წლებში (როგორც ამბ. სიმონ ხუნდაძე ფიქრობდა [1], ნამდვილად კი არავითარ პერიოდებთან არა გვაქვს საქმე.

ილია ებრძოდა ლუარსაბ თათქარიძეს მისი გაჯანსაღების მიზნით. მას ჰსურდა თათქარიძის ადამიანად გადაქცევა, რომ ამით დაღუპვისაგან დაეხსნა საკუთარი კლასი. „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირსუკანაო" — აი „კაცია — ადამიანი?"-ს დედააზრი! ილიას მთელი შემოქმედების შინაარსი იყო ჩატეხილი ხიდის აღდგენისათვის ზრუნვა, „თამარის ეპოქის" „ახალი" სახით აღდგენა. და მერე შეიძლება ასეთ მოაზროვნეს სოციალისტი ეწოდოს, როგორც ამას კოტეტიშვილი და კაპანელი სჩადიან? რასაკვირველია, არა.

ასევე ითქმის აკ. წერეთლის შესახებ. იგი პატრიოტულ რომანტიზმის წარმომადგენლებივით დასტიროდა მეფეთა საფლავებს:

„ის გლოვდა საფლავს იუდის,
მე — ირაკლისას დავტირი"

ლექსში „გლეხის აღსარება" გლეხი მიმართავს ბატონს:

პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები;
მაგრამ, ჩემო წამწყმედო აქ, იქ შენ ვერ ცხონდები" [2].

ცნობილი ჰანგია. ასე გალობდა გრ. ორბელიანი, რომელიც მუშა ბოქულაძეს მუდმივი, დამქანცავი და აუტანელი შრომისათვის „საიქიოს" „ცხონებას" ჰპირდებოდა. ამავე აზრს იმეორებს აკაკი სხვა ლექსებშიაც:

„განვაგრძოთ, ძმებო, მუშური, — (ძლერიან მუშები),
ჩვენი სევდის განმაქარი!
ბანს გვეტყვიან ნაღვლიანად

[1] იხ. ს. ხუნდაძე — „ქართ. ინტელ. პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში", გვ. 53 — 54.

[2] იხ. აკ. წერეთელი — „რჩეული ნაწერები", ტომი IV, გვ. 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არემარე, მთა და ბარი!
ნუთუ გულგრილად უყურებს
ჩვენს ტანჯვასა მაცხოვარი!! [1].

„იმედი გირჩევთ თქვენ, — მიმართავს აკაკი მუშებს, — ჯერ გქონდეთ მოთმინება, ნუ გამოილევთ მაგ იმედს, ეგ იყოს თქვენი საგანი“ — აკაკი წერეთლის შემოქმედებითი ძირითადი და შეიძლება ითქვას, ერთადერთი მოტივი პატრიოტიზმი იყო. აკაკისათვის ბრწყინვალეა მხოლოდ საქართველოს წარსული, სისხლიან მეფეთა დიქტატურა, ასეთი დასკვნა შეიძლება გამოყვანილ იქნეს მისი პოემების განხილვისაგან. მართალია აკაკის აქვს, გამონაკლისის სახით, ზოგიერთი ლექსი, რომელთაც დისონანსი შეაქვთ მის „ნაციონალიზმის ჰარმონიაში“, მაგრამ ხსენებულ ლექსებს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

თქმა იმისა, რომ თერგდალეულები სოციალისტები იყვნენ, აშკარა შეცდომაა.

„მესამე დასი“ ილია ჭავჭავაძის იდეური მემკვიდრეობის გაგრძელება და განვითარება იყოო, — განაგრძობს კოტეტიშვილი. თავის ისტორიის მესამე წიგნში იგი სწერს: „... ვინ იტყვის, რომ საწარმოო იდეებით გატაცება უცხო ყოფილიყვეს იმავე მესამოცე წლების მოღვაწეებისათვის? მაგრამ აქაც გამოვიდა ახალი თაობა, რომელსაც მესამე დასის სახელით ვიცნობთ... ისე, რომ შემდგომი ლიტერატურა მოსჩანს, როგორც იმ დიდი ღეროს განშტოება, რომელსაც მესამოცე წლების ლიტერატურა წარმოადგენს“ [2].

საკითხის ეს სავსებით იდეალისტური გადაჭრა არაა შემთხვევითი კოტეტიშვილის აზროვნებისათვის!

გლეხი ბუნების პირისპირ დგას და იგი უშუალო ფილოსოფოსიაო — ამბობს „ისტორიკოსი“. აქაც საქმე გვაქვს კლასიური ბრძოლისათვის, გვერდის ახვევასთან, მას ავიწყდება, რომ ეს „უშუალობა“ ბუნების მიმართ სავსებით ლიკვიდაციაქმნილია სოციალური ცხოვრების მიერ. კოტეტიშვილის აზროვნება არც ისე აპოლიტიურია, როგორც თვით ავტორი ცდილობს მოგვაჩვენოს. „ინგლისში მუშათა ერთმა მეთაურმა, — სწერს კოტეტიშვილი, — რამდენიმე ათეული წლის წინ სთქვა: მუშებს ერთი დიდი იარაღი გვაქვს და ეს გაგვამარჯვებინებს: ხელებს გულზე დავიკრეთო“ [3]. კოტეტიშვილის ნაციონალიზმი, როგორც ვხედავთ, ძალზე ადვილად ურიგდება მენშევიზმის იდეოლოგიასაც.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მესამე ნაწილის თითქმის ნახევარი დათმობილი აქვს ნეორომანტიზმის წარმომადგენელთა შემოქმედების გარჩევას. აქ კი უკვე კოტეტიშვილის რეაქციონერობა ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. ავტორი მიდის ტიპიურ ექსპრესიონისტულ დასკვნებამდე, იგი უარყოფს ყოველგვარ კულტურას და მეცნიერებას „პირველყოფილობისა“ და „სულის სიწმინდის“ სახელით. „ვაჟას უნდოდა, — სწერს კოტეტიშვილი, — და იყო კიდეც ფშავის დედამიწის ამოძახილი“ [4]. „ჩვენ მხოლოდ უნდა ვიკვლიოთ

---

[1] იხ. იქვე, გვ. 102.
[2] იხ. ვ. კოტეტიშვილი — „ქართ. ლიტ. ისტ.“, წ. III, გვ. 2.
[3] იქვე, გვ. 28.
[4] იქვე, გვ. 94.

ის ამოცანები, რომელიც ფშავის მწვერვალებიდან ჩვენმა პოეტმა გადმოუყარა მხოლოდ საქართველოს კი არა, — მთელ კაცობრიობას"[1]. „ვაჟამ მთაში დაიწყო იმის ძიება, რაც ქალაქებში ლაბორატორიებმა ვერ იპოვეს"[2]. „მისი ცხოვრების და შემოქმედების ძირითადი პრინციპი იყო: დასულიყო ყოველი მოვლენისა თუ საგნის საიდუმლო ძირამდე, ეპოვნა ყველა შორეული და უხილავი კავშირი, რომელიც მსოფლიოს ცხოვრებას ჰქმნის, შთაბეჭდილება ასოციაციებსა და ლოღიკურ კოორდინაციებს იქით მიეგნო იმ ტრანსცენდენტალურ შეგნებამდე, რომელსაც ვერ მივწვდენივართ და ბუნების საიდუმლოებას ვეძახით"[3] (ხაზი ყველგან ჩემია — გ. ნ.).

აქ მთელი იდეალიზმია გადმოშლილი. პოეტი არ შეიძლება იყოს დედამიწის ამოძახილი, მის შემოქმედებას განსაზღვრავს კლასობრივი ბრძოლა, საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, პოლიტიკა, კლასობრივი იდეოლოგია. ლიტერატურა შუალობითი ზედნაშენია საწარმოო ძალებისა.

დასასრულ რა შთაბეჭდილებათა ასოციაციებსა და ლოღიკურ კოორდინაციებს იქით მოთავსებულ ტრანსცენდენტალურ შეგნებაზე ლაპარაკობს კოტეტიშვილი? ეს ხომ ნამდვილი კანტიანური დუალიზმია? ამ მხრივ კოტეტიშვილი სავსებით მოწყვეტილია თანამედროვე ლიტერატურის მეცნიერებას, იგი წარსულშია მთლიანად თავისი იდეოლოგიით, ფილოსოფიით, დახავსებული აზროვნებით.

დასკვნა: კოტეტიშვილის ლიტერატურის ისტორიის სახით ჩვენ გვაქვს ფრიად თავისებური ცდა იდეალიზმის აღდგენისა. თანამედროვე მემარჯვენე რეაქციონური მწერლობა, რომლის წარმომადგენელიც კოტეტიშვილია, ხშირად ეყრდნობა კლასიკოსებს და ამ რიგად ცდილობს თავის „შენახვას". ამიტომ პროლეტარული კრიტიკა ვალდებულია იბრძოლოს ლიტერატურის ისტორიის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ.

ქართულ ინტელიგენციის მემარჯვენე ნაწილში ძლიერია კ. აბაშიძისა და არ. ჯორჯაძის აზროვნების ტრადიციები. ამ ტრადიციების მსხვერპლია კოტეტიშვილი. როგორც ზემოთ ვნახეთ, იგი შემცდარია ყველა ძირითად საკითხში, დაწყებული ლიტერატურის რაობიდან და გათავებული ცალკეული მწერლების შეფასებით. ჩვენ ერთხელ კიდევ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ხელოვნება არის კლასიური ბრძოლის იარაღი, იგი არის აზრების და გრძნობების სისტემატიზაცია სახეებით. ეს განმარტება ძირშივე სპობს ყოველგვარი მეტაფიზიკური გადახრის შესაძლებლობებს, მეცნიერება და ხელოვნება განსხვავდება ერთიმეორისაგან არა შინაარსით, არამედ ფორმით.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გაბატონებული ლიტერატურული მიმდინარეობა რომანტიზმი იყო. რომანტიზმიც თავის მხრივ ორ ფრთად იყოფოდა: ერთის მხრივ გრ. ორბელიანის და სხვა პატრიოტიზმი, მეორეს მხრივ — ბარათაშვილის „ბაირონიზმი". ამით იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ბარათაშვილი პატრიოტული რომანტიზმის წარმომადგენელი არ იყოს. არა, მაგრამ

[1] იქვე, გვ. 104.
[2] იქვე, გვ. 105.
[3] იქვე, გვ. 109.

ბარათაშვილი თავისი პოეზიის თვისებებით საკმაოდ განსხვავდებოდა გრ. ორბელიანისაგან. არისტოკრატიულ წოდების დაღუპვის სევდა ბარათაშვილმა „ფილოსოფიური“ პოეზიის საშვალებით გადმოგვცა.

ამავე ხანებში უკვე რეალიზმიც აკაკუნებდა ლიტერატურის კარს. რეალიზმი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის უძლიერესი ლიტერატურული მიმდინარეობა იყო. რეალიზმი დაიწყეს დ. ჭონქაძემ, ლ. არდაზიანმა ისევ „ცისკრის“ პერიოდიდან, მაგრამ ამ მიმართულების ყოველმხრივი ჩამოყალიბება შემდეგმა თაობებმა შესძლეს.

„თერგდალეულების“ ეპოქა, „ტეტიათა მოტრფიალეთა“ პოეზია, „მესამე დასელები“, — შემდეგი საფეხურები იყო ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნებისა. „მესამე დასიდან“ იწყება პროლეტარული ლიტერატურის ისტორია, ამიტომ „მესამე დასის“ გამოცხადება „თერგდალეულთა“ თაობის აზრების გაგრძელებად, როგორც ამას კოტეტიშვილი სჩადის, აშკარა სისულელეა.

„მესამე დასით“ იხურება მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ისტორია.

გიორგი ნატროშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლემიკური შენიშვნები

კარლო მელაძე

მარქსისტული კრიტიკა დაუნდობელი ბრძოლით უნდა იკვლევდეს გზას. საჭიროა ბრძოლა, როგორც გარეშე მტრების წინააღმდეგ, ისე ჩვენ საკუთარ რიგებშიაც. დავა უნდა იყოს პრინციპული. ჩვენ ყოველგვარი ტენდენციურობის წინააღმდეგი ვართ მარქსისტულ კრიტიკაში. უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი რიგების სიმტკიცისათვის, ბოლშევიზაციისათვის, ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ.

ზოგიერთ ამხანაგს ეს ავიწყდება და თავისი გამოსვლებით ხელს უშლის პროლეტარული ლიტერატურის ძალთა კონსოლიდაციას.

ამ ბოლო დროს პრ. მწერალთა ერთ ჯგუფში თავი იჩინა მავნე გადახრებმა. ეს ამხანაგები ხან მემარჯვენე შეცდომებს უშვებენ, ხან მექანისტურს, ხან „მემარცხენეს და ვინ მოსთვლის კიდევ თუ როგორს.

ჩვენი მორიგი ამოცანაა ბოლშევიკური სისასტიკით შევუტიოთ ყველა იმ მავნე მოვლენას, რომლებსაც ჩვენს რიგებში აქვს ადგილი.

იყო დრო, და არც ისე შორს, როდესაც ბენაშვილი („ახ. კომუნისტი"-დან) უშვებდა აშკარა მემარჯვენე სახის შეცდომებს. მას არ ესმოდა ჩვენს სინამდვილეში გარკვეულად თანამგზავრობის საკითხი და ისეთი მწერლის შესახებ, როგორიც ტ. ტაბიძეა, შემდეგს სწერდა: „მართალაც, ჩვენ ვხედავთ, რომ სარეცენზიო პოემების ავტორი (ლაპარაკია ტიციან ტაბიძის „ორი პოემის" — „რიონპორტის" და „გულდაგულ"-ის შესახებ — კ. მ.) შემოტრიალდა რევოლუციის მონაპოვარისაკენ. მოხდა მის შემოქმედებაში ძირითადი გარდატეხა — იგი გაბედულად გაემიჯნა ძველ გზებს და შევიდა ახალი თემატიკის მხატვრულ დამუშავების ახალ სტადიაში".

ეს აშკარა ოპორტუნისტული გადახრაა. განა შეიძლება აღიარო ტ. ტაბიძე თანამგზავრად იმ დროს, როდესაც იგი თანამგზავრულ ტენდენციებსაც კი არ ატარებს და მისი პოემები ისევ სიმბოლიზმითაა გაჟღენთილი? ამის დანახვა არ შეუძლია მხოლოდ მას, ვინც კრიტიკაში „არ წყენის" პოლიტიკას აწარმოებს.

ამ ამხანაგს არ გააჩნია ერთი მტკიცე მოსაზრება. დღეს რასაც იტყვის, ხვალ ის მიუღებელია და ასე. ასეთი მერყეობა მარქსისტულ კრიტიკაში დაუშვებელია.

ჯერ კიდევ ივნისში ბენაშვილი იცავდა იმ აზრს, რომ პროლეტარული ლიტერატურა აუცილებლად უნდა განვითარდეს ფსიქოლოგიური რეალიზმის გზით, რაც იდეალისტური სახის შეცდომაა, მაგრამ ბენაშვილმა უღალატა ამ აზრს და სხვა ამხანაგებთან ერთად „რეფლექსოლოგიური რეალიზმის" თეორია წამოაყენა, რომელიც მარქსიზმის რევიზიისაკენ იყო მიმართული.

მექანისტურობის წინააღმდეგ ბრძოლა მარქსისტულ სალიტერატურო კრიტიკას არასდროს არ ავიწყდებოდა, არ ავიწყდებოდა აგრეთვე ბრძოლა „ლეფის" თეორიების წინააღმდეგ. ბენაშვილი, გარდა ლეფისტური შეცდომებისა, უშვებს აშკარა იდეალისტური სახის შეცდომებს და განაგრძობს ეკლექტიური „თეორიის" რეფლექსოლოგიური რეალიზმის უდღეურ ტრადიციებს. მართალია, ამხანაგებმა სიტყვით უარყვეს აღნიშნული თეორია, მაგრამ ბოლომდე ისევ მისი თაყვანისმცემელნი არიან.

ბენაშვილი, ნაროუშვილი და სხვ. „რეფლექსოლოგიურ რეალიზმში" სწერდენ: „ფსიქოლოგიზმი, როგორც მეთოდი, სრულებით ვერ ხსნის ადამიანის ხასიათს, მის შინაგან ხასიათს, რადგანაც ადამიანის ინტიმურობა ყოველთვის მეღავნდება ქცევაში (მოქმედებაში) და ვიდრე ეს გარკვეული ქცევა არ იქნება შესწავლილი და ახსნილი, ისე ყოვლად შეუძლებელია ადამიანის გაგება... ადამიანის დასჯა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი „მე" მეღავნდება მოქმედებაში. ეს მათ დასწერეს 1930 წ. სექტემბერში; ყოველგვარი კომენტარიის გარეშე აღნიშნული იდეალისტური „თეორია" ბენაშვილმა გაიმეორა ჟურნ. „დროშა"-შიც (№ 21). „არავის არა აქვს უფლება ადამიანი დასაჯოს იმისდა მიხედვით, თუ რას ფიქრობს ამა თუ იმ მომენტში. მისი დასჯა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შინაგან „მე"-ს ამეღავნებს ქცევებში". ამხ. ბენაშვილის აზრით, ადამიანის „მე" მხოლოდ მის ქცევაში მეღავნდება. ეს იდეალისტური მუსიკის ძირითადი ნოტია, „იდეალიზმი მეობისა და აზროვნების ერთიანობას ვერ ამყარებს და არც შეუძლია დაამყაროს. იგი მას თიშავს" (პლეხანოვი). აქ საკითხი სუბიექტ-ობიექტს ეხება. ჩვენის „კრიტიკოსისათვის" არ არსებობს სუბიექტ-ობიექტის ერთიანობა. მას ადამიანის „მე" დამოუკიდებლად აქვს წარმოდგენილი, რაც იდეალისტური აზროვნების ერთ-ერთი ნიმუშია. „მე ვარ მე ჩემთვის, და ამავე დროს შენ სხვისთვის. მე ვარ სუბიექტი და „ამავე დროს ობიექტი" (პლეხანოვი). როგორც ვხედავთ, „რეფლექსოლოგებს" ეს არ ესმით ან არ უნდათ გაიგონ. ამ შემთხვევაში ბენაშვილი ეკლექტიზმის ტყვეა და მისთვის თავის განთავისუფლება დროზეა საჭირო. გარდა ამისა, ბენაშვილს ყოფნის იმდენი გამბედაობა, რომ დაიწყოს ბრძოლა ხელოვნების მარქსისტული გაგების წინააღმდეგ, რომ „ხელოვნება სახეებით აზროვნებაა" (პლეხანოვი), რომელიც გარკვეული კლასის მიზნებსა და ამოცანებს ემსახურება. რა საბუთით? ცალიერი და მშრალი სიტყვების რახარუხით: „ახალი ხელოვნება არ იქნება არც სახეებში აზროვნება და არც სახეების კომბინაცია, რადგან არცერთი მათგანი არ გამოხატავს იმ ძირითად შინაარს, რომელიც ხელოვნებისათვის და კერძოდ პროზისათვის მთავარია — პირველშიც და მეორეშიც განდევნილია ადამიანი, როგორც მოქმედი ელემენტი... საბოლოოდ კი ადამიანი გამოდის, როგორც ცოცხალი დამატება ხერხების. ხელოვნებაში და კერძოდ პროზაში მთავარია არა სახეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდა ხერხები, არამედ ადამიანის მოქმედება და ცხოვრების ცოცხალი პრაქ ტიკა. ამ ნიადაგზე ხელოვნება არის გარკვეული სახის იდეოლოგია, რომელსაც სისტემაში მოჰყავს გრძნობა, გონება და ხასიათი". ხსენებული კრიტიკოსი „იბრძვის" პლეხანოვის მარქსისტული დებულების წინააღმდეგ ხელოვნების საკითხებში და ანტიმარქსისტულ მექანისტურ-ლეფურ პოზიციებზე დგას.

სახეების უარყოფის თეორია ხელოვნებაში ახალი არ არის, ბენაშვილის აზრით, „საჭიროა ბრძოლა სახეების წინააღმდეგ". ჩვენ ვფიქრობთ, ამაზე მეტი არც ფორმალისტ ჟირმუნსკის და სხვ. უთქვამთ. ჟირმუნსკი სწერდა: „პოეზიის მასალა არის, არა სახეები და ემოციები, არამედ სიტყვა". „სახეები ვერ გამოდგებიან მასალად, რადგანაც ისინი უაღრესად სუბიექტური არიან... ასეთ სახეებზე შეუძლებელია ხელოვნების გაშლა, ხელოვნება უნდა იყოს დამთავრებული, გარკვეული და ამიტომაც ის არ უნდა გაექცეს მკითხველის ფანტაზიის თვითნებობას"...

მხატვრული სახეების გარეშე ხელოვნება, ხელოვნება არ იქნება. ეს უნდა იცოდეს ჩვენმა „თეორეტიკოსმა"; მასში ჯერ კიდევ საკმაოდაა „რეფლექსოლოგიური რეალიზმის" მექანისტური და უდღეური ფორმალიზმის ტრადიციები.

ჰეგემონიის მიღწევა შეუძლებელია, თუ არ ვებრძოლეთ იმ გადახრებს, რომლებიც არსებობს ჩვენ რიგებში და ხელს გვიშლის გეგმიანი შეტევის წარმოებაში. ამისთვის საჭიროა ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართედ გაშლა, მაგრამ არავინ არ უნდა ივიწყებდეს იმ დებულებას, რომ თვითკრიტიკა არც სენსაციების სამზარეულოა და მით უმეტეს არც არ არსებული „მხილება"; ბევრ ჩვენს ამხანაგს ეს ანბანური ჭეშმარიტება ავიწყდება და თვითკრიტიკას იყენებენ ბოროტად და ფრაქციული ბრძოლის მიზნებისათვის.

ამ დღეებში წიგნის ბაზარზე გამოვიდა ამხ. ვ. ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ი ს წიგნი: „პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი მ წ ე რ ლ ო ბ ი ს წ ი ნ ს ვ ლ ი ს ს ი ძ ნ ე ლ ე ე ბ ი". წიგნი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ისედაც ღარიბ მარქსისტულ სალიტერატურო კრიტიკაში; ამხ. ლუარსამიძე ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფარგლებში ამჟღავნებს იმ მავნე გადახრებს, რომელიც ჩვენს რიგებში არსებობს და ხელს გვიშლის ჰეგემონიისათვის ბრძოლაში. ცხადია, არავინ არ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ აღნიშნულ წიგნს არ ქონდეს რაიმე ნაკლი, ეს საერთოდ შეუძლებელია. მაგრამ მარქსისტულ კრიტიკის უბრალო ელემენტარული მცოდნეობა მოითხოვს, რომ ნაკლზე არ უნდა იქნეს გაკეთებული ექსპლოატაცია.

ამხ. ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ი ს ზემოაღნიშნულ წიგნს „ახალგაზრდა კომუნისტი"-დან თავს „დაესხა" ბენაშვილი. აღნიშნული „რეცენზია" ლუარსამიძის წიგნზე ღვარძლიანი შენიშვნებია, რომელიც ერთხელ კიდევ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ლიტერატურის ფრონტზე ფრაქციული ბრძოლის „სურნელებისაგან" ჯერ კიდევ არაა ატმოსფერო დაწმენდილი.

მარქსისტ-კრიტიკოსისათვის აუცილებელ პირობას უნდა წარმოადგენდეს ბრძოლა ყოველგვარი ძმა-ბიჭობისა, უპრინციპობისა და ტენდენციურობის წინააღმდეგ. ბენაშვილი სწორედ ამ ლოზუნგს ამოფარებული გამოვიდა ლუარსამიძის წიგნის წინააღმდეგ და ფაქტიურად ძმა-ბიჭურ კრიტიკის, უპრინციპობისა და ტენდენციურობის მსხვერპლი შეიქნა.

ბენაშვილი წერს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

45 გვერდზე ამბ. ლუარსამიძე სწერს: „კითხულობ საერთოდ ქართულ მხატვრულ ლიტერატურას, გსურს შეიგნო ახალი, თუ რამდენად კომუნისტურია ეს ახალი, რასაც სოციალისტური აღმშენებლობის დღეები, საათები და წუთები ზრდის; გინდა მხატვრულ მწერლობაში შეიგრძნო ბოლშევიკური გაზაფხული, მაგრამ მცირე გამონაკლისს გარდა მხოლოდ მკვეთრი წუთები, შემთხვევები, პირადი განწყობილებანი, ანეგდოტები. მთლიანობა არაა, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები მიჩქმალულია. ეპოქის კლასიური ადამიანები უკანა პლანზეა". ზემომოყვანილი სტრიქონები ამბ. ლუარსამიძეს ეკუთვნის, რაც აუცილებლად სწორია, მაგრამ მეტად საოცარია ბენაშვილის მტკიცება იმის შესახებ, რომ ხაზგასმული სტრიქონები (ე. ი. ლუარსამიძის სიტყვები—კ. მ.) „პანიკური რეზონიორობაა და არა სინამდვილის მარქსისტული ახსნა. თურმე, ნუ იტყვით, ლუარსამიძის აზრით, პროლეტლიტერატურაში გაბატონებულია: შემთხვევები, ანეგდოტები და სხვ...

იმის თქმა, რომ პროლეტმწერლობაში გაბატონებულია შემთხვევები და ანეგდოტები, რაღაც სხვანაირი მუსიკაა, რომელიც რატომღაც (?) არ უკრავს მარქსიზმის „ფირფიტაზე". ასე რომ იყოს საქმე, მაშინ პროლეტმწერლობა (ეს უდიდესი ისტორიული ლიტერატურული მოძრაობა) პირობითად არსებულა. ეს კი ლიკვიდატორობას უდრის. ეს არ არის საკითხის მარქსისტული დასმა".

საიდან გამოიყვანა ჩვენმა „რეფლექსოლოგმა" ასეთი დასკვნა? ლუარსამიძის წიგნში გარკვევითაა თქმული, რომ შემთხვევები, ანეგდოტები და წუთები „ქართულ მწერლობაშია" გამეფებული და არა პროლეტმწერლობაში. ბენაშვილმა უნდა იცოდეს, რომ „ქართულ მწერლობასა" და პროლეტარულ მწერლობას შორის დიდი განსხვავებაა, და თუ საუბარია იმის შესახებ, რომ „ქართულ მწერლობაში" არ სჩანს დღევანდელი დღე, ეს პროლეტმწერლობის ლიკვიდატორობას არ ნიშნავს.

ბენაშვილი არ ჩერდება და განაგრძობს: „იმავე გვერდზე (ე. ი. 45 — კ. მ.) ავტორი (ე. ი. ლუარსამიძე) სწერს: „ყოველი პროლეტარული მწერალი უნდა გაურბოდეს... თავის შემოქმედებაში შიშველი ფაქტების დიქტატურას". ამის შემდეგ ბენაშვილი ასკვნის, რომ „ლუარსამიძე სრულიად უმოტივოდ ფაქტებით მდიდარ მასალას ნათლავს მექანისტურად". ვფიქრობ ეს არ არის სწორი. ბენაშვილმა ამბ. ლუარსამიძის წიგნიდან ცუდად მოიყვანა ციტატა და იქ, სადაც იგი მარცხდებოდა, დასვა რამოდენიმე წერტილი და ამით მოინდომა გამოძრომა. მაგრამ ფაქტები მაინც თავისას იზამს. პოლიტიკური ცხოვრების აბსოლუტურ უცოდინარობას უნდა მიეწეროს, როდესაც ბენაშვილი სწერს: „ავტორი ხშირად (ე. ი. ლუარსამიძე) ამა თუ იმ მწერლის მემარჯვენე-„მემარცხენე" გადახრას ხსნის ზრდის ტკივილით, რაც გაუმართლებელია". ეს აუცილებლად პოლიტიკური შეცდომაა, „სასაცილო იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ამ კლასების (ე. ი. მომაკვდავ კლასების — კ. მ.) წინააღმდეგობა არ ჰპოვებს ამა თუ იმ გამოხატულებას ჩვენი პარტიის რიგებში და მართლაც პოულობს თავის გამოხატულებას პარტიაში. მომაკვდავი კლა-

სების წინააღმდეგობების გამოხატულებას წარმოადგენს. ყოველგვარი გადახრა ლენინური ხაზიდან, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი პარტიის რიგებში" (სტალინი).

საჭიროა ბრძოლა ძმა-ბიჭური კრიტიკის წინააღმდეგ. როგორც ზემოთ ვწერდით, ბენაშვილი ამ ლოზუნგის ნიშნის ქვეშ გამოვიდა, მაგრამ თვითონ მოექცა ამ ტენდენციების ზეგავლენის ქვეშ. თურმე ლუარსამიძეს „გაუბედნია" ნაროუშვილის შემოქმედებაში შეცდომების ძებნა. არავინ არ დავობს იმას, რომ ნაროუშვილი ერთ-ერთი ჯანსაღი პროლეტარული პოეტია, მაგრამ არც ის არის სადავო, რომ ნაროუშვილს აქვს ოპორტუნისტული გადახრები საკმაო რაოდენობით და ამის არდანახვა კი უდავოდ ძმა-ბიჭურ კრიტიკას უნდა მიეწეროს. მაშ რას ნიშნავს ბენაშვილის შემდეგი განცხადება ნაროუშვილზე, თუ პოეტიკის თვალსაზრისით მივუდგებით: „ხშირად ნაროუშვილის მხატვრული მხარე გასაოცარ სიმაღლეს აღწევს". ბენაშვილისთვის არ არსებობს ნაროუშვილის შემოქმედებაში მხატვრულად ის სუსტი ადგილები, რაც მის შემოქმედებას საგრძნობლად ახასიათებს.

არ ვარგა ყოველთვის ფრაქციული კალეიდესკოპიდან უცქირო მოვლენას. თუ რომ ბენაშვილისათვის ნაროუშვილი ყველაფერია, თუ მას „დღეს ბადალი არა ჰყავს", მეორე მხრივ ისეთი ჯანსაღი და მებრძოლი პოეტი, როგორც ალიო მაშაშვილია, მისთვის არ არსებობს.

ალიო მაშაშვილის „აი, ადამიანი!" ბენაშვილის და მისი ფრაქციული ამხანაგების აზრით „პარტიის და საკუთარი კლასის სამტრო ირონიაა". აი ეს არის სწორედ უპრინციპობა კრიტიკაში. აი ეს არის სწორედ ძმა-ბიჭობა კრიტიკაში, რასაც მტკიცედ და მაგრად უნდა დავკრათ. ნუ თუ შეიძლება ეს ითქვას მაშაშვილის პოეზიაზე!?

არაფრად არ ვარგა ასეთი კრიტიკა რომელსაც ნაროუშვილი მიაჩნია:

„დაცემული ჩვენი მხარე
მისი აღნადგენიაო.
ზეგარდმო შთაგონებითა
ცამდის აწეულიაო,
და ვინც იმას თაყვანს არ სცემს, —
ის ბოროტი სულიაო!!" (აკაკი).

Козаевы
Хл. Дзугаевы
Грузиновы

ჩვენთვის ყველა პროლეტარული მწერალი ძვირფასია, იქნება ეს მაშაშვილი, ლორთქიფანიძე, ნაროუშვილი თუ სხვა.

მარქსისტული კრიტიკა უნდა გახდეს მეცნიერული კრიტიკა, რომლის მეთოდია დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდი; მარქსისტული კრიტიკა ბოლშევიკურად უნდა იბრძოდეს იდეოლოგიის ფრონტზე და არა ინტელიგენტურ წვინტლიანობას ამეღავნებდეს!

კარლო მელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოციაციის 10 წელი

ვ. ლ.-მიძე

სრულიად საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაცია ოფიციალურად 1921 წლის 17 დეკემბერს დაარსდა ამხ. ამხ. სილია თოდრიას, სანდრო ეულის და რაჟდენ კალაძის ინიციატივით. პირველი ხანებში ასოციაცია სულ ათიოდე მწერალს აერთიანებდა: ს. თოდრია, ს. ეული, ი. ვაკელი, ს. თალაკვაძე, ი. ლისაშვილი, რ. კალაძე, პ. სამსონიძე, ნ. ზომლეთელი და სხვ.

1921 წელს გამოიცა ს. ეულის ლექსების კრებული: „რევოლუციის საყვირი", მომდევნო პირველ წლებში—ს. თოდრიას „ცრემლებით სიცილი", ეულის „ქარხნის ტრიუმფი", ი. ვაკელის „შარავანდედი", სამსონიძის „ცეცხლის ხმები". 1921 წელს—ასოციაციის სატირული ორგანო „ყუმბარა", 1922 წელს კი ასოციაციის სამხატვრო-სალიტერატურო ორგანო ჟურნალი „ქურა"-ს ორი ნომერი; ჟურნალის რედაქტორები იყვნენ: ს. თოდრია, ს. ეული და რ. კალაძე.

„ქურა" პროლეტკულტიზმის და რუსული „კუზნიცას" ტრადიციების მატარებელი იყო. „ქურა"-ს № 2-ში მოთავსებულია საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის დეკლარაცია, რითაც ასოციაცია საკუთარ ემიჯნებოდა ქართულ მამულიშვილურ და „უპარტიო" მწერლობას, როგორც პროლეტარიატის კლასიური, პარტიული მწერლობა:

> „... საქართველოს დღეს ახალი მზე უნათებს თავისი ცხოველმყოფელი სხივებით. დეე, სულით დაცემულებმა იტირონ თავიანთი სიუძლურე და სიბეჩავე. დღეს ორთქლის და ელექტრონის ბატონობაა, ... პროლეტარული ლიტერატურა ახალი და მასთან კლასიური ხასიათის მოვლენაა ჩვენს დროში. ის დაიბადა მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში; მისი ზრდა და შემდეგი განვითარება დამოკიდებულია ისტორიულ მსვლელობის აუცილებლობაზე, რომელსაც კაცობრიობა გიგანტიურ ნაბიჯებით უმაღლეს საზოგადოებრივ ფორმამდე — კომუნიზმამდე მიყავს" და სხვ.

დეკლარაციას მოსდევდა „დინამო — ლექსები", რევოლუციონური ბრძოლის და შრომის რიტმების განყენებული პოეზია, ე. ი. ბრძოლისა და შრომის განყენებული თემატიკა „ქურა"-ს სტილი იყო; ალექსანდროვსკი, გასტევი („მუშური დარტყმის პოეზია"), პროლეტკულტიზმი „ქურას" იდეურ-შემოქმედებითი ღერბია. 1923 წლის 21 ოქტომბერს გამოვიდა ასოციაციის ყოველკვირეული

ორგანო გაზ. „ორიონი“-ს პირველი №. „ორიონი“ ძირითადად „ქურას“ ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელია. რიტორიული-საკალენდრო ლექსები, პროზა—„სალიუტი მთვარეზე, დიდება ქვეყნად“, სალიტერატურო კრიტიკა განყენებული და ხშირად კურიოზული (მაგ. „ორიონი“-ს № 1-ში ეწერა, რომ თურმე „რევოლუციის დამსახურება სწორედ იმაშია, რომ კატკა ახლა სალდათებს დასდევს“). აღნიშნული ბეჭდვითი ორგანოები ორ-სამ ნომერზე იყენებოდენ უსაღსრობისა და საკმაო შემოქმედებითი ძალების უყოლობის გამო. რაც შეეხება ხსენებულ პერიოდში ასოციაციის ორგანიზაციულ-მასიურ მუშაობას უმთავრესად პროლეტკულტის „გაფრენებში“, ასოციაციის ცალკეული წევრების ლიტერატურული მონაწილეობის მიღებით და ლიტერატურული საღამოების მოწყობით განისაზღვრებოდა.

1923 წელს კომკავშირის ცეკასთან ჩამოყალიბდა კომკავშირელ მწერალთა ჯგუფი—„მომავალი“ (ალ. მაშაშვილი. ვ. ლუარსამიძე და სხვ.), 1923 წლის ნოემბერში ქუთაისში ოფიციალურად საქართველოს პროლეტ. მწერ. ასოციაციის განყოფილება დაარსდა (ბენ. ბუაჩიძე, დ. რონდელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.).

1923 წელს ასოციაცია ორგანიზაციულად დაქსაქსულია და პირობით დაჯგუფებათა ფორმალურ გაერთიანებას წარმოადგენდა. 1924 წელს ასოციაციის დროებითი წესდება დაიბეჭდა.

[redacted]

მიუხედავად იმისა, რომ „მომავლელების“ მხატვრულ-ლიტერატურული პრაქტიკა უმთავრესად საქართველოს გასაბჭოების პირველი თვეებიდან დაიწყო, მათი ორგანიზაციული გაერთიანება მხოლოდ 1923 წლის შუანახევარში მოხერხდა. ამბ. გაიოზ დევდარიანის ინიციატივით ჟურნ. „მომავალი“-ს და გაზ. „სპარტაკი“-ს (საქ. ახ. კ. კ. ცეკას ორგანოები წარსულში) კომკავშირელ და ზოგიერთ უპარტიო ლიტერატურული თანამშრომლების თათბირი მოეწყო: თათბირმა დაადგინა ჟურნალ „მომავლის“ კომკავშირელი ლიტერატურული ძალების და დამწყები ახალგაზრდა მუშა მწერლების ერთ ლიტერატურულ დაჯგუფებად ჩამოყალიბება. ჯგუფი „მომავალი“ ქართული „კომკავშირული მწერლობის“ პირველი მოქმედი უჯრედი, ჩვენი „Молодая гвардия“ იყო, რომელმაც პროლეტარულ მწერლობას მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძალები შესძინა. ჯგუფ „მომავალ“-ში გაერთიანებულნი იყვნენ: ალიო მაშაშვილი, ვ. ლუარსამიძე, კ. ფეოდოსიშვილი, შ. რადიანი, კ. კალაძე, ელ. პოლუმორდვინოვი, პ. ქიქოძე, ევტ. ვაშალომიძე და სხვ. პარალელურად ქუთაისმა რევოლიუციონური ახალგაზრდობის ფენებიდან პროლეტმწერლების რიგი გამოსწია; 1923 წელს ბენიტო ბუაჩიძის, კ. ლორთქიფანიძის, გ. მდივანის და სხვ. ინიციატივით საქარ. პრ. მწერ. ასოციაციის ქუთაისის განყოფილება დაარსდა, რომელმაც 1924 წლის მაისში ალმანახი „დინამიტი“ გამოსცა. დღეს „დინამიტელებს“ და „მომავლელებს“ პრ. მწერალთა ასოციაციაში, პირველი მოწვევის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად, იდეურ-შემოქმედებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. „მომავალი“ და „დინამიტი“ საქართველოს ნაპოსტოველობის სათავეებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს დაიწერა ალიო მაშაშვილის მიერ შემდეგი სტრიქონები:

„ეი, თქვენ, ცაში ბევრს ნუ დაეძებთ.
ძირს სიყვარულით დახედეთ მიწას“,

მიმართული კოსმიზმის, აბსტრაქტულობის და თემატიური სივიწროვის წინააღმდეგ, რაც იმ პერიოდში ქართულ პროლეტარულ მწერლობას ახასიათებდა.

1924 წელს საქარ. პრ. მწერ. ასოციაციას ორგანიზაციულად გამოეყო ახ. პრ. მწერალთა კოლექტივი „პროლემაფ“. პირველი მოწვევის მწერლებიდან „პროლემაფს“ ნ. ზომლეთელი და რ. კალაძე მიემხრენ.

„პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი“-ს ორგანო — „პროლემაფ“ № 1 1925 წელს გამოვიდა. „პროლემაფ“-ში „დინამიტელები“ და „მომავლელები“ იყვნენ გაერთიანებულნი: ბენიტო ბუაჩიძე, დავით რონდელი, კარლო კალაძე, ელიზბარ პოლუმორდვინოვი, შალვა რადიანი, კალე ფეოდოსიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, პლატონ ქიქოძე და სხვ.

„პროლემაფ“ ობიექტიურად პირველი მოწვევის პროლეტმწერალთა შემოქმედებითი პრაქტიკის აღდგენითი პერიოდის ტემპებისაგან ჩამორჩენის, სქემატურობის, აბსტრაქტულობის და განსაკუთრებით ტეხნიკური უძლურების წინააღმდეგ იყო მიმართული. რაც შეეხება „პროლემაფი“-ს ქართული მწერლობის არაპროლეტარული დაჯგუფებისა და ცალკეული მწერლებისადმი დამოკიდებულების საკითხს, „პროლემაფ“ ებრძოდა რა მწერლობის რეაქციონურ სექტორს, ტაქტით ეკიდებოდა თანამგზავრული ტენდენციების მატარებელ მწერლებს და გზას უკაფავდა პროლეტარულ მწერლობას წინსვლის სიძნელეთა დიალექტურ დაძლევაში. რამ აიძულა პროლეტარული მწერლების მეორე მოწვევა ასოციაციას გამოყოფოდა? ასოციაციის ხელმძღვანელობის სისუსტემ და უმთავრესად კი პირველი მოწვევის პროლეტარული მწერლების თემატიურმა და ფორმალურმა ჩამორჩენილობამ; კოსმიზმი, პლაკატიზმი და ფორმალური ეპიგონობა აღნიშნულ ეტაპში ასოციაციის „სტილი“ გახლდათ, „პროლემაფ“-ის დეკლარაცია კონკრეტულად ხსნის ამ ორგანიზაციულ-შემოქმედებითი განცალკევების მიზეზს იმ პერიოდში:

„დღემდე არსებულმა პროლეტარულმა მწერლებმა ვერ შესძლეს რევოლუციონური თანამიმდევრობის აღღოს შენარჩუნება. გამოუვალად მოეკვეს მოპირდაპირე კლასების ფორმალურ სკოლათა უშუალო გავლენის ქვეშ. დაკარგეს ბრძოლის უნარი რევოლუციის იდეოლოგიურ მონაპოვართა დასაცავად. რევოლუციის პოეზია გაიგეს, როგორც ბუკის ტრაფარეტი“ და სხვ.

„პროლემაფ“-ის მხატვრული და კრიტიკული პრაქტიკა კონკრეტული თემატიკით ხასიათდებოდა, საგრძნობლად დაშორებული კოსმიურ შტაპს, და პლაკატურ უსუსურობას. „პროლემაფ“-ის ისტორიული დამსახურება ქართული პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ ის ნაპოსტოველური მიდრეკილებანი, რაც „მომავალს“ და „დინამიტს“ ახასიათებდა „პროლემაფ“-მა რამდენიმედ ნაპოსტოველურ შეხედულებათა სისტემად აქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1925 წელს დაარსდა ტფილისის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელმაც კოლექტივი „პროლემაფ“ და პრ. მწ. ასოციაცია გააერთიანა; მიუხედავად ამისა შეთანხმება მაინც ვერ იქნა მიღწეული.

1925 წელს ასოციაციას ამხ. ნოე ზომლეთელი მეთაურობდა. ნოე ზომლეთელის ხელმძღვანელობით გამოვიდა ჟურნ. „ლიანდაგი“-ს ორი ნომერი. ჟურნალში თავს იყრიდა „მოცისფერყანწებო“, გიმნაზისტური ახალგაზრდობის ზოგიერთი მოპოეტო წარმომადგენელი. ჟურნალში ადგილი ქონდა „პოეტურ წვას“ იმის შესახებ, რომ „არავინ იცის ამ გზის სისწორე“ (იხილეთ ლექსი: „ვერის ხიდზე თმა გაწეწილი ქალი“) და სხვ. „ლიანდაგში“ დაიბეჭდა პირველად ფრიდონ ნაროუშვილი: „არსენ ჯორჯიაშვილი“. საერთოდ 1925 წელი პრ. მწერ. ასოციაციაში იყო უმთავრესად წლად ხალტურისა, „პერევალისა“ და დეზორგანაზაციისა; გამონაკლისი ამინდს არ ქმნიდა. პროლეტარული მწერლობის საუკეთესო შემოქმედებითი ძალები ასოციაციისაგან მოცილებულ იქნენ.

1926 წლის პირველ ნახევარში მოხდა ასოციაციის ხელმძღვანელობის ნაწილობრივი გადახალისება, ხელმძღვანელობას სათავეში მეორე მოწვევის პროლეტარული მწერლების ნაწილი უდგება პირველი მოწვევის ზოგიერთ წარმომადგენელთან ერთად. გამოდის ჟურნალ „მერცხალი“-ს (მემარცხენე რევოლუციონური ლიტერატურა) რამდენიმე ნომერი. სარედაქციო კოლეგია: ბ. ბუაჩიძე, ალ. მაშაშვილი, ნ. ზომლეთელი, დ. რონდელი. ჟურნალში იბეჭდებიან: ალ. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ზომლეთელი. ს. ეული, პ. სამსონიძე, ი. ლისაშვილი, კ. ფეოდოსიშვილი, შ. ნავთლუღელი (პოეზია), ნ. ზომლეთელი, კ. ლორთქიფანიძე, სეზმან ერთაწმინდელი, ელ. პოლუმორდვინოვი, ნ. ასლამაზაშვილი (პროზა), ბენ. ბუაჩიძე, დ. რონდელი, შ. რადიანი (კრიტიკა და თეორია).

1926 წელს გამოვიდა ასოციაციის ერთდღიური გაზეთი „5 მაისი“ საქართველოს პრ. მწერ. პირველი ყრილობისადმი მიძღვნილი. გაზეთში მოთავსებული იყო ამხ. ბენ. ბუაჩიძის სახელმძღვანელო წერილი ასოციაციის მორიგი ამოცანების შესახებ.

1926 წლის ბოლოდან საქ. პრ. მწ. ასოციაციის ხელმძღვანელობა გადარჩეულ იქნა. 1927 წლიდან ასოციაცია შეუჩერებლად მტკიცდება, იზრდება და მთელ ლიტერატურულ მოძრაობას მეთაურობს.

1923 წელს მოსკოვში, პარტიულების ერთმა ჯგუფმა მარქსისტული სალიტერატურო კრიტიკისა და მეთოდოლოგიის ჟურნალი „На Посту“ დაარსა. ამ ჟურნალიდან მიიღო, საკავშირო მასშტაბით, ჩვენმა მოძრაობამ სახელწოდება. „ნა პასტუ“ (ისტორიულად) უმთავრესად მიმართული იყო „კუზნიცას“, პროლეტკულტიზმის და ბურჟუაზ. ლიბერალიზმის წინააღმდეგ მხატვრულ ლიტერატურაში. ნაპოსტოველობა პარტიული დაზვერვაა ლიტერატურის ფრონტზე და ორ ფრონტზე ბრძოლის გამახვილება პროლეტარულ ლიტერატურულ მოძრაობაში. ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, რომელიც სისტემატიურად გამოდის 1927 წლიდან (მეხუთე წელი) ნაპოსტოველური ჟურნალია. ჟურნალ „პროლე-

ტარულ მწერლობა"-ში გამომქეყნავდნენ და აღიზარდენ პროლეტარულ მწერალთა მნიშვნელოვანი ძალები. 1927 წლის სარედაქციო კოლეგია: ბ. ბუაჩიძე, ს. თოდრია, ვ. ლუარსამიძე, ალ. მაშაშვილი, დ. რონდელი. 1930-31 წლის სარედაქციო კოლეგია. ბენ. ბუაჩიძე, ვ. ლუარსამიძე, კ. ლორთქიფანიძე, ალ. მაშაშვილი, ს. ეული, შ. რადიანი, ალ. სულავა.

ასოციაციის და მისი ბეჭდვითი ორგანოს „პროლეტ. მწერლობა"-ს ისტორია ორ ფრონტზე ბრძოლის ისტორიაა, პარტიული ხაზისათვის ლიტერატურაში, პროლეტარული მწერლობის ბოლშევიზაციისათვის: ბრძოლა ვარდინიზმის (პ. ქიქოძე და სხვ.), პროლეტარული მწერლობის ლიკვიდატორების (მუშიშვილი), წვრილ-ბურჟუაზიული ესთეტიზმის (შ. დუდუჩავა) და სხვ. წინააღმდეგ.

ბრძოლა მემარჯვენე-„მემარცხენე" თვალთმაქცური ბლოკის ლიტერატურული აგენტურის წინააღმდეგ მწერლობაში და სხვ.

ყველა ამ ბრძოლაში ასოციაციამ პარტიას პოლიტიკური გამოცდა ჩააბარა, რაც თავდებია იმის, რომ ასოციაცია მომავალშიც თანმიმდევრობით და მედგრად იბრძოლებს ბოლშევიკური ხაზისათვის ლიტერატურაში, პარტიულობისათვის მხატვრულ მწერლობაში.

საქართველოს პრ. მწერ. ასოციაციაში გაერთიანებულია მუშა მწერლების ჯგუფიც (ალმანახი, „ჩვენი მიზანი"). ზოგიერთ მუშა მწერალმა წერა და ბეჭდვა ჯერ კიდევ 1903 წლიდან დაიწყო. მუშა მწერლების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ „დემოკრატიული" მწერლების და ნაწილობრივ აშუღების თემატიურ და ფორმალურ ტყვეობაში იმყოფება, განყენებულად სწერენ და ძალზე უჭირთ კონკრეტული თემატური მასალის დიალექტიური ორგანიზაცია. მუშა მწერალთა ჯგუფში შედიან: შაქრო ნავთლუღელი, გ. ხეჩუაშვილი, ნ. ასლამაზაშვილი, სოლომონ დოლიძე, გ. შინატეხელი. ს. ხიდისთაველი და სხვ. მუშა მწერლების ჯგუფიდან შეემატა ასოციაციის შემოქმედებით აქტივს რომანი „სართულები"-ს ავტორი პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

1926 წლის დეკემბერში, ასოციაციის პრეზიდიუმის და კომკავშირის ცეკას თაოსნობით გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტთან" კომკავშირელ მწერალთა წრე დაარსდა; წრის ხელმძღვანელი იყო ალ. სულავა, კომკავშირელ მწერალთა წრე ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი შემოქმედებითი უჯრედია, საიდანაც ასოციაცია შემოქმედებით ძალებს იკრებს. წრემ ასოციაციას შემდეგი შემოქმედებითი ძალები შესძინა: ალ. სულავა, გ. ნატროშვილი, კ. მელაძე, დ. ბენაშვილი (კრიტიკა) ფრ. ნაროუშვილი, კ. ბობოხიძე, გ. კაჭახიძე, ირ. აბაშიძე, (პოეზია), ს. წვერავა, ბ. ჩხეიძე, მ. ჩიქოვანი, არ. ჩაჩიბაია, მ. გვასალია (პროზა).

სრ. საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია 110 წევრს აერთიანებს.

სამხრ. ოსეთის ასოციაცია 1928 წელს დაარსდა (22 მწერალს ითვლის). ასოციაცია სისტემატიურად სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის ასოციაციების გაერთიანებულ ყოველთვიურ საზოგადოებრივ-სამხატვრო-ლიტერატურულ ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოს „ფიდიოგ“ სცემს. სამხრეთ ოსეთის პროლეტლიტერატურული ძალები: სოზრიკო ყულაევი (ბელეტრისტი და კრიტიკოსი), ჩერმეზ ბეგიზოვი (ბელეტრისტი), პილიევი ხარიტონ (პოეტი), კაროევი (მუშა პოეტი).

[redacted]

აჭარისტანის პრ. მწერ. ასოციაცია აერთიანებს 12 ამხანაგს: ოდიშელი, თადუმაძე, ართილაყვა და სხვ.

აბხაზეთის ასოციაცია ახალი ორგანიზაციაა, აბხაზეთის პრ. მწერლები: ჩანბა, ხაშბა.

ასოციაციის ქუთაისის განყოფილება აერთიანებს 12 მწერალს: ანაზარდი, იამანიძე, მ. ასათიანი, კოსტაიდი, ლალიაშვილი, ხობისპირელი, ბახტურიძე და სხ. ქუთაისის განყოფილება დროგამოშვებით უშვებს ალმანახს — „წითელი აფრა“; შემოქმედებითი აქტივი აგრეთვე გაზეთში — „ლენინის გზით“ — იბეჭდება.

სრ. საქ. პრ. მწერ. ასოციაციის სომხური სექცია (ტფილისი): აკოპ აკოპიანი, არაზი, აღასი ვართანიანი, მარტინი და სხვ. რუსული სექცია (ტფილისი): კრეიტანი, გრებენშჩიკოვი და სხ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას ყავს მკითხველთა და შემოქმედებითი წრეები წარმოებებში (ტფილისი, ქუთაისი, ბათომი, ჭიათურა და სხ.), რაიონებში და თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. დამკვრელ მუშების მწერლობაში გაწვევასთან დაკავშირებით საწარმოს ლიტერატურული წრეების (ასოციაციის ძირითადი უჯრედებია) რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია „ძირითადი ლიტერატურული ორგანიზაციაა, რომელსაც პარტია ეყრდნობა“ (ს. მამულია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გავიმარჯვებთ!

ლ ა ხ უ ტ ი*

1

პროლეტარებო ყველა ქვეყნის, შრომის გმირებო,
დაკოჟრილ ხელით თქვენ დაიპყრობთ ქვეყნიერებას!
ეი, სტალინის მეგობრებო, ლენინის შვილნო!
ყოველმა რჯულმა და კანონმა ჩვენს წინააღმდეგ
აღმართა ხმალი. ირგვლივ ომის ქარიშხალია,
ჩაქუჩი ნამგლით დაეტაკა ჯვარსა და გვირგვინს.

2

ჩვენ, აგზნებულნი, სოციალიზმს ვაშენებთ ახლა.
კლასობრივ ბრძოლას დავამთავრებთ სრულ გამარჯვებით.
საერთო შრომა დედამიწას დაეუფლება.
ბელად ლენინის ნაანდერძევს უნდა მივდიოთ.
ბურჟუაზია ჩვენს მიღწევებს უცქერის თრთოლვით,
გრძნობს თავის სიკვდილს და ტორტმანობს
ბოლმით ავსილი.

3

ოთხ წელში — ხუთი, — აი ჩვენი ტემპის დიდება!
„მემარცხენე“ მტრებს, ბაიყუშებს მარჯვნივ ესმოდესთ.
მშრომელ მასებში განათლების ცეცხლი დავანთეთ.
სოციალიზმი, როგორც დროშა, მოგვაქვს ხალხთათვის,
და თავბრუ ესხმის კაპიტალსა სასოწარკვეთილს;
გარეტებული, იგი ჩვენზე ომით ილაშქრებს.

---

* ლ ა ხ უ ტ ი არის სპარსეთის პროლეტარული პოეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

დღეს ისტორიამ რელიგიის ხმალი გასტეხა.
ცბიერ ნიღაბით „სამრეწველო პარტიამ“ მაშინ
თავისი ავი, მტაცებელი სახე დაფარა,
სახე პაპების, ბარონების, მემამულეთა,
მუშებს მონობის რომ ენახათ ისევ უღელი,
მტრის კლანჭებისთვის რომ დაეთმოთ მონაპოვარი.

5

უკვე იხრწნება კაპიტალი მთელს მსოფლიოში.
ჩვენთან ზრდა არის, აყვავება, იქ არის ჩიხი.
იქ ყველა ცდილობს თავისათვის, ჩვენ-კი ყველასთვის.
დამბლა დაეცა დაბერებულ ბურჟუაზიას.
აი რად არის, რომ ის ბრაზობს გაცოფებული
და კბილთა ღრჭენით ემუქრება ხუთწლედის გეგმას.

6

კოლონიალურს აღარ სძინავთ ერებს მონურებ,
თავისუფლების მონატრულნი ჯანყსა მართავენ,
ამის მიზეზი საბჭოთ ქვეყნის მიღწევებია.
ახლა იციან მთელი ქვეყნის მუქთახორებმა:
სანამ იქნება მაგალითი საბჭოთა ქვეყნის, —
ცეცხლი ჩინეთში, ინდოეთში აღარ ჩაქრება.

Коллекция
Кл. Федосеева
Грузинова

7

თავის მახეებს კაპიტალი დგამს მსოფლიოში,
ყველგან ამრავლებს ინტრიგების ქსელსა და ბუდეს,
ალმოსავლეთის ტომებს ურჩევს განხეთქილებას,
ის ქვებით ამსხვრევს სახეგამკრთალ ზავის ფიალას.
ანთებენ კოცონს და ხანძარსა აძლიერებენ
შეიხი, პაპა, რაბინები და ფაშისტები.

8

ლეიბორისტი, მენშევიკი გერმანიისა,
პოლიტიკოსი ჟენევისა და ბირჟევიკი.
ნიუ-იორკისა, ჩან-კაიში, ტარდიე: ხროვა
ჯალათებისა და მკვლელების, ჯაშუშებისა,
მღვდელი მლიქვნელი და მსუნაგი ეპისკოპოსი, —
ეს კლასთა ფრონტზე კაპიტალის გვარდიელები,
როგორც ნადირნი, გამოდიან მდიდართ ძახილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9

ჩვენი მტერი კი შინაური არის კულაკი.
განა მეომარს შეუძლია დაზოგოს მტერი,
რომელიც არის სამუდამოდ გახელებული,
რადგანაც ხედავს საკუთარი ყოფის აღსასრულს?
ის შეთქმულებებს, ვით საწამლავს, ამზადებს ყველგან,
რომ ყოველივე თავის ირგვლივ გადააშენოს.

10

მაგრამ რას ნიშნავს ეს დუმილი მემარჯვენეთა?
ხშირად ახვევენ ბოროტებას ღალატის ქსელში,
იმათ გამოაქვთ გასასყიდად თვისი ნამუსი.
„მემარცხენეთა“ აღტაცებას არ აქვს საზღვარი,
ასე აფრქვევენ მავნებლობის ბალღამს აქა-იქ
კულაკებისა დაუნდობნი დელეგატები.

11

მაგრამ თუ ომმა იგრიალა, ისე, ვით მინა,
დაილეწება კაპიტალი. არა ამაოდ
ჯვრებს და გვირგვინებს ემუქრება
ნამგალ-ჩაქუჩი.
ჩვენ გავიმარჯვებთ უკანასკნელ ომში ნამდვილად...
ეს ომი ჩვენთვის დიდებაა,
მათთვის სირცხვილი,
თუმცა არა გვსურს ჩვენ სისხლის ღვრა, —
მათ კი სწყურიათ.

12

შრომის შვილები, — ჩვენ მშვიდნი ვართ და გაბედულნი,
ჩაგრულებისთვის ჩვენ ვიბრძოლებთ თავგამეტებით.
ჩვენი ძახილი დედამიწას ესმის: „ომს ომი“!
მაგრამ თუ მტრები თავს გვესხმიან ყოველი მხრიდან, —
ჩვენ არ დავიხევთ. და ჩვენ ორჯერ უფრო მძლავრი ვართ:
წითელი ჯარის ბელადია ვოროშილოვი.

13

ომი ახლოა. უნდა ვიყოთ ჩვენ მეტად ფრთხილი,
უნდა მოვუღოთ ყველა ორპირს ერთბაშად ბოლო.
სახლიდან მტერი შინაური უნდა განვდევნოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც გეპეუ — უნდა ვიყოთ სადარაჯოზე.
დიახ, ყველანი უნდა გავხდეთ ჩვენ ჩეკისტები,
თუ კი ყოველი ჩვენი მტერი გვიმზადებს ღალატს.

14

თვალს ნუ დავხუჭავთ, ომის ცეცხლი გვიახლოვდება,
და მემარჯვენე — „მემარცხენე“ ბლოკმა აგვიხსნას:
დაეჯერება მათ სინანულს? არიან ღირსნი,
რომ კვლავ მივიღოთ ჩვენს რიგებში? თუ კაპიტალთან
შეჰკრეს კავშირი? პირდაპირი მტერი სჯობია
ორპირ მეგობარს, მიმალული ხანჯლით რომ მოდის.

15

საბჭოთა ჯარი სალი კლდეა მიუწვდომელი.
განა დაუშვებს ჩვენს ყანებზე მტრების ურდოებს!
ერთი თვისებაც მტერზე უფრო მაღლა გვაყენებს:
ჩვენ იმათ ვჯობნით კლასობრივი ალღო-შეგნებით.
პროლეტარები ყველა ქვეყნის მხარს დაგვიჭერენ,
ლენინის ცნება თავდებია გამარჯვებისა.

16

ნუთუ დიდებულ მავზოლეის ჩვენ მივატოვებთ?
ნუთუ ჩაგვრის ქვეშ ძველებურად კვლავ დავიკვნესებთ?
ნუთუ კულაკებს კოლექტივის ხორბალსა მივცემთ,
ნუთუ ჩვენ ვაჭრებს დავუბრუნებთ დაპყრობილ ქარხნებს?
შორს პუანკარეევ — მეოცნებევ სისხლის ომისა,
შენი იმედი სიგიჟეა შესაბრალისი!
ჩვენ მოხარკენი აღარა ვართ და არც ვიქნებით.
ბურჟუაზია ჯავრისაგან ჭლექში ვარდება:
ჩვენ ვცოცხლობთ! მოგვაქვს მომავლისთვის სოციალიზმი!

17

სანამ მშრომელსა ხელში თოფი მედგრად უჭირავს,
და დგას გეპეუ სახელოვან სადარაჯოზე, —
ჩვენ შეგვიძლია მივუჩინოთ ადგილი მტრებსა,
მაგრამ მიწის ქვეშ, — იქ ყველანი დაეტევიან,
საუკეთესო ბინა არის სამარე მტრისთვის,
ეს ნადირთ ხროვა ქვეყნისათვის უვარგისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18

როდესაც ხალხი მეფისაგან იყო დევნილი,
და მემამულე ტყავს აძრობდა თავის ყმა გლეხებს,
მუშის ჭირ-ვარამს ადუმებდა დარტყმა ხიშტისა,
მშრომელთ სიცოცხლე ჯოჯოხეთი იყო უსაზღვრო;
და თუმცა იყო სისხლისაგან მიწა სოველი,
გლეხი გულადი ნაპოლეონს არ დამორჩილდა.

19

როცა არ ქონდათ ტეხნიკისა და ცოდნის ძალა,
როცა მიზანი ომებისა ხალხს არ ესმოდა,
და მილიონებს არ ჰქონიათ ერთსულოვნობა
სხვადასხვა ქვეყნის ჯარისკაცთა შეერთებისთვის,
გლეხს მაინც ერგო გამარჯვება სასტიკ ბრძოლაში,
და მან ფრანგები დაამარცხა თავის მიწაზე.

20

ქვეყანა იყო მშენებლობის, ცოდნის გარეშე,
ზიდავდა მუშა უსასტიკეს ჩაგვრის უღელსა,
გლეხის ოჯახი გატანჯული იყო შრომითა,
როცა არ სჩანდენ ღირსეული წინამძღოლები,
როგორც ლენინი და სტალინი,
მათ მაინც ნახეს გამარჯვება —
მტერს დამარცხებულს გაუთხარეს შავი საფლავი.

21

ახლა ქვეყანა სულ სხვა არის — არა ნანგრევი,
და აქ ბატონის დაიკავი ადგილი მუშამ.
დღეს ყველა ხედავს მის საკვირველ ზრდასა და წინსვლას.
დღეს ყველა მუშა საბჭოების ცეცხლსა შეეტრფის,
და ასე მარჯვედ თუ იბრძოდა ის მონობაში,
თავის დიდების ეპოქაში როგორ იბრძოლებს!

22

და ეს ქვეყანა დღეს ყველასთვის ოცნება არის,
არა ერთ ერის სამშობლოა ის სანატრელი.
მისი შვილები — სომეხია, ტაჯიკ-უზბეკი.
და ათას ტომსა ასულდგმულებს ერთი იდეა.
თუ იქნა ომი, — არ დარჩება კავშირი ობლად:
დაგვეხმარება ყველა ქვეყნის ჩვენ პროლეტარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23

დღეს სხვანაირი აბიბინდა რუსეთში ყანა,
და კოლექტივში მთლად ახალი ყოფა შენდება,
მუშასთან ერთად კოლმეურნე იმას განაგებს.
უბრალო გოგოს აქვს ადგილი ქვეყნის მართვაში.
ყველაფერია, ის ვინც იყო არარაობა,
და ძველ ქვეყანას შრომის ხმალი
აპობს შუაზე.

24

ახლა ჩვენ გვინდა მთელი ყოფა გადავაკეთოთ
და შრომის ცეცხლი აღტაცებით ავაელვაროთ;
თავხედი მტერი ემზადება თავდასხმისათვის,
რომ დასცეს ჩვენი აღმშენებლობა.
შავი ძალები ძველ ქვეყნისა ირაზმებიან,
ხმალით და ცეცხლით რომ შემუსრონ შრომის ქვეყანა.

25

ჩვენ შევებრძოლეთ სამარცხვინო უსწავლელობას,
სიღარიბესა, უსაქმობას და მეშჩანობას.
კიდევაც მოვსპეთ მთელ კავშირში უმუშევრობა.
გავანადგურეთ ბევრი სენი ავადმყოფობა.
ახლა ილაშქრებს კაპიტალი მთელ მშრომელებზე,
რომ ყველა მათი მიღწევები დაასამაროს.

26

თუ იქნა ომი — ჩვენ ყველანი დავირაზმებით
და ვუპასუხებთ მტერს უნახავ სასტიკი ომით,
რომლის მოწამე არ ყოფილა კაცობრიობა.
და ეს იქნება ბოლშევიზმის ომი ძლიერი,
ომი შრომისა — საშინელი, უკანასკნელი,
და თუ ჩვენ ხელებს დაგვაჭრიან, კბილებს მოვიხმართ.

27

და იმ ბრძოლაში გამარჯვება იქნება ჩვენი,
დაიღუპება სისხლისმსმელი ძველი ქვეყანა,
მის ნანგრევებზე ჩვენ ავაგებთ ახალ სამყაროს,
სადაც მშრომელი გამოიჩენს თავის გენიას,
სადაც არასდროს ომის ნასახს ვერ დავინახავთ,
და განთიადი გადალეკავს სიბნელის ჩრდილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

28

თქვენ ცოდნის ცეცხლით უმეცრება
ყველგან გადაწვით
და უსაქმობა გაბედულად გაანადგურეთ.
თქვენ კაპიტალზე ამოსჭერით დალი: „დაინგრეს“.
მაგრამ იცოდეთ კოლექტივთა წევრნო, მუშებო;
თუ თქვენ ფაშიზმი გემუქრებათ
ახალ ლაშქრობით,
დახვდებით იმას, ვით მებრძოლნი სოციალიზმის.

29

ორ ქვეყნის შორის არა მარტო ომის ფრონტია,
ყველა ას ფრონტზე არის ბრძოლა განუწყვეტელი,
და მაინც ფრონტი წარმოების გადამწყვეტია.
თქვენ შეგწევთ ძალა გაიმარჯვოთ ამ ასპარეზზე.
რომ არ განელდეს იერიში თქვენი არასდროს —
დაუმორჩილეთ შემოწმებას ირგვლივ ყოველი.

30

ფაშიზმს ვამარცხებთ ჩვენ თვითეულ
ახალ ქარხანით,
ჩვენ ფაშიზმს ვურტყამთ,
როცა ჩაქუჩს გრდემლზე ვანარცხებთ,
და თვითეული მაღაროა მეფის სამარე.
კულაკისათვის კოლექტივის ერთი მარცვალი
საწამლავია, მაშ ავსწიოთ ჩვენ მშენებლობა,
ვიყოთ ყველანი, ვით სალი კლდე, შეუდრეკელნი.

31

პროლეტარებო ყველა ქვეყნის, იყავით მარჯვედ
და დაირაზმეთ საბჭოების ირგვლივ ყველანი.
მტვერად აქციეთ ბატონები მთელ მსოფლიოში,
იყავი ფხიზლად შენ, არმია, გახსოვდეს ფიცი,
წითელი ხიშტით შეუტიე ბურჟუაზიას,
რომ მტაცებელთა განადგურდეს მსუნაგი ხროვა.

32

დაე, ბრწყინავდეს საბჭოების ხელისუფლება
წითელ ვარსკვლავად. ამარცხებდეს გეპეუ მტერსა,
და ბოროტება აღკვეთილი იყოს სრულებით,
მის ნანგრევებზე აღმოცენდეს მასების ბედი.
დაე, კომინტერნს გამარჯვება ხვდეს მსოფლიოში,
და გაუმარჯოს მთელ მშრომელთა
წინამძღოლს — სტალინს!

თარგმანი — **ვ. ბ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული შენიშვნები

ალ. ვართანიანი

ჩვენს კლასობრივს მტრებს, თავიანთ გაუთავებელ გამოსვლებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ძლიერ ხშირად იერიში მოაქვთ საბჭოთა ლიტერატურაზე, უარჰყოფენ მის მიღწევებსა და წინსვლას.

სწორედ საოცარი იქნებოდა, რომ პროლეტარიატის დაუძინებელ მტრებს, მეტადრე საზღვარგარეთში მოკალათებულ ჩვენს „კრიტიკოს" დაშნაკელ „სომეხ მამაცებს" შესძლებოდათ შესაფერად შეეფასებინათ ჩვენი ლიტერატურის ამ წლის ნაყოფიერება. ვთქვათ, ჩვენთან ლიტერატურული ნახნავი გამხმარა და დაცალიერებულა", რომ „ჩეკას და პროლეტარულ მწერლობას დაუხრჩვია „ნამდვილი" ლიტერატურა", — საზღვარგარეთის ლიტერატურა კი რა მდგომარეობაშია, დაშნაკელების მფარველობის ქვეშ მყოფი „თავისუფალი და დამოუკიდებელი" და „ზღვიდან ზღვამდე შეერთებული" ლიტერატურა? რა თვისებისა და რაოდენობის პროდუქცია მოუცია იმპერიალიზმისა და ბურჟუაზიის მიერ შექმნილ „კეთილ" პირობებში „აღზრდილ" ლიტერატურას?

მაგრამ ვიდრე ამ საკითხებზე გადავიდოდეთ, რამდენიმე სიტყვა ოქტომბრისწინა ბურჟუაზიული ინტელიგენციის შესახებ, იმ ინტელიგენციისა, რომლისაგან შესდგებიან ის ლიტერატორები და მწერლები, რომელნიც დღეს საზღვარგაერთ დაშნაკელების ლიტერატურის ავანგარდი და ხელმძღვანელნი არიან.

ამხ. შაჰუმიანს 1916 წელს თავის ცნობილ წერილში „ინტელიგენცია და ნაციონალიზმი" უწერია: „მიღებული აზრია, რომ ინტელიგენცია „ქვეყნის მარილია", რომ ის წინმსვლელობის ძალ-ღონეა ყველა საზოგადოებაში. ამ აზრს შეზღუდვა სჭირდება. მაგალითად, რომ ავიღოთ ახლანდელი სომხის ინტელიგენცია და ერთი მწკრივი სხვა ეროვნული ინტელიგენცია, ჩვენ დავინახავთ, რომ ისინი არამც თუ მარტო მოწინავე ძალები არ არიან, არამედ, პირიქით, „ძლიერ ცუდ და მავნე როლს ასრულებენ თავიანთი ხალხის წინმსვლელობის საქმეში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. შაჰუმიანის ეს სრულიად ჭეშმარიტი აზრი განსაკუთრებულ საბუთებს არ მოითხოვს.

წარსულში ბურჟუაზიული ინტელიგენციის გარკვეული ფენა „მოწინავე" ძალა იყო ისტორიული დროებისა და რევოლუციის სიტუაციის მიხედვით.

მართალია, ხანგრძლივ წელთა განმავლობაში მათ გაუმარჯვიათ ლაპარაკით და „ხალხის" სახელით, სიტყვის წარმოთქმით. აგრეთვე უხმარიათ „რევოლიუციონური" ფრაზეოლოგია, მაგრამ ცოტა არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ბურჟუაზიული ინტელიგენციის იგივე ფენა იძულებული ყოფილა ეჩვენებინა თავისი ნამდვილი კონტრრევოლუციონური, ხალხის საწინააღმდეგო სურვილები და ცხოვრება.

ამ ინტელიგენციის წარმომადგენელნი იყვნენ, რომელთაც თავისი ყოფილი „რევოლუციონური" ნიღაბები მეტად მიიჩნიეს და 1909 წელს გამოსცეს ცნობილი კრებული „Вехи", სადაც, სხვათა შორის, ასეთი გულწრფელი აღსარებაც არის:

„როგორც ვართ, ჩვენ არამც თუ არ შეგვიძლია ვიოცნებოთ ხალხთან შეერთებაზე, არამედ უნდა გვეშინოდეს მისი (ხალხის), ვიდრე მთავრობის მიერ სიკვდილით დასჯისა, და დავლოცოთ ის მთავრობა, რომელსაც მხოლოდ ხიშტებისა და საპყრობილეების საშუალებით ჯერ კიდევ შეუძლია დაგვიფაროს ხალხის რისხვისაგან"...

ასე მიუწერია გერშენზონს იმ დროის ბურჟუაზიის ინტელიგენციის ერთს „საუკეთესო" წარმომადგენელთან, და ნუთუ რომელიმე სხვა მონარქისტს შეეძლო ამაზე უფრო ცხადად გამოეთქვა თავისი შიში და მძულვარება „განრისხებული" მასების გამოსვლის მიმართ?

სად გაქრა რევოლუციონური ფრაზები, ბრძოლა მეფისა და ჟანდარმის რეჟიმის წინააღმდეგ?

იმავე მონარქისტული ცხოვრების შლამში დაძვრებოდა აგრეთვე ჩვენი ბურჟუაზიის „ინტელიგენტთა" გარკვეული ნაწილი, ანუ უფრო დაშნაკელებთან შეფარებული მწერლები და მოღვაწენი. ერთი კაპეიკის ღირსებაც კი არ ჰქონდა მათ „მოწინავე", „ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ", „ხალხის სატკივრებით აღჭურვილ" სიტყვებს და გამოსვლებს, რომელიც საჭირო იყო სომხის ბურჟუაზიისათვის და მისი პარტიისთვის მასების მოსატყუებლად, თვალის ასახვევად. ეჰ! რას იზამ! დაშნაკციუთუნს ჯერ კიდევ აქამდეც არ ერიდება თავის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ დროშებზე „რევოლუციონური" სიტყვის წარწერის, მაგრამ რა რევოლუციას შეეხება სიტყვა, როდესაც დაშნაკცუთუნი, სომხის ბურჟუაზიის ეს ფაშისტური პარტია, ყოველთვის ცარიზმის ერთგული მოსამსახურე ყოფილა და მშრომელი ხალხის ინტერესების ყველაზე საზიზღარი მოწინააღმდეგეა?

ნუთუ საკმარისი არ არის გაზეთ „ჰორიზონი"-ს და დაშნაკელი ლიდერებიდან ხატისოვის მონარქისტული სამარცხვინო მისალმების „სიყვარულით აღგზნებული" ძახილი 1914 წელს კავკასიაში ჩამოსული „დიდი იმპერატორი" ნიკოლოზის მიმართ?

„რამდენადაც ხშირად ეღირსება კავკასია თავისი იმპერატორის ნახვას, რამდენადაც ხშირად და უშუალოდ შესძლებს თავისი ნატვრა რომელნიც თავიანთ ყოველი ნატვრისა და სურვილის „დაგვირგვინდება მისი „სურვილები", — სწერს „ჰორიზონი", დაშნაკელების „სოციალისტური" ეგ მლიქვნელი და დაცემული ორგანო.

რას იტყვიან ამის შემდეგ ისინი, რომელთა აზრითაც დაშნაკცუთუნს ვითომ წარსულში უბრძოლია ცარიზმის წინააღმდეგ, ვითომც მას მონარქისტული ხასიათი არასოდეს არ ჰქონია, ვითომც მას მაუზერისტული, შავი მოღვაწეობა გამოუჩენია მხოლოდ „უკანასკნელ წელთა" განმავლობაში?!

ნუთუ ნება არა ჰქონდათ კავკასიის მშრომელთ ნიკოლოზის რეჟიმის შემდეგ ქვეყნის საზღვრებიდან გაეგდოთ აგრეთვე ისინი, რომელნიც თავიანთ ყოველი ნატვრისა და სურვილების „დაგვირგვინებას" აკავშირებდენ სისხლისმღვრელი მეფის „ნახვასთან"?

დარწმუნებული ვართ, რომ ხატისოვები და აჰარონიანები, მოკლებულნი კავკასიის სამშობლო მიწას, ჯერ ისევ დღევანდლამდე ნატრობენ უკანასკნელ ნიკოლოზს.

მონარქისტული სურვილებით აღჭურვილი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ეს ნაწილი იყო, რომ ოქტომბრის რევოლუციის ნიაღვრიდან თავის დასასხნელად წავიდა საზღვარგარეთ პროლეტარიატის, მისი დიქტატურის და ყოველი მიხწევების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების მიზნით.

შემდგომ, ემიგრაციის დაშლით, როდესაც „მორწმუნეთათვისაც" კი ცხადი გახდა ბურჟუაზიის დამარცხება, იცვლება აგრეთვე განწყობილება ემიგრაციის რიგებში. მათგან ზოგი იძულებული შეიქნა შეეცვალა თავის შეხედულება საბჭოთა მთავრობის მიმართ, ჩიხიდან გამოსასვლელად ახალი გზები ეძიებინა, ხელახლად შეეფასებინა თავისი განვლილი ყოფაქცევის ხაზი. შეეფარდებინა ის შექმნილი მდგომარეობის ახალ პირობებთან, და, აი, გამოდის იმავე პირების მეცადინეობით კრებული „Смена вех".

„Смена вех"-ის სურვილებით აღჭურვილნი, თითო-თითო გამოდიან მოედანზე ქაჯაზნუნები, მაგრამ საზღვარგარეთის ინტელიგენცია, უმნიშვნელო გამოკლებით, დღევანდლამდე რჩება, როგორც საბჭოთა მოწინააღმდეგე მრისხანე კონტრ-რევოლუციონერი ელემენტი, და, აჰა, ეს ინტელიგენცია მეცადინეობდა, რომ განვითარებულიყო და წინ წასულიყო რუსეთის საზღვარგარული ლიტერატურა.

რა მდგომარეობაში იმყოფებიან ეს ლიტერატორები დღეს, ოქტომბრის 12 წლის თავზე?

მიუხედავად იმისა, რომ მათ რიგებში იყვნენ ბალმონტები და კუპრინები, ბუნინები და მერეჟკოვსკები რუსებიდან, შანთი და აჰაროიანი დაშნაკულ მწერალთაგან, უნდა ვთქვათ, რომ საზღვარგარეთის ემიგრაციის ლიტერატურამ არა თუ ვერ გაიმარჯვა, ვერ წავიდა წინ განვითარების გზით, ის ჩვეულებრივ „სიმაღლეზეც" ვერ

193
ბ-8

Коллекция
Кл. Федосова
Тифлис

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩა და ჩამოქვეითდა, ვერ შესძლო ხელში ჩაეგდო ვერცერთი მიხწევა და ძლივს ღაფავს სულს!

არამც თუ მარტო ახლებს, ემიგრაციის ახალგაზრდა ძალებს ვერცერთი თვალსაჩინო ნაწარმოები ვერ მოუცია ამ 12 წლის განმავლობაში, ისეთ მსხვილ ძველ ოსტატებსაც, როგორიც არიან ბუნინი, მერეჟკოვსკი, კუპრინი, ზაიცევი, გიპპიუსი, ბალმონტი და სხვები, რომელნიც ცხოვრობენ თავიანთ შემოქმედების უკანასკნელ ხანაში, გარდა უძლურ განმეორებათა სხვა არცერთი ღირებული რამე არ მოუციათ.

ეჭვს გარეშეა, რომ ემიგრაციის ლიტერატურა, მიუხედავად რამდენიმე განსაკუთრებული, შნოიანი ნაწარმოებისა (ბუნინი—„Митина любовь", „Дело корнета Елагина" და სხვა), ჩიხშია, იხრწნება და თავის უკანასკნელ კრიზისს უახლოვდება.

ახლები სუსტნი არიან, ძველები — უძლურნი ღონიერი და სიცოცხლის მომგვრელი ნაწერებისთვის.

აი საზღვარგარეთის ლიტერატურის დღევანდელი სურათი.

უნდა ვთქვათ, რომ ეს არამც თუ მხოლოდ ჩვენი აზრია, არამედ, აგრეთვე მათი, ჩვენი მტრებისაც. ხშირად მათ, თვითგამათრახების სურვილით აღფურვილთ, არ ეზარებათ თავისი ნამდვილი სახის გამოჩენა.

პარიზის რუსული კონტრრევოლუციონური გაზეთის „Дни" 1928 წლის მაისის 14-ის ნომერში ემიგრაციის საკმაოდ ცნობილი ერთი პიროვნება, ბელეტრისტი ალდანოვი, თავიანთ მდგომარეობას ასეთი სიტყვებით ახასიათებს:

„ჩვენ ლიტერატორთა შორის გამქრალია ნამდვილი სიყვარული მწერლობისა, სუსტია მისკენ ლტოლვა; არის განცალკევება, არ უხარიათ კალმის ამხანაგის გამარჯვება, არ არის ახალი ნიჭის პოვნის ლტოლვა, მისთვის დახმარების აღმოჩენის, სწორე გზაზე დაყენების სურვილი. არცერთი სერიოზული სალიტერატურო ამხანაგობა არა გვაქვს, საცა მწერლები მოგროვდენ ხელოვნების სიტყვის სახელით... აგრეთვე მწერალთა შორის მისწრაფებაში მტკიცე კავშირი არ არსებობს, და ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ერთ მხარეზე დგანან, და ერთ რამეში ბაძავენ თავის უფროს თანამოკალმე ამხანაგებს — კავშირის მიმართ გულგრილობაში".

„ახალი თაობა ერთ რამეშიაც ჰგავს ძველს: აღფრთოვანების უძლურებაში, სიტყვის ცოდნის წყაროებისადმი გულგრილობაში. სიღატაკე ლიტერატურული აზრისა და სისაწყლე ენისა. — აი შედეგები სალიტერატურო ათი წლისა".

ძნელია ლიტერატურის დაცემის, გაკოტრების ამაზე უფრო ცხადად აღიარება. თუ კი ალდანოვი საჭიროდ სცნობს ამდენის თქმას, ცხადია, სადამდე მისულა „ლიტერატურული აზრის სიღატაკე" ემიგრაციის რიგებში. მაგრამ შეიძლება სომხის ემიგრაციის, დაშნაკური ლიტერატურის საფუძველი უფრო კარგია, ვიდრე ალდანოვის თანამემამულეების?

არა, პირიქით: „ჩვენების“ მდგომარეობა შედარებით უფრო ცუდია, ვიდრე ახალშენი რუსული ლიტერატურის მდგომარეობა.

ჩვენ ძლიერ კარგად გვახსოვს საზღვარგარეთის გაზეთებში სურიანის წერილები, რომელშიაც ის საკმაოდ ძლიერ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა სომხის ახალშენის ლიტერატურას.

საკმარისია რადენიმე ციტატა მისი წერილებიდან, რომ ცხადი გახდეს აგრეთვე სომხის ემიგრაციის ლიტერატურის სიღატაკე ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში.

ბატონი სურიანი, როგორც ჩანს, ალდანოვის წერილების გავლენით, სწერს: „მაგრამ როდესაც ადარებ რუსების ახალშენის ლიტერატურას სომხის ახალშენის ლიტერატურას, რა მთა და ბარია, (ოლონდაც!) მათ შორის! ნ ა მ დ ვ ი ლ ი უ ბ ე დ ურ ე ბ ა ჩვენშია, და „Дни“-ს მეთაური წერილი სწორედ ჩვენ შესახებ არის დაწერილი. ერთი წუთით თვალები დახუჭეთ და გონებით შემოუარეთ სომხური ლიტერატურის ნახნავს: რ ა ს ი ღ ა ტ ა კ ე, რ ა ს ი ს ა წ ყ ლ ე ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ი ს, ფ ო რ მ ი ს, ე ნ ი ს ა და ლ ი ტ ე რ ა ტ ურ ი ს ს ა ე რ თ ო მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს ა!

არ არის ღვიძლი დედამიწა, რომელზედაც დადგეს მწერალი, არ არის ცოცხალი მასა, რისგან მიიღოს თავისი ზეშთაგონება, რომლის ენითაც გაამდიდროს თავისი ენა, რომლის ცხოვრებითაც ისარგებლოს. და ა მ ა ვ ა თ ყ ო ფ ო ბ ი თ ი ტ ა ნ ჯ ე ბ ა ჩ ვ ე ნ ი ყ ვ ე ლ ა მ წ ე რ ა ლ ი ძ ვ ე ლ ი თ უ ა ხ ა ლ ი, ჩ ვ ე ნ ი პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა, ჩ ვ ე ნ ი მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა“.

ამაზე მეტი სამარცხვინო მდგომარეობა ძნელი წარმოსადგენია. რა მიხწევებზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც საქმე იქამდე მისულა, რომ ყველგან მეფობს აზროვნების და ცხოვრების უბედურება, როდესაც ძველი თუ ახალი მწერლები სულთმებრძოლი ავადმყოფნი გამხდარან!

მაგრამ სიმართლე მოითხოვს აღვიაროთ, რომ საზღვარგარეთის სომხური ლიტერატურისთვის თუ უკვე მკვდარი არიან აჰარონიანი და შანთი, ულონო არიან რენი და თექიანი, რომ არ ვახსენოთ საბრალოთაგან უფრო საბრალონი — კ. ზარიანი და სხვანი, არის ერთი სახელი, მხოლოდ ერთი, რომელიც მწერლად ჩაითვლება — ეს ჰამასტელაა.

მაგრამ იგივე სიმართლე მოითხოვს ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ჰამასტელა შედარებით ძლიერია როგორც წარსული სოფლის მწერალი, როგორც ძველი ყოფაცხოვრების ამწერი, და მას უსათუოდ გამოელევა მასალა, თუ ჯერ არ გამოლევია, ვინაიდან ნაცრის ქვეშ დამარხული წარსულით ძნელად რომ შესძლოს დიდხანს სიცოცხლე. ჰამასტელას „მიწა“ არა აქვს თავის ფეხქვეშ, როგორც აგრეთვე მის დანარჩენ ძველსა და ახალს თანამოკალმე ამხანაგებს.

დამხობის გზაზეა დამდგარი საზღვარგარეთის სომხის ახალშენის ლიტერატურა. რისთვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურიანი ცდილობს ეს შიმშილის მიზეზი გააშუქოს.

„რა არის ჩვენი ახალშენის სომხური ლიტერატურის უმთავრესი ნაკლულევანება? სხვა არაფერი, — პასუხს იძლევა სურიანი,—თუ არა უ მ ი წ ო ბ ა (ხაზგასმა მისია, ა. ვ.), ხალხისგან ჩამოშორება, „სამშობლოდან, ცხოვრებიდან და მისი ენიდან დაშორება".

სურიანებს არა სურთ შეურიგდენ იმ ცხად აზრს, რომ საქმე მხოლოდ „სიშორეში" არ არის, რომ ახალშენის სომხური ლიტერატურა განდევნილი ბურჟუაზიის ლიტერატურაა და როგორც ასეთს, მას არ შეუძლია განვითარდეს, ვინაიდან თვითონ ბურჟუაზიას, როგორც ქვეჩამავალ, მომაკვდავ კლასს, განვითარების მიწა არა აქვს, ცხოვრებას მოწყვეტილია და სიკვდილის პირასაა მყოფი.

თავის დაშლისა და დამხობის უკანასკნელ ხანაში მყოფ საზღვარგარეთის სომხის ბურჟუაზიას არ შეუძლია იქონიოს „ჯანსაღი" ლიტერატურა, როგორც მოკლებულია დღეს შემოქმედებითს შთაგონებას აგრეთვე ახალშენის რუსი ბურჟუაზია და უმეტესი ნაწილი ყველა ქვეყნების ბურჟუაზიისა ომის შემდეგ.

მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის ცეცხლიდან გამოსულს, მზის ქვეშ თავის შესაფერი ადგილის დამჭერ პროლეტარიატს, როგორც ისტორიულ ახალ ძალას, თავის ამაღლების გზაზე მყოფ კლასს, შეუძლია იქონიოს თავისი განვითარების ლიტერატურა, თან გაიყოლიოს მწერლობის შუა ფენები, ისარგებლოს ბურჟუაზიული კულტურის მიხწევებით და კლასიკოსების შემოქმედებითი ღირებულებებით.

რას ვხედავთ ჩვენს სინამდვილეში, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღიდან დღევანდლამდე? რამდენადაც ცხადია ის გარემოება, რომ დამხობის, ავადმყოფობისა და დაშლის პროცესს განიცდის, საზღვარგარეთის ლიტერატურა, იმდენადვე ცხადია და ეჭვს გარეშე ის, რომ ჩვენი ლიტერატურა, საბჭოთა ლიტერატურა თავის გაცხოველებული განვითარების ხანას განიცდის. არასოდეს ლიტერატურა ისეთი ძალ-ღონით არ განვითარებულა ჩვენს სინამდვილეში, როგორც დღეს, არასოდეს იმდენად ცხადი არ ყოფილა მუშაობის შორეული სურათები, რამდენადაც დღეს, და არასოდეს ამდენად ღონიერი და ულეველი არ ყოფილა ჩვენი განვითარების სათავეები, როგორც დღეს.

საბჭოთა მწერალთა ყველა ფენაში, ძველებიდან დაწყებული ახლებამდე, — შეუჩერებელი სიცოცხლე და სიმხნევეა.

ცოტად თუ ბევრად ღირებულ მწერალთა შორის მკვდარი ხალხი თითქმის არ არის. ძველ მოღვაწეთაგან ისინი, რომელნიც ახალ ღირებულებას არ ქმნიან (ძნელია მოვითხოვოთ იმათგან ეს), ყოველ შემთხვევაში უსაქმოდ არ დაეხეტებიან, თავის ძველ ნაწარმოებს ხელახლად ასწორებენ, ახლად გამოსაცემად ამზადებენ, კრებულებს ადგენენ, დაუმთავრებელ ნაწარმოებთ ამთავრებენ. მაგალითად, შირვანზადემ „მორგანის მძახლის" შემდეგ დაამთავრა „ცხოვრების ქარცეცხლიდან" — მოგონებათა დიდი კრებული, რომლის მნიშვნელობის შესახებ ორ აზრი არ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწერენ აგრეთვე ჩვენი ისეთი ვეტერანები, რომელთაც, უსათუოდ, აქვთ დასვენების უფლება.

სწერს ჰაკობ ჰაკობიანი, აგრეთვე ნარდოსი, რომელიც დიდი ხანი ახალს არაფერს სწერდა და რომლის უკანასკნელი მოთხრობა (იხ. „ლუსაბაც"-ის №№ 2 და 3) მეტად კარგია და უკანასკნელ ალაგს არ დაიჭერს დამსახურებული მწერლის ნაწარმოებებს შორის.

სწერენ აგრეთვე ისინი, რომელნიც წლობით იყვნენ გაჩუმებულნი — ვ. მირაქიანი, მანველიანი, მარგარა, მესიანი და სხვები.

მარგარა, რომლის კალამი ოქტომბრამდე ძლიერ ძუნწი იყო, უკანასკნელ ხანებში ზედიზედ იძლევა ისეთ ღირებულ ნაწარმოებთ, როგორიცაა „ათი წლის შვილიშვილები" და „ცეცხლოვანი ტალღები". ესეც ძლიერ საინტერესო და უსათუოდ შესანიშნია, ყურადღების ღირსი მოვლენაა ჩვენთვის.

შემდეგ კატეგორიას ეკუთვნიან ჩვენი ის ნიჭიერი და ცნობილი მწერლები, რომელნიც ჯერ კიდევ თავის შემოქმედების მდუღარე, ღონიერ და ნაყოფიერ ხანაში ცხოვრობენ. ამ მწერალთაგან უმეტესი ეკუთვნის ოქტომბრის თაობას, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსულან მხოლოდ ოქტომბრის შემდეგ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ უკვე შესძლეს სათანადო ადგილი დაეჭირათ მწერლობაში.

თანამგზავრთაგან მაჰარი, თორგომიანი, აგრეთვე ზორიანი, თითოვენცი, როგორც მწერლები, ჩამოყალიბდენ და წინ წავიდენ ოქტომბრის შემდეგ. ესენი ეკუთვნიან ჩვენს მომწიფებულ მწერალთა იმ რიგს, რომელთა სახელებიც ან სრულიად არ სჩანდა ოქტომბრის წინ, ან თუმცა იყვნენ, განსაკუთრებული მნიშვნელობა არა ჰქონდათ მწერლობისთვის.

ვინ ჰყავს ახალი, გარდა ჰამასტელისა, საზღვარგარეთის „ლიტერატურას"? ვინ არიან მათი მაჰარეები? რა მხატვრულ ნაწარმოებს დასდებენ მაჰარეს „სიბავშე"-ს გვერდით?

ნუთუ დიდი მიხწევა არ არის საბჭოთა ლიტერატურისათვის, როდესაც დემირჭიანი, ზორიანი, ანუ თოთოვენცი იძლევიან „რაშიდი"-ს, „ვარდაძორი კომუნ"-ის და „ნორდი"-სთანა ნამდვილ საბჭოთა ნაწერებს, მიუხედავად მათი ამა თუ იმ ნაკლისა.

სად არის დაშნაკელების „რაშიდ"-ები? არსად, ვინაიდან დაშნაკელთა მომაკვდავ ბურჟუაზიას „რაშიდებ"-ის მიცემა არ შეუძლია.

ავიღოთ პროლეტარული მწერლები, რომელთა ლიტერატურული ნაწარმოები განსაკუთრებით თვალში გვხვდება თავისი შემოქმედებითი ძალით და უნახავი სიცოცხლით.

უსათუოდ დიდი და მკვიდრი ნაწარმოები მოუციათ ამ მწერლებს, მეტადრე ამ ორი წლის განმავლობაში, ნაწარმოებნი, რომელთა თანასწორი ღირებულების პროდუქცია არა თუ საზღვარგარეთის, არამედ ჩვენს თანამგზავრ ლიტერატურასაც არ შეუძლია დღეს გვიჩვენოს.

რომ ავიღოთ აკელის ერთადერთი „წითელი ქვა" მისი პროზიდან

და ჩარენცის პოემა „აჯანყება", ამ შემთხვევაშიაც პროლეტარული

ლიტერატურის წონა ჩვენს თანამგზავრულ ლიტერატურაზე მძიმე იქნება.

რუსულმა პროლეტარულმა მწერლობამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოგვცა „Тихий Дон", ჩვენი დღეების ეგ უდიდესი მხატვრული მიხწევა, რომლის ტოლი არაფერი არა აქვს რუს ემიგრაციას.

შემცდარი არ ვიქნებით, თუ „წითელი ქვის" მნიშვნელობა ჩვენ პროლეტარულ მწერლობისათვის შევადაროთ შოლოხოვის „წყნარ დონ"-ს. და, აი, ბუნებრივად იბადება საკითხი: სად არის დაშნაკელების „წითელი ქვა", იმ დაშნაკელებისა, რომელნიც საზიზღარი ამაყობით და უფრო საზიზღარი უვიცობით „ახმობენ" ჩვენს ლიტერატურულ „ნახნავს".

მაგრამ გარდა აქსელისა და ჩარენცისა, ჩვენს პროლეტარულ მწერლობას ჰყავს არაზი, ეს პირველხარისხოვანი პროზაიკოსი, ვშტუნი, მკრტიჩ არმენი, ალაზანი...

ამ მწერალთაგან არც იმდენად ჩამორჩებიან: დარბინიანი, აბოვი, ნორენცი, ანუშავან ვარდანიანი, ნაირი ზარიანი, არაქსი, გრიგი, ჰოვიკ მელიქიანი, სარიანი და სხვანი. „გრაკან დირქერუმ" („ლიტერატურულ სადარაჯოზე"), „ნორუღი" („ახალი გზა"). „გრაკან შაბათ" („ლიტერატურული შაბათი") და სხვა კრებულები და ცალკეული გამოცემანი ამისი ბრწყინვალე საბუთია.

გარდა ამ საზოგადოდ ცნობილი სახელებისა, საკმარისად ბევრია აგრეთვე დამწყები მწერალი, რომელნიც, დღეს თუ არა, ხვალ მაინც უსათუოდ დაიკავებენ სათანადო ადგილს ჩვენს მწერლობაში. ჩვენ გვყავს აგრეთვე ახალგაზრდა მწერალთა ერთი დიდი და საიმედო ჯგუფი, რომელიც ჯერ მხოლოდ „ცოდნის მარმალილოს ღრღნის".

შეიძლება მაგალითისთვის ერთი წყება ახალი სახელები მოვიყვანოთ, შეიძლება მოყვანილი სახელების სია შევავსოთ ახალი სახელებით, მაგრამ, ვგონებ, ნათქვამიც საკმარისია, რომ დადუმდეს ის მტრული ბაგენი, რომლებიც ცდილობენ უარჰყონ საბჭოთა ლიტერატურის, მეტადრე პროლეტარული მწერლობის, არსებობა და მისი მიხწევები ჩვენთან „ბოლშევიკურ" ამიერკავკასიაში.

საბჭოთა და პროლეტარული მწერლობა არამც თუ მხოლოდ არსებობს ჩვენში დღეს, არამედ ფრთა გაშალა თავისი განვითარების მაღალ საფეხურზე.

მშრომელი ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელიც პროლეტარიატთან ერთად იყო ოქტომბრის ბრძოლის დღეებში, რომელმაც არ დასტოვა თავისი პოზიციები და მხურვალე მონაწილეობა მიიღო შემდგომ საბჭოთა მუშაობაში, პროლეტარულ ახალ ინტელიგენციასთან ერთად, მუშათა კლასის წიაღიდან გამოსულ კულტურულ ძალებთან ერთად მტკიცე საფუძველი დაუდო საბჭოთა ლიტერატურას, ჯერ არყოფილი ბიძგი მისცა მის განვითარებას, დაყრდნობილს პროლეტარული კოლექტივის, პროლეტარული მთავრობის და პროლეტარული ძლიერი მასების დახმარებაზე. ფაქტებმა დაგვანახა, რომ ცარიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტიკი, ორმაგი შევიწროებისაგან განთავისუფლებულ მასებს შეუძლიათ უკან გადაისროლონ „თავადი“ პოეტის ამაყი და უადგილო ზიზღი:

— Печной горшок тебе дороже,
Ты пищу в нем себе варишь...

დიახ, იყო დრო, როდესაც ჩაგვრის ბრჭყალებში ჩახრჩობილ მასას მხოლოდ იმის საშუალება ჰქონდა, რომ დაეფასებინა ის ჭურჭელი, რომელშიაც მას შეეძლო თავისთვის საჭმელი დაემზადებინა, რომ შიმშილისაგან არ მოკვდარიყო. რა უშავს? რამდენიმე ათეული წლის წინად აზროვნების გიგანტმა ბელინსკიმ ერთიანად სამართლიანი რისხვით დაარღვია „პოეტის“ უადგილო ეს ზიზღი და გაამართლა „Печной горшок“-ის დაფასებელი „ბრბო“. მისთვის ეს „გარშოკი“ ძვირფასი ყოფილა. პირველად ბურჟუაზიის „მხატვრობით“, „ციური სიმშვენიერებით“ აღტაცებული „ბრბო“ უნდა დარწმუნებულიყო, რომ ხვალ შიმშილით არ მოკვდებოდა, რომ მის წელზე მემამულე და კაზაკის მათრახი სისხლიან კვალს არ დასტოვებდა (იხილე ბელტოვი, „ბელინსკის ლიტერატურული შეხედულებანი“), მაგრამ როდესაც ძირიანად აღმოიფხვრა ეგ მონური შიში, როდესაც მასამ მიიღო თვალების გახელის საშუალება და მფლობელ კლასთა საზარელი, შევიწროვებისა და გატყავებისაგან განთავისუფლდა, როდესაც ოქტომბრის რევოლუციამ ის აიყვანა მაღალ საფეხურებზე,—იმ დროს გამოიცვალა აგრეთვე მდგომარეობა. მასამ შესძლო ისეთი შემოქმედი ძალის გამოჩენა, რომლის შესახებ წინად ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

და საკვირველი არ არის, რომ მეფის რეჟიმის სასტიკი შევიწროების ქვეშ დაკლაკნილი გარეთ უბანში, დღეს მხურვალე ძალ-ღონით ვითარდება და იზრდება ის ლიტერატურა, რომელთანაც არარაობას წარმოადგენს გაკოტრებული ბურჟუაზიის სრულიად გაკოტრებულ, დამხობის, განუსაზღვრელი ნატვრის, ტკივილის და სიზმრების ატმოსფეროში მოხეტიალე ლიტერატურა.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის ღონიერი სუნთქვის ქვეშ აღიჭურვა სიცოცხლის უძლეველი ზეშთაგონებით და ბრწყინვალე შორეული სურათებით, ამაღლების და გაზრდის სურვილებით აღნთო ჩვენი დღეების საბჭოთა ლიტერატურა და პირველ რიგში პროლეტარული მწერლობა.

ოქტომბრის რევოლუციის პროლეტარული ხელისუფლების პირობებში შეეძლო წინ წასვლა თავის ძლიერი ძალ-ღონით პროლეტარულ მწერლობას, რომლის შესახებ იმდენი მეშჩანური „ღიმილი“ დაიხარჯა, რომლის ძალ-ღონე არ სწამდა წვრილ-ბურჟუაზიას, და „ლიტერატორებიც“ ეჭვით შესცქეროდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სწორედ ამ მიზეზითაც ძნელია დავეთანხმო ამხ. სურხათიანს, როდესაც ის თავის უკანასკნელ წიგნში სწერს: „მაგრამ მაინც კიდევ რაშია საკითხი? საკითხი ისაა, რომ პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა ჯერ ისევ თავის განვითარების პირველ ხანაშია. ის არც უნდა დავამციროთ, არც გარდამეტებით ავამაღლოთ".

თუ მხედველობაში მივიღებთ პროლეტარული მწერლობის გარშემო არსებულ ყველა პირობას, რომელთაც არ შეიძლება ამხ. სურხათიანი არ იცნობდეს, უნდა გადაჭრით ითქვას, რომ საკითხის ასე დასმა, უეჭველია წინააღმდეგ ამხ. სურხათიანის სურვილისა, უწინარეს ყოვლისა ნიშნავს პროლეტარული მწერლობის მიღწევათა ნაკლებად დაფასებას, ეს ნიშნავს ხაზი არ გაესვას მის დიდ, საგრძნობ წინმსვლელობას, იმას, რომ მას უკვე უკან დაუტოვებია „განვითარების პირველი ხანა".

ჩვენის აზრით, საკითხი ისაა, რომ დღევანდლამდე ჩვენს მარქსისტულ კრიტიკას სრულად ვერ დაუფასებია პროლეტარული მწერლობის მიხწევები, ვერ შეუნიშნავს მისი დადებითი და უარყოფითი, სუსტი და ძლიერი მხარეები.

თავისთავად ცხადია, რომ ყოველივე ეს არ ნიშნავს, ვითომც პროლეტარული მწერლობის წინაშე დასმული უსაჭიროესი საკითხები მთლიანად იყოს გადაჭრილი.

თანამგზავრებს და, მეტადრე, ჩვენს პროლეტარულ მწერლობას დღეს უფრო მოეთხოვება ღრმა, დაკვირვებული შემოქმედებითი მუშაობა, რეკონსტრუქტიული ხანის კლასობრივი ბრძოლის სიმახვილე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების რთულ პირობებში ყოველი სიძნელის დასამარცხებლად და, ბოლოს, ხუთწლედის საკითხის ასასხნელი საჭირო ახალ-ახალი მიხწევები.

თვითკრიტიკის უფრო ძლიერი ცეცხლი ჩვენი ყოველი ნაკლის წინააღმდეგ, უფრო შეჯგუფებული შემოქმედი მუშაობა, უფრო ძლიერი ბრძოლა „ჯგუფური", პირადი ხასიათის, პროლეტარული მწერლობის ეთიკის გამთელავი დაუშვებელი მოვლენების წინააღმდეგ. იმ მოვლენების, რომელთა შესახებ ამ დღეებში მოხერხებით და სამართლიანად დასწერა ამხ. ამატუნიმ თავის უკანასკნელ წერილში!

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია შესაფერი დაკვრითვე ვუპასუხოთ სხვადასხვა მოყაყანეებს, „ეჭვიანებსაც", არას ვამბობთ ჩვენი კლასობრივი მტრების და დაშნაკელთა გნდუნების შესახებ, რომელთათვისაც ჩვენი პროლეტარული მწერლები „ნიჭიერებიც რომ იყვნენ", მაინც მწერლები არ არიან, არამედ „ჩეკის აგენტები".

„აქსელ ბაკუნცი, — სწერს „ჰაირენიქ"-ის („სამშობლო"-ს) წარსული წლის № 4978 მეთაურ წერილში გნდუნი, — ზანგეზურის ნიავს იძლევა, არც მეტს, არც ნაკლებს, მაგრამ ეს სულელები ნიჭიერნიც რომ იყვნენ, ზანგეზურის და არარატის ქვეყნის ჭეშმარიტი (!) მწერლები მაინც არ არიან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ, მაშ, „არარატის ქვეყნის“ ჭეშმარიტი მწერლები შეიძლება იყვნენ მხოლოდ დაშნაკელების ჯამბაზები: კოსტან ზარიანი, ოშაკანი, თვითონ გნდუნი და მისი მსგავსნი! მაგრამ თითქოს ერთი ბეწო ლოლიკა აკლია. როგორ გავიგოთ, რომ როდესაც დაშნაკელ კოსტანებს არამც თუ მხოლოდ ნიჭი, არამედ წერის ელემენტარული შნოც კი არა აქვთ, ისინი მაინც კიდევ მწერლები არიან, ხოლო ბაკუნცები ნიჭიერნიც კი რომ იყვნენ, ისინი არავითარ შემთხვევაში „არარატის ქვეყნის“ მწერლები მაინც არ შეიძლება იყონ.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში მისახვედრია ეს: კლასობრივი მტერი თავის რისხვაში ლოლიკურად მოსაზრების ნიჭს ჰკარგავს და საზიზღარ აურზაურსა და გინებას მიჰყოფს ხელს.

გაგიხარიან, გინება შეიძლება დაურიდებლად. მთელმა ქვეყანამაც კარგად იცის, რომ დაშნაკელ ფაშისტებს ამ ასპარეზზე მოცილე არა ჰყავთ.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: დაშნაკელების, ყველანაირი ემიგრანტის, ბურჟუაზიისა და მემამულეთა ლიტერატურა დაისს განიცდის, სწორედ მათივე სიტყვით რომ ვთქვათ, სულთმობრძავი ავადმყოფია და უმწეო. საბჭოთა ლიტერატურა და მისი პროლეტარული მასა კი დგას თავისი ლონიერი განვითარების მტკიცე გზებზე, სოციალისტური აღფთოვანების და შეჯიბრების, სოციალისტურ მშენებლობის, უძლეველი ბრძოლის გზებზე ლენინის გაშლილი დროშით.

სურიანები დღეს „მიწას“ ეძებენ ახალშენის სომხური ლიტერატურისათვის, მაგრამ ეს ამაო და უბრალო ცდაა.

ავიწყდებათ მათ, რომ აჰარონიანებსა და შანთებს არამც თუ დღეს არა აქვთ მიწა ფეხქვეშ, არამედ აგრეთვე დიდი ხნის წინად, ოქტომბრის რევოლუციის დაჭექებამდეც. უფრო მეტს ვიტყვით, ისინი მსოფლიო ომის დაწყებამდეც „უმიწო“ იყვნენ, და მხოლოდ „ძველი ღმერთების“ რომანტიკით როგორმე ცხოვრობდენ, სრულიად მოკლებულნი „ახალი ღმერთები“-ს შორეულ სურათებს.

ასე რომ, სომხის ბურჟუაზიის, საზღვარგარეთის ინტელიგენციისა და ლიტერატურისთვის დღევანდელი კრიზისი და დაცემა შემთხვევითი მოვლენა არ არის. ოქტომბრის რევოლუციის გასაშტერებელმა გრიგალმა მხოლოდ ააჩქარა ეს ბუნებრივი პროცესი, უკანასკნელი და მომაკვდინებელი ურო დასცა გახრწნილ ბურჟუაზიას და მისი დაცემული მწერლობის „მოწინავე“ რიგებს.

ახალშენის მწერალთაგან ერთმა, თავის მარჯვე ერთ-ერთ ლექსში ასე გამოხატა ჩვენი პროლეტარიატისა და თავისი ბურჟუაზიის ბრძოლის განსხვავება:

„განსხვავება დიდია
ჩემსა და შენს ბრძოლაში:
შენ მინაზე ქვას ატყავ,
მე კი — ქვაზე მინასა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა გვგონია, განმარტება საჭირო იყოს. ვუსურვებთ ყველა ამ „რაინდულ მებრძოლს“ უფრო მაგრად დაარტყან პროლეტარიატის ქვას თავიანთი ბურჟუაზიული მინა.

დარწმუნებული ვართ, რომ მალე, უფრო მალე, ვიდრე ჰგონიათ ზანგიბასარის ჯგუფის უფროსებს, მათი მინასაგან არაფერი არ დარჩება პროლეტარიატის დიქტატურის კლდის სიმაღლეებზე.

ჩვენ კი განვაგრძოთ გამარჯვების გზით სიარული ამაღლებული მასების ახალ-ახალ რაზმებთან ერთად, ლენინის პარტიის ფოლადი მეთაურებით, თვითკრიტიკის ძლიერი ცეცხლის ქვეშ, ვიბრძოლოთ ყველა მერყეობის, გადახრებისა და უწინარეს ყოვლისა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, და ასე უზრუნველვყოთ პროლეტარული ლიტერატურის შემდგომი მიღწევები და მისი მოახლოვებული ჰეგემონია მშრომელი მილიონების კულტურული რევოლუციის და სოციალიზმის მშენებლობის უკანასკნელი გამარჯვებისთვის.

ალ. ვართანიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ს. ეული — „ლექსები და პოემები", ტომი პირველი. სახელგამი 1930 წ.

პროლეტარული ლიტერატურის, მისი არსებობის ელემენტები მართალია ს. ეულამდე აღმოცენდა, მაგრამ პროლეტარული მწერლობის ისტორიული დასაწყისი ეულის შემოქმედებასთანაა დაკავშირებული. ეული ის პირველი პროლეტარული მწერალია, რომელსაც ჩვენს სინამდვილეში პროლეტარული ლიტერატურის პიონერობა ხვდა წილად. ეს მოხდა, რასაკვირველია, არა მარტო იმისათვის, რომ ის ლიტერატურული მუშაობის ასპარეზზე თებერვლის რევოლუციამდე გამოვიდა, არამედ უმთავრესად თავისი შემოქმედებითი მუშაობის ხასიათითაც. სანდრო ეული თებერვლის რევოლუციამდეც წერდა, მაგრამ მის მიერ თებერვლის შემდეგ დამოუკიდებელი, მანამდე არსებული „რევოლუციონური" მწერლობიდან, განსხვავებული კლასიურად გარკვეული პოეზიიდან გამოსვლამ, იგი სამართლიანად პროლეტარული მწერლობის სათავეში მოაქცია.

რას წარმოადგენდა, რა შინაარს ატარებდა თებერვლის რევოლუციამდე არსებული რევოლუციონური პრეტენზიის მატარებელი მწერლობა? რასაკვირველია, შრომის განცდას, შრომის დიდებას, თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივებს, მაგრამ თავისი პარტიულობით მენშევიზმის გავლენაში მოქცეული, იგი დემოკრატიული მწერლობის სახელით ოპორტუნისტული მიმდინარეობა იყო, ვიდრე რევოლუციონური; ამიტომ მას შემდეგ რაც დამარცხდა მენშევიზმი და საქართველოში მუშათა კლასის დიქტატურა დამყარდა, არ შეიძლებოდა მუშათა კლასს არ წამოეწია თავისი მსოფლხედველობის პრინციპების შემცველი მწერლობა, რომლის პიონერობა უდავოდ ს. ეულს ეკუთვნის (მაგრამ, რომლის წინამორბედი სხვა ორიოდე მწერალთან ერთად ეგნატე ნინოშვილია).

ის ფაქტი, რომ ქართული ინტელიგენტური, თავადურბურჟუაზიული კრიტიკა ჩქმალავდა და ებრძოდა ეგნატე ნინოშვილს, საუკეთესო დამამტკიცებელია, რომ ქართული ლიტერატურის სინამდვილეში კლასიური სხვაობის, კლასიური ბრძოლის მოტივები მუშათა კლასის მწერლობამ შემოიტანა, რომელიც რევოლუციის პერიოდში არ შეიძლებოდა უფრო მეტად არ გამახვილებულიყო და არ გამხდარიყო ძალაუფლებისათვის, დიქტატურისათვის მებრძოლი მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველ მწერლობად. პროლეტარული მწერლობის გამართლება ამ შემთხვევაში იმაშია, რომ მან დაარღვია ქართული ნაციონალისტური მწერლობის ეროვნული მთლიანობის იდეალია და მასში კლასიური ბრძოლის ინტერესი მკვეთრად შეიტანა, რითაც ბრძოლა გამოუცხადა ბურჟუაზიულ და მის სასახურში მყოფ მენშევიკურ და სხვა რეაქციონურ პარტიათა იდეოლოგიას.

პროლეტარული მწერლობის აღმოცენება, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც იმთავითვე მუშათა კლასის მიერ კულტურისათვის, იდეოლოგიისათვის ბრძოლის დასაწყისს ნიშნავდა; ამითვე აიხსნება ის დამოკიდებულება, რომელიც პროლეტარულ მწერლობას შეხვდა ძველ მწერალთა ფენებისაგან. ლაჩარ და ფილისტერულ მწერალთა რეაქციონურ ხროვას ვერ წარმოედგინა, თუ როგორ შეიძლებოდა ბოლშევიკურ პრაქტიკას თავისი მწერლობა წარმოეშვა, მაგრამ უფრო მწარე იყო ისტორიის დაცინვა მათზე, როცა რევოლუციის დამარცხების სურვილით ამოძრავებულნი დღეებს თითებზე ითვლიდენ; ყოველდღიურ პრესაში კი, ცალკე წიგნებით ამ რევოლუციის ღვიძლი მწერლობა იწყებდა ზრდას და გავითარებას. სწორედ ამ მხრივაა საყურადღებო ეულის პოეზიაც, რომელიც ერთის მხრივ ქართული ლიტერატურის სინამდვილის მოშხამულ ატმოსფერაში წარმოიშვა, მეორეს მხრივ იგი პროლეტარული რევოლუციის ხმას წარმოადგენდა, რევოლიუციის პათოსს ამყლავნებდა, იძლეოდა ბრძოლისა და შრომის პროლეტარულ დიდებას; ეული დღესაც ბრძოლისა და შრომის პოეტად ითვლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეულის პოეზია განვლილი ბრძოლების მემატიანეა, მას არ ახასიათებს იდეოლოგიური ქანაობა, იგი მტკიცედ პარტიულია, კლასიურია; მას კარგად აქვს შეგნებული თავისი შემოქმედების როლი, როცა ერთ-ერთ ლექსში წერს:

„მე შემოვედი
პოეზიაში,
როგორც პოეტი
შრომის და ბრძოლის,
მოუწოდებდი
იმას ჩემს ლექსით
ვისაც უცემდა
გული წინ სრბოლის,
ვინც დაჩაგრული
მუდამ ყოფილა,
ვისაც ცხოვრება
ახალს უმადლის,
ვისი სისხლი და
ოფლი დაღვრილი,
დღეს მომტანია
მიწიერ ნატვრის“.

ეს ლექსი (იხ. „ოცდა ორი წლის“) პროლეტარული მწერლის მთელი საპროგრამო ლექსია, სადაც მებრძოლი პოეტის ამოცანასა და დანიშნულებაზეა ლაპარაკი; სხვაგვარად არც შეიძლება პროლეტარული პოეტი თავისი კლასის მწერალი იყოს თუ არა, როგორც შრომისა და ბრძოლის პოეტი.

აღსანიშნავია უთუოდ ისიც, რომ ს. ეულის პოეზია მართლაც მაშინ წარმოიშვა, როცა ქართულ მწერლობაში დეკადენტური, სიმბოლისტური მიმდინარეობა მეფობდა, განსაკუთრებით პოეზიაში. აღნიშნულ პირობებში ს. ეულის და ამ პერიოდის სხვა პროლეტარული პოეტის ლექსები რეალიზმისაკენ გარდატეხის ახდენდა, პოეზიას რევოლუციის იარაღად ხდიდა, პოეზიას რევოლუციის ენაზე ალაპარაკებდა; ამიტომ ამ პერიოდის პროლეტარული პოეზია რევოლუციის პათოსის, მისი გაქანების, მისი სიდიადის გამომჟღავნების პოეზიაა. ამ პერიოდის პოეზიის ხასიათი და განვითარება პროლეტარული მწერლობის მთელი პერიოდია, როცა რევოლუციის თემები ზვიად, კოსმიურ, ზოგად ათვისებას იღებდა, რევოლუციის კოსმიური შემეცნება ამ პერიოდის პოეტების ძირითადი მეთოდია: „ქარხნის ტრიუმფი“, „ცეცხლის ხმები“, „ქარხნის ჰანგები“ — ამ პერიოდის პოეზიის სტილია.

რევოლუციის კოსმიური ათვისების ამ სტილზეა აგებული ს. ეულის პოეზიაც, რომლითაც იგი თავისი დროის დანიშნულებას ასრულებდა. მაგრამ შემდეგში რამდენადაც რევოლუციის განვითარება მაღალ და რთულ ფორმებით წავიდა წინ, იმდენად მწერლობაშიც გარდატეხა დაიწყო. მრავალმა პროლეტარულმა მწერალმა ვერ შესძლო გარდატეხის მოხდენა თავის შემოქმედებაში და უმთავრესად თავისი წარსულით დარჩა. ასე შეიძლება ითქვას, მაგ. ს. ეულის პოეზიაზეც, იგი უმთავრესად რევოლუციის პირველ პერიოდში გამომჟღავნდა და მთელი თავისი საუკეთესო მიღწევებით ამ პერიოდთანაა დაკავშირებული

სარეცენზიო წიგნი ს. ეულის უახლოესი პერიოდის შემოქმედებითი ნიმუშების კრებულია; ყოველ ლექსში პირველი პერიოდის შემოქმედებითი მეთოდი იგრძნობა, რის შედეგად საკითხების ზოგად ტრაქტოვკას, ხშირად სქემატიზმსაც ვხედავთ. ამ თვალსაზრისით ეულის მრავალი ლექსი მხატვრულად სუსტია, მაგრამ ძირითადში, მისი პოეზია უსათუოდ ჯანსაღი პოეზიაა, რომლის აღმოცენება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური ბრძოლის პირობებში იყო შესაძლებელი.

ს. ეულის პოეზიის წარმოდგენა რევოლუციის ძირითადი მოვლენების, ძირითადი საკითხების გარეშე შეუძლებელია. იგი ორგანულად შესისხლხორცებულია რევოლუციის ამ მოვლენებს და ყოველ თავის ლექსში, თავისი შესაძლებლობის მიხედვით, იძლევა მის დიდებას, ქებას, აღტაცებას, პათოსს, სიყვარულს. საკმარისია დაასახელოთ ს. ეულის ლექსების, მარტო, სათაურები, რომ ცხადად იგრძნოთ მისი თემატიური მასალისა და შინაარსის ხასიათი; ასეთია ყოველშემთხვევაში მისი ლექსების დიდი ნაწილი, როგორც, მაგალითად „ოქტომბრის დღეებში“, „ბარიკადებიდან“ „ქარიშხლის წინ“, „მებრძოლის ხმები“, „თებერვლის ღამე და გათენება“, „წითელ საქართველოს“, „მებრძოლის საფლავზე“, „დიდი ბელადი“, „ლენინი“, „საიდუმლო კარავში“, „მზე და ზაჰესი“, „ქარხნის კონცერტი“, „ქარხნის ჰანგები“, „ოქტომბერი სოფლად“, „წითელ მოსკოვში“, „პირველი კომუნა“, „ათი წელი“, „კომუნა საქართველო“ და სხვ.

სარეცენზიო, აკადემიურად გამოცემული წიგნი ეულის რჩეული ლექსებისა და პოემების პირველი ტომია, სადაც თავმოყრილია ყველაფერი ის, რაც საუკეთესოა და დამახასიათებელი ეულის პოეზიისათვის.

წიგნი: პროლეტარული პოეზიის უმთავრესად „კოსმიური“ პიონერის შემოქმედების

სახეს იძლევა. ეული რევოლიუციის მწერალია, შრომისა და ბრძოლის ღირსეული პოეტი, ბოლშევიკური პოეზიის დამწყები. ამ სახელით შევა ეული პროლეტარულ პოეზიის ისტორიაშიც, მაგრამ რაც მთავარია, სასურველია, პოეტი მოახდენდეს გარდატეხას თავის შემოქმედებაში, (კონკრეტული თემატიკის ხაზით), რომ არ ჩამორჩეს რეკონსტრუქციის პერიოდის პოეზიის ამოცანებს.

სარეცენზიო წიგნს დართული აქვს ამხ. მ. ტ ო რ ო შ ე ლ ი ძ ი ს კრიტიკული წერილი. „სანდრო ეული და პროლეტარული პოეზია“ და ამხ. ვ. ლ უ ა რ ს ა მ ი ძ ი ს მოკლე წერილი: ეულის შემოქმედება და ბიოგრაფია.

ალ. სულავა

გ. გუაჩიძე და ალ. მაშავილი — „მფარველობის ეიმდინარე საკითხები“. გამოსცემა „ქართული წიგნი“. 1931 წ.

პროლეტარული მწერლობა სოციალისტური შენებლობის აქტიური მონაწილე უნდა გახდეს. ამ რთული ამოცანის წარმატებით შესრულება ყოველად შეუძლებელია იმ ნაკლთა ლიკვიდაციის გარეშე, რომელიც პროლეტმწერლობას აქვს. ჩვენ მიერ წარმატებითი ბრძოლა კლასიური მტრის მიმართ უშედეგო იქნება, თუ ერთი წუთითაც მაინც შევანელეთ საკუთარ რიგებში ბრძოლა ორ ფრონტზე, მაგრამ ორ ფრონტზე ბრძოლის დროშის ქვეშ ხშირად გამოდიან ისინი, რომელნიც დათვურ სამსახურს უწევენ პროლეტარულ მწერლობას და კოლექტიურად ლიკვიდატორების როლში გამოვლინდებიან. საქარ. პროლეტარულ მწერ. ასოციაცია მუდამ იბრძოდა ორ ფრონტზე პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებისათვის ლიტერატურაში.

ორ ფრონტზე ბრძოლის ნიშნის ქვეშ აწარმოებდა ასოციაცია ყოველგვარ მუშაობას, მაგრამ ბევრისათვის ეს შეუმჩნეველია, და ისინი მზად არიან უყიჟინონ ასოციაციის ხელმძღვანელებს — ორ ფრონტზე ბრძოლა სუსტია, ხელმძღვანელობა არ ვარგაო და სხ. სწორედ ამ დროშით გამოვიდენ „ახალგაზრდა კომუნისტ“-ში 1930 წ. აგვისტოს ვოლსკი და მისი ჯგუფი, რომლებმაც ასტეხეს განგაში: „არიქა, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში მტრები აღმოვაჩინეთ და ვსცხოთ მათო“, მაგრამ ეგ გამოსვლა, როგორც კარგად ცნობილია ამხანაგებისათვის, უპრინციპო იყო, ეს იყო შემოტევა არასწორი პოზიციებიდან. აღნიშნულმა ამხანაგებმა დაიწყეს ორგანიზაციული ჩხირკედელაობა და ამ არაპრინციპიალურ ბრძოლაში მოინდომეს კომკავშირული ორგანიზაციების ჩათრევა. მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. მათ ავიწყდებოდათ ის ამბავი, რომ საქარ. პროლეტმწერალთა აქტივი კომკავშირშია აღზრდილი. მათ მოინდომეს კომკავშირის ორგანიზაციისა და პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დაპირისპირება, მაგრამ ეგ შეუძლებელი აღმოჩნდა.

საქართველოს ლენინური კომკავშირის ორგანიზაცია დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს იმ დავას, რომელიც საქართველოს პროლეტმწერალთა ასოციაციის ირგვლივ წარმოებდა. ერთი მხრით ლომინაძე თავისი აგენტი ტატულოვით, მეორე მხრით ღოღობერიძე თავისი აგენტი ვოლსკით.

საქარ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ნაპოსტოველური ხელმძღვანელობა ბოლშევიკურად ებრძოდა მემარჯვენე-„მემარცხენე“ ტენდენციებს ლიტერატურაში და მტკიცედ იცავდა პ.რტიის გენერალურ ხაზს ლიტერატურაში.

ბევრისათვის ეს შეუმჩნეველი იყო, და ისინი ბრძოლას ასოციაციის წინააღმდეგ განაგრძობდენ და იცავდენ ზაპპის აშკარა ანტიპარტიულ რეზოლუციას, რომელიც 14 აგვისტოს მიღებულ იქნა ლომინაძის უშუალო მონაწილეობით.

ვოლსკი და მისი „ამალა“, გატაცებული ფრაქციული ბრძოლით, „ვერ“ ამჩნევდენ იმ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს, რომლებსაც ამ ბრძოლაში უშვებდენ.

ვოლსკი და მისი „ამალა“ ფაქტიურად ტატულოვშჩინის და ზაპპის ანტიპარტიული რეზოლუციის დამცველად გვეელინებოდენ. ბრძოლის ეს მთავარი მომენტები კომკავშირის ორგანიზაციამ კარგად იცოდა, რადგან მთელი დავა კომკავშირული გაზეთების ფურცლებზე წარმოებდა.

ამით აიხსნება ის დიდი ყურადღება, რომლითაც ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს ამხ. ბ ე ნ. ბ უ ა ჩ ი ძ ი ს და ალ. მ ა შ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვები ყრილობაზე ლიტერატურის ფრონტის შესახებ.

ამხ. ამხ. ბ. ბ უ ა ჩ ი ძ ი ს და ალ. მ ა შ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვების სტენოგრაფიული ანგარიში გამომცემლობა „ქართული წიგნი“-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ გამოცემული იქნა ცალკე წიგნად, რაც აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ამხანაგების გამოსვლა ნათლად ასურათებს იმ მდგომარეობას, რომელიც არის დღეს ლიტერატურის ფრონტზე.

ამხ. ბენიტო ბუაჩიძის სიტყვა კომკავშირის ყრილობაზე (საქართველოს და ა/კავკასიის) აღსანიშნავია იმით, რომ მან ნათლად გადმოშალა ის სურათი, რომელიც ლიტერატურის ფრონტზე არსებობს. ამხ. ბუაჩიძემ ფართოდ მოხაზა ის მთავარი ხაზები, რომლებშიაც დღეს ვითარდება ქართული მწერლობა. ამხ. ბუაჩიძე ვრცლად შეჩერდა იმ კლასიურ ბრძოლაზე, რომელიც დღეს იდეოლოგიურ სფეროში მიმდინარეობს. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ დავას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქარ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის მიმართ.

ამხ. ბუაჩიძემ ყრილობაზე გარკვევით სთქვა:

„რომ იდეურად დამსხვრეული განიარალებული მემარჯვენე ოპორტუნიზმის ზოგიერთი წარმომადგენელი დღეს კინკლაობაზე ხურდავდება, ამის სანიმუშო მაგალითია ვოლსკი დღეს“.

გარდა ამისა, ამხ. ბუაჩიძემ სთქვა:

„პროლეტარულ მწერალთა საუკეთესო ძალები კომკავშირშია აღზრდილი. პროლეტარული მწერლობა ყოველთვის ხელი-ხელჩაკიდული მუშაობდა კომკავშირთან, განსაკუთრებით ყოველთვის მჭიდრო კავშირი გვქონდა კომკავშირის პრესასთან. მაგრამ უკანასკნელ ხანებში, სწორედ იმ დროს, როდესაც პროლეტმწერლობა გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა რეაქციონური მწერლების — მემარჯვენეების წინააღმდეგ, კომკავშირის გაზეთის რედაქტორმა ამხ. ვოლსკიმ გაილაშქრა პროლეტმწერლობის ხელმძღვანელობის და ხაზის წინააღმდეგ“.

რატომ დასჭირდა ამხ. ბუაჩიძეს ყოველივე ზემომოყვანილის თქმა ყრილობაზე, თუ არა იმიტომ, რომ ვოლსკიმ და მისმა „ამალამ“, ფრაქციული ბრძოლით დამბრალებულებმა მოინდომეს პროლეტარული მწერლობა კომკავშირის მასისათვის დაეპირისპირებინათ, მაგრამ ეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მათ ვერ შესძლეს.

ამხ. ბუაჩიძემ საქართველოს კომკავშირის მე-10 ყრილობაზე და შემდეგ კი ა/კ კომკავშირის ორგანიზაციების მე-6 ყრილობაზე. სწორი ანალიზი გაუკეთა იმ ძალთა განწყობილებას, რომელსაც დღეს ადგილი აქვს მწერლობის ფრონტზე. აგრეთვე ამხ. ბუაჩიძემ სწორედ დააზასიათა ის ბრძოლები, რომელსაც ადგილი ქონდა ასოციაციის ნაპოსტოველური ხელმძღვანელობის და აქტივის წინააღმდეგ. ბუაჩიძემ თავის გამოსვლებში სწორედ შეაფასა ლომინაძისა და ღოღობერიძის ხაზი ლიტერატურაში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამხ. ბუაჩიძის სიტყვის სტენოგრაფიული ანგარიში ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიადაგზეა აგებული, რომელშიაც გარკვევითაა თქმული: იდეოლოგიურ ფრონტზე კლასიური ბრძოლა გრძელდება. პროლეტმწერლობამ უახლოეს ხანში ჰეგემონიას უნდა მიაღწიოს. ამისათვის საჭიროა ბრძოლა საკუთარ რიგებში ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ. საჭიროა შეუნელებელი ბრძოლა ორ ფრონტზე. საჭიროა აგრეთვე ბრძოლა ორგანიზაციულად მოჩხირკედელავე ხალხის წინააღმდეგ, რომელნიც ხელს უშლიან პროლეტმწერლობის ძალთა კონსოლიდაციას და ჰეგემონიისათვის ბრძოლას. ამხ. ბენ. ბუაჩიძის სიტყვებიდან გარკვევით გავიგებთ შემდეგს: პროლეტმწერლობა მტკიცედ იცავს და დაიცავს პარტიის გენერალურ ხაზს. საქარ. პროლეტარულ-მწერალთა ასოციაციამ ნაპოსტოველური ხელმძღვანელობით წარსულ დავებში პარტიას ჩააბარა სერიოზული პოლიტიკური გამოცდა.

უდავოდ მნიშვნელოვანია ამხ. ალიო მაშაშვილის სიტყვა საქართველოს კ. კ. მე-10 ყრილობაზე. ამხ. ალიო მაშაშვილი თავის სიტყვაში ხაზს უსვამს ლიტფრონტზე არსებულ მდგომარეობას. მან სწორედ შეაფასა ასოციაციის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა და ყრილობაზე განაცხადა: „რა მიზანი ჰქონდა ამხ. ვოლსკის, როდესაც იბრძოდა ასოციაციის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ? აი რა: მოიხსნა ასოციაციის პ/მგ მდივანი ამხ. ბენ. ბუაჩიძე და მის მაგიერ დაინიშნა პ/მგ მდივნად ამხ. ვოლსკი. ამხანაგო ვოლსკი, როდის იბრძოდა კომკავშირი ასოციაციის მდივნობისათვის? თქვენ ხომ პარტიისა და კომკავშირის სახელით გვებრძოდით მაშინ“. აქ მართლაც ნათლადაა ნაჩვენები, თუ რისთვის იბრძოდენ ვოლსკი და სხვა ამხანაგები.

ამავე ყრილობაზე ამხ. ალიო მაშაშვილმა წაიკითხა ლექსი: „დამკვრელი ბრიგადები“, რომელიც პროლეტარული შრომისა და ბრძოლის მოწოდების ლექსია თავისი აწეული პათოსით. ალიო მაშაშვილმა აღნიშნული ლექსით ერთხელ კიდევ ზედმეტად დაამტკიცა, რომ იგი ჯანსაღი პროლეტარული მწერალია, რომელიც თავის მხატვრულ

ფაქტებში პარტიის იდეებს იტევს. ალიო მაშაშვილი თავისი კლასის საუკეთესო მწერალია და არა მისი მოწინააღმდეგე, როგორც ეს ზოგიერთ ვაიკრიტიკოს ჰგონია. ალიო მაშაშვილის შემოქმედება ბოლშევიკი მწერლის შემოქმედებაა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ამხ. ბენ. ბუაჩიძის და ალიო მაშაშვილის სიტყვების სტენოგრაფიული ანგარიშის გამოცემა გამართლებულია — მით კომკავშირულ მასას საშუალება მიეცემა გაეცნოს იმ ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წინააღმდეგ.

ამხ. ამხ. ბენ. ბუაჩიძის და ალიო მაშაშვილის სიტყვები ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ კომკავშირის ორგანიზაცია ლიტერატურის საკითხებს დიდი სერიოზულობით ეკიდება. მიუხედავად იმისა, რომ ვოლსკიმ და მისმა ნაქებმა „კომპანიამ" მოინდომეს ასოციაციის და კომკავშირის ორგანიზაციის ერთმანეთზე დაპირისპირება, ეს მათ ვერ შესძლეს, რაც დაამტკიცა საქ. კ. კ. მე-10 და ა/კავკასიის კომკავშირის ორგანიზაციების მე-6 ყრილობამ. აღნიშნულ წიგნში მოთავსებულია აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ბიუროს 30 ნოემბრის დადგენილება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

ეს წიგნი ყოველმა კომკავშირელმა უნდა წაიკითხოს.

კ. მელაძე

პასუხი რეცენზენტს

ჟურ. „პროლეტარულ მწერლობა"-ში მოთავსებულია გ. მებუკეს რეცენზია ჩემი რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით გამოსულ დიმიტრი ყიფიანის „მემუარებზე". საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი შენიშვნების გაკეთება.

1. რეცენზენტი სწერს:

„მართლაც ვინ იყო და რა საქმეს ემსახურებოდა დიმიტრი ყიფიანი, ამის შესახებ ვალაპარაკოთ მისივე მემუარები. ის მე-60 წლების მოღვაწეა, ამ წლების მოღვაწეთა თვალსაჩინო წევრი" („პროლეტ. მწერლობა" № 12, გვ. 137 ხაზი ჩემია ს. ხ.).

ამის შემდეგ ავტორი ჩამოსთვლის — სივრცისა და გარემოების გარეშე — დ. ყიფიანის „მოღვაწეობის" ფაქტებს, მაგრამ ნუ თუ მემუარების რეცენზენტმა არ უნდა იცოდეს, რომ დ. ყიფიანი 30-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, რომ იგი 1830-32 წლების შეთქმულებაში ღებულობდა მონაწილეობას, რომ მისი მოღვაწეობა 1830-1887 წლების მანძილით განისაზღვრება, რომ იგი მე-60-ე წლების მოღვაწეთა წრეს არ ეკუთვნოდა, რომ იგი იმ პერიოდში წარმომადგენელი იყო ძველი თაობისა. ნუ თუ ამ ელემენტარული საკითხების უცოდინარს შეუძლია სისწორით შეაფასოს დ. ყიფიანის მოღვაწეობა და ჩემი ნარკვევი მის შესახებ. მწერლის მოღვაწეობა არ იცი, მის ღვაწლს, როგორ შეაფასებ?

2. რეცენზენტი სწერს:

„... სადაც თავადაზნაურობის ეკონომიური მდგომარეობა ილახებოდა, სადაც მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ „პოლოჟენიე"-ს საფრთხე მოელოდა, იქ ყიფიანი თვითმპყრობელობას ებრძოდა დაბოლოს ამ ბრძოლაში დალია სული, ამ საქმეს შეეწირა მსხვერპლად" (გვ. 140 ხაზი ჩემია ს. ხ.).

80-იან წლებში დ. ყიფიანის მოღვაწეობა საინტერესო ისტორიულ ფაქტს წარმოადგენდა და ჩვენი ნაციონალისტები ამაში „თვითმპყრობელობის წინააღმდეგ" მიმართულ მოღვაწეობას ხედავდენ. რეცენზენტი, რომელსაც ეს მოღვაწეობა არც შესწავლილი და არც გამორკვეული აქვს, ყურმოკრულ სიტყვებისა და ნაციონალისტების ქადაგების ზეგავლენით დ. ყიფიანს „თვითმპრობელობის წინააღმდეგ" მებრძოლად ნათლავს. ჩემ ნარკვევში ამის შესახებ სწერია „... იგი (დ. ყიფიანი) ერთი წუთითაც არ ფიქრობდა ცარიზმის საფუძვლებისა და ტახტისადმი ერთგულების შეგნების შერყევას ქართულ საზოგადოებაში" (გვ. XXVIII). მკითხველი თუ გაირჯება და წაიკითხავს ჩემს ნარკვევს თუ გინდ XXVII—VIII გვერდს იქედანაც დაინახავს, თუ როგორ შეუძლია უვიც რეცენზენტს დაამახინჯოს ისტორიული ფაქტები. გარდა ამისა, ისტორიული ფაქტია, რომ ბატონყმობის მოსპობამ ყველაზედ უფრო დასცა თავადაზნაურობა ეკონომიურად. ისიც ფაქტია რომ დ. ყიფიანი პრინციპიალურად წინააღმდეგი იყო ბატონყმობის მოსპობისა, მაგრამ მის შესახებ პროექტიც წარადგინა და თავადაზნაურობასაც უჭადაგებდა ბატონყმობის მოსპობას. რატომ? იმიტომ, რომ ამას ტახტი უბრძანებდა! ვისაც საკითხი შეუსწავლია თავისი სიღრმით, იგი იმ დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვნამდე მივა, როგორათაც მე ვწერდი: „რუსული მონარქიზმი და ქართული ნაციონალიზმი განუყრელი რგოლებით იყო გადაჯაჭვული ერთმანეთზე. დ. ყიფიანის აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში“ (გვ. XXIII). იგი ებრძოდა „ჩინოვნიკების“ ყალბ პოლიტიკას და უყოყმანოდ ემორჩილებოდა ტახტს, თვითმყრობელობას. ვინც ამაში თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ბრძოლას ხედავს, იგი შეგნებულად იმეორებს ნაციონალისტების შეხედულებას.

3. რეცენზენტი სწერს: „წვრილ ბიუროკრატებს ებრძოდა, მსხვილს ემყარებოდა“. ისტორიული ფაქტია, რომ 80-იან წლებში ყიფიანმა მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა დონდუკოვ-კარსაკოვს—კავკასიის მთავარ-მართებელს; იანოვსკის—სწავლა განათლების მხრუნველს—და საქართველოს ექსარხოს. განა ესენი წვრილი ბიუროკრატები იყვნენ? ნუ თუ რეცენზენტმა არ უნდა იცოდეს თუ რისთვის ებრძოდა ყიფიანი ამ მსხვილ ბიუროკრატებს? მაგრამ როგორ უნდა შევათანხმოთ: ერთი მხრივ — „წვრილ ბიუროკრატებს ებრძოდა და მსხვილს ემყარებოდა“ და მეორე მხრივ, „თვითმპყრობელობას ებრძოდა“?

ახლა შევებოთა იმას, თუ როგორ ამახინჯებს იგი ჩემს დებულებასა და აზრებს.

4. რეცენზენტი სწერს:

„სიმ. ხუნდაძე მარქსისტულ საზომს სრულებით ვერ იმარჯვებს, როდესაც დიმ. ყიფიანის ეროვნულ პოლიტიკაზე მსჯელობს. აქ ავტორი თავადაზნაურულ და ეროვნულ პოლიტიკას შორის ყოველგვარი განსხვავების ნიშანწყალს აქარწყლებს, საზღვარს შლის. აქ ის ჯორჯაძის და სხვების თანამოზიარე ხდება, მისი მოწაფის როლში გვეელინება, მისი აზრების გამავრცელებლად გამოდის... მას (ხუნდაძეს) არ უნდა ყიფიანი და სხვები მთელი ერისათვის თავდადებული იალბუზიდან (?) ჩამოიყვანოს და თავისი კლასის, თავისი წოდების სადარაჯოზე დაიყენოს. ის ამ შემთხვევაში ეროვნულ პოლიტიკაზე პირწავარდნილი ფედერალისტივით მსჯელობს და არ უნდა ეს პოლიტიკა კლასობრივი შინაარსით აავსოს“.

მე ვწერდი: „მაგრამ აქ საჭირო არის დ. ყიფიანის პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის სოციალური შინაარსი გამოვარკვიოთ. დ. ყიფიანი გარკვეული ეპოქისა და გარკვეული წოდების შვილი იყო; მისი სოციალური ფილოსოფია არასოდეს არ გასცილებია წოდებრივ ფარგლებს. თუ, ერთი მხრივ, იგი ენერგიული მოხრე იყო მაღალი წოდების ემანსიპაციისა, ამ წოდების შიგნით არსებულ სოციალური გრადაციების მოსპობისა; მეორე მხრივ, იგი არასოდეს არ მისულა საერთოდ წოდებათა გათანასწორების შეგნებამდე. მისი იდეოლოგია წოდებრივი შინაარსისა იყო; მისი სოციალური იდეალები ბატონყმურ საქართველოში გამოიხატებოდა. დ. ყიფიანი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ წოდებათა არსებობა აუცილებელი პირობა არის ერის წარმატებისათვის; რომ დაბალი წოდების-გლეხობის მოვალეობას შეადგენს შრომა და ეკონომიური დოვლათის შექმნა; ხოლო მაღალი წოდების ფუნქცია მართვასა, ხელმძღვანელობასა და კულტურის სამსახურში უნდა გამოიხატოს... დ. ყიფიანის აზრით, ასეთი სოციალური ურთიერთობის გასამტკიცებლად წოდებათა შორის საჭირო არის ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, როგორიც ბატონყმობაა. ამ რიგად მისი სოციალური იდეალი—თანამედროვე პირობის მიხედვით შეკეთებული ბატონყმური საქართველო იყო. აი, ასეთი საქართველოს პატრიოტი იყო დ. ყიფიანი. მას საქართველო წოდებრივობის გარეშე არც წარმოედგინა და ვერც წარმოიდგენდა. მისი პატრიოტიზმი უაღრესი წოდებრივი შინაარსისა იყო. ასეთი საქართველოსადმი სიყვარული არ უშლიდა მას ტახტისადმი სიყვარულიც გამოემჟღენებია“ (იხ. გვ. XXVI—VII. ხაზი ახალია).

შეადარეთ ყოველივე ეს, რასაც მე ვსწერ იმას, რასაც რეცენზენტი მე მაწერს და მაშინ დარწმუნდებით იმაში, თუ უვიცობას როგორ შეუძლია დაამახინჯოს ფაქტები.

მაგრამ განვაგრძოთ.

5. რეცენზენტი სწერს:

„ხუნდაძემ ესევე განიმეორა დიმიტრი ყიფიანის შეფასებაშიაც. სწორად მოხაზა მაშინდელი ცხოვრების პირობები. მაგრამ რათ გინდათ, დიმიტრი თავისი კლასის რიგებში არ ჩააყენა, თავისი კლასის დროშახელში არ მისცა. ურა-კრიტიკოსებისაგან მიცემული მთელი ერისათვის თავდადებულის შარავანდედი არ მოხსნა, გმირობის იალბუზიდან ცოდვილიან მიწაზე არ ჩამოიყვანა, პირიქით, ამ ურა-

კრიტიკოსების წისქვილს წყალი დაასხა, მანაც საქართველოს პატრიოტიკის აღმსარებლის ორდენი უბოძა, მის თითქმის გმირობაშიც ეჭვი არ შეიტანა და თუმცა დიდი მიკიბ-მოკიბვის შემდეგ, თავად-აზნაურობის მრევლში შეუშვა, წოდებრივობის ნიადაგზე დააყენა, მაგრამ ფეოდალიზმის და მსხვილი თავადაზნაურობის წინააღმდეგ მებრძოლად კი გამოიყვანა"...

მკითხველი თვითონ შეამჩნევს, თუ ჩვენი რეცენზენტი როგორ არის გაბმული თავისივე ხელით მოქსოვილ წინააღმდეგობის ბადეში: ჯერ ამბობს „დიმიტრი თავისი კლასის რიგებში არ ჩაუყენა. თავისი კლასის დროშა ხელში არ მისცა" — ცოტა ქვევით სწერს: „წოდებრივობის ნიადაგზე დააყენა".

მე ვწერდი:

„დ. ყიფიანი, როგორც დავინახეთ, წვრილი აზნაურის შვილი იყო და როგორც ასეთი თან ატარებდა თავისი კლასის იდეოლოგიას, ყოველი მისი ნაბიჯი გადადგმული ეკონომიურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურს სფეროში გამომდინარეობდა და ამ კლასის ინტერესებიდან: მისი როლი და პროგრამა ახალი რეფორმის (1862—64 წ.) გატარების დროს, მისი საბანკო პოლიტიკა, მისი ეროვნულ-პოლიტიკური იდეალები, მისი ხაზი განათლების საკითხში პირდაპირ გამომდინარეობდა წვრილ თავად-აზნაურთა ინტერესებიდან" (გვ. XVII).

„... მისი პოლიტიკა და პროგრამა რეფორმის პერიოდში (1862-64) უაღრესად წოდებრივი ხასიათისა იყო და გამოხატავდა ჩვენი თავად-აზნაურობის კონსერვატიული ნაწილის სულის კვეთებას" (გვ. XL).

„ასეთივე წოდებრივი ინტერესებით იყო გაჟღენთილი მისი საბანკო პოლიტიკაც. ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დ. ყიფიანმა წამოაყენა სათავადაზნაურო ბანკის დაარსების საკითხი: ის ნათლად გრძნობდა, რომ რეფორმის შემდეგ პერიოდში ქართულ თავად-აზნაურობას გაღატაკება მოელოდა და ამიტომ ეძებდა საშვალებას ამ წოდების ეკონომიური განადგურებისაგან გადასარჩენად. იგი მთელი თავისი ენერგიით ცდილობდა შეენარჩუნებია თავად - აზნაურობისათვის თავისი პრივილეგიური მდგომარეობა" (გვ. XXXVI).

მე ვეხები იმ საკითხს, თუ როგორმა სოციალურ-ობიექტიურმა პირობებმა შეუწყო ხელი დ. ყიფიანის ეროვნულ-პოლიტიკური სოფლმხედველობის შემუშავებასაც; ავღნიშნავ რა, რომ ძველ საქართველოში წვრილი თავად-აზნაურობა შეეიწროებული იყო ფეოდალურ არისტოკრატიისაგან, დავასკვნი:

„მაგრამ (რუსეთის) თვითმპყრობელობის განმტკიცება ნიშნავდა არა მარტო ფეოდალური წყობილების მოსპობას, არამედ აზნაურთა წოდების ემანსიპაციასაც, მათ განთავისუფლებასაც ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობისაგან. ამ წოდებრივი საზომით წვრილი აზნაურების იდეოლოგი (დ. ყიფიანი) პირდაპირ მივიდა ფეოდალური სისტემის უარყოფამდე და ცენტრალისტურ-მონარქიული პრინციპის აღთქმამდე" (გვ. XXIX) „დ. ყიფიანისათვის რუსეთის თვითმპყრობელობა იყო აუცილებელი ეტაპი საქართველოს გაერთიანებისა და მისი წარმატებისათვის. ასე დააფასა ყიფიანმა თავისი კლასის საზომით რუსეთის თვითმპყრობელობის განმტკიცება საქართველოში" (გვ. XXXI).

„ეს ახალი ფენა (მოხელე თავადაზნაურობა) ორგანიზულად შეეხორცა, შეეზარდა რუსეთის სახელმწიფოებრივ აპარატს და იგი გადაიქცა რუსეთის პოლიტიკის გამტარებელი საქართველოში. ჩვენი ცხოვრების ამ ახალი სოციალური ფენისათვის რუსეთის მართველობის განმტკიცება არ იყო უბრალო ეროვნულ-პოლიტიკური საკითხი, იგი ამ ფენის არსებობის საკითხიც იყო: იგი წარმოიშვა რუსეთის ბიუროკრატიული წყობილების დამკვიდრებით, შეეზარდა ამ ახალს სისტემას, შეითვისა მისი პროგრამა და მეთოდი. ამიტომ მას ამ სისტემის გარეშე თავისი არსებობა ვერ წარმოედგინა და არც სურდა რაიმე ცვლილება მოეხდინა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ახალი სოციალური ფენის—სახელმწიფო მოსამსახურე არისტოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელი იყო დ. ყიფიანი" (გვ. XIV). ჩვენი „რეცენზენტი" არამც თუ ჩემს აზრებს ამახინჯებს, არამედ ჩემს აზრებს უტიფრულად იმეორებს და მე კი სხვა ენით მალაპარაკებს. ჩემი ზემოდ მოყვანილი დებულებანი თავისებურად გადააკეთა და სწერს: „რუსეთის ტახტისადმი ყიფიანის ერთგულება კლასობრივი ინტერესებით ნაკარნახევი საქმეა. რუსეთის თვითმპყრობელობა დიდხანს ემყარებოდა... თავადაზნაურობას. დიმ. ყიფიანიც ერთგული იყო ტახტის იმიტომ, რომ მას ეს ტახტი თავად-აზნაურობის ინტერესების ერთად ერთ დამცველად მიაჩნდა" (გვ. 140).

გამოვდივარ რა ყველა ზემონათქვამიდან მე ვეხები მისი მოღვაწეობის ორ მომენტს:

1830-32 წლების შეთქმულებაში მონაწილეობას და 80-იან წლებში ბრძოლას დონდუკოვ-კარსაკოვის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მისი გადასახლება და 1887 წელს ტრაღიკული სიკვდილი მოყვა, და ვსწერ:

„ასეთმა საქმიანობამ დ. ყიფიანს დიდი სახელი მოუხვეჭა და თითქმის ეროვნულ გმირად გახადა, მაგრამ უნდა გადაჭრით ვსთქვათ, რომ როგორც 16-18 წლის ახალგაზრდა ყიფიანის ბრძოლა 30-იან წლებში, ისე ჰაღაროსან მოხუცი მოღვაწის ბრძოლა 80-იან წლებში—ერთ და იმავე პოლიტიკურ მოსაზრებიდან გამოდიოდა... არც ერთს შემთხვევაში მას ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა არ ამოძრავებდა, მისი ეროვნული — პოლიტიკური გეზი გარკვევით მიემართებოდა თავიდანვე რუსეთის ტახტისადმი... იგი ერთი წუთითაც არ ფიქრობდა ცარიზმის საფუძვლებისა და ტახტისადმი ერთგულების შეგნების შერყევას ქართველ საზოგადოებაში (გვ. XXVII-VIII).

ასე ვახასიათებ მე ჩვენს „ეროვნულ გმირს“. საერთოდ მის შესახებ ვსწერდი:

„დიმ. ყიფიანის აზროვნება და სოფლმხედველობა შორეული ეპოქის ნაყოფი იყო. საერთოდ იგი გამოხატავდა მომაკვდავი კლასის ინტერესებს, მის მისწრაფებას და სულისკვეთებას. თავისი დიდი ნიჭი, ცხოველი ტემპერამენტი და ფართო ცოდნა ისტორიისაგან განწირულ ამ მომაკვდავ წოდების ინტერესების დაცვას შეალია დ. ყიფიანმა; მისი მთავარი მიზანი იყო გადაერჩინა ეს წოდება განადგურებას და შეენარჩუნებია მისთვის ძველი ეკონომიური უპირატესობა და საზოგადოებრივი პრივილეგიები. მაგრამ ისტორიული ცხოვრების შეურყეველი მიმდინარეობის შეჩერება არ შეეძლო ისეთ დიდ პიროვნებას, როგორიც დ. ყიფიანი იყო და ისეთ მოხდენილ პრეფექტსაც, რომელსაც ეს ფართო ერუდიციის მქონე პიროვნება თხზავდა... დ. ყიფიანი ცუდი მკურნალი აღმოჩნდა: მან ვერ შესძლო თავად-აზნაურობის განკურნება ღრმა ეკონომიურ ჭრილობებისა და საზოგადოებრივ დაცემისაგან... ისტორიამ გაიმარჯვა, დ. ყიფიანი დამარცხდა; მაგრამ ეს დამარცხება გამოხატავდა მთელ იმ წოდების დამარცხებას, რომლის ინტერესებსაც იგი იცავდა და რომლის ბატონობა აღარ შეესაბამებოდა ისტორიული ცხოვრების განვითარების საქმეს“.* (გვ. XLI—II). ასეთია ჩემი შეხედულება დიმიტრი ყიფიანზე.

6. მე ვამტკიცებდი რომ დ. ყიფიანი მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში „არ იყო მოკლებული ლიბერალურ აზროვნების ელემენტებს“ მეორე მხრივ, მე მომყავდა ყიფიანის ციტატა, რომელშიაც იგი პროლეტარიატს „პოლიტიკური სხეულის ავადმყოფად“ სთვლიდა. საკმარისია ამის გაგონება რომ მებუკე შეეედავოს.

„მოდი და ახლა ირწმუნე სიმ. ხუნდაძის რამე. ავტორი ამას ალაპარაკებს (თუ თვით დ. ყიფიანი ლაპარაკობს. ს. ხ.) ყიფიანს 1863 წელს. იმ ხანებში (რატომ წინედ და რატომ შემდეგ არა, ს. ხ.). პროლეტარიატს ლიბერალურ ბურჟუაზიული წრეებიდანაც კი ეარშიყებოდენ, და დიმიტრი ყიფიანი, თუ ხუნდაძეს დაუჯერებთ რომლის აზროვნებაზე აუცილებლად დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელმა ეპოქამ... პროლეტარიატს სთვლის ორგანიზმის მავნე იარად. რაც აქ ერთმანეთს თავი და ბოლო არ ეთანხმება. ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე. რომელს ხუნდაძეს უნდა ერწმუნო აღარ იცი“.

ა) მე ვსწერდი „...მაგრამ ამ პერიოდშივე (ბატონყმობის პერიოდზეა ლაპარაკი) დ. ყიფიანის ლიბერალიზმი შეჭსოვილი არის კონსერვატიულ სოფლმხედველობასთან, რამდენადაც იგი სცდილობს ახალი ევროპიული პროგრამა დაამყაროს ბატონყმური ურთიერთობის სოციალურ საფუძველზე... ძველი წყობილების სოციალურ საფუძვლებს იცავს... ამით იგი კონსერვატიულ აზროვნების მატარებელია“ (გვ. 7 ხაზი ახალია სხ.).

---

* მებუკე ამ ჩემს დებულებებს თავისებურად „აკეთებს“ და მე მიპირისპირებს; მოუსმინეთ: „მან (დ. ყიფიანმა) იცის როგორ იხსნას თავად-აზნაურობა, ის ხედავს ახალ ქართა ქროლვას, მის ყურადღებას არ ეპარება, რომ ამ ახალ ქართა ქროლვის პროცესში თავად-აზნაურობის ცხოვრების ბემი ირყევა და დაძირვის საფრთხეშია. ის ჩაფრენილია ამ გემს და ცდილობს ნაპირზე მშვიდობიანად გაიყვანოს. ეს ძნელი საქმეა. ეს შეუძლებელიცაა. ისტორიისაგან განწირული და ჩამავალი კლასის შვილა ამაოა. დ. ყიფიანი ამ ამაო საქმეს კიდებს ხელს, შველის, მრავალ რეცეპტს სწერს, მაგრამ არაფერი არ გამოუდის, განწირული ვერ მოაბრუნა“ (გვ. 137).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ადგილას ვსწერდი: „მას სურდა ევროპის ეკონომიური და ტეხნიკური მიღწევები დაემყნა ბატონყმურ ურთიერთობის ნიადაგზე. ერთი მხრივ იგი ევროპის კულტურით და ტეხნიკით არის გატაცებული, მეორე მხრივ, ცდილობს დაიცვას ბატონყმური სოციალური ინსტიტუტი“ (გვ. XXXVIII).

გასაგებია, თუ ყიფიანი რატომ არ და ვერ „ეარშიყებოდა“ პროლეტარიატს, რომელიც მაშინ ჩვენში არ იყო, მაგრამ, როგორც მე ვსწერდი; „იგი გრძნობდა ამ კლასის წარმოშობის აუცილებლობასა და მისგან მოსალოდნელ საფრთხეს მაღალი წოდებისათვის“. ამაში გამოიხატა სწორედ მისი უაღრესად განვითარებული კლასიური შეგნება და ბუნება.

ბ) ვინ და როდის დაამტკიცა, რომ ლიბერალიზმი მხოლოდ პროლეტარიატთან „არშიყობაში“ გამოიხატება?

გ) ერთ დროს ნ. ჩერნიშევსკი და შემდეგ თითქმის მთელი ნაროდნიკობა მავნებლად სთვლიდა პროლეტარიატისა და კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში. განა ამიტომ მათ მოძღვრებაში არ იყო რადიკალურ დემოკრატიული აზროვნების ელემენტები?

დ) ყველასათვის ცნობილია, რომ ევროპის ლიბერალური ბურჟუაზია „ეარშიყებოდა“ უკვე წარმოშობილსა და განმტკიცებულ პროლეტარიატს, რომელიც სურდა გამოეყენებია თავისი საკუთარი მტრის გასანადგურებლად. არსებითი საფრთხე პროლეტარულ მოძრაობისა ევროპის ლიბერალურ ბურჟუაზიას კარგად ჰქონდა შეგნებული და არანაკლებ ილესავდა მის წინააღმდეგ კბილებს. დ. ყიფიანი პროლეტარიატის ასეთ რელურ ძალას ვერც ჩვენში და ვერც რუსეთში იმ ხანებში ვერ ხედავდა; მაგრამ მისთვის არც საჭირო იყო ამ ძალის გამოყენება (და არც გამოიყენებდა) რომელიმე წყობილების დასამხობად, რადგან იგი მტკიცედ იდგა რუსეთის მონარქიზმის ნიადაგზე, რომელიც თავადაზნაურობის ინტერესებს გამოხატავდა, და არ იბრძოდა ახალი ურთიერთობის, წყობილების დასამყარებლად; მისი სოციალური იდეალები სავსებით ეგუებოდა ძველ სოციალურ ურთიერობას.

მკითხველი უნდა დაგვეთანხმოს — ვისაც მექანიკურად გაყავს პარალელები სხვადასხვა მოვლენათა შორის, მას დიალექტიკური მატერიალიზმის არაფერი გაეგება

7. ჩემს ნარკვევში მე ვამტკიცებ, რომ დ. ყიფიანი იყო წვრილი თავადაზნაურობის, წვრილი მოხელეარისტოკრატიის იდეოლოგი. რეცენზეტი, რასაკვირველია, ამაში არ დაგვეთანხმა.

„ყიფიანი განა მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ერთ მთლიან და განუყოფელ თავადაზნაურობის იდეოლოგიას არ ქმნიდა — სწერს იგი,—ყიფიანს განა წვრილი თავადაზნაურობის პოზიციებზე უნდოდა გამაგრება და მაღალ მბრძანებელ სიმაღლეების დაპყრობაზე არ ოცნებობდა? განა ყიფიანი ოდესმე თავადაზნაურობის რომელიმე ფენას დაუპირდაპირდა“?

რასაკვირველია, დ. ყიფიანი „მთლიან და განუყოფელ თავადაზნაურობის იდეოლოგიას“ ამუშავებდა და ამ მთლიანობისათვის მას თავადაზნაურობას ყოველი ფენების უფლებრივი გათანასწორება გიაჩნდა. გრ. ორბელიანს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვერ მოენელებია, რომ 30-იან წლებში „უქაზით“ თავადობას აზნაურები ჩამოართვეს. 1881 წელს კერძო წერილში იგი სწერდა: „გავიდა კიდევ ათი თხუთმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი“: „როგორ იქნება, რომ თავადთაც „ჰყვანდეს აზნაურნი“. მეფე თავადსა უწყალობებდა, მის დიდ ნამსახურებისათვის, აზნაურსა მამულითა. განთავისუფლდენ აზნაურნი და თან წაიღეს არა თუ მამული, მეფისაგან აზნაურთა ნაწყალობევი, არამედ ისიცა, რაც თავადსა მიეცა თავის მხრივ აზნაურისათვის... — ამაზედაც იყო დიდი ჩივილი, მაგრამ ესეც დარჩა უპასუხოდ...

აი, პირველი მიზეზი ჩვენისა საზოგადოდ დაცემისა... აი, ჩემო ბატონო, საიდამ დაიწყო ჩვენმა გაღარიბებამ, ჩვენმა აწინდელმა მდგომირეობამ, რომელშიაც მწუხარების მეტი აღარა სუფევს რა“. აქ არის მოცემული მსხვილი თავადაზნაურობის იდეოლოგია, რომელიც თავადობაში ხედავდა საქართველოს პირველ და უმთავრეს ძალას და რომლისთვისაც პრინციპიალურად მიუღებელი იყო თავადაზნაურობის ემანსიპაცია, თავადობისა და აზნაურების გათანასწორება. ცნობილი არის გრ. ორბელიანის ხაზი განათლების საკითხში.

დ. ყიფიანის შეხედულება სხვა იყო. იგი პრინციპიალური მომხრე იყო თავადისა და აზნაურის ემანსიპაციისა, იგი აღფრთოვანებით, მიეგება აღნიშნულ „უქაზს“ და რუსეთის მმართველობას იმასაც უმადლებდა, რომ მან ნორმალური ურთიერთობა დაამყარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდებათა შორის. განა ეს არ გამოხატავს წვრილი თავადაზნაურობის იდეოლოგიას? მოვისმინოთ მისი შეხედულება განათლებაზე; 1885 წ. იგი ამბობდა: „სწავლა აპატიოსნებს კაცსა, აფაქიზებს, აღორძინებს, აღამაღლებს და ღირს ჰყოფს დაუსაბამობასთან მიახლოებასა“. მეორე ადგილას იგი სწერს: „ჩვენ ხომ ცოტად თუ ბევრად განათლებული ხალხი ვართ და განათლება კი... ყველას გვათანასწორებს“. საკმარისია მივათითოთ იმ ფაქტებზედაც, რომ დ. ყიფიანის საბანკო პოლიტიკა არსებითად წვრილი თავადაზნაურობის ინტერესებზე იყო აგებული.

1864 წლის შეტაკება დ. ყიფიანისა და მსხვილ არისტოკრატიის შორის არსებითად გამოხატავდა მაღალ წოდების ამ ორი ფენის შეტაკების ისტორიულ ფაქტს. მსხვილი თავადობა ორბელიანისა და ბაგრატიონ-მუხრანსკების სახით პრინციპიალურად ეწინააღმდეგებოდენ აზნაურობის გათანასწორებას და მათ მარშლობას. აკაკი ასე გადმოგეცემს გრ. ორბელიანის ერთ სიტყვას: „საქართველო შურმა და მეტოქეობამ დაამხო... ჩვენი დღევანდელი უბედურება ის არის, რომ მე, ყაფლანიშვილს, და ვიღაც ცალქალამანიძეებს(აზნაურებს) ერთი და იგივე უფლება გვაქვს მონიჭებული, ერთი და იგივე ძალა... იმასაც ჩემდენი შეუძლია ამ საკენჯო საქმეში“. ორბელიანმა და მუხრანსკიმ „დანოსიც“ შეიტანეს დ. ყიფიანზე და მოითხოვეს თავადების სახელით არ დაემტკიცებიათ აზნაური მარშლად „რაც საქ. ბრწყინვალე წოდების შეურაცყოფად მიაჩდათ. რასაკვირველია, ვინც ამ მასალებს იცნობთ საარქივ-ისტორიული მასალების მიხედვით, ამ ბრძოლაში არა უბრალო „ფორმალობას“ დაინახავს, არამედ მაღალი წოდების სხვადასხვა ფენათა შორის ბრძოლის ფაქტს; ეს ისტორიული ფაქტი კლასიური საზომით უნდა იქნეს გაშუქებული.

აღნიშნულ საკითხის შესახებ ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე ფაქტი მოვიყვანეთ, უფრო ვრცლად მისი განხილვა და სხვა ფაქტების მოყვანა ამ წერილის ფარგლებში შეუძლებელია.

8. ჩემს წერილში დასაბუთებული იყო ის აზრი, რომ დიმ. ყიფიანი ფეოდალური წყობილების პრინციპიალური მოწინააღმდეგე იყო. რეცენზენტს ეს არ მოსწონს. მე ვწერდი:

„დ. ყიფიანი ფეოდალურ ულლიდან განთავისუფლებულს მემამულის თვალსაზრისით უყურებდა საკითხს; ეს იყო ახალ მამულის თვალსაზრისი, — ფეოდალურ ოპეკიდან განთავისუფლებულ მოწინავე წოდების იდეოლოგია. მისთვის საპირო აღარ იყო... ფეოდალური წყობილების მიწათმფლობელობის სისტემა... ეს ახალი სახელმწიფოებრივი წყობილება არა გვარის სიძლიერეს აქცევდა ყურადღებას, არამედ პიროვნების ეკონომიურ სიძლიერეს და მის პირად თვისებებს, ენერგიას, ცოდნას, სამსახურის უნარიანობას. დიმ. ყიფიანმა ნათლად შეიგნო ახალი ეპოქის ეს ახალი მოთხოვნილება და გარკვევით წამოაყენა კონცეპცია, რომლის ერთი პირი მიმართული იყო ფეოდალურ წყობილების და მის საფუძველზედ აღმოცენებულ იურიდიულ ნორმების წინააღმდეგ, ხოლო მეორე-ეპოქის მოთხოვნილებებს ეგუებოდა“ (გვ. XXXIII).

ამაზე მებუკე გვიპასუხებს: „ამას (გვაროვნულ მამულთა მფლობელობას ს. ხ.) რა უარყოფა უნდოდა. ის ცხოვრებისაგან კარგა ხანია უარყოფილი იყო. დ. ყიფიანის დამსახურება აქ ისაა, რომ მომხდარ ფაქტს რეგისტრაციას უკეთებს, არც მეტი და არც ნაკლები“ (გვ. 138).

ა) ნუ თუ რეცენზენტმა ვერ უნდა გაიგოს, რომ აქ ძველი საქართველოს ფეოდალური წყობილების შესახებ არის ლაპარაკი და დ. ყიფიანი ამ ფეოდალიზმის წინააღმდეგ სწერდა. მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ მსხვილ არისტოკრატიაში არ იყო გამ_ ქრალი იდეა ძველი ფეოდალური წყობილების აღდგენისა და პირველ ხანებში თუ იარაღით იბრძოდა ამისთვის, შემდეგ ოცნებობდენ. დ. ყიფიანის წერილები სწორედ ამ იდეოლოგიას დაუპირისპირდა.

ბ) „გვაროვნული მამულების“ გადამიჯნის საკითხი ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა თავადაზნაურებისათვის იმ პერიოდში, და მაშინ რეგისტრაციაზე კი არ იყო ლაპარაკი, არამედ მთელ რიგ პროექტებზე და კომისიებზე. დ. ყიფიანმა მთელ რიგ წერილებში (პირველი 1845 წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოში დაიბეჭდა) კარდინალურად დასვა საკითხი და მოითხოვა მიწების გადამიჯვნა და საკუთრების პრინციპის განმტკიცება, რადგან მისი აზრით, ძველი პირობები ხელს უშლიდა სოფლის მეურნეობის წარმატების საქმეს. ეს რეგისტრაცია კი არ არის, არამედ გარკვეული თვალსაზრისი, პრინციპიალური შეხედულება, იდეოლოგია, რომელიც გარკვეულ პროგრამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისახავს სოფლის მეურნეობის ასალორძინებლად. მკვლევარის მოვალეობა იყო ამ იდეოლოგიის და პროგრამის არსებითი შინაარსი და მისი კლასიური საფუძვლები გამოერკვია.

რეცენზენტი განაგრძობს: „ესეც არ იყოს მე-60 წლეებში (ვერ მიხვდა, რო მე-60 წლების წინა პერიოდზეა ლაპარაკი ს. ხ.) გვაროვნული მიწადმფლობელობის მომხრეებს ორბელიანებში იპოვიდა ავტორი (მაშასადამე, ყოფილან მომხრეები ს. ხ.). ამ ხანებისათვის (?) მათმა კონსერვატიულმა ბუნებამაც კი ჩაყლაპა და მოინელა ხუნდაძის რადიკალიზმი“ (გვ. 138).

9. მე ვწერდი: დ. ყიფიანმა კარგად გაიგო რუსეთის საქართველოში დამკვიდრების პროგრესიული მნიშვნელობა. რეცენზენტი სწერს: „ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ყიფიანი სავაჭრო კაპიტალის პიონერი უნდა ყოფილიყო, ბურჟუაზიული ურთიერთობის ნიადაგზე უნდა მდგარიყო და თავისი წოდებიდანაც ფეხი უნდა ამოედგა.“ რატომ? მებუკე ფიქრობს, რომ მას კარგად ესმის ზემოდ აღნიშნულ ფაქტის პროგრესიული მნიშვნელობა,—მაშასადამე ბურჟუაზიული ურთიერთობის ნიადაგზე სდგას და თავის წოდების — წვრილ-ბურჟუაზიულ მეშჩანიზმიდან „ფეხი ამოდგმული“ აქვს. ასეთი არის პრიმიტიული მსჯელობის ნაყოფი.

სიმონ ხუნდაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ხელები ზოლს მაქსიმ გორკისაგან!

ტფილისის მშრომელი ინტელიგენციის საპროტესტო მიტინგი

30 იანვარს, საღამოს, რუსთველის თეატრის საკონცერტო დარბაზში შედგა ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების, ტეხნიკის მუშაკთა და მშრომელი ინტელიგენციის საპროტესტო მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო ბურჟუაზიული პრესის მიერ მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი ს დ ე ვ ნ ი ს ა და დასავლეთ უკრაინის მოსახლეობის პოლონელი ფაშისტების მიერ დარბევა-აწიოკების გამო.

მიტინგი გახსნა საქ. სამეცნიერო მუშაკთა სექციის წარმომადგენელმა პროფ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ მ ა.

მაქსიმ გორკის დევნისა და დასავლეთ უკრაინის მცხოვრებთა აწიოკება-დარბევის შესახებ მიტინგზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. ი მ ე დ ა ძ ე მ. მან დაახასიათა მაქსიმ გორკის მთელი მოღვაწეობა და მოიყვანა ცნობები მისი დევნის შესახებ. მომხსენებელმა მიტინგზე გამოაქვეყნა აგრეთვე ამონაწერები ბურჟუაზიული გაზეთებიდან იმ საშინელების შესახებ, რაც დასავლეთ უკრაინაში მოხდა და ჩაიდინეს პოლონეთის აღვირახსნილი ფაშისტური ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

მიტინგზე საპროტესტო სიტყვებით გამოვიდენ: პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ლ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა, პროფ. ტ ე რ ხ ა ჩ ა ტ უ რ ო ვ ი, პროფ. მ. თ ო ი ძ ე, მ ა ნ ა დ ო ვ ი, პროფ. შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ინჟ. ა ლ ე ქ ს ი კ ი, პროფ. გ. წ უ ლ უ კ ი ძ ე, ბ. ჟ ღ ე ნ ტ ი, ექ. გ ე რ ს ა მ ი ა, ინჟ. ს ე ნ ო ჟ ე ნ ს კ ი, ამხ. ს უ ლ ა ბ ე რ ი ძ ე, პროფ. რ ო ზ ე ნ ბ ე რ გ ი, გ. მ ა ლ ა შ ხ ი ა და ი. მ ი ქ ე ლ ა ძ ე.

მიტინგმა ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლუცია.

მ წ ე რ ა ლ თ ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

29 იანვარს ხელოვნების სასახლეში შედგა მწერალთა ფართო თათბირი, მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი ს წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაწყებული კამპანიის შესახებ. თათბირმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

დასავლეთის გაცოფებული ბურჟუაზია სდევნის მაქსიმ გორკის. ბურჟუაზიული პრესის ლაქიები დორბლ მორეულნი ათრევენ, აგინებენ და ემუქრებიან მაქსიმ გორკის და ტალახში სვრიან მის სახელს. მაქსიმ გორკის დევნა ანტისაბჭოთა კამპანიის ერთი ნაწილია. ბურჟუაზია და მისი დამქაშები ვერ ითმენენ მაქსიმ გორკის აქტიურ მუშაობას საბჭოთა ქვეყნის სასარგებლოდ.

მაქსიმ გორკის თითოეული გამოსვლა, თითოეული წერილი ლახვარივით ესობა გულში მსოფლიო ბურჟუაზიას.

პროლეტარიატის სასარგებლოდ, მაქსიმ გორკის სასახელო მოღვაწეობამ დაიმსახურა კაპიტალის მცველთა ზიზღი. გორკის უკანასკნელმა გამოსვლამ კაპიტალისტების და მათი ლაქიების წინააღმდეგ განსაკუთრებული სიძლიერით აღაშფოთა ევროპის ბურჟუაზია.

ჩვენ მოვუწოდებთ ევროპის რევოლუციონურ მწერლებს პროტესტი გამოუცხადონ და შეებრძოლონ გორკის წინააღმდეგ გამართულ სამარცხვინო ლაშქრობას.

მშრომელებისათვის თავდადებულ საბჭოთა ქვეყნის პირველ მწერალს, მაქსიმ გორკის, ჩვენ ვუგზავნით მხურვალე რევოლუციონურ სალამს. საბჭოთა მწერლობის მედროშის — გორკის —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნის საპასუხოდ კიდევ მეტად განვამტკიცებთ პროლეტარიატის იდეებისათვის მებრძოლ საბჭოთა მწერლების რიგებს. მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოს — საბჭოთა ქვეყნის — დამცველი გორკი სანიმუშო მაგალითია საბჭოთა მწერლობისათვის. მის დევნას ჩვენ ვუპასუხებთ სისხლიან ბურჟუა-მყვლეფელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს სოციალისტური მშენებლობის თავდადებულ მეომარს, საბჭოთა მწერლობის მეთაურს მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი ს!

საქართველოს საბჭოთა მწერლების კრების მინდობილობით: ა. მ ა შ ა შ ვ ი ლ ი, გ ა ლ. ტ ა ბ ი ძ ე, კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ტ. ტ ა ბ ი ძ ე, გ რ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, ბ ე ნ. ბ უ ა ჩ ი ძ ე, პ. ი ა შ ვ ი ლ ი, ნ. მ ი წ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, შ. რ ა დ ი ა ნ ი, ბ. ჟ ღ ე ნ ტ ი, ლ. ქ ი ა ჩ ე ლ ი, რ. გ ვ ე ტ ა ძ ე, ს. წ ვ ე რ ა ვ ა, ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი.

✦

ვეუბნები ლენინის საბჭოთა კავშირს და სუნ-იატ-სენის აზიას!

რომენ როლანი იცავს საბჭოთა კავშირს და ამხელს პან-ევროპას. იგი სწერს:

„როდესაც დაიწყება ბრძოლა ორ მსოფლიოს შორის, რაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს ევროპის ბრმა ეგოიზმს, ვინ იქნება მორჩილი ჯარისკაცი ევროპის იმ ავანტიურისტებისა, რომელნიც იბრძვიან აჯანყებული მსოფლიოს წინააღმდეგ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად სხვას არ ვიწვევ, მაგრამ სრული შეგნებით ვაცხადებ: მე არ ვიქნები ეს ჯარისკაცი. ევროპავ, თუ შენ საშინელ ხოცვა-ჟლეტას მოაწყობ, წავალ შენს წინააღმდეგ, შენი დესპოტიზმის და მტაცებლობის წინააღმდეგ, დავიცავ ინდოეთის, ჩინეთის და ინდო-ჩინეთის ჩემს ძმებს, ყველა გაყვლეფილ და ჩაგრულ ერს. ჩავიდენ ამას ცივილიზაციისათვის, პროგრესისათვის, ადამიანის უსაზღვრო სულისათვის, რადგან ამჟამად მის უაღრესად საარსებო აუცილებლობას წარმოადგენს გამდიდრდეს და განახლდეს ამ დიდი ერების მორალური განძით. ძარცვის საუკუნეებს შეეძლოთ წაერთმიათ მათთვის ოქრო, მაგრამ მათ ხელუხლებლად შეინარჩუნეს იმ მრავალი ათასი წლის ცივილიზაციის სულიერი სიმდიდრე, რომლის განახლებაც ახლა ხდება. მინდა ყოველი მოლოდინის წინააღმდეგ ვიქონიო იმედი, რომ კიდევ შესაძლებელია აცილებელ იქნას თავიდან კაცობრიობის ამ ორი ნახევრის უდიდესი შეჯახება, მაგრამ თუ მაინც მოხდა, — ერთობ მოახლოებულია სიკვდილი, რომ დავფარო ჩემი აზრები, — ვეუბნები ლენინის საბჭოთა კავშირს და სუნ-იატ-სენის აზიას: „ძმებო, იქონიეთ ჩემი იმედი. მე მხოლოდ ერთი კაცი ვარ მილიონებიბიდან, მაგრამ ეს კაცი ლაპარაკობდა და ლაპარაკობს დასავლეთის დამოუკიდებელი ენით. იგი იყო თავისუფალი მშრომელი მთელი ქვეყნის თავისუფალი მშრომელი ძმებისათვის, რომლებიც ისწრაფვიან გაიკაფონ გზა შრომის მსოფლიო კავშირის შექმნისაკენ, რომელიც თავისუფალი იქნება მონობის, რასების, კასტების და კლასების ცრუმორწმუნეობისაგან, და მე ვეუბნები ევროპას: „გაფართოვდი, ან მოკვდი, შეითვისე დედამიწის ყველა თავისუფალი ფორმა, შენ სული გეხუთება შენი წარსულის ნაჭუჭში, სახელოვან, მაგრამ დაზიანებულ ნაჭუჭში. მოიცილე იგი, ამოისუნთქე თავისუფლად, ნუ გვიშლი ხელს ღრმად ვისუნთქოთ, ჩვენ გვჭირდება უფრო ფართო სახელი, უფრო ფართო სამშობლო, ვიდრე ევროპაა. ჩემი სატრფიალოა არა გუშინ, არამედ — ხვალე. და „ხვალეს“ ცისკრის ზარმა უკვე დაჰკრა“.

✦

კონდრატიევშჩინა საქართველოში

6 იანვარს საბჭოთა მწერლების გაერთიანებათა ფედერაციის საჯარო სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე მ — „კონდატიევშჩინა და ომის საშიშროება“.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა რეკონსტრუქციის პერიოდის თავისებურებაზე და აღნიშნა: რეკონსტრუქციის პერიოდი გულისხმობს კლასთა ბრძოლის გამძაფრებას. მთელი სიმწვა-

ვით ისმება ლენინის ცნობილი კითხვა: „ვინ-ვის“. კლასობრივი მტრები უკანასკნელად იკრებენ ძალ-ღონეს ჩვენს წინააღმდგ საბრძოლველად, ისინი ამისათვის ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ. ამასთან დაკავშირებით დღითი-დღე ძლიერდება ომის საფრთხე.

კაპიტალისტური ქვეყნები თავდასხმისათვის ემზადებიან. „ჩვენ ომი არ გვინდა, მაგრამ თავდაცვისათვის მზადა ვართ“ (ლენინი). „ჩვენ სხვისი მიწის ერთი გოჯიც არ გვინდა, მაგრამ არცერთ გოჯ ჩვენს მიწას არ დავუთმობთ სხვას“ (სტალინი).

სოციალისტური მშენებლობის პროცესში თავი იჩინეს მავნებლებმა, რომელნიც ინტერვენციისათვის ემზადებოდნენ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ერთად.

ამხ. ვაშაყმაძე ვრცლად შეეხო იმ პირობებს, რომლებიც წარმოშობს კონდრატიევშჩინას და მავნებლობას: ეს არის საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ძლევამოსილი შეტევა მთელს ფრონტზე კაპიტალისტური ნაშთების წინააღმდეგ, სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა. კაპიტალიზმის ნამსხვრევები, რომელთა იდეოლოგები არიან კონდრატიეველები და გრომანები, ცდილობენ შეაფერხონ სოციალისტური მშენებლობა, ჩვენი ეკონომიური განვითარება კაპიტალიზმის აღდგენის, ბურჟუაზიული წყობილების აღდგენის გზით წარმართონ. კლასობრივი მტრები არ ყრიან იარაღს, ისინი გვიწევენ და გაგვიწევენ წინააღმდეგობას.

კონდრატიევშჩინა — ეს არის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ სპეციალისტთა ცდა, რომლის მიზანია ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაცია.

ცხადია, კონდრატიეველთა მავნებლური მოქმედება რუსეთის ფარგლებით არ ამოიწურება, მათ თავისი მიმდევრები და თანამოაზრენი ჰყავთ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში და კერძოდ საქართველოშიც.

ამის შემდეგ ამხ. ვაშაყმაძე გადადის იდეოლოგიური ფრონტის დახასიათებაზე და აღნიშნავს — ყოველად შემცდარია ის აზრი, ვითომც კონდრატიევშჩინის დაკავშირება არ შეიძლებოდეს იდეოლოგიურ ფრონტთან. ჩვენ კონდრატიევშჩინა არ გვესმის ვიწროდ, არამედ ფართოდ, და აქედან გამომდინარე მავნებლობის ყოველი სახე, რომელიც ხელს გვიშლის დიად სოციალისტურ სამუშაოთა პროგრამის შესრულებაში, კონდრატიეველობაა. იდეოლოგიურ ფრონტზე გვყავს ისეთი მეცნიერები, რომელნიც გვიწყობენ იდეოლოგიურ კონტრრევოლუციას და ქადაგებენ აშკარა ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ დებულებებს. ეს დაამტკიცა ამასწინად სახ. პედ. ინსტიტუტში გამართულმა მოხსენებამ კონდრატიევშჩინის შესახებ. ამ ინსტიტუტში მეცნიერული ძალები (ზოგირთები) ისევ განზე დგანან, სდუმან, რაც ნიშნავს თავისებურ პოლიტიკურ აქტივობას; ისინი ისევ ანტიმარქსისტულ პოზიციებზე დგანან და იდეალისტურ აბდაუბდას უნერგავენ თავში ახალგაზრდებს. ნიშნავს თუ არ ეს მავნებლობას? ცხადია, ნიშნავს და ამიტომ ჩვენ ასეთ განწყობილებებს მწვავედ უნდა დავარტყათ. პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარენი, ჩვენ არ დავინდობთ არავის, ვინც ხელს გვიშლის სოციალისტურ მშენებლობაში.

მწერლობის წინაშე დღეს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას. საბჭოთა მწერლებმა გარკვევით უნდა გვითხრან ვისთან არიან ისინი. სურთ თუ არა მათ ჩვენთან მუშაობა. ქართველი მწერლების საფუძვლიანი კლასიფიკაცია არასასურველ სურათს იძლევა — ჩვენი მწერლების უმრავლესობა აბსოლუტურად არაფერს არ იძლევა და საბოტაჟს უცხადებს ხელისუფლებას. კლასობრივი ბრძოლა სწარმოებს არა მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურ, არამედ იდეოლოგიურ სფეროშიც. დღეს საბჭოთა მიწაზე მცხოვრები მწერლისათვის ერთი გზა უნდა არსებობდეს: ან ჩვენთან, ან მათთან, მესამე გზა, გზა ნეიტრალობისა, მწერლისთვის დამღუპველია. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი მწერლების უმრავლესობა ისევ წარსულ „დიდებას“ მისტირის, ხელს იქნევს უიმედოდ ჩვენს ყოველდღიურ მშენებლობაზე, დემონიურად ხითხითებს ჩვენ მშენებლობაზე და სხვ.

საბჭოთა მწერალი საფუძვლიანად უნდა გაემიჯნოს ასეთ განწყობილებებს, თუ მას მართლაც გულწრფელად სურს ჩვენთან მუშაობა. ჩვენ გვყავს აშკარა რეაქციონერი მწერლები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით შეხამავენ ახალგაზრდობას. მწერლებს უდიდესი როლი ენიჭებათ სოციალისტური მშენებლობის საქმეში, ეს მათ უნდა გაამართლონ, მაგრამ ჩვენ საწინააღმდეგოს ვხედავთ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ მწერალს, რომელნიც თანამგზავრები არიან და გულწრფელად მოდიან ჩვენთან.

ამხ. ვაშაყმაძემ ქართველი მწერლების კლასიფიკაცია მოახდინა და შემდეგი აღნიშნა: ჩვენ მემარჯვენე - რეაქციონერთა — ბანაკში შეგვიძლია ჩავთვალოთ: კ. გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, შ. დადიანი, გრ. რობაქიძე, ალ. აბაშელი, გ. ქიქოძე, ვ. კოტეტიშვილი და სხვები.

არიან მწერლები, რომელნიც გულწრფელად მოდიან ჩვენთან, მაგალითად: გ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი და სხვ. რაც შეეხება „ცისფერყანწელებს“, მათ წაწოლ-წამოწოლის პოლიტიკა ახასიათებსთ, რის დასადასტურებლად მომხსენებელს მოჰყავდა ფაქტები ტიციანის და სხვათა შემოქმედებიდან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამხ. ვაშაყმაძემ ხაზი გაუსვა ნაციონალიზმის მავნებლობას. ჩვენი მწერლების უმრავლესობა ნაციონალიზმითაა შეპყრობილი, ისინი არ ცდილობენ დაუახლოვდენ ჩვენს მშენებლობას და მიიღონ აქტიური მონაწილეობა ჩვენთან ერთად ყოველგვარ გადამწყვეტ მომენტში. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვყავს გულწრფელი თანამგზავრები, რომლებმაც გაწყვიტეს კავშირი წარსულთან და გადაჭრეს წარსულთან შემაერთებელი ძაფები. ამხ. ვაშაყმაძე ფართოდ შეეხო თანამგზავრობის პრობლემას და დასასრულ აღნიშნა:

— ქართველი მწერლების შეგნებულმა ნაწილმა ჩვენთან უნდა იმუშაოს — ჩვენ ვქმნით ამისთვის სათანადო პირობებს. ვისაც ეს არ უნდა, არ სურს, იმას არ დავინდობთ და მწვავედ დავარტყამთ, როგორც კლასობრივ მტერს.

მწერლებმა უნდა შესძლონ თავიანთ მხატვრულ ფაქტებში დიდი სოციალისტური მშენებლობის პროცესების მოცემა.

ჩვენ იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლას ვაწარმოებთ საბოლოო გამარჯვებამდე და იდეოლოგიურ ფრონტზეც არ დავინდობთ მავნებლებს, ისე, როგორც ეკონომიურ ფრონტზე, და მილიონიან მასებთან ერთად ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს შეეძლებთ სოციალიზმის საძირკვლის დამთავრებას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც პირველ სხდომაზე, 6 იანვარს საღამოს, მონაწილეობა მიიღეს: არ. ჭუმბაძემ, ალი არსენიშვილმა, პ. იაშვილმა და გრ. რობაქიძემ. კამათი გაგრძელდა 7 იანვარს, საღამოს სხდომაზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ალ. სულავამ, კ. გამსახურდიამ, კ. მელაძემ, ს. შანშიაშვილმა, გ. ქიქოძემ, ს. ჩიქოვანმა, ბენიტო ბუაჩიძემ, გრ. რობაქიძემ, ბ. ჟღენტმა და სხ.

კამათში გამოსული ა რ. ჭ უ მ ბ ა ძ ე აღნიშნავდა, რომ დღეს მართლაც არ შეიძლება მწერალი გულხელდაკრეფილი უცქეროდეს იმ გიგანტურ მშენებლობას, რომელიც საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს.

— მე მუდამ მზადა ვარ ვემსახურო მშრომელ ხალხს და ჩემი შემოქმედებითი პატარა წვლილი მაინც შევიტანო სოციალისტურ მშენებლობაში, — განაცხადა მან.

კამათში გამოსული ა ლ. ა რ ს ე ნ ი შ ვ ი ლ ი ვითომდა ემიჯნებოდა თავის წარსულს, მაგრამ ვნახოთ, ყოველივეს მომავალი დაგვანახვებს. პ. ი ა შ ვ ი ლ მ ა თავისი სიტყვა იქიდან დაიწყო, ვითომდა მწერალთა კლასიფიკაცია, რომელიც ამხ. ვაშაყმაძემ მოახდინა, არ არის სწორი. იაშვილი წუწუნებდა. მისი აზრით, ცისფერყანწელები მუდამ ბოლშევიკურ ტრადიციებს ატარებდენ. მათ არ ეხმარებიან სათანადოთ. თურმე, ნუ იტყვით, მწერლებს სურთ კოლმეურნეობათა გაცნობა, შესწავლა, მაგრამ არ არის კაცი, რომელიც ამ საქმეს უხელმძღვანელებს! პ. იაშვილი აგრეთვე აღნიშნავდა იმას, რომ ცისფერყანწელები ხელისუფლებასთან არიან და მასთან ერთად მუშაობენ სოცმშენებლობის სასარგებლოდ.

პ. იაშვილს უნდა მოვახსენოთ, რომ მწერალთა კლასიფიკაცია ნაადრევი კი არ იყო, არამედ იგი თვით რეკონსტრუქციის პერიოდმა მოახდინა. პაოლო იაშვილი უდავოდ კლასობრივი ზავის და ქრისტიანული ჰუმანიზმის ლოზუნგით გამოვიდა.

გ რ ი გ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე მ გვერდი აუარა საკითხს და დაიწყო იმის მტკიცება, რომ ქართულ კულტურას ევროპაში მხოლოდ მისით იცნობენ. „ჩემი „გველის პერანგი“ დიდი აღტაცებით მიიღეს გერმანიაში. ჩემი ნაწერები არავითარ მავნე ტენდენციებს არ იტევს, პირიქით, მე დავწერე ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა, „უდეგა“... მაგრამ უნდა მოვახსენოთ რობაქიძეს, რომ მის „უდეგა“-ს არც იმდენად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, როგორც ავტორი ფიქრობს. რობაქიძემ არაფერი სთქვა იმ აშკარა პორნოგრაფიულ ნაწერებზე, როგორიცაა მისი „გველის პერანგი“ და „ფალესტრა“, პირიქით — მას დიდ შედეგრად მიაჩნია ეს ნაწერები... რომ „გველის პერანგით“ საქართველო გაიცვნეს — ეს ძალიან საეჭვოა, და თუ „გველის პერანგით“ გაიცვნეს დასავლეთ ევროპაში ქართული კულტურა, — ეს ძალიან ცუდია. ჩვენ ვსვამთ კითხვას: ვინ მიიღო აღტაცებით „გველის პერანგი“, — მუშათა მწერლებმა, თუ ბურჟუაზიულ და ობივატელურ მწერალთა ჯგუფმა? რა თქმა უნდა, უკანასკნელმა. ამიტომ რობაქიძისათვის ეს არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენად სატრაბახოა. რობაქიძეს უკვირს ის ამბავი, რომ ის რეაქციონერთა ბანაკში მოაქციეს და კონდრატიეველებს დაუკავშირეს.

მისი აზრით, ხომ შეიძლება საქართველოში არსებობდეს ისეთი დიდი მგოსანი, რომელიც არ მოექცეს ამ ბანაკში. (ამ დიდ კაცად თავისი თავი მიაჩნდა)!

რობაქიძის აზრით, მისი ნაწერები დღევანდელობისათვის მისაღებია, ის მასში ვერავითარ მავნე ტენდენციებს ვერ ხედავს. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ რობაქიძემ დღის წესრიგში მდგარ საკითხზე არ მოგვცა გარკვეული პასუხი.

7 იანვრის საღამოს სხდომაზე პირველად გამოვიდა ამხ. ს ულ ა ვ ა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ მდგომარეობას, რომ აქ გამოსული მწერლები არ ლაპარაკობენ გულწრფელად. სულავამ მთელი სიმკაცრით გააკრიტიკა პ. იაშვილის და გრ. რობაქიძის გამოსვლა და ფაქტებით ამტკიცებდა იმ კლასიფიკაციის სისწორეს, რომელიც ვაშაყმაძის მიერ იყო გაკეთებული. კ. გ ა მ ს ა ხ ურ დ ი ა ლაპარაკობდა ვითომდა სიცილით, ლაპარაკობდა ალეგორიებით და ასკვნიდა — მე ჩემ ნაწერებში ვერავითარ ცუდს ვერ ვხედავ, ვერ ვხედავ ისეთ რამეს, რაც დღევანდელობისათვის მავნე იყოს, მე მუდამ ქართველ მშრომელ ხალხთან ვიყავი და ვარო. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი გამოსვლა იყო რეაქციონერის მორიგი მოხერხებული მანევრი.

მეტად „საინტერესო" იყო გ. ქ ი ქ ო ძ ი ს გამოსვლა, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაიწყო: „რადგან აქ ხელოვნების სასახლეა, მეც მხატვრულად მინდა ვილაპარაკო. არის ციხე-გალავანი, რომელსაც ჰყავს თავისი მცველები. ყველა მცველს თავისი მოღვაწეობა აკისრია. ხშირად მოინახულებს ხოლმე მცველი ციხეს — ხომ არსაიდან არ არის საშიშროებაო. მე საბჭოთა კავშირი სწორედ ამ სიმაგრეს მინდა შევადარო. საჭიროა შეტევაზე გადასვლა" და სხვ. გ. ქიქოძე, როგორც ვხედავთ, საკითხს ჩრდილავს, მაგრამ აქ ძალიან ადვილი შესამჩნევია მოცეკვავე რეაქციონერის „წერწეტი" ტანი. გ. ქიქოძეს უნდა შეეკითხოთ: ვინ ცხოვრობს ამ ციხე-გალავანში, ან რას აკეთებს შიგ ხალხი? გ. ქიქოძეს ძალიან ცუდად ესმის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. მას იგი რეაქციონურად აქვს წარმოდგენილი. გ. ქიქოძემ არაფერი არ სთქვა თავის აშკარა ანტიმარქსისტულ და რეაქციონურ ნაწერებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ისევ ძველი გზით განაგრძობს სვლას.

ა ლ. ა ბ ა შ ე ლ ი მომხსენებელს თხოვდა — ამომიყვანეთ იმ ორმოდან, რომელშიაც ჩაგაწვინეთ რამდენიმე მწერალი, მომხსენით რეაქციონერის და კონდრატიეველის სახელიო. გარდა ამისა, კამათში მონაწილეობა მიიღეს: ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ მ ა, ბ. ჟ ღ ე ნ ტ მ ა და კ. მ ე ლ ა ძ ე მ, რომლებმაც სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს იმ მწერლების გამოსვლები, რომელნიც ცდილობდენ თავისი პოლიტიკური ფიზიონომიის მიჩქმალვას და დასმული საკითხის გვერდის ახვევას.

უნდა აღინიშნოს ამხ. ბ. ბ უ ა ჩ ი ძ ი ს გამოსვლა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ ამოცანებს, რომელთაც ამჟამად რეკონსტრუქციის პერიოდი აყენებს ყოველი საბჭოთა მწერლის წინაშე. ტერმინი „საბჭოთა" არ კმარა,—აღნიშნავდა ამხ. ბუაჩიძე,—არამედ საჭიროა ყოველივე გაანალდო პრაქტიკაში. ამის შემდეგ ამხ. ბუაჩიძე ვრცლად შეეხო თანამგზავრობის საკითხს. ის ვრცლად შეჩერდა გრ. რობაქიძის, ალ. აბაშელის, გ. ქიქოძის და სხვების გამოსვლებზე; ეს გამოსვლები ამხ. ბუაჩიძეს არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია, ამით ამ მწერლებმა მისი აზრით ერთხელ კიდევ გამოამჟღავნეს თავიანთი რეაქციონური განწყობილებანი.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ მწერალთა გარკვეული ნაწილი (ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დ ა დ ი ა ნ ი და სხვ.) არ გამოცხადდა აღნიშნულ მოხსენებაზე, რაც თავისებურ პოლიტიკას წარმოადგენს.

აღნიშნულმა საღამომ ერთხელ კიდევ დაადასტურა ის მდგომარეობა, რომ მწერლების შეგნებული ნაწილი ჩვენსკენ მოდის, ცდილობს ჩვენთან პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას, სწყვეტს ყოველგვარ კავშირს წარსულთან (გ. ტ ა ბ ი ძ ე, ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი და სხვ.).

ასეთი მოხსენებების ხშირად გამართვა აუცილებელად საჭიროა.

ლ ი ტ კ ო რ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროლეტარულ მწერლების დელეგაცია ამიერ-კავკასიის საბჭოების მე-6 ყრილობაზე

დელეგაციის შემადგენლობა: ბ. ბუაჩიძე, ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, ს. თალაკვაძე, გ. ქუჩიშვილი, ს. წვერავა, დარბინიანი, ა. სულავა, გ. ხეჩუაშვილი.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ბ. ბუაჩიძე

ამხანაგებო! ბურჟუაზიული ესთეტები, გაბღინძულ ბატონთა შვილები და არისტოკრატები, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, გაჰყვიროდენ—ბოლშევიკები კულტურის მტრებიაო, ბოლშევიკები ისტორიის ბაქანს იქით აგდებენ კულტურის განძეულობას, არ ღებულობენ კულტურულ მემკვიდრეობას და ფეხით სთელავენ მას, რასაც ისინი სთვლიან „წმინდათა-წმინდადო". მაგრამ აი, ამხანაგებო, პროლეტარული რევოლუციის ათი წლის თავზე ჩვენ აქ, ამიერ-კავკასიაში, გამოვდივართ და ვესალმებით ამიერკავკასიის საბჭოების მე-6 ყრილობას ბოლშევიკური, პროლეტარული მწერლობის სახელით (ტაში). გამოდის, რომ ბოლშევიკები არამც თუ მტრები ყოფილან კულტურის, ხელოვნების, არამედ თვითონ ქმნიან თავის მწერლობას, თავის კულტურას, რომელსაც უპირდაპირებენ ძველ მწერლობას, ძველ კულტურას. ცხადია, რომ არც ისაა მართალი, ვითომ პროლეტარიატის დიქტატურა სთელავს და უკუაგდებს ძველ მწერლობას, ძველ კულტურას; ჩვენ ვითვისებთ ამ კულტურას, ვაწარმოებთ მის კრიტიკულ გადამუშავებას და ვქმნით საკუთარ, პროლეტარულ კულტურას. ცხადია, ჩვენი მწერლობა, ჩვენი კულტურა არ აკმაყოფილებს ბურჟუათა და თავად-აზნაურთა მოთხოვნილებას. ცხადია, რომ ბოლშევიკურ მწერლებს ისინი დიდი ხნის განმავლობაში არ ცნობილობდენ. ან და რად იცნობდენ საუკეთესო, გასაოცარი სიძლიერის მქონე ბოლშევიკ-პროლეტარულ მწერალს დემიან ბედნის, რომელმაც მათ ამდენი ზიანი მიაყენა სწორედ სამხედრო ფრონტზე. მათ არ უნდოდათ ის მწერლად ეცნოთ, მაგრამ დიდებულად იცოდენ და იციან, რომ ეს თავისებური მახვილი იარაღი ვნებს მათ კლასიურ ინტერესებს. ჩვენი კულტურული და ლიტერატურული მუშაობის აზრიც სწორედ მასშია, რომ შექმნილ იქნეს ისეთი მახვილი, კლასიური იარაღი, რომელიც პირველ რიგში მიმართული იქნება კლასიური მტრების წინააღმდეგ. პროლეტარული კულტურის, მწერლობის ძირითადი მიზანია კლასიურ მტრებთან ბრძოლა, რევოლუციის სამსახური, კლასიურად განსხვავებული ახალი კულტურის, მწერლობის შექმნა ახალი მიზნებით, ახალი იდეებით, რომლებიც სავსებით დამთხვეული იქნებიან რევოლუციის მიზნებთან და იდეებთან. მწერლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, კლასიურ ბრძოლაში. მთელ რიგ დიდ მწერალთა მუშაობა ჩვენ დაბეჯითებით გვიკარნახებს მას, რომ მწერლობა მთლიანად გამოყენებული უნდა იქნეს რევოლუციის სასარგებლოდ. თქვენ ყველამ დიდებულად იცით უხუცესი საბჭოთა პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის მუშაობა, რომელიც მთელი თავისი საქმიანობით და განსაკუთრებით უკანასკნელი ბრწყინვალე გამოსვლებით იცავს საბჭოთა კავშირს. თქვენ იცით ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ახლა დასავლეთ ევროპის კულტურულ მომუშავეთა შორის; საფრანგეთის დიდი მწერლის რომენ როლანის უკანასკნელი გამოსვლა მკაცრად მიმართულია საბჭოთა კავშირის მტრების წინააღმდეგ. ამ გამოსვლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ისეთ პერიოდში, როდესაც ზოგიერთი გამყიდველი წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენტები გამცემლურ მუშაობას აწარმოებენ. მაგალითად, პანაიტ ისტრატი, რომელმაც ჩვენი მეგობრის სახით შემოიარა საბჭოთა კავშირი და შემდეგ დაიწყო მისი გაყიდვა საზღვარგარეთ. „მეგობრობის" თამაშის შემდეგ ის გახდა ჩვენი უსაზიზღრესი მტერი.

საბჭოების ახალგაზრდა ქვეყანა, მუშათა კლასი ქმნის პროლეტარულ მწერლობას. პროლეტარული მწერლობა იქმნება არა მარტო რუსეთში, არა მარტო საბჭოთა კავშირის მოწინავე ერებში, არამედ ჩამორჩენილ ერებშიაც. ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას აქვს თავისი მებრძოლი წარსული. პროლეტარულ მწერალთა პოლიტიკური ზრდა ფაქტია.

ამიერკავკასიაში მომხდარი უკანასკნელი მოვლენები ამტკიცებს, რომ პროლეტარულმა მწერლებმა შესძლეს, როგორც რეაქციონური ფრონტის წინააღმდეგ შეტევა, ისე ყველა ოპორტუნისტების უკუგდება ჩვენს რიგებში. მათ პასუხი გასცეს სირცოვ-ლომინაძის ბლოკის წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადგენლებს. ლომინაძევშჩინა ამიერკავკასიაში დიდ ყურადღებას აქცევდა პროლეტარულ მწერლობას, რადგან სურდა ის გამოეყენებინა ანტიპარტიული მიზნებისათვის. პროლეტარულმა მწერლებმა, ყოველ შემთხვევაში მისმა საგრძნობმა ნაწილმა, იმდენი ბოლშევიკური ალღო გამოიჩინა, რომ სასტიკი პასუხი გასცა ლომინაძევშჩინას ლიტერატურის ფრონტზე ლომინაძის თვალთმაქცობის გამომჟღავნებამდე.

მეორე მხრით საქართველოში ამხ. ღოღობერიძის მხრით ადგილი ჰქონდა ლიკვიდატორულ დამოკიდებულებას პროლეტარული მწერლობის მიმართ. ჩვენ მიერ გამომჟღავნებული იქნა მემარჯვენე-რეაქციონური მწერლობის კაპიტულიაციის ფაქტი. ჩვენ სასტიკი შეტევა ვაწარმოეთ ამ კაპიტულიანტური განწყობილების წინააღმდეგ. ყოველთვის ვიბრძოდით ამ ლიკვიდატორობის წინააღმდეგ. ჩვენ ვიბრძოდით მებრძოლი ბოლშევიკური მწერლობისთვის და მკაცრი პირდაპირობით ვუტევდით მემარჯვენე ელემენტებს, მემარჯვენე განწყობილებებს ჩვენ ორგანიზაციაში. ეს ბრძოლა ორ ფრონტზე, ბოლშევიკური იდეისთვის, კლასიური სახის სიწმინდისათვის, ლაპარაკობს მასზე, რომ იზრდება ჯანსაღი პროლეტარული მწერლობა.

მე-6 ყრილობას შეგვიძლია კონკრეტულად მოვახსენოთ: მოვიკრიბავთ მთელ ენერგიას, რომ მთლიანად და სავსებით ჩვენი შემოქმედება პროლეტარული რევოლუციის სამსახურში გადავიყვანოთ. ჩვენ ვატარებთ ახალი გრანდიოზული მნიშვნელობის მქონე ღონისძიებას—ეს არის დამკვრელ მუშათა გაწვევა მწერლობაში. ეს მოწმობს მას, რომ პროლეტარული მწერლობა მჭიდროდ უკავშირდება მასას. მის რიგებში ებმებიან მუშათა კლასის მოწინავე ელემენტები — დამკვრელები. გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობა ითხოვს თავის შემოქმედებს. ეს შემოქმედნი იზრდებიან უპირველეს ყოვლისა მუშათა კლასის რიგებიდან, დამკვრელი მუშებიდან.

ამხანაგებო! მიმდინარე პერიოდში მთელს ჩვენს ენერგიას გადავიტანთ დაზგასთან მდგომი გმირების ბრძოლის უნარიანობის აწევისაკენ, წითელარმიელთა ბრძოლის უნარიანობის აწევისაკენ. ამ მიზნით ამიერკავკასიის პროლატარულ მწერალთა ასოციაცია იღებს ინიციატივას მთელს ამიერკავკასიაში ჩამოაყალიბოს წითელარმიელ და წითელფლოტელ მწერალთა გაერთიანება და ამ ორგანიზაციაში ჩააბას წითელარმიელ მწერლებთან ერთად საუკეთესო პროლეტარული და თანამგზავრული მწერლები. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეა სამხედრო საშიშროების პერიოდში.

მეორეს მხრით ჩვენ მთლიანათ გადავიტანთ მუშაობას დამკვრელობაში, სოცშეჯიბრებაში, მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის ჩატარების კამპანიაში. მობილიზაციას გავუკეთებთ ყველაზე აქტიურ პროლეტარულ მწერალს, რომელნიც იმუშავებენ კოლმეურნეებთან ხელიხელჩაკიდებულნი. ყველა ამ კონკრეტულ ღონისძიებას გავატარებთ მოწინავე მუშათა და კოლმეურნეთა დახმარებით. პარტიის ხელმძღვანელობა და ჩვენი აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა უზრუნველყოფს ნამდვილი ბოლშევიკური მწერლობის ზრდას.

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციას, გაუმარჯოს ბოლშევიკურ-პროლეტარულ მწერლობას! (ტაში).

✦

საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაცია საქართველოს საბჭოების მე-6 ყრილობაზე

დელეგაციის შემადგენლობა: ა. ჭუმბაძე, ნ. მიწიშვილი, ა. მაშაშვილი, ტ. ტაბიძე, კ. კალაძე, რ. გვეტაძე, ლეო ქიაჩელი, კ. ლორთქიფანიძე, ს. ჩიქოვანი, შ. რადიანი.

ყრილობას მიესალმა ამხ. **ᲐᲠᲘᲡᲢᲝ ᲭᲣᲛᲑᲐᲫᲔ**

18 თებერვალს ყრილობის საღამოს სხდომაზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა არ. ჭუმბაძემ.

— ამხანაგებო, მე მოგიტანეთ წრფელი სალამი საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით. ამხანაგებო, იმ დროს, როდესაც ჩვენი საბჭოთა კავშირის განუსაზღვრელ სივრცეზე მუშები და მშრომელი გლეხობა მკლავებ დაკაპიწებული გაასკეცებული ენერგიით იბრძვიან და აშე-

ნებენ ახალ ცხოვრებას, იმ დროს, როდესაც მუშები და გლეხები ახალი, კაცობრიობისათვის ჯერ უცნობი ფორმებით ცდილობენ შეასრულონ 5-წლედის დიდი და უდიდესი გეგმა, იმდროს როდესაც საბჭოთა კავშირის ყოველი პატიოსანი მოქალაქე მხრუნველი ფუტკარივით ფუსფუსებს, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ამ საერთო სალაროში, ამ დროს დნესტრიდან მოკიდებული ატლანტიის ოკეანეს იქითა ნაპირებამდე სულთმობრძავი, მაგრამ მაინც სიცოცხლის მწყურვალი, კაპიტალიზმი კბილებამდე შეიარაღებული უთვალთვალებს ყოველ ჩვენს ნაბიჯს, სწონის და საზრავს ყოველ ჩვენს მოქმედებას და ეძებს სუსტ ადგილს, რომ დრო იხელთოს და დაგვცხოს.

თქვენ იცით, ამხანაგებო, საამისოთ მათ მრავალი ნაცადი ხერხი და საშუალება აქვთ. შიგნით მავნებლობა, სხვადასხვა გვარი თვალთმაქცობა ღალატით დაგვირგვინებული, გარეთ პოლიტიკური და სამხედრო ბლოკები, აგრარული კონფერენციები და ამასთანავე მშვიდობიანობაზე ლაქლაქი. აი ამ დროს, ამხანაგებო, ზედმეტია აღფრთოვანებული დეკლარაცია, პათოსით ნათქვამი სიტყვები, რადგან ამის დრო წავიდა. თუ კი ოდესმე იყო ამის დრო, დღეს, როგორც მოგეხსენებათ, თვით უმცირეს საქმეს, საერთო საქმის ნაწილს და წვლილს გაცილებით მეტი მნიშვნელობა და ფასი აქვს, ვიდრე ტომებად დაწერილ მშრალ და ლიტონ სიტყვებს. აი, ამხანაგებო, ამიტომ ნება მომეცით მოგახსენოთ აქ ის, თუ რას პირდება დღეს საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია მე-6 მოწვევის საბჭოთა ყრილობას. ჩვენ გვესმის, ამხანაგებო, მარტივი, მაგრამ დიდი თქმა პარტიის ბელადის ამხ. სტალინისა, რომელიც ამბობს: „სხვისი მიწის არც ერთი მტკაველი არ გვინდა მაგრამ ჩვენსას არც ერთ გოჯსარავის დავუთმობთ“-ო. ამიტომ ჩვენ ვაარსებთ წითელ არმიელ მწერალთა ორგანიზაციას, მათთან ერთად ჩავებმებით ამ ორგანიზაციაში და ვიმუშავებთ სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისათვის. ეს ერთი.

მეორე — მომავალი გაზაფხულის მეორე ბოლშევიკური თესვის კამპანიისათვის ჩვენ გამოვყოფთ აქტივს მწერლებისას 30 კაცის შემადგენლობით, რათა მათ ადგილებზე ხელი შეუწყონ ამ დარგში მომუშავე ამხანაგებს.

მესამე — მწერალთა ბრიგადების მუშაობას, რომელიც ამჟამად გვაქვს ტფილისის სამრეწველო ცენტრში, ჩვენ ისე გავაფართოვებთ, გავაძლიერებთ, რომ მათ მოქმედებას გადავიტანთ სხვა სამრეწველო ცენტრებში.

მეოთხე — საყოველთაო-სავალებულო სწავლების გატარებაში მივიღებთ აქტიურ მონაწილეობას და ამ მიზნით შესაფერის სახელმძღვანელოებს დავამზადებთ. თუ ვერ დავამზადებთ, დახმარებას გაუწევთ იმას, ვისაც ეს საქმე აბარია და აგრეთვე შევქმნით სათანადო ლიტერატურას მათთვის, ვინც უკვე ისწავლა წერა-კითხვა.

მეხუთე — ისევ აქტიურად, შეუდრეკლად განვაგრძობთ ბრძოლას მემარჯვენე რეაქციონურ მწერლების და მწერლობის წინააღმდეგ.

და ასე ამხანაგებო. ჩვენ, მწერლები, თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ და ვიშრომებთ, რათა წარჩინებულად, წარმატებით და სასიხარულოდ შევასრულოთ 5-წლედი, ეს დიდი გეგმა დიადი მუშაობისა და არამც თუ მარტო თვალი მოვთხაროთ, ის თვალი, რომლითაც კაპიტალიზმი ჩვენ გვიცქერის, არამედ გულიც გაუპოთ, სასიცოცხლო ნერვები მოუკლათ მას, რომ მის ნაოხარზე ავაგოთ სოციალიზმი. (ტაში).

✦

24 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავის აღსანიშნავად ტფილისის საბჭოს მიერ გამართულ საზეიმო სხდომაზე სომხეთის საბჭოთა მწერლების და ხელოვნების მუშაკთა სახელით შირვან-ზადე გამოვიდა: — სომხეთის საუკეთესო მწერლებმა, — განაცხადა შირვან-ზადემ, — თავიანთი ნიჭი, შრომა და ცხოვრება სოციალისტურ აღმშენებლობას მისცეს; გაუმარჯოს სოციალისტურ საქართველოს.

აზერბაიჯანის მწერლების სახელით აბდურახმან ახვერდოვმა განაცხადა, რომ წითელმა საქართველომ მსოფლიო რევოლუციონური მოძრაობის ისტორიაში თავისი სასახელო წვლილი შეიტანა.

აღნიშნულ საზეიმო სხდომაზე საყურადღებო სიტყვით საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით გრიგოლ რობაქიძე გამოვიდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველოს ათი წლის იუბილე უბრალო ისტორიული თარიღი როდია. არა, ეს არის თარიღი საქართველოს ისტორიის შემოტრიალებისა, ტომების შინაგანი ბრძოლისა და უცხოელთა თავდასხმის საუკუნოებრივი ისტორიის შემოტრიალებისა ახალი მაგისტრალისა კენ. ათასი წლების განმავლობაში იყვნენ საქართველოს მშრომელნი დაჩაგრულნი, „მასალას“, შემოსავლის წყაროს წარმოადგენდენ ექსპლოატატორებისთვის. ახლა ვინ გაბედავს საქართველოს მშრომელი მასების მთლიანობის ხრწნას? ვინ გაბედავს მასზე თავდასხმას? საქართველოს გულისძგერა — ეს არის საბჭოთა კავშირის მაჯისცემა, და ვინც გაბედავს და მახვილს უსწორებს საბჭოთა საქართველოს გულს, — მას ძმური საბჭოთა კავშირი თავს გააგდებინებს.

სულ ათი წელია, რაც საბჭოთა საქართველო არსებობს, მაგრამ რაოდენ ბრწყინვალეა მისი კულტურის ზრდა — კინოსი, თეატრის, ლიტერატურის! ახლა საქართველოს ისტორია მხოლოდ საქართველოს ისტორია კი არ არის, არამედ ის მსოფლიო რევოლუციის ისტორიის ორგანიული ნაწილია. საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით ჩვენ პირობას ვდებთ მთელი ჩვენი ენტუზიაზმი მოვახმაროთ სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობას, დახმარებას, ვინაიდან საბჭოთა მწერლის სიტყვაც რევოლუციონური საქმის ნაწილია, ახალი საზოგადოების შენების ნაწილია.

✦

ახალი წიგნები

სანდრო ეული — რჩეული ლექსების და პოემების პირველი წიგნი მ. ტოროშელიძის წინასიტყვაობით; გამოცემა სახელგამის.

ბენ. ბუაჩიძე და ა. მაშაშვილი — „მწერლობის მიმდინარე საკითხები“ გამომც. „ქართული წიგნი“.

შ. რადიანი — „ლიტერატურული პორტრეტები“. შესწორებული მეორე გამოცემა, გამოც. სახელგამის.

შ, რადიანი — „პროლეტმწერლობის განვითარების გზები“ გამოცემა „ახ/კომუნისტი“.

ვ. ლუარსამიძე — „პროლეტარული მწერლობის წინსვლის სიძნელეები. გამ. „ახ/კომუნისტი“.

ალ. სულავა — **და გ. ნატროშვილი** — „პროლეტმწერლობის შემოქმედებით საკითხებზე“, გამ. „ქართული წიგნი“.

პანტელეიმონ ჩხიკვაძე — „სართულები“ (რომანი), გამ. „ქართული წიგნი“. რომანი „სართულები“ უკვე ითარგმნა უკრაინულ ენაზე, ითარგმნება რუსულ ენაზე, წიგნს სცემს უკრაინის და რუსეთის სახელგამი.

სარედაქციო კოლეგია: ბ. ბუაჩიძე, ს. ეული, კ. ლოკოთქიფანიძე, ვალ. ლუარსამიძე, ა. მაშაშვილი, შ. რადიანი, ა. სულავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი აააწყო
სახელგამის 1-ლი სტამბის
მესამე დამკვრელმა ბრიგადამ.
გვერდებად შეკრა — გ. მაისურაძემ
გამომშვები — გიორგი იაშვილი

დ ა ი ბ ე ჭ დ ა
სახელგამის პირველ სტამბაში.
პლეხანოვის გამზირი № 91.
შეკვეთის № 228. მთავარლიტი № 329
ტირაჟი 1500.

ეროვნული
ბიბლიოთეკა